ჟუჟუნა ფეიქრიშვილი

ქართული ენის მორფოლოგია

(შევსებული და გადამუშავებული გამოცემა)

ლოგოსი
თბილისი, 2018

სახელმძღვანელო განკუთვნილია ბაკალავრებისა და მაგისტრანტებისთვის, აგრეთვე ქართული ენის შესწავლით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

რედაქტორები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
გიორგი გოგოლაშვილი

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
რუსუდან ზექალაშვილი

რეცენზენტი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ნონა მამისეიშვილი

© ჟ. ფეიქრიშვილი, 2018

© პროგრამა „ლოგოსი“, 2018

ISBN 978-9941-468-42-1

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგიის საკითხების დიაქრონიულმა ანალიზმა აღწერით დონეზე მოითხოვა ძველი ქართულისა და ქართველური ენების ვითარების გათვალისწინებაც.

ნაშრომის ყოველ თავს ახლავს ძირითადი ლიტერატურის სია.

ქართული ენის მორფოლოგიაში ამგვარი ლექციების კურსი დამხმარე სახელმძღვანელოდ შედგენის პირველი ცდაა. ცხადია, იგი სრულყოფილი ვერ იქნება მთლიანი სამეცნიერო ლიტერატურის ზოგადი მიმოხილვითაც კი. მაგრამ, თუკი წიგნი ერთგვარი გზამკვლევის როლს შეასრულებს ქართული ენათმეცნიერებით დაინტერესებულ პირთათვის, მასში წარმოდგენილი საკითხები აღძრავს საგანგებო ინტერესს მშობლიური ენისადმი და გარკვეულად გააადვილებს სხვა ენათმეცნიერული დისციპლინების საფუძვლიან შესწავლას, მისი მიზანდასახულობაც გამართლებულ იქნება.

ავტორი მადლიერებით მიიღებს ყველა საქმიან შენიშვნასა და წინადადებას, რომლებიც ხელს შეუწყობს წიგნის სრულყოფას.

ჟ. ფეიქრიშვილი
1992 წელი, ქუთაისი

რედაქტორისაგან

ქართული ენის, როგორც საგნის, სწავლება უმაღლეს სასწავლებლებში საკმაოდ მრავალ წინააღმდეგობას აწყდება. უპირველესი ამ თვალსაზრისით სახელმძღვანელოების პრობლემაა. მართალია, გვაქვს რამდენიმე მაღალმეცნიერული, ფუნდამენტური მონოგრაფია თუ სახელმძღვანელო ქართული ენისა (ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, გ. ახვლედიანის... ნაშრომები), მაგრამ დღესდღეობით უმეტესი მათგანი სტუდენტისათვის ძნელად ხელმისაწვდომია. მეორე მხრივ, ამ ნაშრომების გამოცემებიდან დიდი ხანი გავიდა. მას შემდეგ ქართული ენის შესწავლაში ბევრი რამ გაკეთდა. თანამედროვე სტუდენტი ფეხდაფეხ უნდა მიჰყვებოდეს მეცნიერებას, რომლის ბოლოდროინდელი მიღწევების გაცნობისა და გააზრების გარეშე მისი ცოდნა მოკლებული იქნება მყარ საფუძველს. სხვა ქვეყნებში სახელმძღვანელოების პრობლემა არ დგას, ერთდროულად არსებობს რამდენიმე სახელმძღვანელო სხვადასხვა ავტორისა. ეს საქმისათვის სასიკეთოა. ჩვენს სინამდვილეში ამგვარ „ფუფუნებას“ მოკლებული ვართ.

ამ ხარვეზის შევსების საინტერესო ცდად გვესახება ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტის, გამოცდილი პედაგოგის, **ჟ. ფეიქრიშვილის სალექციო კურსი – „ქართული ენის მორფო-**

ლოგია“, სადაც სტუდენტისათვის იოლად მისაწვდომი ფორმითაა ჩამოყალიბებული მორფოლოგიის ძირითადი საკითხები.

წიგნის უდავო ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მასში გათვალისწინებულია ქართული ენათმეცნიერების ბოლო პერიოდის ყველა მნიშვნელოვანი გამოკვლევა, თვალსაზრისი, ზოგჯერ სადავო თუ მიუღებელი ვარაუდიც კი, რა თქმა უნდა, შესაბამისი კომენტარით. ეს, ვფიქრობთ, შესაძლებლობას მისცემს სტუდენტს არსებულ საპირისპირო თვალსაზრისთა შეჯერებით, იაზროვნოს, თავად გაერკვეს მოვლენის არსში და გამოიტანოს დასკვნა.

რა თქმა უნდა, ერთ წიგნში, მით უმეტეს ამ სახის ნაშრომში, შეუძლებელია ყველა თვალსაზრისის მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა, ანალიზი. ამიტომ ნაშრომის დადებით მხარედ მიგვაჩნია ისიც, რომ ყოველ თავს ახლავს ძირითადი ლიტერატურის სია.

ჟ. ფეიქრიშვილის ნაშრომის სასწავლო პროცესში შეტანა ამ წიგნის ღირსება-ნაკლოვანებას უფრო ნათლად წარმოაჩენს, ხელს შეუწყობს წიგნის შემდგომ დახვეწა-დამუშავებას. ამჯერად კი ამ სახით სარეცენზიო ნაშრომის დაბეჭდვა სავსებით შესაძლებლად მიგვაჩნია, უფრო მეტიც, საჭიროდ და აუცილებლად.

ამ წიგნის გამოცემა, ჩვენი აზრით, ქართული ენის სწავლების საქმეში სასიკეთო ნაბიჯი იქნება.

გიორგი გოგოლაშვილი
1992 წელი, თბილისი

შემოკლებანი

თქსენ – თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები
იკე – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება
სბიქე – სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში
სმამ – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე
ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი
ქელს – ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში
ქესს – ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები
ქსკს – ქართული სიტყვის კულტურის საკითხები
შდრ – შეადარეთ

თავი I. მორფოლოგიის საგანი. მეტყველების ნაწილები
(ზოგადი მიმოხილვა)

1.1. მორფოლოგია, როგორც გრამატიკის დარგი

ენის შემსწავლელ მეცნიერებას ენათმეცნიერება (უცხოურად ლინგვისტიკა) ჰქვია. სხვაგვარად: „ადამიანის ენაში არსებულ ყოველგვარ ელემენტსა და მოვლენას, რომელიც საუკუნეობით არის შემუშავებული, მემკვიდრეობით გადმოცემული და საყოველთაო ხმარებით განმტკიცებული, სწავლობს მეცნიერება, რომელსაც ენათმეცნიერება ჰქვია“ (ა. შანიძე).

ენათმეცნიერების ძირითადი საკვლევი ობიექტია **სიტყვა**. მას განიხილავენ სხვადასხვა ასპექტით: ბგერითი შედგენილობის, ფორმის (სტრუქტურის), ფუნქციის, სემანტიკის მიხედვით. შესაბამისად, ენის მთლიანი სისტემის ანუ გრამატიკული წყობისა და ლექსიკური ფონდის ყოველმხრივმა შესწავლამ განაპირობა ენათმეცნიერების დარგების შექმნა. ეს დარგებია: ფონეტიკა, გრამატიკა, ლექსიკოლოგია, ეტიმოლოგია, სტილისტიკა, დიალექტოლოგია.[1]

გრამატიკა არის მოძღვრება ენაში არსებულ სიტყვათა ცვლილებისა და შეკავშირების წესების შესახებ. სხვაგვარად: გრამატიკა არის ენათმეცნიერების ის დარგი, რომელიც სწავლობს ენის გრამატიკულ მნიშვნელობათა სტრუქტურას და ამ მნიშვნელობათა გამოხატვის საშუალებებს (გ. მაჭავარიანი, გ. ნებიერიძე, 1972).

მაშასადამე, გრამატიკა სწავლობს ენის აგებულების საკითხებს: სიტყვათა შედგენილობას, მათს ფორმასა და

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ენათმეცნიერების დარგების მეტ-ნაკლებად განსხვავებული კლასიფიკაციებიც. მაგალითად, ა. შანიძე გრამატიკაში აერთიანებს ფონეტიკას, მორფოლოგიასა და სინტაქსს; არნ. ჩიქობავას ფონეტიკა, მორფოლოგია და სინტაქსი მიაჩნია ენათმეცნიერების ცალკე დარგებად (გრამატიკას საერთოდ არ ასახელებს), ვ. თოფურიას მიხედვით, გრამატიკა არის ენათმეცნიერების დარგი, რომლის ნაწილებია მორფოლოგია და სინტაქსი.

ფუნქციას. ტერმინი „გრამატიკა“ ბერძნული წარმოშობისაა; მისთვის ამოსავალია gramma, რაც ნიშნავს „ასოს“, „წერილობითს ნიშანს“, „ზედწერილს“. თავდაპირველი გაგებით, გრამატიკა იყო ხელოვნება, რომელიც ასწავლიდა „სწორ ლაპარაკსა და კანონიერ წერას“, ახალი გაგებით კი, გრამატიკა არის მეცნიერება ამა თუ იმ ენის აგებულების შესახებ.

გრამატიკის ნაწილებია მორფოლოგია და სინტაქსი.

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა შეისწავლის სიტყვის ფორმას, მის ცვლილებას და ამ ცვლილებათა კანონზომიერებებს; მაწარმოებელ აფიქსებს, მათს გრამატიკულ მნიშვნელობებს; იკვლევს მეტყველების ნაწილებს. ტერმინი „მორფოლოგია“ ბერძნული წარმოშობისაა (morphe=ფორმა, სახე, logos=სიტყვა, მოძღვრება) და ნიშნავს მოძღვრებას ფორმის შესახებ.

ამრიგად, მორფოლოგიის საგანია ს ი ტ ყ ვ ი ს ფ ო რ მ ა.

1.2. სიტყვა. ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები

ს ი ტ ყ ვ ა მეტყველების მარტივი ერთეულია. იგი გარკვეულ მნიშვნელობას ატარებს. სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს სიტყვის სხვადასხვაგვარი განმარტება: „სიტყვა არის გაბმული მეტყველების უმცირესი ნაწილი“ (დიონისე თრაკიელი), „სიტყვა არის მნიშვნელობის მქონე უმარტივესი ერთეული ენისა“ (არნ. ჩიქობავა), „სიტყვა არის მნიშვნელობის მქონე ბგერათკომპლექსი, რომელიც ენის ძირითადი ერთეულია“ (ალ. ღლონტი)...

სიტყვას აქვს ორი მხარე: გარეგანი და შინაგანი; გარეგანია მისი ფორმა (ბგერითი შედგენილობა), შინაგანი – შინაარსი, სემანტიკა. მორფოლოგიას აინტერესებს სიტყვის გარეგანი მხარე – ფ ო რ მ ა. შესაბამისად, ქართულში, მორფოლოგიური თვალსაზრისით, სიტყვები ორგვარია: ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი.

ფ ო რ მ ა ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი სიტყვა მეტყველებაში გამოიყენება სხვადასხვა ფორმით: სახლ-ი, სახლ-მა, სახლ-ს... ვ-აკეთებ, აკეთებ-ს...

ფორმაუცვლელი სიტყვა ყოველთვის ერთი სახით გვხვდება, ე. ი. ფორმას არ იცვლის. ასეთებია: ახლა, შარშან, მაშინ; რომ, კი, ხან; მაინც, აღარ, თურმე; ვიშ, ახ, ოჰ...

ფორმაცვალებადია სახელები და ზმნა (ბრუნებადი და უღლებადი სიტყვები), ფორმაუცვლელია: ზმნიზედა, თანდებული, ნაწილაკი, კავშირი, შორისდებული. ქართულში ფორმაცვალებად სიტყვათა რაოდენობა დიდია, ფორმაუცვლელებისა კი – შედარებით მცირე.

ფორმაცვალებადი სიტყვა გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება ფორმაუცვლელი გახდეს და პირიქით. მაგალითად, **მაღალი** ზედსართავი სახელია (ფორმაცვალებადი), მაგრამ მისგან მიღებული **მაღლა** ზმნიზედაა (ფორმაუცვლელი); **ვაი** შორისდებულია, თუმცა სახელის მნიშვნელობით გამოყენებისას იბრუნვის (ვაის გავეყარე, ვაიმ ვეღარ უშველა...) და ა. შ.

ფორმაცვალებადი სიტყვა მორფოლოგიური ანალიზის შედეგად იშლება შემადგენელ ნაწილებად.

1.2.1. სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა. ფორმაცვალებადი სიტყვის შემადგენელი ნაწილებია: ძირი, ფუძე, აფიქსი (მორფემა).

ძირი არის საგნობრივი მნიშვნელობის მქონე უმარტივესი (დაუშლელი) ნაწილი სიტყვისა. იგი საერთო საყრდენია მისგან ნაწარმოები სხვა სიტყვებისათვის. მაგალითად, წიგნ-ი, საწიგნ-ე, წიგნ-იან-ი, უ-წიგნ-ო, წიგნ-იერ-ი, მ-წიგნ-ობარ-ი და მისთანათა ძირია **წიგნ**.

ფუძე ჰქვია სიტყვის იმ ნაწილს, რომელიც ატარებს მოცემული სიტყვის ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობებს: სიტყვაში **კაც**-ი ფუძეა **კაც**, **კაცურ**-ის ფუძეა **კაცურ**; **ი** კი ორივე შემთხვევაში საგნობრივ მნიშვნელობას მოკლებულია და ფუძეს უპირისპირდება. ფუძე, თავის მხრივ, შეიძლება დაიშალოს ნაწილებად. მაგ., სიტყვაში **ცხენოსანი** ფუძეა **ცხენოსან**. მასში გამოიყოფა **ცხენ** და **ოსან** სეგმენტები.

ფუძე შედგენილობის ანუ აგებულების მიხედვით შეიძლება იყოს **მარტივი** (ხელ-ი), **ნაწარმოები** (სი-ლამაზ-ე) და **რთული** (გულისყური)... ზოგჯერ ძირი და ფუძე

ერთმანეთს ემთხვევა: სიტყვაში **სახლ-ი** **სახლ** არის ძირიც და ფუძეც (ფუძის შესახებ იხ. აგრეთვე გვ. 57).

აფიქსი ჰქვია ფუძესა და ძირზე დართულ ყოველგვარ ელემენტს, სხვაგვარად მას **მორფემას** ანუ **ფორმანტს** უწოდებენ. აფიქსის შესატყვისი ქართული ტერმინია „სართი" (თავსართი, ბოლოსართი). ფართო გაგებით, მორფემა არის სიტყვის ნაწილი (პრეფიქსი, სუფიქსი, ფუძე, ძირი), რომელსაც აქვს ლექსიკური ან გრამატიკული მნიშვნელობა (ამჯერად მორფემაში ვგულისხმობთ მაწარმოებელ აფიქსს).

1.3. აფიქსთა კლასიფიკაცია

ლინგვისტიკაში აფიქსებს ძირითადად აჯგუფებენ ადგილის, ფუნქციისა და გამოყენების სიხშირის მიხედვით.

ა დ გ ი ლ ი ს მიხედვით, აფიქსი შეიძლება იყოს პრეფიქსი, სუფიქსი და ინფიქსი.

პ რ ე ფ ი ქ ს ი ისეთი აფიქსია, რომელიც წინ უძღვის სიტყვის ძირს: ვ-წერ, გ-თხოვს; მ-კერავი, ნა-ხატი... პრეფიქსის შესატყვისი ქართული ტერმინია „თავსართი".

ს უ ფ ი ქ ს ი ჰქვია ისეთ აფიქსს, რომელიც მოსდევს სიტყვის ძირს: კაც-ი, ცა-მ, ხე-ს; იცნ-ო, დუღ-ს; შვილ-იან-ი, ქალაქ-ელ-ი... სუფიქსის შესატყვისი ქართული ტერმინია „ბოლოსართი"; უცხოურად მას „პოსტფიქსსაც" უწოდებენ.

ი ნ ფ ი ქ ს ი ჩაერთვის სიტყვის ფუძეს. საზოგადოდ, ქართულში ინფიქსური წარმოება იშვიათია, მხოლოდ ზოგიერთ სიტყვაში ფონეტიკური ცვლილების შედეგად სუფიქსისეული ბგერა ინფიქსად იქცევა. მაგალითად: კლავ-ს>კვლ-ა, მიჯნავს>გამიჯვნა, ხრავ-ს>ხვრ-ა, ძრავ-ს>ძვრა (ინფიქსაცია დამახასიათებელია ინდონეზიური ენებისათვის).

ზოგჯერ სიტყვის ძირს ერთდროულად ერთვის ორი აფიქსი: პ რ ე ფ ი ქ ს - ს უ ფ ი ქ ს ი, რომელთაც აქვთ მხოლოდ ერთი გრამატიკული მნიშვნელობა, ანუ ერთი ფუნქცია, მიუხედავად იმისა, რომ მორფემა ორია: მე-ბაღ-ე, სა-თვალ-ე, სა-კლას-ო და ა. შ. (მე-ე აწარმოებს ხელობის სახელებს, სა-ე, სა-ო – დანიშნულებისას).

პრეფიქს-სუფიქსის აღსანიშნავად გამოიყენება აგრეთვე ლათინური წარმოშობის ტერმინები: „კონფიქსი“, „ცირკუმფიქსი“, რაც ნიშნავს „თანააფიქსს“, „ერთად აღებულს“ (ანუ კონფიქსი არის პრეფიქს-სუფიქსის კომბინაცია).

პრეფიქსების საშუალებით მიიღება პ რ ე ფ ი ქ ს უ ლ ი წარმოება, სუფიქსებით – ს უ ფ ი ქ ს უ რ ი, ხოლო კონფიქსის დართვით – პ რ ე ფ ი ქ ს - ს უ ფ ი ქ ს უ რ ი. ამათგან ახალ ქართულში ძირითადია სახელთა სუფიქსური და პრეფიქს-სუფიქსური წარმოება. ოდენ პრეფიქსულ წარმოებასთან დაკავშირებით ა. შანიძე წერდა: „არ მოგვეპოვება მარტო პრეფიქსით ნაწარმოები სახელები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ისეთ გამონაკლისებს, როგორიცაა: უ-რიცხვ-ი და **არა**-თი ნაწარმოები სახელები: არაფერი, არა-თითი, არა-იშვიათი, არა-ლეგალური, და სხვ.“

მართალია, დღეს ქართულში მხოლოდ პრეფიქსით ნაწარმოებ სახელთა რიცხვი შედარებით ნაკლებია, მაგრამ ამგვარი წარმოება რომ ქართულისათვის ბუნებრივია, საკმაოდ გავრცელებული და თანაც ძველი, არაერთგზისაა დასაბუთებული მკვლევართა მიერ (ვ. ბერიძე, ქ. ლომთათიძე, არნ. ჩიქობავა, გ. ბურჭულაძე, გ. გოგოლაშვილი...). მეტიც, არნ. ჩიქობავას დაკვირვებით, ქართული სახელებისათვის თავდაპირველად დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო ოდენ პრეფიქსული წარმოება; ეს პრეფიქსები უნდა ყოფილიყო გრამატიკული კლასის ნიშნები.

შენიშვნა: ქართველურ ენათა განვითარების ადრეულ საფეხურზე გრამატიკული კლასების არსებობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში (ივ. ჯავახიშვილი, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ქ. ლომთათიძე, გ. როგავა...) ნავარაუდევია, რომ, სანამ სახელს გაუჩნდებოდა რიცხვისა და ბრუნვის კატეგორიები, მანამდე იგი განირჩეოდა გრამატიკული კლასების მიხედვით. არსებობდა **ადამიანისა** და **ნივთის** კლასები. პირველს მიეკუთვნებოდა მხოლოდ ზრდასრული ადამიანი – პიროვნება, დაესმოდა კითხვა **ვინ?** ნივთის კლასში გაერთიანებული იყო ყველა სხვა სახელი (სულიერი და უსულო), დაესმოდა კითხვა **რა?** სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ დღეს ქართულში **ვინ** მხოლოდ ადამიანის კითხვაა, **რა** კი – ყველა დანარჩენისა.

უძველესი ქართულის ეს ვითარება დღემდეა შემორჩენილი ზოგიერთ სიტყვაში. მაგალითად, კლას-კატეგორიების ხანაში **ბავშვი** (რომელიც ჯერ კიდევ არაა სრულასაკოვანი, პიროვნება) ნივთის კლასს ეკუთვნოდა, შესაბამისად, დაესმოდა კითხვა **რა**. დღესაც ახალდაბადებულ ბავშვთან მიმართებაში იტყვიან: რა შეეძინა? რა ეყოლა: გოგო თუ ბიჭი?

არნ. ჩიქობავას აზრით, ადამიანის კლასის ნიშნები უნდა ყოფილიყო **მ-, ვ-** პრეფიქსები, ნივთის კლასისა კი – **ს-, ნ-, ბ-, დ-, თ-, რ-**. მოგვიანებით, როცა გრამატიკული კლასები მოიშალა, მათ სხვა ფუნქციები შეიძინეს, ზოგიც ფუძეს შეეზარდა... სხვაგვარად რომ ვთქვათ, სათანადო ნიშნები (**ვ, მ, ნ, ს, ბ, რ**) მოიპოვება სახელსა და ზმნაში შეცვლილი ფუნქციით: **ვ**-წერ, **მ**-ხატავს, მეგრელი, ბავშვი...). თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში გრამატიკულ კლას-კატეგორიებთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული შეხედულებაც: თ. გამყრელიძე სარწმუნოდ არ მიიჩნევს პრექართველურისათვის ამ კატეგორიის არსებობას და მიუთითებს, რომ კლას-კატეგორიის ნიშნებად ჩათვლილ მანარმოებლებს სხვაგვარი კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.

ფუნქციის ანუ დანიშნულების მიხედვით, აფიქსი შეიძლება იყოს ფორმათსაწარმოებელი (დამოკიდებულების აღმნიშვნელი), მნიშვნელობის მცვლელი (წარმოსაქმნელი) და გარდამავალი ტიპისა.

1. ზოგჯერ აფიქსის საშუალებით იცვლება სიტყვის მხოლოდ გრამატიკული ფორმა, მაგრამ ლექსიკური მნიშვნელობა იგივეა (სახლ-ი, სახლ-მა, სახლ-ს...). სიტყვის ასეთ ცვლას მიმოხრა ანუ ფლექსია ჰქვია, ამგვარ აფიქსებს კი – ფორმათსაწარმოებელი ანუ მიმოსახრელი. მიმოსახრელი აფიქსების საშუალებით მყარდება სიტყვებს შორის დამოკიდებულება ანუ გარკვეული მიმართება. მაგ., ცა-**მ** თვალებ-**ი** გაახილა. ამ წინადადებაში **მ** და **ი** აფიქსებით დამყარდა მიმართება „გაახილა" ზმნასთან. დამოკიდებულების აღმნიშვნელი აფიქსებია ბრუნვის ნიშნები.

2. აფიქსების საშუალებით შეიძლება შეიცვალოს სიტყვის ფორმაც და ლექსიკური მნიშვნელობაც, ე. ი. წარმოიქმნას ახალი მნიშვნელობის სიტყვა. ასეთ აფიქსებს უწოდებენ მნიშვნელობის მცვლელ ანუ სადერივაციო აფიქ-

სებს. ესენია: -იან, -ოსან, -ელ, -ურ, მე-ე, მე-ურ, სა-ე, სა-ო, სი-ე, უ-ო... (ქუდ-ი>ქუდიან-ი, მანდილი>მანდილოსან-ი, თბილისი>თბილისელ-ი, ლამაზი>სილამაზე, ბაღი>მებაღე...).

3. როგორც წესი, მიმოხრა ერთი სიტყვის ფარგლებში ხდება, წარმოქმნა კი სცილდება ერთი სიტყვის ფარგლებს (მიიღება სხვა მნიშვნელობის ახალი სიტყვა), თუმცა მათ შორის გადაულახავი ზღვარი არ არსებობს; ამიტომაცაა, რომ ზოგიერთ აფიქსს ერთდროულად შეიძლება ჰქონდეს ორი ფუნქცია: სიტყვას ფორმასაც უცვლიან და ნაწილობრივ მნიშვნელობასაც, ანუ საშუალო ადგილი უჭირავთ საკუთრივ მიმოსახრელსა და წარმოსაქმნელ აფიქსებს შორის. სპეციალურ ლიტერატურაში მათ უწოდებენ **გარდამავალი ტიპის** აფიქსებს. ასეთებია მრავლობითი რიცხვის ნიშნები სახელებსა და ზმნებში: -ებ, -ნ, -თ. მაგ., ბავშვი – ბავშ-**ებ**-ი, ბავშვ-**ნ**-ი, ბავშ-**თ**-ა; ვ-წერ (მე) – ვ-წერ-**თ** (ჩვენ)...

გამოყენების მიხედვით აფიქსი ძირითადად ორგვარია: პროდუქტიული (მოქმედი) და არაპროდუქტიული.

პროდუქტიული აფიქსი გამოიყოფა სიტყვაში და თანაც აქტიურად აწარმოებს ახალ სიტყვებსა და ფორმებს. იგი მოქმედი აფიქსია. თანამედროვე ქართულში პროდუქტიულია ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები, აგრეთვე ზოგი წარმოსაქმნელი აფიქსი (-ება, -ობა, სა-ო, მე-ე...).

არაპროდუქტიული აფიქსი, მართალია, ჯერ კიდევ გამოიყოფა სიტყვაში, როგორც მნიშვნელობის მქონე ელემენტი, მაგრამ მას არ გააჩნია ახალი სიტყვის წარმოების უნარი. შესაბამისად, ასეთ აფიქსთა მოქმედების სფერო ძალზე შეზღუდულია, გადმონაშთის სახით თუ დაიძებნება თითოოროლა სიტყვაში. არაპროდუქტიულია **ნ** (ვი-ნ, მა-ნ), **ხ** (ხ-არ, მო-ხ-ვედი), **ივ** (მხრივ)...

აფიქსი შეიძლება იყოს უქმი ანუ მკვდარი.

უქმია აფიქსი, რომელიც ოდესღაც იხმარებოდა გარკვეული დანიშნულებით, მაგრამ ახლა აღარ გამოიყენება და არც გამოიყოფა მაწარმოებელ ელემენტად. იგი მთლიანად შეეზარდა ფუძეს. ასეთებია: **მ** (მაჩაბელი, მეგრელი...), **ხ** (ხუცესი), **ედ** სიტყვებში: ყბედი, უჯრედი (თუმცა დღეს სამწერლობო

ენაში, განსაკუთრებით სამეცნიერო-ტექნიკურ ტერმინოლოგიაში, ედ, როგორც მაწარმოებელი, კვლავ გამოცოცხლდა: ყვავილედი, გრძედი, სამკუთხედი, პწკარედი, განედი...).

აფიქსის მოხმარების სფეროც არ არის ყოველთვის ერთნაირი. მაგ., მრავლობითი რიცხვის ნიშანი **ებ** ძველად შედარებით იშვიათად იხმარებოდა; მაშინ ძირითადი იყო **ნ** და **თ**, დღეს კი პირიქითაა.

შეიძლება მოხდეს აფიქსის ფუნქციის რეინტერპრეტაცია (ფუნქციის შეცვლა): **ვ** დღეს სუბიექტური პირის ნიშანია, მაგრამ მის თავდაპირველ ფუნქციად ვარაუდობენ ადამიანის კლასის გამოხატვას; სახელებში **თ** სუფიქსი მხოლოდ რიცხვს აღნიშნავდა, ახლა ერთდროულად არის ბრუნვისა და რიცხვის ნიშანი. ზოგი მორფემის მნიშვნელობა ამჟამად დაჩრდილულია: ორმოცი, ოთხმოცი, ბედნიერი...

მართალია, ქართული აფიქსებით მდიდარი ენაა, მაგრამ აქაცაა უცხო ენებიდან ნასესხები თითო-ოროლა აფიქსი: **იზმ, ისტ, დან, დარ, ხანა, ანტი**... რომლებიც შემოჰყვა ნასესხებ სიტყვას, ზოგჯერ კი ისინი ქართული სიტყვებისაგან აწარმოებენ ახალ ლექსიკურ ერთეულებს. მაგალითად, ასეთებია: კუჭიზმი, ფულისტი, კუჭისტი, ჩაიდანი, დახლიდარი, ქარხანა, ანტიქართული და ა. შ.

საზოგადოდ, აფიქსების სესხების სიხშირე საფრთხეს უქმნის ენის არსებობას და ამიტომაც იგი ძალზე იშვიათია.

აფიქსების წარმოშობის ძიება ისტორიული დოკუმენტებით ძნელია, მაგრამ დადგენილია, რომ აფიქსები დამოუკიდებელი სიტყვებისაგან მომდინარეობს. იმ დროს ენაში არსებობდა მხოლოდ ძირეული სიტყვა; ერთმანეთს არ უპირისპირდებოდა ფუძე და აფიქსი. მაგალითად, ტრადიციული შეხედულებით, **-მა** (კაც-მა) წარმოქმნილია **მან** სიტყვისაგან, **-ი** (წიგნ-ი) – **იგი** ნაცვალსახელისაგან, **-ა** (გაზრდილ-ა) – **არის** ზმნისაგან...

ამგვარად, ქართულში აფიქსი მნიშვნელოვანი ენობრივი ერთეულია თავისი ფუნქციური ნიუანსებითა და გამოყენების სფეროს მრავალფეროვნებით.

1. 4. ქართული ენის აგლუტინაციური ბუნება

ქართული მდიდარია აფიქსებით. ჩვეულებრივ, თითო აფიქსს თითო ფუნქცია შეესაბამება. მაგ., **ს** ბრუნვის ნიშანია, **ოსან** – ქონების სახელთა მაწარმოებელი. ვ-უ-ხატ-ავ-დ-ი-თ ფორმაში 6 აფიქსია. ყველას განსხვავებული ფუნქცია აქვს: ვ პირველი სუბიექტური პირის ნიშანია, უ – სასხვისო ქცევისა, ავ – თემის ნიშანი, დ – მწკრივის სავრცობი, ი – მწკრივის ნიშანი, თ – რიცხვის ნიშანი... ამ თავისებურებიდან გამომდინარე, ქართული მიჩნეულია ა გ ლ უ ტ ი ნ ა ც ი უ რ ი ტიპის ენად. ტერმინი „აგლუტინაცია" ლათინური წარმოშობისაა (agglutinatio), რაც ნიშნავს „მიწებებას", „შეწებებას". ლინგვისტურად აგლუტინაცია არის აფიქსების მექანიკური შეერთება ძირთან ან ფუძესთან ისე, რომ მათი გამოყოფა ადვილია.

აგლუტინაციურ ენებში თითო აფიქსი მხოლოდ თითო ფუნქციის მქონეა, ანუ ყოველი მორფემა ერთ გარკვეულ გრამატიკულ მნიშვნელობას გამოხატავს, განსხვავებით ფლექსიური ენებისაგან, რომლებშიც ერთ აფიქსს შეიძლება რამდენიმე ფუნქცია ჰქონდეს ერთდროულად. მაგალითად, ვ-წერ-თ ზმნაში ორი აფიქსია: **ვ-** (I სუბიექტური პირის ნიშანი) და **-თ** (მრავლობითი რიცხვისა). რუსულ (ფლექსიურ) ენაში კი იმავე ზმნის **пишем** ფორმაში **ем** ერთდროულად გამოხატავს პირსაც და რიცხვსაც.

მიუხედავად ქართული ენის ასეთი ბუნებისა, დღეს ძალზე იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება გამონაკლისებიც. ამასთან დაკავშირებით არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა: ქართულში სიტყვათა აგებულება აგლუტინაციის პრინციპს ემყარება. სადაც ეს პრინციპი დარღვეულია, ყველგან მეორეულ მოვლენასთან გვაქვს საქმე. აქ ორი რამაა შესაძლებელი: 1) აფიქსი ერთია, ფუნქცია – ერთზე მეტი; 2) აფიქსი ორია, ფუნქცია – ერთი.

პირველი შემთხვევის მაგალითებია: თანიანი მრავლობითი სახელებში (წიგნ-თ-ა: აქ **თ** – ბრუნვასაც აღნიშნავს და მრავლობით რიცხვსაც); მესამე სუბიექტური პირისა და მრავლობითი რიცხვის ნიშნები: **ენ, ნ, ნენ, ეს, ან**; პირველი ობიექტური პირისა და მრავლობითი რიცხვის ნიშანი **გვ**. ამ აფიქ-

სთა თავდაპირველი ფუნქცია უნდა ყოფილიყო მხოლოდ რიცხვის გამოხატვა. დღეს ასეთი შემთხვევა ძალზე იშვიათია.

მეორე შემთხვევის მაგალითები ქართულში უფრო ხშირია: მე-ნავ-ე, მე-თევზ-ე, მე-ზღვა-ურ-ი, სი-ლამაზ-ე, სა-ბავშვ-ო, სა-ქათმ-ე, სა-ფეხ-ურ-ი... აქაც ისტორიულად თითოეულ აფიქსს ცალკე ფუნქცია უნდა ჰქონოდა.

აგლუტინაციური ბუნებისაა იბერიულ-კავკასიური, ალთაური (თურქულ-თათრული) და უნგრულ-ფინური ენები.

1. 5. გრამატიკული კატეგორია და მისი გამოხატვის საშუალებანი

ქართულში ყოველ სიტყვას სემანტიკურ მხარესთან ერთად შეიძლება ჰქონდეს ერთი ან მეტი გრამატიკული მნიშვნელობა, რომელიც გადმოცემულია გარკვეული ფორმობრივი საშუალებებით. სწორედ გამოხატვის ამ ფორმას ჰქვია გრამატიკული კატეგორია. იგი წარმოადგენს ცნებას, „რომლის გამოსახატავად ენას მოეპოვება გარკვეული გრამატიკული საშუალება“ (ა. შანიძე). მაგალითად, სახელს აქვს ბრუნვის კატეგორია, ეს ნიშნავს, რომ ბრუნვა გამოხატულია შესაბამისი ნიშნით... სხვაგვარად: „გრამატიკული კატეგორია უნდა განიმარტოს, როგორც გრამატიკული სისტემის აგების წესი (კანონზომიერება)“ (ბ. ჯორბენაძე).

მაშასადამე, გრამატიკული კატეგორიის ამოსავალი ფორმულა არის გრამატიკული მნიშვნელობა+გრამატიკული ფორმა. გრამატიკული ფორმის არსებით ნიშნად აღიარებულია ოპოზიციურობა. გრამატიკული მნიშვნელობის გადმომცემი ძირითადი საშუალებაა მორფემებით გამოხატული გრამატიკული ფორმა[1].

გრამატიკული კატეგორია შეიძლება იყოს მორფოლოგიური ან სინტაქსური. არნ. ჩიქობავას აზრით,

[1] თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში გრამატიკული კატეგორიის არსებობისათვის ოდენ საპირისპირო ფორმების პოვნიერება საკმარისადაა ჩათვლილი მაშინაც კი, როცა ეს ფორმა სათანადო აფიქსით არაა გამოხატული (იხ. ა. დავითიანი).

„მორფოლოგიური კატეგორია წარმოდგენილი უნდა იქნეს სათანადო აფიქსებით და არა ფუძის მნიშვნელობით". სხვაგვარად: მორფოლოგიური კატეგორია ყალიბდება თანაზომიერ ფორმათა შეპირისპირების ნიადაგზე. ასეთებია სახელებში: ბრუნვა, რიცხვი; ზმნებში: პირი, რიცხვი, ქცევა... თითოეული საპირისპირო ფორმა თავისთავად კატეგორიაა (ა. შანიძე).

სინტაქსური კატეგორია ყალიბდება იმის მიხედვით, თუ რა ფუნქცია აქვს სიტყვას წინადადებაში (ქვემდებარე – სუბიექტი, დამატება – ობიექტი...). ესეც შეპირისპირების ნიადაგზეა შექმნილი. შეიძლება ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით დახასიათდეს. მაგ., ბავშვებმა – მოთხრობითი ბრუნვა (ნიშანი -მა), მრავლობითი რიცხვი (ნიშანი -ებ)...

სპეციალურ ლიტერატურაში განხილულია პირველადი, მეორეული და ფუნქციური გრამატიკული კატეგორიები. პირველ ჯგუფში ერთიანდება მეტყველების ნაწილები, მეორეული კატეგორიებია: პირი, რიცხვი, სქესი, ბრუნება, დრო... ხოლო მესამეს განეკუთვნება ტრადიციული სინტაქსური ცნებები: „სუბიექტი", „ობიექტი", „პრედიკატი"... (ლ. ენუქიძე).

სტრუქტურულად განსხვავებულ ენებს განსხვავებული კატეგორიები აქვს.

1.6. მეტყველების ნაწილები

1.6.1. მეტყველების ნაწილთა ზოგადი დახასიათება. ქართულ ენაში სიტყვათა მარაგი, ლექსიკური მნიშვნელობისა და გრამატიკული ნიშნების მიხედვით, დაყოფილია რამდენიმე ჯგუფად; თითოეულ ჯგუფს უწოდებენ **მეტყველების ნაწილებს**. ცალკეულ მეტყველების ნაწილს ქმნიან სიტყვები, რომლებსაც ერთნაირი აქვთ მორფოლოგიური კატეგორიები, ძირითადი მნიშვნელობა და სინტაქსური ფუნქცია.

ქართული ენათმეცნიერული აზროვნების ისტორიაში მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია სათავეს იღებს ანტონ I-ის გრამატიკიდან, რომელშიც (ძირითადად ევროპული გრამატიკების მიხედვით) დასახელებულია რვა მეტყველე-

ბის ნაწილი: **სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, მიმღეობა, თანდებული, ზმნიზედა, კავშირი, შორისდებული.**

ახალი ქართული ენის ვითარების გათვალისწინებით თანამედროვე გრამატიკებში ტრადიციულად გამოიყოფა ათი მეტყველების ნაწილი. ა. შანიძის მიხედვით, ესენია:

არსებითი სახელი: დედა, ბავშვი, მზე, ოქრო, მშვიდობა, განცხადება, ხატვა...

ზედსართავი სახელი: ლამაზი, დიდი, ქუდიანი, გახარებული...

რიცხვითი სახელი: ერთი, ასი, ათასი, მეორე, მეოცე, მეხუთედი, ბევრი...

ნაცვალსახელი: მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ, მათი, ყველა, რაც, ვინმე...

ზმნა: ვწერ, იმალება, დგას, უყვარს, აფარია...

ზმნიზედა: იქ, გუშინ, ძალიან, მეტად, ამიტომ, ასჯერ...

თანდებული: -ვით, -თან, -ში, -კენ, -მდე, მიერ, გამო...

კავშირი: და, ხოლო, თორემ, თუმცა, რომ, რადგან...

ნაწილაკი: არ, არც, ნუ, თურმე, -ღა, -ოდე...

შორისდებული: ახ, ვიშ, ეჰ, ვაშა, ბარაქალა, ყოჩაღ...

სპეციალისტები ძველ ქართულში ასახელებენ თერთმეტ მეტყველების ნაწილს. მეთერთმეტე იყო **ნაწევარი**, რომელიც დაერთოდა არსებით სახელს (კაცი **ესე**, კაცმან **ამან**, კაცსა **ამას**) და ფუნქციურად ეტოლებოდა ევროპული ენების ართრონს ანუ არტიკლს.

მეტყველების ნაწილები ფორმის მიხედვით არის ფორმაცვალებადი ან ფორმაუცვლელი, შინაარსით კი – სრულმნიშვნელოვანი ან დამხმარე. ახალი ქართულის მეტყველების ნაწილებიდან პირველი ხუთი ფორმაცვალებადია, დანარჩენი ხუთი – ფორმაუცვლელი, პირველი ექვსი სრულმნიშვნელოვანია, დანარჩენი – დამხმარე (არასრულმნიშვნელოვანი).

ხუთი მეტყველების ნაწილი (არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ზმნა, შორისდებული) გამოყოფილია იმის მიხედვით, თუ რას აღნიშნავს; დანარჩენი ხუთი (ნაცვალსახელი, ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი) დახასიათებულია იმის მიხედვით, რა როლს ასრულებს იგი სხვა სიტყვებთან ურთიერთობაში (არნ. ჩიქობავა).

მეტყველების ნაწილებიდან შ ო რ ი ს დ ე ბ უ ლ ი განცალკევებით დგას. იგი გამოხატავს გრძნობას, განცდას, ემოციას ისე, რომ არ ასახელებს მას; მოკლებულია სხვა სიტყვებთან სინტაქსურ კავშირს, მაგრამ სხვა სიტყვებს უპირისპირდება, როგორც წინადადების ეკვივალენტი (ა. შანიძე). შორისდებული შეიძლება არსებითის ფუნქციითაც იქნეს გამოყენებული: „ტკივილისაგან **ვაი** წამოიძახა", „**ვაშას** ძახილით ეგებებოდნენ გამარჯვებულებს"...

მართალია, ენაში არსებული ყოველი სიტყვა მიეკუთვნება ერთ რომელიმე მეტყველების ნაწილს, მაგრამ ზოგჯერ მაინც ხდება სიტყვის გადასვლა ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში. მაგ.: **უნდა** ზმნაა (ბავშვს დასვენება **უნდა**), თუმცა ნაწილაკადაც გვევლინება (ბავშვმა უ ნ დ ა დაისვენოს); **ირგვლივ** ზმნიზედაა (**ირგვლივ** მოჩანდა ტყე), იგი თანდებულის ფუნქციითაც გამოდის (სახლის ი რ გ ვ ლ ი ვ ბაღია). როცა დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა იქცევა დამხმარე მეტყველების ნაწილად, მაშინ ხდება ლექსიკური მნიშვნელობის შესუსტება, ამიტომაა, რომ სპეციალურ ლიტერატურაში (მაგ., ჩინელი გრამატიკოსები) დამხმარე სიტყვებს, ფუნქციური ლექსიკის თვალსაზრისით, უწოდებენ „ცარიელ" („დაცარიელებულ") სიტყვებს, სრულმნიშვნელოვანებს კი – „სავსეს" („მართალს"). ბ. ფოჩხუას დაკვირვებით, დამხმარე სიტყვებს საგნობრივი მიმართების ფუნქცია არა აქვთ – თავისთავად არაფრის სახელებს არ წარმოადგენენ. მათი დანიშნულებაა გამოხატონ ურთიერთობა, რომელიც არსებობს სხვა სიტყვებს ან საგნობრივი მიმართების მქონე სიტყვებით აღნიშნულ მოვლენებს შორის.

შენიშვნა: ტერმინი „მეტყველების ნაწილი" მოგვიანებით დამკვიდრდა ქართულში. მანამდე ანტონ I და სხვა ძველი გრამატიკოსები იყენებდნენ ტერმინს „სიტყვის ნაწილი", რომელიც არის ბერძნული „მერეტულოგუსის" (=წინადადების ნაწილი) ზუსტი თარგმანი. პირველი ქართველი გრამატიკოსები „წინადადების" მნიშვნელობით იყენებდნენ „სიტყვას". სწორედ ამის მიხედვითაა მიღებული ტერმინი „სიტყვის ნაწილი".

1. 6. 2. მეტყველების ნაწილთა შესწავლის ისტორიისათვის

1. 6. 2. 1. მეტყველების ნაწილთა პირველი კლასიფიკაცია, მისი საფუძველი და ნაკლი. მეტყველების ნაწილების შესახებ მსჯელობდნენ ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში. არისტოტელედან დაწყებული, ძველ ბერძენ ფილოსოფოსთა ნაშრომებში გაჩნდა საგანგებო ინტერესი ამ საკითხისადმი. ძვ. წ. II საუკუნეში ალექსანდრიაში დამუშავდა პირველი გრამატიკა. იმხანად მისი შედგენა თეორიული ინტერესის გარდა შეპირობებული იყო პრაქტიკული საჭიროებითაც, რაც გულისხმობდა, პირველ ყოვლისა, წინანდელი ბერძნული წერილობითი ძეგლების ენის შეწავლასა და მათი კომენტარების შედგენას. ბერძნული გრამატიკა ფილოლოგიური აზროვნების ისტორიაში ცნობილია **დიონისე თრაკიელის** „ტექნე გრამატიკეს" სახელწოდებით. რამდენადაც პირველ გრამატიკოსებს საქმე ჰქონდათ უძველესი წერილობითი ძეგლების ენასა და დამწერლობასთან, ამდენად, მათ მიერ მოცემული სახელწოდება „გრამატიკე ტექნე" (=„საწერაკითხვო ხელოვნება"||„გრამატიკის ხელოვნება") თავისი საგნით გამართლებული იყო.

დიონისე თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნებაში" დასახელებული იყო რვა მეტყველების ნაწილი (მაშინდელი ტერმინოლოგიით, „სიტყვის ნაწილი"): სახელი, ზმნა, მიმღეობა, ნაწევარი (ართრონი), ნაცვალსახელი, წინდებული, ზმნიზედა, კავშირი. ეს იყო მეტყველების ნაწილთა პირველი დამთავრებული სქემა. ამ კლასიფიკაციით მხედველობაში იყო მიღებული როგორც სიტყვის მნიშვნელობა, ისე ფორმა.

ბერძნებისაგან მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია ცოტა მოგვიანებით გადაიღეს რომაელებმა და გარკვეული შესწორებებით მიუსადაგეს ლათინურს: კერძოდ, რადგან ლათინურში სახელს ნაწევარი არ დაერთოდა, ამიტომ იგი ამოიღეს და მერვე წევრად დაუმატეს შ ო რ ი ს დ ე ბ უ ლ ი. ლათინურის გზით მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია გავრცელდა მთელს ევროპაში და, შესაბამისად, ევროპული

ენები მიუსადაგეს ლათინურის გრამატიკის სქემას. ამიერიდან მეტყველების ნაწილების შესახებ მოძღვრების გამოყენება შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ ინდოევროპული, არამედ არაინდოევროპული ენებისთვისაც.

შენიშვნა: დიონისე თრაკიელის სქემაში ცალკე მეტყველების ნაწილად შეტანილი **სახელი** მოიცავდა არსებითს, ზედსართავსა და რიცხვით სახელებს. მოგვიანებით მოხდა მისი დიფერენციაცია: ზედსართავი სახელი დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად გამოიყო მხოლოდ შუა საუკუნეებში, რიცხვითი სახელი კი – XVII საუკუნეში (არნ. ჩიქობავა).

მეტყველების ნაწილების ტრადიციულმა სქემამ ახალი სახე მიიღო XIX საუკუნეში. მასში ათი მეტყველების ნაწილი შედიოდა: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა, ზმნიზედა, წინდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული (ზოგ ევროპულ ენაში დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილია ა რ ტ ი კ ლ ი ც). ტრადიციული სქემა ანგარიშს უწევს მხოლოდ მნიშვნელობას, ფორმა მხედველობაში არ მიიღება, ამიტომ კლასიფიკაცია ერთგვარად უნივერსალური გახდა. მიუხედავად ამისა, სპეციალისტთა აზრით, კლასიფიკაციას ორი ძირითადი ნაკლი ახასიათებს: 1) ის უვარგისია, როგორც კლასიფიკაცია; 2) უნდა იყოს მორფოლოგიური, არის უპირატესად სემანტიკური.

1. საერთოდ ყოველი კლასიფიკაციის მიზანია, დააჯგუფოს მსგავსი მონაცემები და გააადვილოს სიმრავლეში გარკვევა; ჯგუფებად დაყოფა უნდა ემყარებოდეს მხოლოდ ერთ ნიშანს: ან მხოლოდ ფორმას, ან მხოლოდ შინაარსს. საკლასიფიკაციო ნიშანი არ უნდა შეიცვალოს. ამ კლასიფიკაციაში კი სწორედ ეს შეცდომაა დაშვებული – ერთდრულად გამოყენებულია მორფოლოგიური და სემანტიკური პრინციპები.

2. „მეტყველების ნაწილი" არის მორფოლოგიის ცნება და მისი დადგენის საფუძველი მორფოლოგიური უნდა იყოს. ე.ი. მეტყველების ყველა ნაწილი ერთი ნიშნის – მორფოლოგიური ნიშნის მიხედვით უნდა დაჯგუფდეს. ამ კლასიფიკაციაში კი პირველი ხუთი გამოყოფილია იმის მიხედვით, თუ რას აღნიშნავს, ხოლო დანარჩენი ხუთი დახასიათებულია

იმის მიხედვით, თუ რა როლს ასრულებენ ისინი წინადადებაში. თუმცა აქაც არაა ერთი პრინციპი დაცული. მაგალითად, ზმნიზედა გამოყოფილია მხოლოდ მნიშვნელობის მიხედვით, კავშირი და თანდებული – იმის მიხედვით, თუ რა როლი აქვთ მეტყველებაში, შორისდებული კი მთლიანად მოკლებულია მორფოლოგიურ-სინტაქსურ საფუძველს.

მაშასადამე, გვაქვს კლასიფიკაციის ორი კრიტერიუმი: 1) რას აღნიშნავს, 2) რა როლს ასრულებს.

ამ ნაკლის მიუხედავად, ტრადიციული კლასიფიკაცია მაინც ძალაშია, რამდენადაც თითოეულ მეტყველების ნაწილს აერთიანებს: ა) ზოგადი მნიშვნელობა, ბ) მორფოლოგიური თავისებურება (ე. ი. გრამატიკული კატეგორიები), გ) სინტაქსური გამოყენების ხასიათი, დ) საერთო სიტყვაწარმოებითი ფორმები (ლ. კვაჭაძე). მეტყველების ნაწილების დაჯგუფება ენის მორფოლოგიური სისტემის შესწავლას აადვილებს.

შენიშვნა: სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ მეტყველების ნაწილები არ წარმოადგენს ლოგიკურ კატეგორიებს, რადგანაც არ არსებობს პირდაპირი შესატყვისობა ლოგიკურ კატეგორიებსა და მეტყველების ნაწილებს შორის. ქართულში, მაგ., საგნის თვისება ზედსართავი სახელით გამოიხატება, ისევე როგორც მრავალ სხვა ენაში, მაგრამ არ არსებობს არავითარი ლოგიკური აუცილებლობა იმისა, რომ თვისება ყოველთვის ზედსართავი სახელით აღინიშნებოდეს. ჩინურში საგნის თვისება ზმნით გამოიხატება და არა ზედსართავი სახელით. ამ მსჯელობის მიხედვით, ქართული „წითელი ვაშლი“ ჩინური კონსტრუქციით დაახლოებით იქნება: „ვაშლი წითლობს“, ამიტომ ჩინურში მეტყველების ნაწილების სქემა არსებითად განსხვავდება ინდოევროპული ენების მასალაზე შემუშავებული სქემისაგან. თუ ბერძნული კლასიფიკაციით ზედსართავი შედის სახელის კლასში, ჩინურში ზედსართავი და ზმნა ექცევა ზმნის (პრედიკატივის) კლასში. აქ სახელის კლასი აერთიანებს არსებითსა და რიცხვით სახელებს. ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო შორს მიდის იანა ენა (ამერიკელ ინდიელთა ენა კალიფორნიის შტატში, აშშ), რომელშიც რიცხვითი სახელიც კი ზმნით გამოიხატება. „ათი ვაშლი“ იანა ენის მიხედვით დაახლოებით იქნება „ვაშლი ათობს“. აქ ცალკე არ გამოიყოფა ზმნიზედის კლასიც, ზმნიზედა ან სახელით გადმოიცემა, ან ზმნური აფიქსებით. იანა ენაში ერ-

თმანეთს უპირისპირდება მხოლოდ სახელი და ზმნა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ისევე კარგად ახერხებს განხილული ლოგიკური კატეგორიების გამოხატვას, როგორც ქართული, რუსული, ინგლისური და ა. შ. (გ. მაჭავარიანი, გ. ნებიერიძე, 1972).

1.6.2.2. მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში. მეტყველების ნაწილთა რაოდენობის შესახებ ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში არსებობს მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოსაზრებანი. მაგალითად, ანტონ I-ის გრამატიკაში 8 მეტყველების ნაწილია დასახელებული. აქ მეტყველების ნაწილებად ცალკე არ არის გამოყოფილი ზედსართავი და რიცხვითი სახელები. ამგვარი კლასიფიკაცია მეორდება მომდევნო ხანის გრამატიკოსების (გაიოზ რექტორის, სოლომონ დოდაშვილის, იოანე ბატონიშვილის, პლატონ იოსელიანის) თხზულებებშიც.

მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ (ანტონისეულ) სქემაში სიახლე პირველად შეიტანა დავით ჩუბინაშვილმა. მან მეტყველების ნაწილების რიგიდან ამოიღო მიმღეობა და სახელის ნაცვლად ცალ-ცალკე განიხილა არსებითი და ზედსართავი სახელები (1840); ცოტა მოგვიანებით პოლიევქტოს კვიცარიძემ დაუმატა რიცხვითი სახელი (1888), დავით კარიჭაშვილმა კი – ნაწილაკი (1924). ასე რომ, მეტყველების ნაწილთა სქემამ საბოლოო დასრულებული სახე მიიღო XX საუკუნის პირველ მეოთხედში (იხ. ლ. ქაროსანიძე).

მეტყველების ნაწილთა შესახებ არაერთგვაროვანი მოსაზრებებია გამოთქმული თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაშიც: ათი მეტყველების ნაწილის ნაცვლად ზოგი მკვლევარი გამოყოფს ცხრას – ნაწილაკის გარეშე (არნ. ჩიქობავა), ზოგი – ექვსს: არსებითს, ზედსართავს, რიცხვითსა და ნაცვალსახელს, ზმნასა და ზმნიზედას; „შორისდებული, კავშირი, ნაწილაკი და თანდებული არ წარმოადგენს მეტყველების ნაწილს, რადგან ისინი არიან არა პირობითი ნიშნები, არამედ ამ პირობითი ნიშნების (სახელების, ზმნების) გრამატიკული აქსესუარები და დამოუკიდებლად არ არსებობენ“ (გ. მაჭავარიანი, გ. ნებიერიძე).

ბ. ჯორბენაძის კლასიფიკაციით, რომელიც ძირითადად

ემყარება მორფოლოგიურ პრინციპს – ფორმაცვალებადობას, გამოიყოფა ორი მეტყველების ნაწილი: **სახელი** და **ზმნა**. (სხვაგვარად: ყველა ბრუნებადი სიტყვა სახელია, ყველა უღლებადი სიტყვა ზმნაა). სახელი ფორმობრივად დიფერენცირდება ორ ჯგუფად:

ა) **არსებითი სახელი** (ანუ სუბსტანტივი)

ბ) **მსაზღვრელი სახელი** (ანუ ატრიბუტივი)

თავის მხრივ, მსაზღვრელ სახელებში გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

სახელების ატრიბუტივი (ზედსართავი, რიცხვითი სახელი, ნაწილობრივ ნაცვალსახელი),

ზმნის ატრიბუტივი (ზმნიზედა).

მასდარი (საწყისი) ნაზმნარი არსებითი სახელია, მიმღეობა – ნაზმნარი ატრიბუტივი.

მეცნიერის დაკვრივებით, სახელისა და ზმნის გარდა, ტრადიციულად ქართულში გამოყოფილი სხვა დანარჩენი მეტყველების ნაწილები ვერ ჩაითვლება დამოუკიდებელ ერთეულებად, რადგან:

„ნაცვალსახელი, რომელიც ცვლის **სუბსტანტივს**, როგორც მეტყველების ნაწილი – სუბსტანტივია (მისი განზოგადოებული სახეობაა), ნაცვალსახელი, რომელიც ცვლის **ატრიბუტივს**, როგორც მეტყველების ნაწილი – რჩება ატრიბუტივად";

თანდებულისა და **ნაწილაკის** მეტყველების ნაწილად გამოყოფა ვერ ეგუება სიტყვის ენათმეცნიერულ განსაზღვრას; თანდებული და ნაწილაკი (და ძველი ქართულისათვის – ნაწევარი) არსებითად არის მორფემა (ნაწევარი კი – მორფემოიდი);

შორისდებული ლექსიკოლოგიური ცნებაა და ამიტომაც ლექსიკოლოგიაში უნდა იქნეს განხილული, ხოლო მორფოლოგიურად იგი ან სახელის ფუძედ იქცევა (ვაის გავეყარე, უის შევეყარე...), ან ზმნისა (ვიშობს, ვაგლახებს...);

კავშირი სინტაქსური ცნებაა და სინტაქსში უნდა იქნეს განხილული;

ზმნიზედა ზმნის მსაზღვრელია... სინამდვილეში ზმნიზედა ფორმაცვალებადი სიტყვაა.

ბ. ჯორბენაძის კლასიფიკაცია თეორიულად გამართლებულად მიგვაჩნია, რადგან მოხსნის მეტყველების ნაწილებთან დაკავშირებულ ბევრ პრობლემას, მაგრამ ამჯერად სახელმძღვანელოს ტიპის ნაშრომში ძირითადად მაინც ტრადიციულ დაჯგუფებას გავუწიეთ ანგარიში.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (II რედაქცია – 1767), თბ., 1997.

ბაბუნაშვილი ე., ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

ბურჭულაძე გ., სახელის ოდენპრეფიქსული წარმოება ქართულში: ქელს, თბ., 1971, №2.

გამყრელიძე თ., რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000.

გოგოლაშვილი გ., სახელთა პრეფიქსული წარმოება ქართულში: ქელს, 1975, №3.

გოგოლაშვილი გ., მორფოლოგია – ზოგადი საკითხები: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა (გ. გოგოლაშვილის საერთო რედაქციით), თბ., 2011.

დავითიანი ა., სახელზმნათა ადგილისათვის მეტყველების ნაწილთა სისტემაში: ქელს, თბ., 1975, №2.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

ენუქიძე ლ., გრამატიკული კატეგორია: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

თოფურია ვ., მეტყველების ნაწილებისათვის ქართულში: შრ., II, თბ., 2002.

კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

მაჭავარიანი გ., ნებიერიძე გ., მეტყველების ნაწილები: ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.

ონიანი ა., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

სტურუა ნ., სიტყვა როგორც ენობრივი ერთეული, თბ., 1975.

ფეიქრიშვილი ჟ., ქართველოლოგიის შესავალი, II შევსებ. გამოც., თბ., 2015.

ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.

ფოცხიშვილი ა., ნარკვევები მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის ისტორიიდან, თბ., 1960.

ფოცხიშვილი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1995.

ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ქაროსანიძე ლ., დიონისიოს თრაკიელის „გრამატიკის ხელოვნება" და ძველი ქართული გრამატიკული აზროვნება, თბ., 1998.

ქაროსანიძე ლ., მეტყველების ნაწილები: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ღლონტი ალ., ქართული ენის ლექსიკოლოგიის საფუძვლები, თბ., 1973.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; II გამოც., 2008.

ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942; ასევე: შრ., VII, თბ., 2013.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ჯავახიშვილი ივ., ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, თბ., 1937; II გამოც., თხზ., ტ. X, 1992.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

თავი II. არსებითი სახელი

2.1. არსებითი სახელის რაობა
(ზოგადი მიმოხილვა)

არსებითი სახელი ჰქვია მეტყველების ნაწილს, რომელიც აღნიშნავს საგანს. მისი ძირითადი ნიშანი არის საგნობრიობის გამოხატვა.[1] ტერმინი „არსებითი სახელი“ წარმომდგარია იქიდან, რომ დიდი ნაწილი არსებითისა ისეთ რაიმეს აღნიშნავს, რაც რეალურად არსებობს (ა. შანიძე); თუმცა ეს ტერმინი პირობითია, როცა იგი ჰქვია რეალურად არარსებულსაც (დევი, მფრინავი ხალიჩა, ჯადოქარი...).

არსებითი სახელის კითხვებია: ვინ? რა?

სინტაქსური ფუნქციით არსებითი სახელი შეიძლება იყოს: ქვემდებარე (**მზე** ანათებს), დამატება (დედა უმზადებს **შვილს სადილს**), განსაზღვრება (**მთაწმინდის** მთვარე), შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (ეს კაცი **პროფესორი** ბრძანდება), გარემოება (რაზმი **ტყეში** დაბანაკდა).

არსებითი სახელი ქართულში უფრო მარტივია, ვიდრე ევროპულ ენებში, რადგან მას აქვს მხოლოდ ორი გრამატიკული კატეგორია – ბრუნვა და რიცხვი; არ გააჩნია სქესის კატეგორია, რომელიც ევროპული ენების სახელებისათვის ძირითადი ნიშანია.

შენიშვნა: საზოგადოდ, სქესი არის საგანთა სახელების ერთგვარი ფორმალური კლასიფიკაცია, რაც სხვადასხვა ენაში შეიძლება მოხდეს განსხვავებულად. მაგალითად, ისტორიულად ინდოევროპულ ენებში მისი საფუძველია ცოცხალისა და არაცოცხალის დაპირისპირება, იბერიულ-კავკასიურ ენებში კი – ადამიანისა და ნივთის კლასების გარჩევა (არნ. ჩიქობავა).

---

[1] სხვაგვარად არსებით სახელს ასეც განმარტავენ: არსებითი სახელი აღნიშნავს საგანს ან მოვლენას. საგანი გულისხმობს ყველა მატერიალურ, ნივთიერ არსს, რომლის აღქმაც შესაძლებელია გრძნობათა ორგანოებით... მოვლენა კი არის სული, სევდა, ბედნიერება, სიყვარული... და, მეორე მხრივ, ფიზიკური და ფსიქიკური უხილავი პროცესები (ვითარება): ყინვა, ფიქრი, ლაპარაკი, ფრენა, წვიმა... (ა. არაბული).

სქესის გრამატიკული კატეგორია, რომელიც არსებობს მრავალ ენაში, ყოველთვის არ ასახავს რეალურ სქესს, ამიტომაა, რომ ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ენაში სხვადასხვა სქესს მიეკუთვნება. მაგ., ქართული „წიგნი"-ს შესატყვისი რუსული **книга** მდედრობითი სქესისაა, გერმანული **das Buch** – საშუალოსი. გრამატიკული სქესი ენებში განსხვავებულად არის გამოხატული. ბერძნულში, გერმანულში, რუსულში... იგი სამი სახისაა (მამრობითი, მდედრობითი და საშუალო), ფრანგულში, არაბულში... – ორი სახისა (მამრობითი, მდედრობითი); ზოგ ენაში (მაგ., ინგლისურში) სქესის ოპოზიცია მოშლილია სახელებში და შენარჩუნებულია მხოლოდ ნაცვალსახელთა სისტემაში.

ქართულს სქესის გრამატიკული კატეგორია არ ახასიათებს, თუმცა ევროპული ენების გავლენით (და განსაკუთრებით, ბერძნული წყაროების ქართულად თარგმნისას შინაარსის მეტი სიზუსტით გადმოსაცემად) X-XII საუკუნეებში მოღვაწე ქართველ ფილოსოფოს-ფილოლოგთა თხზულებებში, ასევე, სულხან-საბა ორბელიანის, ანტონ I-ისა და მათს თანამედროვეთა ნაშრომებში შეიმჩნეოდა ცდა, გრამატიკულად გამოხატულიყო მდედრობითი სქესი. ეს ტენდენცია უფრო გაძლიერდა XVIII-XIX საუკუნეებში რუსული ენის ზეგავლენით. მდედრობითი სქესის აღსანიშნავად გამოიყენებოდა **-ა, -ნა** (**-ინა**) სუფიქსები. შესაბამისად, გვხვდებოდა ფორმები: მეფ-ა, ღმერთ-ა, მთავრ-ინა, თავად-ინა... მაგრამ, „სამწერლობო ქართულმა არ მიიღო ის, რაც ცოცხალი სალაპარაკო ქართულის ბუნებრივი სტრუქტურისათვის უცხო და შეუთავსებელი იყო" (კ. დანელია).

არსებითი სახელი ხასიათდება შინაარსისა და ფორმის მიხედვით.

2.2. არსებით სახელთა შინაარსობრივი ჯგუფები

შ ი ნ ა ა რ ს ი ს მიხედვით ქართულში არსებითი სახელი შეიძლება იყოს: ვინ და რა ჯგუფის (ადამიანთა და არაადამიანთა აღმნიშვნელი), სულიერთა და უსულოთა, საკუთარი და საზოგადო, კონკრეტული და აბსტრაქტული, კრებითი, ნივთიერებათა და მოქმედების სახელები.

ვინ ჯგუფისაა ყველა ადამიანის სახელი. მათი კითხვაა **ვინ**? ქალი, კაცი, ბავშვი, დედა, მამა... ამ ჯგუფში ერთიანდება აგრეთვე ღვთაებათა, მითოლოგიურ არსებათა, ზღაპრულ პერსონაჟთა (ღმერთი, ანგელოზი, პრომეთე, დევი...) და, საზოგადოდ, გაპიროვნებულ საგანთა სახელები.

რა ჯგუფისაა ადამიანის გარდა ყველა არსებითი სახელი – სულიერიცა და უსულოც: არწივი, ძაღლი, ბულბული, თევზი; წიგნი, ქვა, ხე, მაგიდა...

არნ. ჩიქობავას აზრით, ქართულში ვინ და რა ჯგუფის სახელთა დაყოფა შეპირობებული უნდა ყოფილიყო გრამატიკული კლას-კატეგორიების არსებობით. ეს ჯგუფი ევროპულ ენებში ცალკე სახედ არ გამოიყოფა, რადგან ამ ენებში **ვინ** და **რა** არის სულიერ და უსულო სახელთა კითხვები (ვინ დაესმის ყველა სულიერს, რა – ყველა უსულოს).

სულიერია სახელი, რომელსაც საკუთარი ძალით მოძრაობა (გადაადგილება) შეუძლია: ადამიანი, ცხოველი, მწერი, ფრინველი, ქვეწარმავალი...

უსულო სახელი საკუთარი ძალით ვერ გადაადგილდება: სახლი, ტყე, რვეული, ფანქარი...

ზოგიერთი სახელი ერთ შემთხვევაში შეიძლება სულიერი იყოს, სხვა შემთხვევაში – უსულო: **ნიანგი** სულიერია, თუ ცხოველს აღნიშნავს, მაგრამ უსულოა, თუ ჟურნალის სახელწოდებაა. ხდება პირიქითაც: უსულო საგნის აღმნიშვნელი ზოგიერთი სახელი გარკვეულ შემთხვევებში გათანაბრებულია სულიერთან. მაგ., „მეზობელს ავტომანქანა ჰყავს / მიჰყავს“ (შდრ. ცხენი ჰყავს / მიჰყავს). გამოთქმა **ავტომანქანა ჰყავს** ამჟამად სალიტერატურო ქართულში დამკვიდრებულია და მართებულ ფორმად არის მიჩნეული (გ. შალამბერიძე). სხვაგვარად: ქართულმა ენამ (პირველ რიგში, ცოცხალმა მეტყველებამ) მოძრავი, „მოსიარულე“ საგანი „ავტომანქანა“ (მაგრამ არა ყოველგვარი მანქანა), აგრეთვე ველოსიპედი, თვითმფრინავი... გაუთანაბრა სულიერ საგანს, გრამატიკულადაც გამოხატა შესაბამისი ზმნური ფორმით და აქცია ნორმირებულ წარმოებად.

საკუთარია სახელი, რომელიც ჰქვია ერთ რომელიმე

საგანს. ასეთებია: ადამიანის (პირის) სახელები, გვარები, ცხოველებზე შერქმეული სახელები, გეოგრაფიული, პლანეტების, წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, დაწესებულებების სახელები: დავითი, ჭავჭავაძე, მენაბდე... წიქარა, ყურშა... მცხეთა, მტკვარი... მარსი, ჟურნალი „განთიადი“...

საზოგადოა სახელი, რომელიც ჰქვია მრავალ ერთნაირ საგანს: ქალაქი, სახლი, დედა, შვილი, ტბა, წიგნი...

შეიძლება საზოგადო სახელი იქცეს საკუთარ სახელადაც და პირიქით. მაგ., ია, ნუკრი, გუგული საზოგადოა პირდაპირი მნიშვნელობით – მცენარის, ცხოველისა და ფრინველის სახელებია, მაგრამ საკუთარია, როცა ადამიანს ჰქვია. მეორე მხრივ, მეცენატი, ბოიკოტი, ნაგანი, ხულიგანი, სტახანოვი... (წარმოშობით გვარები – საკუთარი სახელები) დღეს საზოგადო სახელებად არის მიჩნეული.

კონკრეტულია სახელი, თუ ის აღნიშნავს ისეთ საგანს, რომელსაც ნივთიერი სახე აქვს; სხვაგვარად: კონკრეტული სახელი აღნიშნავს კონკრეტულ საგნებს, ფაქტებსა და მოვლენებს, რომელთაც აღვიქვამთ გრძნობათა ორგანოებით: სკამი, ხე, დროშა, ფანქარი... ამავე ჯგუფში აერთიანებენ არამატერიალურ საგანთა სახელებსაც. ასეთებია: დარდი, ფიქრი, დრო, მიზანი, საუკუნე და ა. შ.

აბსტრაქტულია სახელი, რომელსაც ნივთიერი სახე არ გააჩნია. მას წარმოვიდგენთ განყენებულად – აბსტრაქციაში. ამ ჯგუფის სახელები ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით მრავალფეროვანია; შეიძლება აღნიშნავდეს: თვისებას (ვაჟკაცობა, სილამაზე, სითეთრე), მოქმედებას (გმირობა, მხეცობა), მდგომარეობას (სიმშვიდე) და ა. შ.

სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ჯგუფის სახელები მიჩნეულია მოტივირებულ, ნაწარმოებ სიტყვებად, რომლებიც განყენებულ საგან-ცნებებს გამოხატავენ მხოლობითის ფორმით.

აბსტრაქტული სახელები ძირითადად წარმოქმნილია **-ება, -ობა, სი – ე, სი – ო** აფიქსებით.

კრებითი სახელი აღნიშნავს ერთგვარ საგანთა კრებულს, რომელიც ერთი მთლიანობაა, წარმოდგენილი მხოლობითის ფორმით: ხალხი, ერი, გუნდი, ფარა, რემა, ჯოგი...

კრებითი სახელი ორგვარია: პირველადი (ერი, ჯოგი...) ან ნაწარმოები: მეზობლობა, გლეხობა, ნაძვნარი, შალეული, ვერცხლეული... ამ ჯგუფის სახელთაგან ერთი და იგივე სიტყვა კონტექსტის მიხედვით შეიძლება იყოს:

1) კრებითი ან არაკრებითი (ერთი კონკრეტული საგნის აღმნიშვნელი): ცხვარი მთას შეეფინა, შდრ. ცხვარი დაკლეს;

2) კრებითი ან აბსტრაქტული: ახალგაზრდობა შეიკრიბა დარბაზში, შდრ. ახალგაზრდობა კარგად უნდა გამოიყენო.

ნივთიერებათა სახელი აღნიშნავს ერთგვარ ნივთიერებას, რომელთა დათვლა და ცალკეულ ერთეულებად წარმოდგენა არ ხერხდება. ასეთებია: მინერალების, ქიმიური ელემენტების, სასოფლო-სამეურნეო კულტურების, პროდუქტების, ქსოვილებისა და სხვათა სახელები: ვერცხლი, რკინა, ღვინო, წყალი, ჰაერი, რძე, ფქვილი...

მოქმედების სახელი აღნიშნავს მოქმედებას ან მდგომარეობას, თუმცა პირის გაგება არ გააჩნია. ასეთებია: წერა, ხატვა, წოლა, დგომა, შენება...

მაშასადამე, არსებით სახელთა შინაარსობრივი ჯგუფებიდან ზოგი წყვილეულია, ზოგიც – ცალეული. წყვილეული ჯგუფები (ვინ – რა, სულიერი – უსულო...) რეგულარულია, ცალეული – ფაკულტატური. ცალეულს მიეკუთვნება ის სახელები, რომელთაც საპირისპირო ფორმა არა აქვს.

2.2.1. არსებით სახელთა შინაარსობრივი დაჯგუფების ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ლინგვისტიკაში. არსებით სახელთა ზემოთ წარმოდგენილი (და მოკლედ განხილული) შინაარსობრივი ჯგუფები ტრადიციულია. ქართულ გრამატიკებში მათი გამოყოფის პრინციპი ძირითადად ემყარება სიტყვის სემანტიკასა და სინტაქსურ ფუნქციას, რაც, თავის მხრივ, გარკვეულად აძნელებს მორფოლოგიაში სახელთა ზუსტ დიფერენცირებას და აჩენს არაერთ წინააღმდეგობას საკითხის თეორიული თუ პრაქტიკული სწავლების ასპექტით (ამგვარ სირთულეებზე აქამდეც მივუთითებდით: იხ. ქართული ენის მორფოლოგია, 1992). ამჯერად წარმოვადგენთ რამდენიმე საკითხს:

1. ენაში არსებობს ბევრი ისეთი სიტყვა, რომელთა

ზუსტი დიფერენცირება კონკრეტულობა-აბსტრაქტულობის თვალსაზრისით ძნელდება: ომი-მშვიდობა, დარდი – მწუხარება, ნათელი-სინათლე... ანალოგიურ სადავო ერთეულებად შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერებათა დარგები (მათემატიკა, სტილისტიკა...), მოძღვრება და ა. შ. ასეთ შემთხვევებთან დაკავშირებით ადრეც ვწერდით: „იქნებ უმჯობესი იყოს აბსტრაქტულ სახელებად ჩაითვალოს მხოლოდ სპეციალური სადერივაციო აფიქსებით ნაწარმოები სიტყვები (მშვენიერება, ვაჟკაც-ობა, სი-თეთრ-ე, სი-თბ-ო და მისთ. ტიპისა)".

2. სპეციალურ ლიტერატურაში არსებით სახელთა შინაარსობრივ ჯგუფებთან დაკავშირებით გამოითქვა ტრადიციულისაგან განსხვავებული ასეთი მოსაზრებაც: უ. ყორღანაშვილი, მეთოდიკური თვალსაზრისით და აგრეთვე კლასიფიკაციის პრინციპის ერთგვაროვნობიდან გამომდინარე, გამართლებულად მიიჩნევს, კრებითსა და ნივთიერებათა სახელებსაც მოეძებნოს საპირისპირო შინაარსეული წყვილი: კრებითი – ცალობითი, ნივთიერებათა – თვლადი.

3. არსებით სახელთა შინაარსობრივ ჯგუფებზე მსჯელობა სამეცნიერო ლიტერატურაში კვლავაც აქტიურია. აღნიშნული პრობლემა სრულიად ახლებურადაა გაანალიზებული ბ. ჯორბენაძის „ქართული ენის მორფოლოგიაში" (თბ., 1995). ავტორი ტრადიციული ათი ჯგუფის ნაცვლად ფორმაწარმოებისა და სინტაქსური ურთიერთობის საფუძველზე გამოყოფს არსებით სახელთა სამ შინაარსობრივ ჯგუფს. ესენია:

1. ვინ და რა ჯგუფის არსებითი სახელები
2. სულიერი და უსულო არსებითი სახელები
3. საზოგადო და საკუთარი არსებითი სახელები

ბ. ჯორბენაძის მიერ პროგრამა-პროსპექტის სახით ჩამოყალიბებული ეს კლასიფიკაცია (რომელიც უფრო დასრულებული და არგუმენტირებული იქნებოდა შემდგომში) უდავოდ გააადვილებს საკითხის თეორიული მხარის შესწავლას და, შესაბამისად, პრაქტიკულადაც ნაწილობრივ მაინც მოხსნის ამ ასპექტით თავჩენილ სირთულეებსაც. ამ ახალი თვალსაზრისის ერთგვარი გაგრძელებაა ნინო ჯორბე-

ნაძის მოსაზრება, რომლის მიხედვით, ზემოდასახელებული სამი ჯგუფის გარდა, ცალკე – მეოთხე სახედ შეიძლება გამოიყოს აბსტრაქტული სახელები. მასში გაერთიანდება: არანივთიერი სახის მქონე (ტრადიციულად აბსტრაქტულს რომ უწოდებენ), ნივთიერებათა, კრებითი, მოვლენის აღმნიშვნელი სახელები.

მკვლევრის დაკვირვებით, ამგვარ სახელთა ძირითადი თავისებურება და საერთო ნიშანი ისაა, რომ მათ მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოებათ, რაც, თავის მხრივ, მათი ერთ ჯგუფში – ზოგადად აბსტრაქტულ სახელებში – გაერთიანების საფუძველი უნდა იყოს; მეორე მხრივ, რამდენადაც სახელებისათვის ბრუნვასთან ერთად რიცხვიც სრულუფლებიანი მორფოლოგიური კატეგორიაა, ამდენად, არსებით სახელთა შინაარსობრივი დაჯგუფებისათვის რიცხვსაც უნდა გაეწიოს ანგარიში[1].

კონკრეტულ და აბსტრაქტულ სახელთა კვალიფიკაციაზე მსჯელობს აგრეთვე თ. მახარობლიძე. იგი დასაშვებად მიიჩნევს, ამ წყვილეულ ქვეჯგუფში ცალკე გამოიყოს: 1) კონკრეტული სახელები, 2) აბსტრაქტული სახელები და 3) შუალედური ანუ კონტექსტური ფორმები.

ავტორის აზრით, მესამე ჯგუფში შევა ის არსებითი სახელები, რომლებიც მხოლოდ კონტექსტში პასუხობენ კითხვას – კონკრეტულია თუ აბსტრაქტული? ასეთი შუალედური ფორმებია: ა) **ობა** სუფიქსით ნაწარმოები (ახალგაზრდობა, სტუდენტობა, ბავშვობა...), ბ) გემო, სუნი, ფერი, ტკივილი, ბგერა (ხმა), ადგილი (რაც მხოლოდ კონკრეტულ კონტექსტში ხდება კონკრეტული). მაგალითად, ზოგადად „სუნი“ აბსტრაქტულია, მაგრამ „იასამნის სუნი“ კონკრეტულია.

---

[1] ეს მოსაზრება უთუოდ ანგარიშგასაწევია, ოღონდ, ვფიქრობთ, დასაზუსტებელია ამ (მეოთხე) ჯგუფის სავარაუდო ზოგადი სახელი „აბსტრაქტული“, რადგან მასში, ტრადიციული აბსტრაქტული სახელების გარდა, უნდა გაერთიანდეს ნივთიერებათა, კრებითი და ზოგი სხვა სახელიც. ამიტომ ამ ჯგუფის სახელად იქნებ უფრო მართებული იყოს ტერმინი „მრავლობითი რიცხვის არმქონე სახელები“ ან „აბსტრაქტული და მრავლობითი რიცხვის არმქონე სხვა სახელები“.

2.3. არსებით სახელთა ბრუნება

2.3.1. ბრუნვათა მორფოლოგიური ასპექტი. ბრუნვები და მათი ნიშნები. არსებითი სახელი ფორმაცვალებადი სიტყვაა. წინადადებაში იგი შეიძლება შეგვხვდეს სხვადასხვა ფორმით, მაგრამ ისე, რომ მნიშვნელობა ყველას ერთი ჰქონდეს: წიგნ-ი, წიგნ-მა, წიგნ-ს, წიგნ-ის, წიგნ-ით, წიგნ-ად, წიგნ-ო. თითოეული ეს ფორმა არის ბრუნვა.

ბრუნვა ეწოდება გრამატიკულ ფორმას, რომლითაც სახელი ამყარებს მიმართებას სხვა სახელთან ან ზმნასთან. მაგ.: დედის გული, დღემ დაიხურა პირბადე... პირველ შესიტყვებაში აუცილებელია ფორმა – „დედის“ მომდევნო სახელთან დასაკავშირებლად, მეორე შემთხვევაში კი – „დღემ“ ზმნასთან მიმართების დასამყარებლად, ე. ი. ბრუნვის ფორმით გამოიხატა მიმართება სახელსა და ზმნასთან.

იმ ფორმანტს, რომელიც დაერთვის სახელს და მას აძლევს ბრუნვის ფორმას, **ბრუნვის ნიშანი** ჰქვია.

შენიშვნა: ენებში, რომლებსაც საერთოდ არა აქვს სათანადო აფიქსებით გაფორმებული ბრუნვები, წინადადებაში აფიქსის ფუნქციას ასრულებს სიტყვათა რიგი: პირველ ადგილზე სუბიექტი (ქვემდებარე) დგება, მეორეზე – ობიექტი (დამატება).

როგორც წესი, ყოველ ენაში თითოეული ბრუნვა განიხილება მორფოლოგიური, სინტაქსური ან სემანტიკური ასპექტებით. მორფოლოგიური ასპექტი გულისხმობს ბრუნვის მორფოლოგიურ სტრუქტურას, სინტაქსური – ფუნქციას, სემანტიკური – მნიშვნელობას. „რამდენადაც მორფოლოგიური ანალიზის მიზანია სიტყვის ფორმისა და მისი ცვლილებების კანონზომიერებათა შესწავლა, ამდენად, მორფოლოგიური ანალიზისათვის აუცილებელია ფორმის სინტაქსური და სემანტიკური ფაქტორების გათვალისწინებაც“ (ბ. ჯორბენაძე), ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენაში საკმაოდ ხშირია შემთხვევა, როცა სიტყვის სემანტიკა გავლენას ახდენს ფორმათწარმოებაზე.

ტრადიციულ ქართულ გრამატიკებში დასახელებულია შვიდი ბრუნვა. ახალი ქართულის ბრუნვები და ბრუნვის ნიშნებია:

სახელობითი – -ი
მოთხრობითი – -მა, -მ
მიცემითი – -ს(ა)
ნათესაობითი – -ის(ა), -ს(ა), -ს(ი)
მოქმედებითი – ით(ა), -თ(ი)
ვითარებითი – ად(ა), -დ(ა)
წოდებითი – -ო, -ვ

ძველი ქართულის მიხედვით გამოიყოფოდა მერვე ბრუნვაც – **წრფელობითი**, რომელიც წარმოდგენილი იყო ფუძის სახით (ე. ი. მას ბრუნვის ნიშანი არ ჰქონდა). მორფოლოგიურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ახალ ქართულშიც (ძველის მსგავსად) მართებულად მიაჩნიათ, ბრუნვათა პარადიგმას დაემატოს ნულოვანი მორფემით წარმოდგენილი **განუსაზღვრელობითი** ბრუნვა (კ. გაბუნია, გ. გოგოლაშვილი).

ბრუნვები და მათი სახელწოდებანი გამომუშავდა ძველ საბერძნეთში (სტოელთა სკოლაში), უფრო ჩამოყალიბებული სახე მიიღო დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკეში". შესაბამისად, ტერმინები: სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, წოდებითი ამ გრამატიკიდან მომდინარეობს.

შენიშვნა: ქრონოლოგიურად პირველ გრამატიკაში – პ ა ნ ი ნ ი ს გრამატიკაში (რომელიც შემუშავდა ძვ. წ. V-IV საუკუნეებში ძველ ინდოეთში) ბრუნვებს არ ერქვა სახელები და მათ აღნიშნავდნენ ციფრებით ასეთი თანმიმდევრობით: 1 – სახელობითი, 2 – ბრალდებითი, 3 – მოქმედებითი, 4 – მიცემითი და ა. შ.

სახელობითი, ნათესაობითი და მიცემითი თითქმის ყველა ენაში გვხვდება, ამიტომ უწოდებენ მათ ძ ი რ ი თ ა დ ბრუნვებს. ქართულში სახელობითი, მოთხრობითი და მიცემითი მიჩნეულია პ ი რ დ ა პ ი რ ბრუნვებად, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი – ი რ ი ბ ბრუნვებად.

ქართულის ბრუნვათაგან ყველაზე ძველია მიცემითი და ნათესაობითი; ქრონოლოგიურად შემდეგ მოდის მოქმედებითი, ვითარებითი და მოთხრობითი; შედარებით ახალი ბრუნვებია სახელობითი და წოდებითი.

ქართულში ბრუნვათა სახელწოდებები, ძირითადად ევროპულ ენათა გრამატიკების მიხედვითაა შექმნილი:

„სახელობითი" არის ლათინური „Nominativus"-ის ქართული თარგმანი;

„მოთხრობითი" ქართული ტერმინია. უცხოურად მას „ერგატივს" (ბერძ. Ergates – მოქმედი პირი) უწოდებენ, რადგან მიუთითებს მოქმედზე, აქტიურ პირზე;

„მიცემითი" ბერძნული „დოტიკესა" და ლათინური „Dativus"-ის პირდაპირი თარგმანია;

„ნათესაობითი" შეესაბამება ბერძნულ „გენიკესა" და ლათინურ „Genetivus"-ს;

„მოქმედებითი" არის ლათინური „Instrumentalis"-ის (=„საჭურველობითი") ქართული თარგმანი;

„ვითარებითი" შექმნილია ქართულ ნიადაგზე;

„წოდებითი" მიღებულია ბერძნული „კლეტიკესა" (=„საწოდებო") და ლათინური „Vokativus"-ისგან.

ბრუნვათა სახელები პირობითია, ზედმიწევნით ზუსტად ვერ ასახავს შესაბამის სემანტიკას.

ცნობილია, რომ ბრუნვათა სისტემა ყველა ენაში ერთნაირად არაა განვითარებული, ამის გამო ენები ერთმანეთისაგან განსხვავდება ბრუნვათა რაოდენობითაც. მაგალითად, ახალ ქართულში ტრადიციულად გამოიყოფა შვიდი ბრუნვა, რუსულში – ექვსი, გერმანულში – ოთხი, ინგლისურში – ორი; აფხაზურში ძირითადი ბრუნვებია ნათესაობითი და მიცემითი, სპარსულსა და იტალიურში ბრუნვები საერთოდ არაა.

ბრუნვათა რაოდენობის მხრივ სხვაობა თავს იჩენს ერთი და იმავე ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზეც, კერძოდ: დროთა ვითარებაში შეიძლება მოიშალოს ბრუნვა ან მისი ფუნქცია სხვა ბრუნვას გადაეცეს და პირიქით – წარმოიქმნას ახალი. მაგალითად, უძველეს ქართულში უნდა ყოფილიყო **-ივ** სუფიქსით ნაწარმოები ბრუნვა, რომლის ფორმები (მარჯვნივ, ირგვლივ, მარცხნივ, ღმრთივ...) ძველ ქართულშივე მოღწეულია ნაშთის სახით. ეს ბრუნვა მიაჩნიათ მოქმედებითის ერთ-ერთ სახეობად (დ. მაჭავარიანი). ასევე: მოგვიანებით მოიშალა ძველი ქართულის წრფელობითი ბრუნვა, მისი ფუნქცია სახელობითმა შეითავსა. ქართულ ლინგვისტიკაში

უკვე კარგა ხანია სადავოა წოდებითის, როგორც დამოუკიდებელი ბრუნვის, არსებობის საკითხი... თუმცა ხდება პირიქითაც: ენაში ზოგიერთი ბრუნვის ნიშანი თანდებულის დართვისას ან მთლიანად იკარგება, ანდა ფონეტიკურად სახეცვლილია. სწორედ ამის გამო წაიშალა ზღვარი ბრუნვის ნიშანსა და თანდებულს შორის და შეიქმნა საფუძველი, რომ სახელის ფუძეზე დართული ელემენტი მთლიანად ჩათვლილიყო ბრუნვის ნიშნად. აქედან გამომდინარე, ა. შანიძემ შესაძლებლად მიიჩნია, თანამედროვე ქართულში, შვიდი ბრუნვის გარდა, გამოიყოს სამი ლოკალური (ადგილობითი) ბრუნვა: **სადაობითი** (-ზე, -ში: სახლ-ზე, სახლ-ში), **გამოსვლითი** (-იდან, -დან: სოფლ-იდან, წყარო-დან), **მიწევნითი** (-ამდე/-მდე, -ამდის/-მდის: ქალაქამდე, ეზო-მდის).

შენიშვნა: ტრადიციულად ქართულში არსებითი სახელის გრამატიკულ კატეგორიებად დასახელებულია **ბრუნვა** და **რიცხვი**. დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, სახელის ერთ-ერთ გრამატიკულ კატეგორიად უნდა ჩაითვალოს არა ბრუნვა, არამედ – **ბრუნება**, რამდენადაც ცალკეული ბრუნვა არის სახელის ფუნქციონირების ფორმა, ბრუნების კატეგორიის რელაციური ერთეული (ა. ონიანი, ა. არაბული, ჭ. ქირია...).

ზოგადად ბრუნვისა და ბრუნების მიმართებიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებითაც, რომ ცალკეული ბრუნვა რეალურად არის სახელის ფორმაცვალების ერთიანი პარადიგმის – ბრუნების მთლიანი პროცესის შემადგენელი მხოლოდ ერთ-ერთი ნაწილი, ისეთი, როგორიცაა: რიცხვის კატეგორიის შემთხვევაში მხოლობითი ან მრავლობითი, სასუბიექტო ან საობიექტო ქცევა, მოქმედებითი ან ვნებითი გვარი და ა. შ., ვფიქრობთ, ეს ახალი მოსაზრება უთუოდ ანგარიშგასაწევია.

2.3.2. ბრუნვის ნიშანთა გავრცობა (ემფატიკური ხმოვანი). ზოგიერთი ბრუნვის ნიშანი ქართულში შეიძლება გავრცობილი იყოს -ა ხმოვნით, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ეწოდება სავრცობი, ნართაული -ა (ა. შანიძე), ემფატიკური (ბერძ. Emphatikos – მეტი გამომსახველობითი ძალის მქონე) ხმოვანი (ნ. მარი). იგი ახალ ქართულში გამოიყენება ოთხ ბრუნვაში – მიცემითში, ნათესაო-

ბითში, მოქმედებითსა და ვითარებითში როგორც საზოგადო, ისე საკუთარ სახელებთან: სახლი – სახლს(ა), სახლის(ა), სახლ-ით(ა), სახლ-ად(ა)... ემფატიკური ხმოვანი ცალკე აღებულ სიტყვასთან შეიძლება ვიხმაროთ და შეიძლება – არა: წიგნ-ს || წიგნ-ს(ა).... ასეთ შემთხვევაში „-ა-ს დართვა უფრო სტილისტურ საჭიროებას უპასუხებს, ვინემ მორფოლოგიურს“ (არნ. ჩიქობავა).

ძველ ქართულში -ა-ს გამოყენებას სისტემური ხასიათი ჰქონდა. იგი დაერთოდა მხოლოდ საზოგადო სახელების მიცემითის, ნათესაობითისა და უთანდებულო მოქმედებითის ფორმებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს სახელი იყო: ა) კომპოზიტის ნაწილი, ბ) შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, გ) ზმნიზედად გამოყენებული. ეს წესი ძველ ქართულში მტკიცედ იყო დაცული (ქ. ძოწენიძე).

ახალ ქართულში ემფატიკური ხმოვანი უფრო ხშირად გვხვდება. იგი, სახელების გარდა, შეიძლება გამოვლინდეს ფორმაუცვლელ სიტყვებსა და ზმნასთანაც კი. მაგალითად: დაეხმარა პავლესა; მივიდესა და უთხრას; რომა; შინისკენა... გავრცობილი ფორმები უფრო დამახასიათებელია აღმოსავლური კილოებისთვის, იგი გვხვდება ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებშიც. მართალია, ახალსა და თანამედროვე ქართულში ა-ს გამოყენების შემთხვევები ძველ ქართულთან შედარებით გაცილებით მეტია (ფუნქციურადაც უფრო მრავალფეროვანი გახდა), მაგრამ სისტემური ხასიათი აღარ აქვს. მიუხედავად ამისა, ამ მხრივ ერთგვარი კანონზომიერება მაინც არსებობს.

-ა აუცილებელია:

1) **ც** ნაწილაკის დართვისას: მთა-ს-ა-ც, მთ-ის-ა-ც, მთ-ით-ა-ც, მთა-დ-ა-ც...

2) **ვით** თანდებულიან მიცემითთან: დედა-ს-ა-ვით, ბავშვ-ს-ა-ვით...

3) ნანათესაობითარი მიცემითის შემთხვევაში: ქალაქის-ა-ს, მამის-ა-ს...

4) თანიანი მრავლობითის მყარ გამოთქმებში: მშობელ-თ-ა კომიტეტი, მასწავლებელ-თ-ა სახლი, მწერალ-თ-ა კავშირი...

5) ნათესაობითი ბრუნვის ფორმასთან მართული მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობის დროს: ნათელი მზის-ა, ფასი ცოდნის-ა, ზღვა სიყვარულის-ა...

6) **და** კავშირით შეერთებული ორი სახელის პირველ წევრთან მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში: მთას-ა და ბარს, დის-ა და ძმის, დედით-ა და მამით...

ემფატიკური **ა**-ს დღემდე ასე მყარად შემონახვის მიზეზად მიჩნეულია ის ფაქტი, რომ იგი მახვილიანი ხმოვანია და ადვილად არ იკარგება.

2.3.3. ემფატიკური ა-ს შესწავლის ზოგიერთი საკითხი. ქართულ ლინგვისტიკაში ემფატიკური **ა**-ს ზოგადი ბუნების გარკვევასა და ფუნქციონირების საკითხებს არაერთი მეცნიერული ნაშრომი მიეძღვნა.

1. **ა**-ს გამოყენების შემთხვევები ძველი ქართულის წერილობითი ძეგლების მიხედვით შესწავლილია ქ. ძოწენიძის მიერ, ხოლო ახალი და თანამედროვე ქართულის დონეზე იგივე საკითხი დაწვრილებითაა გაანალიზებული თ. ზურაბიშვილისა და სხვა მკვლევართა სტატიებში.

2. ნ. მარი ემფატიკურ **ა**-ს მიიჩნევდა ჩვენებითი **ჰა** ნაწილაკისაგან მომდინარედ; ა. შანიძისა და ი. იმნაიშვილის აზრით კი, **ა** მიღებულია განმსაზღვრელი **ამას** ნაწევრისაგან (კაცს ამას>კაც-ს-ა); არნ. ჩიქობავა ვარაუდობდა, რომ ისტორიულად ეს **ა** ჩვენებითი (განმსაზღვრელი) ნაწილაკი იყო, იმგვარივე ღირებულებისა, როგორიცაა ფუძეუკვეცელ სახელთა **ი** ნათესაობითსა და მოქმედებითში (წყაროს-**ი**, წყაროთ-**ი**) და ფუნქციით ეტოლებოდა სახელობითის **ი**-სა და მოთხრობითის **მან** ფლექსიებს.

3. სამეცნიერო ლიტერატურაში **ა** ხმოვნის ფუნქციებიც ბევრჯერ იყო მსჯელობის საგანი:

ა) ვარაუდობენ, რომ ძველ ქართულში ემფატიკური ხმოვანი სახელს ანიჭებდა განსაზღვრულობას, რითაც უტოლდებოდა ევროპული ენების არტიკლს (ნ. მარი, ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა...);

ბ) ახალ ქართულში **ა** ხმოვნის დანიშნულებაა წინადადებაში მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილის შემოსაზღვრა

(არნ. ჩიქობავა, თ. უთურგაიძე, ა. არაბული...). მაგ., წიგნი ამხანაგისა მასწავლებელს მივეცი, შდრ. წიგნი ამხანაგის მასწავლებელს მივეცი; ლექსი პოეტისა მეგობარს წავუკითხე, შდრ. ლექსი პოეტის მეგობარს წავუკითხე და ა. შ.

გ) სხვა მოსაზრებით, ემფატიკური ა-ს ბუნება მორფოლოგიური კი არ არის, არამედ ფონეტიკურია; იგი ჩნდება თანხმოვნიანი ამოსავლის შემდეგ მარცვალთღიაობის შესაქმნელად (ა. ფოცხიშვილი, გ. დეეტერსი, შ. აფრიდონიძე...).

დ) სინქრონიულ დონეზე (დღეს) ემფატიკურ ა-ს სხვაგვარ კვალიფიკაციასაც აძლევენ: თ. უთურგაიძის, ა. ონიანისა და სხვათა დაკვირვებით, ა არ არის ცალკე მორფოლოგიური ელემენტი; უფრო ბუნებრივი იქნება, თუ მას ბრუნვის მორფემათა ცალკეული ალომორფების შემადგენელ ნაწილად მივიჩნევთ (მიცემითი – ს/სა, ნათესაობითი – ის/ისა, მოქმედებითი – ით/ითა, ვითარებითი – ად/ადა).

ამრიგად, ქართულ ლინგვისტიკაში ემფატიკური ა-ს გენეზისისა და ფუნქციური კვალიფიკაციის საკითხი არაერთგვაროვანია, რასაც ზოგადად განაპირობებს საუკუნეთა განმავლობაში ა-ს ფუნქციებისა და გამოყენების შემთხვევების მეტ-ნაკლები ცვალებადობა. დღეს ა-ს გამოვლენის ძირითადი საფუძველი შეიძლება იყოს: მხოლოდ სტილისტური საჭიროება, ბრუნვის ნიშნის გავრცობა (ბავშვი გაიქცა სახლისკენ || სახლისაკენ); მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილის კონსტრუქციის ჩაკეტვა; ზოგიერთი აუცილებელი შემთხვევა (ბავშვსაც, დედასავით, ძმისას... მწერალთა კავშირი) და ა.შ. გარდა ამისა, ენის განვითარების საერთო ტენდენციით, მომავალში ალბათ უფრო გამოიკვეთება ემფატიკური ა-ს გრამატიკული ფუნქცია – იქცეს ბრუნვის ნიშნების ალომორფების ერთ-ერთ აუცილებელ კომპონენტად.

2.4. ბრუნვათა სინტაქსური და სემანტიკური ასპექტები

სინტაქსური ასპექტი. თითოეულ ბრუნვას აქვს თავისი ფუნქცია, რომელიც სინტაქსურად შეიძლება იყოს ერთი ან რამდენიმე:

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბრუნვით გადმოიცემა: ქვემდებარე, პირდაპირი დამატება, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, გარემოება: **ბულბული** საამურად გალობდა (ქვემდ.); ბავშვმა დაწერა **წერილი** (პირდ. დამ.); დედა **გახარებული** იყო (შედგ. შემასმ. სახელადი ნაწილი)...

მ ო თ ხ რ ო ბ ი თ ი ბრუნვა მხოლოდ ქვემდებარის ბრუნვაა: **მზემ** გაანათა ქვეყანა. მოთხრობითი ბრუნვის ფორმით არის გადმოცემული აგრეთვე ზოგიერთი გამოთქმა, რომელიც ფიცილის ფორმულად არის ქცეული და შორისდებულებს განეკუთვნება: ჩემმა მზემ, დედაშვილობამ...

მ ი ც ე მ ი თ ი ბრუნვით გადმოიცემა: ქვემდებარე, პირდაპირი და ირიბი დამატებები, უბრალო დამატება, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, გარემოება: **მეზობელს** აუშენებია სახლი (ქვემდ.); მთვარე **შუქს** ჰფენს **დედამიწას** (შუქს – პირდ. დამ., დედამიწას – ირ. დამ.); **კვირას** პირველი თოვლი მოვიდა (გარემ.)...

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბრუნვის ფორმით გამოიხატება: უბრალო დამატება, განსაზღვრება, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი, გარემოება: **დედის** დარიგება (უბრ. დამ.); **ტყის** ჰაერმა ყველა გამოაცოცხლა (განსაზღ.); მაშინ ათი **წლისა** იყო თამარი (შედგ. შემასმ. სახ. ნაწ.); **სახლისკენ** გაეშურა (გარემ.).

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ბრუნვის ფორმით გადმოიცემა: უბრალო დამატება, გარემოება: **ნისლით** დაიფარა მთები (უბრ. დამ.); ავადმყოფობა სხეულში **ფუთობით** შედის და **მისხლობით** გამოდის (გარემ.).

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ბრუნვის ფორმით გამოიხატება: უბრალო დამატება, გარემოება, შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი: სოფელი **ქალაქად** იქცა (უბრ. დამ.); გოგონა **გულიანად** კისკისებდა (გარემ.); **დედოფლად** იყო ინგილო ქალი (შედგ. შემ. სახ. ნაწ.)...

მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები თანამედროვე ქართულში აქტიურად გამოიყენება სადერივაციო ფუნქციითაც ძირითადად დარგობრივ ტერმინოლოგიაში (კითხვ**ითი** წინადადება, დრეკად**ი** სხეული, წიგნად**ი** ფონდი...).

წ ო დ ე ბ ი თ ბრუნვას ერთადერთი ფუნქცია აქვს – გამოხატავს მიმართვას მეორე პირად წარმოდგენილი საგნისადმი: **„მზეო,** დამხედე, **წვიმავ,** დამნამე!“ (ვაჟა-ფშაველა)...

ს ე მ ა ნ ტ ი კ ურ ი ა ს პ ე ქ ტ ი. ქართულში შეიძლება გამოიყოს ბრუნვათა ნაირგვარი მნიშვნელობები, რაც რეალიზდება ზმნის საშუალებით (ბრუნვათა დასახასიათებლად გამოყენებულია ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისი):

სახელობითისათვის:

სახელდებითობა: შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანი“;
პური (= პურის გასაყიდი მაღაზია);
ხანძარი (= ხანძარია)...

ეგზისტენციალურობა: ღამე, სიმშვიდე...

პრედიკატულობა: ის იყო კომისარი...

გარდაქცევითობა: დაბა დიდი ქალაქი გახდა...

მიცემითისათვის:

მითითება მოქმედზე: ძმას სახლი აუშენებია...

ადრესატი: ამხანაგს მისწერს...

თანაობა (კომიტატივი): ამხანაგს მიაწერს...

ინტერესი (დაინტერესება): ამხანაგს დაუწერს...

სამოქმედო საგანი: სახლს აუშენებს...

მოქმედების იარაღი: ჩაქუჩს ურტყამს...

მიმართულება: ქალაქს გაემგზავრა...

მიწევნითობა: ქალაქს ჩავიდა...

განწყობა: მას მოსწონს; მას ემღერება...

მოქმედების დანიშნულებაზე მითითება: ძმას სახლი აუშენა...

ნათესაობითისათვის:

კუთვნილება: მამის სახლი...

წარმომავლობა: ხის სახლი...

მოქმედი საგანი: მსახიობის გამოსვლა...

თვისება: მებრძოლის სიმამაცე...

შეფასება: დიდი ჭკუის ადამიანი...

დამოკიდებულება: უნივერსიტეტის სტუდენტი...

სამოქმედო საგანი: ხის დაჩეხვა...

ინტერესი: ამხანაგის წერილი...
პრედიკატულობა: მაშინ თორმეტი წლისა ვიყავი...

მოქმედებითისათვის:

გამოსვლითობა: სარკმლით მონაქროლი სიო...
ჭურვილობა (ინსტრუმენტატივი): ფანქრით დაწერილი...
წარმომავლობა: წოდებით აზნაური; ტომით არაბი...
როგორობა: მგზავრები სიფრთხილით მიდიოდნენ...
თანაობა: ცოლ-შვილით დაბრუნდა...

ვითარებითისათვის:

მიწევნითობა: ქალაქამდე მშვიდობიანად მიაღწიეს...
გარდაქცევითობა: პატარა ღელე მდინარედ იქცა...
ვითარება: ლამაზად გამოიყურება...
თვისება: დინჯად საუბრობდა...

2.5. ბრუნვებისა და მათი ნიშნების გენეზისი

ბრუნვათა რაოდენობა და რიგი ქართული ენის განვითარების მთელ მანძილზე ერთნაირი არ ყოფილა; ქრონოლოგიურად და გენეზისურად განსხვავდება აგრეთვე ბრუნვები და მათი ნიშნები (ზოგი – ძველია, ზოგი – ახალი).

ვ. თოფურია ვარაუდობდა, რომ ქართულში ბრუნვათა ჩამოყალიბებისას სახელებმა 5 საფეხური განვლო: 1) გაუფორმებელი (კაც), 2) განუსაზღვრელი ფორმა (კაც-ს), 3) განსაზღვრული ფორმა (კაც-ს ამას), 4) დეიქტიკურელემენტიანი – ემფატიკურხმოვნიანი (კაც-ს-ა), 5) ბრუნების ნარევი ტიპი (კაც-ი იგი).

წრფელობითი ბრუნვა ახასიათებდა ძველ ქართულს. ამ ბრუნვაში დასმული სახელი ფუძის სახით იყო წარმოდგენილი: კაც, ხელ... ტერმინი „წრფელობითი" არის თარგმანი ბერძნული სიტყვისა – „ორთე" (სწორი, სუფთა, პირდაპირი). იგი დაამკვიდრა ანტონ კათალიკოსმა. ძველი გრამატიკოსები წრფელობითს იყენებდნენ სახელობითის მნიშვნელობით. ნ. მარმა პირველმა გამოყო წრფელობითი ბრუნვა იმ გაგებით, როგორადაც დღეს გვესმის, და მას გაუფორმებელი ბრუნვა უწოდა, რადგან ბრუნვის ნიშანი არ დაერთვის.

ვ. თოფურიას აზრით (და მას სხვა მეცნიერებიც იზიარებენ), წრფელობითი უძველესი წარმოშობისაა, კერძოდ, გადმონაშთია ქართული ენის იმ საფეხურისა, როცა სახელი გაუფორმებელი იყო, საერთოდ არ დაირთავდა ბრუნვის ნიშანს.

წრფელობითის, როგორც დამოუკიდებელი ბრუნვის, შესახებ ორი ძირითადი მოსაზრება არსებობს: 1) წრფელობითი ძველ ქართულში ბრუნვაა (ნ. მარი, ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი...), 2) წრფელობითი გაუფორმებელი ფუძეა (ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, გ. დეეტერსი, გ. კლიმოვი, ზ. სარჯველაძე...).

ი. იმნაიშვილს ტერმინი „გაუფორმებელი ბრუნვა" არ მიაჩნდა მართებულად. მისი აზრით, სწორედ უ ნ ი შ ნ ო ბ ა ა ამ ბრუნვის ნიშანი.

სახელობითი ბრუნვა შედარებით ახალი წარმოშობისაა. იგი ქართულ გრამატიკაში დაამკვიდრა პ. იოსელიანმა 1840 წელს.[1] ბრუნვის ნიშანი **ი**[2] მომდინარეობს განმსაზღვრელი **იგი** ნაწევრისაგან. ძველად გვქონდა: კაც იგი>კაცი. თავის მხრივ, **იგი** მთლიანად ფუძეა. **იგი**, როგორც პირის ნაცვალსახელი, მეორეულია, წარმოშობით ჩვენებითი ნაცვალსახელია: ი-გ-ი. აქედან ი-ი ჩვენებითი ნაწილაკებია, გ – ძირი (არნ. ჩიქობავა, ა. შანიძე). ნ. მარის ვარაუდით, **ი** მიღებულია **ჰი** ნაცვალსახელისაგან. მიუთითებენ, რომ მთის კავკასიურ ენებში სახელობითი გაუფორმებელია – წარმოდგენილია ფუძის სახით (არნ. ჩიქობავა).

მოთხრობითი ბრუნვა სპეციფიკურია ქართველურისა და, საერთოდ, იბერიულ-კავკასიური ენებისათვის (აქვს ბასკურსაც, მაგრამ არ გააჩნია სხვა ევროპულ ენებს). მოთხრობითი ბრუნვის ქონა შეპირობებულია გარდამავალი ზმნის თავისებურებით. ქრონოლოგიურად მოთხრობითი ბრუნვა სხვა ძირითად ბრუნვებთან შედარებით ახალია. იგი

---

[1] ე. ბაბუნაშვილის დაკვირვებით, სახელობითი ანტონ პირველის გრამატიკაში ისეთივე სრულუფლებიანი ტერმინია, როგორიც წრფელობითი; კიდევ მეტიც: მეორე რედაქციაში სახელობითს მეტი უპირატესობა ენიჭება.

[2] ცალკეული მორფემების ფორმობრივ-სემანტიკური დახასიათება მოცემულია ბ. ჯორბენაძის, მ. კობაიძის, მ. ბერიძის წიგნში „ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი".

ქართულ გრამატიკაში დაამკვიდრა ანტონ კათალიკოსმა. ტერმინი „მოთხრობითიც“ მანვე შემოიღო. ა. შანიძის აზრით, ტერმინი „მოთხრობითი“ პირობითია. იგი არ შეესატყვისება გადმოსაცემ შინაარსს. ამიტომ ამ ბრუნვის სახელწოდებად უფრო მართებული იქნებოდა „მოქმედებითი“.

მოთხრობითი ბრუნვის ნიშანი **მ** არნ. ჩიქობავას მიაჩნდა ნაცვალსახელური წარმოშობისად, მიღებულია **მან**-ისაგან: კაც-მან<კაც-მა, ხოლო ა. შანიძე მოთხრობითის თავდაპირველ ნიშნად ასახელებდა **ნ** სუფიქსს. შესაბამისად, გვქონდა **კაც-ნ** ტიპის ფორმა, რომელსაც დაერთო **მან** ნაცვალსახელი და მივიღეთ **კაცნმან**. ამ უკანასკნელში პირველ ეტაპზე გაუჩინარდა თავდაპირველი **ნ** (კაცნმან>კაცმან), შემდეგ კი – **მან** ნაცვალსახელის **ნ** (კაცმა**ნ**>კაცმა).

არნ. ჩიქობავა მიუთითებდა, რომ მოთხრობითს დღესაც ახასიათებს ორგანული და აღწერითი წარმოება. ორგანული წარმოებისათვის ნიშანია **ნ**. იგი მხოლოდ ორ ნაცვალსახელშია შემორჩენილი: მა-ნ, ვი-ნ; აღწერითი წარმოება **მან**-ის დართვით მიიღება: კაც-მან>კაც-მა. დღეს გაბატონებულია ასეთი წარმოება. უფრო ადრე **ნ** სუფიქსს მოთხრობითი ბრუნვის ნიშნად თვლიდა ავსტრიელი ქართველოლოგი ჰუგო შუხარდტი. მან ამ ბრუნვას **ერგატივი** უწოდა. შესაბამისად, მოთხრობითბრუნვიან კონსტრუქციას **ერგატიული კონსტრუქცია** ჰქვია.

მიცემითი ბრუნვა უძველესი წარმოშობისაა. მისი ნიშანი **ს** საერთოა ქართველური ენებისათვის.

ნათესაობითი ბრუნვაც უძველესია. მის ნიშანს – **ის** სუფიქსს შლიან **ი** და **ს** ელემენტებად. **ს** იგივეა, რაც მიცემითის **ს** სუფიქსი – წარმოშობით ნივთის კლასის ნიშანი (არნ. ჩიქობავა), ხოლო **ი** იმავე ოდენობადაა ჩათვლილი, რაც მოქმედებითი ბრუნვის **ით** ნიშნის **ი** ხმოვანი (ნ. მარი, ვ. თოფურია, გ. როგავა)[1].

ნათესაობითი ბრუნვის ნიშნად **ის** სუფიქსის პარალე-

[1] გ. როგავას აზრით, ეს **ი** გენეზისურად უკავშირდება ქცევის **ი** პრეფიქსს, რომელიც, თავის მხრივ, ნაცვალსახელური ნარმოშობისაა.

ლურად ვარაუდობენ **ინ**-საც, რომელიც დღეს შემორჩენილია მხოლოდ ზმნისართებსა და ზედსართავებში: გუშ-ინ, ხვალ-ინ-დელი, უწ-ინ-დელი... (ასეთივე მაგალითებად შეიძლება დავასახელოთ **თვის** და **მდის** თანდებულების დიალექტური ფორმები: თვინ, მდინ).

მოქმედებითი ბრუნვა ქრონოლოგიურად ძველია. იგი დაამკვიდრეს რომაელებმა და უწოდეს „ინსტრუმენტალისი". ქართული სახელი „მოქმედებითი" ლათინურიდანაა თარგმნილი, თუმცა, ა. შანიძის აზრით, ეს ტერმინი შესაცვლელია, აჯობებდა „საჭურველობითი", რომელიც იქნება ინსტრუმენტალისის ზუსტი შესატყვისი.

მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი **ით** სუფიქსი იშლება **ი** და **თ** ელემენტებად. **თ** გენეზისურად იგივეა, რაც ვითარებითის **დ**. ორივე ნივთის კლასის ნიშნადაა მიჩნეული, **ი** ხმოვანი კი ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **ი**-ს ტოლია.

ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნების **ს** და **თ** თანხმოვნების შემდეგ ჩნდება **ი** ხმოვანი: წყარო-ს-**ი**, წყარო-თ-**ი**.

რა გრამატიკული ოდენობაა ეს **ი**?

ამ საკითხზე სხვადასხვა მოსაზრებაა გამოთქმული:

ა) ნ. მარს საანალიზო **ი** მიაჩნდა **ის**, **ით** ბრუნვის ნიშნების **ი**-დ, ოღონდ გადასმულად: წყარო-**ის**>წყარო-**სი**, წყარო-**ით**> წყარო-**თი**;

ბ) ა. შანიძისა და ვ. თოფურიას აზრით, წ ყ ა ლ ი წ ყ ა რ ო ს ი ტიპის სახელებში ნათესაობითი ბრუნვის **ი** წარმოშობით არის სახელობითის ნიშანი, თვითონ ფორმა **წყაროსი** ნანათესაობითარი (ნაგენეტივარი) სახელობითია. მოქმედებითის **ი** არ არის ნათესაობითის **ი**-ს ტოლი;

გ) არნ. ჩიქობავას დაკვირვებით, ნათესაობითისა და მოქმედებითის **ი** ერთდროული გაჩენილია და იგი თავისი ფუნქციით ეტოლება ემფატიკურ ხმოვანს. ამ ტიპის სახელების ნათესაობითსა და მოქმედებითს განვითარების სამი საფეხური აქვს გავლილი: 1) XI საუკუნემდე (წყარო-ჲსა, წყა-

რო-ჲთა), 2) XII-XIII საუკუნეები (წყარო-სა, წყარო-თა), 3) თანამედროვე (წყარო-სი, წყარო-თი).

განხილულ საკითხს მოგვიანებით კვლავ შეეხნენ სხვა მკვლევრებიც. სახელის მორფონოლოგიური ანალიზისა და დიალექტური მასალების საფუძველზე ერთხელ კიდევ დაადასტურეს ის თვალსაზრისი, რომელიც **ი** ხმოვანს მიიჩნევს ემფატიკურ **ა**-ს ტოლად (თ. უთურგაიძე, ლ. ნოზაძე...).

მოქმედებითი ბრუნვის ისტორიასთან დაკავშირებით საინტერესოა აგრეთვე: **მარცხნივ, ირგვლივ** ტიპის სახელები. მკვლევართა აზრით, უძველეს ქართულში უნდა ყოფილიყო **ივ** სუფიქსით ნაწარმოები ბრუნვა. იგი იქნებოდა მოქმედებითის ერთ-ერთი სახეობა. ამ თვალსაზრისით დღეს ფასეულია მხრივ/მხრით, მარჯვნივ/მარჯვნით... პარალელური ფორმების არსებობა. ამ **ივ** სუფიქსს პირველად მიაქცია ყურადღება და ბრუნვის ნიშნად ჩათვალა ჰუგო შუხარდტმა. მანვე მიუთითა, რომ **ივ** მოქმედებითი ბრუნვის **ით** ნიშნის მნიშვნელობის ტოლია. ეს აზრი გაიზიარეს სხვა მკვლევრებმაც (ა. შანიძე, ვ. თოფურია, გ. როგავა, დ. მაჭავარიანი...).

ვითარებითი ბრუნვა ძველი წარმოშობისაა. ის არ გააჩნია ევროპულ ენებს, ამიტომ ძველ გრამატიკოსებს დიდხანს არ შეუმჩნევიათ. პირველად ვითარებითი (როგორც ბრუნვა) შენიშნა და თავის ქართულ გრამატიკაში შეიტანა ფრანგმა ქართველოლოგმა მარი ბროსემ (1834 წ.). მან ახალ ბრუნვას უწოდა „მოდალობითი“ და „დამთავრებითი“. მოდალობითია უთანდებულო ვითარებითი (სახლად), დამთავრებითი – თანდებულიანი (სახლამდე). მ. ბროსეს შემდეგ თითქმის ყველა გრამატიკოსი ასახელებდა ამ ბრუნვას, მაგრამ იყენებდნენ სხვადასხვა ტერმინს: „გარდაქმნითს“, „განვითარებითს“, „ვნებითს“, „გარდაქცევითს“, „მიმართულებითს“[1] (ნ. მარი, არნ. ჩი-

[1] კ. დანელიას დაკვირვებით, ძველ ქართულში მიმართულებითობას გამოხატავდა არა ვითარებითი (ტრანსფორმატივი), რომელიც **ად** სუფიქსით გამოიხატებოდა, არამედ დამოუკიდებელი მიმართულებითი ბრუნვა, რომელსაც მხოლოდ **-დ** სუფიქსი აწარმოებდა... საბოლოოდ მორფოლოგიური ომონიმიის მიზეზით მიმართულებითი ბრუნვა დასუსტდა, გაქრა და მისი ფუნქცია გადანაწილდა სხვა ბრუნვებზე.

ქობავა, ვ. თოფურია), „ვითარებითს" (ა. შანიძე). ამ ბრუნვის სახელის დადგენა გაჭირდა, რადგან იგი ევროპულ ენებში არ იყო და პირდაპირ ვერ ითარგმნა. ქართველი გრამატიკოსები ტერმინის შემუშავებისას დაემყარნენ მის მრავალფეროვან მნიშვნელობას და სახელწოდებისათვის ზოგმა ერთი მომენტი გამოიყენა, ზოგმა კი – მეორე.

ვითარებითი ბრუნვის ნიშნებია ახალ ქართულში **ად, დ;** ძველში კი იყო **ა** და **დ** (ჯოჯოხეთ-ა, ტირილ-დ). ა. შანიძე ბრუნვის ნიშნად მარტო **დ**-ს ასახელებს. მისი აზრით, აქ **ა** შემდგომშია განვითარებული. არნ. ჩიქობავა აღნიშნავდა, რომ ისტორიულად ვითარებითში ორი ნიშანი უნდა გვქონოდა: **ა** და **დ**. ისინი ეკუთვნოდნენ სხვადასხვა დიალექტურ წრეს. **ა** უფრო ძველია, ვინემ **დ**. **დ**-ს დაუხვდა **ა** თანხმოვანფუძიანებთან და მივიღეთ **ად**. ვითარებითის **დ** წარმოშობით არის ნივთის კლასის ნიშანი, მისგანაა მიღებული **თ** (მოქმედებთისა).

წოდებითი ბრუნვა შედარებით ახალი წარმოშობისაა. იგი ბერძნულ-ლათინურ გრამატიკებში დამოუკიდებელი ბრუნვა იყო; გადმოიტანეს ქართულშიც, ასახელებდნენ ძველი ქართველი გრამატიკოსები. ტერმინი „წოდებითი" დაამკვიდრა ანტონ I-მა ევროპული გრამატიკების მიხედვით.

ქართულ ლინგვისტიკაში სადავოა წოდებითის, როგორც დამოუკიდებელი ბრუნვის, არსებობის საკითხი. გამოთქმულია ურთიერთსაპირისპირო მოსაზრებანი, რომელთა მიხედვითაც ჩამოყალიბდა რამდენიმე თვალსაზრისი:

1) წოდებითი დამოუკიდებელი ბრუნვაა, აქვს საკუთარი ფორმა... წოდებითის **-ო** მხოლოდ ბრუნვის ნიშნის ფუნქციის მატარებელია (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, თ. უთურგაიძე, ლ. ნოზაძე, ა. არაბული, კ. გაბუნია...);

2) წოდებითი არ არის დამოუკიდებელი ბრუნვა, რადგან ვერ ამყარებს სინტაქსურ მიმართებას სხვა სიტყვასთან, არ იმართვის არც ზმნის, არც სახელის, არც თანდებულის მიერ; წინადადებაში მძიმით ან ძახილის ნიშნით გამოიყოფა. იგი მხოლოდ მიმართვის ფორმაა და ბრუნების პარადიგმაშიც არ უნდა შევიდეს (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ბ. ჯორბენაძე);

3) წოდებითი სახელობითის ვარიანტია (მო)წოდების ფუნქციით (გ. ნებიერიძე, დ. მელიქიშვილი).

ბრუნვათა მორფოსინტაქსური და სემანტიკური ასპექტების გათვალისწინებით უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია პირველი თვალსაზრისი. წოდებითი, როგორც ენობრივი ერთეული (სხვა ბრუნვათა მსგავსად), სახელის ფორმაცვალების ერთ-ერთი სახეობაა, გაფორმებული სპეციალური ნიშნით, აქვს საკუთარი ფუნქციაც – გამოიყენება მოწოდების, მიმართვის დროს, ხშირად გვხვდება დიალოგებში მისთვის ნიშანდობლივი ინტონაციით... და, ამდენად, იგი უნდა ჩაითვალოს ქართული ენის სახელთა ბრუნების პარადიგმის დამოუკიდებელ წევრად, ანუ წოდებითი დამოუკიდებელი ბრუნვაა.

2.6. ბრუნვათა რიგის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ბრუნვათა რიგი არ ყოფილა ყოველთვის ერთნაირი. ძველ პრაქტიკულ გრამატიკებში ბრუნვათა დალაგებას მეტ-ნაკლებად შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა, ანდა გათვალისწინებული იყო ევროპული ენების ვითარება. მაგალითად, სახელობითის შემდეგ იდგა ნათესაობითი, შემდეგ – მიცემითი, მას მოჰყვებოდა მოთხრობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი.

დღეს უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოებსა და სასკოლო გრამატიკებში წარმოდგენილი ბრუნვათა რიგი – სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი, წოდებითი – ა. შანიძის მიერაა დამკვიდრებული. ეს რიგი ითვალისწინებს ბრუნვის ფორმათა მორფოლოგიურ და სინტაქსურ მხარეს: ჯერ მოცემულია სუბიექტის ბრუნვები (სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი). მათ ფონეტიკურ-მორფოლოგიური თვალსაზრისითაც აერთიანებთ ფუძეუკუმშველობა და უკვეცელობა. ამ პრინციპის გამო წოდებითიც უნდა დამდგარიყო სახელობითის შემდეგ (ფუძე აქაც უცვლელია, თან ნარიანი მრავლობითიც ერთად იქნებოდა), მაგრამ, სამაგიეროდ, ეს გათი-

შავდა სუბიექტის ბრუნვებს, ამიტომ წოდებითი ტრადიციულად ბოლოში დარჩა. ვითარებითი შეიძლებოდა ჩასმულიყო მიცემითის შემდეგ, რადგან აქ კვეცა არ ხდება და ჯერ უკვეცელი ფუძეები იქნებოდა, შემდეგ – კვეცადები; მაგრამ, რაკი წოდებითი მაინც რჩება ბრუნვათა პარადიგმის ბოლოს, როგორც უკვეცელი და უკუმშველი ფუძე, ამიტომ უფრო მართებულად ჩაითვალა ვითარებითის დატოვება ტრადიციულ ადგილზე მოქმედებითის შემდეგ.

ძველ გრამატიკებში არსებულ ბრუნვათა რიგს პირველად მიაქცია ყურადღება არნ. ჩიქობავამ (1928 წ.) და დაასაბუთა, რომ სახელობითის შემდეგ უნდა იყოს მოთხრობითი (რადგან მოთხრობითი სახელობითის ძმაა, ისტორიულად მასზე უფროსი, უფრო ადრე ჩამოყალიბებული. ესაა პირველი სახელობითი), ხოლო მიცემითის შემდეგ უნდა იდგეს ვითარებითი, შემდეგ – ნათესაობითი და მოქმედებითი.

სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი ქვემდებარის ბრუნვებია და ამიტომ სამივე ერთად უნდა იყოს. მიცემითსა და ვითარებითში ფუძე უკვეცელია და თანაც მსაზღვრელი საზღვრულთან ბრუნების დროს ერთნაირი ფორმით – ფუძის სახით არის წარმოდგენილი. ამიტომ გამართლებულია მიცემითის შემდეგ ვითარებითის (მიმართულებითის) მოთავსება, ე.ი. პირველ ოთხ ბრუნვაში უკვეცელი ფუძე გვექნება. ნათესაობითსა და მოქმედებითში სახელი ერთნაირად იბრუნება, ფუძე ორივეგან კუმშვადია ან კვეცადი, ასევე ერთნაირ ვითარებას უჩვენებს მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებაც.

არნ. ჩიქობავას მიერ შემოთავაზებულ ბრუნვათა რიგში წოდებითი არ იგულისხმება, ამიტომ ასეთი დალაგება ამ შემთხვევაში სწორია. მაგრამ, რადგან წოდებითი სახელმძღვანელოებსა და პროგრამებში მაინც რჩება და, ჩვენი აზრითაც, იგი დამოუკიდებელი ბრუნვაა, ზემოგანხილული ბრუნვათა რიგი ერთი პრინციპით აღარ იქნებოდა აგებული. ვითარებითის მეოთხე ადგილზე მოთავსებით გაითიშება თანიანი მიცემითისა და ნათესაობითის ფორმები. ამდენად, ამ ეტაპზე ტრადიციული რიგი თეორიულად უფრო მართებული ჩანს და გამოსაყენებელია პრაქტიკულადაც.

2.7. არსებითი სახელის რიცხვი

2. 7. 1. რიცხვის რაობა. მისი სახეები. რიცხვი ანუ ერთისა და მრავლის ოპოზიცია ზოგადად შეიძლება გადმოიცეს გრამატიკულად და სემანტიკურად (ლექსიკურად).

გრამატიკული რიცხვი სახელის მორფოლოგიური კატეგორიაა, წარმოდგენილი სათანადო ნიშნით: სახლ-ი – სახლ-**ებ**-ი. გრამატიკულ რიცხვს უპირისპირდება სემანტიკური რიცხვი. იგი გამოიხატება ლექსიკურად – სიტყვის საშუალებით (სამი ძმა, მრავალი ბავშვი...) და სუპლეტურად – ფუძის მონაცვლეობით (მე – ჩვენ, შენ – თქვენ)[1]. მაშასადამე, სიმრავლის გამოხატვის საშუალებებია: მორფოლოგიური მარკერი, შინაარსობრივი ოპოზიცია და ფუძის მონაცვლეობა.

გრამატიკული რიცხვი სახელისა და ზმნის საზიარო კატეგორიაა. იგი შეიძლება იყოს მხოლობითი და მრავლობითი.

მხოლობითი რიცხვი აღნიშნავს ერთ საგანს ან საგანთა კრებულს: წიგნი, გზა, ხე... ხალხი, გუნდი, ერი...

მრავლობითი რიცხვი გამოხატავს ერთზე მეტ ერთგვარ საგანს, მოვლენას, თვისებას: წიგნები, გზები, ხეები...

შენიშვნა: ტერმინი „მხოლობითი" პირველად გამოიყენა ანტონ I-მა, მაგრამ იგი ერთადერთ ფორმად ვერ დამკვიდრდა, რადგან გრამატიკულად სწორია „მხოლოობითი" (მხოლო>მხოლოობითი, შდრ. კერძო > კერძოობითი), რომელსაც იყენებდნენ ძველი ქართველი გრამატიკოსები: ს. დოდაშვილი, პ. იოსელიანი, დ. ყიფიანი, თ. ჟორდანია და სხვ.

მოგვიანებით, ა. შანიძემ კვლავ აღადგინა ტერმინი „მხოლობითი" „მრავლობითის" გარეგნული მიმსგავსებით (მარცვალთა რაოდენობით ორივე ტოლია). მიუხედავად ამისა, ვ. თოფურიას აზრით, „უნდა დარჩეს „მხოლოობითი" როგორც სწორი, ისტორიულად მართებული და გავრცელებული". ამ თვალსაზრისს მხარს უჭერს ქართული ენის განმარტებითი და ორთოგრაფიული ლექსიკონები. დღეს საენათმეცნიერო ლიტერატურაში ორივე ფორმა გვხვდება, თუმცა „მხოლობითის" უპირატესობა აშკარაა.

---

[1] სემანტიკურად რიცხვის გამოხატვა ყველა ენას შეუძლია, გრამატიკული რიცხვი კი ყველას არა აქვს. მაგ., ჩინურში გრამატიკული რიცხვი არ აღინიშნება, მაგრამ ლექსიკური საშუალებები მოიპოვება სხვა ენათა მსგავსად.

ზოგიერთი სახელი შინაარსით მრავლობითია, მაგრამ ფორმით არ არის მრავლობითი, რადგან არ დაერთვის სათანადო ნიშანი. ასეთებია ძირითადად კრებითი და ნივთიერებათა სახელები, თუმცა ისინიც ზოგჯერ შეიძლება ფორმითაც იყოს მრავლობითი: მსოფლიოს **ხალხები** (ერები) იბრძვიან მშვიდობისათვის, შდრ. ქართველი **ხალხი** (ერი) გაიმარჯვებს; მინერალური **წყლები** სასარგებლოა, შდრ. ჭის **წყალი** ძალიან ცივია...

რიცხვის კატეგორია ფორმობრივ-სემანტიკურად ყველა ენაში ერთნაირი არაა. მაგალითად, ზოგიერთ ენაში (ძველ ბერძნულში, რუსულში, არაბულში...) არის სახელის რიცხვის სამ-სამი ფორმა: **ფორმა ერთისა** (მხ. რ.), **ფორმა ორისა** (ორობითი რ.) და **ფორმა მრავლისა** (მრ. რ.). ასეთ ენებში მრავლობითის გაგება ორს ზემოთ იწყება (ძვ. ბერძნ.: ჰო ანთროპოს – ადამიანი, ტო ანთროპო – ორი ადამიანი, ჰოი ანთროპოი – ადამიანები), ქართულში კი ერთზე მეტი უკვე მრავლობითია. ა. შანიძის დაკვირვებით, ორობითი (წყვილობითი) რიცხვი ძველად ქართულსაც უნდა ჰქონოდა; ასეთი ფორმები ჯერ კიდევაა შემორჩენილი ხევსურულში: ოჟნი = ორი ვაჟი, ოჟები = ვაჟები. ვარაუდობენ, რომ ორობითი რიცხვი წარმოიშვა წყვილად არსებული საგნების აღსანიშნავად; ორობითი რიცხვი გარდამავალი საფეხურია ერთიდან მრავლისაკენ (არნ. ჩიქობავა).

2.7.2. მრავლობითი რიცხვის წარმოება. ქართულში მრავლობითი რიცხვის ფორმა ორგვარია: **ებიანი** და **ნართანიანი**. ებიანი მრავლობითის მაწარმოებელია **ებ** სუფიქსი: სხივ-ი – სხივ-ებ-ი, სიტყვები, ნაძვები... ნართანიანისა კი – **-ნ** და **-თ**. -ნ ნიშნიან მრავლობითს **ნარ**იანი ჰქვია (სახლ-ნ-ი), -თ ნიშნიანს – **თან**იანი (სახლ-თ-ა).

ებიან მრავლობითს შვიდი ბრუნვა აქვს, ნართანიანს – ხუთი: აქედან ნარიანია ორი (სახელობითი და წოდებითი), თანიანი – სამი (მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი – ერთი ფორმით), არ ეწარმოება მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვები, თუმცა ვარაუდობენ, რომ უძველეს ქართულში ამ ორ

ბრუნვასაც უნდა ჰქონოდა თანიანი მრავლობითი (ნ. მარი, თ. შარაძენიძე...):

სახ.	ბავშვ-ი	ბავშვ-ებ-ი	ბავშვ-ნ-ი
მოთხ.	ბავშვ-მა	ბავშვ-ებ-მა	ბავშვ-თ-ა
მიც.	ბავშვ-ს	ბავშვ-ებ-ს (ა)	„
ნათ.	ბავშვ-ის	ბავშვ-ებ-ის (ა)	„
მოქ.	ბავშვ-ით	ბავშვ-ებ-ით (ა)	–
ვით.	ბავშვ-ად	ბავშვ-ებ-ად (ა)	–
წოდ.	ბავშვ-ო	ბავშვ-ებ-ო	ბავშვ-ნ-ო

ნართანიანი მრავლობითის ერთ პარადიგმაში სიმრავლის გამოსახატავად ორი ურთიერთმონაცვლე სუფიქსია გამოყენებული. უძველესი წერილობითი ძეგლების მიხედვით, ქრონოლოგიურად ძველია ნართანიანი მრავლობითი, ებიანი – შედარებით ახალი, თავს იჩენს VII-VIII საუკუნეებისა და შემდგომი ხანის ძეგლებში, ისიც ძირითადად უსულო საგნებისა ან „სოციალურად პასიურ არსებათა აღმნიშვნელ სახელებთან“ (კ. დონდუა), მაგრამ თავისი გარკვეული ფორმობრივი უპირატესობის გამო (ყველა ბრუნვა ჰქონდა), **ებ** თანდათან იფართოებდა მოხმარების სფეროს და ახალ ქართულში კიდეც გაბატონდა. სამაგიეროდ, ნელ-ნელა მცირდებოდა ნართანიანი მრავლობითის გამოყენების შემთხვევები[1].

მაშასადამე, მრავლობით რიცხვში გვაქვს სახელთა ბრუნების ორი სხვადასხვა სისტემა – პარადიგმა: პირველში **-ებ** სუფიქსის ერთადერთი ფუნქციაა რიცხვის გამოხატვა, მეორე კი შერეული სახისაა: **-ნ** სუფიქსი მხოლოდ რიცხვის ნიშანია (-ებ-ის მსგავსად), **-თ** ორმაგი ფუნქციისაა – გამოხატავს რიცხვსაც და ბრუნვასაც. **თ**-ს ორფუნქციანობა გვიანდელ მოვლენადაა მიჩნეული, თავდაპირველად ისიც მხო-

[1] სწორედ ორგვარი მრავლობითის თანაარსებობის შედეგია ქართულში ორმაგი მრავლობითის ფორმათა გაჩენა. სოფლ-**ებ**-**ნ**-ი, ეზო-**ებ**-**თ**-ა და მისთ. უკვე გვხვდება IX-X საუკუნეთა ხელნაწერებში, საკმაოდ გავრცელებულია საშუალ ქართულში, დასტურდება თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაშიც, მეტწილად კილოებში (ძმა-ნ-ებ-ი, ბიძა-ნ-ებ-ი, ძმებ-თა, ორ-თა-ვე-ნ-ი...), თუმცა სალიტერატურო ენამ იგი მაინც არ მიიღო.

ლოდ რიცხვის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო[1] (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, კ. დონდუა...). პირველი პარადიგმა (**-ებ** სუფიქსიანი) წმინდა აგლუტინაციურია, მეორე (**-ნ/-თ** სუფიქსიანი) – აგლუტინაციურ-ფლექსიური. მრავლობითი რიცხვის ნიშნებიდან ყველაზე ძველია **-თ**, შემდეგ მოდის **-ნ**; **-ებ** გვიანდელია.

მოხმარების მიხედვით, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში მრავლობითი რიცხვის ძირითადი ფორმაა ებიანი, ნართანიანი კი შედარებით იშვიათია, თუმცა არის მისი აუცილებელი გამოყენების შემთხვევებიც:

1) ზოგიერთ ნაცვალსახელს მხოლოდ ნართანიანი მრავლობითი აქვს: ეს**ენი**, ის**ინი**, ყველა**ნი**, მა**თ**...

2) მეორე მრავლობითი შეიძლება შეგვხვდეს რიცხვით სახელებშიც: ორ**ნი**, სამ**ნი**, შვიდ**თა**, ცხრა**თა**....

3) თანიანი მრავლობითი ძირითადია მყარ გამოთქმებში: ქალ**თა** დღე, სხდომა**თა** დარბაზი, მშობელ**თა** კრება...

შენიშვნა: 1. თანიან მრავლობითს მოთხრობითში, მიცემითსა და ნათესაობითში ერთნაირი ფორმა აქვს. რომ გავიგოთ, გამოსაცნობი სიტყვა რომელ ბრუნვაშია, თანიანის ნაცვლად უნდა ჩავსვათ ებიანი მრავლობითი: ფრინველთ (ფრინველებმა) დაიწყეს გალობა (მოთხრ.), ფრინველთ (ფრინველების) გალობა ისმის (ნათეს.)...

2. მიუთითებენ, რომ თანამედროვე ქართულში თანიანი მრავლობითი უფრო ხშირად იხმარება ნათესაობითი ბრუნვის ფუნქციით, შედარებით ნაკლებადაა მიცემითში (ისიც მეტწილად მხოლოდ **თ** სუფიქსით, **-ა**-ს გარეშე), მოთხრობითში კი **თა||თ** ფორმანტი, თითო-ოროლა გამონაკლისის გარდა, თითქმის აღარ გვხვდება. გარდა ამისა, სამწერლობო ქართულში, განსაკუთრებით პრესის ენაში, დღეს გამოიკვეთა ასეთი ტენდენციაც: ნათესაობითში **თა**-ს და მიცემითში **თ**-ს გამოყენება ჩამოყალიბდა როგორც გარკვეული კანონზომიერება და იგი ცდილობს საყოველთაოდ გავრცელდეს და სალიტერატურო ნორმად იქცეს (ბ. საბაშვილი).

მრავლობითი რიცხვის წარმოების თვალსაზრისით ქართულში თავისებურებას იჩენს ზოგიერთი არსებითი სახელი,

[1] ამას ადასტურებს ზმნის ჩვენებაც: აქაც მრავლობითის გამომხატველია **-თ** (ვწერ – ვწერ-თ).

მეტწილად უცხოურიდან შემოსული, რომლებიც გამოიყენება ხან მხოლობითის, ხან მრავლობითის ფორმით. ასეთებია: სათვალე || სათვალეები, ჯუნგლი || ჯუნგლები[1], ჯინსი || ჯინსები, შორტი || შორტები, რეიტუზი || რეიტუზები, კურანტი || კურანტები[2] და ა. შ. უცხოურ ენებში ამგვარი სახელებისათვის მართებულია მრავლობითის ფორმა, მაგრამ, ქართული ენის ბუნებიდან გამომდინარე, თუ ასეთი სიტყვა აღნიშნავს ერთ საგანს და მხოლობითშიც გვხვდება და მრავლობითშიც (თუმცა მრავლობითის გაგება არა აქვს), უპირატესობა უნდა მიენიჭოს მხოლობითის ფორმას; ამიტომ უნდა ითქვას და დაიწეროს: სათვალე, ჯუნგლი, ჯინსი, შორტი, რეიტუზი, კურანტი და ა. შ. (მ. ჭაბაშვილი). მაგ., ექიმმა სათვალე გაიკეთა, შდრ. მაგიდაზე სათვალეები აწყვია.

2.7.3. რიცხვის კატეგორიის შესწავლის ზოგიერთი საკითხი. ზოგად ლინგვისტიკაში რიცხვი მიჩნეულია ლოგიკურ-გრამატიკულ კატეგორიად. ლოგიკური თვალსაზრისით, იგი გულისხმობს სემანტიკურ ოპოზიციას: ერთი – ერთზე მეტი (ორი, სამი, ოთხი და ა. შ.). რიცხვის გრამატიკული კატეგორიაც ემყარება სემანტიკურ ოპოზიციას: მხოლობითი – მრავლობითი, რაც ენათა უმრავლესობისთვისაა დამახასიათებელი. ფართო გაგებით, რიცხვის კატეგორია მოიცავს ენის მორფოლოგიურ, სინტაქსურ და სემანტიკურ დონეებს. შესაბამისად, ერთი მხრივ, რიცხვი გრამატიკული კატეგორიაა, მეორე მხრივ, ის ლექსიკურ კატეგორიათა სფეროს განეკუთვნება. აქ იგულისხმება რიცხვითი სახელები, როგორიცაა: „ბევრი“, „მრავალი“ და ა. შ. (ლ. ეზუგბაია).

რიცხვი ქართულში სახელების ერთ-ერთი ძირითადი მორფოლოგიური კატეგორიაა. იგი იწარმოება **-ებ**, **-ნ**, **-თ** სუფიქსებით, რომლებიც განსხვავდება როგორც ქრონოლოგიური ასპექტით, ისე ფორმობრივ-ფუნქციურადაც. მაგ., არნ.

---

[1] **ჯუნგლი** ინგლისურია (ესაა ტროპიკული გაუვალი ტყე). რუსულში ეს სიტყვა გაფორმებულია მრავლობითად. მისი ანალოგიით უნდა იყოს ქართულშიც **ჯუნგლები**.

[2] **კურანტი** ფრანგულია, ნიშნავს კოშკის საათს, რომელიც ასრულებს რომელიმე მუსიკალურ ნანარმოებს. ქართულში შემოსულია რუსულიდან.

ჩიქობავას აზრით, ამ ნიშანთა თანხმოვნითი ნაწილები ისტორიულად ნივთის კლასის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო; მათი სხვაობა მომდინარეობს სხვადასხვა დიალექტური თუ ენობრივი წრიდან. **თ** ნიშანი გაცილებით ძველია, ვინემ **ნ**; ის იმდენად ძველია **ნ**-ზე, რამდენადაც მიცემითი და ნათესაობითი ძველია სახელობითზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში მრავლობითის სუფიქსთა ფუნქციური კვალიფიკაციაც არაერთგვაროვანია:

1) ა. შანიძის აზრით, რამდენადაც რიცხვი მიიჩნევა წარმოქმნის კატეგორიად, ამდენად, **-ებ** სუფიქსი წარმოსაქმნელ აფიქსად უნდა ჩაითვალოს;

2) არნ. ჩიქობავა **-ებ**-ს ასახელებდა გარდამავალი ტიპის ფორმანტად;

3) სახელთა მრავლობითობის **-ნ** და **-ებ** ნიშნები, თ. უთურგაიძის დაკვირვებით, სახელებსა და ზმნაში მხოლოდ ფლექსიური (ფორმის საწარმოებელი) ელემენტებია, რადგან ისინი ვერ ცვლიან სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას...

გარდა ამისა, მრავლობითი რიცხვის **ებ, ნ/თ** სუფიქსთა განსხვავებული ფუნქციებიდან გამომდინარე, ფიქრობენ, რომ **-ებ** მორფემის თავდაპირველი ფუნქცია (სემანტიკური ოპოზიციის გამო) შეიძლებოდა ყოფილიყო კ რ ე ბ ი თ ო ბ ი ს აღნიშვნა; მრავლობით რიცხვში შეთანხმების სინტაქსური ძალა შეძენილი ჩანს მოგვიანებით. ებ-სუფიქსიანი სახელი ზოგჯერ თანამედროვე ქართულშიც არ გამოხატავს მრავლობითობის სემანტიკას. ასეთებად დასახელებულია ფორმები: არდადეგები, მემუარები, **კარები** || კარი გაიღო, შეშები || შეშა მოიტანა, თმები || თმა დაივარცხნა... (ბ. ჯორბენაძე).

ნართანიანი დაბოლოებაც ისტორიულად არაერთ შემთხვევაში აღმოჩნდა სიტყვაწარმოების ფორმანტების როლშიც. მაგალითად: **დედანი, დავითნი, ლოცვანი** ტიპის სახელებს მრავლობითის გაგება არ ახლავს. ამგვარი სემანტიკის ფორმებია გეოგრაფიული სახელებიც: რკონი, კოშკები, მონამეთა, ბერთა და ა. შ.

2.8. სახელის ფუძე

2.8.1. ფუძე დაბოლოების, ცვლილებისა და შედგენილობის მიხედვით. ფუძე სახელის ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილია. მისი რეალურობა დასტურდება ანტიკურ გრამატიკულ ლიტერატურაში. აქ იმდენად გამოწვლილვითაა შესწავლილი ფუძის ძირითადი ნიშან-თვისებანი, რომ დღემდე არსებული ფუძის ყველა განმარტება სათავეს ძველი გრამატიკებიდან იღებს. ჯერ კიდევ მაშინ ცნობილი იყო პირველადი და წარმოქმნილი ფუძეების არსებობა, დეტალურად იყო დახასიათებული წარმოქმნის პრინციპები და საშუალებანი. ტრადიციული განმარტებით, **ფუძე** ჰქვია სიტყვის იმ ნაწილს, რომელიც ატარებს მოცემული სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას. სხვაგვარად ფუძეს ასეც განსაზღვრავენ: ფუძე ჰქვია სახელის იმ ნაწილს, რომელსაც ბრუნვის ნიშნები დაერთვის.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია ფუძის დეფინიციის ორ ნაკლზე: 1) ფუძე ძირითადად განიმარტება ლექსიკური მნიშვნელობის პოზიციიდან, ამიტომაც მისი სხვა ძირითადი ნიშან-თვისებანი შეუმჩნეველი რჩება; 2) ფუძე განიმარტება განყენებულად და არა ენის მუდმივ, განახლებად პროცესში – დინამიკაში, რაც ენობრივ ფორმათა ურთიერთმიმართებით ვლინდება (ე. ი. ამ განმარტებაში არ იგულისხმება ფუძის ფუნქციურ-ფორმობრივი დახასიათება). სწორედ ეს ნაკლია გათვალისწინებული ბ. ჯორბენაძის კვალიფიკაციაში: „ნებისმიერი ენობრივი ფორმის ის მონაკვეთი, რომელსაც მოეპოვება ლექსიკური და გრამატიკული ფუნქციები, არის ფუძე მოცემული ფორმისა".

დაბოლოების მიხედვით ფუძე ორგვარია: თანხმოვნიანი და ხმოვნიანი. თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი სახელებია: ბავშვ-ი, წიგნ-ი, ჩიტ-ი... ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი ა: ხე, გზა, წყარო, რუ, ჩაი...

ცვლილების მიხედვით ფუძე სრულია ან უსრული. ს რ უ ლ ი ა ფუძე, თუ მას არ აკლია არც ერთი ხმოვანი: სახლ-ი – სახლ-ის, წყარო – წყარო-სი, რუ – რუ-სი... უ ს რ უ -

ლია ფუძე, თუ მას აკლია რომელიმე ხმოვანი: ფანქარ-ი – ფანქრ-ის, კედელ-ი – კედლ-ის, მიწა – მიწ-ის, ტყე – ტყ-ის, მცხეთა – მცხეთ-ური, მოყვარე – მოყვრ-ის... ე. ი. უსრული ფუძე შეკუმშულია ან შეკვეცილი, ან კიდევ ერთდროულად – შეკუმშულიც და შეკვეცილიც.

შედგენილობის (აგებულების) მიხედვით ფუძე შეიძლება იყოს მარტივი, რთული ან ნაწარმოები.

მარტივი ფუძე იგივე ძირია, იგი აღარ დაიშლება. ასეთია: დღე, ცა, ხე, თავ-ი, ქალ-ი...

რთული ფუძე მიიღება მარტივი ფუძის გაორკეცებით: რაკრაკი, თავთავი, წამწამი ხარხარი... აგრეთვე ორი ან მეტი ფუძის შეერთებით: ქალიშვილი, ხელმარჯვე, დედაკაცი, სახლ-კარი, მიდრო-ველი...

ნაწარმოები ფუძე სადერივაციო აფიქსების დართვით მიიღება

ა) მარტივი ფუძისაგან: ნიჭი – ნიჭიერი, ძმა – ძმური, ჩოხა – საჩოხე... ასეთი ფუძე პირველადია.

ბ) რთული ფუძისაგან: ვაჟკაცი – ვაჟკაცობა, გულისყური – უგულისყურო, დედ-მამა – დედმამიანი...

გ) წარმოქმნილი ფუძისაგან: მებაღე – მებაღეობა, ცხენოსანი – ცხენოსნობა... ამგვარი ფუძე მეორეულია.

მნიშვნელობის თვალსაზრისით განასხვავებენ მოტივირებულ და არამოტივირებულ ფუძეებს. პირველ შემთხვევაში ფუძის მნიშვნელობა გასაგები ხდება მასში შემავალი ნაწილების მნიშვნელობით: მაგ., სათვალე (<თვალ+სა-ე), რაც განკუთვნილია თვალისთვის, ხოლო არამოტივირებულია ისეთი ფუძე, რომლის მოტივირების ახსნა არ ხერხდება.

2.8.2. ფუძის გამოყოფის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში. ტრადიციული შეხედულებით, სახელის ფუძე რომ მოვნახოთ, სახელი უნდა ჩავსვათ მოთხრობით ბრუნვაში, ჩამოვაშოროთ ბრუნვის ნიშანი და, რაც დარჩება, ის იქნება ფუძე: წიგნ-ი – წიგნ-მა > **წიგნ** ფუძე. ამასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში ისიც შენიშნულია, რომ ფუძის მონახვისას უპირატესობა ეძლევა მოთხრობით ბრუნვას, თუმცა ფუძე ყოველთვის სრული სახით არის წარმოდგენი-

ლი მიცემითშიც (ლ. კვაჭაძე). ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში უფრო მარჯვე საშუალება ჩანს **მიცემითი ბრუნვა**, სადაც ბრუნვის ნიშანი ყოველთვის ერთი აფიქსია, მოთხრობითში კი **მა, მ**-ს გვერდით **ნ**-ც გამოიყენება (ვი-ნ, მა-ნ).

ქართულ ლინგვისტიკაში თეორიული თუ პრაქტიკული სწავლების ასპექტით ერთ-ერთი საინტერესო საკითხია სახელის ფუძის, როგორც ცალკე ენობრივი ერთეულის, შემადგენელ ელემენტთა კვალიფიკაცია, ანუ სხვაგვარად: დასაზუსტებელია რიცხვის ნიშნების ადგილი და ფუნქცია ფუძესთან მიმართებით.

ცნობილია, რომ დღეს ფუძის გამოყოფა სხვადასხვა კრიტერიუმით ხდება. შესაბამისად, ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ორი ძირითადი მოსაზრება: ერთის მიხედვით, ფუძის შემადგენელ ნაწილად განიხილება მრავლობითი რიცხვის ნიშნებიც, ამის გამო მრავლობითში ყველა სახელი თანხმოვანფუძიანადაა მიჩნეული (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ლ. კვაჭაძე...). ფაქტობრივად ამ პრინციპს ემყარება სახელის ფუძის კვალიფიკაცია ტრადიციულ გრამატიკებში, სასკოლო სახელმძღვანელოებში (თუმცა ეს წესი ყოველთვის არაა დაცული: ზოგან ფუძე რიცხვის ნიშნის გარეშეა, ზოგ გამოცემაში კი იგი ფუძის კუთვნილებადაა მიჩნეული). მეორე თვალსაზრისით დასაბუთებულია, რომ „სახელის ფორმათა ტერმინალური ბრუნვის ნიშანი და მის წინ მდგომი რიცხვის ნიშანი ფლექსიური ელემენტებია და სახელის ფუძეში, რომელიც სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას ატარებს, არ შედიან: კაც-ებ-ი, კაც-ნ-ი. ამ ფორმათა ფუძეა კაც... თუ სახელის ერთი ფორმის ფარგლებში ერთზე მეტი რიცხვის ნიშანია, მაშინ მხოლოდ ბოლო ნიშანი არ შედის, წინა კი ფუძეს ეკუთვნის: კარებ-ებ-ი“ (თ. უთურგაიძე). სახელის ფუძის ამგვარი კვალიფიკაცია ჩვენც მართებულად მიგვაჩნია. წინააღმდეგ შემთხვევაში თავს იჩენს საცილობელი მხარეები, რაც, თავის მხრივ, ქმნის გარკვეულ უხერხულობას პრაქტიკული ანალიზის დროს და ზოგჯერ უზუსტობის საფუძველიც ხდება. მაგალითად:

1) ერთსა და იმავე სახელს მხოლობითში სხვა ფუძე ექნება და მრავლობითში სხვა (მიწა – მიწებ-ი), მეტიც: შესაძლებელია სახელის ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ნაწილს – ფუძეს ერთდროულად აღმოაჩნდეს ოთხი სხვადასხვა ფუძე: ბავშ, ბავშვებ, ბავშვნ, ბავშვთ.

2) როგორც ჩანს, პირველი მოსაზრების ავტორებს ძირითადი აქცენტი გადააქვთ მრავლობითი რიცხვის მხოლოდ **ებ** სუფიქსზე, **ნ** და **თ** კი ყურადღების მიღმაა დარჩენილი, მაშინ როცა მეორე მრავლობითის ფორმები ენაში კვლავაც არსებობს და მათი ჩვენებაც ანგარიშგასაწევი უნდა იყოს.

3) თუ თანიანი მრავლობითის შემთხვევაში, განსაკუთრებით ე. წ. მყარ გამოთქმებში, ფუძეს ჩამოვაშორებთ **თ**-ს (როგორც ბრუნვის ნიშანს), მაშინ რიცხვის ნიშანიც ბუნებრივად ჩამოსცილდება. თუ არ ჩამოვაშორებთ, მაშინ ბრუნვის ფორმა ფუძედ იქცევა: **ფრინველ**-თ გალობა ისმის, შდრ. **ფრინველთ** გალობა... ბუნებრივად ჩნდება კითხვები: რა არის თანიან მრავლობითში ფუძე? როგორ მოიძებნოს ზოგადად სახელის ფუძე? პასუხად ვფიქრობთ, მრავლობითი რიცხვის შემთხვევაში ფუძეს ბრუნვის ნიშანთან ერთად ყველგან ჩამოშორდეს რიცხვის ნიშნებიც (-ებ, -ნ, -თ); ამით ფუძის მონახვის წესი ორივე მრავლობითში ერთნაირი იქნება და თანიანი მრავლობითის იგნორირებაც აღარ მოხდება.

4) ჩვენი მსჯელობის სასარგებლოდ მეტყველებს ზმნის ანალოგია (ზმნის ფუძეც პირისა და რიცხვის ნიშნების ჩამოშორებით მიიღება), ასევე ევროპულ ენებში სახელისა და ზმნის ფუძის მონახვის ზოგადი წესი.

ამრიგად, ვფიქრობთ, ფუძის მონახვისას უპირატესობა მიენიჭოს მხოლობითი რიცხვის მიცემით ბრუნვას; ფუძედ ჩაითვალოს ბრუნვისა და რიცხვის ნიშნების ჩამოშორების შემდეგ დარჩენილი სიტყვის ნაწილი. რიცხვის ნიშნებიც ფლექსიური აფიქსებია და ფუძეში არ შედის (უფრო ვრცლად იხ. აგრეთვე ჩვენი „სახელის ფუძის სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები, 2005).

2.9. თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელის ბრუნება

2.9.1. ფუძეუკუმშველი სახელები. ფუძის ცვლილების მიხედვით თანხმოვანფუძიან არსებით სახელებში გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი: ფუძეუკუმშველი და ფუძეკუმშვადი.

უკუმშველია სახელი, რომლის ფუძეში ბრუნების დროს არავითარი ცვლილება არ ხდება. ასეთებია: საზოგადო არსებითი სახელების უმეტესობა, საკუთარი სახელებიდან ყველა პირის სახელი, გვარებისა და გეოგრაფიული სახელების უმრავლესობა.

საზოგადო არსებითი სახელი ბრუნების დროს რაიმე თავისებურებას არ ამჟღავნებს, ეწარმოება ორივე მრავლობითი, შეიძლება დაერთოს ემფატიკური **ა** ხმოვანიც:

სახ.	სახლ-ი	სახლ-ებ-ი	სახლ-ნ-ი
მოთხ.	სახლ-მა	სახლ-ებ-მა	სახლ-თა
მიც.	სახლ-ს(ა)	სახლ-ებ-ს(ა)	〃
ნათ.	სახლ-ის(ა)	სახლ-ებ-ის(ა)	〃
მოქ.	სახლ-ით(ა)	სახლ-ებ-ით(ა)	—
ვით.	სახლ-ად(ა)	სახლ-ებ-ად(ა)	—
წოდ.	სახლ-ო	სახლ-ებ-ო	სახლ-ნ-ო

ანალოგიურად იბრუნება **გვარებიც** (გარდა **ელ**-ზე დაბოლოებულებისა):

სახ.	იაშვილ-ი	იაშვილ-ებ-ი	იაშვილ-ნ-ი
მოთხ.	იაშვილ-მა	იაშვილ-ებ-მა	იაშვილ-თა
მიც.	იაშვილ-ს	იაშვილ-ებ-ს	〃
ნათ.	იაშვილ-ის	იაშვილ-ებ-ის	〃
მოქ.	იაშვილ-ით	იაშვილ-ებ-ით	—
ვით.	იაშვილ-ად	იაშვილ-ებ-ად	—
წოდ.	იაშვილ-ო	იაშვილ-ებ-ო	იაშვილ-ნ-ო

გეოგრაფიული სახელი იბრუნვის საზოგადო სახელის მსგავსად, ოღონდ არ გააჩნია მრავლობითი რიცხვი, ადამიანის **პირის სახელი** კი ხასიათდება შემდეგი თავისებურებით: 1) წოდებითში არ დაირთავს ბრუნვის ნიშანს (თუმცა დიალექტებში ზოგჯერ ისიც გაფორმებულია ნიშნით: დავით-ო, ეთერ-ო...); 2) ვერ აწარმოებს მრავლობით რიცხვს (მაგრამ, თუ პირის სახელი ლიტერატურული ტიპის აღსანიშნავად გამოიყენება, მაშინ მრავლობითი რიცხვიც აქვს: ლუარსაბები, ასმათები, ავთანდილები...):

სახ.	თამარ-ი	დავით-ი	ქუთაის-ი
მოთხ.	თამარ-მა	დავით-მა	ქუთაის-მა
მიც.	თამარ-ს(ა)	დავით-ს(ა)	ქუთაის-ს(ა)
ნათ.	თამარ-ის(ა)	დავით-ის(ა)	ქუთაის-ის(ა)
მოქ.	თამარ-ით(ა)	დავით-ით(ა)	ქუთაის-ით(ა)
ვით.	თამარ-ად(ა)	დავით-ად(ა)	ქუთაის-ად(ა)
წოდ.	თამარ	დავით	ქუთაის-ო

პირის სახელი ბრუნების დროს ძველ ქართულში უფრო მეტ თავისებურებას ამჟღავნებდა: 1) სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში ბრუნვის ნიშანს არ დაირთავდა, 2) არ ღებულობდა ემფატიკურ **ა**-ს, 3) უჭირდა მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვების წარმოება. დღეს საზოგადო და საკუთარი (პირის) სახელების ბრუნება გათანაბრებულია, მხოლოდ წოდებითმა შეინარჩუნა ძველი ვითარება.

პირის სახელი მიმართვისას ყოველთვის წოდებითის ფორმით (ფუძის სახით) უნდა იყოს: ვახტანგ! ზურაბ! თინათინ! და არა: ვახტანგი! ზურაბი! თინათინი! თუმცა გვარებს წოდებითში აუცილებლად უნდა ჰქონდეს ბრუნვის ნიშანი: ონიანო! მესხიშვილო! და არა: ონიანი! მესხიშვილი!

2.9.2. ფუძეკუმშვადი სახელები. ზოგიერთი თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელის ბრუნების დროს ფუძე ნაწილობრივ იცვლება – იკუმშება. **კუმშვა** ანუ რედუქცია ისეთი ფონეტიკური პროცესია, როცა ფუძისეული ხმოვანი დასუსტების შედეგად ან მთლიანად იკარგება, ან თანხმოვნად იქცევა: ფუტკარი – ფუტკრ-ის, ნიგოზ-ი – ნიგვზ-ის...

კ უ მ შ ვ ა დ ი ა სახელი, რომლის ფუძე ხმოვნის დაკარგვის შედეგად ვიწროვდება, ე. ი. იკუმშება. კუმშვას იწვევს ხმოვნით დაწყებული აფიქსის დართვა. ეს აფიქსებია ბრუნვისა და რიცხვის ნიშნები (**-ის, -ით, -ად, -ებ**), აგრეთვე ზოგიერთი სადერივაციო აფიქსი (**-ელ, -ურ, -ოსან, -ოვან, მე – ე, სა – ე**...).

შენიშვნა: სახელობითისა და წოდებითი ბრუნვის ნიშნებიც ხმოვნებია, მაგრამ ისინი ფუძეს ვერ კუმშავენ. ამის მიზეზად მიჩნეულია, ერთი მხრივ, სათანადო ნიშანთა წარმომავლობა, ანუ **ი** და **ო** არ არის წარმოშობით ბრუნვის ნიშანი (ა. შანიძე, ი. იმნაიშვილი, ჰ. ფოგტი...) და, მეორე მხრივ, ამ ნიშანთა შეუგენილობა: ოდენხმოვნიანი სუფიქსი რედუქციას ვერ იწვევდა.

რედუქციის გამომწვევია მხოლოდ ის ნიშანი, რომელიც ხმოვნით იწყებოდა და დახურულ მარცვალს ქმნიდა (ა. დავითიანი, შ. კეკელია, გ. გოგოლაშვილი, თ. უთურგაიძე, ა. ონიანი...).

ფუძის კუმშვა ხდება მხოლობითი რიცხვის სამ ბრუნვასა (ნათ., მოქმ., ვით.) და მთელ ებიან მრავლობითში; ნართანიან მრავლობითში ფუძე საერთოდ არ იცვლება.

ახალ ქართულში შეიძლება შეიკუმშოს როგორც ერთმარცვლიანი, ისე ორ- და მეტმარცვლიანი ფუძეც. რედუქციისათვის მნიშვნელობა არ აქვს მარცვალთა რაოდენობას (მაგ., ბალ-ი – ბლ-ის, კედელ-ი – კედლ-ის...), მაგრამ, ძველი ქართულის წერილობითი ძეგლების მიხედვით, ვარაუდობენ, რომ ფუძისეული ხმოვნის რედუქცია უშუალო კავშირში იყო ფუძეში მარცვალთა რაოდენობასთან. ერთ, ორ- და მეტმარცვლიან ფუძეებში ხმოვანთა რედუქცია არის გვიანდელი მოვლენა და ერთგვარ დაბოლოებიან ფუძეთა ერთ ყალიბში მოქცევის ფაქტი (თ. უთურგაიძე, გ. გოგოლაშვილი).

კუმშვის დროს ფუძეში შეიძლება დაიკარგოს **ა, ე, ო** ხმოვნები. ამათგან **ა** და **ე** ყოველთვის უკვალოდ იკარგება, **ო** კი ზოგჯერ კვალს ტოვებს **ვ**-ს სახით (მაგრამ, თუ ასეთი **ვ** ბგერა მოექცევა ბაგისმიერი თანხმოვნების გვერდით, მაშინ ისიც დაიკარგება: მაწონი – მაწვნის, შდრ. ობოლი>ობვლის>ობლ-ის...). **ი** და **უ** მყარი ხმოვნებია და, როგორც წესი, რედუქციას არ განიცდიან (ა. შანიძე).

ფ უ ძ ე კ უ მ შ ვ ა დ ი ა უმთავრესად **ალ, ელ, ოლ, არ, ერ, ორ, ან, ენ, ონ, ამ, ემ, ავ** მარცვლებზე დაბოლოებული ა) საზოგადო არსებითი სახელები, ბ) საკუთართაგან – გეოგრაფიული სახელები და **ელ**-ზე დაბოლოებული გვარები.

ა)

იკარგება **ა** და **ე**:

სახ.	ხმალ-ი	ირემ-ი	ხმლ-ებ-ი	ირმ-ებ-ი
მოთხ.	ხმალ-მა	ირემ-მა	ხმლ-ებ-მა	ირმ-ებ-მა
მიც.	ხმალ-ს	ირემ-ს	ხმლ-ებ-ს	ირმ-ებ-ს
ნათ.	ხმლ-ის	ირმ-ის	ხმლ-ებ-ის	ირმ-ებ-ის
მოქ.	ხმლ-ით	ირმ-ით	ხმლ-ებ-ით	ირმ-ებ-ით
ვით.	ხმლ-ად	ირმ-ად	ხმლ-ებ-ად	ირმ-ებ-ად
წოდ.	ხმალ-ო	ირემ-ო	ხმლ-ებ-ო	ირმ-ებ-ო

იკარგება ო ან ო>ვ:

სახ.	ფოთოლ-ი	ფოთლ-ებ-ი	მინდორ-ი	მინდვრ-ებ-ი
მოთხ.	ფოთოლ-მა	ფოთლ-ებ-მა	მინდორ-მა	მინდვრ-ებ-მა
მიც.	ფოთოლ-ს	ფოთლ-ებ-ს	მინდორ-ს	მინდვრ-ებ-ს
ნათ.	ფოთლ-ის	ფოთლ-ებ-ის	მინდვრ-ის	მინდვრ-ებ-ის
მოქ.	ფოთლ-ით	ფოთლ-ებ-ით	მინდვრ-ით	მინდვრ-ებ-ით
ვით.	ფოთლ-ად	ფოთლ-ებ-ად	მინდვრ-ად	მინდვრ-ებ-ად
წოდ.	ფოთოლ-ო	ფოთლ-ებ-ო	მინდორ-ო	მინდვრ-ებ-ო

ბ)

სახ.	მტკვარ-ი	ყვარელ-ი	წერეთელ-ი	წერეთლ-ებ-ი	წერეთელ-ნ-ი
მოთხ.	მტკვარ-მა	ყვარელ- მა	წერეთელ-მა	წერეთლ-ებ-მა	წერეთელ-თა
მიც.	მტკვარ-ს	ყვარელ-ს	წერეთელ-ს	წერეთლ-ებ-ს	"
ნათ.	მტკვრ-ის	ყვარლ-ის	წერეთლ-ის	წერეთლ-ებ-ის	"
მოქ.	მტკვრ-ით	ყვარლ-ით	წერეთლ-ით	წერეთლ-ებ-ით	—
ვით.	მტკვრ-ად	ყვარლ-ად	წერეთლ-ად	წერეთლ-ებ-ად	—
წოდ.	მტკვარ-ო	ყვარელ-ო	წერეთელ-ო	წერეთლ-ებ-ო	წერეთელ-ნ-ო

შეიძლება არსებითი სახელი ბოლოვდებოდეს ზემოთ ჩამოთვლილ მარცვლებზე, მაგრამ უკუმშველი იყოს: ქალ-ი – ქალ-ისა, ზარ-ი – ზარ-ისა, ცალ-ი – ცალ-ისა... ზოგჯერ ერთი და იგივე სახელი ერთ შემთხვევაში კუმშვადია, მეორეში – უკუმშველი. მაგალითად, თუ **თვალი, წელი** სხეულის ნაწილებია, უკუმშველია (**თვალის** სინათლე, **წელის** ტკივილი), სხვა მნიშვნელობით გამოყენებული კი – კუმშვადი (ბეჭდის **თვლის** ჩასმა, **წლის** დროები).

ცალკე აღებული სიტყვები: **კარი, დარი, ქარი, ბერი**... უკუმშველია: კარ-ის (დახურვა), დარ-ის (დადგომა), ქარ-ის (გაძლიერება), ბერ-ის (აღსარება), მაგრამ, თუ ეს ფუძეები კომპოზიტის ნაწილად იქცევა, მაშინ იკუმშება: ცისკრ-ის ზარები, ავდრ-ის ნიშნები, ნიავქრ-ის სიგრილე, დედაბრ-ის მოთქმა... იშვიათად შეიძლება შეიკუმშოს სხვა მარცვლებზე დაბოლოებული სახელებიც: ბეჭედ-ი – ბეჭდ-ისა, ხოხობ-ი – ხოხბ-ისა, კაკაბ-ი – კაკბ-ისა, ნიჩაბ-ი – ნიჩბ-ისა, ნაბად-ი – ნაბდ-ისა...

ქართულში სახელის კუმშვა-უკუმშველობას მეცნიერთა ნაწილი (ნ. მარი, არნ. ჩიქობავა, გ. ახვლედიანი, გ. დეეტერსი...) უკავშირებს ისტორიულად განსხვავებული სიძლიერის მახვილის არსებობას. მაგალითად, არნ. ჩიქობავას დაკვირვებით, ფუძის კუმშვა სალიტერატურო ენაში შემოტანი-

ლი უნდა იყოს ინტენსიური დინამიკური მახვილის მატარებელი დიალექტის მიერ, უკუმშველი სახელი კი დამახასიათებელი იქნებოდა ტონური მახვილის მქონე დიალექტური ფენისათვის. როცა მახვილის მოქმედების ძლიერმა პერიოდმა გაიარა, ძველ სალიტერატურო ქართულში დაილექა როგორც ერთის, ისე მეორის ფორმები. შემდეგში, როცა მახვილის ეს ძლიერი მოქმედება შენელდა, ფუძის შეკუმშვა უკვე ტრადიციის საკითხს წარმოადგენს.[1]

ძირითადად, ალბათ, ამით უნდა იყოს შეპირობებული ფუძის კუმშვა-უკუმშველობის (ასევე, ზოგადად, კვეცა-უკვეცელობის) ის განსხვავებული ვითარება, რომელიც თავს იჩენს თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით სასაუბრო მეტყველებაში. მაგ., სახელები: ქართველი, ლიმონი, ფრინველი, თბილისელი, ფეხბურთელი და მისთ. შეკუმშულიცაა და შეუკუმშავიც. საზოგადოდ, აღმოსავლურ დიალექტებში (და, შესაბამისად, ამ კუთხიდან გამოსულ მწერალთა ნაწერებში) უფრო შესამჩნევია ფუძის კუმშვის შემთხვევები, დასავლურში კი ეს პროცესი ერთგვარად შენელებულია.

2.10. ხმოვანფუძიანი არსებითი სახელის ბრუნება

ქართულში ხმოვანფუძიან სახელთა უმეტესობა ბოლოვდება **ა** და **ე** ხმოვნებზე, უფრო ნაკლებად – **ო**-სა და **უ**-ზე; **ი**-ზე დაბოლოებულია მხოლოდ უცხოურიდან შემოსული რამდენიმე სიტყვა: ჩაი, პაი, ტრამვაი, ტაქსი[2], დიჯეი... აკაკი, გიორგი, კორნელი... ახალ ქართულში ამ რიგში ჩადგა **გივი**.

ხმოვანფუძიანი სახელი, თანხმოვანფუძიანთაგან განსხვავებით, ხასიათდება შემდეგი ზოგადი თავისებურებებით:

1) ახალ ქართულში არ დაერთვის სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი. ძველი ქართულის **ი** დასუსტდა, **ჲ**-დ იქცა და

[1] ჰ. ფოგტის აზრით, ქართულში ფუძის კუმშვა ხდება მახვილისაგან დამოუკიდებლად. ეს მოვლენა მას მიაჩნია აბსოლუტური და სავალდებულო ხასიათის ერთ-ერთ მორფოლოგიურ ნორმად.

[2] თუმცა დღეს ქართულში, განსაკუთრებით სასაუბრო ენაში, აქ ი გაგებულ იქნა ბრუნვის ნიშნად: ტაქს-ი, ტაქს-მა (არ გააჩერა), ტაქს-ს (ველოდები) და ა. შ., ამიტომაც ტაქსი თანხოვანფუძიანთა გვერდით იკავებს ადგილს.

ბოლოს ისიც დაიკარგა: დედაი>დედაჲ> დედა (ძველი ვითარება დღეს შემორჩენილია მხოლოდ დიალექტებში);

2) მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია **-მ**, მაგრამ **-ც** ნაწილაკის დართვისას იგი გავრცობილ იქნება **-ა** ხმოვნით (მამამ+ც>მამა-მა-ც), რის შედეგად მიიღება მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის **მა** ალომორფი;

3) ვითარებითი ბრუნვის ნიშანია მხოლოდ **-დ**;

4) წოდებითი ბრუნვის ნიშნებია **-ო** (ერთმარცვლიანებთან), **-ვ** (ორ- და მეტმარცვლიანებთან) და Ø.

ხმოვანფუძიან სახელებში გამოიყოფა სამი ქვეჯგუფი: უკვეცელი, კვეცადი და კუმშვად-კვეცადი სახელები.

2.10.1. ფუძეუკვეცელი სახელები. უკვეცელია სახელი, რომლის ფუძეში ბრუნების დროს ცვლილება არ ხდება. ქართულში ძირითადად უკვეცელია:

1) **ო, უ, ი**-ზე დაბოლებული საზოგადო სახელები (გარდა ღვინისა);

2) **ა**-ზე დაბოლოებული ზოგიერთი სახელი: ა) **ნაცარქექია** ტიპისა, კნინობითი სახელები (ლურჯა, დედოფალა...) მხოლობით რიცხვში; ბ) ნათესაური დამოკიდებულების აღმნიშვნელი სახელები (დედა, მამა, ბებია...), როცა გამოყენებულია საკუთარი სახელის მნიშვნელობით (დედას ოთახი დავალაგე, შდრ. დედის დარიგება შვილს მუდამ უნდა ახსოვდეს);

3) **ე**-ზე დაბოლოებული უცხოური წარმოშობის საზოგადო არსებითი სახელები (ტირე, კაშნე, კუპე, ჟელე, იუბილე...);

4) **ა, ია, უა, ვა**-ზე დაბოლოებული ქართული გვარები მხოლობით რიცხვში;

5) **ე**-ზე დაბოლოებული უცხოური გვარები მხოლობითსა და მრავლობით რიცხვში;

6) ადამიანის (პირის) ყველა სახელი.

უკვეცელ **საზოგადო** სახელებს ეწარმოება ორივე მრავლობითი, წოდებითში დაერთვის **-ო** ან **-ვ** ნიშანი; ანალოგიურად იბრუნება უცხოურიდან შემოსული საზოგადო სახელებიც:

სახ.	წყარო	წყარო-ებ-ი	წყარო-ნ-ი	ტირე	ტირე-ებ-ი
მოთხ.	წყარო-მ	წყარო-ებ-მა	წყარო-თა	ტირე-მ	ტირე-ებ-მა
მიც.	წყარო-ს	წყარო-ებ-ს	„	ტირე-ს	ტირე-ებ-ს
ნათ.	წყარო-ს(ი)	წყარო-ებ-ის	„	ტირე-ს(ი)	ტირე-ებ-ის
მოქ.	წყარო-თ(ი)	წყარო-ებ-ით	—	ტირე-თ(ი)	ტირე-ებ-ით
ვით.	წყარო-დ	წყარო-ებ-ად	—	ტირე-დ	ტირე-ებ-ად
წოდ.	წყარო-ვ	წყარო-ებ-ო	წყარო-ნ-ო	ტირე-ვ	ტირე-ებ-ო

უკვეცელ სახელთაგან მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოება ადამიანის პირის სახელებსა და გეოგრაფიულ სახელებს:

სახ.	ნონა	გივი[1]	აკაკი	საქართველო
მოთხ.	ნონა-მ	გივი-მ	აკაკი-მ	საქართველო-მ
მიც.	ნონა-ს	გივი-ს	აკაკი-ს	საქართველო -ს
ნათ.	ნონა-ს(ი)	გივი-ს	აკაკი-ს	საქართველო-ს(ი)
მოქ.	ნონა-თ(ი)	გივი-თ	აკაკი-თ	საქართველო-თ(ი)
ვით.	ნონა-დ	გივი-დ	აკაკი-დ	საქართველო-დ
წოდ.	ნონა	გივი	აკაკი	საქართველო-ვ

პირის სახელები, როგორც წესი, წოდებით ბრუნვაში ნიშანს არ დაირთავენ, მაგრამ ზოგჯერ ცოცხალ მეტყველებასა და სამწერლობო ენაშიც ნიშნითაც გვხვდება: ზურა-ვ, საბა-ვ, პეტრე-ვ...[2] ასევე: გეოგრაფიული სახელი წოდებითში შეიძლება უნიშნოდაც იყოს (საქართველო!).

უკვეცელია **ა, ია, ვა**-ზე დაბოლოებული ქართული გვარები, **ნაცარქექია** ტიპისა და კნინობითი სახელები მხოლობით რიცხვში (მრავლობითში ისინი კვეცადები არიან) და **ე**-ზე გათავებული უცხოური გვარები ორივე რიცხვში:

ლეჟავა – ლეჟავა-ს(ი), მაგრამ: ლეჟავ-ებ-ი...

ნაცარქექია – ნაცარქექია-სი, მაგრამ: ნაცარქექი-ებ-ი...

ტოროლა – ტოროლას(ი), მაგრამ: ტოროლ-ებ-ი...

გოეთე – გოეთე-ს(ი)... გოეთე-ებ-ი – გოეთე-ებ-ის...

---

[1] მ. შანიძის დაკვირვებით, ეს სახელი სპარსული ნარმოშობისაა. XVII-XVIII საუკუნეების ისტორიულ დოკუმენტებში, თარგმანებში იგი გვხვდება როგორც თანხმოვანფუძიანი სახელი (გივ-ი, გივ-მა, გივ-ს...), მაგრამ შემდგომ ბრუნვის ნიშნისეული **ი** ფუძის კუთვნილება გახდა, შესაბამისად, საკუთარი სახელი **გივი** დღეს ხმოვანფუძიანია, სალიტერატურო ენის ნორმირების თვალსაზრისითაც მართებული ფორმაა.

[2] დიალექტებში შეიმჩნევა საპირისპირო ტენდენციაც: **ა**-ზე დაბოლოებული სამ- და მეტმარცვლიანი საკუთარი სახელი მოიკვეცს ფუძის ბოლო ხმოვანს: მაყვალა – მაყვალ! ლამარა – ლამარ!

ფუძეუკვეცელი სახელი (საზოგადო თუ საკუთარი) ბრუნების დროს არ იცვლის ფუძეს, სამაგიეროდ, იცვლება ბრუნვის ნიშნები: ნათესაობითსა და მოქმედებითში იკარგება ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი **ი** და რჩება **ს** და **თ** თანხმოვნები. მოქმედებითში **თ** გვაქვს მხოლოდ **ი** ხმოვანზე გათავებულ ფუძეებთან (ჩაი-თ, ტრამვაი-თ, ტაქსი-თ...), სხვა შემთხვევაში **თ**-ს შემდეგ განვითარდა **ი** და მივიღეთ **თი** დაბოლოება (წყარო-თი, რუ-თი...). ასევე: ნათესაობით ბრუნვაშიც ზოგჯერ **-ს** ნიშნის შემდეგ ჩნდება **ი**: წყალი წყაროს(ი). ამგვარ პოზიციაში თავჩენილი **ი** ხმოვნის წარმომავალობა და ფუნქცია სხვადასხვაგვარადაა ახსნილი (იხ. გვ. 46-47).

დღეს ფუძეუკვეცელ სახელთა ბრუნება ძველ ქართულთან შედარებით განსხვავებულია, გარკვეული ცვლილება განიცადა ბრუნვის ნიშნებმა. იყო: ოქრო-ჲს, ოქრო-ჲთ, არის: ოქრო-სი, ოქრო-თი... „ახალ ქართულში ბოლოხმოვნიან ფუძეთა შეკვეცა სუსტდება: ფორმანტი სუსტდება, ფუძე მკვიდრდება – ასეთია ზოგადი ტენდენცია“ (არნ. ჩიქობავა). ამის გამო მიცემითისა და ნათესაობითის ფორმები ერთმანეთს დაემთხვა. მსგავს ფორმათა გასარჩევად არსებობს რამდენიმე პრაქტიკული ხერხი:

1) გამოსაცნობი სახელის ნაცვლად უნდა ჩაისვას თანხმოვანფუძიანი ან ფუძეკვეცადი სახელი (წყაროს წყალი – ვერცხლ-ის||ჭ-ის წყალი); 2) შეენაცვლოს იმავე ფუძის ებიანი მრავლობითი (წყაროს წყალი – წყაროების წყალი); 3) თუ გამოსაცნობი სახელი შეეწყობა ზმნას, მაშინ მიცემითი ბრუნვაა (წყაროს ვ ე ძ ე ბ), თუკი სახელთანაა შეწყობილი – ნათესაობითი (წყაროს წ ყ ა ლ ი).

2.10.2. ფუძეკვეცადი სახელები. კ ვ ე ც ა ჰქვია სიტყვაში ფუძის ბოლოკიდური ხმოვნის ჩამოშორებას; შესაბამისად, კ ვ ე ც ა დ ი ა არსებითი სახელი, რომლის ბრუნების დროსაც იკარგება ფუძის ბოლო ხმოვანი (მთა – მთ-ის). კვეცას იწვევს ხმოვნით დაწყებული აფიქსების დართვა (-ის, -ით, -ებ, -ურ, -ელ...). კვეცა ხდება მხოლობითი რიცხვის ორ ბრუნვაში – ნათესაობითსა და მოქმედებითში და **ა** ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებთან **ებ**იან მრავლობითში (ვითარებით

ბრუნვაში ფუძე არ იკვეცება, რადგან ხმოვანფუძიან სახელებთან მისი ნიშანია **დ** თანხმოვანი).

კვეცადია **ა**-სა და **ე**-ზე დაბოლოებული საზოგადო სახელების უმრავლესობა, აბსტრაქტული სახელები, საწყისები (მასდარები), გეოგრაფიული სახელები და ძე-სა და ე-ზე დამთავრებული ქართული გვარები.

ფუძეკვეცად **საზოგადო** სახელებს ეწარმოება ორივე მრავლობითი, აქვს ყველა ბრუნვა; წოდებითში ერთმარცვლიან სახელებს დაერთვის -ო ნიშანი, ორ- და მეტმარცვლიანებს -ვ: ხე – ხე-ებ-ი, ხე-ნ-ი/ხე-თა; ხე-**ო**; დედა – დედ-ებ-ი, დედა-ნ-ი/დედა-თა, დედა-**ვ**...

სახ.	ზღვა	ზღვ-ებ-ი	ზღვა-ნ-ი
მოთხ.	ზღვა-მ	ზღვ-ებ-მა	ზღვა-თა
მიც.	ზღვა-ს	ზღვ-ებ-ს(ა)	"
ნათ.	ზღვ-ის(ა)	ზღვ-ებ-ის(ა)	"
მოქ.	ზღვ-ით(ა)	ზღვ-ებ-ით(ა)	—
ვით.	ზღვა-დ(ა)	ზღვ-ებ-ად(ა)	—
წოდ.	ზღვა-ო	ზღვ-ებ-ო	ზღვა-ნ-ო
სახ.	მეფე	მეფე-ებ-ი	მეფე-ნი
მოთხ.	მეფე-მ	მეფე-ებ-მა	მეფე-თა
მიც.	მეფე-ს	მეფე-ებ-ს(ა)	"
ნათ.	მეფ-ის(ა)	მეფე-ებ-ის(ა)	"
მოქ.	მეფ-ით(ა)	მეფე-ებ-ით(ა)	—
ვით.	მეფე-დ	მეფე-ებ-ად	—
წოდ.	მეფე-ვ	მეფე-ებ-ო	მეფე-ნ-ო

თანამედროვე ქართულში წოდებითი ბრუნვის ნიშნად მოსალოდნელი -**ო**-ს ნაცვლად ზოგჯერ გამოიყენება -**ვ** და, პირიქით: ძმა-**ო** || ძმა-**ვ**, მხარე-**ვ** || მხარე-**ო**... ასეთ შემთხვევებში ორ- და მეტმარცვლიანებთან უპირატესობა უნდა მიენიჭოს **ვ**-ს, ერთმარცვლიანებთან კი – **ო**-ს..

გვარები იბრუნება საზოგადო სახელების მსგავსად; **გეოგრაფიულ** სახელებს მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოება, წოდებით ბრუნვაში შეიძლება უნიშნოდაც იყოს:

სახ.	ჭელიძე	ჭელიძე-ებ-ი	ჭელიძე-ნ-ი	მცხეთა
მოთხ.	ჭელიძე-მ	ჭელიძე-ებ-მა	ჭელიძე-თა	მცხეთა-მ
მიც.	ჭელიძე-ს	ჭელიძე-ებ-ს	"	მცხეთა-ს
ნათ.	ჭელიძ-ის	ჭელიძე-ებ-ის	"	მცხეთ-ის

მოქ.	ჭელიძ-ით	ჭელიძე-ებ-ით	—	მცხეთ-ით
ვით.	ჭელიძე-დ	ჭელიძე-ებ-ად	—	მცხეთა-დ
წოდ.	ჭელიძე-ვ	ჭელიძე-ებ-ო	ჭელიძე-ნ-ო	მცხეთა-ვ (მცხეთა)

აბსტრაქტულ სახელებს მრავლობითი რიცხვი არა აქვს, **საწყისებს** – არც მრავლობითი და არც წოდებითი ბრუნვის ფორმა. ზოგიერთი ხმოვანფუძიანი სახელი მხოლობით რიცხვში უკვეცელია, ებ-იან მრავლობითში ბრუნებისას კი მოიკვეცს ბოლოკიდურ ა-ს: ნიბლია – ნიბლია-სი, მაგრამ: ნიბლი-ებ-ი.

2.10.3. კუმშვად-კვეცადი სახელები. ქართულში არის რამდენიმე სახელი, რომელთა ფუძე ერთდროულად იკუმშება და იკვეცება (ე. ი. ფუძეში ხდება ორმაგი ფონეტიკური პროცესი). ტრადიციულად, მათ უწოდებენ **კუმშვად-კვეცად სახელებს**.[1] ასეთია: ქვეყანა, ქარხანა, ფანჯარა, პეპელა, ბეგარა, მოყვარე (ა. შანიძე), მარჯვენა, მარცხენა, ტომარა, წურბელა, წიფელა, პეპერა, მხარე, სიმწარე (თ. უთურგაიძე).[2]

სახ.	პეპელა	მოყვარე	პეპლ-ებ-ი	მოყვრ-ებ-ი
მოთხ.	პეპელა-მ	მოყვარე-მ	პეპლ-ებ-მა	მოყვრ-ებ-მა
მიც.	პეპელა-ს	მოყვარე-ს	პეპლ-ებ-ს	მოყვრ-ებ-ს
ნათ.	პეპლ-ის	მოყვრ-ის	პეპლ-ებ-ის	მოყვრ-ებ-ის
მოქ.	პეპლ-ით	მოყვრ-ით	პეპლ-ებ-ით	მოყვრ-ებ-ით
ვით.	პეპლ-ად	მოყვრ-ად	პეპლ-ებ-ად	მოყვრ-ებ-ად
წოდ.	პეპელა-ვ	მოყვარე-ვ	პეპლ-ებ-ო	მოყვრ-ებ-ო

ძველ ქართულში კუმშვად-კვეცადებად ითვლებოდა მოწაფე, მანქანა (=მოხერხება, ეშმაკობა), პატარა,[3] საპყრობილე, სიფიცხე; ქვეყანა უკუმშველი იყო, მაგრამ კვეცადი (ქუეყუანისა). ამ ტიპის სახელთა ბრუნებისას კუმშვაც და

---

[1] ამ ჯგუფის სახელთათვის, ბრუნების დროს ფუძეში მიმდინარე ფონეტიკური ცვლილებების სავარაუდო უწინარესობის მიხედვით (ფუძე ჯერ იკვეცება და შემდეგ – იკუმშება), უფრო გამართლებულად მიაჩნიათ ტერმინი „კვეცად-კუმშვადი სახელები“ (ა. არაბული).

[2] ანალოგიურად იბრუნება **მეტიჩარა** (მეტიჩრ-ის, მეტიჩრ-ებ-ი).

[3] დიალექტებში **მანქანა** და **პატარა** დღესაც გვხვდება ორმაგი ცვლილებით: მანქნ-ებ-ი, პატრ-ებ-ი... ძველი ქართულის კუმშვად-კვეცადი სახელები დღეს მხოლოდ კვეცადებია, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნავენ, „საზოგადოდ, კვეცად-კუმშვად ფუძეთა მოშლის ტენდენცია აშკარაა“ (ა. არაბული).

კვეცაც ხდება სამ ბრუნვაში: ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებითში, რომელსაც ბრუნვის ნიშნად აქვს **ად** და არა **დ** (შდრ. მოყვარე – მოყვრ-ად და არა: მოყვარე-დ).

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ დღევანდელი კუმშვად-კვეცადი სახელების ჩამოყალიბება იწყება შუა საუკუნეებში. ამ მოვლენის საფუძვლად მიაჩნიათ ენაში არსებული სემანტიკურად ერთნაირი სახელების პარალელური ფორმები: ბეგარი||ბეგარა, ტომარი||ტომარა, წურბელი||წურბელა, პეპელი||პეპელა, მარჯვენი||მარჯვენა, მხარი||მხარე, მოყვარი||მოყვარე. ამათგან თანხმოვნიანი ფუძე იკუმშებოდა (ბეგარ-ი – ბეგრ-ის), ხმოვნიანი კი იკვეცებოდა (ბეგარა – ბეგარ-ის). დროთა ვითარებაში მოხდა ამ ორი ტიპის ბრუნების პარადიგმის შერევა: სემანტიკურად ერთნაირი, მაგრამ ფორმობრივად ნაწილობრივ განსხვავებული სიტყვები ცვლილების მიხედვითაც დაემსგავსა ერთმანეთს და შეინარჩუნეს ერთროულად კუმშვისა და კვეცის უნარი:

სახ. პეპელ-ი > ნათ. პეპლ-ის

სახ. პეპელა >პეპელ-ის > პეპლ-ის.

შენიშვნა: თანამედროვე ქართულში ხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებასთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს არაერთი ახალი, განსხვავებული და ნორმირების თვალსაზრისით გასათვალისწინებელი მოსაზრება (იხ. ლიტერატურის ჩამონათვალი). ამჯერად სანიმუშოდ დავიმოწმებთ ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი ს სტატიათა ზოგად დასკვნებს.

ავტორის დაკვირვებით, თანამედროვე ქართულში (სამწერლობო ენაში, ზეპირ მეტყველებაში, განსაკუთრებით პრესასა და კომპიუტერულ სფეროში) სახელთა წარმოება-ბრუნების ასპექტით არსებობს არაერთი სიტყვის პარალელური ფორმები, რომელთა სიჭრელის მოწესრიგება გადაუდებელი საქმეა. ამ პროცესის მიზეზი შეიძლება იყოს სხვადასხვა ფაქტორი: ა) ანალოგიური წარმოება; ბ) სემანტიკური ნიუანსების შეცვლა; გ) მორფემათა ზღვარზე წარმოქმნილი ხმოვანთა კომპლექსების გამარტივებისაკენ მისწრაფება; დ) თანხმოვანფუძიანთა წარმოებაზე გადასვლის მიდრეკილება და ა. შ.

სახელთა ბრუნებაში გამოვლენილი დარღვევები, მკვლევრის აზრით, პირველ რიგში ხდება უცხოურიდან შემოსულ

სიტყვებში და შემდეგ ანალოგიურად ვრცელდება ქართულ სიტყვებზეც... ასეთ შემთხვევებში საჭიროა ანგარიში გაეწიოს თანამედროვე ქართულის ვითარებას, საერთო ენობრივ ტენდენციას და ნორმების თვალსაზრისით ზოგი რამ ახლებურად იქნეს კვალიფიცირებული, თუმცა ქართული ენის სახე არ უნდა დაზიანდეს, განსაკუთრებით, უცხო ენებიდან შემოსული სიტყვების დროს (ვრცლად იხ. წიგნში „ქართული მართლწერის სადავო საკითხები", თბ., 2016).

2.11. ადამიანის სახელისა და გვარის ერთად ბრუნება

ქართულში, ევროპულ ენებთან შედარებით, სახელისა და გვარის ერთად ბრუნების წესი განსხვავებულია, ბრუნვის ნიშნები შეიძლება დაერთოს ან მხოლოდ სახელს, ან გვარს, ანდა კიდევ ორივეს ერთად. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა აქვს სახელისა და გვარის წყობას. მაგალითად:

1) პირდაპირი წყობის დროს, ე. ი. როცა სახელს მოჰყვება გვარი, სახელი უცვლელია, იბრუნვის გვარი; ორმაგი გვარის შემთხვევაშიც სახელი და პირველი გვარი ნიშნებს არ დაირთავს, ფუძის სახით უნდა იყოს:

სახ.	ილია	ბერიძე	ია	არადელ-იშხნელ-ი
მოთხ.	ილია	ბერიძე -მ	ია	არადელ-იშხნელ-მა
მიც.	ილია	ბერიძე -ს	ია	არადელ-იშხნელ-ს
ნათ.	ილია	ბერიძ -ის	ია	არადელ-იშხნელ-ის
მოქ.	ილია	ბერიძ -ით	ია	არადელ-იშხნელ-ით
ვით.	ილია	ბერიძე -დ	ია	არადელ-იშხნელ-ად
წოდ.	ილია	ბერიძე -ვ	ია	არადელ-იშხნელ-ო

2) შებრუნებული წყობის დროს ბრუნებადია სახელი, გვარი კი, თუ ხმოვანფუძიანია – უბრუნველია, თუ თანხმოვანფუძიანი – იცვლება ნაწილობრივ, გარდამავალი ტიპის მსაზღვრელის მსგავსად:

სახ.	თევზაძე	რევაზ-ი	მაყაშვილ-ი	ნინო
მოთხ.	თევზაძე	რევაზ-მა	მაყაშვილ-მა	ნინო-მ
მიც.	თევზაძე	რევაზ-ს	მაყაშვილ	ნინო-ს
ნათ.	თევზაძე	რევაზ-ის	მაყაშვილ-ი	ნინო-სი
მოქ.	თევზაძე	რევაზ-ით	მაყაშვილ-ი	ნინო-თი
ვით.	თევზაძე	რევაზ-ად	მაყაშვილ	ნინო-დ
წოდ.	თევზაძე	რევაზ	მაყაშვილ-ო	ნინო

თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით ზეპირ მეტყველებაში, გარდამავალი სახეობის პარალელურად არსებობს ბრუნების შეკვეცილი და სრული სახეობებიც: მაყაშვილ ნინო-სი || მაყაშვილ-ის ნინო-სი... სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ამ პარალელურ ფორმათაგან უფრო გავრცელებულია გარდამავალი ტიპის წარმოება, იგი მართებულია მართლწერის თვალსაზრისითაც (თ. ვაშაკიძე).

სიების შედგენისას ჯერ გვარი იწერება, შემდეგ სახელი. ამ შემთხვევაში თანხმოვანფუძიან პირის სახელს **ი**-ს დართვა არ უნდა, რადგან მიმართვის ფორმაა. სწორია: აბაშიძე ვახტანგ, ბერაძე დავით... (და არა: აბაშიძე ვახტანგი...).

2.12. სახელთა ბრუნების თავისებურებანი. მართლწერის საკითხები

რამდენიმე არსებითი სახელი, ბრუნების საერთო წესისაგან განსხვავებით, ამჟღავნებს თავისებურებას, ამიტომაც სპეციალურ ლიტერატურაში მათ უწოდებენ თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ა დ ბ რ უ ნ ე ბ ა დ ს ა ხ ე ლ ე ბ ს. ესენია: ამბავი, ღმერთი, ხუცესი, დრო, ღვინო, ხბო...

ამბავი. ამ სიტყვაში ფუძის კუმშვის დროს ხმოვანთან ერთად იკარგება **ვ** თანხმოვანიც; ამბავ-ი>ამბვ-ის>ამბ-ის (ძველ ქართულში **ამბავი** უკუმშველი იყო).

ღმერთი. ფუძის კუმშვის შედეგად სიტყვაში თავს იყრის ოთხი თანხმოვანი (ღმერთ-ი>ღმრთ-ის). ამის გამო წარმოთქმა გაძნელდა და დაიკარგა **რ**, შემდეგ **მ**-ს ჩაენაცვლა **ვ** და მივიღეთ ფონეტიკურად სახეცვლილი **ღვთ**-ის ფორმა (ღმრთ-ის>ღმთ-ის>ღვთ-ის), თუმცა დღეს პარალელურად შეიძლება შეგვხვდეს არქაული (ოდენ შეკუმშული) **ღმრთ** ფუძეც. თანამედროვე სალიტერატურო ქართულში დასაშვებია შეუკუმშავი ფორმაც – ღ მ ე რ თ -ის (ვ. თოფურია, ივ. გიგინეიშვილი), მრავლობით რიცხვში (არაორთოდოქსული გაგებით) ეს სიტყვა მხოლოდ უკუმშველია: ღმერთები, ღმერთებმა (ა. არაბული).

ხუცესი. ფუძის კუმშვისას ხმოვანთან ერთად იკარგება

ს თანხმოვანი: ხუცეს-ი > ხუცს-ის > ხუც-ის; თუმცა დღეს ეს სიტყვა გამოიყენება სრული და მოკვეცილი ფუძეებით: ხუცეს-ის || ხუც-ის, ხუცეს-ებ-ი || ხუც-ებ-ი.

დრო. წესის მიხედვით, ო-ზე გათავებული ფუძე უკვეცელია, ნათესაობითსა და მოქმედებითში ბრუნვის ნიშნად დარჩენილია მხოლოდ თანხმოვნითი ნაწილი: ოქრო>ოქრო-ს(ი), ოქრო-თ(ი), მაგრამ სიტყვაში **დრო** სრულია ფუძეც და ბრუნვის ნიშანიც: დრო – **დრო-ის, დრო-ით**. ზოგჯერ, მეტწილად ზეპირ მეტყველებაში, შეიძლება ბრუნვის ნიშანი შეგვხვდეს მოკვეცილი ფორმითაც: დრო-ს(ი), დრო-**თ**(ი)... ამათგან თანამედროვე ქართულში ძირითადია დ რ ო ი ს , დ რ ო - ი თ ტიპის არქაული წარმოება.

ღვინო (ო-ზე გათავებული ფუძე) მხოლობითი რიცხვის ნათესაობითსა და მოქმედებითში კვეცადია, მაგრამ უკვეცელია ებიან მრავლობითში: ღვინო – ღვინ-ის, ღვინ-ით, შდრ. ღვინოები (სხვადასხვა მარკისა). სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა ახსნილია იმით, რომ პრექართველურ ენაში **ღვინო** უნდა ყოფილიყო თანხმოვანფუძიანი – **ღვინ**-ი (ამ სიტყვის უძველესი ფორმა დღესაც შემონახულია მეგრულში). ჩანს, დროთა ვითარებაში თანხმოვნიანი ფუძე ხმოვნიანად იქცა და მოხდა პარადიგმების შერევა: ღვინო||ღვინ-ი > ღვინო, ღვინო-მ, ღვინო-ს, ღვინ-ის, ღვინ-ით, ღვინო-დ, ღვინო-ვ.

ხბო. ამ სიტყვას აქვს ორგვარი მრავლობითი: ხბოები|| ხბორები. ა. შანიძის აზრით, **ხბო** მიღებულია ძველი ქართულის მხოლობითი რიცხვის **ხბოვარ**-ისაგან. შესაბამისად, მრავლობითში იქნებოდა ხბოვრ-ებ-ი, შემდეგ **ვ** დაიკარგა და დარჩა **ხბორები** (შდრ. მეხბორე, სახბორე). დროთა განმავლობაში ენამ მხოლობითის გამარტივებული ხ ბ ო -საგან აწარმოვა ახალი მრავლობითის ფორმა **ხბო-ებ**-ი, რომელიც დღეს უფრო გავრცელებულია, თუმცა მის გვერდით არსებობს აგრეთვე კანონიერი ფორმა **ხბორები**.

შენიშვნა: სამეცნიერო ლიტერატურაში, ძირითადად დიალექტების მიხედვით, ასეთ თავისებურ სახელებადაა მიჩნეული აგრეთვე **ქალმ**-ის (< ქალამან-ი), **ლურსმ**-ის (< ლურსმან-ი). ა. შანიძის აზრით, ლურსმანი არაბული წარმოშობისაა. მან

შეცვალა ქართული „სამსჭუალი“, რომელიც დღეს შემონახულია სიტყვებში „ჭვალი“ და „განიმსჭვალა“.

არსებითი სახელის ბრუნებას უკავშირდება მ ა რ თ ლ წ ე რ ი ს რამდენიმე წესი:

1. თუ სახელის ფუძე **მ** თანხმოვანზე ბოლოვდება, მოთხრობით ბრუნვაში ორი **მ** იქნება: ირემ-ი>ირემ-მა, ატამმა, ლომმა, ქათამმა...

2. თუ სახელის ფუძე **ს**-ზე ბოლოვდება, მიცემითში ორი **ს** იყრის თავს: თბილის-ი>თბილის-ს, მანგლისს, შინაარსს, კლასს, ივნისს...

3. **ია**-ზე დაბოლოებულ სიტყვას ნათესაობითსა და მოქმედებითში ორი **ი** ექნება: გეოგრაფია – გეოგრაფიის, გეოგრაფიით, ბებია – ბებიის, ბებიით...

4. ვითარებითი ბრუნვის ნიშნის თანხმოვნით ნაწილად ყოველთვის უნდა იყოს **დ**: მეგობრად, სოფლად, წყაროდ, ბავშვად... (და არა: მეგობრათ, სოფლათ, წყაროთ, ბავშვათ...).

5. როცა ფუძე **ე**-ზე ბოლოვდება, **ე**ბიან მრავლობითში ორი **ე** იქნება: ხეები, საუკუნეები, კლდეები, ტყეები... შეცდომაა დღეების, თვეების ანალოგიით მიღებული წლეები, კვირეები, რადგან ამათი ფუძე **ე**-ზე არ ბოლოვდება (შდრ. წელ-ი, კვირა).

6. **ნ**-ზე დაბოლოებულ ფუძეთა **ნ**არიან მრავლობითში საჭიროა ორი **ნ**: წიგნნი, გვირგვინნი, მგოსანნი, ფრთოსანნი...

7. თუ სახელის ფუძე **თ**-ზე ბოლოვდება, **თ**ანიან მრავლობითში ორი **თ** მოიყრის თავს: ზვირთთა, ბურთთა, თითთა, საათთა, ნივთთა...

2.13. არსებით სახელთა ბრუნების ტიპები. მათი კლასიფიკაციის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში

ევროპულ ენათაგან განსხვავებით, ქართულში სახელთა ბრუნება ერთი ზოგადი ტიპისაა. იგი არაა გარჩეული სქესის გრამატიკული კატეგორიის მიხედვით, თუმცა ყველა სახელი აქაც არ იბრუნვის ერთნაირად: ფონეტიკური ფაქტორის ზეგავლენით ზოგი სახელის ფუძე იკუმშება და იკვეცება, ზოგი-

სა კი საერთოდ უცვლელია, ზოგჯერ კიდევ ცვლილებას განიცდის ბრუნვის ნიშანი. ამის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა პრინციპის საფუძველზე გამოყოფენ არსებით სახელთა ბრუნების განსხვავებულ ტიპებს (სახეებს). მაგალითისათვის მხოლოდ რამდენიმეს დავიმოწმებთ:

ა. შანიძის მიხედვით, ქართულში ბრუნების სამი ტიპია. პირველს მიეკუთვნება თანხმოვანფუძიანი სახელები, მეორეს – ხმოვანფუძიანი კვეცადები, მესამეს – ფუძეუკვეცელები. ამ კლასიფიკაციისათვის ამოსავალია ბრუნვის ნიშანთა ერთგვარობა – სისრულე ან უსრულობა. კერძოდ: I ტიპის სახელებში ყველა ბრუნვის ნიშანი სრულია (ხელ-ი, ხელ-მა, ხელ-ს, ხელ-ის, ხელ-ით, ხელ-ად, ხელ-ო), II ტიპისაში – ზოგან მოკვეცილია ან არასრული (ძმა, ძმა-მ, ძმა-ს, ძმ-ის, ძმ-ით, ძმა-დ, ძმა-ო), III-ში კი ბრუნვის ნიშანი იცვლება ნათესაობითსა და მოქმედებითში (წყარო-ს(ი), წყარო-თ-ი).

არნ. ჩიქობავა გამოყოფს სახელთა ბრუნების სამ ტიპს: პირველი ტიპისაა თანხმოვანფუძიანი უკუმშველი სახელები; მეორისა – ფუძეკუმშვადი და ფუძეკვეცადი სახელები; ხოლო მესამისაა ფუძეუკვეცელი სახელები; დაჯგუფების საფუძველია მიმართება ბრუნვის ნიშანსა და ფუძეს შორის, ანუ ფონეტიკური ცვლილება მორფემათა საზღვარზე: I ტიპის სახელებში უცვლელია ფუძეც და ბრუნვის ნიშანიც; მეორე შემთხვევაში ბრუნვის ნიშანი იწვევს ფუძეში ცვლილებას (იკუმშება ან იკვეცება); III ტიპის სახელებში ფუძის ბოლოკიდური ხმოვანი მოქმედებს ბრუნვის ნიშანზე (იკვეცება ბრუნვის ნიშნის დასაწყისი ხმოვანი).

ვ. თოფურიას აზრით, ფუძესა და ზოგჯერ ბრუნვის ნიშანში მომხდარი ცვლილების გამო ქართული ენა სახელთა ბრუნების 13 სახეობას (ყალიბს) განასხვავებს. მეცნიერი სახელის ფუძისა და ბრუნვის ნიშნის მიმართებას ყველა ბრუნვის მიხედვით განიხილავს.

ბ. ჯორბენაძის კლასიფიკაციით, სახელთა ბრუნებაში გამოიყოფა ორი მორფოლოგიური ტიპი: ერთფუძიანი და ორფუძიანი სახელები.

ერთფუძიანში გამოიყოფა სამი ქვეტიპი: ა) სახელები, რომელთაც აქვთ ყველა ბრუნვის ფორმა (კაცი, ქალი... სიყვარული... ბედნიერება...); ბ) აქვთ მხოლოდ ორი ფორმა ნართანიანი მრავლობითისა (კაც-**ნ**-ი, კაც-**თ**-ა); გ) ახასიათებთ ნაკლული ბრუნება: სახ., მოთხ., მიც.: შენ, თქვენ, ჩვენ... შენ-ით, თქვენ-ით, ჩვენ-ით...

ორფუძიანებში გამოიყოფა ორი ქვეტიპი: ა) საერთო ფორმა აქვს სახელობითის, მოთხრობითისა და მიცემითისათვის, ერთი მხრივ, და ნათესაობითისა და მოქმედებითისათვის, მეორე მხრივ: სახ., მოთხ., მიც. მე/ჩემ-ზე, ჩემთან, ჩემ-ში; ნათ. ჩემ (გამოიყენება მხოლოდ თანდებულებთან), მოქმ. ჩემ-ით; ბ) განსხვავებულია ფუძეები სახელობითსა და ყველა დანარჩენ ბრუნვაში (ის, ეს, იგი...). ეს კლასიფიკაცია ემყარება სახელის ფუძის სტრუქტურას.

ა. ონიანის დაკვირვებით, თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უნდა გამოიყოს სახელთა ბრუნების ოთხი ტიპი: I ტიპს განეკუთვნება ფუძეკუმშვადი სახელები, II-ს – ფუძეუკუმშველები, III-ს – ფუძეკვეცადები, IV-ს – ფუძეუკვეცელები. ავტორის აზრით, „ბრუნების ტიპებად გამოყოფას საფუძვლად უნდა დაედოს როგორც ბრუნვის მორფემათა ალომორფების მიხედვით სხვადასხვაობა, ისე ფუძის ვარიანტთა მიხედვით განსხვავება".

სახელთა ბრუნების ტიპებად დაყოფის საკითხი აქტუალურია თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაშიც, შესაბამისად, არსებობს ტრადიციულისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოსაზრებანი. მაგალითად, სახელის ფორმაწარმოების (ფლექსიის) პროცესში მონაწილე აფიქსებისა (ბრუნვის ნიშნების, მრავლობითი რიცხვის **ებ** სუფიქსის) და სახელის ფუძის ურთიერთმიმართებით გამოწვეული ცვლილების საფუძველზე შესაძლებლად მიაჩნიათ, ენაში არსებული სახელები თავიანთი უცვლელი, ცვალებადი თუ ნაწილობრივ ცვალებადი ფუძეებით, გაერთიანდეს 8 ჯგუფში (ვრცლად იხ. **ა. არაბული, კ. გაბუნია, ტ. ფუტკარაძე**...).

2.14. თანდებულიანი და ნაწილაკიანი ბრუნვები

2.14.1. თანდებულიან ბრუნვათა ფუნქციური დახასიათება. ქართულში არსებითი სახელის ფუძეს ბრუნვისა და რიცხვის ნიშნების გარდა შეიძლება დაერთოს თანდებული და ნაწილაკი.

თ ა ნ დ ე ბ უ ლ ი არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი სიტყვა ან ბგერათა კომპლექსი, რომელიც დაერთვის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას და აღნიშნავს მდებარეობას, მიმართულებას, დანიშნულებას, მსგავსებას...

ქართულში თანდებულიანია ხუთი ბრუნვა: სახელობითი, მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი და ვითარებითი.

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი ბრუნვის თანდებულია **-ვით.** იგი დაერთვის მხოლოდ თანხმოვანფუძიან სახელებს და აღნიშნავს მსგავსებას: ქალი-**ვით,** ბავშვი-**ვით,** სახლი-**ვით...** არ იწვევს ცვლილებას არც ფუძეში და არც ბრუნვის ნიშანში.

მ ი ც ე მ ი თ ი ბრუნვის თანდებულებია: **-ვით, -თან, -ზე, -ში.**

-ვით დაერთვის როგორც ხმოვანფუძიანი, ისე თანხმოვანფუძიანი სახელების გავრცობილი ბრუნვის ფორმას, გამოხატავს მსგავსებას: ქვასა-ვით, მთვარესა-ვით, წიგნსავით, ბავშვსა-ვით... -ვით თანდებულს ერთნაირი ფუნქცია აქვს სახელობითსა და მიცემითში, მაგრამ განსხვავებულია მათი გამოყენების სიხშირე. თანამედროვე სალიტერატურო ქართულის მიხედვით, თანხმოვანფუძიან სახელებთან -ვით უფრო ხშირად არის სახელობითში, ვიდრე მიცემითში (XIX საუკუნის მწერალთა ნაწერებში პირიქით იყო). აშკარაა, რომ ამ პარალელურ ფორმათაგან (ბავშვივით / ბავშვსავით) ზეპირი მეტყველება თუ სამწერლობო ენა კეთილხმოვანების გამო მეტწილად იყენებს სახელობითს. აქედან გამომდინარე, უმჯობესია თანხმოვანფუძიან სახელებში უპირატესობა მიენიჭოს -ვით თანდებულიან სახელობითს.

შენიშვნა: -ვით თანდებული (როგორც მსგავსების გამომხატველი) მიახლოების, ოდნაობითის ფუნქციით ზეპირ მეტყველებაში (და მისი გავლენით სამწერლობო ენაშიც) შეიძლება დაერ-

თოს ზმნასა და სხვა მეტყველების ნაწილებსაც: მშიასავით, აგრილდასავით, შეწითლებულსავით... ასეთ შემთხვევაში იგი ფუნქციით სიტყვაწარმოების სუფიქსს ეტოლება. **მშიასავით** ტიპის ფორმები დამოწმებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც. დღეს ამგვარ ფორმებს მეტი გასაქანი ეძლევა.

-თან აღნიშნავს ადგილს, სიახლოვეს; ერთვის თანხმოვან- და ხმოვანფუძიან სახელებს, ოღონდ თანხმოვანფუძიანებში მისი დართვის გამო იკარგება ბრუნვის ნიშანი **-ს** (რომელიც შენარჩუნებულია ხმოვანფუძიანებთან): მეგობარ-**ს**-თან > მეგობარ-თან... ხე-**ს**-თან, ძმა-**ს**-თან...

-ზე და **-ში** თანდებულები აღნიშნავს ადგილს, მდებარეობას. მათი დართვისას იკარგება მიცემითი ბრუნვის ნიშანი ყველა არსებით სახელთან: სახლ-**ს**-ზე > სახლ-ზე, კლდე-**ს**-ზე > კლდე-ზე... სახლ-**ს**-ში > სახლ-ში, ეზო-**ს**-ში > ეზო-ში (შენარჩუნებულია მხოლოდ ორ ნაცვალსახელში მა-ს-ზე, მა-ს-ში, ვი-ს-ზე, ვი-ს-ში).

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი ბრუნვის თანდებულებია: **-თვის, -გან, -კენ, -ებრ, -თანავე** (იშვიათად: **-და, -დამი**).

-თვის აღნიშნავს დანიშნულებას, მიზანს, სამოქმედო საგანს. იგი დაერთვის გავრცობილ და გაუვრცობელ ბრუნვის ფორმას: ძმ-ის-თვის || ძმ-ისა-თვის, სწავლ-ის-თვის || სწავლ-ისა-თვის, ბავშვ-ის-თვის || ბავშვ-ისა-თვის...

-გან თანდებული აღნიშნავს რეალურად მოქმედს, მიზეზს (ამხანაგისგან მივიღე ბარათი), მასალას, რომლისგანაც რაიმე კეთდება (ხისგან გამოთალეს კოვზი). -გან თანდებულიანი ნათესაობითი მიუგებს კითხვებზე: ვისგან? რისგან? -გან დაერთვის ნათესაობითი ბრუნვის გავრცობილ ან გაუვრცობელ ფორმას და სიტყვაში რაიმე ცვლილებას არ იწვევს: დედისგან || დედისაგან. დღეს ამ ორი ვარიანტიდან უპირატესობა ენიჭება გაუვრცობელ ფორმას, თუკი მათი ფუნქციების დიფერენციაცია არ მოხდა (არნ. ჩიქობავა).

-კენ უჩვენებს მიმართულებას, დაერთვის გავრცობილსა და გაუვრცობელ ბრუნვის ფორმას: სოფლ-ის-ა-კენ || სოფლ-ის-კენ, მდინარ-ის-ა-კენ || მდინარ-ის-კენ...

-ებრ გამოხატავს მსგავსებას. იგი დაერთვის როგორც ბრუნვის ფორმას, ისე ფუძეს: ლომ-ის-ებრ || ლომ-ებრ, ცეცხლ-ის-ებრ || ცეცხლ-ებრ...

-თანავე გამოიყენება საწყისთან მოქმედების დროის გადმოსაცემად: მოსვლ-ის-თანავე, გათენებ-ის-თანავე...

და ძველ ქართულში თანდებული იყო, გამოიყენებოდა **თვის** თანდებულის მნიშვნელობით (შვილისადა, ქვეყნისადა...). ა. შანიძის აზრით, დღეს იგი შემონახულია ისეთ გამოთქმებში, როგორიცაა: ჩემ**და** თავად, ამის**და** მიუხედავად, სხვის**და** უკითხავად, იმის**და** მიხედვით და მისთ.

-დამი რთული თანდებულია (და+მი). იგი გვხვდება იშვიათად, მეტწილად ნაცვალსახელებთან: ჩემ-დამი, შენ-დამი, მის-დამი...

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი ბრუნვის თანდებულებია, ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, **-ურთ, -გან**; ახალი, განსხვავებული კვალიფიკაციით კი – **-ურთ, -დან**.

-ურთ აღნიშნავს თანაობას: შვილ-ით-ურთ, ამხანაგ-ით-ურთ... იგი თანამედროვე ქართულში იშვიათია, რადგან მის ადგილს იკავებს **-იან** სუფიქსიანი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა: ცოლ-ით-ურთ || ცოლ-იან-ად...

-გან თანდებული ძველ ქართულში დაერთოდა მოქმედებითი ბრუნვის გაუვრცობელ ფორმას და გამოხატავდა მოქმედების საწყის პუნქტს დროში, ადგილის აღნიშვნის ფუნქცია მას შედარებით გვიან დაეკისრა (ქ. ძოწენიძე). დღეს იგი ფონეტიკურადაც სახეცვლილია. ცვლილების პროცესი ასე წარიმართა: თავდაპირველ ქ ა ლ ა ქ - ი თ - გ ა ნ ფორმაში ასიმილაციის გზით სახე იცვალა ბრუნვის ნიშანმა: ქალაქ-**იდ**-გან. მეორე საფეხურზე დაიკარგა თანდებულის **გ** თანხმოვანი და საბოლოოდ დარჩა ქ ა ლ ა ქ - ი დ - ა ნ. ამის გამო სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ფორმის კვალიფიკაცია სხვადასხვაგვარია: ა) **-იდ** არის მოქმედებითი ბრუნვის ნიშნის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტი, **-ან** კი – თანდებულის ნაწილი (ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე); ბ) -იდან/-დან არის ერთი ფორმანტი, კერძოდ, ლოკალური (გამოსვლი-

თი) ბრუნვის ნიშანი (ა. შანიძე); გ) თანამედროვე ქართულში **-გან** თანდებული მოქმედებით ბრუნვასთან რეალურად აღარ არსებობს; დღეს მოქმედებითის თანდებულად უნდა ჩაითვალოს **-დან** (გ. ცოცანიძე, შ. აფრიდონიძე, დ. მელიქიშვილი...).

მაშასადამე, **სახლიდან, წყაროდან** ტიპის ფორმები დაიშლება ასე: სახლ-ი-დან, წყარო-დან.... აქ სახლ-, წყარო ძირეული მორფემებია, **-ი, Ø** – ბრუნვის ნიშნის ალომორფები, **-დან** კი – თანდებული (სხვა მოსაზრებით, დღეს **იდან, დან** დაუშლელი ნაწილია: ა. ონიანი).

ქართულში (XVII-XIX სს.) დასტურდება **ცხოვრებიდამ** ტიპის ფორმები, რომლებშიც არნ. ჩიქობავამ გამოყო **-დამ** (< **დაღმე / დაღმა** ზმნიზედისაგან) სეგმენტი და იგი დამოუკიდებელ თანდებულად მიიჩნია. ასეთი ფორმები განსაკუთრებით ხშირია აღმოსავლეთ საქართველოდან გამოსულ მწერალთა (ილია, ვაჟა...) ენაში.

ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ბრუნვის თანდებულებია **-მდე, -მდის.** ისინი გამოხატავენ მოქმედების დასასრულ პუნქტს სივრცესა და დროში. მათი დართვისას ხმოვანფუძიან სახელებში იკარგება ბრუნვის ნიშანი, თანხმოვანფუძიანებში კი რჩება მხოლოდ ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი **ა:** გზა-დ-მდე > გზა-მდე, წყარო-დ-მდის > წყარო-მდის... სახლ-ად-მდე > სახლ-ა-მდე... (თანდებულთა შესახებ იხ. აგრეთვე გვ. 334).

2.14.2. ნაწილაკიანი ბრუნვები. არსებითი სახელის თანდებულიან და უთანდებულო ფორმას შეიძლება ახლდეს ნ ა წ ი ლ ა კ ე ბ ი: ც (ცა), მცა (მც), ღა, ვე, ა, ო...

1. **ც (ცა)** გამოყოფს იმ სიტყვას, რომელსაც დაერთვის: „ხალიჩაც მოართვი და მუთაქაც...“

2. **ღა** მნიშვნელობით უახლოვდება „მხოლოდ“ ნაწილაკს: სახლში ბავშვიღა იყო.

3. **ვე**-ს მნიშვნელობაა: „იმავე“, „კვლავ“, „ისევ“, „ყველა“, „უკლებლივ“: ბაღშივე დავაბრუნოთ.

4. ზოგჯერ სახელს ერთვის **ა** და **ო** ხმოვნები, მაგრამ ისინი ამ კონკრეტულ პოზიციაში რაიმე გრამატიკულ ფუნქცი-

ას არ ასრულებენ, ძირითადად გამოყენებულია ლექსებში სიტყვის ბოლოს მარცვალთა რაოდენობის შესავსებად: „სდიოდა სისხლის ღვარია"; „თებერვალი დადგაო, ხეში წყალი ჩადგაო, ჩიტმა ჩიორამაო, საძირკველი გადგაო"... სწორედ ამ თავისებურებიდან გამომდინარე, ა. შანიძემ ასეთ **ა** და **ო**-ს უწოდა **პროსოდიული** ანუ „მახვილიანი" ხმოვნები, რომლებიც დასტურდება „ვეფხისტყაოსანში", ასევე შემდგომი ხანის ლექსებსა თუ პოემებში; განსაკუთრებით ხშირია ხალხურ პოეზიაში.

2.14.3. თანდებულიან სახელთა მართლწერა:

1) **ზ** თანხმოვანზე დაბოლოებულ სიტყვაში **-ზე** თანდებულის დართვისას ორი **ზ** მოიყრის თავს: ვაზ-ზე, ხაზ-ზე, ბუზ-ზე, კოვზ-ზე, ნიგოზ-ზე...

2) თუ სახელის ფუძე **შ** თანხმოვანზე ბოლოვდება, **-ში** თანდებულის დართვისას სიტყვაში ორი **შ** იქნება: ნუშ-ში, ბალიშ-ში, კომშ-ში...

3) როცა **თ** თანხმოვანფუძიან სახელს **-თან** თანდებული ემატება, მაშინ აუცილებელია ორი **თ**: ნივთ-თან, კალათ-თან, საათ-თან, ბურთ-თან, თით-თან...

4) **ე**-ზე დაბოლოებულ სახელებში **ებრ** თანდებულის დართვისას ორი **ე** იყრის თავს: მზეებრ, კლდეებრ...

5) მიცემითსა და ნათესაობითში **და**-თი შეერთებულ სახელთაგან თანდებული ერთვის მომდევნოს, **და**-ს წინ მდგომი კი უთანდებულოა: სახლსა და ეზო**ში**, დედისა და შვილის**ათვის**...

6) მოქმედებითსა და ვითარებითში **და**-ს წინ მდგომი სახელიც დაირთავს თანდებულს: სასტუმრო ოთახი**დან** და სამზარეულო**დან** ჩამიჩუმიც არ ისმოდა; სოფლის მდინარე**მდე** და პატარა წყარო**მდე** ცოტა მანძილი იყო დარჩენილი...

7) წიგნის, ჟურნალის, გაზეთისა თუ ნაწარმოების სათაური, სახელწოდება უმჯობესია უცვლელად დარჩეს, როცა იგი გადმოცემულია თანდებულიანი სახელით ან სიტყვათა ისეთი შეკავშირებით, რომელშიც უკანასკნელი ადგილი თანდებულიან სახელს უჭირავს. ასეთ შემთხვევაში უმჯობესი

იქნება წინადადებაში ვცვალოთ მსაზღვრელად წამძღვარებული სახელი: ი. ჭავჭავაძის მოთხრობაში „სარჩობელაზედ" აღწერილია საზოგადოებისა და პიროვნების ურთიერთობის პრობლემა; ლექსში „გამოთხოვება ძველ თბილისთან" პოეტი უმღერის წარსულის ტკბილ მოგონებებს...

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

არაბული ა., სახელის მორფოლოგია: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, თბ., 2011.

აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.

ახვლედიანი გ., ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1949, II გამოც. 1999.

გაბუნია კ., სახელთა ფორმათწარმოების ანალიზის პრინციპებისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, VIII, თბ., 1999.

გაბუნია კ., ბრუნვათა რაოდენობისათვის ქართულში; ბ. ჯორბენაძის საზოგადოების VI სამეცნიერო კონფერენცია, 1999.

გოგოლაშვილი გ., სახელთა ფუძისეული ხმოვნის რედუქციასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი ქართულში: ქსკს, V, 1981.

გოგოლაშვილი გ., გაუფორმებელი ფუძე თუ კონკრეტული ბრუნვა? ბ. ჯორბენაძის საზოგადოების XI სამეცნ. კონფ. მას., თბ., 2009.

დანელია კ., გრამატიკული სქესის გამოხატვის ცდა ქართულში: მაცნე, №4, 1986.

დანელია კ., მიმართულებითი ბრუნვის ადგილისათვის ძველი ქართულის ბრუნვათა სისტემაში: XIII რესპ. დიალექტოლოგიური კონფერენციის თეზისები, 1992.

დონდუა კ., რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1967.

ეზუგბაია ლ., რიცხვი: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები... (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

ვაშაკიძე თ., სახელისა და გვარის შებრუნებული წყობისათვის ქართული და არაქართული გვარების მიხედვით: ქსკს, XIV, 2014.

ზექალაშვილი რ., ქართული მართლწერის საკითხები, 2004.

ზურაბიშვილი თ., მავრცობი ა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქსკს, I, 1972.

ზურაბიშვილი თ., ა ხმოვანზე დაბოლოებულ სახელთა საკითხისათვის: ქსკს, IX, 1989.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

თოფურია ვ., ნათესაობითი და მოქმედებითი ბრუნვის დაბოლოებანი: სბიქე, I, თბ., 1956; შრ., II, თბ., 2002.

თოფურია ვ., წოდებითი ბრუნვისათვის: სბიქე, I, თბ., 1956; შრ., II, თბ., 2002.

თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965; 1988.

თოფურია ვ., წრფელობითი ბრუნვისათვის ძველ ქართულში: შრ., II, თბ., 2002.

იმნაიშვილი ვ., ქართული მართლწერის სადავო საკითხები, თბ., 2016.

იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

კალანდაძე ვ., არსებითი სახელი: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

კალანდაძე ვ., თანდებულთა სტილისტიკური ფუნქციები თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, თბ., 2016.

კეკელია შ., დავითიანი ა., ქართული ენა, თბ., 1973.

კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981.

კობალაძე მ., ბრუნვის ნიშნების სადერივაციო დანიშნულებისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, XIV, თბ., 2003.

ლომთაძე ა., ემფატიკური ხმოვნები: მაცნე, №3, თბ., 1976.

მაჭავარიანი გ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002.

მაჭავარიანი დ., ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 2013.

მახარობლიძე თ., კონკრეტული თუ აბსტრაქტული: იკე, XXXIX, თბ., 2011.

ნებიერიძე გ., წოდებითი ბრუნვის საკითხისათვის: ბალავერი, №1-6, თბ., 1991.

ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.

ნოზაძე ლ., ემფატიკური ი ქართულში: იკე, XXIX, თბ., 1990.

ნოზაძე ლ., ბრუნების ზოგი საკითხის შესახებ ქართულში: ქესს, VIII, თბ., 2003.

ომიაძე ს., მოქმედებითი ბრუნვის სემანტიკურ-პრაგმატიკული თავისებურებანი თანამედროვე ქართულში: არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის 74-ე სამეცნ. სეს. მას., 2015.

ონიანი ა., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

პალმაიტის ლ., ემფატიკური ა სახელთა მორფოლოგიის ძირითად საკითხებთან დაკავშირებით: მაცნე, 1976, 1.

საბაშვილი ბ., მრავლობითი რიცხვის თა სუფიქსიანი ფორმების გამოყენების შესახებ ახალ სალიტერატურო ქართულში: ქსკს, I, 1972.

სარჯველაძე ზ., ვით თანდებულის ისტორიისათვის: ქელს, №4, 1979.

საღინაძე რ., ა-სა და ე-ზე დაბოლოებული უკვეცელი სახელები ქართულში: სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები, თბ., 2013.

სტურუა ნ., ფუძე: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
ტაბიძე მ., სემანტიკური გაფართოება-დავიწროების პროცესები ქართულ საკუთარ და საზოგადო სახელებში: ქსკს, X, თბ., 1993.
უთურგაიძე თ., სახელობითი ბრუნვის ი სუფიქსის შეხორცებისათვის ადამიანთა სახელებში: იკე, XXIV, 1985.
უთურგაიძე თ., სახელთა მრავლობითი რიცხვი ქართულში: ქართველოლოგია. 2008, 1.
უთურგაიძე თ., ქართული ენის სახელთა ფუძეების კუმშვისათვის: იკე, 40, 2012.
უთურგაიძე თ., ქართული ენის ისტორიული გრამატიკის მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური ასპექტები, თბ., 2013.
ფეიქრიშვილი ჟ., სახელის ფუძის სწავლებასთან დაკავშირებული პრაქტიკული საკითხები: ეტიმოლოგიური ძიებანი, ქუთაისი, 2005.
ფოგტი ჰ., ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1961.
ფოცხიშვილი ა., მარცვალთღიაობის ა ახალ ქართულში: ქართული ენა, თბ., 2000.
ფუტკარაძე ტ., ბრუნება როგორც სახელის ფორმაწარმოების ერთ-ერთი ასპექტი: კრებ. „გიორგი როგავას", თბ., 1997.
ფუტკარაძე ტ., ქართული ენის ბუნების ამსახველი ლოგიკური პარადიგმის პრობლემისათვის: ჟურნ. „ქართული ენა და ლოგიკა", თბ., 2005.
ღლონტი ალ., კვეცადი ანთროპონიმებისათვის სალიტერატურო ენასა და დიალექტებში: მაცნე, №3-4, თბ., 1993.
ყორღანაშვილი უ., არსებითი სახელის შინაარსეული ჯგუფების სწავლებისათვის: ქელს, 1979, 2.
შალამბერიძე გ., ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980.
შანიძე ა., წოდებითი ფორმის ადგილისათვის გრამატიკაში: სბი, I, თბ., 1956.
შანიძე ა., მიმართულებითი ბრუნვის დაბოლოება; წოდებითი ფორმის დაბოლოება: თქსენ, I, თბ., 1970; 1986.
შანიძე ა., ორმაგი გვარის ბრუნებისათვის: ქსკს, I, 1972.
შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
შანიძე ა., ორობითი რიცხვის საკითხისათვის ხევსურულში: თხზ. ტ. II, 1981.
შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
შანიძე მ., ი ხმოვანფუძიანი ანთროპონიმების ბრუნების ისტორიისათვის ქართულში: კრებული „თბილისის უნივერსიტეტი გიორგი ახვლედიანს", თბ., 1969.
შანიძე მ., ი ხმოვანფუძიანი საზოგადო სახელები ქართულში: ქსკს, XI, თბ., 1998.
ჩიქობავა არნ., რატომ არის აუცილებელი ბრუნვათა რიგის შეცვლა ქართულში?: სბიქე, I, 1956; ასევე: შრ., II, თბ., 2010.

ჩიქობავა არნ., ერთი უცნობი თანდებული ახალ ქართულში: ენიმკის მოამბე, ტ. I, თბ., 1937; შრ., II, თბ., 2010.

ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942; ასევე: შრ., VII, თბ., 2013.

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; II გამოც. 2008.

ჩიქობავა არნ., მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იკე, VI, თბ., 1954.

ჩიქობავა არნ., ფუძეუკვეცელ სახელთა ნათესაობითისა და მოქმედებითის ფორმანტთა ევოლუციისათვის: სბიქე, I, თბ., 1956.

ჩიქობავა არნ., თანდებულიან ბრუნვათა საკითხისათვის: ქესს, II, თბ., 1961.

ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1976.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ცოცანიძე გ., გან თანდებულიანი მოქმედებითის საკითხისათვის თანამედროვე ქართულში: ქესს, V, თბ., 1981.

ძოწენიძე ქ., გ ა ნ თანდებულიანი მოქმედებითი ბრუნვის ფუნქციისათვის ძველ ქართულში: იკე, I, თბ., 1946.

ძოწენიძე ქ., ემფატიკური ხმოვანი ძველ ქართულში: სბიქე, I, 1956.

ჭაბაშვილი მ., მრავლობით რიცხვში ხმარებული ზოგი არსებითი სახელის შესახებ ქართულში: ქსკს, I, 1972.

ჭუმბურიძე ნ., ვით თანდებულის ჩამოყალიბების ისტორიისათვის: ქელს, №2, 1982.

ჯაფარიძე ზ., ვით თანდებულის ხმარებისათვის ზმნასთან ქართულში: ქელს, III, თბ., 1963.

ჯორბენაძე ბ., ბრუნვათა სემანტიკური ანალიზის პრინციპისათვის ქართულში: ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

ჯორბენაძე ნ., არსებით სახელთა დაჯგუფების ახალი პრინციპებისათვის ქართულში: იკე, XXXIX, თბ., 2011.

Климов Г. А., Этимологический словарь картвельских языков, М., 1964.

Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

თავი III. ზედსართავი სახელი

3.1. ზედსართავი სახელის ფუნქცია. მისი სახეები

ზედსართავი სახელი აღნიშნავს საგნის ნიშან-თვისებას.[1] იგი ახლავს არსებით სახელს, ანუ „ზედ დაერთვის" მას. აქედანაა წარმომდგარი ტერმინი „ზედსართავი".

ზედსართავი სახელის კითხვებია: როგორი, რომელი, სადაური, როდინდელი, რანაირი. მაგ.: თეთრი, კარგი, ქალაქელი, გუშინდელი, აშენებული...

სინტაქსურად ზედსართავი სახელი შეიძლება იყოს: განსაზღვრება (**ნათელი** ფერი), შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (სახლი **მაღალი** იყო), ქვემდებარედ დამატება (**დიდმა პატარა** შემოიყვანა).

ზედსართავი სახელი ზოგჯერ გამოიყენება არსებითი სახელის მნიშვნელობითაც. ასეთ შემთხვევაში ზედსართავი გაარსებითებულია. უცხოურად ამ პროცესს **სუბსტანტივაცია** ჰქვია. მაგალითად, ქალაქში **სასტუმრო** ააგეს (შდრ. **სასტუმრო** ოთახი მოაწყვეს)... გაარსებითებული ზედსართავი საგნის ნიშან-თვისებას კი არ გამოხატავს, არამედ აღნიშნავს თვით საგანს. მეორე მხრივ, შესაძლებელია ზედსართავი სახელის მნიშვნელობით სხვა მეტყველების ნაწილიც იქნეს გამოყენებული. ასეთ პროცესს გაზედსართავება ანუ უცხოურად **ადიექტივაცია** ეწოდება. მაგ., **ექიმი** ქალი მოვიდა (შდრ. **ექიმი** მოვიდა)... სუბსტანტივაცია არსებით სახელს ამდიდრებს, ადიექტივაცია – ზედსართავს.

ქართულში ზედსართავი სახელი ფორმითა და შინაარ-

---

[1] ამ განმარტებით იგულისხმება, რომ ზედსართავი სახელი არის რეალურად არსებული საგნის – არსებითი სახელის – განსაზღვრება. მეორე მხრივ, არსებით სახელში, როგორც მეტყველების ნაწილში, ერთ-ერთ შინაარსობრივ ჯგუფად შედის მოქმედების აღმნიშვნელი სახელებიც: კითხვა, წერა, ხატვა... რომლებსაც შეიძლება მსაზღვრელად ახლდეს ზედსართავი სახელი. სწორედ ამ შეუსაბამობიდან გამომდინარე, სამეცნიერო ლიტერატურაში მართებულად მიაჩნიათ ზედსართავი სახელის ასეთი განმარტებაც: „ზედსართავი ჰქვია ისეთ სახელს, რომელიც საგნის ან მოქმედების ნიშანსა და თვისებაზე მიგვითითებს, მაგ.: ვანომ წყნარი ჭამა იცის". აქ **წყნარი** გამოხატავს მოქმედების ნიშან-თვისებას (უ. ყორღანაშვილი).

სით მრავალფეროვანია. შინაარსობრივ ჯგუფებად მისი ძირითადი კლასიფიკაცია შეიძლება მოხდეს ორგვარად: 1) ლექსიკურ-სემანტიკურად, ანუ გაირკვეს, რა სახის ნიშან-თვისებას გამოხატავს (საგნის ზომას, ოდენობას, გემოს, წონას, ნივთიერ ხარისხს...); 2) გამოიყოს შინაარსობრივი ჯგუფები სემანტიკური მიმართების ამსახველი კითხვების (როგორი, რომელი, სადაური...) მიხედვით (ა. არაბული).

ზედსართავი სახელი საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს უშუალოდ ან სხვა საგანთან მიმართებით. ამის მიხედვით იგი ორგვარია: ვითარებითი და მიმართებითი.

ვითარებითი ზედსართავი სახელი საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს უშუალოდ, სხვა საგანთან მიმართების გარეშე: დიდი, თეთრი, ტკბილი, მოკლე... ამ ჯგუფის ზედსართავ სახელთა უმეტესობა არის არამოტივირებული სიტყვები – წარმომავლობით პირველადი (ძირეული). მათ ახასიათებთ შემდეგი ლექსიკურ-გრამატიკული თავისებურებანი: 1) აწარმოებენ ხარისხის ფორმებს (შეუძლიათ იგივე შინაარსი გადმოსცენ აღწერითად: უდიდესი || უფრო დიდი); 2) ქმნიან ანტონიმურ წყვილებს (მაღალი – დაბალი); 3) მათგან იწარმოება ზმნიზედები (მაღალი>მაღლა) და აბსტრაქტული სახელები სი-ე/სი-ო კონფიქსებით (თეთრი>სითეთრე, ტკბილი> სიტკბო...).

მიმართებითი ზედსართავი სახელი წარმოქმნილი ფორმაა – მოტივირებულია, ნიშან-თვისებას გამოხატავს ამოსავალ სიტყვასთან მიმართებით. იგი შეიძლება იწარმოებოდეს:

არსებითი სახელისაგან: ჩოხა> ჩ ო ხ ი ა ნ ი კაცი
რიცხვითი სახელისაგან: ოცი> ო ც ი ა ნ ი წლები
ნაცვალსახელისაგან: ჩვენი> ჩ ვ ე ნ ე ბ უ რ ი წესი
ზმნისაგან (|| ნაზმნარი სახელისაგან): შვენის>მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ბუნება; კითხულობს>წ ა კ ი თ ხ უ ლ ი წიგნი; შრომობს>მ შ რ ო მ ე ლ ი კაცი
ზმნიზედისაგან: გუშინ>გ უ შ ი ნ დ ე ლ ი ამბავი
თანდებულისაგან: ებრ>უ ე ბ ა რ ი (|| უებრო) წამალი, უ ე ბ რ ო მეომარი
ბრუნვის ფორმათაგან: შემთხვევ-ით>შ ე მ თ ხ ვ ე ვ ი თ ი მოვლენა; გულ-ად>გ უ ლ ა დ ი ბავშვი...

მიმართებითი ზედსართავი სახელის ფორმობრივ (და შესაბამისად სემანტიკურ) მრავალფეროვნებას განსაზღვრავს ამ ჯგუფის სახელთა წარმომქმნელ საშუალებათა ნაირგვარობა. სხვაგვარად: მიმართებით ზედსართავებში ერთიანდება როგორც სადერივაციო აფიქსებით წარმოქმნილი სახელები, ასევე კომპოზიტები, ნაზმნარი ზედსართავი სახელები (უნაზესი, გულწრფელი, განათებული...) და ა. შ.

3.2. ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები

ზედსართავი სახელით გამოხატული ნიშან-თვისება შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები ოდენობისა, ანუ სხვადასხვა ხარისხისა. ზედსართავი სახელის ისეთ ფორმას, რომელიც საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს მეტი ან ნაკლები ოდენობით, **ხარისხის ფორმა** ჰქვია. იგი აქვს ვითარებით ზედსართავებს (ზოგჯერ მიმართებითსაც).

ენაში ნიშან-თვისების ხარისხი შეიძლება გადმოიცეს ორგვარად: ორგანულად და აღწერითად. ორგანული წარმოება გრამატიკული ფორმაა, სპეციალური აფიქსით გაფორმებული: **უ**-მაღლ-**ეს**-ი, **მო**-დიდ-**ო**; აღწერითისათვის კი გამოყენებულია სხვა სიტყვები: **ძალიან** (ლამაზი), **მეტად** (კეთილი), **ფრიად** (სასარგებლო)... ზოგჯერ ფუძის გაორკეცებაც: მაღალ-მაღალი, დიდ-დიდი, შავ-შავი... აღწერითი წარმოება ხარისხის გრამატიკულ ფორმად არ მიიჩნევა. იგი ძველ ქართულს ნაკლებად ახასიათებდა, ახალში კი პირიქითაა: წერითსა თუ ზეპირ მეტყველებაში უფრო და უფრო მეტ ადგილს იჭერს. ეს მოვლენა საერთოქართველურია.

ქართულში განარჩევენ ხარისხის სამ ფორმას. ესენია: დადებითი, უფროობითი, ოდნაობითი; სვანურში არის დადებითი, უფროობითი და აღმატებითი, მეგრულში – დადებითი, უფროობითი და თანაბრობითი.

დადებითი ხარისხი ნეიტრალურია და ამოსავალი დანარჩენი ფორმებისათვის: ლამაზი, გრძელი, ტკბილი... თეთრი > უ-თეთრ-ეს-ი, მო-თეთრ-ო.

მიაჩნიათ, რომ ქართველურ ენებში ხარისხის ფორმები,

ერთი მხრივ, მიეკუთვნება სახელთა კატეგორიას, მეორე მხრივ, იგი ივარაუდება ზმნური წარმოშობისად.

ხარისხის წარმოების თვალსაზრისით, ქართული ენა მკვეთრად განსხვავდება ევროპული ენებისაგან. მართალია, ევროპულ ენებშიც ხარისხის სამი ფორმაა: დადებითი, შედარებითი (კომპარატივი) და აღმატებითი (სუპერლატივი), მაგრამ იქ მზარდი ხარისხი ორსაფეხურიანია, მაშინ როცა ქართულში მეტობა გამოიხატება მხოლოდ ერთი ფორმით – უფროობითით. გარდა ამისა, ევროპულ ენებს არ მოეპოვება ოდნაობითის ფორმა. ეს განსხვავება სქემატურად ასე შეიძლება გამოიხატოს:

ქართული	გერმანული
უფროობითი – უდიდესი	აღმატებითი – am gröβten
↑	↑
დადებითი – დიდი	შედარებითი – gröβer
↓	↑
ოდნაობითი – მოდიდო	დადებითი – groβ

როგორც ვხედავთ, ტრადიციული გაგებით, ქართულში ხარისხის მზარდი სემანტიკა ერთსაფეხურიანია (ა. შანიძე).

3.2.1. უფროობითი ხარისხის წარმოება. უფროობითი ხარისხი საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს დადებითთან შედარებით უფრო მეტი ოდენობით. ახალ ქართულში მისი მაწარმოებელია **უ-ეს** კონფიქსი: დიდ-ი – უ-დიდ-ეს-ი; უ-შავ-ეს-ი, უ-ლამაზ-ეს-ი...

ძველ ქართულში უფროობითი ხარისხის წარმოება ფორმობრივ-სემანტიკურად განსხვავებული იყო; ისტორიულად იგი უკავშირდებოდა ზმნას და, შესაბამისად, იწარმოებოდა ზმნური წარმომავლობის პრეფიქსებით: **ხ-უ-ე-ეს/ჰ-უ-ე-ეს** (ხანმეტობა-ჰაემეტობის პერიოდებში: **ხ-უ-დიდ-ე-ეს, ხ-უ-მჯობ-ე-ეს... ჰ-უ-დიდ-ე-ეს, ჰ-უ-მჯობ-ე-ეს...**).

ა. შანიძის აზრით, **ხ** (და **ჰ**) პრეფიქსი 0_3 პირის ნიშანი იყო, **უ** კი – სასხვისო ქცევისა: შესაბამისად იქნებოდა: **მი-კეთ-ებ-ს** (ჩემზე უკეთესი), **გი-კეთ-ებ-ს** (=შენზე უკეთესი), **ხუ-კეთ-ებ-ს** (მასზე უკეთესი). წერილობითი ძეგლებით ირკვევა,

რომ I და II პირის ფორმა ადრევე გამოსულა ხმარებიდან, შემდგომში **ხ** და **ჰ** პრეფიქსებსაც პირიანობის გაგება დაუკარგავთ და შეუძენიათ ხარისხის აღნიშვნის ფუნქცია.

მაწარმოებელი სუფიქსებიდან **ე** არის ხარისხის თავდაპირველი ნიშანი (ხ-უ-მჯობ-**ე**, ჰ-უ-მჯობ-**ე**), **ს** კი – ნათესაობითი ბრუნვის (ის) ნიშნის თანხმოვნითი ნაწილი (**ხ-უ-დიდ-ე-ᲐS**-ი>**ხ-უ-დიდ-ეს**-ი).

ტერმინი „უფროობითი“ ნაწარმოებია „უფრო“ ზმნიზედისაგან. იგი დაამკვიდრა ა. შანიძემ. რეალურად მასში იგულისხმება ხან შედარებითი და ხან აღმატებითი სემანტიკა, ხან კიდევ – ორივე ერთად. ამიტომაცაა, რომ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში „უფროობითის“ გვერდით გამოიყენება ტერმინი „აღმატებითი“; ზოგჯერ „უფროობითს“ მთლიანად ცვლის „აღმატებითი“ (არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე, კ. ლერნერი...) და „შედარების ხარისხი“ (გ. მაჭავარიანი).

მაშასადამე, მიაჩნიათ, რომ ქართულში ხარისხის მზარდი სემანტიკის გამომხატველია ერთადერთი ფორმა – ორგანული წარმოების უფროობითი **უდიდესი** ტიპისა, თუმცა ამ საკითხზე მსჯელობისას ა. შანიძე საგანგებოდ მიუთითებს, რომ ზოგჯერ უფროობითი ხარისხის ფორმას გასაძლერებლად ერთვის მეორე **უ**: უ-უ-დიდ-ეს-ი, უ-უ-მაღლ-ეს-ი... ასეთი ფორმები მეცნიერმა ხელოვნურ წარმოებად ჩათვალა (არ მიიჩნია ქართულისათვის დამახასიათებლად) და, სემანტიკიდან გამომდინარე, უწოდა **გაძლიერებითი** ანუ **ინტენსიური**.

ძველი და ახალი ქართულის მიხედვით უფროობითი ხარისხის წარმოების ანალიზმა ცხადყო, რომ ენისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა ზედსართავი სახელის მზარდი ხარისხის გამოხატვა ერთი მორფოლოგიური ფორმით – უფროობითით, ანუ სხვაგვარად: ოდენ ორგანულ უფროობითს არ შეუძლია მზარდი სემანტიკის ისეთი დიფერენცირება, როგორიც ხერხდება ევროპული ენების ორსაფეხურიანი სისტემით, ამიტომ ენამ პარალელურად გამოიყენა სხვადასხვა ტიპის წარმოება, მათ შორის, აღწერითიც: ძალიან დიდი, ყველაზე უდიდესი, ულამაზესზე ულამაზესი, უუშორესი და მისთ.

აშკარაა, რომ ოდენ უფროობით ხარისხს არ ძალუძს

მზარდი სემანტიკის სრულყოფილად გადმოცემა. უთუოდ ამ საცილობელი ფაქტის გამოც არის სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული ტერმინი „აღმატებითი ხარისხი“.

ქართული სამწერლობო ენის სოციოლინგვისტური კვლევის საფუძველზეც საჭიროდ მიაჩნიათ ზედსართავი სახელის მზარდი ხარისხის ორი ფორმის გამოყოფა, გრამატიკული გაფორმება (კ. ლერნერი) (ხარისხის წარმოების შესახებ უფრო ვრცელი მსჯელობა და ახალი მასალები იხ. გვ. 95-100).

3.2.2. ოდნაობითი ხარისხის წარმოება. ოდნაობითი ხარისხის ფორმა საგნის ნიშან-თვისებას გამოხატავს დადებითთან შედარებით ნაკლები ოდენობით, მიახლოებით, მიმსგავსებით, ოდნავ (სახელწოდება „ოდნაობითი“ სწორედ ამის მიხედვით არის დარქმეული). მისი მაწარმოებელია **მო-ო** კონფიქსი: მო-დიდ-ო, მო-თეთრ-ო, მო-მაღლ-ო, მო-შავ-ო... (შდრ. ოდნავ დიდი, ოდნავ თეთრი...).

ოდნაობითის ფორმები ძველად იშვიათი იყო, ამიტომაც ოდნაობითი, როგორც გრამატიკული ფორმა, არა აქვს შენიშნული და ცალკე სახედ გამოყოფილი ანტონ კათალიკოსს, მომდევნო ხანის გრამატიკოსები (პ. კვიცარიძე, დ. ჩუბინაშვილი, თ. ჟორდანია, მ. ჯანაშვილი...) კი უკვე მსჯელობენ **მოდიდო** ტიპის ფორმებზე, განასხვავებენ ოდნაობითის აღწერითსა და ორგანულ წარმოებასაც. მართალია, ახალ ქართულში ოდნაობითის მოხმარების სფერო უფრო გაფართოვდა, მაგრამ იგი უფროობითთან შედარებით მაინც ნაკლებად არის განვითარებული, არ მოეპოვება შესადარებელი ობიექტი... ამ და სხვა თავისებურებათა გამო ზოგი მკვლევარი (თ. ზურაბიშვილი, გ. როგავა...) ოდნაობითს არ მიიჩნევს ხარისხის დამოუკიდებელ გრამატიკულ ფორმად.

ქართული წერილობითი ძეგლების, განსაკუთრებით თანამედროვე პრესის, პუბლიცისტიკისა და დიალექტების ჩვენება გვაფიქრებინებს, რომ ოდნაობითის (მიახლოების) სემანტიკა დღეს უფრო მრავალფეროვანია და ვერ თავსდება ოდენ **მოდიდო** ტიპის წარმოების ყალიბში. გამოხატვის საშუალებათა მრავალფეროვნების გამო ის აშკარად სცილდება ზედსართავი სახელის სფეროს. მაგალითად, საგნის ნიშან-თვისების

მიახლოებითი, ოდნაობითი სემანტიკა შეიძლება გადმოიცეს სხვადასხვა მორფოსემანტიკური საშუალებით:

1) **მო – ო** მორფემით (რომელიც დაერთვის როგორც ზედსართავ, ისე არსებით სახელებს): მო-შავ-ო (ღრუბელი), მო-ნაღვლიან-ო (თვალები), მო-პოეტ-ო (ქალი)...

2) **წა – ო** აფიქსით: წა-თეთრ-ო, წა-შავ-ო, წა-ქალ-ო, წა-პოეტ-ო...

3) აღწერითი წარმოებით, ფუძის გაორკეცებით: ოდნავ მაღალი, ოდნავ მომცრო, პატარ-პატარა...

4) **შე-, წა-, მო-, მი-** ზმნისწინებით ზმნასა და ნაზმნარ სახელებში: შეწითლდება, წაიტირებს, მოილამაზებს, მინაზდება... შეღვინებული, წათეთრებული, მორბილებული, მიჩლუნგებული, მიყვითლებული...

5) **-ვით** თანდებულით ზმნასა და ნაზმნარ სახელებთან: აგრილდასავით, მცივასავით, მტკივასავით, ეწყინასავით, მოუბოდიშასავით... (ამგვარი წარმოება უფრო დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის).

6) კიდევ უფრო მრავალფეროვანია ოდნაობითის სემანტიკის გამოხატვის საშუალებანი დიალექტებში.[1]

3.2.3. ხარისხის ფორმათა წარმოების თავისებურებანი. ქართულში ხარისხის ფორმები ძირითადად ეწარმოება ვითარებით ზედსართავებს. უმრავლესობას სამივე ფორმა აქვს (დიდი, უდიდესი, მოდიდო), ზოგს კი – ორი: დადებითი და უფროობითი (ნაზი, უნაზესი) ან დადებითი და ოდნაობითი (ცისფერი, მონაცრისფრო); თუმცა ამ ჯგუფებშიც გვხვდება ისეთი სახელები, რომელთაც არ ეწარმოებათ ხარისხის განსხვავებული ფორმები. ასეთებია: ნელი, სველი, ჩუმი, კოჭლი, ანკარა, ჭროღა, შხაპუნა...[2] მეორე მხრივ, ხარისხის გამოხატვის უნარი შეიძინა ზოგიერთმა მიმართე-

---

[1] ზემოთ წარმოდგენილი მასალიდან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია ქართულში ოდნაობითობის გამომხატველი ყველა ენობრივი საშუალება გაერთიანდეს **ოდნაობის** (მიმსგავსების) სემანტიკით და გამოიყოს სიტყვაწარმოების ერთ-ერთ შინაარსობრივ ჯგუფად, რომელშიც მოექცევა **მოდიდო** ტიპის ზედსართავებიც (ვრცლად იხ. ჟ. ფეიქრიშვილი, 2008).

[2] მიუთითებენ, რომ ეს სახელები აბსოლუტურ, მუდმივ ნიშანს გამოხატავენ, ამიტომ ვერ აწარმოებენ ხარისხის ფორმებს.

ბითმა ზედსართავმაც. მაგალითად, გონიერი (<გონი), ღონიერი (<ღონე), ძლიერი (<ძალა), ბედნიერი (<ბედი), ნიჭიერი (<ნიჭი), ჭკვიანი (<ჭკუა) და მისთანა სახელების უფროობითია: უგონიერესი, უღონიერესი, უძლიერესი, უბედნიერესი, უნიჭიერესი, უჭკვიანესი.

შენიშვნა: თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით პრესისა და პუბლიცისტიკის ენაში, შესამჩნევად გახშირდა მიმართებითი ზედსართავი სახელების ასეთი ფორმები: უგულისხმიერესი, უგამოჩენილესი, უსანუკვარესი, უგულწრფელესი (გრძნობით), უქართულესი (ქალაქი), უნარჩევესი და ა. შ. ამგვარი ტიპის წარმოების აშკარა მოჭარბება შეპირობებული უნდა იყოს ზოგადად ნიშან-თვისების მზარდი ხარისხის გამოხატვის ინტენსიურობით (გააქტიურებული ტენდენციით).

ზოგიერთი ზედსართავი სახელი ხარისხის წარმოებისას ახალ ქართულში ამჟღავნებს ფორმობრივ-სემანტიკურ თავისებურებებსაც:

1) **-ელ, -ილ** მაწარმოებლიან ზედსართავებს მო-ო კონფიქსის დართვით ეკვეცებათ აღნიშნული მარცვლები: გრძელ-ი>მოგრძ-ო, სქელ-ი>მო-სქ-ო, ტკბილ-ი>მო-ტკბ-ო...

2) **პატარა** დადებითია, **მომცრო** – ოდნაობითი, **უმცირესი** – უფროობითი.

3) **უხუცესი** მიღებულია **ხუცესი** სიტყვისაგან, რომელიც წარმოშობით უფროობითი ხარისხის ფორმაა, ნიშნავდა „უფროსს“. დროთა განმავლობაში **ხ** (ისტორიულად *Oჳ* პირის პრეფიქსი) ფუძეს შეუხორცდა, სიტყვამ ნაწილობრივ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, თანაც გაარსებითდა და თავდაპირველი უფროობითის ფორმა (ხუცესი) იქცა დადებით ხარისხად: ხუცი || ხუცესი, ხუცები; მისგან ხელახლა წარმოიქმნა უფროობითი უ-ხუც-ეს-ი.

4) **კარგი** უფროობითს აწარმოებს სხვა ფუძით – **უკეთესი**. ამისი მიზეზია შემდეგი: ძველ ქართულში კარგი-ს მნიშვნელობისა იყო **კეთილი**, რომლის უფროობითი ხარისხის ფორმა წესისამებრ არის უკეთესი (<უკეთილესი). ახალ ქართულში დადებით ფორმად დამკვიდრდა **კარგი**, მაგრამ მის უფროობითად მაინც დარჩა **უკეთესი**. მეორე მხრივ, „კეთილმა“ დროთა განმავლობაში შეიძინა სხვა შინაარსი, ნიშ-

ნავს „გულკეთილს“. აღსანიშნავია, რომ „კეთილი“ თავისი თავდაპირველი მნიშვნელობით კვლავ გამოიყენებოდა საშუალი ქართულის წერილობითს ძეგლებში (მაგ., სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებში), გვხვდება დღესაც ზეპირსა და სამწერლობო ენაში, მეტწილად სტილიზაციის მიზნით: „კეთილი, კეთილი, ჩემთვის უკვე ყველაფერი გასაგებია“, „კეთილი, ამ საქმეზე ნუღარ შეწუხდებით“[1]...

5) **ცუდის** უფროობითია **უარესი**. იგი მომდინარეობს უაღრესი-სგან (ა. შანიძე). თანამედროვე ქართულში, მეტწილად სასაუბრო ენაში, „ცუდი“ უფროობითს ზოგჯერ ჩვეულებრივი წესითაც აწარმოებს: ცუდი – უცუდესი; ანალოგიურია, კარგი – უკარგესი.

3.2.4. უფროობითი და აღმატებითი ხარისხის მიმართების საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში. ქართულში ხარისხის ფორმათა პირველი თეორიული კვალიფიკაცია მოცემულია ანტონ კათალიკოსის გრამატიკაში. ავტორის აზრით, ზედსართავი სახელი ქართულში შეიძლება იყოს **დადებითი, შედარებითი** („მსგავსებითი“) და **აღმატებითი** („უაღრესობითი“) ხარისხისა: კეთილი – უკეთილესი – უუკეთილესი.[2] მაშასადამე, ანტონ I-ის მიხედვით, მზარდი ხარისხი ორსაფეხურიანია; აღმატებითი ხარისხი სათანადოდ გაფორმებული მორფოლოგიური ოდენობაა,[3] კერძოდ, უ-ეს კონფიქსი შედარებითი ხარისხის მაწარმოებელია, **უუ-ეს** კი – აღმატებითისა. ანტონის დაკვირვებით, აღმატებითი სემანტიკა შეიძლება გადმოიცეს აღწერითი წარმოებითაც: მეცნიერი – უმეცნიერესი – ყ ო ვ ლ ა დ მ ე ც ნ ი ე რ ი.

ანტონ I-იდან მოყოლებული, ძველი გრამატიკოსები

---

[1] ძველ ქართულში **კეთილი**-ს შინაარსისა იყო „სახიერი“, **კარგი** კი ნიშნავდა „წესს“, „რიგს“. ამ თავდაპირველი მნიშვნელობით იგი შემონახულია სიტყვაში „განკარგულება“, რაც ნიშნავს „განწესებას“.

[2] ხარისხის ფორმათა სემანტიკურ დიფერენციაციას მანამდეც ვხვდებით სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“, რომელშიც **უცხადესი** მზარდი ხარისხის პირველი საფეხურია, **უუცხადესი** – მეორე, ე. ი. აქ ხარისხის სემანტიკა დიფერენცირებულია სათანადო ფორმითაც.

[3] რომელიც, ჩანს, იმ დროის ცოცხალ მეტყველებაში რეალურადაც არსებობდა (და, შესაბამისად, აისახა საბას ლექსიკონშიც).

(ს. დოდაშვილი, პ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, ს. ხუნდაძე და სხვ.) ასახელებდნენ ხარისხის სამ ფორმას და ძირითადად იმეორებდნენ ანტონისეულ კვალიფიკაციას, თუმცა ზოგი მათგანი ცალკე სახედ გამოყოფდა ოდნაობითსაც.

მოგვიანებით, XX საუკუნის 30-იან წლებში, ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები მეცნიერულად შეისწავლა ა. შანიძემ. მან ქართულ ენაში გამოყო ხარისხის სამი ფორმა, მაგრამ აღმატებითის ნაცვლად მესამე სახედ შემოიტანა ოდნაობითი, იქვე ხაზგასმით მიუთითა: ზოგიერთი ენისაგან განსხვავებით, ქართულს მოეპოვება მხოლოდ ერთი ფორმა, რომელიც საგნის ნიშანს მეტი ოდენობით გამოხტავს, ვიდრე დადებითი. ეს არის უფროობითის ფორმა; მისი მაწარმოებელია **უ-ეს** კონფიქსი.

ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები მონოგრაფიულად გამოიკვლია თ. ზურაბიშვილმა. მან ქართველურ ენათა მიხედვით ერთხელ კიდევ დაასაბუთა ა. შანიძის თვალსაზრისის მართებულობა – რომ ქართულში ხარისხის ფორმები (დადებითი, უფროობითი და ოდნაობითი) იწარმოება მხოლოდ ორგანულად **უ-ეს, მო-ო** კონფიქსებით, აღწერითი წარმოება და მისი სხვადასხვაგვარი სტილისტური საშუალება (ფრიად მაღალი, ცხელ-ცხელი, ულმობელზე ულმობელი...), რომლებიც მეტი ოდენობის მხოლოდ შინაარსობრივი გადმომცემია, ხარისხის ფორმებად ვერ ჩაითვლება. თუმცა მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ სადავო აღწერითი წარმოება ახალ ქართულსა და თანამედროვე ქართველურ ენებში მეტ გავრცელებას პოულობს.[1]

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან ქართული ენის გრამატიკებში, სასკოლო სახელმძღვანელოებში ხარისხის წარმოების საკითხი ძირითადად ემყარება ა. შანიძისეულ კვალიფიკაციას, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში ამასთან დაკავ-

[1] ვფიქრობთ, ეს ფაქტი (ზოგადად აღწერითი წარმოების მოჭარბება) გარკვეულად არის აშკარა გამოხატულება იმ ენობრივი ტენდენციისა, რომლის მიხედვით, ქართულშიც აუცილებელია მზარდი ხარისხის დიფერენცირება. ამიტომაცაა, რომ ენა სემანტიკური უკმარისობის შემთხვევაში ხშირად მიმართავს აღწერით წარმოებას ან კიდევ **უუდიდესი** ტიპის ფორმებს.

შირებით ახალი, განსხვავებული მოსაზრებებიც არაერთხელ გამოითქვა. მაგალითად, გ. ახვლედიანის, არნ. ჩიქობავას, ბ. რუდენკოს, გ. გოლეთიანის, კ. ლერნერის, ბ. ჯორბენაძისა და სხვათა დაკვირვებით, **უ-ეს** აფიქსით ნაწარმოები ზედსართავი გამოხატავს როგორც უფროობითის (შედარებითის), ისე აღმატებითი ხარისხის სემანტიკას. გარდა ამისა, ხარისხის ფორმათა ორგანული წარმოების გვერდით დასაშვებად არის მიჩნეული აღწერითი საშუალებაც.

თანამედროვე ქართული (სამწერლობო ენა, ზეპირი მეტყველება, დიალექტების ჩვენება) საინტერესო და საკმაოდ მრავალფეროვან მასალას იძლევა ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმებთან დაკავშირებით, რომელთა საფუძველზე (და არსებული სპეციალური ლიტერატურის გათვალისწინებით), ვფიქრობთ, შესაძლებელია, ნიშან-თვისების მზარდი ხარისხის სემანტიკის გამომხატველ ფორმებს მიეცეს ახალი – ტრადიციულისაგან განსხვავებული – კვალიფიკაცია და აღმატებითი ხარისხი ქართულ ლინგვისტიკაშიც აისახოს შესაბამისი მორფოლოგიური საშუალებებით.

შენიშვნა: აღმატებითი ხარისხის საკითხით ჩვენ ჯერ კიდევ 1985-1986 წლებიდან დავინტერესდით,მას შემდეგ, რაც დავიწყეთ სახელთა დერივაციის მონოგრაფიული შესწავლა თანამედროვე ქართულის მიხედვით. სიტყვაწარმოების სემანტიკურ ჯგუფებს შორის ერთ-ერთი იყო ხარისხის სახელებიც. წლების მანძილზე მოძიებული საილუსტრაციო მაგალითების საფუძველზე ამ ნაწილში ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა უფროობითის ტრადიციული გრამატიკული კვალიფიკაციის მიმართება შესაბამისი სემანტიკის გამოხატვის საშუალებებთან.

1990 წლიდან ცალკეული მოხსენებების სახით სამეცნიერო წრეებს ვაცნობდით ინფორმაციებს უფროობითი-აღმატებითი ხარისხის მაწარმოებელ აფიქსთა გენეზისისა და ფუნქციური ნიუანსების შესახებ. ჯერ კიდევ 1992 წელს გამოცემულ ჩვენს სახელმძღვანელოში მოკლედ შევეხეთ **უუდიდესი** ტიპის ფორმებს და შევნიშნეთ ისიც, რომ ოდენ უფროობითით არ ხერხდებოდა ნიშან-თვისების მზარდი ხარისხის სრულყოფილი გამოხატვა (იხ. ქართული ენის მორფოლოგია, 1992, გვ. 73). გამოწ-

ვლილვით შევისწავლეთ ამ ტიპის სახელთა ისტორია, რომელიც ემყარებოდა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონს, ანტონ I-ისა და სხვა ძველი გრამატიკოსების მოსაზრებებს, XIX-XX საუკუნეების ქართველ კლასიკოსთა თხზულებებში დადასტურებულ ფორმებს, თანამედროვე პროზის, პოეზიის, პუბლიცისტიკის, პრესის მონაცემებს, დიალექტურ ერთეულებს, ქართველ მკვლევართა ნაშრომებს... (შევამოწმეთ ძველი ქართულის წერილობითი ძეგლებიც).

სხვადასხვა დროს დაწერილი ჩვენი ცალკეული სტატიების ძირითადი დაკვირვებანი გავაერთიანეთ ნაშრომში „ნიშან-თვისების მზარდი სემანტიკის გამოხატვის საშუალებანი თანამედროვე ქართულში და აღმატებითი ხარისხის საკითხი“ (დაიბეჭდა გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში, 2003, №6). ცოტა მოგვიანებით ხარისხის ფორმების შესახებ დაწერილი ცალკეული გამოკვლევები შევიტანეთ მონოგრაფიაში „სახელთა დერივაცია თანამედროვე ქართულში“ (თბ., 2008).

ჩვენს ხელთ არსებული მასალების მიხედვით (შესაბამისი საკითხის თეორიული არგუმენტაციით), შევეცადეთ დაგვესაბუთებინა, რომ დღეს ქართულში მზარდი ხარისხის ერთსაფეხურიანი უფროობითით არ ხერხდება ნიშან-თვისების განსხვავებული დონეების ჩვენება. სწორედ ამ უკმარისობის გამო ენა ტრადიციული უფროობითის გასაძლიერებლად იყენებს სხვადასხვა საშუალებას (მათ შორის აღწერითს ფორმებს)... და მაინც, ჩანს, შინაგანი ბუნება-კანონზომიერებიდან გამომდინარე, ენამ აღმატებითი სემანტიკისათვის უფრო მარჯვე საშუალებად მიიჩნია ორგანული წარმოების **უუდიდესი** (უ-უ-დიდეს-ი) ტიპის ფორმები, რითაც მოახდინა აღმატებითი ხარისხის მორფოლოგიზება, ანუ გააფორმა გრამატიკულადაც.

ამრიგად, ჩვენი აზრით, აღმატებითი ხარისხი ქართულში დღეს რეალური ფაქტია და კიდეც უნდა გამოიყოს მზარდი ხარისხის მეორე საფეხურად, გაფორმდეს ლინგვისტურადაც (როგორც ეს ძველ გრამატიკებში იყო), რითაც შეივსება ხარისხის წარმოების პარადიგმა და მოხდება შედარებით-აღმატებითი ხარისხის გრამატიზება სხვა ენათა მსგავსად.

მიუხედავად იმისა, რომ ათეული წლებია, სპეციალისტები ქართულშიც ადასტურებენ აღმატებითი ხარისხის რეა-

ლურობას და **უუ-ეს** კონფიქსსაც მიიჩნევენ აღმატებული სემანტიკის გამომხატველად, მაინც ანგარიში ეწევა ტრადიციას და საგანგებოდ არ მსჯელობდნენ ქართულში მზარდი ხარისხის ორსაფეხურიან დიფერენცირებაზე...

2008 წელს დაიბეჭდა ვ. იმნაიშვილის სტატია „აღმატებითი" ხარისხის განსაკუთრებული სახეობა". ავტორი მრავალფეროვან საილუსტრაციო მასალებზე დაყრდნობით მსჯელობს ქართულში ნიშან-თვისების აღმატებითი სემანტიკის გამომხატველ **უუდიდესი** ტიპის ფორმებზე და ასკვნის: „არის მოსაზრება, ევროპული ენების აღმატებითი ხარისხის ბადლად ჩვენში დაგვეკანონებინა **უუძველესი** ტიპის წარმოება (ჟ. ფეიქრიშვილი, 2003). ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს, რეალური ვითარებიდან გამომდინარე, ამ შემოთავაზებას შეიძლება მხარი დავუჭიროთ და უფროობითი ხარისხის გამოსახატავად **უ-ეს** კონფიქსი დავტოვოთ, ნებისმიერი დონის აღმატებისათვის მხოლოდ და მხოლოდ **უუ**-ეს კონფიქსის ხმარება დავუშვათ... ამ საკითხს მომავალში, ალბათ, დრო და ენა თვითონ გადაწყვეტს" (ვ. იმნაიშვილი, 2008, გვ.12).

ცხადია ენა, ყველაზე საუკეთესო „მკვლევარი" და უ უ მ თ ა ვ რ ე ს ი „კანონმდებელი", თავად გადაწყვეტს ამა თუ იმ მოვლენის ბუნებრიობა-ხელოვნურობის საკითხს და, ჩვენს შემთხვევაშიც, რეალური ვითარებიდან გამომდინარე, გზას მისცემს ქართულში აღმატებითი ხარისხის ოფიციალურ სტატუსს – გრამატიკულ ფორმად აღიარებას, რასაც ალბათ მომავალში საფუძვლად დაედება დღევანდელი ზეპირი თუ წერითი მეტყველების რეალური ვითარება, საერთო ენობრივი ტენდენცია და სხვა უამრავი ფაქტორი, რომელთა ხელოვნურად იგნორირება მართლაც გაუმართლებელი (შეუძლებელი) იქნება. მაგალითად, ა. შანიძის შეფასებით, **უუდიდესი** ტიპის „ხელოვნური" წარმოება არის არა ჩვეულებრივი უფროობითი, არამედ გაძლიერებითი, ინტენსიური უფროობითი. უდავოა, რომ ეს გაძლიერება ადამიანის ცნობიერებაში მოითხოვა მზარდი ხარისხის ორი საფეხურის გამიჯვნამ, ნიშან-თვისების უფრო ზედმიწევნითი სიზუსტით დიფერენციაციის აუცილებლობამ არა მხოლოდ აღწერითი,

არამედ უფრო მარტივი (ეკონომიური) ორგანული წარმოებითაც. უფროობითის გაძლიერება იგივე აღმატებაა, მზარდი სემანტიკის ყველაზე მაღალი საფეხურია. ამიტომაა, რომ ქართველისათვის უუდიდესი დამატებით აღარ საჭიროებს აღწერით-გამაძლიერებელ საშუალებებს და არ გვხვდება ძალიან უუდიდესი, უუდიდესზე უუდიდესი, მაშინ როცა ტრადიციული უფროობითის შემთხვევაში ჩვეულებრივია ძალიან უღარიბესი, ულამაზესზე ულამაზესი და მისთ. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ: ა. შანიძის მიერ უუდიდესი ტიპის მიჩნევა ინტენსიურ, გაძლიერებით ფორმებად თავისთავად მიანიშნებს საანალიზო ფორმების ახლებური კვალიფიკაციის აუცილებლობას. გარდა ამისა, სამწერლობო ენაში გამოვლენილი „ხელოვნური" ფორმა, თუ არ გამომდინარეობს ენის შინაგანი ბუნებიდან, იგი დროთა ვითარებაში უეჭველად დაიკარგება. ჩვენს შემთხვევაში კი პირიქით მოხდა: თუნდაც ხელოვნურად შექმნილი, მაგრამ სემანტიკური აუცილებლობით გამოწვეული **უუდიდესი** ტიპის ფორმები კიდევ უფრო შესამჩნევად იმკვიდრებს თავს თანამედროვე ქართულშიც. საუკუნეთა განმავლობაში ამგვარი წარმოების სიცოცხლისუნარიანობა უდავოს ხდის მის საგანგებო გრამატიკულ ფუნქციასაც.

შენიშვნა: ამ წარმოებასთან დაკავშირებით დღეს გამოიკვეთა ერთი ტენდენციაც: ავტორი ორმაგ (მრჩობლ) პრეფიქსიან ფორმას თავადვე უკეთებს კომენტარს და მიუთითებს მის საგანგებო ფუნქციურ დატვირთვაზე. მაგალითად: მწერალი ო. იოსელიანი ერთ საგაზეთო სტატიაში წერდა: „ამ წუთას არ შემიძლია, თუნდაც ორი სიტყვით უუდიდესი (ორი უუ ვინმეს კორექტორული შეცდომა არ ეგონოს) მადლობა არ გადავუხადო ქართველ ებრაელს"... (გაზ. ქუთაისი, 1989, 20. IV)... დათო იყო უუნიჭიერესი... აქ მეორე უ დავამატე, რომ აღმატებითში მეთქვა" (1992, 27 მაისი, დილის რადიოგადაცემა)...

3.3. მსაზღვრელ-საზღვრული

3.3.1. მსაზღვრელის ტიპები. მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა. ქართულში მეტყველების ნაწილებიდან ერთმა-

ნეთთან ყველაზე მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელები. ამათგან ძირითადია არსებითი სახელი, რადგან იგი აღნიშნავს რეალურად არსებულ საგანს, რომელიც, თავის მხრივ, შეიძლება დახასიათდეს ნიშან-თვისების, რაოდენობის, კუთვნილებისა და სხვა ამგვარი ნიშნით; ამ ფუნქციას კი ასრულებენ ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი და ზოგიერთი არსებითი სახელიც. არსებით სახელთან რომელიმე მათგანის გამოყენების შემთხვევაში მიიღება მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ - ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი ს წ ყ ვ ი ლ ი, რომელშიც არსებითი სახელი საზღვრულია, მეორე სახელი (ზედსართავი, რიცხვითი, ნაცვალსახელი...) კი – მსაზღვრელი: ნათელი დღე, სამი მეგობარი, ჩვენი ქვეყანა და ა. შ.

მსაზღვრელი ორგვარია: ატრიბუტული და სუბსტანტიური. ა ტ რ ი ბ უ ტ უ ლ ი (ლათ. attributum=თვისება, კუთვნილება) მსაზღვრელი გადმოიცემა ზედსართავით ან საზღვრულთან ზედსართავისებრ შეწყობილი სხვა სახელებითაც (ნაცვალსახელით, რიცხვითი სახელით, ზოგიერთი არსებითი სახელითა და სახელზმნით): **ლამაზი** ბავშვი, **მისი** სახელი, **ორი** ძმა, **ჩაფი** ღვინო, **ზღვა** ხალხი, **ნაასალი** მადლი, **წველა** ყველი, **აშენებული** სახლი...

ს უ ბ ს ტ ა ნ ტ ი უ რ ი (ლათ. substantivum=არსებითი სახელი) მსაზღვრელი გადმოცემულია ნათესაობით ბრუნვაში მდგარი არსებითი სახელით (ან მასთან გათანაბრებული სიტყვით) და მეტწილად გამოხატავს მასალას, კუთვნილება-დანიშნულებას: **ვერცხლის** ბეჭედი, **ხის** კოვზი, **მეზობლის** ბავშვი, **ჩაის** ჭიქა, **ქორწინების** სახლი...

ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნვა იგივეა, რაც საზღვრულისა, ამიტომ ატრიბუტული მსაზღვრელი და საზღვრული ბრუნვაში შ ე თ ა ნ ხ მ ე ბ უ ლ ი ა, ხოლო სუბსტანტიური მსაზღვრელი, ტრადიციული შეხედულებით, მიჩნეულია მ ა რ თ უ ლ მსაზღვრელად.

მსაზღვრელ-საზღვრულის **წყობა** ანუ **რიგი** ორგვარია: პ ი რ დ ა პ ი რ ი (პრეპოზიციური) და შ ე ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი (პოსტპოზიციური). პირდაპირი წყობის დროს მსაზღვრელი პირველ ადგილზეა (**წითელი** ვარდი, **მზის** სხივი...), შებრუნებული წყობისას კი – მეორეზე (ვარდი **წითელი**, სხივი **მზისა**...).

ახალსა და თანამედროვე ქართულში ძირითადია პრეპოზიციური წყობა, შებრუნებული (ინვერსიული) კი შედარებით იშვიათია (მეტწილად გვხვდება პოეზიაში); ძველ ქართულში პირიქით იყო.

მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილი ზოგჯერ შეიძლება გათიშული იყოს ერთი ან რამდენიმე სიტყვით. ასეთ მსაზღვრელს ჰქვია გათიშული ანუ დისტანციური მსაზღვრელი: **„შაქრიანს** ეტყვის **სიტყვასა“, „მწვანეს** ეწვდება **ფოთოლსა“.**

მსაზღვრელი იშვიათად შეიძლება განმარტოებული იყოს. ეს ხდება მაშინ, როცა გამოტოვებულია საზღვრული წევრი. მაგალითად: „ვარდის სურნელმა დამათრო, იისამ – ფიქრი მომგვარა“. ამ წინადადების მეორე ნაწილში განმარტოებულია მსაზღვრელი **იისამ,** აკლია საზღვრული **სურნელმა,** რომელიც ადვილად იგულისხმება წინა ნათქვამის მიხედვით. ასეთი მსაზღვრელი, როგორც წესი, დაირთავს გამოტოვებული საზღვრულის ბრუნვის ნიშანს.

განმარტოებულ მსაზღვრელს გარკვეული სტილისტური ფუნქცია აკისრია, განსაკუთრებით, სამწერლობო ენაში.

სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებენ მსაზღვრელის გაუჩინარებაზეც. ასეთ შემთხვევაში საზღვრულ წევრს – არსებითს გაუჩინარებული მსაზღვრელის ფუნქციით შეიძლება დაუკავშირდეს ზმნისართი. მაგ., ჩემი მოხევე ძალიან კაცი გამოდგა (ილია). უნდა იყოს: ძალიან **კარგი კაცი** (ა. კიზირია). ამგვარი ფორმები გვხვდება თანამედროვე ქართულშიც, მეტწილად სასაუბრო ენაში.

3.3.2. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ზოგადი სახეები. განარჩევენ მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ოთხ სახეობას. ესენია: 1) სრული, 2) გარდამავალი, 3) შეკვეცილი, 4) ვულგარული. ამათგან თანამედროვე სალიტერატურო ქართულისათვის ძირითადია გარდამავალი სახეობა, შეკვეცილი უფრო იშვიათად გამოიყენება, სრული სახეობა ძველი ქართულისთვის იყო დამახასიათებელი, ვულგარული კი უმართებულოდ არის მიჩნეული (ს. ჯანაშია).

	სრული		გარდამავალი	
სახ.	დიდ-ი	სახლ-ი	დიდ-ი	სახლ-ი
მოთხ.	დიდ-მა	სახლ-მა	დიდ-მა	სახლ-მა
მიც.	დიდ-ს	სახლ-ს	დიდ	სახლ-ს
ნათ.	დიდ-ის	სახლ-ის	დიდ-ი	სახლ-ის
მოქ.	დიდ-ის	სახლ-ით	დიდ-ი	სახლ-ით
ვით.	დიდ-ს	სახლ-ად	დიდ	სახლ-ად
წოდ.	დიდ-ო	სახლ-ო	დიდ-ო	სახლ-ო

	შეკვეცილი		ვულგარული	
სახ.	დიდ-ი	სახლ-ი	დიდ-ი	სახლ-ი
მოთხ.	დიდ(მა)	სახლ-მა	დიდ-ი	სახლ-მა
მიც.	დიდ	სახლ-ს	დიდ-ი	სახლ-ს
ნათ.	დიდ	სახლ-ის	დიდ-ი	სახლ-ის
მოქ.	დიდ	სახლ-ით	დიდ-ი	სახლ-ით
ვით.	დიდ	სახლ-ად	დიდ-ი	სახლ-ად
წოდ.	დიდ-ო	სახლ-ო	დიდ-ი	სახლ-ო

დღეს სალიტერატურო ქართულში გარდამავალი სახეობის პარალელურად ზოგჯერ შეიძლება სრული სახეობაც გამოვლინდეს, რაც გამართლებულია სტილური ფაქტორით. მაგალითად, ნორმად მიჩნეული მსაზღვრელ-საზღვრული – ჩემი აზრით, დიდი ამბით... გვხვდება სრული სახითაც: ჩემის აზრით, დიდის ამბით... გ. მაჭავარიანის დაკვირვებით, თანამედროვე ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის სრული სახეობა მაღალ, გამორჩეულ, მარკირებულ სტილს უნდა მივაკუთვნოთ, გარდამავალი კი – ჩვეულებრივ, ნეიტრალურ სტილად უნდა ვცნოთ. ისე კი გრამატიკულად ორივე სწორია თავ-თავის ადგილზე. ერთ-ერთი მათგანის ამორჩევა დამოკიდებულია სტილზე, რომელიც დამწერს ან მთქმელს მართებულად მიაჩნია. მაგალითად: „სტუმარი დიდის ამბით გააცილეს“, „ჩემის აზრით, კაცში ადამიანობაა მთავარი“ – ამ შემთხვევებში ამაღლებული სტილია. მაგრამ: „პური დიდი დანით დაჭრეს“, „ამ საკითხში ჩემი აზრითაც იხელმძღვანელეს“ – სტილი ნეიტრალურია და არ ვამბობთ: დიდის დანით, ჩემის აზრითაც.

ანალოგიურია თანამედროვე მეტყველებაში (ძირითადად ოფიციალური ხასიათის დიალოგებში) ფართოდ დამ-

კვიდრებული გამოთქმა „თქვენის ნებართვით“. იგი ამაღლებული (გამორჩეული) სტილისტური ნიუანსით განსხვავებულია შესაბამისი ნეიტრალური სემანტიკის მქონე მსაზღვრელ-საზღვრულისაგან „თქვენი ნებართვით“. მაგალითად, **„თქვენის ნებართვით** კიდევ ერთ კითხვას დაგისვამთ“...

3.4. ზედსართავი სახელის ბრუნება

ზედსართავი სახელი ბრუნებადი სიტყვაა, ფორმას იცვლის ბრუნვისა და რიცხვის მიხედვით.

ზედსართავი სახელი, თავისი ფუნქცია-სემანტიკიდან გამომდინარე, წინადადებაში შეიძლება გამოიყენებოდეს დამოუკიდებლად (ცალკე) ან არსებითთან ერთად (მის მსაზღვრელად), ამის გამო განსხვავებულია ზედსართავი სახელის ბრუნებისა და მრავლობითი რიცხვის გამოხატვის წესები.

3.4.1. დამოუკიდებელი ზედსართავი სახელის ბრუნება. ცალკე აღებული ზედსართავი (ა. შანიძის ტერმინით, „თავისთავადი“) ფორმას იცვლის შესაბამისი ფუძის არსებითი სახელის მსგავსად: შეიძლება იყოს უკუმშველი ან კუმშვადი, უკვეცელი ან კვეცადი; ზოგჯერ ეწარმოება ორივე მრავლობითიც. ასეთი ზედსართავი სახელი გაარსებითებულია.

თანხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი

სახ.	დიდ-ი	დიდ-ებ-ი	დიდ-ნ-ი	წითელ-ი	წითლ-ებ-ი
მოთხ.	დიდ-მა	დიდ-ებ-მა	დიდ-თა	წითელ-მა	წითლ-ებ-მა
მიც.	დიდ-ს	დიდ-ებ-ს	„	წითელ-ს	წითლ-ებ-ს
ნათ.	დიდ-ის	დიდ-ებ-ის	„	წითლ-ის	წითლ-ებ-ის
მოქ.	დიდ-ით	დიდ-ებ-ით	—	წითლ-ით	წითლ-ებ-ით
ვით.	დიდ-ად	დიდ-ებ-ად	—	წითლ-ად	წითლ-ებ-ად
წოდ.	დიდ-ო	დიდ-ებ-ო	დიდ-ნ-ო	წითელ-ო	წითლ-ებ-ო

ხმოვანფუძიანი ზედსართავი სახელი

სახ.	პატარა	პატარ-ებ-ი	პატარა-ნ-ი	ფართო	მწვანე
მოთხ.	პატარა-მ	პატარ-ებ-მა	პატარა-თა	ფართო-მ	მწვანე-მ
მიც.	პატარა-ს	პატარ-ებ-ს	„	ფართო-ს	მწვანე-ს
ნათ.	პატარ-ის	პატარ-ებ-ის	„	ფართო-სი	მწვან-ის
მოქ.	პატარ-ით	პატარ-ებ-ით	—	ფართო-თი	მწვან-ით
ვით.	პატარა-დ	პატარ-ებ-ად	—	ფართო-დ	მწვანე-დ
წოდ.	პატარა-ვ	პატარ-ებ-ო	პატარა-ნ-ო	ფართო-ვ	მწვანე-ვ

ცალკე აღებული ზედსართავი სახელი შედარებით იშვიათად გამოიყენება. მაგალითად, „**ავს** თუ **ავი** არ უწოდო, **კარგს** სახელად რა დავარქო?" (დ. გურამიშვილი); **დიდები** და **პატარები** ერთად ზეიმობდნენ დღესასწაულს...

შენიშვნა: ქართულში **ი** ხმოვანზე გათავებული ზედსართავის ფუძე არ არსებობს. ა. შანიძის აზრით, ასეთია მხოლოდ დიალექტური **კაი** (რომელიც მიღებულია **კარგი**საგან); აქ **ი** წარმოშობით ბრუნვის ნიშანია, ფუძესთან შეზრდილი. გურულში **ი** ბრუნვის ნიშნადაა მიჩნეული: „კა-ს გეტყვი".

3.4.2. მსაზღვრელი ზედსართავის (და მასთან გათანაბრებული სხვა სიტყვის) ბრუნება არსებითთან ერთად. საზოგადოდ, ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ რა ტიპისაა მსაზღვრელი (ატრიბუტული თუ სუბსტანტიური), გათიშულია, გაუთიშავი თუ განმარტოებული, როგორია წყობა და მსაზღვრელის ფუძის დაბოლოება. გამოიყოფა რამდენიმე შემთხვევა.

ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნება

პირდაპირი წყობა

თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი

1. როცა ატრიბუტული მსაზღვრელი ზედსართავი არის თანხმოვანფუძიანი, გაუთიშავი, საზღვრულთან ერთად ასე იბრუნება: სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში სრულად დაირთავს ბრუნვის ნიშნებს, ნათესაობითსა და მოქმედებითში შენარჩუნებული აქვს ბრუნვის ნიშნის ხმოვნითი ნაწილი (-ი), მიცემითსა და ვითარებითში კი ფუძის სახითაა. ასეთი მსაზღვრელი, როგორც წესი, საზღვრულს არ ეთანხმება ებიანსა და თანიან მრავლობითში, ნარიანში კი მხოლოდ ფორმალური შეთანხმებაა (თუმცა გამონაკლისები აქა-იქ მაინც გვხვდება: ცივთა წყაროთა, მაღლები მთები...):

სახ.	წითელ-ი	ბურთ-ი	/ ბურთ-ებ-ი	წითელ-ნ-ი	ბურთ-ნ-ი
მოთხ.	წითელ-მა	ბურთ-მა	/ ბურთ-ებ-მა	წითელ	ბურთ-თა
მიც.	წითელ	ბურთ-ს	/ ბურთ-ებ-ს	"	"
ნათ.	წითელ-ი	ბურთ-ის	/ ბურთ-ებ-ის	"	"
მოქ.	წითელ-ი	ბურთ-ით	/ ბურთ-ებ-ით	—	—
ვით.	წითელ	ბურთ-ად	/ ბურთ-ებ-ად	—	—
წოდ.	წითელ-ო	ბურთ-ო	/ ბურთ-ებ-ო	წითელ-ნ-ო	ბურთ-ნ-ო

მსაზღვრელად გამოყენებული ფუძეკუმშვადი ზედსართავი სახელი (ნათელ-ი – ნათლ-ის) არსებითთან ერთად ბრუნებისას პირდაპირი წყობის დროს არ იკუმშება (ნათელ-ი მომავლ-ის), შებრუნებული რიგის შემთხვევაში კი შეკუმშულია (მომავლ-ის ნათლ-ის, ბურთ-ის წითლ-ის...). ეს მოვლენა სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად არის ახსნილი: არნ. ჩიქობავას აზრით, შეუკუმშავი ფორმების პოვნიერების მიზეზი შეიძლება იყოს პრეპოზიციური წყობის დროს საზოგადოდ მსაზღვრელის ბრუნებისას ფუძის კუმშვის მოდუნება, გ. გოგოლაშვილის დაკვირვებით კი, ნათესაობითსა და მოქმედებითში ოდენხმოვნიანი სუფიქსი ვერ კუმშავს მსაზღვრელის ფუძეს.

2. თუ მსაზღვრელი სახელი ნაწარმოები არის მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი და ვ ი თ ა რ ე ბ ი თ ი ბ რ უ ნ ვ ი ს ფორმებისგან ან კიდევ **ივ** დაბოლოებიანია (შემთხვევითი მოვლენა, პირობითი წინადადება, დროებითი მთავრობა... ფულადი სახსარი, წიგნადი ფონდი, პირველადი დახმარება, გულადი კაცი, ჩვეულებრივი საქმე და ა. შ.), მაშინ მიცემითსა და ვითარებითშიც უნდა დაერთოს ბრუნვის ნიშანი **ს**, რადგან უნიშნო მსაზღვრელი შეიძლება გაგებულ იქნეს სხვა წევრად და, შესაბამისად, წინადადების სემანტიკაც შეიცვალოს. უნდა იყოს: შემთხვევითს მოვლენას, გულადს კაცს, დროებითს მთავრობას, ჩვეულებრივს საქმეს... (შდრ. **დროებით** მთავრობას **შეუთანხმდნენ**, ე. ი. მთავრობას შეუთანხმდნენ დროებით):

სახ.	პირველად-ი	დახმარება	შემთხვევით-ი მოვლენა
მოთხ.	პირველად-მა	დახმარება-მ	შემთხვევით-მა მოვლენა-მ
მიც.	პირველად-ს	დახმარება-ს	შემთხვევით-ს მოვლენა-ს
ნათ.	პირველად-ი	დახმარებ-ის	შემთხვევით-ი მოვლენ-ის
მოქ.	პირველად-ი	დახმარებ-ით	შემთხვევითი მოვლენ-ით
ვით.	პირველად-ს	დახმარება-დ	შემთხვევით-ს მოვლენა-დ
ნოდ.	პირველად-ო	დახმარება-ვ	შემთხვევით-ო მოვლენა-ვ

3. როცა ატრიბუტულ მსაზღვრელად გამოყენებულია ა რ ს ე ბ ი თ ი ს ა ხ ე ლ ი, მაშინ საზღვრულთან ერთად იგი იბრუნვის შესაბამისი ფუძის ზედსართავის მსგავსად გარდამავალი სახეობით, მაგრამ, თუ ასეთი მსაზღვრელი არის პროფესი-

ის, თანამდებობის, წოდების, ხელობის აღმნიშვნელი სახელი (ანუ ე. წ. დანართი-მსაზღვრელი), მაშინ იბრუნება შეკვეცილი სახეობით: ბრუნვის ნიშანს დაირთავს მხოლოდ სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებითში:

სახ.	ურემ-ი	შეშა	ექიმ-ი	დოლიძე
მოთხ.	ურემ-მა	შეშა-მ	ექიმ-მა	დოლიძე-მ
მიც.	ურემ	შეშა-ს	ექიმ	დოლიძე-ს
ნათ.	ურემ-ი	შეშ-ის	ექიმ	დოლიძ-ის
მოქ.	ურემ-ი	შეშ-ით	ექიმ	დოლიძ-ით
ვით.	ურემ	შეშა-დ	ექიმ	დოლიძე-დ
წოდ.	ურემ-ო	შეშა-ვ	ექიმ-ო	დოლიძე-ვ

4. თუ თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი გ ა თ ი შ უ ლ ი ა საზღვრულისაგან, მაშინ იგი ყველა ბრუნვაში დაირთავს ნიშანს: შაქრიან-**ი** თქვა სიტყვა, შაქრიან-**მა** მომხიბლა სიტყვა-**მ**, შაქრიან-**ს** ეტყვის სიტყვა-**ს**...

ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი მ ს ა ზ ღ ვ რ ე ლ ი

1. ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი, როცა წყობა პირდაპირია და გაუთიშავი, არც ერთ ბრუნვაში არ დაირთავს ნიშანს; იგი საზღვრულს არ ეთანხმება მრავლობით რიცხვშიც:

სახ.	პატარა ოთახ-ი	/ ოთახ-ებ-ი	პატარა	ოთახ-ნ-ი
მოთხ.	პატარა ოთახ-მა	/ ოთახ-ებ-მა	პატარა	ოთახ-თა
მიც.	პატარა ოთახ-ს	/ ოთახ-ებ-ს	"	"
ნათ.	პატარა ოთახ-ის	/ ოთახ-ებ-ის	"	"
მოქ.	პატარა ოთახ-ით	/ ოთახ-ებ-ით	–	–
ვით.	პატარა ოთახ-ად	/ ოთახ-ებ-ად	–	–
წოდ.	პატარა ოთახ-ო	/ ოთახ-ებ-ო	პატარა	ოთახ-ნ-ო

ამგვარად, ტრადიციული შეხედულებით, **პატარა ოთახის** ტიპის მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებისას მსაზღვრელი ყველგან ფუძის სახითაა, თუმცა თ. უთურგაიძის აზრით, ასეთ შემთხვევაში ატრიბუტული მსაზღვრელი წარმოდგენილია არა ფუძის სახით, არამედ ნულოვანი ალომორფით, როგორც, მაგალითად, სახელობითი ბრუნვის ნიშანი ხმოვანფუძიან არსებით სახელებთან (ძმა-Ø მოვიდა) და II სუბიექტური პირის ნიშანი ზმნებთან (შენ Ø-აკეთებ საქმეს). ზემოთქმულის მიხედვით, ხმოვანფუძიანი ატრიბუტული მსაზღვრელი ასე

იბრუნება: პატარა-Ø ბავშვი, პატარა-Ø ბავშვმა, პატარა-Ø ბავშვს, პატარა-Ø ბავშვის... ნულოვანი ალომორფი ყველა ბრუნვაში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს, კერძოდ, იმავე ბრუნვის ფუნქციას, რომელშიც საზღვრული დგას...

ჩვენც ვფიქრობთ, ამ მართებულ კვალიფიკაციას ნათლად ადასტურებს შებრუნებული წყობა და გათიშული მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნებაც.

2. საზღვრულისაგან გათიშული ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი ყველა ბრუნვაში დაირთავს ნიშანს: მწვანე-მ დამამშვიდა ფერ-მა, მწვანე-ს ეწვდება ფოთოლ-სა...

შ ე ბ რ უ ნ ე ბ უ ლ ი წ ყ ო ბ ა

მსაზღვრელ-საზღვრულის შებრუნებული წყობის დროს ატრიბუტული მსაზღვრელის ბრუნება თითქმის ერთნაირია, მნიშვნელობა არა აქვს მსაზღვრელის ფუძის დაბოლოებას, ყველა მათგანი დაირთავს ბრუნვის ნიშანს, რომ ეს მსაზღვრელი არ მიეკედლოს სხვა სიტყვას და, შესაბამისად, არ შეიცვალოს წინადადების შინაარსი. მაგალითად: მ ი ნ დ ო რ ს მწვანეს ყვავილები ამშვენებს, შდრ. მინდორს **მწვანე** ყ ვ ა ვ ი ლ ე ბ ი ამშვენებს.

პოსტპოზიციური მსაზღვრელი საზღვრულს მხოლოდ ნართანიან მრავლობითში ეთანხმება; იშვიათად (მეტწილად მხატვრულ ლიტერატურაში) გამონაკლისის სახით შეთანხმების შემთხვევები შეიძლება იყოს **ებ**იან მრავლობითშიც: მთ**ები** თავჩაჩქნიან**ები**, ხმლ**ები** პირსისხლიან**ები**...

სახ.	სურათ-ი	ლამაზ-ი	სურათ-ნ-ი	ლამაზ-ნი
მოთხ.	სურათ-მა	ლამაზ-მა	სურათ-თა	ლამაზ-თა
მიც.	სურათ-ს	ლამაზ-ს	"	"
ნათ.	სურათ-ის	ლამაზ-ის	"	"
მოქ.	სურათ-ით	ლამაზ-ით	–	–
ვით.	სურათ-ად	ლამაზ-ად	–	–
წოდ.	სურათ-ო	ლამაზ-ო	სურათ-ნ-ო	ლამაზ-ნ-ო

სახ.	გზა	ფართო	გზა-ნ-ი	ფართო-ნ-ი
მოთხ.	გზა-მ	ფართო-მ	გზა-თა	ფართო-თა
მიც.	გზა-ს	ფართო-ს	"	"
ნათ.	გზ-ის	ფართო-სი	"	"
მოქ.	გზ-ით	ფართო-თი	–	–

ვით.	გზა-დ	ფართო-დ	–	–
წოდ.	გზა-ო	ფართო-ვ	გზა-ნ-ო	ფართო-ნ-ო

სუბსტანტიური მსაზღვრელის ბრუნება

პირდაპირი წყობა

1. სუბსტანტიური მსაზღვრელის ბრუნებაც განსხვავებულია წყობის მიხედვით. პირდაპირ წყობის დროს სუბსტანტიური მსაზღვრელი (თუ იგი არაა გათიშული საზღვრულისაგან) უბრუნველია – არ დაირთავს ნიშნებს და არც მრავლობით რიცხვში ეთანხმება საზღვრულს:

სახ.	ხის	სახლ-ი /	სახლ-ებ-ი	ხის	სახლ-ნ-ი
მოთხ.	ხის	სახლ-მა /	სახლ-ებ-მა	ხის	სახლ-თა
მიც.	ხის	სახლ-ს /	სახლ-ებ-ს	„	„
ნათ.	ხის	სახლ-ის /	სახლ-ებ-ის	„	„
მოქ.	ხის	სახლ-ით /	სახლ-ებ-ით	–	–
ვით.	ხის	სახლ-ად /	სახლ-ებ-ად	–	–
წოდ.	ხის	სახლ-ო /	სახლ-ებ-ო	ხის	სახლ-ნ-ო

2. თუ სუბსტანტიური მსაზღვრელი გათიშულია საზღვრულისაგან, მაშინ მსაზღვრელიც გაფორმებულია შესაბამისი ბრუნვის ნიშნით: მზისამ გამათბო სხივმა, „ფიქრისას აგებს გორასა“...

შებრუნებული წყობა

პოსტპოზიციურ მსაზღვრელ-საზღვრულს ყველა ბრუნვა არ ეწარმოება, კერძოდ: არა აქვს ნათესაობითი და მოქმედებითი (ძველად ეს ბრუნვებიც ჰქონდა), სახელობითსა და ვითარებითში გავრცობილი ფუძითაა (უნიშნოდ), ბრუნვის ნიშნებს სრულად დაირთავს მოთხრობითში, მიცემითსა და წოდებითში. ასეთი მსაზღვრელი საზღვრულს რიცხვში არ ეთანხმება:

სახ.	სახლ-ი /ებ-ი	ხისა	სახლ-ნ-ი	ხისა
მოთხ.	სახლ-მა	ხისა-მ	სახლ-თა	ხისა
მიც.	სახლ-ს	ხისა-ს	„	„
ნათ.	–	–	„	„
მოქ.	–	–	–	–
ვით.	სახლ-ად	ხისა	–	–
წოდ.	სახლ-ო	ხისა-ვ	სახლ-ნ-ო	ხისა-ო

ამგვარი წყობა თანამედროვე ქართულში შედარებით იშვიათია, შეიძლება შეგვხვდეს წიგნის ენაში.

ა. შანიძის აზრით, პრეპოზიციური რიგის დროს სუბსტანტიური მსაზღვრელი მხოლოდ მართულია (მისი ნათესაობითი ბრუნვის ფორმა საზღვრულისაგან გამოწვეულია), პოსტპოზიციური წყობისას კი – მართული (სახელობითსა და ვითარებითში) და მართულ-შეთანხმებული (მოთხრობითში, მიცემითსა და წოდებითში). ამასთან დაკავშირებით მოგვიანებით გამოითქვა განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის თანახმად, **ხის სახლის** ტიპის მსაზღვრელებში **ის** არ არის ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი, **ხის** მთლიანად ფუძეა, რომელშიც **ის** წარმოქმნის ელემენტია (როგორიცაა **ად, ით, ის**: გულად-ი კაცი, შემთხვევით-ი ამბავი, მის-ი საქმე...) და ფუძეში შედის. **ხის კიბე** და **პატარა კიბე** – ორივე შემთხვევაში უნიშნო მსაზღვრელები გვაქვს, სადაც ივარაუდება ნულოვანი აფიქსი (ხის-Ø კიბე), შესაბამისად, **ხის კიბე** და მისთანანი შეთანხმებული მსაზღვრელ-საზღვრულია (ა. დავითიანი, თ. უთურგაიძე).

ვფიქრობთ, ამ ახალი კვალიფიკაციის სასარგებლოდ მეტყველებს ისიც, რომ საანალიზო მსაზღვრელი პოსტპოზიციური წყობისას საზღვრულს ისევე ეთანხმება ბრუნვაში, როგორც ატრიბუტული მსაზღვრელი: სახლ-ს ხისა-ს, შდრ. კიბე-ს პატარა-ს (ვრცლად იხ. ჟ. ფეიქრიშვილი, 2005).

3.4.3. წყობის როლი მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების დროს. ქართულში მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნება არაერთგვაროვანია. განსხვავების საფუძველია სხვადასხვა ფაქტორი (იხ. ზემოთ), მათ შორის მნიშვნელოვანია მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა.

ძველი და ახალი ქართულის დონეზე მსაზღვრელ-საზღვრულის პოზიციურ ცვლილებას მოჰყვა შესაბამისი ცვლილებები მათს ბრუნებაშიც, კერძოდ: პირდაპირი რიგის შემთხვევაში მსაზღვრელი თითქმის უბრუნველია (ნიშანი შერჩენილი აქვს მხოლოდ რამდენიმე ბრუნვაში), მაშინ როცა ინვერსიული წყობისას ან კიდევ გათიშული მსაზღვრელის დროს ყველა ბრუნვაში დაირთავს ნიშანს. არნ. ჩიქობავას დაკვირვებით, პირდაპირი წყობის გაბატონებამ თავისთავად

გამოიწვია ცვლილება: მოდუნდა მსაზღვრელის ბრუნება, ანუ როცა მსაზღვრელი უსწრებს საზღვრულს, მსაზღვრელის სინტაქსური დამოკიდებულება საზღვრულზე სუსტდება და თანდათან ნულამდე დადის, შებრუნებული წყობა კი, რომელიც თანამედროვე ქართულში იშვიათია, მაგრამ თეორიულად მეტად ფასეული, შუქსა ჰფენს სიტყვათა წყობის განსაკუთრებულ როლს მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ ურთიერთობაში, ბრუნებისას მსაზღვრელის გაფორმებაში. სხვაგვარად: „რაც უფრო შორდება ერთმანეთს საზღვრული და მსაზღვრელი, მით უფრო იზრდება მსაზღვრელის დამოუკიდებლობის ხარისხი" (ა. პაპიძე) და აუცილებელი ხდება მსაზღვრელის გაფორმება ბრუნვის ნიშნით, რომელიც, თავის მხრივ, არის საზღვრულთან მსაზღვრელის სემანტიკური და სინტაქსური კავშირის მაჩვენებელი.

მაშასადამე, პრეპოზიციური რიგის დროს, როცა კონსტრუქცია ჩაკეტილია და მსაზღვრელი სხვა წევრს ვეღარ მიეკედლება, ბრუნვის ნიშნების დართვა აღარაა აუცილებელი, ხოლო ინვერსიული წყობისას ან გათიშული მსაზღვრელის შემთხვევაში, როცა კონსტრუქცია ღიაა, მსაზღვრელი ყოველთვის უნდა იყოს გაფორმებული სათანადო ბრუნვის ნიშნებით, რათა კონსტრუქცია ჩაიკეტოს, არ გაწყდეს სინტაქსურ-სემანტიკური კავშირი საზღვრულთან (არ მოხდეს წინადადების შინაარსის შეცვლა). მაგალითად:

1. **პატარა** მ დ ი ნ ა რ ე ს ნაკადული ერთვის.

შდრ. მდინარეს **პატარა** ნ ა კ ა დ უ ლ ი ერთვის (მსაზღვრელი სხვა წევრს მიეკედლა).

უნდა იყოს: მ დ ი ნ ა რ ე ს **პატარას** ნაკადული ერთვის.

2. **სავსე** მ თ ვ ა რ ე ს ღრუბელი უახლოვდებოდა.

შდრ. მთვარეს **სავსე** ღ რ უ ბ ე ლ ი უახლოვდებოდა.

უნდა იყოს: მ თ ვ ა რ ე ს **სავსეს** ღრუბელი უახლოვდებოდა.

3.4.4. ზედსართავი სახელის შესწავლის მოკლე მიმოხილვა. ზედსართავი სახელი ზოგად ლინგვისტიკაში გვიან გამოიყო ცალკე მეტყველების ნაწილად. ბერძნულ-ლათინური ტრადიციით, დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკეში" დასახელებული პირველი მეტყველების ნაწილი – **სახელი**

მოიცავდა (თანამედროვე გაგებით) არსებითს, ზედსართავსა და რიცხვით სახელებს. ჩანს, სამივე სახელის ერთ მეტყველების ნაწილად გაერთიანება განსაზღვრული იყო მათი ერთნაირი მორფოლოგიური ნიშნით – სამივე ბრუნებადი სიტყვაა, თუმცა განსხვავებული ფუნქციის მქონე: ზედსართავი არსებით სახელს ახასიათებს ნიშან-თვისების მიხედვით, რიცხვითი კი განსაზღვრავს მის რაოდენობას.

საუკუნეთა განმავლობაში მეტყველების ნაწილთა ტრადიციული კლასიფიკაცია ნელ-ნელა იცვლებოდა, ზუსტდებოდა, პირველ ყოვლისა, ცალკეული ენების ფორმობრივ-სტრუქტურული ვითარებისა და შინაგანი ბუნება-კანონზომიერებიდან გამომდინარე. ამიტომ იყო, რომ ევროპული ენების გრამატიკებში ზედსართავი სახელი შუა საუკუნეებში გამოიყო ცალკე მეტყველების ნაწილად. მიუხედავად ამისა, ქართული ენის გრამატიკებში ზედსართავი სახელი XIX საუკუნის I ნახევრამდე კვლავ ითვლებოდა სახელის ერთ-ერთ ფორმად. მაგალითად, ანტონ კათალიკოსის გრამატიკაში, ბერძნულ-ლათინური ტრადიციის მიხედვით, ზედსართავი სახელი (მისი ტერმინოლოგიით, „ზედშესრული") არის სახელთა გარკვეული სახე, მაგრამ არა ცალკე მეტყველების ნაწილი. ამგვარადაა კვალიფიცირებული ზედსართავი სახელი მომდევნო ხანის პრაქტიკულ გრამატიკებშიც. ანტონი და მისი მიმდევრები საკმაოდ ვრცლად მსჯელობდნენ ზედსართავი სახელის ჯგუფებზე, ხარისხის გამოხატვის ფორმებზეც. და მაინც, ა. ფოცხიშვილის დაკვირვებით, ზედსართავი სახელი, როგორც დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი, პირველად დ. ჩუბინაშვილის გრამატიკაში არის დასახელებული მიმღეობის ნაცვლად.

ზედსართავი სახელის მეცნიერული კვლევა უფრო სისტემური ხდება XX საუკუნიდან. ამ მხრივ, პირველ რიგში, უდავოდ დიდია ა. შანიძის დამსახურება. ამ მეტყველების ნაწილის მისეული ვრცელი ანალიზი შემდგომში საფუძვლად დაედო ქართულ გრამატიკებსა და სასკოლო სახელმძღვანელოებს, თუმცა იმავდროულად ზოგი საკითხი სხვა მკვლე-

ვართა ნაშრომებში მეტ-ნაკლებად დაზუსტდა, მიეცა ტრადიციულისაგან განსხვავებული კვალიფიკაცია.

თანამედროვე ქართულის მონაცემებზე დაყრდნობით, სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულია ბევრი ახალი, საყურადღებო მოსაზრება (იხ. ლიტერატურის ჩამონათვალი).

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

არაბული ა., ზედსართავი სახელი: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, თბ., 2011.

გოგოლაშვილი გ., სახელის ფუძისეული ხმოვნის რედუქციასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი: ქესს, V, 1981.

დავითიანი ა., ქართული ენის სინტაქსი, თბ., 1973.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

ზექალაშვილი რ., ქართული მართლწერის საკითხები, თბ., 2004.

ზურაბიშვილი თ., ხარისხი ქართველურ ენებში: თსუ შრომები, ტ. 67, თბ., 1957.

ზურაბიშვილი თ., ოდნაობითის ფორმათა ისტორიისათვის ქართველურ ენებში: მეცნ. აკად. მოამბე, ტ. 29-ე, №5, 1962.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

იმნაიშვილი ვ., „აღმატებითი" ხარისხის განსაკუთრებული სახეობა: კრებ. „ქართველოლოგია", №12, თბ., 2008.

კალაძე ც., საზღვრული სახელის რიცხვი ორ და მეტ მსაზღვრელთან: ქსკს, II, 1979.

კალაძე ც., საზღვრულის რიცხვი სიმრავლის აღმნიშვნელ მსაზღვრელთან: ქსკს, IV, 1981.

კიზირია ა., სუბსტანტიური მსაზღვრელი: ქელს, 1987, 1-4.

ლეჟავა ლ., მსაზღვრელთა რიგი რამდენიმე არაერთგვარ მსაზღვრელებიან შესიტყვებაში: ქსკს, I, 1972.

ლერნერი კ., აღმატებითი ხარისხის ჩამოყალიბება ქართულში: თანამედროვე ზოგადი ენათმეცნიერების საკითხები, ტ. V, თბ., 1980.

მაჭავარიანი გ., შედარებითი ხარისხის ფორმათა გენეზისისათვის ქართველურ ენებში: თსუ, 71, თბ., 1958.

მაჭავარიანი გ., სალიტერატურო ენის ნორმირების ზოგიერთი საკითხი: „ცისკარი", №12, თბ., 1968.

ონიანი ა., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.
პაპიძე ა., მსაზღვრელთა ბრუნებასთან დაკავშირებული საკითხები: ქსკს, XI, 1998.
როგავა გ., ზედსართავი სახელის თანაბრობითი ხარისხის გაქვავებული ფორმები ქართულში: იკე, XII, თბ., 1960.
სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
საღინაძე რ., ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები, ქუთაისი, 1995.
საღინაძე რ., ძველი ქართული ენა, თბ., 2008.
სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.
უთურგაიძე თ., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.
უთურგაიძე თ., ქართული ენის ისტორიული გრამატიკის მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური ასპექტები, თბ., 2013.
ფეიქრიშვილი ჟ., უუდიდესი ტიპის სახელთა ისტორიისათვის ქართულში: „ქუთაისური საუბრები", VI საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, ქუთაისი, 1999.
ფეიქრიშვილი ჟ., ნიშან-თვისების მზარდი სემანტიკის გამოხატვის საშუალებანი თანამედროვე ქართულში და აღმატებითი ხარისხის საკითხი: გელათის მეცნ. აკადემიის ჟურნალი, №6, თბ., 2003; ასევე: სახელთა დერივაცია ქართულში, თბ., 2008.
ფეიქრიშვილი ჟ., შეთანხმების კვალიფიკაციისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, XX, თბ., 2005.
ფეიქრიშვილი ჟ., ოდნაობითის სემანტიკის გამოხატვის საშუალებანი თანამედროვე ქართულში: სახელთა დერივაცია ქართულში, თბ., 2008.
ფოცხიშვილი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1995.
ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
ყორღანაშვილი უ., ზედსართავი სახელის რაობის განსაზღვრისათვის: ქელს, №3, 1968.
შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1976.
ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; 2008 (II გამოც.).
ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.
ჯანაშია ს., მსაზღვრელი სახელის შეთანხმება საზღვრულთან ბრუნვაში: თქსენ, I, თბ., 1970; 1986.
ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

თავი IV. რიცხვითი სახელი

4.1. რიცხვითი სახელის მნიშვნელობა. ჯგუფები

4.1.1. რიცხვითი სახელის რაობა. რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის რაოდენობას, რიგს ან ნაწილს მთელთან მიმართებით. იგი სამგვარია: რაოდენობითი, რიგობითი და წილობითი. სხვაგვარად: „რიცხვითი სახელის მთავარი ფუნქციაა საგანთა რაოდენობის გამოხატვა, ხოლო შემდეგ – რაოდენობასთან დაკავშირებული მიმართების ასახვა: რიგი (რაოდენობრივ სათვალავში) და რაოდენობრივი ნაწილი" (ა. არაბული). რაოდენობითი რიცხვითი სახელები ძირეულია, რიგობითი და წილობითი – მისგან წარმოქმნილი: ხუთი > მეხუთე > მეხუთედი...

სინტაქსურად რიცხვითი სახელი შეიძლება იყოს:

განსაზღვრება (**სამი** ძმა ცხოვრობდა ქალაქში), ქვემდებარე (**პირველმა** ამ სახეობაშიც გაიმარჯვა), დამატება (**მესამედი** მიაკუთვნეს უმცროსს), შედგენილი შემასმენლის სახელადი ნაწილი (ორი და ორი **ოთხია**).

რიცხვითი სახელი სხვა მეტყველების ნაწილისაგან ვერ წარმოიქმნება (გამონაკლისია მხოლოდ პირველი), სამაგიეროდ, მისგან შეიძლება მივიღოთ: არსებითი სახელი (რვა>რვეული, შვიდი>შვიდეული, ათი>ათეული), ზედსართავი სახელი (ერთი > ერთნაირი, ერთგული, ერთგვარი, ორი>ორპირი, ორგული), ზმნა (ერთი>ერთდება, ორი>განმეორდა, სამი>გასამდა, ოცი>გაოცდა), ზმნიზედა (ერთი> ერთგზის, ერთხელ, ერთგან, ხუთი>ხუთჯერ, ხუთგზის).

4.1.2. რაოდენობითი რიცხვითი სახელები. რაოდენობითი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის რაოდენობას. მისი კითხვაა – რამდენი? მაგ.: ერთი, ათი, ოცი, ასი, მილიონი... ბევრი, ცოტა... რაოდენობითი რიცხვითი სახელი გამოხატავს განსაზღვრულ (გარკვეულ) ან განუსაზღვრელ (გაურკვეველ) რიცხვს. განსაზღვრულია: ხუთი, ორმოცი, ათასი, მილიარდი... ასეთი სიტყვები გამოიყენება იმ სახელებთან, რომელთა დათვლა შეიძლება: ათი ვაშლი, ორი მა-

გიდა, ათასი მებრძოლი... განუსაზღვრელი სახელებია: ბევრი (ძველ ქართულში განსაზღვრული იყო, უდრიდა ათი ათასს), ცოტა, უთვალავი, ურიცხვი, მრავალი, უამრავი... მათი მნიშვნელობა ციფრებით არ გადმოიცემა. ისინი თავიანთი სემანტიკით ახლოს დგანან კრებით სახელებთან, ასევე ამგვარი შინაარსის ნაცვალსახელებთან.

ფუძის შედგენილობის მიხედვით, რაოდენობითი რიცხვითი სახელი ორგვარია: მარტივი და რთული. მარტივია სახელი, რომელიც ერთი ფუძისაგან შედგება. ასეთია სულ თორმეტი სიტყვა: ერთი, ორი, სამი, ოთხი, ხუთი, ექვსი, შვიდი, რვა, ცხრა, ათი, ოცი, ასი (ზოგ მკვლევარს ასეთად მიაჩნია აგრეთვე უცხოური წარმოშობის მილიონი და მილიარდი).

რთული რიცხვითი სახელი მიიღება ორი ან მეტი სხვადასხვა ფუძის უკავშირო თუ კავშირიანი შეერთებით. მაგ., უკავშირო რთული რიცხვითი სახელებია: თორმეტი, ორმოცი, ათასი... კავშირიან რთულ ფუძეს აწარმოებს **და** კავშირი: ოცდახუთი, ორმოცდაათი, ოთხმოცდარვა... დღევანდელი უკავშირო რთული ფუძეები – თერთმეტიდან ოცამდე – მიღებულია ძველ ქართულში არსებული სისტემის გამარტივების შედეგად: თერთმეტი < ათ-ერთ-მეტი, თორმეტი < ათ-ორ-მეტი, ცამეტი < ათ-სამ-მეტი და ა. შ. დაახლ. IX საუკუნიდან დაწყებულა ამ სახელთა გამარტივების პროცესი. დროთა განმავლობაში პირველ ფუძეს ჩამოსცილდა თავკიდური **ა**, ზოგ სიტყვაში (ცამეტი, ჩვიდმეტი) მოხდა ფონეტიკური ცვლილებაც, რითაც ნაწილობრივ დაიჩრდილა სიტყვის სემანტიკა, თუმცა მისი აღდგენა მაინც ხერხდება.

რთული ფუძე შეიცავს მარტივსა და მარტივს (ოცდაორი, ათასი...), მარტივსა და რთულს (ოცდათხუთმეტი), რთულსა და მარტივს (სამოცდაორი), რთულსა და რთულს (ოთხმოცდათვრამეტი). რთულად ითვლება ისეთი რიცხვითი სახელიც, რომელიც რიცხვს რამდენიმე ცალკე სიტყვის შეკავშირებით გადმოსცემს: სამას ათი; ათას ცხრაას ოცი, ორი მილიონ შვიდას სამოცი... ამგვარ სახელებს შედგენილსაც უწოდებენ. მათ ახასიათებთ ინტონაციური მთლიანობა.

რაოდენობას გამოხატავს აგრეთვე სიტყვები: ამდენი,

იმდენი, ყველა, რამდენიმე... მაგრამ ისინი განიხილებიან ნაცვალსახელებად.

4.1.3. ქართული თვლის სისტემა. საზოგადოდ, რიცხვებს ათამდე დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს.[1] რიცხვები ათამდე (ერთი, ორი, სამი... ათი) ერთეულებია – მარტივი ანუ პირველი თანრიგისაა. ათეული უკვე თვლის ახალი ერთეულია. ყოველი ახალი რიცხვი 11-დან 19-ის ჩათვლით ათეულზე ერთეულის მიმატებით არის მიღებული: 13=10+3. 21-დან 99-მდე მონაწილეობს თვლის ახალი ერთეული ოცი: 21=20+1. მხოლოდ ოცეულებისაგან შედგება ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი. 100-ს ზევით ყველა ახალი სათვალავი ერთეული წინა ერთეულის ათზე გამრავლებითაა მიღებული: 10000 = 10 × 1000.

თვლის სისტემა ყველა ენაში ერთნაირი არაა: ზოგში იგი ხუთობითია, ზოგში – ათობითი ან ოცობითი (ენათა უმეტესობაში თვლის სისტემა ათობითია), არსებობს თორმეტობითი და სხვა სისტემებიც.

ცნობილია, რომ **ქართული ენის თვლის სისტემა რთულია**: ოციდან ასამდე რიცხვების ციფრებით წერა ერთმანეთს არ ეფარდება, თვლა 20-დან 100-მდე ოცობითია, ციფრებით წერის სისტემა კი – ათობითი. მაგალითად, ვამბობთ – „ოცდათორმეტი“, იწერება 32.

ქართული თვლის სისტემასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები:

1. „ქართული თვლის სისტემა შერეული სახისაა: ნაწილობრივ ათობითია და ნაწილობრივ – ოცობითი. ათობითი სისტემისაა ქართული თვლა ერთიდან ოცამდე და ასს ზევით. ოცობითია 20-დან 100-მდე“ (ა. შანიძე)[2];

---

[1] მაგრამ ყველა ენაში ასე როდია. მაგ., ტასმანიურში (ავსტრალია) დამოუკიდებელი მნიშვნელობისაა **ერთი, ორი** და **სამი**, დანარჩენი რიცხვები მიიღება ამ რიცხვების მიმატებით: 4=3+1, 5=3+1+1...

[2] მეცნიერის დაკვირვებით, ეს მოვლენა შეიძლება აიხსნას იმით, რომ სხვადასხვა დიალექტს ჰქონდა სხვადასხვა თვლის სისტემა (როგორც სვანურშია დღეს: ორ დიალექტში ათობითია, ორში – ოცობითი) და ამან ზეგავლენა მოახდინა სალიტერატურო ენაზე.

2. ქართულისათვის თვლის სისტემა უნდა განისაზღვროს ოციდან ასის ფარგლებში. ამის მიხედვით, ქართული თვლის სისტემა ოცობითია (ალ. გვენცაძე, ა. არაბული). სხვაგვარად: ოცი, ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი-ს შემთხვევაში თვლა ოცობითია, მაგრამ: ოცდაათი, ორმოცდაათი, ოთხმოცდაათ-ში თვლის სისტემა შერეულია.

ქართული ენის მთის კილოებში ოცობითი იყო თვლის სისტემა არა მარტო ოციდან ასამდე, არამედ ასს ზევითაც: ხუთოცი, ექვსოცი და ა. შ. (ა. ჭინჭარაული, ბ. ჯორბენაძე).

ქართულის მსგავსი რთული თვლის სისტემა აქვს ფრანგულსაც; გერმანულში, რუსულში... კი იგი შედარებით მარტივია – თვლიან ათობით (გამონაკლისია მხოლოდ რუსული ორმოცი=сорок...).

შენიშვნა: ვ. თოფურიას აზრით, ძველად ოცობითი თვლა შედარებით განსხვავებული იყო. მაგალითად, გვქონდა ორმეოცი, სამმეოცი, ოთხმეოცი. **მე** ელემენტი ეტოლებოდა ჯერ, ხელ, გზის ნაწილაკების ფუნქციას (ოთხმეოცი=ოთხჯერ ოცი). დროთა ვითარებაში ეს სახელები ფორმით გამარტივდა, დაიკარგა **მე** ელემენტის **ე** ხმოვანი და დარჩა ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი, სადაც **მ** ახლა უფუნქციოა.

4.1.4. ასოებით რიცხვების გამოხატვის წესი ქართულში. რიცხვითი სახელი გამოხატავს საგნის გარკვეულ რაოდენობას, რომელიც შეიძლება გადმოიცეს ციფრების საშუალებით. საზოგადოდ, ციფრი ორგვარია: **რომაული** და **არაბული**. რომაული სისტემის რიცხვების გადმოსაცემად გამოიყენება შვიდი ნიშანი: **I, V, X, L** (50), **C** (100), **O (500), M (1000),** არაბულისთვის კი – ათი: **1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 0**.

ქართულში არაბული ციფრების შემოღებამდე რიცხვებს ასოებით გამოხატავდნენ. ასოებით რიცხვების გამოხატვის სისტემა ასეთი იყო: ანბანის პირველი 9 ასო ერთეულებს აღნიშნავდა, მომდევნო 9 – ათეულებს, შემდეგი 9 – ასეულებს, უკანასკნელი 9 – ათასეულებს, ბოლო ასო **ჰ** უდრიდა ათი ათასს (= ბევრს).

	1	2	3	4	5	6	7	8	9
ერთეული	ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ	ჱ	თ
ათეული	ი	კ	ლ	მ	ნ	ჲ	ო	პ	ჟ
ასეული	რ	ს	ტ	უ	ფ	ქ	ღ	ყ	შ
ათასეული	ჩ	ც	ძ	წ	ჭ	ხ	ჴ	ჯ	ჰ
ბევრეული	ჵ								

ცხრილის მიხედვით: ც = 2000, ცფობ = 2572, ჩყა = 1801, ფლთ=539... (ასოების რიცხვითი მნიშვნელობისა და სახელწოდებათა შესახებ იხ. რ. პატარიძის „ქართული ასომთავრული", თბ., 1980).

საქართველოში დაახლ. X-XI საუკუნეებიდან დაწყებულა არაბული ციფრების გამოყენება: სპეციალურ ლიტერატურაში ეპიგრაფიკული წყაროებიდან პირველ ნიმუშად ასახელებენ ქუთაისის ბაგრატის ტაძრის იატაკის გამაგრების თარიღს („ოდეს განმტკიცნა იატაკი ქორონიკონი იყო 223" =1003 წელს), ხელნაწერებიდან – X საუკუნის „მცხეთის დავითნს"; თუმცა რიცხვების გამოხატვის ძველი წესი ჩვენში XVIII-XIX საუკუნეებამდე არსებობდა.

შენიშვნა: 1) ციფრები თავდაპირველად გამოიგონეს ინდოელებმა; ნულს უწოდეს „სუნია", რაც „ცარიელს" ნიშნავდა. ციფრები ინდოელებისაგან გადაიღეს არაბებმა და თავის ენაზე თარგმნეს. „სუნია" არაბულად ჟღერს, როგორც „ციფრი". ეს ტერმინი კარგა ხანს გამოიყენებოდა ნულის აღსანიშნავად. მოგვიანებით არაბებმა ინდური სისტემის ყველა ათ ნიშანს შეარქვეს „ციფრები", ხოლო ნულისათვის სახელად აიღეს ლათინური სიტყვა „ნულუს" (=არაფერი). მაშასადამე, ციფრები გამოიგონეს ინდოელებმა, მაგრამ მათგან გადაიღეს არაბებმა და გაავრცელეს მთელ მსოფლიოში. ამიტომ ისინი დღეს ცნობილია არაბული ციფრების სახელით.

2) რომაულ ციფრებს იყენებდნენ ძველი რომაელები (ამ ციფრების შესახებ სარწმუნო მონაცემები არ არსებობს. სავარაუდოა, რომ ისინი ნასესხებია ეტრუსკებისგან). რომაული ციფრების სისტემა ემყარება სპეციალურ აღნიშვნებს ათობითი თანრიგებისათვის (I=1, X=10, C=100, M= 1000) და მათი ნახევრებისათვის (V=5, L=50, O=500). ნატურალური რიცხვი იწე-

რება ამ ციფრების განმეორებით (XX=20, XXX=30...). ამასთან ერთად, თუ დიდი ციფრი პატარა ციფრის წინ წერია, ისინი იკრიბებიან (შ ე კ რ ე ბ ი ს პრინციპი, მაგ.: VI=5+1=6), ხოლო, თუ პირიქითაა (ამ დროს ციფრები არ შეიძლება მეორდებოდეს), მაშინ დიდ ციფრს აკლდება პატარა (გ ა მ ო კ ლ ე ბ ი ს პრინციპი, მაგ.: IV=5-1 (IIII ნაცვლად) IX=10-1=9 (VIIII ნაცვლად). უკანასკნელ წესს იყენებენ ერთი და იმავე ციფრის ოთხჯერ გამეორების თავიდან ასაცილებლად. ამ ჩაწერისას მრავალნიშნა რიცხვზე არითმეტიკული ოპერაციების შესრულება მოუხერხებელია, რის გამოც რომაულ ციფრებს იშვიათად იყენებენ (იხ. ქართ. საბჭ. ენციკლ., ტ. 8, 1984).

4.1.5. რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები. რ ი გ ო ბ ი თ ი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის რიგს. მისი კითხვებია: მერამდენე?რიგით რომელი? იგი იწარმოება რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან **მე-ე** კონფიქსის დართვით: სამი > მე-სამ-ე, ოცდასამი > ოცდამესამე... გამონაკლისია **პირველი** (ა. შანიძის მიხედვით, პირველი-ს საფუძველი უნდა იყოს ქართული სიტყვა **პირი**: პირ-ვ-ელ-ი ნიშნავს „პირისკენ მდგომს", „წინ მდგომს"), რომელიც **ერთი**-ს რიგობითია: პირველი საუკუნე, პირველი წარმატება... მისი პარალელური ფორმა **მეერთე** გამოიყენება რთულ სახელებში: ორმოცდამეერთე, ოთხმოცდამეერთე...

და კავშირით შეერთებული რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან ნაწარმოებ რიგობითს მე-ე უნდა დაერთოს **და**-ს მომდევნო ფუძეზე: ოცდაორი > ოცდა**მეორე**...

წ ი ლ ო ბ ი თ ი რიცხვითი სახელი აღნიშნავს საგნის ნაწილს მთელთან შეფარდებით. მისი კითხვაა მერამდენედი? იგი იწარმოება რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან: მეასე > მეასე-**დ** > მეასედ-ი, მეასედმა... ე. ი. წილობითის ფუძეა რიგობითი რიცხვითი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა.

ერთი-ს წილობითი **მეერთედი** გამოიყენება რთული შედგენილობის რიცხვებში (ოცდამეერთედი ნაწილი, მაგრამ არ ვამბობთ: მეერთედი ნაწილი). წილობითი რიცხვითი სახელია **ნახევარი**, იგი იხმარება **მეორედი**-ს ნაცვლად.

ძველ ქართულში წილობითი რიცხვითი სახელი განსხვავებულად იწარმოებოდა. მაშინ წილობითს გამოხატავდა:

1) **ნა-ალ** კონფიქსი: ნა-ხუთ-ალ-ი, ნა-ათ-ალ-ი...

2) **ეულ** სუფიქსიანი რიცხვითი სახელი (ხუთეული=1/5);

3) რიგობითი რიცხვითი სახელი **ნაწილი** სიტყვის დამატებით (მეათწ ნაწილი). აქედან ძირითადი მაინც **ნა-ალ** კონფიქსიანი წარმოება იყო. ამგვარი წარმოება საერთოქართველურია. იგი დღესაც ძირითადია მეგრულში (ნაანთხალი=მეოთხედი); შემორჩენილია ქართული ენის ზოგ დიალექტში, დასტურდება მხატვრულ ლიტერატურაშიც (მაგ.: „ნამდიდრევმა არ ინება არც ნახევარი და არც **ნაოთხალი**“ (საბა), „სიყვარულს ხომ მაინც მიუხვდებოდი, თუნდა **ნაასალი** მადლი გიორგისა არა სცხებოდა“ (ილია), „ჩანდა კვალი ვარსკვლავთა, **ნაოთხალი** მთვარისა“ (გ. ლეონიძე).

მიუთითებენ, რომ **მეოთხედი** ტიპის ფორმები ძველმა ქართულმა თითქმის არ იცოდა; იგი სათავეს იღებს მოგვიანებით (X-XI საუკუნიდან), მაგრამ, როგორც ერთადერთი ყალიბი, საბოლოოდ მკვიდრდება XIX საუკუნიდან (ი. იმნაიშვილი, ირ. ვეშაპიძე).

ძველ ქართულში წილობითი რიცხვითი სახელების წარმოების მრავალფეროვნება ახსნილია სხვადასხვა დიალექტური წრის მონაცემებით, კერძოდ: საფიქრებელია, რომ ერთი დიალექტური ფენა წილობითს აწარმოებდა **ნა-ალ** კონფიქსით, მეორე – **ეულ** სუფიქსიანი რიცხვითი სახელით, მესამე კი ამ მნიშვნელობით იყენებდა **ნაწილ** სიტყვას. შესაბამისად, ეს სამგვარი წარმოება შემოვიდა სალიტერატურო ქართულში და გამოიყენებოდა ერთმანეთის პარალელურად, როგორც სინონიმები. ეს პროცესი მანამდე გრძელდებოდა, სანამ ენამ საბოლოოდ **მეათედი** ტიპის წარმოებას არ მიანიჭა უპირატესობა.

4.2. რიცხვითი სახელის ბრუნება

რიცხვითი სახელი ფორმაცვალებადი, ბრუნებადი სიტყვაა. ფუძის დაბოლოების მიხედვით იგი შეიძლება იყოს თანხმოვანფუძიანი ან ხმოვანფუძიანი, ცვლილების მიხედვით კი

– ძირითადად უკუმშველი ან კვეცადი. კერძოდ: რაოდენობითი რიცხვითი სახელი, გარდა რვისა და ცხრისა, თანხმოვანფუძიანი და უკუმშველია, რიგობითი რიცხვითი სახელი – ხმოვანფუძიანი და კვეცადი (გამონაკლისია მხოლოდ პირველი), წილობითი კი – თანხმოვანფუძიანი და უკუმშველი.

ზედსართავი სახელის მსგავსად, რიცხვითი სახელის ბრუნება ძირითადად განსხვავებულია იმის მიხედვით, ცალკე აღებული იბრუნება თუ საზღვრულთან ერთად, როგორია ფუძის დაბოლოება და ა. შ.

4.2.1. დამოუკიდებელი რიცხვითი სახელის ბრუნება. დამოუკიდებელი რიცხვითი სახელი ისე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი სახელი, ოღონდ არ ექნება წოდებითი ბრუნვა და ებიანი მრავლობითი; ნართანიანი მრავლობითიც იშვიათად ეწარმოება. თუმცა ესაა ფორმალური მრავლობითი, რადგან მას არა აქვს მრავლობითის გაგება (რიცხვითი სახელი თავისთავად გამოხატავს სიმრავლეს):

თ ა ნ ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი

სახ.	ათ-ი	ათ-ნ-ი	პირველ-ი	მეორედ-ი
მოთხ.	ათ-მა	ათ-თა	პირველ-მა	მეორედ-მა
მიც.	ათ-ს	"	პირველ-ს	მეორედ-ს
ნათ.	ათ-ის	"	პირველ-ის	მეორედ-ის
მოქ.	ათ-ით	—	პირველ-ით	მეორედ-ით
ვით.	ათ-ად	—	პირველ-ად	მეორედ-ად
წოდ.	[ათ-ო]	—	პირველ-ო	[მეორედ-ო]

ხ მ ო ვ ა ნ ფ უ ძ ი ა ნ ი

სახ.	რვა	რვა-ნ-ი	მეოცე	მეოცე-ნ-ი
მოთხ.	რვა-მ	რვა-თა	მეოცე-მ	მეოცე-თა
მიც.	რვა-ს	"	მეოცე-ს	"
ნათ.	რვ-ის	"	მეოც-ის	"
მოქ.	რვ-ით	—	მეოც-ით	—
ვით.	რვა-დ	—	მეოცე-დ	—
წოდ.	[რვა-ო]	[—]	[მეოცე-ვ]	[—]

რაოდენობითი რიცხვითი სახელი ზოგჯერ ებიან მრავლობითშიც გვხვდება: ორები, სამები, ოთხები, ხუთები... ათები (ანალოგიურია ფორმობრივ-სემანტიკურად ორიანები, სამიანები, ხუთიანები...). ამ შემთხვევაში ისინი არ-

სებითი სახელის ფუნქციას ასრულებენ. მაგ., სტუდენტმა ყველა საგანში ა თ ე ბ ი მიიღო. აქ „ათები" ნიშნავს ბევრ ათს. ამიტომაც დაესმის არსებითი სახელის კითხვა: **რა** მიიღო?

რიცხვით სახელს შეიძლება დაერთოს ნაწილაკები: **ც(ცა), ღა, ოდე, ვე** (ათი-ც, ათსა-ც, ათი-ღა, ათი-ოდე, ათი-ვე)

ც(ცა) და **ღა** ყურადღებას ამახვილებს იმ სიტყვაზე, რომელსაც დაერთვის. **ოდე** (ოდენ) დასახელებულ რიცხვთან მიახლოებას გამოხატავს. იგი შეზრდილია სახელობითი ბრუნვის ფორმასთან და ისევე იბრუნვის, როგორც ფუძეუკვეცელი სახელი: ხუთიოდე, ხუთიოდე-მ, ხუთიოდე-ს, ხუთიოდეს-თვის... **ოდე** ნაწილაკიან რიცხვით სახელს მრავლობითი არა აქვს. **ვე** შეხორცებულია სახელობითის ფორმასთან და ფუძეში შედის: ოთხივე, ოთხივე-მ, იშვიათად შეიძლება **ვე** ნაწილაკი შეუხორცებლადაც შეგვხვდეს: ოთხმა-ვე, ოთხსა-ვე...

4.2.2. რიცხვითი სახელის ბრუნება არსებითთან ერთად. რიცხვითი სახელი, ჩვეულებრივ, აღნიშნავს საგნის რაოდენობას, რიგს ან ნაწილს. შესაბამისად, იგი ახლავს არსებით სახელს და მასთან ქმნის მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილს (სამი ძმა, მეოცე საუკუნე, მეხუთედი ნაწილი...). რიცხვითი სახელი **ატრიბუტული** მსაზღვრელია.

მსაზღვრელი რიცხვითი სახელი არსებითთან ერთად ისე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის ზედსართავი არსებითთან ერთად. აქაც მნიშვნელობა აქვს მსაზღვრელის ფუძის დაბოლოებასა და მსაზღვრელ-საზღვრულის წყობას.

პირდაპირი წყობა

თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი

სახ.	ორ-ი	სახლ-ი	ორ-ნ-ი	სახლ-ნ-ი
მოთხ.	ორ-მა	სახლ-მა	ორ-თა	სახლ-თა
მიც.	ორ	სახლ-ს	"	"
ნათ.	ორ-ი	სახლ-ის	"	"
მოქ.	ორ-ი	სახლ-ით	—	—
ვით.	ორ	სახლ-ად	—	—
წოდ.	[ორ-ო	სახლ-ო]	[ორ-ნ-ო	სახლ-ნ-ო]

ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი

სახ.	ცხრა	ძმა	ცხრა-ნ-ი	ძმა-ნ-ი
მოთხ.	ცხრა	ძმა-მ	ცხრა-თა	ძმა-თა
მიც.	ცხრა	ძმა-ს	"	"
ნათ.	ცხრა	ძმ-ის	"	"
მოქ.	ცხრა	ძმ-ით	—	—
ვით.	ცხრა	ძმა-დ	—	—
წოდ.	[ცხრა-ო	ძმა-ო]	[ცხრა-ნ-ო	ძმა-ნ-ო]

შებრუნებული წყობა

სახ.	სახლ-ი	ორ-ი	სახლ-ნ-ი	ორ-ნ-ი
მოთხ.	სახლ-მა	ორ-მა	სახლ-თა	ორ-თა
მიც.	სახლ-ს	ორ-ს	"	"
ნათ.	სახლ-ის	ორ-ის	"	"
მოქ.	სახლ-ით	ორ-ით	—	—
ვით.	სახლ-ად	ორ-ად	—	—
წოდ.	[სახლ-ო	ორ-ო]	[სახლ-ნ-ო	ორ-ნ-ო]

სახ.	ძმა	ცხრა	ძმა-ნ-ი	ცხრა-ნ-ი
მოთხ.	ძმა-მ	ცხრა-მ	ძმა-თა	ცხრა-თა
მიც.	ძმა-ს	ცხრა-ს	"	"
ნათ.	ძმ-ის	ცხრ-ის	"	"
მოქ.	ძმ-ით	ცხრ-ით	—	—
ვით.	ძმა-დ	ცხრა-დ	—	—
წოდ.	[ძმა-ო	ცხრა-ო]	[ძმა-ნ-ო	ცხრა-ნ-ო]

მაშასადამე, პირდაპირი წყობის დროს მსაზღვრელად გამოყენებული თანხმოვანფუძიანი რიცხვითი სახელი იბრუნება გარდამავალი სახეობით, ხმოვანფუძიანი კი არც ერთ ბრუნვაში არ დაირთავს ნიშანს; შებრუნებული რიგის შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს რიცხვითი სახელის ფუძის დაბოლოებას – იგი ყველა ბრუნვაში გაფორმებულია სათანადო ნიშნებით საზღვრული არსებითი სახელის მსგავსად.

მსაზღვრელი რიცხვითი სახელი, როგორც წესი, ვერ აწარმოებს წოდებით ბრუნვას, თუმცა იშვიათად მხატვრულ ლიტერატურაში, მეტწილად პოეზიაში, შეიძლება იყოს ასეთი ფორმები: „ოთხო წელიწადო“ (ილია), „ორო ჭადარო“ (გალაკტიონი). გარდა ამისა, იგი საზღვრულს იკავშირებს მხოლობი-

თის ფორმით, იშვიათ შემთხვევაში გამოვლენილი რიცხვითი სახელის მრავლობითობაც ფორმალურია: **შვიდნი ძმანი, შვიდთა ძმათა** ტიპის ფორმებში **ნ** და **თ** ნიშნებს გრამატიკული ფუნქცია არა აქვთ, ვერ გადმოსცემენ მხოლობითისაგან განსხვავებულ სემანტიკას. ამგვარ ფორმათა გამოყენება მხოლოდ სტილისტური საჭიროებით უნდა იყოს გამოწვეული.

4.3. რიცხვით სახელთა მართლწერა

რიცხვით სახელს უკავშირდება მართლწერის რამდენიმე წესი:

1) ფუძეგაორკეცებული და სხვადასხვა რიცხვითი სახელის შეერთებით მიღებული კომპოზიტები იწერება დეფისით: სამ-სამი, ას-ასი... ათი-თორმეტი, ოცი-ოცდაათი...

2) **ნახევარი** დეფისით გამოეყოფა იმ სახელს, რომელსაც დაერთვის უკავშიროდ: რვა-ნახევარი, ლიტრ-ნახევარი...

3) რთული რიცხვითი სახელები ასამდე და ასეულების აღნიშვნელი რიცხვითები იწერება ერთად: ოცდაერთი, ცხრაასი... ხოლო რიცხვითი სახელები ასს ზევით (გარდა ასეულების აღმნიშვნელისა) იწერება ცალ-ცალკე: ას ათი, ექვსას ხუთი... ოცი ათას სამას ორმოცდათვრამეტი...

4) ათასეულთა აღმნიშვნელი რიცხვითი სახელები **ათასს** სახელობითი ბრუნვის ფორმით უნდა შეეწყოს ყველა ბრუნვაში: სამი ათასი კაცი, სამი ათასმა კაცმა, სამი ათას კაცს...

5) თუ რიგობითი რიცხვითი სახელი იწარმოება ისეთი რთული რაოდენობითი რიცხვითი სახელისაგან, რომლის პირველი (მსაზღვრელი) კომპონენტია ერთ- ან ორსიტყვიანი რაოდენობითი რიცხვითი სახელი, ხოლო მეორე (საზღვრული) კომპონენტია **ათასი, მილიონი, მილიარდი** და ა. შ., მაშინ **მე-** პრეფიქსი დაერთვის მთელ მსაზღვრელ რიცხვით სახელს, **-ე** სუფიქსი კი – საზღვრულს. ამასთან, **ათასი**-ს წინამავალი რიცხვითი მსაზღვრელი სახელობითის **-ი** ნიშნით იქნება წარმოდგენილი, ნასესხები **მილიონის, მილიარდისა** და მისთ. წინამავალი რიცხვითი მსაზღვრელი კი – ფუძის სა-

ხით: მეხუთიათასე, მეასოციათასე, მაგრამ: მეშვიდმილიონე, მეოცდაექვსმილიარდე და ა. შ.

6) **მე-ე** კონფიქსით ნაწარმოები რიგობითი რიცხვითი სახელი ერთ სიტყვად გაფორმდება (ასმეათე, რვაასორმოცდამესამე...), ხოლო, თუ მას წინ უძღვის უფრო მაღალი კლასის რიცხვის აღმნიშვნელი სხვა სიტყვები, მაშინ ისინი ცალცალკე დაიწერება: სამი მილიონ მეხუთიათასე, ორას ათი მილიარდ მეშვიდმილიონე და ა. შ. (ქ. დათუკიშვილი).

7) რომაული ციფრებით გამოსახულ რიგობით რიცხვით სახელს მაწარმოებელი არ სჭირდება: X კლასი (მეათე კლასი), XXI საუკუნე (ოცდამეერთე საუკუნე)...

8) არაბული ციფრების შემთხვევაში გამოიყენება შემდეგი წესები:

ა. თუ რიგობითი რიცხვითი სახელი მარტივფუძიანია ან უკავშიროდაა შეერთებული, მაშინ ჯერ იწერება **მე-** პრეფიქსი და შემდეგ – ციფრი: მე-9, მე-20, მე-300, მე-1000...

ბ. როცა რიგობითი რიცხვითი სახელი **და** კავშირითაა შეერთებული, ჯერ იწერება ციფრი, შემდეგ – დეფისი, ბოლოში – **ე**: 21-ე, 77-ე...

9) **პირველი** არაბული ციფრით ასე გამოიხატება: 1-ლი, 1-ლში.

10) რიცხვის ციფრით გამოხატვისას ფუძეზე დართული ელემენტები – ბრუნვის ნიშანი (გარდა სახელობითისა), ნაწილაკი და თანდებული – დეფისით გამოეყოფა ციფრს: 2-მა, 7-სა და 9-ს... VIII-ც, V-ც, XX-ში. ასეთი დაწერილობისას აღინიშნება რიგობითობის მაწარმოებელი აფიქსებიც: 23-ეში, 31-ესთვის, 75-ეზე, მე-20-ისათვის; იგივე პრინციპი შენარჩუნდება ნაწილაკის დართვის შემთხვევაშიც: მე-4-სღა, 24-ეღა... (თ. ბურჭულაძე).

11) როცა მსაზღვრელად რიცხვითი სახელია, მაშინ მასთან მდგომი საზღვრული (არსებითი) მხოლობითში უნდა იყოს: ორი ბავშვი, სამი ძმა, ოცი წიგნი... და არა: ორი ბავშვები, სამი ძმები, ოცი წიგნები... (ნართანიან მრავლობითში შეიძლება შეგვხვდეს ფორმალური მრავლობითი: ოთხნი დანი).

12) **ვე** ნაწილაკიანი რიცხვითი სახელი შეიძლება შეგვხვდეს პარალელური ფორმებით: ორივე-მ/ორმა-ვე, ორივეს/ორსა-ვე... ამათგან უპირატესობა ნაწილაკშეზრდილ ფორმებს ეკუთვნის, თუ რიცხვი მხოლობითია. **თ**ანიან მრავლობითში **ვე** შეუხორცებელია (ორთავე), **ნ**არიანი მრავლობითის სახელობითში კი ორივე ფორმა გამოიყენება: ორივე-ნ-ი || ორნი-ვე. სალიტერატურო ქართულისათვის მიუღებელია ასეთი ფორმები: ორ**თ**ავენი მოვიდნენ, ორთავემ დაწერა (დაწერეს). უნდა იყოს: ორივე მოვიდა, ორივემ დაწერა.

რაოდენობითი და წილობითი რიცხვითი სახელები არაბული ციფრით იწერება, რიგობითი კი – რომაულითა და არაბულით. რიცხვების ციფრებით წერას საერთაშორისო გამოყენება აქვს.

4.4. რიცხვითი სახელის შესწავლის ისტორიისათვის

რიცხვითი სახელი ძველ ბერძნულსა და ლათინურ გრამატიკებში არ იყო დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი. მაგალითად, დიონისე თრაკიელის „ტექნე გრამატიკეში" პირველი მეტყველების ნაწილი **სახელი** გულისხმობდა არსებითს, ზედსართავსა და რიცხვით სახელებს.

ევროპული გრამატიკული ტრადიციით, რიცხვითი სახელის დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად გამოყოფა გვიან მომხდარა, რაშიც „არსებითი როლი ითამაშა იმან, რომ რიცხვით სახელთა ლექსიკური სემანტიკა მკაფიო და ერთგვაროვანია. სწორედ ამის გამო რიცხვითი სახელები აღმოჩნდა იმ სიტყვათა შორის, რომელთა შედარებამაც საფუძველი ჩაუყარა შედარებით-ისტორიულ მეცნიერებას (ნ. ლოლაძე).

ვარაუდობენ, რომ რიცხვითი სახელი ევროპულ გრამატიკულ ლიტერატურაში ცალკე მეტყველების ნაწილად განიხილება XVII-XVIII საუკუნეებიდან, თუმცა ქართულ გრამატიკებში რიცხვითი სახელის ამგვარ კვალიფიკაციას გაცილებით გვიან ვხვდებით. მაგ., ანტონის გრამატიკაში (ბერძნულ-ლათინური ტრადიციისამებრ) რიცხვითი სახელი ჯერ კიდევ

არაა დიფერენცირებული სახელისაგან, მაშინ როცა ავტორი ზედსართავ სახელს უკვე მიიჩნევს სახელთა ერთ გარკვეულ ნაწილად (სახედ) და საგანგებოდ მსჯელობს მასზე, ხოლო, რიცხვით სახელს, ე. ბაბუნაშვილის დაკვირვებით, „ანტონი არსად არ განიხილავს თავის გრამატიკაში“[1].

1800-იანი წლებიდან შექმნილ ზოგიერთ გრამატიკაში სახელის დახასიათებისას ზედსართავთან ერთად რიცხვით სახელზეც მიუთითებენ. მაგალითად, იოანე ქართველიშვილმა სახელის განმარტებაში შეიტანა ახალი ჯგუფი **რიცხვითი სახელი**; ტერმინი „რიცხვითი სახელიც“ მასვე ეკუთვნის. დ. ჩუბინაშვილის გრამატიკაში რიცხვითი სახელი, რომელიც იყოფა: 1. რაოდენობითად (ერთი), რიგობითად (პირველი), ნაწილის გადმომცემად (მეათედი), განხილულია ზედსართავის ჯგუფში. რიცხვითი სახელი, როგორც დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი, პირველად გამოყო პ. კვიცარიძემ 1888 წელს. რიცხვით სახელზე უფრო ვრცლად მსჯელობდნენ მომდევნო ხანის სხვა ძველი გრამატიკოსებიც.

რიცხვითი სახელის მეცნიერული კვლევა – მისი სისტემური შესწავლა მოცემულია ა. შანიძის გრამატიკებში, სხვა მკვლევართა მონოგრაფიებსა თუ ცალკეულ ნაშრომებში.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

არაბული ა., რიცხვითი სახელი: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, თბ., 2011.

ბაბუნაშვილი ე., ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

[1] აქ უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ, მართალია, ანტონი ცალკე საგანგებოდ არ განიხილავს რიცხვით სახელს ზედსართავის დონეზე, მაგრამ მისთვის იგი უცნობი არ ყოფილა: ნაცვალსახელის ბრუნების დროს („გრამატიკის“ მე-14 პარაგრაფში) წერს: „იქმნების სახელებრ ბრუნვაი რიცხვთაცა“. ამ მსჯელობას მოსდევს **ერთი** რიცხვითი სახელის ბრუნების პარადიგმა მხ. და მრ. რიცხვში. ამ ფაქტზე უფრო ადრე (1995 წ.) მიუთითა ა. ფოცხიშვილმა.

ბურჭულაძე თ., თანდებულიან და ნაწილაკდართულ რიცხვით სახელთა მართლწერისათვის: ქსკს, XIV, თბ., 2014.

გვენცაძე ა., თვლის სისტემა ქართულში, თბ., 1960.

გვენცაძე ა., ქართული ენის რიცხვითი სახელი, თბ., 1972.

დათუკიშვილი ქ., რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოებისათვის ქართულში: ქსკს, XI, თბ., 1998.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965; 1988.

თოფურია ვ., ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში: თხზ. ტ. III, თბ., 1979.

იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.

ლოლაძე ნ., რიცხვითი სახელი: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.

ონიანი ა., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

პატარიძე რ., ქართული ასომთავრული, თბ., 1980.

საღინაძე რ., ძველი ქართული ენა, თბ., 2008.

უთურგაიძე თ., ქართული ენის სახელის მორფონოლოგიური ანალიზი, თბ., 1986.

ფეიქრიშვილი ჟ., ქართული ენა, თბ., 2007.

ფოცხიშვილი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1995.

ფოცხიშვილი ა., თვლა ოცობითი თუ ათობითი: ქართული ენა, თბ., 2000.

ქაროსანიძე ლ., მეტყველების ნაწილები: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე ა., ოცობითი თვლის გავლენა ათობით წერაზე: თხზ., ტ. II, თბ., 1981.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998.

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; II გამოც. 2008.

ჭინჭარაული ალ., ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1960.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

თავი V. ნაცვალსახელი

5.1. ნაცვალსახელის მნიშვნელობა და ფუნქცია

ნაცვალსახელი არის მეტყველების ნაწილი, რომელიც გამოიყენება არსებითის, ზედსართავისა და რიცხვითი სახელების ნაცვლად. სხვაგვარად: „ნაცვალსახელი ჰქვია ისეთ სიტყვას, რომელიც ფრაზაში ეკვივალენტია რომელიმე სახელისა (არსებითის, ზედსართავის, რიცხვითი სახელის)“ (ა. შანიძე)[1].

ნაცვალსახელი ზოგადად აღნიშნავს საგანს, მის ნიშანთვისებას ან რაოდენობას; იგი არსებითად დაცლილია საგნობრივი შინაარსისაგან. მისთვის ძირითადია მცვლელის ფუნქცია[2]. სხვაგვარად: „ნაცვალსახელის ენობრივი დანიშნულება რომელიმე სხვა სახელის როლში ყოფნაა... დამოუკიდებელი არსებობა მას არ ახასიათებს“ (ა. არაბული). მაგალითად: **ვანო** ბეჯითი ყმაწვილია, ი ს სტუდენტია; ნინომ **ლამაზი** სურათი შეიძინა, ა ს ე თ ი ვ ე სურათი აჩუქა მეგობარს; პირველ კლასში **ოცი** მოსწავლეა, ა მ დ ე ნ ი ვ ე ა მეორე კლასშიც. ნაცვალსახელს საკუთარი კითხვები არა აქვს, მიუგებს მის მიერ შეცვლილი მეტყველების ნაწილების კითხვებზე.

ფუნქციის მიხედვით ნაცვალსახელი ორგვარია:

1) ნაცვალსახელი, რომელიც არსებითისებრ გამოიყენება (ის მოვიდა);

2) ნაცვალსახელი, რომელიც მსაზღვრელად ახლავს სახელს, გამოიყენება ზედსართავისებრ (ის წიგნი).

ქართულ ლინგვისტიკაში ნაცვალსახელი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს სამი თვალსაზრისით: 1) მეტყველების ნაწლთა შორის ის საკმაოდ ძველია და ამიტომაა დეფექტურად

---

[1] არ. მარტიროსოვის მიხედვით, იმის გამო, რომ ყველა ნაცვალსახელს ყოველთვის არ შეუძლია სხვა სახელის შეცვლა (მაგ., ასეთებია I და II პირის ნაცვალსახელები – მოქმედისა და თანამოქმედის ზოგადი სახელები), „ამდენად ნაცვალსახელი შეიძლება განისაზღვროს ისეთ სიტყვად, რომელიც ნინადადებაში **უმთავრესად** (ხაზი ჩვენია – ჟ. ფ.) არსებითის, ზედსართავის ან რიცხვითი სახელის ეკვივალენტად გვევლინება“.

[2] სნორედ ფუნქციის მიხედვითაა დარქმეული სახელწოდება „ნაცვალსახელი“ („სახელთნაცვალი“).

წარმოდგენილი: ზოგი მათგანი სულ არ იცვლება და ამ მხრივ შესამჩნევი კავშირი აქვს ზმნიზედასთან (თუ იცვლება, ყველა ფორმის წარმოება არ შეუძლია); 2) გამოყენებულია მორფოლოგიურ ელემენტებად – ბრუნვისა და პირის ნიშნებად; 3) ნაცვალსახელი ისეთი უბანია, სადაც ყველაზე მეტია მსგავსება სულ სხვადასხვა სისტემის ენათა შორის არა მარტო სტრუქტურის მხრივ, არამედ მატერიალურ ნაწილშიც (ვ. თოფურია).

ზეპირსა თუ წერითს მეტყველებაში ფართოა ნაცვალსახელის მოხმარების სფერო. იგი განსაკუთრებით ფასეულია ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად.

სინტაქსურად ნაცვალსახელი შეიძლება იყოს:

ქვემდებარე („**მე** არ ვწერ ლექსებს, /ლექსი **თვითონ** მწერს"), დამატება („**რაც** სიძულვილმა გაანადგურა, /**მას** სიყვარული აღადგენს ისევ"), განსაზღვრება („**ჩვენი** კალამი დაუღალავი გუთანია"), გარემოება („მე ჩანგური **მისთვის** მინდა, რომ სიმართლეს მსახურებდეს"), შედგენილი შემასმენლის · სახელადი ნაწილი („ეს მთა **ჩემია**, ეს ხე **ჩემია**").

ფუძის შდგენილობის მიხედვით ნაცვალსახელი სამგვარია: ძირეული (მე, შენ), წარმოქმნილი (ჩვენგანი) და თხზული (ერთმანეთი). მათი უმრავლესობა მიღებულია ნაცვალსახელებისგანვე ნაწილაკების დართვით ან ბრუნვის ფორმათა ფუძედ გამოყენებით (ვინ>ვინც; რა>რამე; იგი> მ-ის>მის-ი, მე – ჩემ>ჩემი...); ორიოდე შემთხვევაში ნაცვალსახელის ფუნქციით გვხვდება არსებითი და რიცხვითი სახელებიც (კაცი, ერთი, ერთმანეთი).

ნასესხები ნაცვალსახელები ქართულში არაა.

ნაცვალსახელისაგან იწარმოება: არსებითი (ვინაობა < ვინ; რაობა < რა), ზედსართავი (საჩვენო < ჩვენი), ზმნა (ასხვისებს < სხვა, ითავისებს < თავისი...), ზმნიზედა (ყველგან, რამდენჯერ...), კავშირი (ესე იგი, რადგან < რაითგან); იგი შედის ზოგიერთ ნაწილაკში (მეთქი < მე ვთქვი), შორისდებულებში (ვაიმე), სიტყვათა მყარ შეხამებაში (შენი ჭირიმე). ნაცვალსახელური წარმოშობისად მიაჩნიათ აგრეთვე სახელობითისა და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნები: -ი (<იგი), -მა (<მან).

5.2. ნაცვალსახელის შინაარსობრივი ჯგუფები
(ზოგადი მიმოხილვა)

ფუნქცია-შინაარსის მიხედვით ქართულ ლინგვისტიკაში ტრადიციულად გამოიყოფა ნაცვალსახელთა ათი ჯგუფი. ესენია:

პირის: მე, შენ, ის, იგი, ჩვენ, თქვენ, ესენი, ეგენი, ისინი, თავი.

ჩვენებითი: ეს, ეგ, ის, ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამდენი, მაგდენი, იმდენი, ჩემდენი, შენდენი, ამგვარი, იმგვარი, ამნაირი, მაგნაირი, იმნაირი, ჩემნაირი, შენნაირი, თქვენნაირი...

კითხვითი: ვინ, რა, რომელი, როგორი, რანაირი, როდინდელი, სადაური, რამდენი, მერამდენე, მერამდენედი...

კუთვნილებითი: ჩემი, შენი, მისი, თავისი, სხვისი, ჩვენი, თქვენი, მათი, თავიანთი...

კითხვით-კუთვნილებითი: ვისი, რისი (რისა).

მიმართებითი: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, როდინდელიც, სადაურიც, რამდენიც, მერამდენეც, მერამდენედიც.

ურთიერთობითი: ურთიერთი, ერთურთი, ერთმანეთი, ერთიმეორე.[1]

განსაზღვრებითი: თვით, თვითონ, თავად, ყველა, ყველაფერი, სხვა, მავანი.

განუსაზღვრელობითი: ვინმე, რამე, რომელიმე, რამდენიმე... ვიღაცა, რაღაცა, რომელიღაცა... ერთი, კაცი, ზოგი, ზოგიერთი.

უარყოფითი: არავინ, ვერავინ, ნურავინ, არარა, ვერარა, ნურარა, არაფერი, ვერაფერი, ნურაფერი, აღარაფერი, ველარაფერი, ნულარაფერი[2]...

---

[1] ა. შანიძისა და ლ. კვაჭაძის სასკოლო სახელმძღვანელოებში დასახელებულია ნაცვალსახელთა 9 შინაარსობრივი ჯგუფი, მათ შორის არაა **ურთიერთობითი.**

[2] არსებობს სხვა მოსაზრებაც. ზოგი მკვლევარი, ფუნქციური მიმართების მიხედვით, გამოყოფს 11 ჯგუფს; მეთერთმეტეა **უკუქცევითი** ნაცვალსახელი **თავი** (შ. კეკელია, ა. დავითიანი, ბ. ჯორბენაძე, ა. არაბული...).

5.3. ნაცვალსახელთა წარმოება და ბრუნება

5.3.1. პირის ნაცვალსახელები. ქართულში პირი სამია: I – მოუბარი, II – თანამოუბარი – ადრესატი, III – საუბრის საგანი. თითოული პირი გამოხატულია ნაცვალსახელებით:

I პირის ნაცვალსახელებია: მე, ჩვენ

II პირისა – შენ, თქვენ

III პირისა – ეს, ეგ, ის, იგი, ეგენი, ისინი, თავი

ამათგან საკუთრივ პირის ნაცვალსახელებად მიჩნეულია მე, ჩვენ, შენ, თქვენ, რადგან მათ აქვთ მხოლოდ ერთადერთი ფუნქცია – პირის აღნიშვნა და ეს პირი აუცილებლად ადამიანია, III პირის ნაცვალსახელები კი ორი ფუნქციის მქონეა: გამოხატავენ პირსაც და ჩვენებითი ნაცვალსახელის როლშიც გამოდიან; თანაბრად გამოიყენება ადამიანთა და სხვა დანარჩენ სახელთა მიმართ (ამის გამო III პირის ნაცვალსახელებს განვიხილავთ მომდევნო პარაგრაფში ჩვენებით ნაცვალსახელებთან ერთად).

თავი, ჩვეულებრივ, არსებითი სახელია (თავი დაიბანა), მაგრამ იგი III პირის ნაცვალსახელის ფუნქციითაა, თუ პიროვნებას გულისხმობს: თავი ისახელა, თავი მოიწონა... ამიტომაა, რომ ამ ნაცვალსახელს **უკუქცევითსაც** უწოდებენ.

I და II პირის ნაცვალსახელები ძირეული სიტყვებია (უძველესი წარმოშობისა). ისინი ფორმას არ იცვლიან – არ დაირთავენ ბრუნვისა და რიცხვის ნიშნებს, შესაბამისად, არ გააჩნიათ ბრუნებისა და რიცხვის გრამატიკული კატეგორიები. მაგალითად:

სახ.	მე	ჩვენ	შენ	თქვენ
მოთხ.	მე	ჩვენ	შენ	თქვენ
მიც.	მე	ჩვენ	შენ	თქვენ
ნათ.	ჩემ(თვის, გან, მიერ...)	ჩვენ(თვის...)	შენ(თვის...)	თქვენ(თვის...)
მოქ.	—	—	—	—
ვით.	—	—	—	—
წოდ.	—	—	შე, შენ	თქვე, თქვენ

მე და **ჩვენ** ნაცვალსახელები გამოიყენება ოთხ ბრუნვაში. აქედან **მე** სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში არის ერთი (მე) ფორმით, ნათესაობითში კი ფუძეს იცვლის

და **ჩემ** ფორმით გვხვდება. დანარჩენი ბრუნვები არ გააჩნიათ, ნაკლული ფორმები (მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვებისა) შევსებული აქვთ იმავე ფუძის კუთვნილებითი ნაცვალსახელებით: ჩემით, ჩემად, ჩვენით, ჩვენად, ჩვენდა.

შენ და **თქვენ** ნაცვალსახელების ბრუნვებია: სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი, ნათესაობითი, წოდებითი; არ ეწარმოებათ მოქმედებითი და ვითარებითი, მაგრამ ნაკლულ ფორმებს ივსებენ იმავე ფუძის კუთვნილებითი ნაცვალსახელებით: შენით, შენად, შენდა – თქვენით, თქვენად, თქვენდა. **შენ** და **თქვენ** წოდებითში ორნაირი ფორმითაა: შენ/შე, თქვენ/თქვე. შე და თქვე გამოიყენება სხვა სახელებთან ერთად მიმართვის დროს: შე კაი კაცო! თქვე დალოცვილებო!

პირის ნაცვალსახელებს ნათესაობით ბრუნვაში ყოველთვის დაერთვის თანდებულები: ჩემ მიერ, ჩვენგან, შენკენ, თქვენთვის...

მე, ჩვენ, შენ, თქვენ ნაცვალსახელები ყველა ბრუნვაში ერთი ფორმით – ფუძის სახითაა და ეს ფუძე ასრულებს სხვადასხვა ბრუნვის ფუნქციას. ამიტომ მსგავსი ფორმების გასარჩევად მათ უნდა შეენაცვლოს არსებითი სახელი და ამის მიხედვით გაირკვევა ბრუნვა. მაგალითად:

მე (სტუდენტ-ი) ვკითხულობ – სახელობითი

მე (სტუდენტ-მა) წავიკითხე – მოთხრობითი

მე (სტუდენტ-ს) წამიკითხავს – მიცემითი

I და II პირის ნაცვალსახელებს არ გააჩნიათ რიცხვის კატეგორიაც, რიცხვის ნიშნებს არ დაირთავენ. მართალია, **მე** მიჩნეულია მხოლობითად, **ჩვენ** კი –მრავლობითად, მაგრამ ისინი უპირისპირდებიან მხოლოდ შინაარსობრივად. მრავლობითობა გამოიხატება სხვადასხვა ფუძის საშუალებით – სუპლეტურად: მე – ჩვენ (შდრ. არსებითი სახელის მრავლობითის ფორმა: წიგნი – წიგნ**ები**). **ჩვენ** არ უდრის მხოლობითი **მე** ფორმის სიმრავლეს (მე+მე), ანუ **ჩვენ** არ არის ერთი საგნის მრავლობითი (განსხვავებით არსებითი სახელისაგან: სახლები=სახლი+სახლი...). მასში იგულისხმება I-II ან I-III, ან კიდევ I-II-III პირები.

გარდა ამისა, არსებით სახელებში მრავლობითი რიც-

ხვი გამოხატულია სპეციალური ნიშნებით (-ებ, -ნ, -თ სუფიქსებით), **ჩვენ, თქვენ** ნაცვალსახელებში კი მრავლობითის აფიქსი არა გვაქვს; ეს სიტყვები მთლიანად ფუძეა და მხოლოდ შინაარსით ირკვევა, რომ **ჩვენ** გულისხმობს მე+შენ, მე+თქვენ, მე+ის, მე+ისინი; მე+შენ+ის...

ასევე: **თქვენ**=შენ+ის, შენ+ისინი...

ძველ ქართულში **ჩვენ** ნაცვალსახელი გარჩეული იყო მასში ნაგულისხმები პირების მიხედვით, კერძოდ: როცა **ჩვენ** უდრიდა I და II პირს, ე. ი. მე-სთან ერთად აუცილებლად იყო ჩართული II პირი (შეიძლება III-ც ყოფილიყო), მას ეწოდებოდა ი ნ კ ლ უ ზ ი უ რ ი (ინკლუზივი < ლათ. includo = „ჩავურთავ"), ხოლო, თუკი **ჩვენ** I და III პირს მოიცავდა, ე. ი. არ იყო ჩართული II პირი, მას ერქვა ე ქ ს კ ლ უ ზ ი უ რ ი (ექსკლუზივი < ლათ. excludo = გამოვრიცხავ, ამოვშლი). სხვაგვარად: **ჩვენ** ნაცვალსახელში ინკლუზიურ-ექსკლუზიურ ფორმებს განასხვავებდა II პირის ჩართვა-ჩაურთველობა. შესაბამისად, ასეთი ფორმები ზმნაშიც განსხვავებული პირის ნიშნებით გამოიხატებოდა (იხ. გვ. 165). I პირის ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმები დღესაც გარჩეულია სვანურში. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, საზოგადოდ, ამ ფორმათა არსებობა ასაბუთებს იმ დებულებას, რომ მხოლობითიდან მრავლობითზე გადასვლა თავდაპირველად გაშუამავლებული იყო კონკრეტული სახის მრავლობითით.

ამგვარად, I და II „პირის ნაცვალსახელები ამ თავისებურებებით უნდა აღნიშნავდნენ ბრუნების იმ საფეხურს, როცა ბრუნვები ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული. არ გვქონდა გრამატიკული რიცხვის კატეგორია და ერთი და მრავალი მხოლოდ ფუძეთა მიხედვით იყო გარჩეული" (ი. იმნაიშვილი).

ჩვენ და **თქვენ** ნაცვალსახელები თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით დიალოგურ მეტყველებაში, გამოირჩევა სემანტიკური მრავალფეროვნებით – სხვადასხვა ნიუანსობრივი ელფერით ანუ გადატანითი ფუნქციებით. მაგალითად, ისინი ზოგჯერ (თავაზიან, მორიდებულ საუბარში) მხოლობითის მნიშვნელობითაც გამოიყენებიან: „დღეს ჩვენ

(=მე) განსახილველად წარმოგიდგენთ ახალ მოხსენებას"; „ბატონო პროფესორო, თქვენ (=შენ) განსაკუთრებით საინტერესოდ წარმოაჩინეთ ჩვენი ისტორიული წარსული"...

ქართულში ძველად, დაახლოებით X საუკუნემდე, მიმართვის თავაზიანი ფორმები არ შეინიშნებოდა, იგი შემოვიდა ევროპული ენებიდან (სადაც გაჩენილი იყო ლათინურის გავლენით). ზ. კიკვიძის აზრით, **ჩვენ, თქვენ** პირის ნაცვალსახელებმა თავაზიანობის გამოხატვის სემანტიკური ნიუანსი შეიძინა საზოგადოების განვითარების გარკვეულ საფეხურზე; ისინი დღეს ენაში მყარად არსებობენ და შეიძლება გამოიყონ პირის ნაცვალსახელების ქვეთანრიგად **სუბიექტური შეფასების ნაცვალსახელების** სახელწოდებით.

ჩვენ, თქვენ ნაცვალსახელთა მეორეული მნიშვნელობების შესახებ საინტერესო დაკვირვებებია წარმოდგენილი სხვა მკვლევართა ნაშრომებშიც.[1]

5.3.2. ჩვენებითი ნაცვალსახელები. ჩვენებითი ნაცვალსახელებია: ეს, ეგ, ის, იგი, ასეთი, ეგეთი, ისეთი, ამნაირი, ჩემნაირი, შენნაირი, მაგნაირი, იმნაირი, ამისთანა, მაგისთანა, იმისთანა, ამდენი, მაგდენი, იმდენი, ამგვარი, იმგვარი... ამათგან ძირეულია ეს, ეგ, ის, იგი, დანარჩენი – წარმოქმნილი.

ეს, ეგ, ის, იგი ნაცვალსახელები ახალ ქართულში გამოიყენება პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ფუნქციით; კერძოდ: როცა ზმნას შეეწყობიან, მაშინ პირის ნაცვალსახელები არიან, ხოლო სახელთან შეწყობისას ჩვენებითის ფუნქციას ასრულებენ: ეს ხატავს, ეგ მიდის, ის ზის (პირისაა), მაგრამ: ეს საქმე, ეგ წიგნი, ის მაგიდა (ჩვენებითია).

ეს, ეგ, ის, იგი – III პირის ფორმებია, მაგრამ განსხვავდებიან იმით, რომ გამოხატავენ სხვადასხვა პირთან სიახლოვე-სიშორეს: **ეს** გამოიყენება მაშინ, როცა საგანი I პირ-

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში **ჩვენ** ნაცვალსახელის მეორეულ მნიშვნელობებად დასახელებულია: 1) თავაზიანობის ჩვენ; 2) ავტორისეული ჩვენ; 3) თანაგრძნობის ჩვენ; 4) სამეფო ანუ განდიდების ჩვენ; 5) II პირის აღმნიშვნელი ჩვენ და ა. შ. (ვრცლად იხ. ლ. კვანტალიანი, გ. კვარაცხელია, ზ. კიკვიძე, რ. ზექალაშვილი...).

თან არის ახლოს; **ეგ** ითქმის იმაზე, ვინც (ან რაც) II პირთანაა ახლოს; **ის** III პირის მისათითებელი ნაცვალსახელია.

დღეს ეს, ეგ, ის გვხვდება არასრული ფორმით: ჩამოკვეცილი აქვთ ბოლოკიდური ხმოვანი (ძველ ქართულში იყო ესე, ეგე, ისი), რომელიც აღდგება მრავლობით რიცხვში და აგრეთვე **ვე, ც** ნაწილაკების დართვისას: ეს**ენი**, ეგ**ენი**, ის**ინი**; ეს**ევე**, ეგ**ევე**, ეს**ეც**, ეგ**ეც**, ის**იც**.

ძირეული ჩვენებითი ნაცვალსახელები იბრუნება ცალკე (დამოუკიდებლად) და არსებითთან ერთად. შესაბამისად, მათი ბრუნებაც განსხვავებულია.

I. ეს, ეგ, ის, იგი ნაცვალსახელები დამოუკიდებლად ბრუნების დროს ამჟღავნებენ თავისებურებებს:

1) ბრუნვის ფორმებს აწარმოებენ სუპლეტურად, ავლენენ ორ ფუძეს (სახელობითისათვის ერთი ფუძე აქვთ, დანარჩენი ბრუნვებისათვის – მეორე)[1];

2) მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია **-ნ**;

3) არ ეწარმოებათ წოდებითი ბრუნვა;

4) აქვთ მხოლოდ ნართანიანი მრავლობითი (ოთხ ბრუნვაში):

სახ.	ეს	ეგ	ის	იგი
მოთხ.	ამა-ნ	მაგა-ნ	იმა-ნ	მა-ნ
მიც.	ამა-ს	მაგა-ს	იმა-ს	მა-ს
ნათ.	ამ-ის	მაგ-ის	იმ-ის	მ-ის
მოქ.	ამ-ით	მაგ-ით	იმ-ით	მ-ით
ვით.	ამა-დ	მაგა-დ	იმა-დ	მა-დ
წოდ.	–	–	–	–
სახ.	ესე-ნ-ი	ეგე-ნ-ი	ისი-ნ-ი	იგი-ნ-ი
მოთხ.	ამა-თ	მაგა-თ	იმა-თ	მა-თ
მიც.	〃	〃	〃	〃
ნათ.	〃	〃	〃	〃
მოქ.	–	–	–	–
ვით.	–	–	–	–
წოდ.	–	–	–	–

დღეს III პირის აღსანიშნავად გამოიყენება **ის** და **იგი**

[1] სხვა თვალსაზრისით, აქ ერთი ნაცვალსახელის ორი ფუძე კი არ არის, არამედ სხვადასხვა სიტყვაა წარმოდგენილი. ისინი შემდეგში მოექცნენ ბრუნების ერთ პარადიგმაში... მეორე ფუძე უფრო ძველია (არ. მარტიროსოვი).

ნაცვალსახელები. ძველ ქართულში **იგი** ერთადერთი იყო, შემდგომ გაჩენილი **ის** დროთა ვითარებაში მყარად დამკვიდრდა და უპირატესობა მოიპოვა როგორც სალიტერატურო ქართულში, ისე ზეპირ მეტყველებაში (თუმცა **იგი** გურულ დიალექტში კვლავ გაბატონებულია). თანამედროვე ქართულმა ერთგვარად მაინც მოახდინა მათი ფუნქციური დიფერენციაცია: **ის** გამოიყენება მსაზღვრელად, **-ვე** ნაწილაკის დართვა კი შეუძლია **იგი** ნაცვალსახელს. გარდა ამისა, წერითი მეტყველებისათვის **იგი**-ს განსხვავებული სტილისტური ელფერი ახლავს. არნ. ჩიქობავას აზრით, **ის** და **იგი** (ერთმანეთის ბადალი სიტყვები) უნდა იყოს სხვადასხვა წარმოშობისა – სხვადასხვა დიალექტური ფენის კუთვნილება.

II. ჩვენებითი ნაცვალსახელები, რომლებიც მიუთითებენ საგანზე, თვისებაზე, რაოდენობაზე, არსებით სახელთან ერთად ქმნიან მსაზღვრელ-საზღვრულის წყვილს; ამ ჯგუფის ნაცვალსახელი ა ტ რ ი ბ უ ტ უ ლ ი მსაზღვრელია.

მსაზღვრელად გამოყენებული **ეს, ეგ, ის** საზღვრულთან ბრუნების დროს ეყრდნობა მეორე ფუძეს შეკვეცილი ფორმით და ბრუნვის ნიშნებს არ დაირთავს, არ ეწარმოება წოდებითი ბრუნვა. იგი რიცხვშიც არ ეთანხმება საზღვრულს:

სახ.	ეს მთა/ები		ეს მთა-ნ-ი		ის სახლ-ი/ებ-ი		ის სახლ-ნ-ი
მოთხ.	ამ მთა-მ		ამ მთა-თა		იმ სახლ-მა		იმ სახლ-თა
მიც.	ამ მთა-ს		"	"	იმ სახლ-ს		" "
ნათ.	ამ მთ-ის		"	"	იმ სახლ-ის		" "
მოქ.	ამ მთ-ით		—	—	იმ სახლ-ით		— —
ვით.	ამ მთა-დ		—	—	იმ სახლ-ად		— —
წოდ.	—	—	—	—	—	—	— —

თუ სახელობითში დასმულ საზღვრულს **-ვით** თანდებული დაერთვის, მასთან მსაზღვრელად იხმარება ჩვენებითი ნაცვალსახელის მეორე ფუძე და არა სახელობითისა: **ამ** კაცი-ვით (წესით უნდა ყოფილიყოს **ეს** კაცივით).

დანარჩენი ჩვენებითი ნაცვალსახელები (ამისთანა, ამდენი, ამგვარი, ასეთი...) ცალკე ბრუნების დროს იცვლება შესაბამისი ფუძის არსებითი სახელის მსგავსად, ოღონდ წოდებითი არ ეწარმოება, ხოლო მსაზღვრელად გამოყენებისას იმგვარად იბრუნება, როგორც შესაბამისი ფუძის ზედსართავი არსებითთან.

5.3.3. კითხვითი ნაცვალსახელები. კითხვითი ნაცვალსახელები არის არსებითის, ზედსართავისა და რიცხვითი სახელების კითხვები: ვინ, რა, რომელი, როგორი, რანაირი, რამდენი, მერამდენე, რარიგი, სადაური, როდინდელი. ამათგან ძირეულია **ვინ** და **რა**, დანარჩენი – წარმოქმნილი (სადაური, როდინდელი) ანდა თხზული (რა და რა, ვინ და ვინ).

ვინ და **რა** დღეს საინტერესოა არა მარტო ფორმის თვალსაზრისით, არამედ გენეზისურადაც. ისინი მიჩნეულია ქართული ენის უძველესი ფენის კუთვნილებად. ამ ნაცვალსახელებით გამოხატულია პირისა (პიროვნების) და საგანთა დაპირისპირება; მხოლოდ ვითარებითში არ არის ასეთი გარჩევა – ყველგან **რად** იხმარება.

კითხვით ნაცვალსახელთაგან თავისებურად იბრუნება **ვინ** და **რა,** დანარჩენები იცვლება შესაბამისი ფუძის არსებითი სახელების მსგავსად (რომელ-ი, რომელ-მა, რომელ-ს, რომლ-ის... რომლ-ებ-ი, რომელ-ნ-ი...).

ვინ ნაცვალსახელის ბრუნების თავისებურება ასეთია:

1) აქვს ოთხი ბრუნვა და ორი ფორმა (ვინ/ვის);

2) მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია **-ნ;**

3) საკუთარი ფორმით ვერ აწარმოებს მოქმედებით, ვითარებით და წოდებით ბრუნვებს;

4) არ ეწარმოება მრავლობითი რიცხვი, სიმრავლეს გამოხატავს ფუძის გაორკეცებით: ვინ და ვინ მოვიდნენ? თუმცა თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით ცოცხალ მეტყველებაში, მოჭარბდა უმართებულო **ვინები** ფორმაც: „ვინები არიან".[1]

---

[1] **ვინები** იშვიათად, თითო-ოროლა ნიმუშით, დასტურდებოდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 50-იან წლებამდე ჩანერილ დიალექტურ ტექსტებშიც, მწერლობაშიც: „ვ ი ნ ე ბ ი ხართო? – ჩვენ ქიშტები ვართ"; „დედაკაცო, ვ ი ნ ე ბ ი არიანო?" (მოხეური: ქართ. დიალექტ., I); „ყარაულები ვ ი ნ ე ბ ი არიან?" (ალ. ყაზბეგი)... ასეთივე ვითარება იყო 60-70-იანი წლების ქართულშიც. აქედან გამომდინარე, სპეციალურ ლიტერატურაში მიუთითებდნენ, რომ „კილოებში აქა-იქ გამოვლენილი ებიანი ფორმა (ვინები) გავრცელებას ვერ პოულობს (ლ. კვანტალიანი). მაგრამ ბოლო ათწლეულებში **ვინები** ტიპის წარმოება ფართოდ გავრცელდა სასაუბრო ენაში და მყარად დაიმკვიდრა ადგილი, როგორც ერთ-ერთმა ენობრივმა საშუალებამ.

ჩანს, დღეს **ვინები**-ს ასე გააქტიურება გამოწვეული უნდა იყოს, ერთი მხრივ, **რაები**-ს ანალოგიით და აგრეთვე ენის შინაგანი ბუნებით – გააადვილოს წარმოთქმა, თავიდან აიცილოს რთული კონსტრუქციები (შდრ. ვინ და ვინ არიან?). შეიძლება ითქვას, რომ **ვინების** ასე ფართოდ გავრცელების პროცესი დააჩქარა ენის შინაგანმა კანონზომიერებამ – ეკონომიურობისაკენ მისწრაფებამ.

რა ნაცვალსახელი ახალ ქართულში ფუძეკვეცადი სახელია, მაგრამ არა აქვს წოდებითი ბრუნვა. აწარმოებს ებიან მრავლობითს, მოეპოვება ნარიანი ფორმაც მხოლოდ სახელობითისათვის:

სახ.	ვი-ნ	რა	რა-ებ-ი	რა-ნ-ი
მოთხ.	ვი-ნ	რა-მ	რა-ებ-მა	–
მიც.	ვი-ს	რა-ს	რა-ებ-ს	–
ნათ.	ვი-ს	რ-ის	რა-ებ-ის	–
მოქ.	(ვისით)	რ-ით	რა-ებ-ით	–
ვით.	(რად || ვის-ად)	რა-დ	რა-ებ-ად	–
წოდ.	–	–	–	–

ამრიგად, **ვინ** ნაცვალსახელს აქვს ბრუნების არასრული პარადიგმა: საკუთარი ფუძით ეწარმოება მხოლოდ ორი ფორმა **ვინ** და **ვის;** მოქმედებითში გამოყენებულია კითხვით-კუთვნილებითი **ვისით,** ვითარებითში კი – **რად || ვისად. ვინ** ფორმაში **ვი** მიჩნეულია ფუძედ, **ნ** კი – მოთხრობითი ბრუნვის უძველეს ნიშნად (ა. შანიძე); განსხვავებული მოსაზრებით, **ვინ** ნაცვალსახელში უნდა გამოიყოს **ინ** (ვ-ინ), რომელიც წარმოშობით დეტერმინანტი (ანუ განმსაზღვრელი აფიქსი, რომელიც ძირს დაერთვის და ახალ ფუძეს წარმოქმნის) სუფიქსია (არნ. ჩიქობავა, დ. მელიქიშვილი).

ვინ ნაცვალსახელის მსგავსი ფორმების გასარჩევად ამოსაცნობი სახელის ნაცვლად უნდა ჩაისვას არსებითი სახელი:

ვინ მოვიდა (ქალ-ი – სახ. ბრ.)

ვინ მოიტანა (ქალ-მა – მოთხ. ბრ.)

ვის ეუბნებიან (ქალ-ს – მიც. ბრ.)

შენიშვნა: 1. **ვი** ქართული სიტყვების ფონდიდან ერთადერთი ფუძეა, რომელიც **ი** ხმოვანზე თავდება (ზოგი მეორე ასეთ ფუძედ ასახელებს **იგი** ნაცვალსახელსაც). **ვი** ფუძის **ი** ხმოვნის

გადარჩენაში წილი უდევს **ნ** თანხმოვანს, რომლის მეშვეობით კონსტრუქცია ჩაკეტილია (ვი-ნ), სხვაგან, სადაც კონსტრუქცია ღიაა, ბოლოკიდური **ი** ადვილად იკარგება (ა. შანიძე).

ვარაუდობენ, რომ **ვინ** ნაცვალსახელს ძველად მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვებიც უნდა ჰქონოდა. საილუსტრაციოდ ასახელებენ ფორმებს: ვი-ით > ვით (ვითარ, ვითარცა), ვი-დ>ვიდრე (თუმცა ამასთან დაკავშირებით განსხვავებული თვალსაზრისიც არსებობს. იხ. ა. ფოცხიშვილი).

2. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, **რა** ნაცვალსახელს ძველ ქართულში მოთხრობითი ბრუნვა არ ჰქონდა (მოგვიანებით გაუჩნდა). რადგან **რა** ადამიანის კითხვა არ იყო, ამდენად, მას არც ექნებოდა პიროვნების – სუბიექტის ბრუნვა; გარდა ამისა, არ აწარმოებდა მრავლობით რიცხვს, არც იკვეცებოდა. ვარაუდობენ, რომ **რა** ნაცვალსახელი ჩვენამდე არაა მოღწეული თავდაპირველი სახით. იგი შეიძლება ყოფილიყო ფონეტიკური სახეცვლილება **და** || **ნა**-სი.

3. **ვინ** ნაცვალსახელს ოთხი ბრუნვისათვის აქვს ორი ფორმა: **ვინ** (სახელობით-მოთხრობითში), **ვის** (მიცემით-ნათესაობითში). არნ. ჩიქობავას მიხედვით, სახელობითისა და მოთხრობითის მსგავსების მიზეზია შემდეგი: ისტორიულად მოთხრობითი უფრო ძველია, ვინემ სახელობითი. მოთხრობითში ბრუნების საერთო წესით ფუძეს დაემატა **ნ** ბრუნვის ნიშანი და მივიღეთ **ვი-ნ**. სახელობითი მოთხრობითზე გვიან გაჩენილი ბრუნვაა. მას საკუთარი ფორმა არ ჰქონდა ამ ნაცვალსახელისათვის და ისესხა მოთხრობითისაგან **ვინ**.

მიცემითისა და ნათესაობითის მსგავსება, ა. შანიძის აზრით, გამოწვეულია იმით, რომ ნათესაობითში უნდა გვქონოდა **ვი-ის**. მაგრამ ორი ერთნაირი ხმოვნიდან დაიკარგა ბრუნვის ნიშნის **ი**, დარჩა **ვი**-ს. ეს კი მიცემითის ფორმაა.

ვინ და **რა** ნაცვალსახელებს შეიძლება დაერთოს -ღა, -მე, -ვე, -ც(ა) ნაწილაკები. ბრუნების დროს თავისებურება იმ მხრივ იჩენს თავს, რომ ეს ნაწილაკი შეიძლება მოსდევდეს ბრუნვის ნიშანს ან უშუალოდ შეეზარდოს ფუძეს. შესაბამისად, მიიღება ბრუნების ორგვარი ფორმა (იხ. აგრეთვე გვ. 147-148):

სახ.	ვიღა	რაღა	ვი(ნ)ღა	რაღა
მოთხ.	ვიღა-მ	რაღა-მ	—	რამ-ღა
მიც.	ვიღა-ს	რაღა-ს	ვის-ღა	რას-ღა
ნათ.	ვიღა-ს(ი)	რაღა-ს(ი)	ვის(თვის)ღა	რისთვის-ღა

მოქ.	ვიღა-თი	რაღა-თი	—	რით-ღა
ვით.	ვიღა-დ	რაღა-დ	—	რად-ღა
წოდ.	—	—	—	—

ნაწილაკიანი ნაცვალსახელების ბრუნების დროს თანამედროვე ქართულში უპირატესობა ენიჭება ახალი წარმოების – **ვიღას, რაღას** ტიპის ფორმებს.

5.3.4. კუთვნილებითი ნაცვალსახელები. კუთვნილებითი ნაცვალსახელები გამოხატავენ საგნის კუთვნილებას პირების მიხედვით: I პირისას – ჩემი, ჩვენი, II პირისას – შენი, თქვენი, III პირისას – მისი, იმისი, თავისი, სხვისი, მათი, იმათი, თავიანთი.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები მიღებულია პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან, ე. ი. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმა არის კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფუძე, რომელიც ხელახლა დაირთავს ბრუნვის ნიშნებს. მაგალითად, **მე**-ს ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა **ჩემ**; აქედანაა ნაწარმოები: ჩემ-ი, ჩემ-მა, ჩემ-ს...

თავისი და **მისი** – ორივე III პირის კუთვნილებას გამოხატავს, თუმცა განსხვავებული სემანტიკით: **თავისი** უნდა მაშინ, როცა საგანი (ობიექტი) მოქმედს ეკუთვნის (გიორგი აკეთებს **თავის** საქმეს), **მისი** კი მართებულია მაშინ, როცა საგანი მოქმედს არ ეკუთვნის (გიორგი აკეთებს **მის** (მეგობრის) საქმეს). ამ საცილობელ ფორმათა გასარჩევად შეიძლება გამოვიყენოთ სიტყვების – **სხვისი** ან **საკუთარი** – შენაცვლების ხერხიც.

თავისი გვხვდება არქაული ფორმითაც – **თვისი**. ენაში არსებობს კუთვნილებითი ოპოზიცია თ ა ვ ი ს ი – ს ხ ვ ი ს ი, რომელიც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა ჯგუფის ნაცვალსახელთა საფუძველზე: თავისი – უკუქცევითი „თავი“, სხვისი – განსაზღვრებითი ნაცვალსახელი „სხვა“ (ა. არაბული).

კუთვნილებითი ნაცვალსახელი იბრუნვის ცალკე და არსებითთან ერთად. იგი ცალკე აღებული ისე იცვლება, როგორც შესაბამისი ფუძის არსებითი სახელი, ოღონდ არ ეწარმოება წოდებითი ბრუნვა (გამონაკლისია მხოლოდ **ჩემი** და **ჩვენი**); იშვიათად შეიძლება ჰქონდეს ებიანი მრავლობითი: ჩემები, ჩვენები, შენები, თქვენები, თუმცა მათ სხვა (არსებითის) სემანტიკა აქვთ:

სახ.	ჩემ-ი	შენ-ი	მის-ი	თავის-ი
მოთხ.	ჩემ-მა	შენ-მა	მის-მა	თავის-მა
მიც.	ჩემ-ს	შენ-ს	მის-ს	თავის-ს
ნათ.	ჩემ-ის	შენ-ის	მის-ის	თავის-ის
მოქ.	ჩემ-ით	შენ-ით	მის-ით	თავის-ით
ვით.	ჩემ-ად	შენ-ად	მის-ად	თავის-ად
წოდ.	ჩემ-ო	–	–	–

სახ.	ჩვენ-ი	თქვენ-ი	მათ-ი	თავიანთ-ი
მოთხ.	ჩვენ-მა	თქვენ-მა	მათ-მა	თავიანთ-მა
მიც.	ჩვენ-ს	თქვენ-ს	მათ-ს	თავიანთ-ს
ნათ.	ჩვენ-ის	თქვენ-ის	მათ-ის	თავიანთ-ის
მოქ.	ჩვენ-ით	თქვენ-ით	მათ-ით	თავიანთ-ით
ვით.	ჩვენ-ად	თქვენ-ად	მათ-ად	თავიანთ-ად
წოდ.	ჩვენ-ო	–	–	–

კუთვნილებითი ნაცვალსახელი მეტწილად გამოიყენება მსაზღვრელის ფუნქციით. იგი ატრიბუტული მსაზღვრელია; სახელთან ერთად იბრუნვის შესაბამისი ფუძის ზედსართავი სახელის მსგავსად, ოღონდ წოდებით ბრუნვას ვერ აწარმოებს (გამონაკლისია მხოლოდ ჩემი და ჩვენი), ასეთი მსაზღვრელი რიცხვშიც არ ეთანხმება საზღვრულს (ჩემი წიგნი – ჩემი წიგნები...):

სახ.	ჩემ-ი	ძმა/ებ-ი	შენ-ი	სახლ-ი/ებ-ი	მის-ი	ლექს-ი/ებ-ი
მოთხ.	ჩემ-მა	ძმა-მ	შენ-მა	სახლ-მა	მის-მა	ლექს-მა
მიც.	ჩემ-ს	ძმა-ს	შენ-ს	სახლ-ს	მის	ლექს-ს
ნათ.	ჩემ-ი	ძმ-ის	შენ-ი	სახლ-ის	მის-ი	ლექს-ის
მოქ.	ჩემ-ი	ძმ-ით	შენ-ი	სახლ-ით	მის-ი	ლექს-ით
ვით.	ჩემ-ს	ძმა-დ	შენ-ს	სახლ-ად	მის	ლექს-ად
წოდ.	ჩემ-ო	ძმა-ო	—	—	—	—

მსაზღვრელად გამოყენებული I და II პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი ბრუნვის ნიშანს დაირთავს მიცემითსა და ვითარებითშიც, რომ არ აირიოს შესაბამის პირის ნაცვალსახელში. მაგალითად: ჩვენ-ს სამშობლო-ს ვუმღერით, შენ-ს ძმა-დ ჩამთვალე... შდრ. ჩვენ სამშობლოს ვუმღერით, შენ ძმად ჩამთვალე...

5.3.5. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი გამოხატავს კითხვასაც და კუთვნილებასაც. ესენია: **ვისი, რისი || რისა;** იწარმოება

ვინ და **რა** კითხვითი ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმისაგან: **ვინ – ვი-ს** (ნათ. ბრ.) > **ვის-ი; რა – რ-ის > რის-ი (რისა)**. ამ ნაცვალსახელებს არა აქვს ნათესაობითი და წოდებითი ბრუნვები:

სახ.	ვის-ი	რისა	რისი
მოთ.	ვის-მა	რისა-მ	–
მიც.	ვისა-ს	რისა-ს	–
ნათ.	–	–	–
მოქ.	ვის-ით	რის-ით	–
ვით.	ვის-ად	რისა-დ	–
წოდ.	–	–	–

5.3.6. მიმართებითი ნაცვალსახელები. მიმართებითი ნაცვალსახელი მიემართება სხვა სახელს ან მთელ წინადადებას. იგი მიიღება კითხვითი და კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელებისაგან **-ც** ნაწილაკის დართვით. ნაწილაკი უკარგავს მას კითხვითობის შინაარსს და აქცევს მიმართებითად: **ვინ+ც > ვინც, რა+ც > რაც...**

მიმართებითი ნაცვალსახელებია: ვინც, რაც, რომელიც, როგორიც, რანაირიც, რამდენიც, მერამდენეც, სადაურიც, როდინდელიც, ვისიც, რისაც || რისიც. ისინი სინტაქსურად ასრულებენ წევრ-კავშირის ფუნქციას; იბრუნებიან შესაბამისი ძირეული ნაცვალსახელების მსგავსად.

ძველ ქართულში მიმართებითი ნაცვალსახელი **-ც** ნაწილაკს არ დაირთავდა, სხვაგვარად იწარმოებოდა. ამის გამო ფორმით კითხვითს ემსგავსებოდა, მაგრამ მათი გარჩევა არ იყო ძნელი, რადგან კითხვითი ნაცვალსახელი მარტივ წინადადებაში გამოიყენებოდა, მიმართებითი კი – რთულში. მიუთითებენ, რომ მიმართებით ნაცვალსახელთან ნაწილაკის გაჩენა განაპირობა რთული წინადადების ჩამოყალიბებამ.

5.3.7. ურთიერთობითი ნაცვალსახელები. ურთიერთობითი ნაცვალსახელები: ერთმანეთი, ურთიერთი, ერთურთი, ერთიმეორე – შედგენილობით რთულია (მათთვის ამოსავალი ფუძეა „ერთი“), ასრულებენ არსებითი სახელის ფუნქციას, არ გამოიყენებიან მსაზღვრელად.

ერთმანეთი მიღებულია **ერთმანერთი**-საგან. **ერთურ-**

თი, ურთიერთი ნაწარმოებია **ერთი**-ს გაორკეცებით, ოღონდ ხმოვნის შეცვლით (ერთ-ერთი > ერთურთი, ურთიერთი); **ერთიმეორე** რაოდენობითი **ერთი**-სა და რიგობითი **მეორე**-ს შეერთების შედეგია. ამ ჯგუფის ნაცვალსახელთაგან დღეს ქართულში უფრო გავრცელებულია ე რ თ მ ა ნ ე თ ი.

ურთიერთობითი ნაცვალსახელები იბრუნება თავისებურად: არ ეწარმოებათ ვითარებითი და წოდებითი, შეზღუდულია მოთხრობითის გამოყენების შემთხვევები:

სახ.	ერთმანეთ-ი	ერთიმეორე
მოთ.	[ერთმანეთ-მა]	[ერთიმეორე-მ]
მიც.	ერთმანეთ-ს	ერთიმეორე-ს
ნათ.	ერთმანეთ-ის	ერთიმეორ-ის
მოქ.	ერთმანეთ-ით	ერთიმეორ-ით
ვით.	[ერთმანეთ-ად]	[ერთიმეორედ]
წოდ.	—	—

5.3.8. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები. განსაზღვრებითი ნაცვალსახელი აღნიშნავს განსაზღვრულ პირსა თუ საგანს, მათს რაოდენობას. ასეთებია: თვით, თვითონ, თავად, თითოეული, თითო, ყოველი, ყველა, ყველაფერი, სხვა, მავანი. ისინი ერთანეთისაგან განსხვავდებიან როგორც შინაარსით, ისე ფორმაცვალების მიხედვით: ზოგი საერთოდ უბრუნველია, ზოგს კი სრული ბრუნება აქვს; რიცხვსაც ვერ გამოხატავენ ერთნაირად და ა. შ.

თვით მიღებულია **თავ** სიტყვის მოქმედებითი ბრუნვისაგან (თავ-ით > თვით); იგივე ფორმა ამოსავალია ნაცვალსახელისათვის **თითოეული** (< თვითოეული < თვითეული); **თავად** არის **თავ** სიტყვის ვითარებითი ბრუნვის ფორმა. ძველ ქართულში ძირითადი იყო **თვით** და **თავად**.

თვითონ წარმოქმნილია **თვითმან**-ისაგან ფონეტიკური ცვლილების გზით: თვითმან > თვითვან > თვითონ (**მ**-ს სუბსტიტუციით მივიღეთ **ვ**, შემდეგ **ვა** კომპლექსმა მოგვცა **ო**). **თვითონ** დღეს გაბატონებულია მოხმარების სიხშირით. იგი უბრუნველია, გამოიყენება მსაზღვრელად არსებითთან და ნაცვალსახელთან (თვითონ რეჟისორი ასრულებდა მთავარ როლს; თვითონ ის მოვიდა...); დამოუკიდებლად მაშინ იხმა-

რება, როცა მოსალოდნელია სახელობითი, მოთხრობითი, მიცემითი: თვითონ აკეთებს (სახ.), თვითონ გააკეთა (მოთხ)...[1]

თავ-ი სიტყვისაგან მომდინარე ზემოგანხილულ ნაცვალსახელებში გარკვეულად უკუქცევითობის სემანტიკა იგულისხმება.

ყველა შემკრები, განმაზოგადებელი მნიშვნელობისაა, ახლავს სახელს მსაზღვრელად (ყველა ბავშვი), გამოიყენება დამოუკიდებლადაც (ყველა შრომობს). ამ ნაცვალსახელის ფუძე **ა** ხმოვანზე მთავრდება, მაგრამ მაინც უკვეცელია; არ გვხვდება ვითარებითსა და წოდებით ბრუნვებში; აქვს მხოლოდ ნარიანი მრავლობითის სახელობითის ფორმა – **ყველანი.**

სხვა ხმოვანფუძიანი კვეცადი სახელია, ეწარმოება ორივე მრავლობითი: სხვები, სხვანი.

მავანი მაშინ გამოიყენება, როცა არ სურთ ვინაობის მითითება: „შენ, მავანო, მკითხაობა მიჩუქებია შენთვის“ (ილია). ასეთ კონტექსტში ეს ნაცვალსახელი გულისხმობს მთქმელისათვის კონკრეტულ პიროვნებას, ამიტომ იგი განსაზღვრებითია, თუმცა, „მავანი“ თავისი შინაარსით, ზოგადად, უფრო განუსაზღვრელობით ნაცვალსახელად უნდა ჩაითვალოს.

სახ.	ყველა	სხვა	ყოველ-ი
მოთხ.	ყველა-მ	სხვა-მ	ყოველ-მა
მიც.	ყველა-ს	სხვა-ს	ყოველ-ს
ნათ.	ყველა-ს(ი)	სხვ-ის	ყოველ-ის || ყოვლ-ის
მოქ.	ყველა-თი	სხვ-ით	ყოველ-ით || ყოვლ-ით
ვით.	ყველა-დ	სხვა-დ	[ყოველ-ად] || ყოვლ-ად
წოდ.	ყველა-ვ	სხვა-ო	ყოველ-ო

5.3.9. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი აღნიშნავს უცნობს, განუსაზღვრელ პირსა თუ საგანს ან მის თვისებასა და რაოდენობას. ესენია: ერთი, ზოგი (ზოგიერთი); ვინმე, რამე, რომელიმე,

[1] **თვითონ** ჩნდება გარდამავალი ხანის მწერლობაში და გამოყენების მხრივ მალევე მოიპოვა უპირატესობა. სამაგიეროდ, საშუალ ქართულში თანდათან მცირდება **თავად** ნაცვალსახელის მოხმარების სფერო და, შესაბამისად, XIX საუკუნის სამწერლობო ქართულში ძალზე იშვიათია, თუმცა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან **თავად**-მა კვლავ აღიდგინა დაკარგული პოზიციები და გახდა **თვით, თვითონ, თავად** სამეულის ძირითადი წევრი.

რამდენიმე, რაღაცა, ვიღაცა, რომელიღაცა... ამ ჯგუფის ნაცვალსახელების უმეტესობა მიღებულია კითხვით ნაცვალსახელზე -მე, -ღა, -ღაცა ნაწილაკების დართვით (ვინ+მე > ვინმე...). ძველ ქართულში ასეთი ნაწილაკიანი სახელები არ იყო.

ერთი, ჩვეულებრივ, რიცხვითი სახელია (ერთი სახლი), მაგრამ, თუ ის გულისხმობს ვ ი ღ ა ც ა ს , მაშინ ნაცვალსახელია (იყო **ერთი** ზარმაცი ბიჭი = იყო **ვიღაც** ზარმაცი ბიჭი).

კაცი არსებითი სახელია. ზოგჯერ იგი განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელის ფუნქციითაც გამოიყენება და აღნიშნავს „ერთს“, „მავანს“, „ადამიანს“ (გზაზე ერთი **კაცი** მიდიოდა = გზაზე **ვიღაც** მიდიოდა).

ზოგი ძველ ქართულში არ ყოფილა განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი, ნიშნავდა „ნახევარს“, „ნაწილს“. დღეს იგი მნიშვნელობით ახლოსაა „ერთი“ ნაცვალსახელთან. ანალოგიური სემანტიკისაა **ზოგიერთი.**

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები განსხვავებულად იბრუნვის. მაგალითად, **ვინ** და **რა**-ს ნაწილაკები დაერთვის როგორც ბრუნვის ფორმაზე, ისე ფუძეზე. ამის გამო ენაში არსებობს ნაწილაკშეზრდილი (ვინმე-ს), ნაწილაკშეუზრდელი (ვის-მე) და ზოგჯერ ამათი ნარევი ფორმაც (ვისმეს). თანამედროვე სალიტერატურო ქართულში უპირატესობა ეძლევა ნაწილაკშეზრდილ ფორმებს (ვინმეს, რამეს, ვიღაცას, რაღაცას...), რადგან მას სრულად აქვს ყველა ბრუნვა. ამ ნაცვალსახელებს ეწარმოებათ ებიანი მრავლობითიც. ძველ ქართულში ნაცვალსახელი ნაწილაკშეუხორცებლად იბრუნებოდა. ნაწილაკშეხორცებული ფორმა XIX საუკუნის I ნახევრიდან იკიდებს ფეხს. საერთოდ, ეს უკანასკნელი ტიპი თანდათან ვრცელდება და იმარჯვებს (ვ. თოფურია), რასაც მოწმობს თანდებულის დართვის შემთხვევებიც: ვინმესგან, ვინმესთვის, რამეში, რამეზე... ნარევი ფორმა მიუღებელია, შეუხორცებელი კი – დასაშვები:

სახ.	ვინ-მე	ვინმე	—
მოთხ.	—	ვინმე-მ	—
მიც.	ვის-მე	ვინმე-ს	ვის-მე-ს
ნათ.	ვის(თვის)-მე	ვინმე-სი	—

მოქ.	—	ვინმე-თი	—
ვით.	—	ვინმე-დ	—
წოდ.	—	—	—
სახ.	რა-მე (რაი-მე)	რამე	—
მოთხ.	—	რამე-მ	—
მიც.	რას-მე	რამე-ს	რას-მე-ს
ნათ.	რის(თვის)-მე	რამე-სი	—
მოქ.	რით-მე	რამე-თი	—
ვით.	რად-მე	რამე-დ	—
წოდ.	—	—	—

5.3.10. უარყოფითი ნაცვალსახელები. უარყოფითი ნაცვალსახელების უმეტესობა მიღებულია **ვინ** და **რა** ნაცვალსახელებზე უარყოფითი ნაწილაკების (არა, ვერა, ნურა) დართვით: არავინ (< არა+ვინ), ვერავინ, ნურავინ, აღარავინ, ვეღარავინ, არარა, ვერარა... შეიძლება პარალელურად შეგვხვდეს უარყოფითი ნაწილაკების გამარტივებული ფორმებით შედგენილი ნაცვალსახელებიც: არვინ, ვერვინ, ნურვინ|| ნუვინ... არრა, ვერრა... ზოგჯერ **რა**-ს მაგივრობას ასრულებს **ფერი** და **ვითარი:** აღარაფერი, ვეღარაფერი, ნურაფერი, არავითარი, ვერავითარი...

ზეპირ მეტყველებაში შეიძლება გამოვლინდეს არაკაცი (= არავინ), ვერაკაცი (= ვერავინ). **არავინ, ვერავინ** ტიპის ნაცვალსახელი ისევე იბრუნვის, როგორც მარტივი **ვინ.** ფერის შემცველ ნაცვალსახელს ყველა ბრუნვა აქვს, გარდა წოდებითისა. იგი ფუძეკუმშვადია (არაფერ-ი – არაფრ-ის).

ამრიგად, ნაცვალსახელთა ფუნქციურ-შინაარსობრივი ჯგუფების ზოგადი მიმოხილვა ცხადყოფს ქართულში ამ მეტყველების ნაწილის განსაკუთრებულობას, ზოგი მათგანის უძველეს წარმომავლობას, თითოეული ჯგუფის ურთიერთმიმართებას დიაქრონიულ თუ სინქრონიულ დონეზე და ა. შ.

5.4. ნაცვალსახელთა მართლწერა

1) თანდებულიან პირის ნაცვალსახელებს ნათესაობით ბრუნვაში **-ს** არ დაერთვის: ჩემ მიერ, შენ მიერ, ჩვენ მიერ,

თქვენ მიერ... ჩემკენ, თქვენკენ... და არა: ჩემს მიერ, შენს მიერ, ჩვენს მიერ, თქვენს მიერ... ჩემსკენ, თქვენსკენ...

2) **რამდენიმე, რომელიმე** ნაცვალსახელებთან შეწყობილი სახელი ყოველთვის მხოლობითშია: რამდენიმე მგზავრი, რამდენიმე ხე... რომელიმე დღე, რომელიმე სახლი...

3) **ერთი და იგივე** საზღვრულის გარეშე ბრუნებისას ორივე ნაწილზე დაირთავს ბრუნვის ნიშნებს: ერთ-ი და იგივე, ერთ-მა და იმავე-მ, ერთ-სა და იმავე-ს, ერთ-ისა და იმავე-ს (თვის), ერთ-ითა და იმავე-თი, ერთ-სა და იმავე-დ, ხოლო, როცა **ერთი და იგივე** მსაზღვრელია, ბრუნვის ნიშნებს დაირთავს პირველი ფუძე (**ერთი**), მეორე კი (**იგივე**) ბოლოხმოვნიანი მსაზღვრელის მსგავსად ბრუნვის ნიშნებს არ იღებს და სახელობითის გარდა ყველა ბრუნვაში **იმავე** ფუძითაა წარმოდგენილი: ერთ-ი და იგივე საქმე, ერთ-მა და იმავე საქმე-მ, ერთ-სა და იმავე საქმე-ს, ერთ-ისა და იმავე საქმ-ის, ერთ-ი და იმავე საქმ-ით, ერთ და იმავე საქმე-დ || ერთ-სა და იმავე საქმე-დ.

4) **მათ** პირის ნაცვალსახელისაგან ნაწარმოები კუთვნილებითი **მათი, მათმა, მათს** გრამატიკულად სწორია, როცა სახელთანაა შეწყობილი: მათ**მა** წერილ**მა**, მათ**მა** საქმე**მ**, მათ**ს** ერთგულებ**ას**, მათ**ს** შენიშვნ**ას**... მაგრამ შეცდომაა მათი გამოყენება პირის ნაცვალსახელის ფუნქციით: მათმა მოიტანეს, მათმა დახატეს. უნდა იყოს: მათ მოიტანეს, მათ დახატეს...

5) ვიღაცა და რაღაცა მრავლობითში უნდა იყოს ვიღაცები, რაღაცები.

6) თუ ნაცვალსახელი ცვლის რიცხვით სახელს და მსაზღვრელად გამოიყენება, მაშინ მასთან შეწყობილი საზღვრული მხოლობით რიცხვში უნდა იყოს: ყველა ბავშვი, ყოველი კაცი... ზოგი სტუდენტი, ზოგიერთი ამხანაგი... შეცდომაა: ყველა ბავშვები... ზოგი სტუდენტები...

7) სწორი ფორმებია: **ჩვენგანი, თქვენგანი** და არა: ჩვენ**თა**განი, თქვენ**თა**განი. რადგან **ჩვენ, თქვენ** თავისთავად გამოხატავენ მრავლობითის შინაარსს, ამდენად, მათთან მრავლობითის **თა** სუფიქსის გამოყენება გაუმართლებელია.

5.5. ნაცვალსახელის შესწავლის მოკლე მიმოხილვა

ნაცვალსახელი მომდინარეობს დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან. იგი განიხილებოდა ბერძნულ-ლათინურ და მომდევნო ხანის ევროპული ენების გრამატიკებშიც.

ნაცვალსახელი საკმაო სისრულითაა გაანალიზებული ანტონ პირველის მიერ. მისი აზრით, ნაცვალსახელი (მისი ტერმინით „ნაცუალსახელი") ძირითადად იყოფა 4 ჯგუფად. ესენია: პირის, კუთვნილებითი, ჩვენებითი, მიმართებითი. აქვე მითითებულია, რომ, არსებითისაგან განსხვავებით, იგი თავისებურად იბრუნვის. ღირსსაცნობია ისიც, რომ ანტონს ყურადღების მიღმა არ დარჩენია ბევრი ისეთი მოვლენა, რომლებიც თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაშიც ძირითად დებულებებად რჩება. მაგ.: ეს, ეგ, ის ნაცვალსახელების ორფუნქციანობა, მათ მიერ პირებთან სიშორე-სიახლოვეზე მითითება, ბრუნებისას ფუძის მონაცვლეობა, ყველა ბრუნვის არქონა, I-II პირის ნაცვალსახელთა უბრუნველობა და ა. შ.

XIX საუკუნის I ნახევრიდან ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ნაცვალსახელთა კლასიფიკაციას საფუძვლად სხვადასხვა პრინციპი ედო. შესაბამისად, განსხვავებული იყო ნაცვალსახელთა ჯგუფების რაოდენობა, ტერმინოლოგია. ნაცვალსახელთა ბრუნება-წარმოების სპეციფიკურობა განხილულია ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიასა და სხვა თანამედროვე მკვლევართა ნაშრომებში, მონოგრაფიულადაა შესწავლილი იგი არ. მარტიროსოვის, ლ. შალვაშვილის... მიერ, ქართულ ლინგვისტიკაში დაზუსტებულია ნაცვალსახელთან დაკავშირებული არაერთი პრობლემური საკითხი და ა. შ.

ამგვარად, ნაცვალსახელი, ერთ-ერთი რთული და მრავალფეროვანი მეტყველების ნაწილი, ყველაზე ზოგადი სიტყვაა. სწორედ აბსტრაქციის უნარი არის მისი ძირითადი თვისება. ქართულ ლინგვისტიკაში ნაცვალსახელი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს იმის გამოც, რომ მასში შემონახულია უძველესი ქართულის ვითარება.

ნაცვალსახელი სხვა მეტყველების ნაწილთაგან მკვეთრად განსხვავდება ფუნქციურად და ფორმაცვალების ასპექ-

ტითაც. მაგალითად, ყველა ჯგუფის ნაცვალსახელს არა აქვს ერთიანი მორფოლოგიური ყალიბი: ზოგს ახასიათებს უბრუნველობა, ზოგს – ნაკლული ბრუნება და ფუძის სუპლეტური მონაცვლეობა, წესისამებრ ვერ აწარმოებს რიცხვის კატეგორიასაც – წარმოდგენილია დეფექტურად, ზოგიერთი ნაცვალსახელი გამოყენებულია მორფოლოგიურ ელემენტებად (ბრუნვისა და პირის ნიშნებად).

სპეციალურ ლიტერატურაში მიაჩნიათ, რომ „ნაცვალსახელთა ისტორიული განტოტვა-განაწილება ფუნქციონალური ნიშნით კლასიფიცირებულ ჯგუფებად დაკავშირებულია ორ ძირითად ნაცვალსახელურ საწყისთან – პ ი რ ი ს ა და კ ი თ ხ ვ ი თ ნაცვალსახელებთან“ (ა. არაბული, 2011).

ნაცვალსახელი, როგორც უძველესი ენობრივი ერთეული, მეტად ფასეულია ენის ისტორიისათვის; გარდა ამისა, იგი აუცილებელია კომუნიკაციური ასპექტით.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ნაცვალსახელთან დაკავშირებით გამოითქვა ახალი, ტრადიციულისაგან სრულიად განსხვავებული მოსაზრება, რომლის მიხედვით, რადგანაც ნაცვალსახელს არ გააჩნია საკუთარი აღსანიშნი ობიექტი (გამოიყენება მხოლოდ მცვლელის ფუნქციით) და არც კატეგორიის გამოხატვის სისტემური მორფოლოგიური საშუალება, „ნაცვალსახელები ცალკე მეტყველების ნაწილად არ გამოიყოფა“, ისინი გადანაწილდებიან სახელებში და ფრაზაში (კონკრეტულ შემთხვევაში) იმ მეტყველების ნაწილად ჩაითვლება, რომელსაც ცვლიან (ბ. ჯორბენაძე, იხ. აგრეთვე არ. მარტიროსოვი (2008)...).

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

არაბული ა., ნაცვალსახელი: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, თბ., 2011.

ბაბუნაშვილი ე., ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

გურგენიძე ტ., მრავლობითის კატეგორია პირის ნაცვალსახელებში და მისი წარმოების ზოგადი პრინციპები: მაცნე, №2, თბ., 1984.

ზექალაშვილი რ., ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), თბ., 2012.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.
თოფურია ვ., პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები ქართველურ ენებში: თხზ., ტ. III, თბ., 1979.
იმნაიშვილი ი., სახელთა ბრუნება და ბრუნვათა ფუნქციები ძველ ქართულში, თბ., 1957.
კეკელია შ., დავითიანი ა., ქართული ენა, თბ., 1973.
კვანტალიანი ლ., ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსის საკითხები, თბ., 1990.
კვარაცხელია გ., ქართული ენის ფუნქციური სტილისტიკა, თბ., 1990.
კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწ. I, თბ., 1981.
კიკვიძე ზ., თავაზიანობის გამოხატვის გრამატიკული საშუალებები (სოციოლინგვისტური ასპექტი), თბ., 1999.
კიკნაძე ი., ჩვენგანი თუ ჩვენთაგანი: ქელს, 1985, №1-2.
მარტიროსოვი არ., ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, თბ., 1964.
მარტიროსოვი არ., ნაცვალსახელი: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
მელიქიშვილი დ., პირის ნაცვალსახელთა ფუძის აგებულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი: ნარკვევები იბერიულ-კავკასიური ენის მორფოლოგიიდან, თბ., 1980.
სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა, თბ., 1997.
საღინაძე რ., ქართული მართლწერისა და სწორმეტყველების საკითხები, ქუთაისი, 1995.
საღინაძე რ., ძველი ქართული ენა, თბ., 2008.
სახელის ბრუნების ისტორიისათვის ქართველურ ენებში, I, თბ., 1956.
უთურგაიძე თ., ქართული ენის ისტორიული გრამატიკის მორფონოლოგიური და მორფოსინტაქსური ასპექტები, თბ., 2013.
ფოცხიშვილი ა., პირისა და კითხვითი ნაცვალსახელების ბრუნების საკითხები თანამედროვე ქართულში: „მაცნე", 1985, №4.
ფოცხიშვილი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1995.
ფოცხიშვილი ა., კვლავ პირის ნაცვალსახელთა ბრუნებისა და მოთხრობითი ბრუნვის ნიშნის შესახებ: ქართული ენა, თბ., 2000.
ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
ღვინაძე თ., ნაცვალსახელთა გამოყენებასთან დაკავშირებული ზოგი საკითხი: ქელს, №3, თბ., 1980.
შალვაშვილი ლ., პირისა და ვინ კითხვით ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმების ჩამოყალიბება ქართულში: სადისერტაციო მაცნე ფილოლ. მეცნ. დოქტ. სამეცნ. ხარისხის მოსაპოვებლად, თბ., 1993.
შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
ჩართოლანი ნ., ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემები ქართულში სხვა ქართველურ ენებთან შედარებით, თბ., 1985.
ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.
ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; II გამოც. 2008.
ჭუმბურიძე ნ., კუთვნილებითი ნაცვალსახელები ნათესაობის ლექსიკაში: საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, თბ., 2007.
ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

თავი VI. ზმნა

6.1. ზმნის ზოგადი დახასიათება

ქართულში ზმნა უძველესი მეტყველების ნაწილია. იგი აღნიშნავს საგნის მოქმედებას (აშენებს, წერს...), მდგომარეობას (ზის, წევს...), განცდას (წუხს, დარდობს...), სხვის მიერ მიყენებულ ვნებას (იჭრება, იხევა), ზოგჯერ მიუთითებს საგნის ნიშან-თვისებაზეც (ავობს, ბრაზობს, ლამაზობს...).

ტერმინი „ზმნა“ ქართულში შემოსული უნდა იყოს არაბული გრამატიკული ტერმინოლოგიის გავლენით. იგი არის თარგმანი არაბული სიტყვისა, რომელიც ნიშნავს „ქმნას“, „კეთებას“ (შდრ. ვშვრები – ვიზამ – ვქენი)[1].

ზმნა სემანტიკურად მრავალფეროვანია, ერთდროულად შეიძლება ჰქონდეს სათანადო აფიქსებით გამოხატული სხვადასხვა მნიშვნელობა. ამის საფუძველზე იქმნება მორფოლოგიური კატეგორიები. თუ ქართულში სახელი, ევროპული ენებისაგან განსხვავებით, გაცილებით მარტივია, სამაგიეროდ, ზმნა არის უაღრესად რთული. მას აქვს თოთხმეტამდე კატეგორია, რომელთაგან ზოგი უღლებისაა[2], ზოგიც – წარმოქმნისა. ზმნას შეუძლია ერთდროულად 10-12 კატეგორია აჩვენოს (ა. შანიძე).

უღლების კატეგორია ცვლის ზმნის მხოლოდ გრამატიკულ მნიშვნელობას (მაგრამ არ ცვლის ზმნის ძირითად ლექსიკურ მნიშვნელობას) და აუცილებელია ამა თუ იმ ფორმის საწარმოებლად. სწორედ ამ თავისებურებით იგი ჰგავს სახელს; ანუ სხვაგვარად: ფორმაცვალების მიხედვით, უღლების კატეგორია ზმნისათვის ისეთივე მოვლენაა, როგორიც ბრუნების კატეგორია სახელისათვის. ტრადიციული გაგებით, უღლების

---

[1] ტერმინი ბერძნულ-ლათინურის მიხედვით რომ შემუშავებულიყო, მაშინ იქნებოდა „სიტყვა“ (შდრ. გერმ. Verb). სულხან-საბა ორბელიანიც ამ ცნების აღსანიშნავად იყენებდა არა „ზმნას“, არამედ „სიტყვას“.

[2] სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ოდენ ფორმობრივად განსხვავებული პარალელური ტერმინები: „უღლება“, „უღვლილება“. სასწავლო პრაქტიკაში უპირატესია პირველი.

კატეგორიებია: პირი, რიცხვი, დრო, კილო, მწკრივი, გზისობა, აქტი, თანამდევრობა.

წარმოქმნის კატეგორია ორმაგი ბუნებისაა: სიტყვას უცვლის ფორმასაც და ლექსიკურ მნიშვნელობასაც. ასეთი კატეგორიებია: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, გვარი, ქცევა, კონტაქტი. ისინი მეტყველებაში ზმნას ხდიან მოქნილს, ელასტიკურს; სიტყვას ანიჭებენ სხვადასხვა ელფერს.

ფორმალური გამოხატვის მიხედვით ზმნის კატეგორიები იყოფა გრამატიკულ (მორფოლოგიურ) და სემანტიკურ კატეგორიებად. გრამატიკული კატეგორია გამოიხატება მორფოლოგიური საშუალებებით (აფიქსებით, მოდელებით). ასეთებია: პირი, რიცხვი, მწკრივი, გვარი, ქცევა, კონტაქტი. სემანტიკური კატეგორიებია: დრო, კილო, აქტი, გზისობა, თანამდევრობა.

ბ. ჯორბენაძის აზრით, ქართულში ზმნის კატეგორიები როგორც ფორმობრივი, ისე სემანტიკური თვალსაზრისით შეიძლება განაწილდეს ორ ჯგუფად: უღვლილებისა და ასპექტის კატეგორიებად. უღვლილების კატეგორიები განაპირობებენ ზმნის ცვლას მწკრივების მიხედვით, ასპექტის კატეგორიები კი განარჩევენ მოქმედების სახეს, მოქმედების რაგვარობას.

შესაძლებელია, ზმნის რომელიმე კატეგორია ერთი ჯგუფიდან მეორეში გადავიდეს. მაგალითად, ძველ ქართულში ასპექტი უღლების კატეგორია იყო, ახალში იგი წარმოქმნისა გახდა. ასევე, გზისობა (სპეციალური **ი** აფიქსით გამოხატული) ძველად მორფოლოგიურ კატეგორიად ითვლებოდა, დღეს იგი სემანტიკურ კატეგორიად განიხილება.

ზმნის კატეგორიებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პირი. ამის გამო ზმნა მიჩნეულია პირიან სიტყვად. ა. შანიძის აზრით, ზმნა უფრო ზოგადი ცნებაა. მასში იგულისხმება როგორც პირიანი, ისე უპირო ფორმა – მოქმედების სახელი (საწყისი და მიმღეობა)[1].

---

[1] თუმცა ზოგი მკვლევარი (შ. კეკელია, ა. დავითიანი...) მართებულად არ მიიჩნევს ზმნის დაყოფას პირიან და უპირო ფორმებად. წმინდა ფორმობრივი ასპექტიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, მოქმედების სახელები არ უნდა განიხილებოდეს ზმნურ ფორმად.

ზმნა შეიძლება იყოს პ ი რ ვ ე ლ ა დ ი (აშენებს, ხატავს, წერს, ზის...) და ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი სხვა მეტყველების ნაწილებისაგან: მეფობს (< მეფე), ყოჩაღობს || იყოჩაღა (< ყოჩაღ), ვიშვიშებს (< ვიშ), წითლდება (< წითელი), იჩემებს (< ჩემი), გასამდა (< სამი...) და ა. შ.

სინტაქსურად ზმნა არის შ ე მ ა ს მ ე ნ ე ლ ი (ცა **მოიწმინდა**) ანდა შ ე დ გ ე ნ ი ლ ი შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ი ს ზ მ ნ უ რ ი ნ ა წ ი ლ ი (დედა მასწავლებელი **არის**).

ქართული ზმნა წინადადების დედაძარღვია – სული და გული ენისა.

შენიშვნა: ქართული ზმნის სირთულე და ენაში მისი განსაკუთრებული მნიშვნელობა, გამოხატვის მრავალფეროვანი საშუალებანი საყოველთაოდაა აღიარებული. ამჯერად დავიმოწმებთ ზოგიერთ გამონათქვამს:

„ქართველი უფრო ზმნებით ლაპარაკობს, ზმნებით ჰმეტყველებს, ვიდრე სხვა სიტყვის ნაწილებით... განსაკუთრებული თვისება ჩვენი ენისა... ჩვენი ზმნებია და ნამეტნავად მისი მართლადა გასაკვირველი ფორმები“ (**ილია**); „ქართული ზმნა მეტად რთულია: ვინც სახელი იცის, მან თითქმის არაფერი იცის, ხოლო, ვინც ზმნა იცის, მან თითქმის ენა იცის“ (**ჰუგო შუხარდტი**); „ქართული ზმნა შეიცავს აზრის გამოხატვის ისეთ საშუალებებს, რომლებიც ინდოევროპულ ენებს არ მოეპოვება“ (**ჟ. ვანდრიესი**); „ზმნა ყველაზე უფრო ძნელი ნაწილია ქართული გრამატიკისა“ (**ა. შანიძე**); „ქართული ზმნის აგებულებაში სათანადოდ უკუფენილია წინადადების შედგენილობა... ზმნა წინადადებაა მინიატურაში“ (**არნ. ჩიქობავა**).

6.2. ზმნის პირი და რიცხვი

ქართულში პირი არის ზმნის ძირითადი გრამატიკული კატეგორია. იგი გვიჩვენებს ან იმას, ვინც მოუბარია, ან იმას, ვისაც მოუბარი მიმართავს უბნობის დროს, ან კიდევ იმას, ვინც ან რაც არც მოუბარია და არც მიმართვის საგანი, არამედ სხვა (ა. შანიძე); ე. ი. პირი შეიძლება იყოს მოუბარი, თანამოუბარი და საუბრის საგანი.

ტრადიციულ გრამატიკებში ქართული ზმნის პირი ხასიათდება რომელობის, რაოდენობისა და როგორობის მი-

ხედვით, თუმცა არნ. ჩიქობავას აზრით, ზმნის ანალიზისას ქართულში პირველი კითხვა უნდა იყოს, თუ რამდენპირიანია ზმნა (ევროპულ ენებში ეს კითხვა არ დაისმის, რადგან იქ ყველა ზმნა ერთპირიანია). ამასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში განსხვავებული თვალსაზრისიც არსებობს: „პირიან ფორმებში გამოიყოფა ოპოზიციის ორი სახე: 1. ვითარების ანუ როგორობის მიხედვით ოპოზიცია, ე.ი. პირთა ოპოზიცია: სუბიექტური პირი – ობიექტური პირი; 2. რომელობის მიხედვით ოპოზიცია, ე.ი. პირთა ოპოზიცია: პირველი – მეორე – მესამე“ (ა. ონიანი).

6.2.1. პირი რომელობის, რაოდენობისა და როგორობის მიხედვით. რ ო მ ე ლ ო ბ ი ს მიხედვით პირი შეიძლება იყოს I (მოუბარი), II (თანამოუბარი – ადრესატი), III (საუბრის საგანი). ესა თუ ის პირი ერთს ან ერთზე მეტს (მრავალს) გულისხმობს, შესაბამისად, ზმნის პირიან ფორმას აქვს ორი რიცხვი: მხოლობითი და მრავლობითი.

მხოლობითი რიცხვი გვიჩვენებს ერთის მოქმედებას ან ერთზე მოქმედებას (წერს, ხატავს, აგორებს...).

მრავლობითი რიცხვი აღნიშნავს მრავლის მოქმედებას (წერენ, ხატავენ, აგორებენ...). თითოეული პირი გამოხატულია სათანადო ნაცვალსახელებით:

I პირი: მე (მხ. რ.) – ჩვენ (მრ. რ.)

II პირი: შენ – თქვენ

III პირი: ის, იგი, მან, მას – ისინი, ესენი, მათ

I და II პირი ყოველთვის გულისხმობს ადამიანს, ასევე, გაპიროვნებულ სულიერ არსებას ან უსულო საგანს; III პირით გადმოცემული სახელი შეიძლება გულისხმობდეს ადამიანს ან არაადამიანს.

პირთა რ ა ო დ ე ნ ო ბ ი ს მიხედვით, ქართული ზმნა შეიძლება იყოს ერთპირიანი, ორპირიანი, სამპირიანი და ოთხპირიანიც კი. პირთა რაოდენობა ზმნაში განისაზღვრება მასთან შეწყობილი ნაცვალსახელებითა და მათი მორფოლოგიური გამოხატვის შესაძლებლობით, ანუ რამდენი ნაცვალსახელიც შეეწყობა ზმნას, ის იმდენპირიანია: თეთრდება **ის**

(ერთპირიანი), ათეთრებს **ის მას** (ორპირიანი), უთეთრებს **ის მას მას** (სამპირიანი). იშვიათად ზმნა შეიძლება ოთხპირიანიც იყოს: მიმიწერა **მან მე მას ის**, მიმაცემინა, მიჭმია, მიმიბა... „დამიჩაგვრინო, შემინატვრინო" (ილია). მართალია, ა. შანიძე ოთხპირიან ზმნებს საერთოდ ხელოვნურ ფორმებად მიიჩნევდა, მაგრამ დღეს წერითსა თუ ზეპირ მეტყველებაში ისინი არსებობენ. მეტიც, ზოგჯერ ზმნის ოთხპირიანი ფორმა აუცილებელიცაა: „როცა სამპირიან არასასხვისო ქცევის ზმნას გადავაკეთებთ სასხვისოდ, მაშინ ის ოთხპირიანი ხდება: აჭმევს ის მას მას – მიჭმევს ის მე მას მას" (ლ. კიკნაძე).

რ ო გ ო რ ო ბ ი ს მიხედვით პირი შეიძლება იყოს სუბიექტური და ობიექტური. **სუბიექტი** მოქმედი პირია, **ობიექტი** – სამოქმედო: ხატავს ის მას (მხატვარი სურათს) – **ის** სუბიექტია, **მას** – ობიექტი.

ობიექტური პირი ორგვარია: პირდაპირი და ირიბი.

პირდაპირი ობიექტი მოქმედების საგანია (რომელზედაც პირდაპირ გადადის სუბიექტის მოქმედება): აშენებს ის მას (მეზობელი სახლს) – **მას** პირდაპირი ობიექტია.

ირიბი ობიექტი არ არის მოქმედების საგანი, მას უშუალოდ არ ეხება სუბიექტის მოქმედება, თუმცა ეს მოქმედება მისკენაა მიმართული ან მისთვისაა განკუთვნილი: მისწერა მან მას ის (დედამ შვილს წერილი) – **მას** ირიბი ობიექტია.

ზოგჯერ ირიბი ობიექტი მოქმედების უშუალო შემსრულებელია. ეს ხდება კაუზატივის ფორმებში: აწერინებს ის **მას** მას (დედა **შვილს** დავალებას).

ერთპირიან ზმნაში მხოლოდ სუბიექტური პირია (თბება **ის**), ორპირიანში ერთი სუბიექტურია და მეორე – ობიექტური (ათბობს **ის მას**), სამპირიანში – ერთი სუბიექტური და ორი ობიექტური – პირდაპირი და ირიბი (უთბობს **ის მას მას**).

პირდაპირი და ირიბი ობიექტი, გარდა სემანტიკისა, განსხვავდება ფორმითაც: პირდაპირი ბრუნვაცვალებადია – დგას სახელობითსა და მიცემითში, ირიბი კი – ბრუნვაუცვლელი, ყოველთვის მიცემით ბრუნვაშია.

პირდაპირი და ირიბი ობიექტების საზიარო ბრუნვაა

მიცემითი. მათ გასარჩევად გამოიყენება პრაქტიკული წესი: თუ კითხვაზე რა ქნა? ობიექტის მიცემითი ბრუნვა სახელობითით შეიცვალა, მაშინ იგი პირდაპირია, მაგრამ, თუ ბრუნვა არ შეიცვალა, ირიბი იქნება:

ათბობს ის **მას**

რა ქნა? – გაათბო მან **ის** (პირდაპირი);

ემალება ის **მას**

რა ქნა? – დაემალა ის **მას** (ირიბი).

ობიექტური პირების გარჩევის დროს სემანტიკაზე დაყრდნობა ყოველთვის (მაგ., **ეფერება** ტიპის ზმნებში) არაა გამართლებული. მთავარია ფორმობრივი სხვაობა. შესაბამისად, მართებული ჩანს ტერმინი „უახლოესი ობიექტი“ ნაცვლად „პირდაპირისა“.

მაშასადამე, ქართული ზმნა მ რ ა ვ ა ლ პ ი რ ი ა ნ ი ა (პოლიპერსონალური)[1]. მრავალპირიანობა საერთოქართველური მოვლენაა, ევროპულ ენებში კი ზმნა ე რ თ პ ი რ ი ა ნ ი ა (მონოპერსონალური), რადგან მასში გრამატიკულად მხოლოდ სუბიექტური პირი გამოიხატება (თუმცა სემანტიკურად შეიძლება იგულისხმებოდეს ორი პირი). აქედან გამომდინარე, ამ ენებში, ქართულისაგან განსხვავებით, ზმნის პირი ხასიათდება მხოლოდ რომელობის მიხედვით.

სამეცნიერო ლიტერატურაში ქართული ზმნის მრავალპირიანობას განიხილავენ ვალენტობასთან მიმართებით. ა ც. ვ ა ლ ე ნ ტ ო ბ ა არის ზმნური ფორმის უნარი „შეიწყოს წინადადების ბირთვში სუბიექტურ-ობიექტურ მიმართებათა გამომხატველი სახელების (resp. ნაცვალსახელთა) ანუ აქტანტების განსაზღვრული რაოდენობა“ (ლ. ტენიერი). ზმნის ვალენტობა არის პირთა შეწყობის უნარი, პირიანობა კი – გამოხატვის უნარი, ანუ ვალენტობა სინტაქსური კატეგორიაა, პირიანობა – მორფოლოგიური. მაგ., წვიმს, თოვს ნულვალენტიანია, არ შეეწყობა პირი (არა აქვს კონკრეტული პი-

[1] ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმი, პირის ნიშანთა პრეფიქსაცია, აბსოლუტური და რელატიური ზმნების თავისებურებანი პირველად შეამჩნია და თავის გრამატიკაში შეიტანა დ. ყიფიანმა.

რის გაგება), წევს **ის** – ერთვალენტიანი, აშენებს **ის მას** – ორვალენტიანი, უგზავნის **ის მას მას** – სამვალენტიანი... (ვრცლად იხ. ლ. ენუქიძე, ბ. ჯორბენაძე, თ. გამყრელიძე...).

ზმნის პირიანობა და ვალენტობა ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს. მაგ., **მ**-ათბობ-**ს** ის მე ორვალენტიანი და ორპირიანია, **მ**-იზრდი-**ს** ის მე მას – სამვალენტიანი, მაგრამ ორპირიანი. რადგან ვალენტობა სინტაქსური კატეგორიაა, არ არის აუცილებელი მორფოლოგიაში მისი შემოტანა[1].

ლინგვისტიკაში სუბიექტისა და ობიექტის აღსანიშნავად გამოიყენება ლათინური ასოები: **S** (სუბიექტი), **O** (ობიექტი), **d** (directa = პირდაპირი: O^d), **i** (indirecta = ირიბი: O^i); **s** (singular – მხ. რ.), **p** (plural – მრ. რ.). ქართული ზმნის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ინვერსიული ზმნებისათვის მართებულად მიაჩნიათ სხვა ტერმინებიც: მორფოლოგიური || გრამატიკული || რეალური სუბიექტი (**MS, GS, RS**), მორფოლოგიური || გრამატიკული || რეალური ობიექტი (**MO, GO, RO**); აქტანტი || აქტანტები (შეიძლება იყოს: **S**, O^d, O^i); უახლოესი ობიექტი[2] || უშუალო ობიექტი (= O^d); ასევე აგენსი (**S**), პაციენსი (**O**).

6.2.2. ზმნის აგებულება. აგებულების მიხედვით, ქართული ზმნა ორგვარია: აბსოლუტური და რელატიური. ამ დაყოფის საფუძველია პირთა რაოდენობა ზმნის ფორმაში.

აბსოლუტურია ერთპირიანი ზმნა, ე. ი. მიუმართავია: თბება ის, იზრდება ის... **რელატიურია** ორპირიანი და სამპი-

---

[1] ამ საკითხთან დაკავშირებით ქართულ ლინგვისტიკაში არსებობს სხვა მოსაზრებებიც: გ. ნებიერიძის აზრით, სამზე მეტვალენტიანი ზმნა აღარ გვექნება, რადგანაც აქტანტა მხოლოდ სამია: **S**, O^d, O^i; ზოგჯერ თითქოს ოთხვალენტიანი ზმნებიც გვაქვს, მაგრამ ეს მხოლოდ ილუზიაა (მაგ., ნუ მიმაცემინებ შენ მე მას მას) – ზმნის ერთ ფორმაში ორი აქტანტა ერთნაირია, ორივე ირიბია. ასევე: თ. მახარობლიძეს უფრო მართებულად მიაჩნია, ვალენტობა ჩაითვალოს არა სინტაქსურ, არამედ სემანტიკურ კატეგორიად.

[2] არნ. ჩიქობავას აზრით, ქართულისათვის უფრო მართებულია ტერმინი „უახლოესი ობიექტი", ვიდრე „პირდაპირი ობიექტი", რომელიც არის ევროპული ენების ბრალდებითი (Akkusativ) ბრუნვის თარგმანი. ეს ბრუნვა იბერიულ-კავკასიურ ენებს არ გააჩნია; ამდენად, ქართულში „პირდაპირი ობიექტი" ვერ იქნება ზუსტი ტერმინი.

რიანი ზმნები, ე. ი. მიმართებითია: ხატავს ის მას, უშენებს ის მას მას... ორპირიან ზმნაში მიმართება ცალმაგია: ან მხოლოდ პირდაპირი (გაანათა მან **ის**), ან მხოლოდ ირიბი (მიესალმა ის **მას**)... სამპირიან ზმნაში მიმართება ორმაგია (პირდაპირი და ირიბი): გაუგზავნა მან **მას ის**...

ამგვარად, ქართულში (ზანურსა და სვანურშიც) პირის კატეგორია მრავალფეროვნებით გამოირჩევა; ზმნა იცვლება პირების მიხედვით, ამიტომ უღლება პიროვანია.[1]

შესაძლებელია დროთა განმავლობაში ზმნის აგებულება შეიცვალოს – მოემატოს ან დააკლდეს ესა თუ ის პირი. მაგალითად, ძველად იყო: მძინავს **ის** მე, იტირა მან **ის**, შეხედნა მან მას **იგინი**... ახლა არის: მძინავს მე, იტირა მან, შეხედა მან მას... პირიქითაც შეიძლება მოხდეს. ამ შემთხვევისათვის სანიმუშოდ განვიხილავთ **უყვება** ტიპის ზმნებს.

ჩვეულებრივ, ქართულ სამპირიან ზმნაში ერთი სუბიექტური პირია, ორი – ობიექტური (პირდაპირი და ირიბი), მაგრამ თანამედროვე ქართულში, როგორც გამონაკლისი, შეიძლება სამპირიან ზმნას შეეწყოს სუბიექტთან ერთად ორი ირიბი ობიექტი. ასეთი ზმნებია:

უყვება ის მას მას	–	**მოუყვა** ის მას მას
ეკითხება ის მას მას	–	**შეეკითხა** ის მას მას
ჰპირდება ის მას მას	–	**შეჰპირდა** ის მას მას
ეცილება ის მას მას	–	**შეეცილა** ის მას მას
ესესხება ის მას მას	–	**დაესესხა** ის მას მას
ედავება ის მას მას	–	**შეედავა** ის მას მას...

ვ. იმნაიშვილის დაკვირვებით, გარდაუვალი სამვალენტიანი **უყვება** ტიპის ზმნათა რიცხვი დღეს 4 ათეულსაც კი აჭარბებს; მოხმარების სიხშირით განსაკუთრებით გამოირჩევა უ ყ ვ ე ბ ა, ჰ პ ი რ დ ე ბ ა, ე დ ა ვ ე ბ ა.

ისტორიულად ეს ზმნები იყო ორპირიანი, გარდაუვა-

[1] ზოგიერთ კავკასიურ ენაში ზმნას პირი არა აქვს და ზმნის ცვლა კლას-კატეგორიის მიხედვით ხდება. აქ ზმნის უღლება კლასოვანია. ზოგ კავკასიურ ენაში უღლება ერდროულად პიროვან-კლასოვანია. ვარაუდობენ, რომ უძველეს ქართულსაც უნდა ჰქონოდა კლასოვანი უღლება.

ლი: შეეწყობოდა **S** და ირიბი **O**. მაგრამ, რადგანაც მათ (როგორც ზოგადად **დეპონენსებს**) ფორმა ვნებითისა აქვთ, მნიშვნელობა კი – მოქმედებითისა, ამიტომ მოგვიანებით ასეთი ტიპის ზმნები სამვალენტიანი გახდა – დაემატა მესამე პირის (ნივთის ობიექტის) გაგება ირიბის სახით (ზმნა გარდაუვალია და პირდაპირ ობიექტს ვერ შეინყობდა). დღეს სასაუბრო ქართულში, განსაკუთრებით დასავლურ კილოებში, აშკარად გამოიკვეთა ტენდენცია – ყველა სამპირიანი ზმნა მოექცეს წარმოების ერთ ყალიბში: შეინყოს ბრუნვაცვალებადი **S** და ორივე სახის **O**: უყვება **ის** მას **მას** – მოუყვა **მან** მას **ის** (შდრ. უხატავს **ის** მას **მას** – დაუხატა **მან** მას **ის**)... მაშასადამე, ენაში ხდება სამპირიან ზმნათა კონსტრუქციის უნიფიკაცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფორმით პასიური, მაგრამ აქტიური სუბიექტისა და, შესაბამისად, აქტიური შინაარსის მქონე **ედავება** ტიპის ზმნები, სწორედ სემანტიკიდან გამომდინარე, დამატებით იძენენ კიდევ ერთ პირს (მეორე ირიბ ობიექტს) პირდაპირის მსგავსი მნიშვნელობით და ამ „კეთილშენაძენი" (არნ. ჩიქობავა) სამპირიანობით II სერიაში სუბიექტ-ობიექტისათვის ავლენენ ერგატიულ და ნომინატიურ კონსტრუქციებს, ხოლო III სერიაში რიგ შემთხვევაში ინვერსიულებიც ხდებიან[1].

6.2.3. სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები. ქართულში პირის გამოხატვის პრინციპი ძირითადად პრეფიქსულია, რიცხვისა – სუფიქსური. I-სა და II პირში სუბიექტის ნიშნები პრეფიქსებია, III-ში – სუფიქსები; I და II პირის გამოხატვა აგლუტინაციის პრინციპს ემყარება (ანუ პირსა და რიცხვს საკუთარი ნიშნები აქვს), III-ში ფლექსიური პრინციპიც მოქმედებს – ზოგჯერ ერთი და იმავე აფიქსით გამოიხატება პირიცა და რიცხვიც.

პ ი რ ვ ე ლ ი ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი პირის ნიშანი მხოლო-

[1] სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ტიპის ზმნათა გააქტიურებას ძირითადად ხსნიან სინტაქსური ანალოგიითა და ამგვარ ზმნათა სუბიექტის აქტიურობით (ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე, თ. ღვინაძე, ვ. იმნაიშვილი, თ. ბერია...).

ბითსა და მრავლობით რიცხვში ძირითადად არის **ვ-** პრეფიქსი, მრავლობითობის აღსანიშნავად ემატება **-თ** სუფიქსი:

ვ-შრომობ მე	**ვ-**შრომობ**-თ** ჩვენ
ვ-ხატავ მე მას	**ვ-**ხატავ**-თ** ჩვენ მას
ვ-უწერ მე მას მას	**ვ-**უწერ**-თ** ჩვენ მას მას...

როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშიც მიუთითებენ, **ვ-** პრეფიქსი არ არის S_1 პირის ერთადერთი მარკერი. ზოგჯერ მას ენაცვლება სხვა ალომორფები. მაგალითად:

1) ინვერსიულ ზმნებში რეალური სუბიექტი (**RS**) გამოიხატება ობიექტის **მ-** პრეფიქსით (**ვ-**წერ – და-**მ-**იწერია, **მ-**იყვარს, მო-**მ-**წონს, **მ-**აურჟოლებს...);

2) ნიშანი საერთოდ არ არის, ანუ ნულოვანი ალომორფია: ა) **ვალ, ვედ** ძირის ზმნებში (მო-ვალ, წა-ვალ, მო-ვედი, წა-ვედი[1]...), ბ) როცა ზმნის ერთ ფორმაში ერთდროულად არის S_1 და O_2 პირები, ანუ პირთა კომბინაციაა (**გ-**ესალმები მე შენ, **გ-**ლოცავ მე შენ...);

3) ზეპირ მეტყველებაში S_1 პირის **ვ-** პრეფიქსი მეტწილად არ გამოითქმის **ვ** თანხმოვნისა და **უ, ო** ხმოვნების წინ: მე (ვ)ვარჯიშობ, (ვ)ვარდები... მე (ვ)უთხარი, მე (ვ)ოცნებობ... თუმცა სემანტიკური სხვაობისთვის (S_1 და S_2 პირთა განსასხვავებლად) აღნიშნულ შემთხვევებში აუცილებელია **ვ-** პრეფიქსი: მე **ვ-**ვარჯიშობ, მე **ვ-**უთხარი, მე **ვ-**ოცნებობ... (შდრ. (შენ) ვარჯიშობ, (შენ) უთხარი...).

ასე რომ, თანამედროვე ქართულის რეალური ვითარების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას: **ვ-** არის S_1-ის ძირითადი ნიშანი, ხოლო **მ-** და **Ø** (ნული) – მისი ალომორფები (დ. მელიქიშვილი, ა. ონიანი...).

ზოგჯერ ზმნის ფორმა რთულია, ამიტომ სუბიექტური პირი ორმაგადაა გამოხატული ნიშნით: **ვ**შობილვარ, **ვ**ზივარ, **ვ**წერივარ, გავუგზავნივარ...

მ ე ო რ ე ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი პირის ნიშნებად ტრადიცი-

---

[1] წესის მიხედვით, უნდა იყოს მოვვალ, მოვვედი, მაგრამ, რადგანაც ამ ზმნებში II პირის ნიშნად შემორჩენილია ძველი ქართულის **ხ** (მოხვედი, მოხვალ) და I და II პირი ორი **ვ**-ს გარეშეც გარჩეულია, ამიტომ ენამ ადვილად დაკარგა **ვ** პრეფიქსი.

ულ გრამატიკებში მიჩნეულია პრეფიქსები: **ჰ-**, **ს-**, **ხ-**, **Ø** (ნული), მრავლობითობის აღსანიშნავად ემატება **-თ** სუფიქსი:

(ჰ)-გალობ	შენ	(ჰ)-გალობ-თ	თქვენ
(ს)-თლი	შენ მას	(ს)-თლი-თ	თქვენ მას
ხ-არ	შენ	ხ-არ-თ	თქვენ
(Ø)-აშენებ	შენ მას	(Ø)-აშენებ-თ	თქვენ მას...

ა. შანიძის მიხედვით, **ჰ-** არის ბ, ფ, პ, გ, ქ, კ, ყ თანხმოვნების წინ, **ს-** – დ, თ, ტ, ძ, ც, წ, ჯ, ჩ, ჭ თანხმოვნების წინ, **Ø** (ნული, ე.ი. ნიშანი არ არის) – ხმოვნებისა და ზოგიერთი თანხმოვნის წინ, **ხ-** (S_2 პირის გამომხატველი თავდაპირველი აფიქსი) შემორჩენილია მხოლოდ **ხ**არ, მო**ხ**ვალ, მო**ხ**ვედ(ი) ზმნებში.

ისტორიულად **ჰ-** არის S_2 პირის ძირითადი ნიშანი, **ს-** და **Ø** მის პოზიციურ ვარიანტებად ითვლება.

II სუბიექტური პირის ნიშანზე, ჩვეულებრივ, აღარ ვსაუბრობთ, როცა: 1) ზმნის ფორმაში I და II პირთა კომბინაციაა – სუბიექტად მეორეა და ობიექტად პირველი: მ-აქებ შენ მე; 2) ზმნის კილო წართქმითი ბრძანებითია: დახატე! დაბეჭდე!

ძველ ქართულში II სუბიექტური პირის ნიშნების ხმარების წესი ახალთან შედარებით განსხვავებული იყო.

მიუხედავად საგანგებოდ შემუშავებული (ზემოგანხილული) გრამატიკული წესებისა, დღეს S_2 პირის ნიშნები თითქმის აღარ იხმარება სამწერლობო ენასა თუ ზეპირ მეტყველებაში. აქედან გამომდინარე, სალიტერატურო ენის ნორმათა მიხედვით, მათი გამოყენება სავალდებულო აღარაა, რადგან ნიშნიანი I და III პირებისაგან II პირის გარჩევა უნიშნოდაც შესაძლებელია. მეორე მხრივ, თუკი თანამედროვე ქართულში S_2 პირი სათანადო მარკერით მაინცაა წარმოდგენილი, მათ შორის, წართქმითი ბრძანებითის ფორმებშიც კი (შესდექ! მოჰკალ!, გადასწყვიტე!...), ასეთ შემთხვევაში პირის ნიშანი ზმნას ანიჭებს მეტ გამომსახველობითს ძალას; მას აღარ აკისრია პირის გამოხატვის მორფოლოგიური ფუნქცია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დღეს S_2 პირის ნიშნების ფუნქციად სამწერლობო ენაში მეტწილად რჩება ფრაზაში ემოციური

მუხტის გაძლიერება, ექსპრესიულობა, რასაც ძირითადად განსაზღვრავს მწერლის სტილი და რამდენადმე ზეპირი მეტყველების გავლენაც (ა. შანიძე, გ. ახვლედიანი, ა. ონიანი, დ. მელიქიშვილი, ჟ. ფეიქრიშვილი, გ. გოგოლაშვილი...).

ცნობილია, რომ ქართული ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე S_2 პირის გამოხატვა არაერთგვაროვანი იყო. თავდაპირველი **ხ-** პრეფიქსი დღეს მხოლოდ სამიოდე ფორმასთან არის შენარჩუნებული, **ჰ-** და **ს-** თითქმის აღარ გამოიყენება და, ამდენად, პირდაპირი წყობის ზმნებში S_2 პირის აღსანიშნავად **ნულოვანი** ალომორფია საგულვებელი, ინვერსიულ ფორმებთან კი **გ-** პრეფიქსია წარმოდგენილი: **გ-**ყავს შენ ის, და-**გ-**იწერია შენ ის...

მესამე სუბიექტური პირის ნიშნებია მხოლობით რიცხვში **-ს, -ა, -ო** სუფიქსები, მრავლობითში – **-ეს, -ენ, -ან, -ნ, -ნენ:**

დგა-**ს** ის	გაანათ-**ეს** მათ ის
გათბ-**ა** ის	აქებ-**ენ** ისინი მას
იცნ-**ო** მან ის	გათბ-**ნენ** ისინი
	მიდი-**ან** ისინი
	იცნო-**ნ** მათ ის

-ეს, -ენ, -ან, -ნ, -ნენ ნიშნებს დღეს გრამატიკულად ორი ფუნქცია აქვს: გამოხატავენ პირსაც და მრავლობით რიცხვსაც, ისტორიულად მხოლოდ რიცხვს აღნიშნავდნენ.

6.2.4. ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები. ქართულში ობიექტი, ევროპული ენებისაგან განსხვავებით, მორფოლგიური კატეგორიაა, რომელიც ზმნაში სათანადო ფორმითაცაა გამოხატული – დაერთვის პირისა და რიცხვის ნიშნები. ობიექტური პირის ნიშნები პრეფიქსებია. I-სა და II პირში პირდაპირსა და ირიბ ობიექტს ერთი და იგივე აფიქსი აქვს, III-ში განსხვავებული ვითარებაა: ნიშანი მოუდის ირიბს, პირდაპირი კი უნიშნოა.

პირველი ობიექტური პირის ნიშანია მხოლობით რიცხვში **მ-** პრეფიქსი, მრავლობითში – **გვ-** (რომელსაც ერთდროულად აქვს ორი გრამატიკული მნიშვნელობა: გამოხატავს პირსაც და რიცხვსაც):

მ-ხატავს ის მე (O^{d}) – გვ-ხატავს ის ჩვენ (O^{d})
მ-ესალმება ის მე (O^{i}) – გვ-ესალმება ის ჩვენ (O^{i})
მ-იგზავნის ის მე (O^{i}) მას – გვ-იგზავნის ის ჩვენ (O^{i}) მას...

ინვერსიულ ზმნათა III სერიაში O_1 გამოიხატება სუბიექტის ვ- ნიშნით: მაქებს ის მე, შდრ. ვუქივარ მას მე; მათბობს ის მე, შდრ. გა-ვ-უთბივარ მას მე[1] და ა. შ.

მეორე ობიექტური პირის ნიშანია პრეფიქსი გ-, მრავლობითობის აღსანიშნავად შეიძლება დაემატოს -თ სუფიქსი. კერძოდ: როცა ზმნის ფორმაში S_3 პირი მრავლობითშია და ზმნაში წარმოდგენილია სათანადო ნიშნით, O_2 პირის მრავლობითობის გამოხატვა აღარ ხერხდება: გ-ზრდი-ს ის შენ – გ-ზრდი-თ ის თქვენ, გ-ეფერებ-ა ის შენ – გ-ეფერება-თ ის თქვენ, შდრ.: გ-ზრდი-ან ისინი თქვენ, გ-ეფერები-ან ისინი თქვენ.

მესამე ირიბობიექტური პირის ნიშნებია ორივე რიცხვში ჰ-, ს-, Ø (ძირითადია ჰ-). მათი მონაცვლეობა, S_2 პირის მსგავსად, შეპირობებულია პოზიციურად: ჰ-კითხა მან მას ის, ს-თხოვა მან მას ის, (Ø)-ეხმარება ის მას[2]...

გარდა ამისა, ინვერსიულ ზმნებში, რომლებსაც შეეწყობათ მიცემით ბრუნვაში დასმული სუბიექტი და სახელობითში

---

[1] ძველ ქართულში O_1-ის ნიშანი მრ. რიცხვში განსხვავებული იყო ინკლუზიურ-ექსკლუზიური ფორმების მიხედვით: ინკლუზიური ჩვენ გამოიხატებოდა გვ (გუ) პრეფიქსით, ექსკლუზიური კი – -მ პრეფიქსით: დაგვინერა მან ჩვენ (მე+შენ...), შდრ. დამინერა მან ჩვენ (მე + მას...). მსგავსი მაგალითები ხშირია ძველი ქართულის ნერილობითს ძეგლებში („მამაო ჩვენო,... პური ჩვენი არსობისა მომეც ჩვენ დღეს... და ნუ შემიყვანებ ჩვენ განსაცდელსა, არამედ მიხსენ ჩვენ ბოროტისაგან")... პირის გამოხატვის ეს ნესი დღესაც დაცულია სვანურში.

[2] როგორც ვხედავთ, S_2 და O_3[i] პირებს მოუდის ჰ, ს პრეფიქსები. შესაბამისად, ზმნის ფორმაში მოსალოდნელია ორი ერთნაირი პრეფიქსი, როცა სუბიექტად მეორე პირია და ირიბ ობიექტად – მესამე; ფაქტობრივად კი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი: ჰ-კითხე შენ მას ის, ს-წერ შენ მას მას... ა. შანიძე ამასთან დაკავშირებით წერს: „ძნელია იმის თქმა, თუ რომელი იკარგება და რომელი რჩება. ესაა ქართული ენისათვის დამახასიათებელი მოვლენა – ორი ერთნაირი ბგერიდან ერთი ბუნებრივად იკარგება და მეორე რჩება".

ასეთ შემთხვევაში სავარაუდოა, ჰ ირიბი ობიექტის აღმნიშვნელი იყოს, რადგან ირიბი ობიექტის ნიშანი უფრო მკვიდრია (შდრ. მოპპარა მან მას ის, მისწერა მან მას ის), ვიდრე S_2 პირისა.

მდგარი ობიექტი, O_3 პირის ნიშნის ფუნქციას ასრულებს S_3 პირის **ს** ან **ა** სუფიქსები: დამიწერი-**ა** მე **ის**, მიყვარ-**ს** მე **ის**...

ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით, III ირიბობიექტური პირის ნიშნების გამოყენება სავალდებულოა, თუმცა ენაში ამ ნორმიდან გადახვევის შემთხვევა არცთუ იშვიათია, განსაკუთრებით სასაუბრო ენაში (წაყოლია, ქონია, დაბრუნებოდა და მისთ.).

ძველად III ირიბობიექტური პირის მრავლობითობა ზმნაში, როგორც წესი, არ აღინიშნებოდა, მაგრამ დაახლ. XVI-XVII საუკუნეებიდან ენაში თავს იჩენს მრავლობითში შეთანხმების თითო-ოროლა შემთხვევა. **თ** სუფიქსით მრავლობითობის გამოხატვის ეს ტენდენცია თანდათან უფრო შესამჩნევი ხდება თანამედროვე სამწერლობო ქართულში, დიალექტებსა და ცოცხალ მეტყველებაში. მაგალითად: „კიბეზე არავინ შეხვედრია-**თ**“ (რ. ინანიშვილი), „შემოჰპარვია-**თ** სიცივე ნერგებს“ (გრ. აბაშიძე)... ჰ-კითხა-**თ** მან **მათ** ის, და-Ø-უბარა-**თ** მან **მათ** ის...

III პირდაპირობიექტურ პირს, გრამატიკული წესით, ნიშანი არა აქვს, ზმნაში არ აღინიშნება მისი მრავლობითობაც: დაწერა მან ის / ისინი, აქო მან ის / ისინი... მაგრამ დღეს იგი ირიბი ობიექტის ანალოგიითა და აგრეთვე სტილისტურ-ემოციური ელფერის გასაძლიერებლად სამწერლობო ენასა და ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ გამოხატულია **ჰ-**, **ს-** პრეფიქსებით (მო-ჰ-კლა მან ის, ს-თქვა მან ის, შდრ. მართებული ფორმები: მოკლა, თქვა) და მრავლობით რიცხვშიც ითანხმებს ზმნას **-თ** სუფიქსით: წაიყვანა-**თ** მან **ისინი** (დედამ შვილები), შეარიგა-**თ** მან **ისინი** (მოსამართლემ მეზობლები)... ჩვენი დაკვირვებითაც, მსგავსი ფორმები განსაკუთრებით შესამჩნევია დიალექტებში.

ჰ- ს- აფიქსთა გამოყენების თვალსაზრისით თანამედროვე ქართულში გამოვლენილი დარღვევებიც (სჩანს, ჰყიდის; ყავს, ქონდა, მიჰსწერა...) მოწმობს, რომ ჰ, ს ნიშნები არის არა მორფოლოგიური, არამედ სტილისტურ-სემანტიკური ფუნქციის მქონე.

სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს პირისა და რიცხვის ნიშანთა სხვადასხვა ცხრილი. ამჯერად თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ ორ მათგანს:

ა. შანიძე

სუბიექტურ ნიშანთა ცხრილი

მხ. რ.	მრ. რ.
1. ვ————	ვ ————თ
2. ჰ-, —, ს——	ჰ, — ს———თ
3. ——ს, ა, ო	——— —ენ, (ნენ), ან, ნ, ეს

ობიექტური ნიშნების ცხრილი

პირდაპირი მიმართება		ირიბი მიმართება	
მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ.რ.
1. მ————	გვ————	1. მ————	გვ————
2. გ————	გ————(თ)	2. გ————	გ———(თ)
3. ————	————	3. ჰ,—ს——	ჰ,—ს——(თ)

დ. მელიქიშვილი

პირის ნიშნები		I		II	
		მხოლობითი	მრავლობითი	მხოლობითი	მრავლობითი
სუბიექტი	1	ვ-	-თ	ს-,	გვ-
	2	Ø-, ს-	-თ	გ-	-თ
	3	-ს, -ა, -ო	-ენ, -ან, -ნენ, -ნ, -ეს	Ø-, ს-, ს-	-თ
ობიექტი	1	მ-	გვ-	ვ-	-თ
	2	გ-	-თ	Ø-	-თ
	3	ირიბი ობიექტი Ø-, ს-, ს-,	- Ø, -თ	-ს, -ა	-Ø
		პირდაპირი ობიექტი ს-, ს-	-Ø		

ა. შანიძის ცხრილი ტრადიციულია, შედგენილი პირდაპირი წყობის ზმნათა მიხედვით, მეორე – დ. მელიქიშვილისა ემყარება ზმნურ ფორმათა ახლებურ კვალიფიკაციას, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც პირდაპირი წყობის, ისე ინვერსიულ ზმნათა ჩვენება, თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმები და აგრეთვე ზეპირი მეტყველების რეალური ვითარება (ცხრილის I ჯგუფში წარმოდგენილია არაინვერსიული ზმნების პირის ნიშნები, II-ში კი – ინვერსიული ზმნებისა).

6.2.5. პირის ნიშანთა მართლწერა. 1) თუ ზმნა იწყება **ვ** თანხმოვნით, S_1 პირის ნიშნის **ვ**-ს დართვის შედეგად ორი **ვ** მოიყრის თავს: ვ-ვარდები, ვ-ვარცხნი (მე)... მაგრამ, როგორც გამონაკლისი, სწორი ფორმებია: მო-ვედი, მო-ვალ.

2) თუ ზმნა იწყება **უ** ან **ო** ხმოვნით, პირის ნიშანი **ვ** აუცილებლად უნდა გამოითქვას და დაიწეროს: ვუთხარი, გა-ვუგზავნე, ვოცნებობ, ვომობ (მე)...

3) ერთპირიან ზმნაში შეცდომაა ორი პირის ნიშნის გამოყენება. მართებულია: ჩანს, დუმს, ქუხს, ქრის, შედგა (ის)... შეცდომაა: ს-ჩანს, ს-დუმს, ჰ-ქუხს, ჰ-ქრის, შე-ს-დგა (ის)[1]...

4) **მ** თანხმოვნით დაწყებულ ზმნებში O_1 პირის **მ** ნიშნის დართვის შემდეგ ორი **მ** უნდა იყოს: მ-მალავს, მ-მართავს, მ-მატებს...

---

[1] ამ წესის თანახმად, გრამატიკულად სწორია ა დ გ ა (ის) ზმნის არქაული ფორმა **აღდგა**, მაგალითად, გამოთქმაში „ქრისტე აღდგა!" თუმცა მის პარალელურად ენაში დღეს მყარადაა დამკვიდრებული ქრისტიანული სააღდგომო მილოცვის ფორმულა „ქრისტე აღსდგა! – ჭეშმარიტად!" რამდენადაც **აღსდგა** ზმნური ფორმა შეიცავს ა ღ დ გ ა -სთან შედარებით განსხვავებულ სემანტიკურ ნიუანსს – გულისხმობს გაცოცხლებას, მკვდრეთით აღდგომას და, შესაბამისად, აქ -ს პრეფიქსის ფუნქციაა მხოლოდ სიტყვის მნიშვნელობის შეცვლა და არა პირის გამოხატვა (შდრ. შენობა აღდგა=გაანახლდა), ამდენად, რელიგიური ფორმულა „ქრისტე აღსდგა!" სტილიზაციის მიზნით უნდა ჩაითვალოს მართებულად. ჩვენს მსჯელობას სარწმუნოს ხდის ისიც, რომ ამ შემთხვევაში „აღსდგა" ზმნა ზეაღმატებული სემანტიკის გამო სხვა ენებშიც გადმოიცემა ნაწილობრივ განსხვავებული ფორმით (იხ. აგრეთვე: ბ. ჯორბენაძე, შ. აფრიდონიძე, გ. გოგოლაშვილი, რ. საღინაძე, ნ. ხახიაშვილი...).

5) **გ** თანხმოვნით დაწყებულ ზმნებში **O₂** პირის **გ** პრეფიქსის დართვის შედეგად ორი **გ** იყრის თავს: გ-გონია, გ-გზავნის, გ-გავს...

6) თუ ზმნა იწყება **გვ** თანხმოვნებით, **გვ-** პირის ნიშნის დართვის შემდეგ ორი **გვ** იქნება: მო-გვ-გვარა, და-გვ-გვიანებია...

7) როცა ზმნაში **O₂** პირის მრავლობითობაა აღნიშნული, მაშინ მასთან შეწყობილი **S₃** პირის ნიშანი **ს** იკარგება: გწერ-**ს** **ის** შენ მას, მაგრამ: გ-წერ-**თ** ის **თქვენ** მას.

8) ორპირიან გარდამავალ ზმნებში მესამე პირდაპირ ობიექტურ პირს ნიშანი არ უნდა. მართებულია: გადაწყვიტა, დატოვა, გათელა... კლავს, ჭამს, ყიდის... შეცდომაა: გადასწყვიტა, დასტოვა, გასთელა... სჭამს, ჰკლავს, ჰყიდის... სალიტერატურო ენის ნორმებით (როგორც გამონაკლისი) მხოლოდ რამდენიმე ზმნასთანაა დასაშვებად ჩათვლილი პრეფიქსის ხმარება. ასეთი ზმნებია: ასწევს – ასწია, გასწევს – გასწია, გამოსცემს – გამოსცა, გასცემს – გასცა, დასცემს – დასცა, დასძენს – დასძინა, გასტანს – გასტანა.

9) როდესაც ზმნის ფორმაში III ირიბობიექტურ პირთან ერთად წარმოდგენილია I სუბიექტური პირი (და ორივე მათგანი შესაბამისი ნიშნებითაა გაფორმებული), ნორმების თანახმად, თანაბარუფლებიან პარალელურ ფორმებადაა მიჩნეული მი-ვს-წერ / მი-ვ-წერ, ვჰ-კითხავ / ვ-კითხავ, შე-ვს-ჩივლებ / შე-ვ-ჩივლებ და მისთ. თანამედროვე ქართულის ვითარებიდან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ ზემოაღნიშნულ პარალელურ ფორმათაგან ერთადერთ სწორ ფორმად უნდა დარჩეს ოდენ **ვ**-პრეფიქსიანი (ვკითხე) ტიპის წარმოება (ა. არაბული, რ. ზექალაშვილი, ლ. ბასილაია, ლ. ციხელაშვილი...).

შენიშვნა: ზმნის ერთ ფორმაში ორი პრეფიქსის ერთდროულად გამოყენების ტრადიცია (გრამატიკულად მართებული წესისა) მომდინარეობს ძველი ქართულიდან. საშუალო საუკუნეების წერილობითს ძეგლებში პარალელურად თავი იჩინა საანალიზო წარმოების გამარტივებული (ერთაფიქსიანი) ფორმების გამოყენების შემთხვევებმაც; მათმა რიცხვმა თანდათან ისე იმატა, რომ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ი. ჭავჭავაძის თაოსნობით სამ-

წერლობო ქართულში უპირატესობა მიენიჭა ერთპრეფიქსიან (მივწერ ტიპის) წარმოებას (ი. იმნაიშვილი). დღესდღეობით რთული „ვჰკითხე“ ტიპის ფორმები აღარ გამოიყენება.

6.2.6. სუბიექტური და ობიექტური წყობა. შეიძლება ზმნის ფორმა შეიცვალოს სუბიექტური ან ობიექტური პირების მიხედვით: 1) **ვ**-ხატავ მე მას, ხატავ **შენ** მას, ხატავ-**ს ის** მას... 2) **მ**-თხოვს ის **მე** მას, **გ**-თხოვს ის **შენ** მას, **ს**-თხოვს ის **მას** მას. პირველ შემთხვევაში წყობა სუბიექტურია, მეორეში – ობიექტური.

ერთპირიან ზმნაში მხოლოდ სუბიექტური წყობაა: ვიმალები, იმალები, იმალება, ვიმალებით, იმალებით, იმალებიან (6 ფორმა); ორ- და სამპირიან ზმნებში ორივე წყობაა: **ვ**-ხატავ მე მას, ხატავ შენ მას, ხატავ-ს ის მას... **მ**-ხატავს ის მე, **გ**-ხატავს ის შენ, ხატავს ის მას... შესაბამისად, მიიღება უღლების ნაირგვარი ფორმები თვით ერთი მწკრივის ფარგლებში (ორივე რიცხვში); კერძოდ: ორპირიანი და სამპირიანი ზმნები 18-18 ფორმას უჩვენებენ.

მართალია, რელატიური აგებულების ზმნათა უმრავლესობას ორივე წყობა აქვს, მაგრამ არის რამდენიმე ზმნა, რომლებსაც ეწარმოება ან მხოლოდ სუბიექტური, ან მხოლოდ ობიექტური წყობა. მაგალითად, მხოლოდ სუბიექტური წყობისაა: **ვ**იცი, იცი, იცის (არაა: **მ**იცის, **გ**იცის); მხოლოდ ობიექტური წყობისაა: **მ**ძინავს, **გ**ძინავს, **ს**ძინავს (არაა: ვძინავარ). აქ სუბიექტად მუდამ მესამე პირია (ა. შანიძე).

აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთი ზმნა ამჟამად ერთპირიანია, პირის ნიშანი კი მასში ორია წარმოდგენილი: **მ**-ძინავ-**ს**, **გ**-ღვიძავ-**ს**. ეს იმით აიხსნება, რომ ერთი პირი (ამ შემთხვევაში სუბიექტური: ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე) დროთა განმავლობაში დაიკარგა და ორპირიანი ფორმა ერთპირიანად იქცა, ნიშნები კი უცვლელი დარჩა. ისტორიულად იქნებოდა: **გ**ძინავს ის შენ (გძინავს ძილი შენ). ამ ტიპის ზმნებში, არნ. ჩიქობავას სიტყვებით რომ ვთქვათ, თანაფარდობა დარღვეულია ზმნის აგებულებასა და წინადადების შინაარსს შორის – წინადადებაში სათანადო სახე-

ლი დაგვეკარგა; ზმნაში ამ სიტყვის წარმომადგენელი კიდევ ზის, ზმნის ფორმა ჩამორჩა ნინადადების შინაარსს.

საზოგადოდ, ასეთ შემთხვევაში, ა. შანიძის აზრით, ზმნის პირიანობის საკვალიფიკაციოდ ამოსავალი უნდა იყოს გრამატიკული შინაარსი, ფუნქცია და არა ფორმა; რადგან, ჩვეულებრივ, ფორმა ფუნქციისათვის არის შექმნილი და არა ფუნქცია ფორმისათვის, ცხადია, გადამწყვეტია ფუნქცია, ამიტომ **გახლავს, სძინავს** და მისთანათა გრამატიკული კვალიფიკაცია ახალი შინაარსის მიხედვით უნდა მოხდეს. **გახლავს** შინაარსით ერთპირიანიცაა და ორპირიანიც; ერთპირიანი ეტოლება **არის** ზმნას, შეეწყობა ერთი პირის ნაცვალსახელი **ის**, რომლის ნიშანია სუფიქსი **-ს**. O_2 პირის **გ-** პრეფიქსი უფუნქციოა, რადგან ზმნა მეორე პირის შინაარსისგან დაცლილია.

6.2.7. პირის ნიშანთა გენეზისისა და მესამე პირდაპირობიექტური პირის ნიშნით გამოხატვის საკითხი. პირის ნიშანთა წარმომავლობაზე ქართულ ლინგვისტიკაში მრავალი მსგავსი თუ განსხვავებული მოსაზრება არსებობს.

1. **ვ** და **მ** პრეფიქსები გენეზისურად თითქმის ერთნაირია. მათი (როგორც პირის აღმნიშვნელი აფიქსების) გამოყოფა ნ. მარის დამსახურებაა, შემდეგ ისინი დააზუსტა ა. შანიძემ; არნ. ჩიქობავას აზრით, **ვ** და **მ** თავდაპირველად ადამიანის კლასის ნიშანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, როცა კლასოვანი უღვლილება მოიშალა, ამ ნიშნებს დაეკისრა პირის აღნიშვნის ფუნქცია.

2. II სუბიექტური პირის ნიშნები ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის მთელ მანძილზე ყოველთვის არ ყოფილა ერთნაირი. ცნობილია, რომ V-VII საუკუნეებში ყველა ზმნასთან S_2 პირის ნიშნად გამოიყენებოდა **ხ** პრეფიქსი (ხ-გალობ შენ, ხ-აკეთებ შენ მას...), VIII საუკუნიდან **ჰ**-ს ზოგ შემთხვევაში შეენაცვლა **ს**, ხმოვნების წინ კი მთლიანად დაიკარგა (ჰ-დებ, ჰ-აკეთებ, > ს-დებ, აკეთებ). სწორედ ამის მიხედვით გამოყოფენ სამ პერიოდს: ხანმეტს, ჰაემეტსა და სანნარევს (შესაბამისად, არსებობს ხანმეტი, ჰაემეტი და სანნარევი ტექსტები).

ხ, ჰ, ს პრეფიქსების ისტორია ბევრმა სპეციალისტმა შეისწავლა, განსხვავებულია მათი კვალიფიკაციაც: 1) თავდაპირველად S_2 პირის ნიშანი უნდა ყოფილიყო **ხ**, მისგანაა მიღებული **ჰ** (ივ. ჯავახიშვილი); 2) **ხ, ჰ** პრეფიქსების პირველი სახე იქნებოდა **ჰ**, რომლისგანაც უნდა მომდინარეობდეს **ხ** (ა. შანიძე); 3) **ხ** და **ჰ** პრეფიქსების ამოსავალი იქნებოდა ნივთის კლასის ნიშანი **ს**, რომელსაც პიროვანი უღვლილების ჩამოყალიბების შემდეგ დაეკისრა პირის აღნიშვნა (არნ. ჩიქობავა); 4) ნივთის კლასის **ს** ნიშნისაგან უნდა მიგვეღო **ჰ**, როგორც S_2 პირის ნიშანი. ეს **ჰ** ზოგი ლიტერატურული სკოლის მიერ გამოითქმოდა როგორც **ჰ**, ზოგის მიერ – როგორც **ხ** (გ. როგავა)...

3. III სუბიექტური პირის ნიშანთა სისტემა ძველ ქართულში უფრო რთულია. მხოლობით რიცხვში ძირითადი ნიშანი იყო **ს** სუფიქსი. **ო** ბოლოსართი მიაჩნიათ **ა**-საგან მიღებულად ფონეტიკურ ნიადაგზე (**ვ**-ს მეზობლობა); ამის საილუსტრაციოდ იმოწმებენ **იყო** ზმნის ჩვენებას: ვ-იყავ, იყავ, იყავ-**ა**>იყვა>**იყო** (არნ. ჩიქობავა, ი. იმნაიშვილი, ბ. ჯორბენაძე, გ. გოგოლაშვილი...), მაგრამ შემდეგ **ო** ანალოგიით სხვა ზმნებსაც გაუჩნდა **ა**-ს ადგილას (არნ. ჩიქობავა); შდრ. იგრძნო, დარგო, იცნო, გაიგო, შეაქო... თუმცა, გ. გოგოლაშვილის დაკვირვებით, **იყო** ზმნისა და **იცნო** ტიპის ფორმათა **ო** ერთი და იგივე ოდენობა ვერ იქნება, რადგან პირველ შემთხვევაში ფონეტიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი **ო** რეალურად არ არის სრულფასოვანი, მეორე შემთხვევაში კი **ო** თავისთავადი, დამოუკიდებელი სუფიქსია, რომელიც შეპირობებული ჩანს ენაში მოქმედი სხვა კანონზომიერებებით და არა ოდენ ანალოგიით.

მრავლობითი რიცხვის სუფიქსებიდან ძველ ქართულში ძირითადი იყო **ეს**. შესაძლებელია **ან** მომდინარეობდეს **ენ**-ისაგან (გ. როგავა). **ნენ** ნიშანი, ძველმა ქართულმა არ იცის. იგი მიღებულია **ნ+ენ**-ის შეერთებით (ა. შანიძე), პირველად თავს იჩენს XV საუკუნიდან (ე. ნიკოლაიშვილი).

არნ. ჩიქობავას მიხედვით, S_3 პირის ძირითადი ნიშნებია **ს** და **ნ** თანხმოვნები (მათთან ხმოვნები შემდგომ გაჩენილია), რომლებიც S_1 და S_2 პირების მრავლობითობის **თ** სუფიქსთან ერთად თავდაპირველად წარმოადგენდნენ ნივთის კლასის ნიშნებს; ამათ გვერდით უნდა დავაყენოთ სახელების მრავლობითი რიცხვის **თ, ნ, ებ** ნიშნების თანხმოვნებიც.

მესამე პირდაპირობიექტური პირი ახალ ქართულში არ არის გამოხატული სათანადო ნიშნით, იგი ვერ აჩენს ზმნაში რიცხვის ნიშანსაც, ძველ ქართულში კი III პირდაპირობიექტური პირის ნიშნით გამოხატვის წესი სხვაგვარი იყო. ა. შანიძის აზრით, „სახელობითში დასმულ პირდაპირ ობიექტს ძველ ქართულში არავითარი ნიშანი არ ჰქონდა, მაგრამ, თუ ობიექტი მიცემით ბრუნვაში იდგა, ხან აჩენდა პირის ნიშანს და ხან ვერა". შესაბამისად, მეცნიერმა ზმნები დაყო ორ ჯგუფად. ესაა **ჰყოფს** და **ქადაგებს** ტიპისა. პირველი ჯგუფის ზმნები პირის ნიშანს აჩენენ, მეორისა – ვერა. ამ განსხვავებულ წარმოებას ა. შანიძე ხსნიდა სხვადასხვა დიალექტური წრის არსებობით. უფრო მოგვიანებით ძველი ქართული ენის წერილობითი ძეგლების გამოწვლილვითი ანალიზით დადასტურდა, რომ ძველ ქართულში პირის ნიშანი ჰქონდა მიცემით ბრუნვაში დასმულ პირდაპირ ობიექტს მხოლოდ მაშინ, როცა ზმნას ზმნისწინი დაერთოდა: დახწერს იგი მას, დაჰწერს იგი მას, დასწერს იგი მას... (ე. ი. ზმნისწინით კონსტრუქცია იკეტებოდა და პირის ნიშანი ადვილად არ იკარგებოდა), მაგრამ, თუ ზმნას ზმნისწინი არ მოუდიოდა (კონსტრუქცია ღია იყო), პირის ნიშანიც ადვილად უჩინარდებოდა: წერს იგი მას, ჭამს იგი მას... ძველი ქართულის ეს წესი დღესაც დაცულია ხევსურულ დიალექტში (ი. იმნაიშვილი).

მეორე მხრივ, არნ. ჩიქობავას დაკვირვებით, სახელობითში დასმული მესამე პირდაპირობიექტური პირი ზმნაში მხოლოდ რიცხვის ნიშანს აჩენდა (ცრემლნი მოიწურნა), პირის ნიშანს კი – ვერა. ეს ფაქტი ახსნილია იმით, რომ სახელობითში დასმული პირდაპირი ობიექტი ყველაზე ძველი

ობიექტია, იმდროინდელი, როცა ზმნა კლასების მიხედვით იცვლებოდა და არ არსებობდა პიროვანი უღვლილება. შესაბამისად, ზმნაში პირის ნიშანიც არ იყო საჭირო. ასეთმა ობიექტმა ვერც შემდგომში შეძლო ზმნაში პირის ნიშნის გაჩენა.

6.3. ზმნის გარდამავლობა

6.3.1. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები. ქართულში ზმნა შეიძლება იყოს გარდამავალი და გარდაუვალი.

ტრადიციული განმარტებით, გ ა რ დ ა მ ა ვ ა ლ ი ა ზმნა, რომელსაც შეეწყობა პირდაპირობიექტური პირი, ხოლო, სადაც ასეთი პირი არ არის, ის ზმნა გ ა რ დ ა უ ვ ა ლ ი ა (ა. შანიძე).

ყველა ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია: ზის (ის), იზრდება (ის), დნება (ის), შენდება (ის)... ორპირიანი ზმნა გარდამავალია ან გარდაუვალი. კერძოდ: თუ ზმნაში სუბიექტი და პირდაპირი ობიექტია, მაშინ იგი გარდამავალია: ხატავს (ის მას), დაწერა (მან ის)... მაგრამ, როცა ზმნის ერთ ფორმაში წარმოდგენილია სუბიექტი და ირიბი ობიექტი, მაშინ ის გარდაუვალია: ეფერება (ის მას), დაეხმარა (ის მას)... სამპირიანი ზმნა გარდამავალია: უწითლებს (ის მას მას), სთხოვა (მან მას ის), გაუგზავნა (მან მას ის)...

თანამედროვე ქართულში გამონაკლისის სახით არსებობს სამპირიანი გარდაუვალი ზმნებიც: ეკითხება, ესესხება, უყვება, ჰპირდება (ის მას მას)...

გარდამავალი ზმნის ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ი პირი ბ რ უ ნ ვ ა ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი ა (იგი შეიძლება იყოს სამ ბრუნვაში: სახელობითში, მოთხრობითსა და მიცემითში): ათბობს **ის** მას, გაათბო **მან** ის, გაუთბია **მას** ის; გარდაუვალი ზმნისა კი – ბ რ უ ნ ვ ა უ ც ვ ლ ე ლ ი (ყოველთვის სახელობითშია): იმალება **ის**, დაიმალა **ის**, დამალულა **ის**.

პ ი რ დ ა პ ი რ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი პირი ბ რ უ ნ ვ ა ც ვ ა ლ ე ბ ა დ ი ა. მისი ბრუნვებია სახელობითი და მიცემითი: აშენებს ის **მას**, ააშენა მან **ის**, აუშენებია მას **ის**...

ი რ ი ბ ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი პირი ბ რ უ ნ ვ ა უ ც ვ ლ ე ლ ი ა,

ყოველთვის მიცემითის ფორმით არის წარმოდგენილი: ესალმება ის **მას**, მიესალმა ის **მას**, მისალმებია ის **მას**.

არსებობს გარდამავლობის გამოსაცნობი რამდენიმე პრაქტიკული ხერხი: 1) შეეწყობა პირდაპირი ობიექტი, 2) სუბიექტი ბრუნვაცვალებადია, 3) წყვეტილში სუბიექტი მოთხრობით ბრუნვაშია, 4) III სერიაში ზმნა ინვერსიულია, სუბიექტი მიცემით ბრუნვაში დგას. ეს კრიტერიუმები უმრავლეს შემთხვევაში მარჯვე საშუალებაა, მაგრამ ზოგჯერ თავს იჩენს გამონაკლისები.

ქართულ ლინგვისტიკაში სადავო პრობლემად იქცა ზოგიერთი ზმნის გარდამავლობის საკითხი. იგულისხმება:

1) **იტირა მან** ტიპის ზმნები, რომელთაც შეეწყობა ბრუნვაცვალებადი სუბიექტი, მაგრამ არ გააჩნია პირდ. ობიექტი;

2) **უხელმძღვანელა მან მას** და მსგავსი ზმნები, რომელთაც არ შეეწყობათ პირდაპირი ობიექტი, თუმცა მოეპოვებათ ბრუნვაცვალებადი სუბიექტი და ირიბი ობიექტი, აგრეთვე მორფოლოგიური სტრუქტურაც გარდამავალი ზმნისა აქვთ.

ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიკვეთა ორი საპირისპირო მოსაზრება: ერთის მიხედვით, სადავო ფორმები გარდაუვალია, მეორე მათ თვლის დეფექტურად გარდამავალ ზმნებად, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ: პირველი კვალიფიკაციით გარდამავლობის ერთადერთ საფუძვლად მიჩნეულია პირდაპირი ობიექტის არსებობა და, სადაც იგი არ არის, ენის განვითარების თანამედროვე ეტაპზე ბუნებრივად გამოირიცხება ზმნის გარდამავლობა; ამ შემთხვევაში სუბიექტის ბრუნვის ცვლა ადასტურებს, რომ ფორმა ისტორიულად არის გარდამავალი და არა მორფოლოგიური ნიშნების მიხედვით (ა. შანიძე).

მეორე თვალსაზრისის ავტორთათვის ამოსავალია ისტორიული ვითარება, ზმნის სტრუქტურა და კონსტრუქცია (ბრუნვაცვალებადი სუბიექტი გაუჩინარებული პირდაპირი ობიექტით). მართალია, დროთა ვითარებაში დაიკარგა პირდაპირი ობიექტი, მაგრამ დარჩა ბრუნვაცვალებადი

სუბიექტი, რომელიც განაპირობებს ასეთ ზმნათა გარდამავლობას (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია...).

ძველ ქართულში იყო: იტირა **მან იგი** (ტირილი), იცხოვრა **მან იგი** (ცხოვრება), შეხედნა **მან მას იგინი** (თუალნი)... ამგვარ ზმნებთან შეწყობილი პირდაპირობიექტური პირი, მისი დასახელების გარეშეც, ზმნის ფუძის შინაარსითაც იგულისხმებოდა, ამიტომ ენამ ადვილად მოიშორა ეს „ზედმეტი" სიტყვა და პირდაპირი ობიექტი გაუჩინარდა: იტირა მან იგი (ტირილი) > იტირა მან, იცხოვრა მან, შეხედა მან მას... რამდენადაც ამ ტიპის ზმნებს აკლია პირდაპირი ობიექტი, ამიტომ მართებულად მიაჩნიათ, მათთვის იქნეს შემოღებული ტერმინი „დეფექტურად გარდამავალი ზმნები" ან „ფსევდოგარდამავალი ზმნები" (არნ. ჩიქობავა მათ „უგვარო სტატიკურ ზმნებს" უწოდებს).

გარდამავლობას უკავშირდება **მართლწერის** წესები:

1) გარდაუვალი ზმნის სუბიექტი წყვეტილის მწკრივში სახელობითი ბრუნვის ფორმით უნდა იყოს: კაცი წავიდა, ბავშვი გადახტა, ხალხი ადგა... და არა: კაცმა წავიდა, ბავშვმა გადახტა, ხალხმა ადგა... ასეთ დროს III სუბიექტური პირისა და მრავლობითი რიცხვის ნიშანია **ნენ** და არა **ენ**: წავიდნენ, გათბნენ, დაიმალნენ... და არა: წავიდენ, გათბენ, დაიმალენ...

2) მართებულია: იცხოვრეს, გააკეთეს, გაყიდეს... და არა: იცხოვრენ, გააკეთენ, გაყიდენ (ამგვარი ფორმები მეტწილად დამახასიათებელია დასავლური კილოებისათვის...).

6.3.2. გარდამავლობის შესწავლის ისტორიისათვის. გარდამავლობა, როგორც დამოუკიდებელი (ცალკე) გრამატიკული მოვლენა არ იყო განხილული ძველ გრამატიკებში. აქ მხოლოდ მინიშნებაა გარდამავლობის სემანტიკურ მხარეზე გვარის კატეგორიასთან დაკავშირებით.

გარდამავლობის სინტაქსური დახასიათება, პირდაპირი და ირიბი დამატებების გამოყოფა უფრო გვიანდელ (XX საუკუნის დასაწყისის) ქართულ გრამატიკებშია მოცემული (გარდამავლობის შესახებ პირველად მიუთითა ი. სიხარულიძემ).

ა. შანიძემ მეცნიერულად ჩამოაყალიბა გარდამავლობის

არსი და თავისებურებანი ქართულში. მან გარდამავალი ზმნის საფუძვლად (აუცილებელ პირობად) მიიჩნია პირდაპირი ობიექტის არსებობა; ჰ. ფოგტის აზრით, გარდამავალია ის ზმნა, რომელსაც სუბიექტი შეეწყობა მოთხრობით ბრუნვაში, არნ. ჩიქობავას კვალიფიკაციით კი გარდამავლობას განსაზღვრავს მორფოლოგიური სუბიექტი და უახლოესი (პირდაპირი) ობიექტი.

მაშასადამე, გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები ერთმანეთისაგან განსხვავდება უახლოესი ობიექტის ქონა-არქონით, თუმცა ვარაუდობენ, რომ ძველად გარდამავლობას, რომელიც გვარის კატეგორიაზე უფრო ადრინდელი (უწინარესი) ჩანს, თავდაპირველად უნდა ჰქონოდა მორფოლოგიური ნიშანი ა-პრეფიქსის სახით (ნ. მარი, ვ. თოფურია, არნ. ჩიქობავა, ფ. ერთელიშვილი, მ. სუხიშვილი...).

რადგანაც გარდამავლობა არ გამოიხატება მორფოლოგიური ფორმანტებით (მისი გარკვევა შეიძლება მხოლოდ სხვა სახელებთან ზმნის შეხამებით), ამდენად, იგი მიჩნეულია არა მორფოლოგიურ, არამედ სემანტიკურ-სინტაქსურ კატეგორიად. არნ. ჩიქობავას მიხედვით, დღეს გარდამავლობა არაა მორფოლოგიური კატეგორია, მაგრამ ისტორიულად საგულვებელია. ა. შანიძე გარდამავლობას საერთოდ არ ასახელებს ზმნის კატეგორიებში, მას განიხილავს სინტაქსურ მოვლენად; ა. დავითიანის აზრით, მართალია, გარდამავლობას არ მოეპოვება მორფოლოგიური აფიქსი, მაგრამ აქვს საპირისპირო ცალები (გარდამავალი და გარდაუვალი), ამიტომ გარდამავლობა ზმნის დამოუკიდებელი გრამატიკული კატეგორიაა ისევე, როგორც გვარი.

გარდამავლობასთან დაკავშირებით თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში არსებობს ახალი მოსაზრებაც: ქართულში ზმნის გარდამავლობის კვალიფიკაციისათვის ამოსავალი უნდა იყოს არა მხოლოდ პირდაპირი ობიექტი, არამედ ირიბიც, რამდენადაც ორივე თანაბარი უფლებებით გამოიხატება ერთი და იმავე მარკერებით და სუბიექტის მოქმედება ორივეზეა გარდამავალი, ორივესკენ არის მიმართული. ტერმინი „გარდამავალი" შეიძლება გამოიყენებოდეს პირობითად, რადგან იგი სემანტიკური თვალსაზრისით აფასებს გარდამავ-

ლობის კატეგორიას და არა მორფოსინტაქსურით (დ. მელიქიშვილი). ამ შეხედულების მიხედვით, ერთპირიანი ზმნა გარდაუვალია (რადგან სუბიექტის მოქმედება არ არის მიმართული სხვა პირისაკენ), ორპირიანი და სამპირიანი – გარდამავალი. შემოტანილია ახალი ტერმინები: „პირდაპირგარდამავალი“ (როცა ორპირიანი ზმნა შეიცავს სუბიექტსა და პირდაპირ ობიექტს), „ირიბგარდამავალი“ (როცა ორპირიანი ზმნა სუბიექტთან ერთად შეიწყობს მხოლოდ ირიბ ობიექტს) და „პირდაპირ- და ირიბგარდამავალი“ (როცა ზმნა სამპირიანია).

6.4. პირის ნიშანთა ინვერსია

6.4.1. ინვერსია და მისი საფუძველი. ქართულ ზმნაში სუბიექტური და ობიექტური პირები გამოხატულია სათანადო ნიშნებით: **ვ**-წერ (**მე** მას) – **მ**-წერს (ის **მე** მას). პირველ ზმნაში S_1 აღნიშნულია **ვ**- პრეფიქსით, მეორეში O_1 პირის მარკერია **მ**- პრეფიქსი. ორივე შემთხვევაში პირის ნიშნები თავ-თავისი ფუნქციით არის გამოყენებული, მაგრამ ზოგჯერ სუბიექტური პირი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ობიექტის ნიშნით და, პირიქით: ობიექტური პირი – სუბიექტის ნიშნით, ანუ მოხდეს პირის ნიშანთა ფუნქციის შეცვლა-შებრუნება. გრამატიკაში ამ მოვლენას ინვერსიას უწოდებენ.

მაშასადამე, **ინვერსია** არის ზმნის პირის ნიშანთა ფუნქცია-დანიშნულების შეცვლა (ა. შანიძე). მაგალითად: და-**მ**-იწერი-**ა** (მე ის) ფორმაში **მე** I სუბიექტური პირია, მაგრამ ზმნაში გამოხატულია O_1 პირის **მ**- პრეფიქსით, **ის** – III ობიექტური პირი კი – S_3 პირის **-ა** სუფიქსით. ინვერსიის დროს რეალური სუბიექტი (**RS**) აღნიშნულია გრამატიკული ობიექტის (**GO**) ნიშნით და, პირიქით: რეალური ობიექტი (**RO**) – გრამატიკული სუბიექტის (**GS**) ნიშნით.

ინვერსია დამახასიათებელია ყველა ქართველური ენისათვის. იგი ნიშანდობლივია აფხაზურ-ადიღეურისთვისაც. ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმი განაპირობებს ინვერსიის არსებობას, რაც თავისთავად არის კანონზომიერი

ენობრივი პროცესი. ა. შანიძის აზრით, ინვერსიის საფუძველია გარდამავლობა და III სერია, ე.ი. ყველა გარდამავალი ზმნა III სერიაში არის ინვერსიული; გარდაუვალი ზმნა არ შეიძლება იყოს ინვერსიული. მეცნიერმა გამონაკლისად ჩათვალა მხოლოდ **აქვს** და **ჰყავს** ზმნათა ზმნისწინიანი ფორმები: **მიაქვს** და **მიჰყავს**, რადგანაც მათთან RS სამივე სერიაში ერთი და იგივეა:

მიაქვს ცხენს ტვირთი	მიჰყავს დედას შვილი
წაიღო ცხენმა ტვირთი	წაიყვანა დედამ შვილი
წაუღია ცხენს ტვირთი	წაუყვანია დედას შვილი

გარდამავალ ზმნათა ინვერსიულობას ყველა მკვლევარი აღიარებს.

6.4.2. ინვერსიის საკითხი გარდაუვალ ზმნებში. ინვერსიის პროცესს ქართულ ზმნაში ხანგრძლივი ისტორია აქვს. XIX საუკუნის შუა ხანებში ინვერსიული ზმნების თავისებურება პირველად შეამჩნია დ. ჩუბინაშვილმა; XX საუკუნის აღწერითს გრამატიკებში მათ შესახებ მსჯელობდნენ ს. ხუნდაძე, მ. ჯანაშვილი, პ. მირიანაშვილი და სხვ.

ნ. მარმა ქართული ზმნები დაყო სუბიექტური და ობიექტური წყობისად; **უყვარს** ტიპის ზმნები მიაკუთვნა უკანასკნელ ჯგუფს. მან ინვერსიული ზმნებისათვის შემოიღო ტერმინი „ობიექტური წყობა“. მას შემდეგ გარდაუვალ ზმნათა ინვერსიულობის საკითხი იქცა ქართული ლინგვისტიკის ერთ-ერთ რთულ და საკამათო პრობლემად. დღეს ერთმანეთს ძირითადად უპირისპირდება ორი თვალსაზრისი:

1) გარდაუვალი ზმნები არ არის ინვერსიული (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე...);

2) ინვერსიულად უნდა ჩაითვალოს ზოგი გარდაუვალი ზმნა (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ბ. ჯორბენაძე, დ. მელიქიშვილი...), მათ შორის: გრძნობა-აღქმის გამომხატველი **მიყვარს** ტიპისა, ასევე პასიური სუბიექტის მქონე ინვერსიულობისაკენ გადახრილი ზმნები – **ეხატება, ედგომება, ეთამაშება, ეჩვენება** და მისთანანი.

პირველი თვალსაზრისის მომხრენი მიიჩნევენ,

რომ გარდაუვალი ზმნა ვერ იქნება ინვერსიული. ამ შემთხვევაში ამოსავალია ზმნის ფორმა და არა სემანტიკა. მაგალითად, **მიყვარს** (ის მე) ფორმაში **ის GS**-ია, რომელიც არის ჩემი სიყვარულის მიზეზი, ანუ ზმნით გამოხატული მოქმედების საფუძველი. შესაბამისად, მიცემითში დასმული სახელი **მე** არის **GO** ირიბი. სუბიექტსა და ობიექტს თავ-თავისი ნიშნები აქვს: **მ-** – O_1-ისა, **-ს** სუფიქსი – S_3-ისა. ანალოგიურად უნდა განვიხილოთ სხვა ტიპის სადავო ზმნებიც.

მეორე მოსაზრების ავტორთა აზრით, ინვერსიის საფუძველია მიცემითი ბრუნვის სინტაქსური როლის გაძლიერება, ზმნაში **RS**-ის მრავლობითობის აღნიშვნა, რაც შედარებით ახალი პროცესია. გარდაუვალ ზმნათა ინვერსიის ერთერთ მიზეზად უნდა ჩაითვალოს პოლიპერსონალური ბუნების გარკვეული ტიპის ზმნებში ლოგიკურად პასიური სუბიექტისა და ლოგიკურად აქტიური ობიექტის არსებობა. როგორც მიუთითებენ, ინვერსიის პროცესი ჩაისახა ცნობიერების სფეროში. მისი გრამატიკული ნიშნით გაფორმება მოხდა მას შემდეგ, რაც სტატიკურ ზმნათა **მიწერია, მიკეთია** ტიპის ფორმებში მიცემითში დასმული სახელი, მფლობელი პირი, გააქტიურდა და თავისი მრავლობითობა აღნიშნა ზმნაში, ე. ი. ლოგიკურად აქტიური გახდა. იგივე მოხდა **„მაჟრჟოლებს"** ტიპის ზმნებში, რომელთაც დაკარგეს მოქმედების გამომწვევი პირი და მოქმედების შემსრულებელი / განმცდელი გაგებულ იქნა სუბიექტად (დ. მელიქიშვილი). ინვერსია უნდა გავიგოთ, როგორც ისტორიული კატეგორია, რომელიც გულისხმობს მნიშვნელოვან დიაქრონიულ ცვლილებას ზმნის პირიანობასა და მის მორფოლოგიურ გამოხატვას (მარკირებას) შორის.

ინვერსია შეიძლება იყოს სტაბილური და ლაბილური (მერყევი). სტაბილური გულისხმობს გარდამავალი ზმნის მესამე სერიის ფორმებს, აგრეთვე **უყვარს** ტიპის ზმნებს... ხოლო ლაბილურია ინვერსია მაშინ, როცა ერთი და იგივე ზმნა ქმნის პირდაპირ წყობასაც და ინვერსიულსაც. მაგალითად: შვილი **ეთამაშება** დაღლილ დედას (ის მას) – ზმნა არაინვერსიულია; მაგრამ: ნეტავი რა **ეთამაშება** დაღლილ დე-

დას? (მას) – ზმნა ინვერსიულია. ლაბილურობისათვის მნიშვნელობა აქვს იმას, თუ ვინ ან რა გვევლინება **GS**-ის ან ირიბი **O**-ის როლში, ანუ **GS** სულიერია თუ უსულო. იმ კონსტრუქციაში, რომელშიც ირიბი **GO** სულიერი საგნის აღმნიშვნელი სახელია, ხოლო **GS** – უსულოსი, გვაქვს ინვერსია – აქტიურ პირად მოიაზრება ირიბი **GO**. მეორე მხრივ, სულიერი საგნის აღმნიშვნელი **S**-ის მქონე ზმნა ვერ იქნება ინვერსიული. მაგალითად, **ეკითხება** ზმნა წინადადებაში – **ლექტორი ეკითხება სტუდენტს** (შდრ. ლექტორები ეკითხებიან სტუდენტს / სტუდენტებს) – არაინვერსიულია, ხოლო წინადადებაში – **ლექცია / ლექციები ეკითხება სტუდენტს** (შდრ. ლექცია/ლექციები ეკითხებათ სტუდენტებს) – ინვერსიულია. პირველ შემთხვევაში სულიერი საგნის აღმნიშვნელი აქტიური **S** ზმნას რიცხვშიც ითანხმებს, მეორეში კი უსულო საგნის აღმნიშვნელ **GS**-ს არ აქვს ზმნის რიცხვში შეთანხმების უნარი, პასიურია (თუმცა ზოგი მკვლევარი **ეკითხება** ტიპის ზმნებს ინვერსიულად არ მიიჩნევს).

ამგვარად, მართებულად უნდა ჩაითვალოს სამეცნიერო ლიტერატურაში მრავალგზის დასაბუთებული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, თანამედროვე ქართულში ინვერსია აქტიურად მოქმედი პროცესია. იგი შესამჩნევად იფართოებს მოქმედების არეს და გარდამავალი ინვერსიული ზმნების გვერდით პასიურსუბიექტიან ზმნათა დიდ ჯგუფსაც მოიცავს.

შესაბამისად, ინვერსიულია:

1) გარდამავალი ზმნის III სერიის ფორმები;
2) გრძნობა-აღქმის გამომხატველი ზმნები (**უყვარს** ტიპისა);
3) პასიური სუბიექტის მქონე ინვერსიულობისკენ გადახრილი ზმნები: ეხატება, ეჩვენება, ედგომება, შემოეხარჯა... (მათ ლაბილური, ინვერსია ახასიათებთ);
4) აცახცახებს, აჟრჟოლებს ტიპის ზმნები.

შენიშვნა: ცნობილია, რომ ა. შანიძეს თავიდანვე არ მიაჩნდა სარწმუნოდ გარდაუვალ ზმნათა ინვერსიულობა, მაგრამ 1938 წელს გამოცემულ სასკოლო გრამატიკაში მაინც შეიტანა ასეთი

ზმნები (თავისი სურვილის წინააღმდეგ) და მიცემითში მდგარი სახელი მიიჩნია ქვემდებარედ.

1946 წელს არნ. ჩიქობავამ წერილში „ინვერსიული ზმნები და სახელთა კვალიფიკაცია“ დაასაბუთა ამ ზმნათა ინვერსიულობა და მიუთითა, რომ ასეთ შემთხვევაში რეალური სუბიექტი ყველგან ობიექტის ნიშნითაა წარმოდგენილი და – პირიქით. „მე მწყურია“ ფრაზის შინაარსის მიხედვით, **მე** არის რეალური სუბიექტი, ისტორიულად კი ობიექტი იყო. მეცნიერის აზრით, ინვერსიისათვის გადამწყვეტია ფუნქცია და არა ფორმა. კერძოდ, ის, რომ პასიური ქვემდებარის ფუნქცია შეიძინა (მიიღო) ირიბმა დამატებამ (რეალურად მოქმედმა პირმა) – მიცემით ბრუნვაში წარმოდგენილმა სახელმა, რის გამოც კონსტრუქცია დატიური გახდა. საჭიროა გარდამავალ ზმნათა ინვერსია III სერიისა დაუკავშირდეს გარდაუვალ საშუალ (სტატიკურ) ზმნათა ინვერსიას აწმყოში.

ა. შანიძემ, როგორც ჩანს, არც ახლა გაიზიარა **უყვარს** ტიპის ზმნათა ინვერსიულობის თვალსაზრისი და 1948 წელს გამოცემულ სასკოლო გრამატიკიდან საერთოდ ამოიღო ეს ზმნები, როგორც ინვერსიულები, ხოლო 1961 წელს სტატიაში „გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან“ დაწვრილებით გააანალიზა სადავო ფორმათა არაინვერსიულობის საკითხი (მსჯელობის ძირითადი შინაარსი იხ. აქვე, „პირველი თვალსაზრისი"); თანვე მიუთითა, რომ არსებული ტერმინი „რეალური სუბიექტი “ გრამატიკული ცნება არ არის... ამდენად, გრამატიკულ ტერმინად არ გამოდგება.

ვ. თოფურიას აზრით, საცილობელი ტიპის ზმნათა ინვერსიულ ფორმებში მიცემითში დასმული სახელი **რეალური სუბიექტია**, სახელობითში დასმული კი – **რეალური ობიექტი**. იგი არც პირდაპირია და არც ირიბი.

ინვერსიასთან დაკავშირებით საგულისხმო მოსაზრებანია გამოთქმული აგრეთვე სხვა მკვლევართა ნაშრომებში.

ვფიქრობთ, სადავო გარდაუვალ ზმნათა ინვერსიულად მიჩნევა გამართლებულია არა მხოლოდ თეორიული, არამედ მეთოდიკური თვალსაზრისითაც; იგი მოხსნის ბევრ უხერხულობას პრაქტიკული სწავლების ასპექტითაც (მაგ., ვგულისხმობთ „შვილს უყვარს დედა და კარგადაც უვლის" ტიპის წინადადებათა კვალიფიკაციას: თანწყობილია თუ შერწყმული? და ა. შ.).

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

აფრიდონიძე შ., ინვერსიის სტილისტური დანიშნულებისათვის: თსუ შრ., №4 (143), 1972.

აფრიდონიძე შ., ერგატიული და ფსევდოერგატიული კონსტრუქციების შემქმნელი გარდაუვალი ზმნების მორფოსინტაქსის საკითხები: არნ. ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, თბ., 1998.

აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.

ბარამიძე ლ., ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები, თბ., 2008.

ბარამიძე ლ., ზმნის პირისა და რიცხვის გამოხატვის თავისებურებანი ქართულში, თბ., 2013.

ბასილაია ლ., ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების თვითმასწავლებელი, მეორე შევსებული გამოცემა, თბ., 2011.

ბერია თ., სამვალენტიანი ენიანი ვნებითების შესახებ ქართულ ენაში: ქესს, IX, 2005.

ბრაუნი იან, ქართული ზმნის მრავალპირიანობა: რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000.

ბუიძე დ., III პირის პირდაპირი ობიექტის მარკირებისათვის ქართულში: ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები (ქესკს), VI, 1996.

ბურჭულაძე გ., ერთი მოსაგვარებელი საკითხის გამო: ქელს, 1984, 3.

გამყრელიძე თ., ზმნის „პირიანობა" და „ვალენტობა": რჩეული ქართველოლოგიური შრომები, თბ., 2000.

გოგოლაშვილი გ., S_3 პირის **ს, ა, ო** სუფიქსთა განაწილებისათვის ახალ ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, №2, თბ., 1983.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნა (ფორმანაწარმოების საკითხები), თბ., 2010.

დავითიანი ა., ზმნის გარდამავლობისა და გვარის სწავლება: ქელს, 1969, 1.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

ენუქიძე ლ., ვალენტობის ცნება ენათმეცნიერებაში: ძირითადი სინტაქსური თეორიები თანამედროვე საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში, თბ., 1987.

ზექალაშვილი რ., ქართული მართლწერის საკითხები, თბ., 2004.

ზექალაშვილი რ., პირის კატეგორიის ფუნქციონირება ქართულში და ექსტრალინგვისტური ფაქტორები: საენათმეცნიერო ძიებანი, XVIII, თბ., 2005.

ზექალაშვილი რ., საკომუნიკაციო მოდელი და ზმნის გრამატიკული კატეგორიები: კრებ. საენათმეცნიერო ძიებანი, XXIII, 2006.

ზექალაშვილი რ., ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), თბ., 2012.

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, თბ., 2011.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

თოფურია ვ., ქართული ენის გრამატიკის სადავო საკითხები: ქელს, №3, 1967.

თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965; 1988.

იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., ზმნა ძველ ქართულში, ნაწ. I, ნაწ. II, მაინის ფრანკფურტი, 1996.

იმნაიშვილი ი., ქართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები, X: ვჰკითხე თუ ვკითხე... თსუ, ძვ. ქართ. ენის კათ. შრ., 25, 1984.

იმნაიშვილი ვ., სამპირიანი გარდაუვალი ზმნები: ენათმეცნიერების საკითხები, I-II, თბ., 2007.

კეკელია შ., დავითიანი ა., ქართული ენა, თბ., 1973.

კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.

კიზირია ა., ქართული ენა (პრაქტიკუმი), თბ., 1974.

კიკნაძე ლ., ზმნის ოთხპირიანობისათვის ქართულში: „კომუნისტური აღზრდისათის", 1937, №8-9.

ლოლაძე ნ., გრძნობა-აღქმის ზმნები ქართულში: იკე, XXXV, თბ., 2005.

მაჭავარიანი გ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002.

მაჭავარიანი გ., ნებიერიძე გ., მორფოლოგია: ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

მახარობლიძე თ., პირიანობა და ვალენტობა: საენათმეცნიერო ძიებანი, XVIII, 2005.

მელიქიშვილი დ., „მიჭირს" ზმნა და მასწავლებლის გასაჭირი: ქელს, 4, 1978.

მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.

მელიქიშვილი დ., ფილოლოგიური ძიებანი (სტატიების კრებული), თბ., 2009.

ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.

ნიკოლაიშვილი ელ., S$_3$ პირის ეს სუფიქსის ნ(ენ)-ით შეცვლის ისტორიისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №3, 1978.

ონიანი ა., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

როგავა გ., ხანმეტობისა და ჰაემეტობის საკითხისათვის : ქუთ. პედ. ინსტ. შრ., XV, 1956.

როგავა გ., ზმნის პოლიპერსონალიზმის ისტორიისათვის: იკე, XIII, 1962.

როგავა გ., მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის **ან** სუფიქსისათვის ქართულში: იკე, XVI, თბ., 1968.

სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

საღინაძე რ., ძველი ქართული ენა, თბ., 2008.

საღინაძე რ., „ქრისტე აღსდგა – ჭეშმარიტად": სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები, თბ., 2013.

სუხიშვილი მ., გარდამავალი ზმნები ქართულში, თბ., 1986.

სუხიშვილი მ., აქვს, ჰყავს ზმნათა პრევერბიანი ფორმების გრამატიკული კვალიფიკაცია ახალ ქართულში: ქესს, XII, 2013.

უთურგაიძე თ., გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

ფეიქრიშვილი ჟ., სუბიექტური პირისა და რიცხვის გამოხატვა თანამედროვე ქართულში: ქუთ. პედინსტ. 41-ე სამეცნ. სესია, 1979 (სესიის მუშაობის გეგმა): იხ. ენათმეცნიერული ძიებანი, თბ., 2009.

ფეიქრიშვილი ჟ., ობიექტური პირისა და რიცხვის გამოხატვა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქუთ. პედინსტ. 42-ე სამეცნ. სესია, 1980 (მუშაობის გეგმა): იხ. ენათმეცნიერული ძიებანი, თბ., 2009.

ფოგტი ჰ., ზმნურ ფორმათა კლასიფიკაცია ქართულში: თსუ, კრებ. „გიორგი ახვლედიანს", თბ., 1969.

ფოცხიშვილი ა., ქართული ენა, თბ., 2000.

ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ღვინაძე თ., ნენ დაბოლოების გამო პრეფიქსიანი ვნებითების ზოგ ფორმაში: იკე, XXXVI, თბ., 2008.

შანიძე ა., სუბიექტური პრეფიქსი II პირისა და ობიექტური პრეფიქსი III პირისა ქართულ ზმნებში: თხზ., ტ. II, 1981.

შანიძე ა., გრამატიკული სუბიექტი ზოგიერთ გარდაუვალ ზმნასთან: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრ., 7, თბ., 1961.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

შანიძე ა., სალიტერატურო ქართულის საჭირბოროტო საკითხები, თბ., 1979.

ჩიქობავა არნ., ინვერსიული ზმნები და სახელთა კვალიფიკაცია: გაზ. „სახალხო განათლება", 1946, 3/X.

ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1948.

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; 2008 (II გამოც.).

ჩიქობავა არნ., მრავლობითის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: იკე, ტ. VI, 1954.

ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.

ჩიქობავა არნ., რით არის ნარმოდგენილი მრავალობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველ ქართულში: შრ., II, თბ., 2010.

ჩიქობავა არნ., სახელობითი, როგორც ობიექტის კლასისა და მიცემითი, როგორც ობიექტის პირის ბრუნვა, ქართული ზმნის უღვლილების ისტორიაში: იკე-ს წელიწდეული, 1980, 7.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ციხელაშვილი ლ., მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების მორფემის გენეზისისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, XIX, 2005.

ციხელაშვილი ლ., კვლავ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმირების ერთი საკითხის შესახებ: მივსწერ თუ მივწერ: ქსკს, XIV, 2014.

ხახიაშვილი ნ., ქრისტე აღდგა თუ ქრისტე აღსდგა: ქსკს, XIV, 2014.

ჯორბენაძე ბ., ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

ჯორბენაძე ბ., ინვერსიულ ზმნათა ჩამოყალიბების პრინციპები ქართულში: იკე-ს წელიწდეული, VIII, 1981.

ჯორბენაძე ბ., ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

ჯორბენაძე ბ., ზმნის მორფონოლოგიის ძირითადი პრობლემები ქართულში: იკე, 38-ე, 2010.

Джорбенадзе Б., Грузинский глагол, Тб., 1986.

Дондуа К., Категория инклузива-эксклюзива в сванском и его следы в древнегрузинском: იხ. რჩეული ნაშრომები, I, თბ., 1967.

Марр Н. Я., Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, СПб., 1908.

Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

6.5. დრო

6.5.1. დროის სახეები. დროის ფორმათა სემანტიკური თავისებურებანი. დრო არის ზმნის კატეგორია, რომელიც აღნიშნავს მოქმედებისა და უბნობის მომენტების შეფარდებას. იგი რეალური დროის სპეციფიკური ასახვაა. დრო სამი სახისაა: ახლანდელი, წარსული და მომავალი (ეს ტერმინები დაამკვიდრა ა. შანიძემ ანტონ I-ის გრამატიკიდან მომდინარე „აწმყო", „ნამყო", „მყოფადის" ნაცვლად).

ა ხ ლ ა ნ დ ე ლ ი ა დრო, როცა მოქმედება ხდება უბნობის მომენტში: ვაშენებ, ეხმარები, ათეთრებს...

წ ა რ ს უ ლ ი ა დრო, როცა მოქმედების მომენტი უსწრებს უბნობის მომენტს: ვაშენებდი; დაეხმარე, გაათეთრა...

მ ო მ ა ვ ა ლ ი დრო გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოხდება უბნობის შემდეგ: დავხატავ, გავთბები; ააშენებ, გაუგზავნი; დაწერს, შეკერავს...

ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, ქართულში დრო მხოლოდ სამია, ევროპულ ენებში კი დასახელებულია სამზე მეტი დრო, რადგან ამ ენებში მოიპოვება წარსულის ან მომავლის გამომხატველი რამდენიმე ცალკეული ფორმა (მაგ., გერმანულში ასეთია 6, ინგლისურში – 16 და ა. შ.), რომელთაც განიხილავენ დროის ცალკეულ სახეებად. ფორმობრივ-სემანტიკურად ანალოგიური ვითარებაა ქართულშიც: ვწერე, ვწერდი, მიწერია – სამივე წარსულია ზოგადი დროული თვალსაზრისით, თუმცა განსხვავდებიან ფორმითაც და შინაარსითაც; ამიტომ იყო, რომ ს. ხუნდაძე ასახელებდა 11 დროს, ნ. მარი – 8-ს, არნ. ჩიქობავა – 6-ს. მაგრამ, ზოგადი შინაარსიდან გამომდინარე, ტრადიციულად მათი დიფერენცირება არ ხდება და მხოლოდ დროის სამი ძირითადი სახე გამოიყოფა.

ქართულში სამზე მეტი დროის არსებობის შესახებ მსჯელობას ა. შანიძე მიიჩნევდა მცდარ შეხედულებად, რადგან, მისი აზრით, „დროის კატეგორიას რევენ მწკრივის ერთერთ კატეგორიასთან (კილოსთან ან თანამდევრობასთან)... რომ დრო ერთ-ერთი ელემენტია მწკრივისა და ის შეიძლება მხოლოდ სამი სახისა იყოს ყველა ენაში".

საზოგადოდ, ზმნის პირიანი ფორმა რომელიმე ერთი კონკრეტული დროის გამომხატველია, მაგრამ ზოგჯერ შეიძლება მას არ ჰქონდეს კონკრეტულობის გაგება. ასეთია მუდმივი, საუკუნოვანი მოვლენების აღმნიშვნელი და აგრეთვე ისეთი ზმნები, რომელთა მიერ გადმოცემული მოქმედება, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია საგნისათვის. მაგალითად: დედამიწა მზის გარშემო **ტრიალებს;** მზე **ანათებს;** თევზი **ცურავს**... დავითი ისტორიას **ასწავლის;** კოტე კარგად **ნადირობს**... ამგვარი შინაარსის ზმნებს უ დ რ ო ო (დროის არმქონე) ფორმებს უწოდებენ, ე.ი. ზოგჯერ ახლანდელი დროის ფორმა ზ ე დ რ ო უ ლ ო ბ ა ს გამოხატავს.

შეიძლება ერთი და იგივე ზმნა უდროოც იყოს და კონკრეტული დროის გაგების მქონეც: ბავშვი ზის და **ჭამს** (ახლანდელი დროა) – შდრ. ბავშვი საერთოდ კარგად **ჭამს** (უდროო); არწივი დაჭრილია, ვეღარ **დაფრინავს** (ახლ. დრო) – შდრ. არწივი ლაღად **დაფრინავს** სივრცეში (უდროო).

ესა თუ ის ზმნის ფორმა, ჩვეულებრივ, გამოყენებულია თავისი პირდაპირი მნიშვნელობით (მაგ., ხატავს – ახლანდელია, დახატა – წარსული, დახატავს – მომავალი), მაგრამ ზოგჯერ შეიძლება კონტექსტის მიხედვით არაპირდაპირი მნიშვნელობაც შეიძინოს. ასეთი პოლისემიური ზმნებია: ჭამს, ასწავლის, ათამაშებს, არჩენს და მისთ.: „არ მცალია, ბავშვს **ვასწავლი**“ (ახლ. დრ.), შდრ. „მომიყვანე ბავშვი და **ვასწავლი**“ (მომ. დრ.)... ესაა ახლანდელი დროის არაპირდაპირი მნიშვნელობა. ასევე შეიძლება წარსულ დროს ჰქონდეს მომავლის ან ახლანდელის გაგებაც: თუ ასე **წერე**, როდის დაამთავრებ? „დედა, **წავედი**, ცოტა დამაგვიანდება“.

დროის სემანტიკა შეიძლება გადმოიცეს ცალკე სიტყვებითაც (გუშინ, დღეს, მაშინ...), მაგრამ ეს არ არის მორფოლოგიური დრო, რომელიც ზმნამ აფიქსით უნდა გამოხატოს.

6.5.2. დრო, როგორც ზმნის კატეგორია. არნ. ჩიქობავას დაკვირვებით, „დროის კატეგორია ზმნას იმთავითვე არ მოეპოვებოდა. ზმნის უღვლილება მიუთითებდა არა იმაზე, თუ როდის მიმდინარეობდა მოქმედება, არამედ იმაზე, თუ რა სახისა იყო მოქმედება: ერთბაში თუ განგრძობითი, ერ-

თხელ ჰქონდა ადგილი მას, თუ მრავალგზის განმეორდა. სახეობა მოქმედებისა, ანუ ასპექტი წინ უსწრებდა დროის კატეგორიის ჩამოყალიბებას უღვლილებაში".

ტრადიციული შეხედულებით, დრო ზმნის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა, შესაბამისად, გაფორმებული უნდა იყოს გრამატიკული ნიშნით, მაგრამ, როგორც ა. შანიძე შენიშნავდა, დროს ასეთი ნიშანი არ გააჩნია; იგი მწკრივის ერთ-ერთი ელემენტია, ე. ი. შინაარსობრივად გამოიხატება რომელიმე მწკრივის ფორმით, რომელსაც დაესმის სათანადო კითხვა. მეორე მხრივ, ქართულ ლინგვისტიკაში უფრო მართებულად მიაჩნიათ, დრო, რომელსაც არა აქვს საკუთარი მორფოლოგიური მარკერი, ჩაითვალოს მხოლოდ სემანტიკურ კატეგორიად (არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე, გ. გოგოლაშვილი...). სხვაგვარად: დრო არის ზმნური ფორმის სემანტიკური უნარი, ენობრივად ასახოს დროული დიფერენცირება, ანუ ზმნური ფორმით გადმოცემული მოქმედების დროული ლოკალიზაცია (გ. გოგოლაშვილი).

მაშასადამე, დრო ზმნის სემანტიკურ კატეგორიაა იმის გათვალისწინებით, რომ მოეპოვება საპირისპირო – ოპოზიციური ცალები: ახლანდელი, წარსული, მომავალი. დროული მნიშვნელობა ცვალებადია ერთი მწკრივის ფარგლებში და კონტექსტის გარეშე ვერ გაირკვევა.

6.6. კილო

6.6.1. კილოს სახეები (თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი). კილო არის ზმნის კატეგორია, რომელიც მიუთითებს, თუ როგორ უნდა იქნეს გაგებული ზმნით გამოხატული მოქმედება სინამდვილის თვალსაზრისით: უეჭველ ფაქტად, სასურველ-შესაძლებლად თუ აუცილებელ შესასრულებლად. ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, კილო არის სამი სახის: თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი (ზოგჯერ გამოყოფენ პირობით-შედეგობითსა და ნატვრით კილოებსაც).

თხრობითი კილო აღნიშნავს ნამდვილ ფაქტად მიჩნეულ მოქმედებას, რომელიც ხდება ახლა, მოხდება მომა-

ვალში ან მოხდა წარსულში. თხრობითი კილო მდიდარია ფორმებით. მას სამივე დრო აქვს. შესაბამისად, მისი კითხვებია: რას შვრება? რას იზამს? რა ქნა? მაგალითად:

მზე ეფარება ღრუბელს (ახლ. დრო)
მზე მოეფარება ღრუბელს (მომავ. დრო)
მზე მოეფარა ღრუბელს (წარს. დრო)

თხრობითი კილო არის ნეიტრალური (ნულოვანი) ფორმა კილოსი და უპირისპირდება არანეიტრალურ კავშირებითს. იგი ფართო სემანტიკური და სინტაქსური შესაძლებლობის მქონეა, იგუებს ნებისმიერი ტიპის კონსტრუქციას.

კავშირებითი კილო გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც არ არის ფაქტი, მაგრამ შეიძლება ხდებოდეს ახლა, მომხდარიყო წარსულში ან მოხდეს მომავალში. მისი კითხვებია: რას შვრებოდეს? რას იზამდეს? რა ქნას? რა ექნას? მაგალითად:

ვარსკვლავი ანათებდეს ცას	ხე იზრდებოდეს
ვარსკვლავმა გაანათოს ცა	ხე გაიზარდოს
ვარსკვლავს გაენათებინოს ცა	ხე გაზრდილიყოს

კავშირებითი კილოს ფორმა ხშირად გამოიყენება **რომ** და **რათა** კავშირებიან დამოკიდებულ წინადადებაში: „დავბადებულვარ, **რომ** ვიყო მონა და საქართველოს მედგას უღელი“ (ტ. ტაბიძე); „ფიროსმანიც მოვა, **რათა** შენს „სევდიან სამარეს“ ეამბოროს“ (ა. კალანდაძე).

ტრადიციულად, კავშირებითი კილოს მორფოლოგიურ ნიშნებად მიიჩნევენ **-ო**, **-ე**, **-ა** სუფიქსებს (დაწერ-**ო**-ს, წერდ-**ე**-ს, მოკლ-**ა**-ს...). კავშირებითკილოიან მწკრივს შედეგის თვალსაზრისით შეიძლება ჰქონდეს სამივე დრო, მაგრამ იგი ძირითადად მომავალ დროს აღნიშნავს. სამაგიეროდ, ძველ ქართულში ე.წ. II კავშირებითის ფუნქცია მეტწილად იყო თხრობითი კილოს მომავალი დროის გადმოცემა. კავშირებითი კილოს შინაარსით ეს მწკრივი მხოლოდ ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ კომპონენტში გამოიყენებოდა, რაც ამ ფორმაში კავშირებითი კილოს მეორეულობაზე მიუთითებს (დ. მელიქიშვილი).

ბ რ ძ ა ნ ე ბ ი თ ი კილო გამოხატავს მოუბრის სურვილის შესრულებას. იგი ორგვარია: წართქმითი და უკუთქმითი.

წ ა რ თ ქ მ ი თ ი ბრძანებითი გულისხმობს ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულებას: დაეხმარე(თ) დედას! მოამზადე(თ) სადილი!.. მოდი(თ)! მიეცი(თ)! მიუტანე(თ)!

უ კ უ თ ქ მ ი თ ი ბრძანებითი მიუთითებს, რომ ზმნით გადმოცემული მოქმედება არ უნდა შესრულდეს. მასთან გამოიყება **არ** და **ნუ** ნაწილაკები: არ წახვიდე(თ)! ნუ დაწერ(თ)! ნუ იზარმაცებ(თ)! რადგან უკუთქმითი ბრძანებითი გულისხმობს ზმნით გამოხატული მოქმედების აკრძალვას, ამიტომ მას **ა კ რ ძ ა ლ ვ ი თ** ბრძანებითსაც უწოდებენ.

ბრძანება ყოველთვის მიმართულია სუბიექტური პირისადმი და ეს პირი მეტწილად მეორეა (წაიკითხე შენ!), იშვიათად ბრძანება შეიძლება ეხებოდეს I პირსაც (წავიდეთ! მივესალმოთ!..) და III-საც (წაიღოს! დალიოს!).

ბრძანებითობა მეტყველების კატეგორიაა. განარჩევენ ორგვარ ბრძანებითს: 1. ბრძანებითი, რომელიც მეორე პირისკენ არის მიმართული და დიალოგურ მეტყველებას გულისხმობს: გააკეთე! ავაშენოთ! 2. ზოგადი (ანუ ირიბი) ბრძანებითი, რომელიც ვნებითი გვარის II კავშირებითის მესამე პირის ფორმით არის წარმოდგენილი (გაკეთდეს, აშენდეს...). ასეთ შემთხვევაში „გამაშუალებელი" მეორე პირი აღარ იგულისხმება და განზოგადებული პირმიუმართავი ბრძანება გამოიხატება (ა. პაპიძე).

ბრძანებითი კილო შინაარსობრივ-ინტონაციურად მრავალგვარია. იგი გამოხატავს საკუთრივ ბრძანებას, თხოვნას, წაქეზებას, მოწოდებას, დალოცვას, დარიგებას და სხვ. მაგალითად: დაწერე! არ იხმაურო! მიშველეთ! ორი ლარი მაჩუქე! გული გაიმაგრე! მშვიდობით იმგზავრე!

თანამედროვე ქართულში ბრძანებით კილოს საკუთარი მწკრივი არა აქვს, ამიტომ იყენებს კავშირებითი და თხრობითი კილოს ფორმებს, კერძოდ: წართქმითი ბრძანებითი II პირისათვის – წყვეტილს, I და III პირისათვის – II კავში-

რებითს; **არ** ნაწილაკიანი უკუთქმითი – II კავშირებითს, **ნუ** ნაწილაკიანი – აწმყოსა და მყოფადს.

წართქმით ბრძანებითს ძველ ქართულში საკუთარი ფორმა ჰქონდა, რითაც იგი მკვეთრად იყო გარჩეული თხრობითი კილოსაგან. გარდა ამისა, წართქმით ბრძანებითს არ მოუდიოდა II სუბიექტური პირის ნიშანი (შესაბამის თხრობითს კი დაერთოდა):

მოკალ! დაწერე! – ბრძანებითი

შდრ. მო**ჰ**კალ (ი), და**ს**წერე – თხრობითი.

თხრობითისა და ბრძანებითის გარჩევის ეს წესი ძველად მტკიცედ იყო დაცული, დღეს ასეთი დაპირისპირება აღარ არის. ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ ნაშთის სახით შემონახული **ვედ** ძირის ზმნები:

მოდი (შენ)! – წართქმითი ბრძანებითი, უნიშნო,

შდრ. მო-**ხ**-ვედი (შენ) – თხრობითი, ნიშნიანი.

რადგან თანამედროვე ქართულში თხრობითი კილოს ფორმებთან S_2-ის ნიშანი თითქმის აღარ იხმარება, ამიტომ გარეგნულად ერთმანეთს დაემთხვა თხრობითი და ბრძანებითი. მათი გარჩევის ერთადერთი საშუალებაა მიმართება დროში: წარსულის ფორმა თხრობითია, მომავლისა – ბრძანებითი:

გუშინ შენ კარგი ლექსი დ ა წ ე რ ე – თხრობითი,

შდრ. ახლავე დაჯექი და ლექსი დ ა წ ე რ ე ! – ბრძანებითი.

მაშასადამე, თანამედროვე ქართულში ბრძანებით კილოს საკუთარი მორფოლოგიური ფორმა აღარ გააჩნია. იგი გადმოიცემა ლექსიკური საშუალებებით, კონტექსტითა და მეტყველებაში ინტონაციით.

ბრძანებით კილოს ძირითადად აქვს მხოლოდ ერთი დრო – მომავალი, რადგან მოქმედება უნდა შესრულდეს მომავალში (დამალე! არ დამალო! ნუ დამალავ!), თუმცა **ნუ** ნაწილაკიან უკუთქმითს პარალელურად შეიძლება ახლანდელი დროც ჰქონდეს (ნუ მალავ!).

შენიშვნა: პ ი რ ო ბ ი თ ი კილო ზმნით გამოხატულ მოქმედებას წარმოგვიდგენს, როგორც აუცილებელ პირობას მეო-

რე მოქმედების შესასრულებლად. იგი გამოიყენება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში.

შ ე დ ე გ ო ბ ი თ ი კილოს ფორმა მიუთითებს, რომ მოქმედება მოხდებოდა, თუ სათანადო პირობა იქნებოდა მოცემული: დედას რომ დაჰგვიანებოდა (1), ბავშვი იტირებდა (2). პირველ წინადადებაში კილო პირობითია, მეორეში – შედეგობითი. როგორც წესი, ქვეწყობილი წინადადების მთავარ კომპონენტში შედეგია მოცემული, დამოკიდებულში – პირობა. პირობით-შედეგობითი კილო უერთმანეთოდ არ გვხვდება.

ნ ა ტ ვ რ ი თ ი კილო (ოპტატივი) გამოხატავს სასურველ მოქმედებას. მას საკუთარი ფორმები არ გააჩნია. ნატვრითობა კავშირებითი კილოს ერთ-ერთი მოდალური ნიუანსია. მისი შინაარსის გადმოსაცემად კავშირებითის მწკრივებთან ხშირად იხმარება **ნეტავ, ვინძლო, იქნებ, ეგებ...** ნაწილაკები, ასევე **-მცა** ნაწილაკიანი კონსტრუქცია: „ნეტავი ჩიტად მაქცია“, „ვინძლო მტერი არ გაახარო“, „ნეტამც არ დაგძინებოდა, ჩიტო ნიბლიავ, ნარზედა“...

6.6.2. კილოს ფორმათა ფუნქციურ-სემანტიკური ნიუანსები. ისტორიულად ქართულში კილოს ფორმათა გამოყენების სფერო სხვადასხვაგვარი იყო, კერძოდ: თხრობითი კილოს მოხმარების შემთხვევები ახალ ქართულში უფრო გაფართოვდა (იგი ითავსებს მომავალი დროის ფუნქციასაც), სამაგიეროდ, შედარებით შემცირდა კავშირებითი კილოს ფორმები. დღეს მისთვის ძირითადია სავარაუდო-შესაძლებელი მოქმედების აღნიშვნის ფუნქცია (თუმცა ზოგჯერ I და III პირის ბრძანებითსაც გამოხატავს). ქართულში კილო, როგორც ენობრივი ერთეული, მდიდარია სემანტიკური ნიუანსებით, შესაბამისად, მას არც ფუნქციები ჰქონია ერთნაირი ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ქართულში კილო შეიძლება იყოს რეალური და არარეალური (ირეალური): **რ ე ა ლ უ რ ი ა** კილო, რომელშიც გამოხატულია მოსაუბრის თვალსაზრისი – ზმნით აღნიშნული მოქმედება გაგებულ იქნეს, როგორც ფაქტი (შესრულებული ან შესასრულებელი), ხოლო, თუ მოსაუბრის თვალსაზრისით ზმნით აღნიშნული მოქმედება გაგებულია საეჭვო, სათუო, შესაძლებელ, სავა-

რაუდო... მოვლენად, მაშინ კილო იქნება ი რ ე ა ლ უ რ ი (ა. პაპიძე). გარდა ამისა, ბ. ჯორბენაძის დაკვირვებით, „მოდალური ელემენტების (მორფემოიდების) შეხამება ამა თუ იმ ნაკვთის ფორმასთან დამატებითი კილოს გამოყოფის საშუალებას იძლევა. მაგალითად, უნდა გავაკეთო – ვალდებულების კილოა". ასევე: რ. ზექალაშვილის მსჯელობით, კილოს სემანტიკური ნიუანსები მრავალფეროვნებით ვლინდება მოდალობასთან მიმართებით, რამდენადაც სხვა ზმნურ კატეგორიებთან შედარებით იგი უკეთ ასახავს მოუბარი პირის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი. სწორედ ამიტომ მორფოლოგიურ დონეზე კილო შეიძლება ჩაითვალოს ზოგადად მოდალობის გამომხატველ ერთ-ერთ ძირითად საშუალებად (კატეგორიად).

6.6.3. კილოს კატეგორიის შესწავლის საკითხები. კილო ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა. მისი ფუნქციურ-სემანტიკური მრავალფეროვნება განაპირობებს კილოს ფორმათა განსხვავებულ კვალიფიკაციას. სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, კილოს გაგება ჩაისახა მომავალი დროის წიაღში მის გაჩენასთან ერთად, მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა დროის სამწევრა სისტემა და მომავალი დროის გაგებას თან მოჰყვა შესაძლებლის, სათუო, სასურველობის შინაარსის ანუ კილოს გაგებაც (დ. მელიქიშვილი).

კილო საკმაო სისრულითაა გაანალიზებული ანტონ I-ის გრამატიკაში: კილო (ანტონის ტერმინოლოგიით – „სქესი") შეიძლება იყოს **საზღვრებითი** (თხრობითი), **ბრძანებითი, საწადისი** (კავშირებითი), **ქუეწყობილებითი** (პირობითი), **უჩინოჲ** (განუსაზღვრელობითი)[1].

ძველ პრაქტიკულ გრამატიკებში კილოს მნიშვნელობით ტერმინ „სქესის" პარალელურად გამოიყენებოდა „სახარი", ხოლო „საწადისისა" და „პირობითის" აღსანიშნავად – „სანეტარძო", „თუობითი", „საეჭვო".

---

[1] ძველ გრამატიკებში პირობითი და განუსაზღვრელობითი კილოები შემოტანილ იქნა ევროპული გრამატიკების გავლენით, მაგრამ განუსაზღვრელობითი კილო (რომლის ნიმუშად ასახელებდნენ **ყოფად, ჭამად, სმად** ტიპის ფორმებს), როგორც ქართულისათვის არაბუნებრივი წარმოება, პირველად ამოიღო პ. იოსელიანმა თავისი გრამატიკიდან (1840 წ.).

კილოს კატეგორია მეცნიერულად არის შესწავლილი ა. შანიძის მიერ. მან გამოყო კილოს სამი სახე: თხრობითი, კავშირებითი, ბრძანებითი; შემოიღო ტერმინები „კილო“, „კავშირებითი კილო“. არნ. ჩიქობავაც ქართულისათვის დამახასიათებლად მიიჩნევს კილოს სამ ფორმას. მისი აზრით, კავშირებითი იგივე ნატვრით-პირობითია, ამდენად, პირობითის ცალკე სახედ გამოყოფა მართებული არ იქნებოდა.

XX საუკუნის ქართულ ლინგვისტიკაში კილოს კატეგორიას ბევრი მკვლევარი შეეხო, საკითხი შესწავლილია მონოგრაფიულადაც (იხ. ლიტერატურის ჩამონათვალი).

ნ. კოტინოვის დასკვნით: თხრობით კილოს ქართულ ზმნაში რაიმე მაწარმოებელი არა აქვს, ამდენად, მისი ცალკე მორფოლოგიურ კატეგორიად ჩათვლა კითხვის ნიშნის ქვეშ დგება, მაგრამ თხრობითი კილოს გამოყოფა მაინც იმითაა გამართლებული, რომ იგი მოიცავს ზმნათა უმრავლესობას და თანაც მოეპოვება საპირისპირო ფორმები – კავშირებითი და ბრძანებითი; გარდა ამისა, პირობითი კილოც არ შეიძლება მივიჩნიოთ მორფოლოგიურ კატეგორიად სპეციფიკური ფორმის უქონლობის გამო, მეტიც: პირობითისა და შედეგობითის შინაარსიც ვერ თავსდება არამც თუ ერთი ზმნის, არამედ ერთი დამოუკიდებელი წინადადების ფარგლებშიც კი.

თანამედროვე ლინგვისტიკაში არაერთგვაროვანია კილოს, როგორც ზმნის კატეგორიის, კვალიფიკაციის საკითხიც:

1) ქართულში კილო მორფოლოგიური კატეგორიაა (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე...);

2) კილო არის სემანტიკური კატეგორია და არა მორფოლოგიური, რადგან მას ზმნაში არ მოეპოვება საკუთარი მორფოლოგიური მარკერი; ზმნის კილოს დადგენა არ ხერხდება კონტექსტის გარეშე (არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე, გ. გოგოლაშვილი, ა. ონიანი...);

3) კილო (resp. კავშირებითი) არ არის ოდენ მორფოლოგიური კატეგორია: ზმნის სათანადო ფორმა არაა საკმარისი საშუალება კავშირებითი კილოს გადმოსაცემად. იგი გამოიხატება ენის გრამატიკულ, ლექსიკურ, ინტონაციურ და სხვა-

დასხვა კონტექსტურ საშუალებათა კომპლექსით, ამდენად, კილო ზოგადად განიხილება, როგორც გრამატიკულ-სემანტიკური კატეგორია (ა. პაპიძე).

ვფიქრობთ, მესამე მოსაზრება უფრო ზუსტად ახასიათებს თანამედროვე ქართულში კილოს, როგორც ენობრივი მოვლენის, არსსა და ფორმობრივ-სემანტიკურ მხარეს; მრავალფეროვან მოდალურ ნიუანსებს ზოგჯერ სპეციალური ნიშნებითაც გამოხატავს...

6.7. ზმნისწინი

6.7.1. ზმნისწინის რაობა. ზმნისწინთა შედგენილობა. ზმნისწინი ზმნის წინა ნაწილია, რომელიც უსწრებს ყველა მაწარმოებელს. მას უცხოურად პრევერბს უწოდებენ. ზმნისწინი ყველა ენისათვის ერთნაირად არაა დამახასიათებელი: ზოგს საერთოდ არ მოეპოვება, ზოგში კი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მაგ., საერთოქართველურ დონეზე ზმნისწინის სისტემა კარგად არის ჩამოყალიბებული, მრავალფეროვანია ფუნქციურადაც. ასევე დიდია ზმნისწინების ხვედრითი წონა აფხაზურ-ადიღეურში, მაგრამ ძალიან იშვიათია სომხურში. ზმნისწინი გააჩნია რუსულსაც, თუმცა ქართულთან შედარებით მცირე რაოდენობით, თანაც ფუნქციურადაც არც ისე მრავალფეროვანია. მეორე მხრივ, ზმნისწინი უცხოა დაღესტნურ ენათა უმეტესობისათვის, არაბულისათვის...

ზმნისწინის გამოყენების მიხედვით ქართულში ზმნები სამგვარია:

1) არ დაირთავენ ზმნისწინს: უყვარს, სძულს, ჰყავს, აქვს... გდია, ხატია... სძინავს, ღვიძავს...

2) მოძრაობის ზმნები, რომლებიც უზმნისწინოდ არ გვხვდება: მიდის, შევიდა, წავიდა...

3) შეუძლიათ ზმნისწინი დაირთონ ან არ დაირთონ. აქ შეიძლება გამოიყოს ორი ქვეჯგუფი: ა) ზმნები, რომელთაც ზმნისწინი მხოლოდ გეზსა და ორიენტაციას უცვლის: გორავს || მიგორავს, ფრინავს || მიფრინავს, მოფრინავს; ბ) ზმნები, რომლებთანაც ზმნისწინი აწარმოებს სრულ ას-

პექტს, მომავალ დროს: ვწერ – დავწერ, დავწერე; ათეთრებს – გაათეთრებს, გაათეთრა...

თანამედროვე ქართულში 16 ზმნისწინია: მი-, მო-, ა-, და-, ჩა-, შე-, გა-, წა-, გადა-, მიმო-, ამო-, გამო-, ჩამო-, შემო-, წამო-, გადმო-.

შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი ს მიხედვით ზმნისწინი ორგვარია: მარტივი და რთული. მ ა რ ტ ი ვ ი ა ძირითადად ერთმარცვლიანი ზმნისწინები (გამონაკლისია გადა): მი-, მო-, ა-, და-, ჩა-, შე-, გა-, წა-, გადა-; რ თ უ ლ ი ა: მიმო-, ამო-, გამო-, ჩამო-, შემო-, წამო-, გადმო-. რთული ზმნისწინი მიიღება მარტივზე **მო-** ზმნისწინის დართვით: შემო- < შე- + მო-, მიმო- < მი- + მო-...

ძველ ქართულში ზმნისწინი ფორმობრივად უფრო მრავალფეროვანი იყო. ზოგი მათგანი (**წიაღ-, წიაღმო-, უკუ-, უკმო-**) დღეს საერთოდ აღარ იხმარება, ზოგი კი გამოიყენება გამარტივებული სახით. მაგ., ძველი ქართულის ზმნისწინები: **აღ-, გან-, წარ-, გარდა-, შთა-,** ჩვეულებრივ, გვხვდება **ა-, გა-, წა-, გადა-, ჩა-** ფორმით, თუმცა ზოგჯერ, არქაული თუ ამაღლებული სტილის დროს, ძველ ფორმებსაც მიმართავენ: აღდგა, შთააგონა, გარდაქმნა, წარადგინა... მეტიც: ზოგი ზმნა მხოლოდ ძველი ზმნისწინით იხმარება: აღადგინა, აღიჭურვა, განმარტავს (ანალოგიური ფორმებია: აღმავლობა, განხილვა, განცხრომა, შთაბეჭდილება, წარმოშობა).

ზმნისწინის ძველი და ახალი ფორმა შეიძლება იშვიათად გამოყენებული იყოს ლექსიკური მნიშვნელობის სადიფერენციაციოდაც: ა ღ ზ რ დ ა – ა ზ რ დ ა (სიმაღლეში), გ ა ნ ა ხ ლ ე ბ ა – გ ა ა ხ ლ ე ბ ა (ტანსაცმლის), ა ღ დ გ ო მ ა – ა დ გ ო მ ა (ფეხზე), ა ღ ტ ა ც ე ბ ა – ა ტ ა ც ე ბ ა (ხელში), გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა – გ ა ც ხ ა დ ე ბ ა, შ თ ა გ ო ნ ე ბ ა – ჩ ა გ ო ნ ე ბ ა...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ზმნისწინთა გამარტივების მიზეზად თვლიან ამ ხშირადხმარებულ მორფემათა გაცვეთას, რასაც ხელს უწყობდა ტმესისიც (იხ. გვ. 202). ზმნისწინთა გამარტივებული ფორმები თავს იჩენს VII-VIII საუკუნეებიდან თითო-ოროლა ნიმუშით, IX საუკუნიდან კი უფრო შესამჩნევია (ზ. სარჯველაძე).

6.7.2. ზმნისწინთა ფუნქციები. ძველი და თანამედროვე

ქართულის ჩვენებათა გათვალისწინებით, სამეცნიერო ლიტერატურაში დასახელებულია ზმნისწინის რამდენიმე ფუნქცია:

1) აღნიშნავს მოქმედების მიმართულებას – გეზს (ცოცავს – მიცოცავს);

2) გამოხატავს ორიენტაციას (მირბის – მორბის);

3) მოქმედებას წარმოადგენს დასრულებული სახით (ხატა – დახატა...);

4) წარმოქმნის ახალი მნიშვნელობის ზმნას (მი-აგო, წა-აგო, და-აგო, მო-იგო, ჩა-აგო, ამო-აგო, გადა-აგო...);

5) აწმყოსაგან აწარმოებს მომავალ დროს, ანუ შეუძლია მწკრივთა ფორმების წარმოება: წერს – დაწერს, ანათებს – გაანათებს...

6) ცვლის ზმნის პირიანობას (თ. მახარობლიძე); ზოგჯერ გარდაუვალ ზმნას აქცევს გარდამავლად (ცურავს ის – გადაცურავს ის მას, ვიარე მე – გადავიარე მე ის... შემოარღვია მან მას ის – დაარღვია მან ის...).

მაშასადამე, ქართულში ზმნისწინები გამოიყენება **ლექსიკური** და **გრამატიკული** ფუნქციებით. პირველი ვლინდება სამი მომენტით: 1) მოქმედების მიმართულების აღნიშვნა, 2) მოქმედების შინაარსში სხვადასხვა აზრობრივი ელფერის შეტანა, 3) სრულიად ახალი ლექსიკური ერთეულის წარმოქმნა (ეს ფუნქცია პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ა). გრამატიკული ფუნქცია მ ე ო რ ე უ ლ ი ა. იგი გულისხმობს: 1) სრული ასპექტის გამოხატვას, 2) მოქმედების გადატანას აწმყოდან მომავალ დროში, 3) ზოგიერთი გარდაუვალი ზმნის გარდამავლად გადაქცევას (გ. წიბახაშვილი).

დღეს ამ ფუნქციათაგან ზმნისწინისათვის ძირითადია სრული ასპექტისა და მომავალი დროის წარმოება (ძველ ქართულში კი იყო მიმართულების ჩვენება და მნიშვნელობის ცვლა), რამაც გააძლიერა თანამედროვე ქართულში ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი ფუნქცია, შესაბამისად, გამოიკვეთა ზმნისწინის სხვა ფუნქციური ნიუანსებიც: უნებლიობის, მოქმედების სასრულობის, ფონოსემატიკურ ზმნურ ფორმათა წარმოების, ინტენსივობის გამოხატვისა და სხვ., ანუ ზმნის-

წინს მოქმედების შინაარსში შეაქვს სხვადასხვა აზრობრივი ელფერი (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა, არ. მარტიროსოვი, გ. წიბახაშვილი, ბ. ჯორბენაძე, ი. ვეშაპიძე, ნ. ლოლაძე, ც. კვანტალიანი, თ. მახარობლიძე, ვ. ბოედერი, ჰ. ჩიმქე...).

6.7.3. ზმნისწინთა მართლწერა. 1) დაუშვებელია ზმნისწინისეული ხმოვნის შეცვლა. სწორი ფორმებია: მოვიდა, მოიტანა, წაიღო, მომცა... და არა: მევიდა, მეიტანა || მაიტანა, წეიღო || წოულო || წუულო, მამცა...

2) არ შეიძლება ზმნისწინის შემადგენელი ნაწილების გათიშვა. უნდა იყოს: განახორციელა, გა(ნ)ათავისუფლა, განავითარა, აღვნიშნე, განვაცვიფრე... და არა: გაან-ხორციელა, გაან-თავისუფლა, გაან-ვითარა, გავანცვიფრე, ავღნიშნე...

3) **გან-, აღ-, წარ-** ზმნისწინების ბოლო თანხმოვნები (**ნ, ღ, რ**) არ უნდა იყოს უზმნისწინო ფორმებში. სწორია: ახორციელებს, ავითარებს, ზრდის, ადგენს. შეცდომაა: ანხორციელებს, ანვითარებს, ღზრდის, არდგენს...

4) თუ ზმნა იწყება **ა** ხმოვნით, **ა** ან **ა**-ზე დაბოლოებული ზმნისწინის დართვისას ორი **ა** მოიყრის თავს: ა-ამაღლა, ა-აშენა, გა-აჩერა, და-აწერს...

5) თუ ზმნა იწყება **ი** ხმოვნით, **მი-** ზმნისწინის დართვისას ორი **ი** უნდა: მი-იტანა, მი-იღო, მი-იმალა...

6) თუ ზმნა იწყება **ე** ხმოვნით, **შე-** ზმნისწინის დართვისას ორი **ე** იქნება: შე-ერთდა, შე-ეჩვია, შე-ეთვისა, შე-ეგუა...

6.7.4. ზოგიერთი ზმნისწინის წარმომავლობა-ფუნქციის თავისებურებანი. საუკუნეთა განმავლობაში ზოგიერთმა ზმნისწინმა მნიშვნელოვანი ფორმობრივ-სემანტიკური ცვლილება განიცადა. მაგალითად:

1) **შე (შემო)** ზმნისწინის ძირითადი ფუნქციაა, გამოხატოს მოქმედების მიმართულება ა) გარედან შიგნით (შევიდა, შეიყვანა...); ბ) ქვემოდან ზემოთ (შეხტა, შედგა...).

გარდა ამისა, ზოგჯერ იგი გულისხმობს ისეთ მოქმედებასაც, რომელიც წარმოდგენილია ნაკლები ხარისხით (ზომით): გაყვითლდა – **შე**ყვითლდა, გათეთრდა – შეთეთრდა,

გათბა – **შეთბა** (**შე**-ს ამ თავისებურებაზე მითითებულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც).

2) **და** ზმნისწინის თავადაპირველ სახედ მიჩნეულია **დაბ**. ეს წარმოშობით იგივეა, რაც სვანური **დაბ** (= ყანა, ნახნავი მიწა) და ქართული **დაბა**. ძველ ქართულში „დაბა“ სოფელს ნიშნავდა, მაგრამ მისი ძირითადი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო **მიწა**. ასე რომ, **დავარდა** ზმნის ძველისძველი ფორმა იქნებოდა **დაბვარდა** (= მიწაზე ვარდა) (ა. შანიძე).

და გამოხატავს მოქმედების მიმართულებას ზევიდან ქვევით (დაფრინდა, დაჯდა), ზოგჯერ კი აღნიშნავს მოძრაობას გაურკვეველი (განუსაზღვრელი) მიმართულებით (დაბზუის, დარბის, დახტის, დადის). **და** ზმნისწინთან არის დაკავშირებული აგრეთვე მოქმედების ინტენსივობის გამოხატვა, რაც გულისხმობს ისეთ მოქმედებას, რომელიც შესრულებულია ცალ-ცალკე რამდენიმე პირდაპირ ობიექტზე: კაკლები **დატეხა**, ბავშვები **დაზარდა**, სარეცხი **დარეცხა**, **დაა**უთოვა (შდრ. კაკალი გატეხა, ბავშვი გაზარდა, კაბა გარეცხა, გააუთოვა). ა. შანიძემ ასეთი სემანტიკით გამოყენებულ **და**-ს უწოდა ი ნ ტ ე ნ ს ი ვ ო ბ ი ს ანუ **თითოობის და**.

3) **ჩა** და **ჩამო** ზმნისწინები ერთი ფორმით ორმაგ მიმართულებას უჩვენებენ: **ჩაფრინდა** ნიშნავს მოქმედებას გარედან შიგნით და ზევიდან ქვევით. ეს იმით აიხსნება, რომ **ჩა** ზმნისწინი რთული წარმოშობისაა: ფონეტიკური ცვლილების გზით მიღებულია **შე** და **და** ზმნისწინების შეერთებით (**შე+ და > შდა > შთა > ჩა**). შესაბამისად, **ჩა-** ზმნისწინში გაერთიანებულია **შე-** და **და-** ზმნისწინების ფუნქციები.

4) **წა-** ზმნისწინის ამოსავალი ფორმა უნდა ყოფილიყო აფხაზური წარმოშობის სიტყვა **წარე** (ნიშნავს „დაბლა“, „ქვეშ“), რომლის მეგრული შესატყვისია **წალე** (არნ. ჩიქობავა).

5) **მიმო** გამოიყენება განმეორების თავიდან ასაცილებლად, აღნიშნავს აქეთა და იქითა მიმართულებას: მ ი მ ო ი ხ ე დ ა (მიიხედ-მოიხედა), მ ი მ ო ა ვ ლ ო (მიავლ-მოავლო); მიმოქცევა, მიმოსვლა და ა. შ.

6) დღეს **აღ** ზმნისწინის გამარტივებული სახეა **ა**, რომე-

ლიც დასტურდება VII საუკუნის II ნახევრიდან (**აღვიდა** > ავიდა); თავდაპირველი **აღ** ფორმის **ღ** თანხმოვანი, ზოგიერთი გამონაკლისის (აღდგომა, აღსრულება...) გარდა, დაიკარგა.

აღ ზმნისწინი ფუძეს შეუხორცდა **ვაღიარებ** ზმნაში, თუმცა ისტორიულად და გრამატიკულადაც სწორია **აღვიარებ**. ვაღიარებ ფორმა კეთილხმოვანების საფუძველზე პირველად გამოიყენა და მართებულად მიიჩნია ი. გოგებაშვილმა (ვაღიარებ მე მას, გაღიარებ მე შენ, შდრ. აღვიარებ მე მას, აღგიარებ მე შენ). ზმნისწინი ფუძის ნაწილადაა ქცეული აგრეთვე სიტყვებში: ავაღორძინებ, ასაღორძინებელი...

7) ძველ ქართულ წერილობითს ძეგლებში დასტურდება ერთი წყვილი ზმნისწინი **წიაღ-წიაღმო**, რომლებიც წყალთან დაკავშირებით გამოიყენებოდა: წიაღწდა=წყალზე გადავიდა, წიაღმოწდა=წყალზე გადმოვიდა. დღეს ყოველგვარი დაბრკოლების დაძლევის აღსანიშნავად **გადა** და **გადმო** ზმნისწინები გვხვდება. **გადა,** ამ ძირითადი ფუნქციის გარდა, ზოგჯერ მოქმედების სიჭარბესაც უჩვენებს: გადაიტვირთა, გადაიღალა, გადაიქანცა...

6.7.5. ზმნისწინთა შესწავლის ისტორიისათვის. ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ზმნისწინის შესახებ მსჯელობას ვხვდებით ჯერ კიდევ ანტონ I-ის გრამატიკაში, რომელშიც ზმნისწინის აღმნიშვნელად გამოყენებულია ტერმინი „კერძოკე". ანტონის აზრით, ზმნისწინის ფუნქცია განსხვავებულია: იგი ხან დამოუკიდებელი მნიშვნელობის ნაწილაკია (რომელიც ზმნის მნიშვნელობას აორკეცებს), ხან კიდევ – დამხმარე ელემენტი (რომელიც ან აორკეცებს, ან ცვლის ზმნის შინაარსს, ან სამკაულად გამოიყენება). ირკვევა, რომ ზმნისწინის ფუნქციებიდან ანტონს შეუმჩნევია მხოლოდ ზმნის მნიშვნელობის ცვლა.

ანტონიდან მოყოლებული ძველ პრაქტიკულ გრამატიკებში ზმნისწინის შესახებ უკვე არსებობდა ჩამოყალიბებული წარმოდგენა: გარჩეული იყო ზმნისწინის ძირითადი ფუნქციები, მარტივი და რთული ზმნისწინები... აქვეა მოცემული რამდენიმე ცდა მართლწერის საკითხების მოგვარებისა. ზმნისწინის აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინები: „მარცვა-

ლი" (გაიოზი), „მიმყოლი თანდებული" (დ. ყიფიანი), „სრულყოფილი ზენართი" (დ. კარიჭაშვილი), „სიტყვის ნაკვეთი" (ა. ქუთათელაძე)...

დღეს ქართულ ლინგვისტიკაში საკმაო სისრულით, მეცნიერული სიღრმით არის შესწავლილი ზმნისწინთა ფუნქციები, მათი ფორმობრივ-სემანტიკური ცვლილებანი ძველი და თანამედროვე ქართულის ვითარების გათვალისწინებით, ზმნისწინთა წარმომავლობის საკითხი და ა. შ. მიაჩნიათ, რომ ზმნისწინი, თანდებულის მსგავსად, მომდინარეობს დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვისაგან – ზმნისართისაგან, მაგრამ დროთა ვითარებაში ამ უკანასკნელმა დაკარგა დამოუკიდებლობა და მიეკედლა ზმნას (ზმნისწინის სახით) ან სახელს (თანდებულის სახით). ზმნისწინი და თანდებული რომ ერთი წარმომავლობისაა, ეს მათი გარეგნული მსგავსებითაც მტკიცდება (**გან**-ახორციელა, შდრ. ამხანაგის-**გან**; **გამო**-ვიდა, შდრ. ამხანაგის **გამო**). ზმნისწინი და თანდებული ფუნქციურადაც ერთნაირია: ორივე აღნიშნავს მიმართულებას. სწორედ მიმართულების გამოხატვას თვლიან ზმნისწინის თავდაპირველ ფუნქციად, რომელიც იმ დროიდან მოჰყვება მას, როცა იგი ჯერ კიდევ ზმნისართი იყო (ზ. ჭუმბურიძე). როცა ზმნისწინმა და თანდებულმა დაკარგეს დამოუკიდებლობა და მორფემებად იქცნენ, მხოლოდ მას შემდეგ დაშორდნენ ფუნქციურად ერთმანეთს (ი. ვეშაპიძე). მიუთითებენ იმასაც, რომ, როცა ზმნისწინს მიმართულების აღნიშვნის გარდა სხვა ფუნქციაც დაემატა, მან უკვე გაწყვიტა სახელთან შინაარსობრივი კავშირი და ამიტომ სახელისათვის აუცილებელი გახდა თანდებულის დართვა. ძველი ქართულის წერილობითი ძეგლების მონაცემთა გათვალისწინებით ვარაუდობენ, რომ თანდებული ქართულში უფრო გვიან უნდა განვითარებულიყო, ვიდრე ზმნისწინი (პ. ჯაჯანიძე).

6.7.6. ტმესი. ზმნისწინთან დაკავშირებულია ტმესის საკითხი. ტ მ ე ს ი (ბერძნ. tmesis) ანუ გ ა კ ვ ე თ ა არის ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სიტყვის გაწყვეტა სხვა სიტყვის (ან სიტყვების) შუაში ჩასმით. მაგალითად, გა-**ცა**-წყრა (გაწყრა), მო-**ხოლო-ვინმე**-ვიდა (მოვიდა).

ტმესი ახასიათებდა ძველ ქართულს. იგი ჩვეულებრივი მოვლენა იყო ზმნისწინიან ზმნებთან. განასხვავებენ ტმესის ორ სახეს: მორფოლოგიურსა და სინტაქსურს. პირველ შემთხვევაში შეიძლებოდა ზმნისწინსა და ზმნის ფუძეს შორის ჩართულიყო ნაწილაკი (ვე, ცა, ღა, რა, ვით, ვითა), ნაცვალსახელი (ვინ „ვინმეს“ მნიშვნელობით), ზმნიზედა, კავშირი: მო-თუ **ვინმე**-კუდეს, შე-**ხოლო**-ახონ და ა. შ.

სინტაქსური ტმესის დროს შეიძლება გაითიშოს მტკიცე სინტაქსური წყვილის კომპონენტები, მაგალითად: მსაზღვრელ-საზღვრული („ჴმაჲ ბაგეთაგან ისმა ტირილისა“), კითხვითი სიტყვა ან უარყოფითი ნაწილაკი და ზმნა („ნუ შრომასა შეამთხუევთ მას“), ნაცვალსახელი და დანართი... სინტაქსური ტმესი მოქმედია პოეზიაში („ჭრელს ჩავიცომდი კაბასა“) (კ. დანელია).

ტმესის მაგალითი ხშირია „ვეფხისტყაოსანში“, თუმცა XII საუკუნიდან მსგავსი ნიმუშები კლებულობს, XVII-დან კი თითქმის აღარ გვხვდება.

ტმესის მოვლენაზე პირველად მიუთითა ნ. მარმა, მეცნიერულად იგი აღწერა ა. შანიძემ, ძველი ქართული წერილობითი ძეგლების მიხედვით კი შეისწავლა თ. ცქიტიშვილმა; ტმესის საკითხი ქართველურ ენებში განხილულია აგრეთვე კ. ჰ. შმიდტის ნაშრომში და მოძებნილია მისი ტიპოლოგიური პარალელები ინდოევრუპულ ენებში. სპეციალურ ლიტერატურაში ტმესი მიაჩნიათ ქართული ენის იმ პერიოდის გადმონაშთად, როდესაც ზმნისწინს ჯერ კიდევ ჰქონდა შერჩენილი დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვის გაგება. ტმესი არის ერთგვარი გარდამავალი საფეხური იმ გზისა, რომელიც ზმნისწინს გაუვლია სრული დამოუკიდებლობიდან სრულ დაქვემდებარებამდე და მორფემად ქცევამდე.

6.8. გეზი და ორიენტაცია

გეზი აღნიშნავს ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართებას სივრცეში მდებარე სხვა პუნქტთან. გეზი ორი სახისაა: მიუმართავი და მიმართული.

მ ი უ მ ა რ თ ა ვ ი ა გეზი, როცა ზმნით გამოხატული მოქმედებით არ ჩანს არავითარი მიმართულება რომელიმე პუნქტისაკენ: გორავს, დადის, დახტის, წერს...

მ ი მ ა რ თ უ ლ ი გეზის დროს ზმნით გამოხატული მოქმედება შეიძლება მიემართებოდეს:

1) ზევიდან ქვევით (**დ**ავარდა)
2) ქვევიდან ზევით (ავიდა – **ამ**ოვიდა)
3) შიგნიდან გარეთ (გავიდა – **გამ**ოვიდა)
4) გარედან შიგნით (**შ**ევიდა – **შემ**ოვიდა)
5) დაბრკოლებათა გადალახვით (**გადა**ვიდა – **გადმ**ოვიდა).

მიმართულ გეზს უკავშირდება **ორიენტაცია**, რომელიც მიუთითებს, თუ საით მიემართება მოქმედება, ანუ ორიენტაცია გვიჩვენებს ზმნით გამოხატული მოქმედების მიმართულებას. ა. შანიძის აზრით, ორიენტაციის გასარკვევად ერთადერთი საშუალება არის I პირის პოზიცია. შესაბამისად, ორიენტაცია ორგვარია: სააქეთო (მაახლოებელი) და საიქეთო || საიქითო (მაშორებელი).

ს ა ა ქ ე თ ო ა ორიენტაცია, როცა მოქმედება მიმართულია იმ ადგილისაკენ, სადაც მოუბარი პირი იმყოფება: მოვიდა, ამოვიდა, მოიტანა, შემოვიდა, წამოიღო...

ს ა ი ქ ე თ ო ა ორიენტაცია, როცა მოქმედება მიემართება იქითკენ, სადაც მოუბარი პირი არ იმყოფება (ე. ი. მოქმედება შორდება მოუბარს): მივიდა, ავიდა, აიტანა, წაიღო...

ორიენტაციის მიხედვით ოპოზიცია უმთავრესად დამახასიათებელია მოძრაობის გამომხატველი ზმნებისათვის.

გეზი და ორიენტაცია ზმნისწინით გამოიხატება. ორიენტაციის მხრივ განსხვავებას ქმნის **მო-** და **მი-** ზმნისწინები: **მო**ფრინავს, მოაქვს, მოჰყავს – **მი**ფრინავს, მიაქვს, მიჰყავს. წყვილის პირველი ცალები სააქეთო ორიენტაციისაა, მეორენი – საიქეთოსი; აქეთა მიმართულება **მო-** ზმნისწინით გადმოიცემა, იქითა მიმართულება კი – **მი-** ზმნისწინით. თუ ზმნა უზმნისწინოდ იხმარება, მას არ შეუძლია არც გეზისა და არც ორიენტაციის გამოხატვა (წევს, დგას, ზის, უყვარს...).

ამგვარად, ტრადიციული გრამატიკების მიხედვით,

ქართულში ორიენტაცია ორგვარია: სააქეთო და საიქეთო. ორივე გამოხატულია სათანადო მარკერებით; ორიენტაციის გარჩევის ერთადერთი საყრდენია I პირის პოზიცია.

დღეს ორიენტაციასთან დაკავშირებით გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებებიც:

1) სააქეთო ორიენტაცია გამოხატავს მოქმედების მიმართულებას არა მხოლოდ I პირისაკენ, არამედ II პირისკენაც, განურჩევლად იმისა, იმყოფება თუ არა იგი I პირის სივრცეში (მაგ., მე წიგნები გამოგიგზავნე...). შესაბამისად, საიქეთო ორიენტაციის დროს მოქმედება შეიძლება მიმართული იყოს იქითკენ, სადაც I და II პირები არ იმყოფებიან (შ. კეკელია, ა. დავითიანი, ა. ფოცხიშვილი...).

2) ორიენტაციის კატეგორია გულისხმობს არა ორწევრიანი (მაახლოებელი – მაშორებელი), არამედ სამწევრიანი ოპოზიციის არსებობას (ა. ონიანი):

- სააქეთო (მაახლოებელი): მო-ფრინავს, მო-ცურავს... (მოქმედება მიიმართება მოსაუბრე I და II პირებისაკენ).
- საიქითო (მაშორებელი): მი-ფრინავს, მი-ცურავს... (მოქმედება მიიმართება I და II პირთაგან).
- ნეიტრალური: ფრინავს, ცურავს... (არ ჩანს, თუ საით მიემართება მოქმედება).

ნეიტრალური ორიენტაციის ფორმა არ არის არც სააქეთო და არც საიქეთო. იგი ორიენტაციის ოპოზიციის ნულოვანი საფეხურია და თავისი უნიშნობით უპირისპირდება ორიენტაციის მარკირებულ წევრებს.

6.9. ასპექტი

6.9.1. ასპექტის სახეები. სრული ასპექტის გამოხატვა. ასპექტი არის ქართული ზმნის ერთ-ერთი რთული კატეგორია. იგი იცვლებოდა და ყალიბდებოდა საუკუნეების განმავლობაში. თავდაპირველი ასპექტი ქართულში მოქმედების დასრულება-დაუსრულებლობას კი არ აღნიშნავდა, არამედ

მიუთითებდა, როგორი იყო მოქმედების პროცესი – მომენტობრივი (წყვეტილი) თუ განგრძობითი.

ასპექტი ახასიათებს მრავალ ენას და გადმოიცემა სხვადასხვა საშუალებით, ამიტომ არ არსებობს ასპექტის საერთო და ყველასათვის მისაღები განმარტება.

ასპექტი არის ზმნის ფორმა, რომელიც მოქმედებას წარმოგვიდგენს დასრულებული ან დაუსრულებელი სახით. იგი ორგვარია: სრული და უსრული.

უ ს რ უ ლ ი ასპექტი აღნიშნავს დაუსრულებელ მოქმედებას: ვესალმები, აშენებ, კერავს...

ს რ უ ლ ი ასპექტი ისეთ მოქმედებას გამოხატავს, რომელიც დასრულებულია (ან დასრულდება აუცილებლად): მივესალმე, ააშენე, შეკერავს...

ახალ ქართულში სრული ასპექტის საწარმოებლად გამოყენებულია ზ მ ნ ი ს წ ი ნ ი. კერძოდ: თუ ზმნას ზმნისწინი დაერთვის, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სრული ასპექტისაა, თუნდაც მოქმედება დაწყებული არ იყოს (დავკეცე, მოეფერა, ჩააქრობს), მაგრამ, თუკი არ დაერთვის, უსრულია (ვაშენებ, ათეთრებ, ამზადებდა...).

ასპექტისა და დროის კატეგორიებს შორის ზოგადად ასეთი მიმართებაა: უსრული ასპექტი შეიძლება იყოს სამივე დროისა: ვწერ ახლა, ვწერ მომავალში, ვწერე წარსულში; სრული ასპექტის ფორმას მხოლოდ ორი დრო აქვს – წარსული და მომავალი: დავწერე, დავწერ.

მრავალ შემთხვევაში ასპექტიანი ფორმა გამოხატავს გეზსაც და ორიენტაციასაც (ჩავარდა, ჩამოფრინდა), ზოგჯერ შეიძლება მას არ ჰქონდეს გეზი და ორიენტაცია (მოკვდა) ანდა პირიქით: ორიენტაცია არის, ასპექტი – არა (მიფრინავს, მობზუის, შდრ. ფრინავს, ბზუის); ხოლო იმ ზმნებში, რომლებსაც საერთოდ არ დაერთვის ზმნისწინი, არ აღინიშნება არც გეზი, არც ორიენტაცია და არც ასპექტი (უყვარს, სძულს, ჰყავს...). უსრული ასპექტის ფორმა ზოგჯერ უჩვენებს განმეორებულ მოქმედებასაც, რაც ხშირია ანდაზებსა და გამოცანებში: „ვკეცე, ვკეცე, ვერ დავკეცე". ამ შინაარსობრივი ნიუანსის გამო უსრული ასპექტი რამდენადმე უახ-

ლოვდება მრავალგზისობას, თუმცა ეს სიახლოვე არ ნიშნავს მათს იგივეობას (ა. შანიძე).

6.9.2. უასპექტო ზმნები. ასპექტიანი ზმნების გვერდით გამოიყოფა უასპექტო (ასპექტის რომელიმე სახის არმქონე) ზმნები. მათ სამეცნიერო ლიტერატურაში ასპექტნაკლ ზმნებსაც უწოდებენ. უასპექტოა:

1. უზმნისწინო ზმნები
   ა) გარდაუვალ ზმნათა ერთი ჯგუფი, მეტწილად **უყვარს** ტიპისა: სძულს, ჰყავს, არის, აქვს...
   ბ) ე.წ. სტატიკური ვნებითები: გდია, აფენია, ხატია...
2. ისეთი ზმნები, რომლებსაც ზმნისწინი დაერთვის მხოლოდ მიმართულების აღსანიშნავად: მიდის, მოდის, მიფრინავს, მოფრინავს, დაბზუის...

უასპექტო ზმნა გარდაუვალია, გარდამავალთაგან გამონაკლისია მხოლოდ **იცის** (**ვიცი, იცი**). ჩვეულებრივ, უასპექტო ზმნას ზმნისწინი არ დაერთვის, მაგრამ ზოგჯერ ძველი წარმოშობის ზმნისწინიანი ფორმა შეიძლება უასპექტო იყოს. ფორმათა გასარჩევად გამოიყენება პრაქტიკული წესი: თუ ზმნისწინის დართვას ახლანდელი დროის ფორმა გადაჰყავს მომავალში, მაშინ ზმნა ასპექტიანია (წერს-დაწერს), თუკი ზმნისწინი დროის გაგებას ვერ შეცვლის – ვერ გადაიყვანს მომავალში, უასპექტოა (ფრინავს – მი-ფრინავს, მოფრინავს, და-ფრინავს). ზოგჯერ არის შემთხვევა, როცა ერთ ზმნისწინს ახლანდელი დროის ფორმა მომავალში ვერ გადაჰყავს და ზმნა უასპექტოა, მაგრამ, თუ მას სხვა ზმნისწინს დავურთავთ, დროის გაგება იცვლება და ზმნაც ასპექტიანი ხდება: არხევს – **მი**არხევს, ათრევს – **მი**ათრევს, **და**ათრევს (ახლ. დრ.) – უასპექტოა, მაგრამ: არხევს – **შე**არხევს, **შე**არხია; ათრევს – **წა**ათრევს, **წა**ათრია – ასპექტიანია.

6.9.3. ასპექტის სისტემის შეცვლა. ასპექტი ისტორიულად განსხვავებული იყო არა მხოლოდ თვისებრიობით (შინაარსით), არამედ წარმოების წესითაც. მაგ., ძველ ქართულში ასპექტი უღლების კატეგორია იყო: ასპექტის სახეები განირჩეოდა სერიების მიხედვით: I სერიაში ყველა ზმნა უსრული ასპექტისა იყო (შლის – დაშლის, აშენებს – ააშენებს), II-ში –

სრულისა (შალა – დაშალა, აშენა – ააშენა). ზმნისწინის დართვა-დაურთველობას ასპექტის სახისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა; ზმნისწინი მნიშვნელობას ვერ ცვლიდა.

ახალ ქართულში ასპექტი წარმოქმნის კატეგორია გახდა – ზმნისწინის დართვით იცვლება ზმნის ფორმაც და სემანტიკაც: მალავს – დამალავს – დამალა, ათეთრებს – გააათეთრებს – გაათეთრა. ძველი სისტემის ნაშთები დღესაცაა შემორჩენილი. მაგალითად: **თქვა, ნახა, ჰკითხა, უთხრა, ბრძანა**... უზმნისწინოა, მაგრამ სრული ასპექტის გაგება აქვს, რადგან II სერიის ფორმებია. სამაგიეროდ, ზმნისწინიანი **განმარტავს, განიხილავს, აღწერს**... კონტექსტის მიხედვით უსრულიც შეიძლება იყოს და სრულიც.

როგორც აღინიშნა, საუკუნეთა განმავლობაში იცვლებოდა ასპექტის ფუნქცია და წარმოების წესი. ამ ცვლილებას (რომელმაც ენაში თავი იჩინა IX საუკუნიდან) მორფოლოგიური თვალსაზრისით მოჰყვა მნიშვნელოვანი შედეგები: 1) ასპექტი გახდა წარმოქმნის კატეგორია; 2) პარალელურ ფორმათა განსხვავებული გამოყენებით აწმყოს სამი მწკრივისაგან წარმოიქმნა სამი ახალი მწკრივი: I სერია დაიყო აწმყოსა და მყოფადის წრეებად; 3) თუ ძველად წყვეტილი, ბერძნულის მსგავსად, სრული ასპექტისა იყო, დღეს ის სრულიცაა და უსრულიც; 4) ასპექტის გაგება შეიძინა III სერიის ფორმებმა და სახელზმნებმა.

ასპექტის გამოხატვაში მომხდარი ცვლილებები სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდიზაციისათვის მნიშვნელოვან ენობრივ მოვლენად იქცა. ა. შანიძის შეფასებით, „ასპექტის კატეგორიამ აღნიშნა დიდი მოხვეული სალიტერატურო ენის ისტორიაში და ამით გარკვეული მიჯნა დაიდო ძველსა და ახალ ქართულს შორის. ამ მიჯნაზე ძევს საშუალი ქართული, რომელიც ასახავს ამ ორი სისტემის პარალელურ არსებობას და ენის ცდას, უფრო და უფრო მეტი გასაქანი მოუპოვოს ახალ სისტემას და მივიწყებას მისცეს ძველი".

6.9.4. ასპექტის კატეგორიის შესწავლის საკითხები. ასპექტი ზმნის უძველესი კატეგორიაა. ენათმეცნიერებაში

განმტკიცდა მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, ასპექტის კატეგორია უსწრებს დროისას. დროის კატეგორია რომ მისგან წარმოიქმნა, ეს თვალსაზრისი თავდაპირველად გამოითქვა ინდოევროპული ენების მიმართ, მაგრამ შემდეგ ზოგადენათმეცნიერულ დებულებად იქცა. ქართულის მიმართ ეს მოსაზრება წამოაყენა არნ. ჩიქობავამ. მანვე ჩამოაყალიბა უძველეს ქართულში ასპექტის სახე: თავდაპირველად ასპექტი მოქმედების დასრულებას ან დაუსრულებლობას კი არ აღნიშნავდა, არამედ მიუთითებდა, როგორი იყო მოქმედების პროცესი: ერთბაშად (წყვეტილი) თუ განგრძობითი. შესაბამისად, გაირჩეოდა ასპექტის ორი სახე – მომენტობრივი და განგრძობითი.

მომენტობრივი ასპექტი დამთავრებულ, შეწყვეტილ მოქმედებას გულისხმობდა. მეორენაირად მას წ ე რ ტ ი ლ ე ბ რ ი ვ ასპექტსაც უწოდებდნენ. **განგრძობითი** ანუ **დიურატიული** ასპექტი გამოხატავდა დაუმთავრებელ, განგრძობილ მოქმედებას. მომენტობრივი ასპექტი გადმოიცემოდა წყვეტილის მწკრივით, განგრძობითი კი – ხოლმეობითით: დაწერა – წყვეტილი, დაწერ-ი-ს – ხოლმეობითი. განგრძობითი ასპექტის ნიშნად მიჩნეულია ხოლმეობითის **ი**.

ძველისძველად არც წყვეტილი და არც ხოლმეობითი დროს არ გამოხატავდა, ე. ი. დროის გაგება არ ჰქონდა, მაგრამ დროთა ვითარებაში ამ მწკრივებმა დამატებითი ფუნქციებიც შეიძინა და უკვე ძველ ქართულშივე (საიდანაც კი წერილობითი ძეგლები მოგვეპოვება) წყვეტილის მწკრივი წარსულ დროს, ერთგზის მოქმედებას აღნიშნავს, ხოლმეობითი კი – მრავალგზის მოქმედებას ანუ ახალ – მეორეხარისხოვან ფუნქციას (აქედან გამომდინარე, ხოლმეობითის **ი**-ს თავდაპირველ ფუნქციად გ. მაჭავარიანს არ მიაჩნია მრავალგზისობის ჩვენება).

მოგვიანებით, როცა ზმნა უფრო გართულდა კატეგორიებით, ორწევრა დაპირისპირებიდან თანდათან ჩამოყალიბდა დროის სამწევრა სისტემა (არნ. ჩიქობავა, დ. მელიქიშვილი). უძველესმა ასპექტმა მთლიანად დაკარგა მომენტობრიობა-განგრძობითობის გაგება და მოქმედების დასრულება-დაუსრულებლობის აღმნიშვნელი გახდა. ასე ჩამოყალიბდა ასპექტის დღევანდელი შინაარსი.

ანტონ I-ის გრამატიკაში ასპექტი (როგორც კატეგორია) არაა შემჩნეული ალბათ იმიტომ, რომ XIX საუკუნემდე მას დროის სახეობად თვლიდნენ ასპექტისა და დროის მჭიდრო კავშირის გამო. დროისაგან ასპექტის გამოყოფა და მისი ცალკე კატეგორიად აღიარება რუსულ ენათმეცნიერებაში იწყება XIX საუკუნის დამდეგიდან. „ქართულ გრამატიკაში ასპექტის კატეგორიის დადგენა რუსული ზმნის შესწავლისა და მისი ასპექტის დადგენასთანაა დაკავშირებული: ასპექტის კატეგორია ქართულში განსაზღვრა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების სექციის წევრმა ედუარდ ლიოზენმა. ტერმინი „ასპექტი" ქართული ზმნის მიმართ პირველად მანვე გამოიყენა, მკვეთრად გამიჯნა დრო და ასპექტი" (ი. მეგრელიძე).

ქართველი მკვლევრებიდან ასპექტი განხილულია დ. ყიფიანის გრამატიკაში. იგი მსჯელობს ზმნის სრული და უსრული სახის შესახებ; მასვე ეკუთვნის ტერმინი „სახე" („სახე" არის რუსული **вид** სიტყვის თარგმანი).

ზმნისწინი რომ სრული ასპექტის მაწარმოებელია, ამის შესახებ პირველად აღნიშნეს ნ. ჩუბინაშვილმა და პ. იოსელიანმა. შემდგომში ეს კატეგორია მეცნიერულად შეისწავლა ა. შანიძემ. მანვე შემოიღო ტერმინი „ასპექტი", თუმცა იგი პარალელურად „სახესაც" იყენებდა. ამათგან „ასპექტი" დამკვიდრდა, როგორც ინტერნაციონალური ტერმინი.

ასპექტთან დაკავშირებით თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაშიც გამოითქვა მრავალი მოსაზრება, რომელთაგან ზოგი უპირისპირდება ტრადიციულ კვალიფიკაციას; გამოვლენილია საანალიზო ფორმის ახალი შინაარსობრივი ნიუანსები და ფუნქციური მრავალფეროვნება. მაგ., გ. მაჭავარიანის ნაშრომში „ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში" პირველადაა მითითებული, რომ, გარდა სრული და უსრულისა, თანამედროვე ქართულში გარჩეულია კიდევ ასპექტები: წყვეტილი (მომენტობრივი), უწყვეტელი (განგრძობითი), ერთგზისი და მრავალგზისი. მართალია, აქ ძირითადია სრული და უსრული ასპექტი, დანარჩენი კი შედარებით მკრთალად არის გამოხატული, მაგრამ ისინი მაინც წარმოადგენენ ასპექტის კატეგო-

რიის ნაირსახეობას და მოქმედებას სხვადასხვაგვარი თვალსაზრისით ახასიათებენ. მაგ., **გააკეთა** სრულია (ბოლომდე მიყვანილი), წყვეტილი მოქმედება (რადგან დამთავრდა), ერთგზისი, **აკეთებდა** – უსრული (ბოლომდე არაა მიყვანილი), განგრძობილი, **გააკეთებდა** – სრული, მრავალგზისი.

ზ. ჭუმბურიძე ასპექტის წარმოების მრავალფეროვნებას ანუ ამგვარ ფუნქციურ სახეთა ვარიანტულობას იმით ხსნის, რომ ზმნისწინს რამდენიმე ფუნქცია აკისრია და ერთბაშად ყველას შესრულება უძნელდება. ამიტომ წინა პლანზე დგას ხან ერთი, ხან მეორე ფუნქცია, დანარჩენი კი იჩრდილება. მეორე მხრივ, ასპექტის გამოხატვის ზოგი თავისებურება დამოკიდებულია ზმნათა შინაარსზე, რომელიც ყოველთვის ვერ იგუებს ასპექტის გაგებას. გარდა ამისა, ჯერ კიდევ ძალაშია ძველი სისტემის ნაშთები.

ბ. ჯორბენაძის აზრით, ასპექტი გაცილებით უფრო ფართო ცნებაა, ვინემ ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაშია წარმოდგენილი. ასპექტი გულისხმობს არა მარტო მოქმედების დასრულება-დაუსრულებლობას, არამედ ერთგზისობა-მრავალგზისობას, წერტილებრივ-განგრძობითობას. ასპექტის სრული სახის დამატებითი სემანტიკური მახასიათებლებია: ოდნაობა (წაიჩურჩულა), უნებლიობა (შემოეჭამა), მოჩვენებითობა (მოიგიჟიანა თავი), ფინალობა (გააკეთა), ზღვრულობა (მოვიდა), არაზღვრულობა (წავიდა), მოქმედების დაწყებითობა – „ინხოატივი“ (ამღერდა, აბიბინდა).

6.10. გზისობა

გზისობა არის ზმნის კატეგორია, რომელიც მიუთითებს, რამდენგზისაა ჩადენილი მოქმედება: ერთგზის თუ მრავალგზის. გზისობა ორგვარია: ერთგზისი და მრავალგზისი (ამ კატეგორიას ა. შანიძე თავდაპირველად უწოდებდა „ჯერობას“). ერთგზისი ფორმა აღნიშნავს ერთხელ მომხდარ მოქმედებას (დაჯდა, დახატა), მრავალგზისი კი – რამდენჯერმე განმეორებულ მოქმედებას (დაჯდებოდა, დახატავდა...).

გზისობის კატეგორია შეიძლება გამოიხატოს მხოლოდ

წარსულში. ერთგზისობისათვის გამოყენებულია წყვეტილის მწკრივი, მრავალგზისი მოქმედებისათვის – მყოფადის ხოლმეობითი. მაგალითად: ბავშვმა გ ა ა ხ ი ლ ა თვალები და დედას გ ა უ ღ ი მ ა ; მზე მ ი ე ს ა ლ მ ა დედამიწას... (ერთგზისია); ბავშვი გ ა ა ხ ე ლ დ ა თვალებს და დედას გ ა უ ღ ი მ ე ბ დ ა ; მასწავლებელი მ ი ე ს ა ლ მ ე ბ ო დ ა მოსწავლეებს და გაკვეთილს დ ა ი წ ყ ე ბ დ ა (მრავალგზისია).

მრავალგზისი ფორმა ზოგჯერ ისეთ მოქმედებასაც გადმოსცემს, რომელიც ჩვეულებად არის ქცეული. ამიტომ ასეთ ფორმას ჩ ვ ე უ ლ ე ბ ი თ ს ა ც უწოდებენ.

ძველ ქართულში გზისობა მორფოლოგიური კატეგორია იყო, ახასიათებდა ორგანული წარმოება. მრავალგზისობა გადმოიცემოდა I, II, III ხოლმეობითის მწკრივებით, რომლებსაც ამ ფუნქციის აღსანიშნავად დაერთოდა **ი** სუფიქსი (გადაბრუნდი-ს, დაწერ-ი-ს...). დროთა ვითარებაში სალიტერატურო ენამ და კილოთა უმრავლესობამ დაკარგა ხოლმეობითის მწკრივები (**ი** სუფიქსს ზმნაში სხვა ფუნქცია დაეკისრა), მრავალგზისობის გამოსახატავად გამოყენებულ იქნა მყოფადის ხოლმეობითი, რომელიც მხოლოდ სემანტიკურად გადმოსცემდა განმეორებულ მოქმედებას და მორფოლოგიური ნიშანიც აღარ ჰქონდა (გაიღვიძებდა, ადგებოდა, გაანათებდა...). რადგან მრავალგზისობის შინაარსისათვის არ აღმოჩნდა საკმარისი ოდენ მყოფადის ხოლმეობითის მწკრივი, ენამ ამ მიზნით ფართოდ გამოიყენა აღწერითი წარმოებაც – ნებისმიერ მწკრივზე (მათ შორის მყოფადის ხოლმეობითზე) **ხოლმე** ნაწილაკის დართვა[1].

მაშასადამე, მრავალგზისობა „ხოლმეს" გაგებას შეიცავს. იგი შეიძლება გადმოიცეს სხვა მწკრივებითაც, თუკი ზმნის ფორმას დაემატება **ხოლმე**. ასეთ შემთხვევაში ნაწილაკის დართვა აუცილებელია. მაგ.: დედა სამსახურში დილით მ ი დ ი ს

[1] მიუთითებენ, რომ მყოფადის ხოლმეობითი მრავალგზისობის შინაარსს მხოლოდ აღწერითად გადმოსცემს **ხოლმე** ნაწილაკთან ერთად. ამ ნაკვთის სპეციფიკური ფუნქციაა ნამყოფადარი ნამყოს (მომავალი წარსულში) აღნიშვნა და პირობით-შედეგობითი მოდალობის გადმოცემა... ამის გამო, ალბათ, უფრო მართებული იქნებოდა მის სახელწოდებად პ ი რ ო ბ ი თ ი ს გამოყენება (ა. პაპიძე).

ხ ო ლ მ ე ; ნინო საინტერესო დღიურებს წ ე რ დ ა ხ ო ლ მ ე; ბაღში ბულბულის გალობაც ი ს მ ო დ ა ხ ო ლ მ ე ...

ა. შანიძეს გზისობა მიაჩნდა გრამატიკულ კატეგორიად, მაგრამ სპეციალურ ლიტერატურაში (გ. მაჭავარიანი, თ. ზურაბიშვილი, ი. ქავთარაძე, ზ. ჭუმბურიძე, ბ. ჯორბენაძე, გ. გოგოლაშვილი...) არაერთგზისაა დასაბუთებული, რომ თანამედროვე ქართულში გზისობა არის არა მორფოლოგიური, არამედ სემანტიკური კატეგორია, რადგანაც:

1) არა აქვს სპეციალური ფორმა – მორფოლოგიური ნიშანი და საკუთარი მწკრივი;

2) მრავალგზისობა შეიძლება გამოიხატოს აღწერითი წარმოებით (ზმნა+ხოლმე);

3) მრავალგზისობის გამოხატვა არ არის მყოფადის ხოლმეობითის ერთადერთი ფუნქცია. პირიქით, თავდაპირველად ხოლმეობითი მხოლოდ დიურატიულ ასპექტზე მიუთითებდა; მრავალგზისობა მისთვის მეორეული ფუნქცია იყო.

6.11. აქტი

აქტი ანუ ს ა ქ მ ე არის ზმნის ფორმა, რომელიც მიუთითებს, ზმნით გამოხატული მოქმედება მოუბარმა ნახა თუ არა. იგი ორი სახისაა: ნახული და უნახავი.

ნ ა ხ უ ლ ი აქტი აღნიშნავს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოუბარმა ნახა (დაწერა, წაიღო, ააშენა...), უ ნ ა ხ ა ვ ი აქტით კი გადმოიცემა ისეთი მოქმედება, რომელიც მოუბარს არ უნახავს (დაუწერია, წაუღია, აუშენებია...).

უნახავი მოქმედების შესახებ მოუბარმა შეიძლება გაიგოს ორგვარად: სხვისგან ან შედეგის მიხედვით (თვით ნახოს მოქმედების შედეგი) და ამგვარად გაიაზროს მომხდარი მოქმედება. მაგ.: მითხრეს, რომ მთაში თოვლი მ ო ს უ ლ ა; დილით რომ ავდექი, ფანჯრიდან დავინახე, თოვლი მ ო ს უ ლ ა.

ა. შანიძის აზრით, ქართულში აქტი გრამატიკული კატეგორიაა. მისი გამოხატვა შეიძლება წარსულდროიანი ფორმით, კერძოდ: I და II თურმეობითის მწკრივებით. შესაბამისად, უნახავი აქტი ამ მწკრივების ელემენტია.

უნახავი აქტი, ჩვეულებრივ, გადმოიცემა ერთი ზმნის ფორმით. ქართული სწორედ ამ თავისებურებით განსხვავდება სხვა ენებისაგან. მაგალითად, რუსულს არ შეუძლია უნახავი მოქმედება აღნიშნოს ერთი ფორმით: მამას დაუწერია წერილი – შდრ. **отец, оказывается, написал письмо** (რუსულში საჭირო გახდა **თურმე**-ს დამატება).

უნახავი აქტის ფორმა „თურმეს“ გაგებას შეიცავს. ამიტომ მას ტრადიციულ გრამატიკებში „თურმეობითს“ უწოდებენ. წესის მიხედვით, **თურმე** არ უნდა დაერთოს თურმეობითის მწკრივებს, მაგრამ ზოგჯერ იგი ამ მწკრივებთანაც გვხვდება (თურმე წასულა, თურმე გათენებულა). მეორე მხრივ, უნახაობის სემანტიკა შეიძლება გადმოიცეს სხვა მწკრივებითაც **თურმე** ნაწილაკის დამატებით (აღწერითად): უ გ ზ ა ვ ნ ი ს თურმე წერილებს (აწმყო), გიორგი ყოველ დილით ვ არ ჯ ი შ ო ბ დ ა თურმე (უწყვეტელი), მდინარე მოულოდნელად ა დ ი დ დ ა თურმე (წყვეტილი)... ასე რომ, უნახაობის გამოხატვა მხოლოდ თურმეობითებისთვის არ არის დამახასიათებელი.

უნახაობითობას, თავისი სემანტიკიდან გამომდინარე, განიხილავენ აგრეთვე მოდალობის ველში, როგორც კილოს ერთ-ერთ სახეობას (და არა აქტის კატეგორიას), რადგან იგი აღნიშნავს მოუბარი პირის დამოკიდებულებას გამონათქვამის სარწმუნოობისადმი (რ. ზექალაშვილი).

აქტის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, შესახებ ქართულ ლინგვისტიკაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებები: ტრადიციული შეხედულებით, აქტი მორფოლოგიური კატეგორიაა (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე...). სხვა თვალსაზრისით, აქტის გრამატიკულ კატეგორიად მიჩნევა საეჭვოდაა ჩათვლილი (არნ. ჩიქობავა, ი. ქავთარაძე, დ. გეწაძე, თ. მეტრეველი, გ. გოგოლაშვილი...), რომ „უნახაობის შინაარსის გადმოსაცემად ქართულში გვაქვს ერთგვარი საშუალება (**თურმე** ნაწილაკი და პირველი თურმეობითი გარკვეულ შემთხვევაში) და არა გრამატიკული კატეგორია“ (ი. ქავთარაძე).

მაშასადამე, სამეცნიერო ლიტერატურის გათვალისწინებითა და ჩვენი დაკვირვებითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ: 1) აქტისათვის ქართულში არ არის სპეციალური ფორმა

(მწკრივი) შესაბამისი მორფოლოგიური მარკერით; 2) თურმეობითები ყოველთვის როდი მიუთითებენ უნახაობაზე (დამიწერია; არ წავსულვარ...); 3) უნახაობის სემანტიკა შეიძლება გადმოიცეს ნებისმიერი მწკრივით **თურმე** ნაწილაკის დართვით. გარდა ამისა, ზოგიერთმა დიალექტმა უნახაობის სემანტიკის გამოსახატავად (აქამდე არსებულ საშუალებათა უკმარისობის გამო) შექმნა, ერთი მხრივ, **მინავალა, ნაყვარება...** და, მეორე მხრივ, **მიდენილა** (=მიდიოდა თურმე), **უცხოვრია** (=ცხოვრობს თურმე) ტიპის ფორმები (რომლებსაც განიხილავენ დრო-კილოთა IV სერიაში). ამდენად, აქტი არის სემანტიკური კატეგორია.

6.12. თანამდევრობა

თანამდევრობა არის ზმნის კატეგორია. იგი აღნიშნავს, თუ როგორია ორი მოქმედების დროული მიმართება. თანამდევრობა ახლოს დგას დროის კატეგორიასთან, მაგრამ განსხვავდებიან იმით, რომ გრამატიკული დროის გაგება გამომდინარეობს უბნობისა და მოქმედების მომენტის შეფარდებისაგან და მისი გარკვევა, ჩვეულებრივ, ხდება ერთი მოქმედებით, თანამდევრობისათვის კი ამოსავალია ორი მოქმედების შეფარდება, რომელთაგან ერთი შეიძლება იგულისხმებოდეს.

ა. შანიძემ ქართულში გამოყო თანამდევრობის სამი ფორმა: ერთდროულობა, უწინარესობა, შემდგომობა.

ე რ თ დ რ ო უ ლ ი ა ზმნის ფორმა, რომელიც მიუთითებს, რომ ერთი მოქმედება ხდებოდა სხვა დასახელებულ (ან ნაგულისხმევ) მოქმედებასთან ერთად. ერთდროულობა გამოიხატება მხოლოდ წარსულში, გადმოიცემა უწყვეტლის მწკრივით, მაგრამ არ გააჩნია საკუთარი მორფოლოგიური ფორმა. მაგალითად: ამხანაგი რომ შემოვიდა, მე ვწერდი – ე.ი. ამხანაგის შემოსვლის მომენტში მე წერით ვიყავი დაკავებული (ორივე მოქმედება ერთდროულია).

უ წ ი ნ ა რ ე ს ი ა ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, რომ დასახელებული მოქმედება წინ უსწრებს მეორეს. ამ მოქმედებათაგან ერთი უწინარესია, მეორე – შემდგომი.

შ ე მ დ გ ო მ ი არის ზმნის ფორმა, რომლითაც აღნიშნული მოქმედება მოჰყვება უწინარეს მოქმედებას (დასახელებულს ან ნაგულისხმევს). უწინარესობა გადმოიცემა II თურმეობითით, შემდგომობა კი – წყვეტილით: „მონადირე გადაწვა კლდეზე და ისე დაინახა ჯიხვი, რომელსაც ვარჯიში მოსწყენოდა, გასულიყო კლდის პირად... და დაწოლილიყო“. აქ უწინარესობა იგულისხმება ზმნებით: მ ო ს წ ყ ე ნ ო დ ა , გ ა ს უ ლ ი ყ ო , დ ა წ ო ლ ი ლ ი ყ ო , შემდგომობა კი – **დაინახა** ზმნით.

მაშასადამე, თანამდევრობა მიჩნეულია ზმნის უღლების ერთ-ერთ კატეგორიად, თუმცა იგი მორფოლოგიური მარკერით არ გამოიხატება, შესაბამისად, ვერ იქნება მორფოლოგიური კატეგორია.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №4, 1992.

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

აფრიდონიძე შ., გან და და ზმნისწინები ანტონიმები: იკე-ს წელიწდეული, 4(7),1980.

აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.

ბოედერი ვ., სივრცული მეტაფორები ქართულ ზმნისწინებში: ქესს, XI, 2011.

გეგეშიძე ი., ბრძანებითი კილოს მოდალური ფუნქციები ქართულ სამეცნიერო სტილში: იკე, XXXV, 2005.

გერსამია რ., კიკვიძე ზ., ლომია მ., მამისეიშვილი ნ., საღლიანი მ., ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში, თბ., 2016.

გიგინეიშვილი ივ., პრევერბის ხმარებასთან დაკავშირებული საკითხები: თქსენ, I, თბ., 1970; 1980.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები), თბ., 2010.

დანელია კ., ტმესი: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

ვეშაპიძე ირ., ზმნისწინი ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში: თსუ, შრ., ტ. 33, 1960.

ვეშაპიძე ირ., ზმნისწინის, ზმნიზედისა და თანდებულის ურთიერთდამოკიდებულებისათვის: თსუ შრომები, 96, 1963.

ზექალაშვილი რ., ქართული მართლწერის საკითხები, თბ., 2004.

ზექალაშვილი რ., ქართული დიალოგური მეტყველება (ძირითადი ლინგვისტური და ექსტრალინგვისტური მახასიათებლები), თბ., 2012.
ზურაბიშვილი თ., მრავალგზისობის საკითხი თანამედროვე ქართულში: მეცნ. აკად. მოამბე, 40, №2, 1965.
თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.
თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, თბ., 2011.
თოფურია ვ., ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის: იკე, VIII, 1956.
თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965; 1988.
იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., ზმნა ძველ ქართულში, ნაწ. I, ნაწ. II, მაინის ფრანკფურტი, 1996.
კაკიტაძე კ., ასპექტი და წარმოქმნა: იკე, 34-ე, 2000.
კეკელია შ., დავითიანი ა., ქართული ენა, თბ., 1973.
კვანტალიანი ც., მი და მო ზმნისწინთა ერთი ფუნქციისათვის ქართულში: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XI, 2000.
კვანტალიანი ც., შე ზმნისწინის სიტყვათწარმოებითი დანიშნულება ქართულში: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XII, 2001.
კვანტალიანი ც., რთული ზმნისწინის სიტყვაწარმოებითი დანიშნულება: ქესს, IX, 2005.
კვანტალიანი ც., ზმნისწინი: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.
კიზირია ნ., ბრძანებითი შინაარსის გამოხატვის საშუალებანი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: იკე, 28-ე, 1989.
კოტინოვი ნ., კილოს კატეგორია ქართულში: თელავის პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. 3, 1963.
კოტინოვი ნ., კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბ., 1986.
ლოლაძე ნ., ზმნისწინიან ფორმათა მოტივაციის ზოგიერთი საკითხისათვის: „საენათმეცნიერო ძიებანი", VIII, 1999.
მაჭავარიანი გ., ასპექტის კატეგორია ქართველურ ენებში: ქესს, IV, 1974.
მაჭავარიანი გ., ქართველურ ენათა შედარებითი გრამატიკა, თბ., 2002.
მაჭავარიანი გ., ნებიერიძე გ., მორფოლოგია: ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.
მაჭავარიანი დ., ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 2013.
მახარობლიძე თ., ზმნისწინის ექვსი ფუნქცია და ზმნისწინთა კვალიფიკაცია: ქესს, XI, 2011.
მეგრელიძე ი., გრამატიკული დროისა და ზმნის სახის ურთიერთობის შესახებ: ქელს, 1969, 2.

მელიქიშვილი დ., მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ისტორიული ურთიერთობის საკითხისათვის ქართულში: იკე-ს წელიწდეული, VII, 1980.
მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.
მელიქიშვილი დ., ფილოლოგიური ძიებანი, თბ., 2009.
მელიქიშვილი დ., დროის სამწევრა სისტემის ჩამოყალიბების ისტორიისათვის ქართულში: თსუ ქართული ენის ინსტიტუტის საენათმეცნიერო შრომების კრებული, III, 2012.
მეტრეველი თ., ქართული ზმნის აქტის კატეგორიისათვის: ქელს, №1, 1969.
მეტრეველი თ., ასპექტის კატეგორიისათვის ქართულში : ქელს, 1973, №3.
ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.
ნინუა გ., კავშირებითისა და ბრძანებითის ფორმათა ფუნქციების შესახებ: მაცნე, 1967, 1.
ნინუა გ., ბრძანებითი ახალ ქართულში: ქელს, 1967, 2.
ნინუა გ., ბრძანებითი კილო ქართულ ენაში (საკანდიდატო დისერტაცია), 1968.
ონიანი ა., ორიენტაციის კატეგორია თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: „ენათმეცნიერების საკითხები", №4, 2001.
პაპიძე ა., კილოს კატეგორიისათვის თანამედროვე ქართულში: ენათმეცნიერების ინსტ. სამეცნ. სესიის მასალები, თბ., 1984.
პაპიძე ა., კილო: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
პაპიძე ა., კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის გამოხატვისათვის ქართულში: ქესს, V, 1981.
სანიკიძე ი., მრავალგზისობის კატეგორია თანამედროვე ქართულში: ბ. ჯორბენაძის საზოგ. II სამეცნ. კონფერ., 1995.
სანიკიძე ი., ასპექტის მორფოლოგიური კატეგორიის გამოხატვის სისტემა ქართულში, თბ., 2007.
სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
საღინაძე რ., ზმნურ ფორმათა ვარიაციულობა და ნორმირების საკითხები ქართულში: სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები, თბ., 2013.
უთურგაიძე თ., გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.
ფეიქრიშვილი ჟ., თურმეობითების მნიშვნელობა და გამოყენება ახალ ქართულში: ქესს, IV, თბ., 1974.
ფოცხიშვილი ა., ორიენტაციის კატეგორიის გაგებისათვის თანამედროვე ქართულში: ქართული ენა, თბ., 2000.
ფხაკაძე დ., ასპექტის გრამატიკული კატეგორიის ჩამოყალიბებისა და თურმეობითის ურთიერთმიმართების ზოგი საკითხისათვის ქართულში: მაცნე, 1985, 4.
ქავთარაძე ი., უნახაობის კატეგორიის ისტორიისათვის ქართულში: იკე, VIII, თბ., 1956.

ქავთარაძე ი., ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში: ქესს, ტ. II, თბ., 1961.
ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
ყანდაშვილი ხ., მრავალგზისობის გამოხატვა თანამედროვე ქართულში: ქესს, XII, 2013.
შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.
შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.
შარაშენიძე ნ., ზმნათა ფორმობრივი და ფუნქციური ცვლილებები ქართულში, თბ., 2010.
შმიტდი კარლ-ჰორსტ, ასპექტი და დრო ძველ ქართულში: იკე-ს წელიწდეული, 1985.
შმიტდი კარლ-ჰორსტ, ტმესი ქართველურ ენებში და მისი ტიპოლოგიური პარალელები ინდოევროპულ ენებში: თსუ, კრებული „გიორგი ახვლედიანს", 1969.
ჩიმქე ჰ., ზმნისწინთა სემანტიკური ნიუანსები ახალ სალიტერატურო ქართულში, თბ., 2016.
ჩიქობავა არნ., წარ პრევერბის მნიშვნელობისათვის ქართულში: ენიმკის მოამბე, ტ. I, 1937; ასევე: შრ., II, თბ., 2010.
ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, თბ., 1948; ასევე: შრ., IX, 2014.
ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; 2008.
ჩიქობავა არნ., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1979.
ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.
ცქიტიშვილი თ., ტმესი ძველ ქართულში: მაცნე, 1966, №5.
ნიბახაშვილი გ., ზმნისწინის ლექსიკური და გრამატიკული ფუნქციები: „კომუნისტური აღზრდისათვის", №6, 1960.
ჭუმბურიძე ზ., ასპექტისა და მოქმედების სახის მიმართებისათვის: კრებული „ორიონი", თბ., 1967.
ჭუმბურიძე ზ., მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.
ჯაჯანიძე პ., ზოგი ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში: ქუთაისის პედ. ინსტ. შრ., XI, 1952-1953.
ჯორბენაძე ბ., ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.
ჯორბენაძე ბ., ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.
ჯორბენაძე ბ., ინხოატივი ქართულში: იკე, 28-ე, 1989.
ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.
ჰოლისკი დი ენ, ასპექტი და ქართული მედიალური ზმნა, თბ., 2000.

6.13. სერიები და მწკრივები

6.13.1. მწკრივის რაობა. მწკრივი, როგორც გრამატიკული კატეგორია. ქართული ზმნის პირიანი ფორმები გარკვეული ნიშნების მიხედვით იყოფა ცალკეულ ჯგუფებად. თითოეულ ამ ჯგუფს ა. შანიძემ უწოდა **მწკრივი**. სხვაგვარად მწკრივს ასეც განმარტავენ: ზმნის პირიან ფორმათა ისეთ ჯგუფს, რომელიც აერთიანებს ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს, მ წ კ რ ი ვ ი ეწოდება. მაგალითად: ვაქებ მე, აქებ შენ, აქებს ის – ვაქებთ ჩვენ, აქებთ თქვენ, აქებენ ისინი...

ტერმინი „მწკრივი“, რომელიც წარმოქმნილია „მწკარ“ სიტყვისაგან, დაამკვიდრა ა. შანიძემ (მანამდე იყენებდა „წევრს, „რიგს“), არნ. ჩიქობავამ კი მას უწოდა „ნაკვთი“. ძველ გრამატიკებში არსებობდა სხვა ტერმინებიც: „დრო“, „დრო-კილო“, „დრო-კილოთა ფორმები“... ამათგან დღეს ძირითადია **მწკრივი** და **ნაკვთი**: პირველი გამოიყენება სასწავლო (სასკოლო) პრაქტიკაში, „ნაკვთი“ კი უფრო დამკვიდრებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

ა. შანიძის მიხედვით, მწკრივი ქართულში არის ზმნის ერთ-ერთი გრამატიკული კატეგორია. იგი, სხვა ზმნური კატეგორიებისაგან განსხვავებით, რთული ენობრივი ერთეულია – მოიცავს რამდენიმე კატეგორიას ანუ მ წ კ რ ი ვ ი ს ე ლ ე მ ე ნ ტ ე ბ ს, რომლებიც საერთოა და თან უცვლელი თითოეული მწკრივისათვის. ასეთებია: დრო, კილო, ზოგჯერ კი – ჯერობა, აქტი, თანამდევრობა. ეს თვალსაზრისი იმთავითვე სარწმუნოდ არ მიაჩნდა ზოგ სხვა მეცნიერს. მაგ., არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას... აზრით, „ნაკვთი“ (იგულისხმება „მწკრივი“ – ჟ. ფ.) ტექნიკური ტერმინია და მიუთითებს უღვლილების ერთეულზე ამ ერთეულის ფუნქციის აღუნიშნავად, ამიტომ ნაკვთი ვერ იქნება გრამატიკული კატეგორია, რადგან მას არ გააჩნია გრამატიკული კატეგორიის არც ფუნქცია და არც ფორმა, ხოლო საწარმოებლად მიჩნეული სუფიქსები (ა, ე, ო, ი...) დროის, კილოსა და ჯერობის მაწარმოებლებია. უფრო მოგვიანებით ამ საკითხზე კვლავ გამოითქვა არაერთი მოსაზრება: ბ. ჯორბენაძის დაკვირვებით, მწკრივი კატეგორიაა, მაგრამ არა რთული;

მწკრივი იგივეა ზმნისათვის, რაც ბრუნვა სახელისათვის: „მწკრივი არის ენაში ზმნის არსებობის, მისი ფუნქციონირების ფორმა"; მწკრივს გრამატიკულ კატეგორიად მიიჩნევს ა. ონიანიც, რადგან თანამედროვე ქართულში ყველა მათგანს მოეპოვება საკუთარი მორფოლოგიური მარკერი (ნიშანი)...

ამგვარად, „მწკრივისა" და „ნაკვთის" (ტერმინების) შემოღებას თან ახლდა შესაბამისი ცნების განსხვავებული გაგება, თუმცა საუღლებელი ერთეულის აღსანიშნავად ისინი დღესაც გამოიყენება სინონიმურ ტერმინებად.

ტრადიციული გრამატიკების თანახმად, თანამედროვე ქართულში 11 მწკრივია: აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს კავშირებითი, მყოფადი, ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი, წყვეტილი, II კავშირებითი, I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი.

6.13.2. მწკრივთა სახელდების პრინციპისათვის. მიაჩნიათ, რომ მწკრივთა სახელწოდებანი მეტ-ნაკლებად პირობითია, რაც გამოწვეულია მწკრივის ელემენტთა სიუხვით. ამასთან დაკავშირებით ა. შანიძე წერს: „ტრადიციულად შემუშავებული ნომენკლატურა ხშირად არ შეეფერება საქმის ნამდვილ ვითარებას. ეს განსაკუთრებით ითქმის მწკრივთა სახელებზე. ტრადიციის უგულებელყოფა რომ შესაძლებელი იყოს, სულ შესაცვლელია მთელი კომპლექტი მწკრივთა სახელებისა. იდეალური იქნებოდა, რომ მწკრივთა სახელების დარქმევის დროს მხედველობაში მიღებული არ ყოფილიყო მათი შემადგენელი ელემენტები: დრო, კილო, ჯერობა... და მონახულიყო სრულიად ნეიტრალური სახელები, თუნდაც ხელოვნური. მაგალითად: მცენარეების, ხეების... მაგრამ, რამდენადაც ამის შესაძლებლობა ამჟამად არ არის, ისეთი ხერხი მაინც უნდა იქნეს მოძებნილი, რომ მოვლენის არსებითი მხარე არ დაიჩრდილოს". მეცნიერის აზრით, მწკრივების სახელთა დარქმევის დროს შეიძლება შემდეგი პრინციპებით ვიხელმძღვანელოთ: როდესაც მწკრივში ელემენტთაგან მარტო დრო და კილო არის, თხრობითკილოიან მწკრივებს დროის მიხედვით დავარქვათ სახელი, სხვა კილოიან მწკრივებს კი – კილოთა მიხედვით. როცა მწკრივში დროისა და კილოს

სხვა ელემენტებიც ემატება, მაშინ სახელის დარქმევის დროს ყურადღება უნდა მიექცეს ამ დამატებულ ელემენტს.

ქართულ გრამატიკაში მწკრივთა სახელდებისას ძირითადად ეს პრინციპია გათვალისწინებული.

6.13.3. სერიები. ფორმათა წარმოებისა და სინტაქსურ თავისებურებათა თვალსაზრისით ქართულში მწკრივები იყოფა სამ სერიად: პირველი, მეორე, მესამე. პირველ სერიაში 6 მწკრივია, მეორეში – 2, მესამეში – 3.

პირველი სერია იყოფა ორ ქვესერიად ანუ წრედ: აწმყოსა და მყოფადის წრეებად. აწმყოს წრეში შედის: აწმყო, უწყვეტელი, აწმყოს კავშირებითი, მყოფადის წრეში – მყოფადი, ხოლმეობითი, მყოფადის კავშირებითი.

მეორე სერიის მწკრივებია წყვეტილი და მეორე კავშირებითი, მესამე სერიისა – I თურმეობითი (I შედეგობითი), II თურმეობითი (II შედეგობითი), III კავშირებითი.

ძველ ქართულში პირველი სერია წრეებად არ იყოფოდა. წრეების წარმოქმნის საფუძველი გახდა ასპექტის სისტემის შეცვლა. კერძოდ: ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, აწმყოს წრეში გაერთიანდა უზმნისწინო ფორმები, მყოფადისაში – ზმნისწინიანები. შესაბამისად, ასპექტიან ზმნათა აწმყოს წრის ფორმები უსრულასპექტიანია, მყოფადის წრისა – სრულასპექტიანი. მეორე და მესამე სერიაში შეიძლება იყოს ორივე სახის ასპექტი – სრულიც და უსრულიც.

ტერმინი „სერია“ შემოღებულია ა. შანიძის მიერ.

შენიშვნა: თანამედროვე ცოცხალი მეტყველების გათვალისწინებით, სპეციალურ ლიტერატურაში გამოყოფენ დრო-კილოთა IV სერიას, რომელშიც შედის: III თურმეობითი (მინავალა), IV თურმეობითი (მინავალიყო), IV კავშირებითი (მინავალიყოს). **მინავალა** ტიპის ფორმები გვხვდება დასავლურ დიალექტებში. აქ იგი მიღებული ჩანს მეგრულის ანალოგიით. IV სერიის ფორმები უნახავი აქტისაა. მისი წარმოშობა შეპირობებულია ენის განვითარების კანონზომიერებით (გ. როგავა, არნ. ჩიქობავა...).

მწკრივებს აქვს სპეციალური **სავრცობები** (**-დ, -ოდ** სუფიქსები) და **მწკრივის ნიშნები** (**-ი, -ა, -ე, -ო**).

მწკრივის ფარგლებში ზმნა იცვლება პირის, რიცხვის, დროის, კილოსა და ასპექტის კატეგორიების მიხედვით. ეს ფორმობრი-

ვი ცვლილება ანუ უ ღ ლ ე ბ ა არაერთგვაროვანია, რაც განაპირობებს უღლების ტიპების სხვადასხვაობას.

შენიშვნა: 1. სამეცნიერო ლიტერატურაში უღლების ტიპებად დაყოფა ეფუძნება მეტ-ნაკლებად განსხვავებულ საკლასიფიკაციო პრინციპებს. შესაბამისად, განსხვავებულია უღლების ტიპების რაოდენობა და მათი თვისებრივი დახასიათებაც. ამასთან დაკავშირებით საგულისხმო მოსაზრებებია გამოთქმული ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ბ. ჯორბენაძის, გ. გოგოლაშვილის, ქ. დათუკიშვილის, კ. გაბუნიას, ჭ. ქირიას, მ. კობაიძისა და სხვა მკვლევართა ნაშრომებში (იხ. ლიტერატურა).

2. მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი გვარის ზმნათა უღლების ნიმუშები ცალ-ცალკეა წარმოდგენილი შესაბამის თეორიულ საკითხებთან ერთად.

6.13.4. პირველი სერიის მწკრივები

ა წ მ ყ ო ს წ რ ე

ა წ მ ყ ო – რას ვშვრები? ვწერ, ვეზრდებ-ი, ვთბებ-ი, ვაბამ, ვხნავ. მწკრივის ნიშანია გარდაუვალ ზმნებთან **-ი** სუფიქსი I-სა და II პირში (III-ში იკარგება ფონეტიკური ცვლილების გამო: დაერთვის S_3 პირის ნიშანი -ა); გარდამავალ ზმნას მწკრივის ნიშანი საერთოდ არა აქვს.

დ რ ო – ახლანდელი, იშვიათად შეიძლება ჰქონდეს მომავლის გაგებაც ან სულ დაცლილი იყოს კონკრეტული დროის შინაარსისაგან – შეიძლება აჩვენოს „ზოგადი აწმყო" (განგრძობითი მოქმედება), ან კიდევ გამოიყენებოდეს წარსულის მნიშვნელობითაც (მაგ: „ამირანი მ ი დ ი ს დევის საძებნელად". ამგვარი ფორმები ხშირია ზღაპრებში), **კ ი ლ ო** – თხრობითი, **ნუ** ნაწილაკის დართვისას – უკუთქმითი ბრძანებითი (ნუ დაწერ!), **ა ს პ ე ქ ტ ი** – უსრული, ზმნის ფორმა ძირითადად უზმნისწინოა; ზოგჯერ ზმნისწინიც ერთვის მიმართულების გამოსახატავად.

სახელწოდება „აწმყო" დარქმეულია დროის მიხედვით: „აწმყოფი" (ახლა მყოფი)>აწმყო. დატოვებულია ძველი ტერმინი, რომელიც ამ შემთხვევაში აღნიშნავს მხოლოდ მწკრივს და არა დროს. აწმყო არის ამოსავალი ამ წრეში შემავალი დანარჩენი ორი მწკრივისათვის.

უ წ ყ ვ ე ტ ე ლ ი – რას ვშვრებოდი? ვწერ-დ-ი, ვეზ-

რდებ-ოდ-ი, ვთბებ-ოდ-ი... მწკრივის ნიშანია -ი სუფიქსი (I-სა და II პირში), სავრცობი – -დ გარდამავალ ზმნებში და -ოდ გარდაუვალ ზმნებში, თუმცა სავრცობების განაწილების ეს ზოგადი წესი უგამონაკლისო არაა, მაგ., -დ აქვს ზოგ გარდაუვალ ზმნასაც (დუღ-დ-ა, ტრიალებ-დ-ა, სურ-დ-ა...). იშვიათად შეიძლება პირიქითაც იყოს: გარდამავალს ჰქონდეს -ოდ (იც-ოდ-ა, უწყ-ოდ-ა).

დრო – წარსული, კილო – თხრობითი, ასპექტი – უსრული; ძირითადად უზმნისწინოა, არის ზმნისწინიანიც. ასეთ შემთხვევაში ზმნისწინი გამოხატავს მიმართულებას (გეზსა და ორიენტაციას: მიდიოდა, მიფრინავდა...), ანდა ზმნას უცვლის მნიშვნელობას (აღნიშნავდა – შდრ. ნიშნავდა).

სახელწოდება „უწყვეტელი" დარქმეულია იმის მიხედვით, რომ ამ მწკრივის ფორმა მოქმედების პროცესს წარმოგვიდგენს უწყვეტლად. მას სპეციალურ ლიტერატურაში უწოდებენ ნამყო უსრულსაც.

უწყვეტელი ეყრდნობა აწმყოს მწკრივის ფუძეს.

აწმყოს კავშირებითი – რას ვშვრებოდე? ვწერდ-ე, ვეზრდებ-ოდ-ე, ვთბებ-ოდ-ე... მწკრივის ნიშანი სამივე პირში არის სუფიქსი -ე (გარდა მრ. რ. III პირისა), სავრცობი – -დ და -ოდ.

დრო – ახლანდელი ან მომავალი, კილო – კავშირებითი (ზოგჯერ შეიძლება ბრძანებითსაც გამოხატავდეს: რისხავდეს!), ასპექტი – უსრული.

სახელწოდება დარქმეულია წრისა და კილოს მიხედვით. აწმყოს კავშირებითისათვის ამოსავალია აწმყოს ფორმა.

აწმყოს კავშირებითი სემანტიკური ნიუანსებით მეტად მრავალფეროვანია. იგი კონკრეტული დროული მიმართებისაგან თავისუფალი ფორმაა – ყველაზე ზოგადდროული, განუსაზღვრელი ფორმა კავშირებითის ნაკვთთა შორის. თავისი განგრძობითი, განსაკუთრებით, მრავალგზისობის სემანტიკით ხაზს უსვამს მოქმედების ჩვეულებითობას. გარდა ამისა, აწმყოს კავშირებითი აქტიურად გამოიყენება პირობითი და ნატვრითი მოდალობების გადმოცემისას, ასევე ხშირად იხმარება რაც (არ) უნდა (იყოს) ტიპის შესიტყვე-

ბებში, რომლებიც მსჯელობის კატეგორიულობითა და მაქსიმალიზმით გამოირჩევიან: „რასაც (არ) უნდა ვაკეთებდე, ყოველთვის ერთს ვფიქრობ“ (ა. პაპიძე).

მყოფადის წრე

მყოფადის წრის მწკრივები ნაწარმოებია აწმყოს წრის მწკრივებისაგან ზმნისწინის დართვით. ფორმობრივად მათ შორის განსხვავება მხოლოდ ზმნისწინია.

მყოფადი – რას ვიზამ? დავწერ, გავიზრდებ-ი, გავთბებ-ი, და-ვაბამ, მო-ვხნავ... მწკრივის ნიშანია გარდაუვალი ზმნების I-სა და II პირში სუფიქსი **-ი**, გარდამავალი კი უნიშნოა.

დრო – მომავალი (ზოგჯერ გამოიყენება წარსულში მომხდარი მოქმედების გადმოსაცემადაც: ჟურნალ „კვალის“ რედაქტორს ... წერილს **მისწერს** ვაჟა-ფშაველა; რაფიელ ერისთავის საიუბილეო საღამოს ნინო ჩხეიძე ასე **გაიხსენებს**), კილო – თხრობითი (ნუ ნაწილაკის დართვისას – აკრძალვითი ბრძანებითი: ნუ დახატავ!), ასპექტი – სრული, თუმცა იშვიათად უსრულიც შეიძლება იყოს („სტუმარი მოვა, **აკაკუნებს, აკაკუნებს** და, რომ არ დახვდებიან, წავა“).

მყოფადი ნაწარმოებია აწმყოს მწკრივისაგან ზმნისწინის დართვით; სახელწოდება დარქმეულია დროის მიხედვით (მყოფადი=მომავალი).

ხოლმეობითი – რას ვიზამდი? – დავწერ-დ-ი, გავეზრდებ-ოდ-ი, გავთბებ-ოდ-ი... მწკრივის ნიშანია **-ი** სუფიქსი (I-სა და II პირში), სავრცობი – **-დ** და **-ოდ**.

დრო – წარსული, კილო – თხრობითი (შეიძლება კავშირებითის შინაარსიც შეიძინოს), ასპექტი – სრული, ზოგჯერ აქვს მრავალგზისობის – განმეორებული მოქმედების გაგებაც; სახელწოდება სწორედ მრავალგზისობის მიხედვით არის დარქმეული. ტერმინი „ხოლმეობითი“ დაამკვიდრა ა. შანიძემ. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ მწკრივის სახელად გამოიყენება სხვა ტერმინებიც: „პირობითი“, „ხოლმეობით-შედეგობითი“, „მყოფადის ხოლმეობითი“...

ხოლმეობითი ნაწარმოებია უწყვეტლის მწკრივისაგან ზმნისწინის დართვით.

მყოფადის კავშირებითი – რას ვიზამდე? – დავწერ-დ-ე, გავეზრდებ-ოდ-ე, გავთბებ-ოდ-ე... მწკრივის ნიშანია **-ე** სუფიქსი (სამივე პირში, გარდა მრ. რ. III პირისა), სავრცობი – **-დ** და **-ოდ**.

დ რ ო – მომავალი, კ ი ლ ო – კავშირებითი, ა ს პ ე ქ ტ ი – სრული.

სახელწოდება დარქმეულია წრისა და კილოს მიხედვით. მყოფადის კავშირებითი ნაწარმოებია აწმყოს კავშირებითისაგან ზმნისწინის დართვით.

6.13.5. მეორე სერიის მწკრივები

წ ყ ვ ე ტ ი ლ ი – რა ვქენი? – დავწერ-ე, გავეზარდ-ე, გავთბ-ი... მწკრივის ნიშნებია **-ე**, **-ი** და ე. წ. ნართაულ-**ი**. თანამედროვე ქართულში მოვკალ-ი (მოვკალ) ტიპის ზმნებთან გაჩენილ **ი**-ს სპეციალურ ლიტერატურაში უწოდებენ ნართაულ **ი**-ს, თუმცა განსხვავებული (და ჩვენი აზრითაც – მართებული) კვალიფიკაციით, ისტორიულად ე. წ. „ნართაული" **ი** ელემენტი დღეს არის წყვეტილის მწკრივის მორფემის ერთ-ერთი ალომორფი (ა. ონიანი) (ვრცლად იხ. გვ. 230). ამგვარად, დღეს წყვეტილის ნიშნებია **-ე** და **-ი** სუფიქსები.

დ რ ო – წარსული (წართქმითი ბრძანებითის შემთხვევაში – მომავალი), კ ი ლ ო – თხრობითი ან ბრძანებითი; ზმნის ფორმას შეიძლება დაერთოს ან არ დაერთოს ზმნისწინი, შესაბამისად, ა ს პ ე ქ ტ ი არის სრული ან უსრული. წყვეტილი საწარმოებელი ფუძის მიხედვით ყველაზე მარტივია.

სახელწოდება „წყვეტილი" დარქმეულია იმის მიხედვით, რომ იგი მოქმედების პროცესს წარმოგვიდგენს შეწყვეტილად (განსხვავებით უწყვეტლისაგან). ამ მწკრივის აღსანიშნავად გამოყენებულია აგრეთვე ტერმინები: „ნამყო ძირითადი", „ნამყო სრული", „ნამყო წყვეტილი", „აორისტი" (ა. შანიძის შენიშვნით, ნ. მარის ტერმინი „აორისტი" წყვეტილისათვის შეიძლებოდა გვეწოდებინა მხოლოდ ძველ ქართულში, რადგან ბერძნულის მსგავსი აორისტი ყოველთვის სრული ასპექტისა იყო).

II კავშირებითი – რა ვქნა? დავწერ-ო, გავეზარდ-ო, გავთბ-ე, დავაბ-ა, მოვხნ-ა, მივც-ე. მწკრივის ნიშნებია: -ე, -ა, -ო. ამათგან უძველესი და ძირითადია -ე სუფიქსი.

დრო – მომავალი, კილო – კავშირებითი (შეიძლება გამოხატოს წართქმითი ბრძანებითიც: ავაშენოთ! მოიტანოს!), ასპექტი – სრული ან უსრული.

სახელწოდება დარქმეულია სერიისა და კილოს მიხედვით.

6.13.6. მესამე სერიის მწკრივები

III სერიის მწკრივთა წარმოება I და II სერიის ფორმებთან შედარებით განსხვავებულია. მათ ახასიათებთ შემდეგი თავისებურებანი:

1) გარდამავალ ზმნათა III სერიის ფორმები ინვერსიულია;

2) გარდაუვალი ზმნები იწარმოება მეშველი ზმნით;

3) III სერიაში სამპირიანი გარდამავალი ზმნა არ გვხვდება;

4) გარდამავალ ზმნებს ქცევის გაგება არა აქვს.

შენიშვნა: 1. ა. შანიძის აზრით, I და II სერიის სამპირიანი ფორმა III სერიაში ორპირიანი ხდება: ირიბი ობიექტი დაირთავს **თვის** თანდებულს და იქცევა უბრალო დამატებად (უგზავნის ის **მას** მას – გაუგზავნია მას (**მისთვის**) ის). III სერიაში რომ სამპირიანი გარდამავალი ზმნა არა გვაქვს, დ. მელიქიშვილს ამის მიზეზად ირიბი ობიექტის უბრალო დამატებად ქცევა კი არ მიაჩნია, არამედ, მისი დაკვირვებით, ეს ზმნები სამპირიანები არასოდეს არ ყოფილან; ისინი წარმოშობით არიან ორპირიანი გარდაუვალი სტატიკური ზმნები.

2. ძველი ქართულის წერილობითი მასალების საფუძველზე აღნიშნულია, რომ ძველი ქართული ენა ცდილა I და II სერიის ანალოგიით III-შიც შეენარჩუნებინა სამპირიანობა, მაგრამ ეს მოვლენა არ განვითარებულა, თუმცა ამ ფაქტის თითო-ოროლა ნიმუში ძეგლებში დაიძებნება: **მიმიცემია** მე მას იგინი (დ. გეწაძე).

3. თანამედროვე ქართულში III სერიაში სამპირიანობას მაინც ინარჩუნებს რამდენიმე გარდაუვალი ზმნა: შესდავებია ის მას მას, შესცილებია ის მას მას და მისთ.

ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, III სერიის მწკრივებია: I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი. ტერმინი „თურმეობითი“ დაამკვიდრა ა. შანიძემ (მისი

აზრით, ამ ფორმით გამოხატული მოქმედება უნახავია, „თურმეს" გაგებას შეიცავს). სამეცნიერო ლიტერატურაში თურმეობითების აღსანიშნავად გამოიყენება აგრეთვე სხვა ტერმინები: „I შედეგობითი", „II შედეგობითი" (არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე...), „I რეზულტატივი", „II რეზულტატივი" (დ. მელიქიშვილი), რომლებიც წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგს უფრო გადმოსცემენ, ვიდრე უნახავ მოქმედებას. რამდენადაც ტრადიციული I და II თურმეობითის მწკრივების ძირითადი ფუნქცია არ არის უნახაობის გაგება ანუ თურმეობითობა, ამდენად, რეალური სემანტიკიდან გამომდინარე, ამ მწკრივთათვის უფრო გამართლებული ჩანს ტერმინი „შედეგობითი" („I შედეგობითი", „II შედეგობითი").

I შედეგობითი (I თურმეობითი) – რა მიქნია? – დამიწერ-ი-ა, გავზრდი-ვარ, გავმთბარ-ვარ, დამიბამ-ს, მომიხნავს, მიმიც-ი-ა... ზოგ ზმნასთან მწკრივის ნიშანია **-ი** სუფიქსი.

დრო – წარსული, თუმცა შეიძლება გამოყენებული იყოს აწმყოს ან მყოფადის მნიშვნელობითაც („კეთილი მგზავრობა **მისურვებია!**" =გისურვებ კეთილ მგზავრობას!, „თუ დროზე არ **წაგიღია**, დაგეკარგება" =თუ დროზე არ წაიღებ, დაგეკარგება! და ა. შ.), კილო – თხრობითი, იშვიათად გამოხატავს კავშირებით-ბრძანებითსაც წყევლა-დალოცვისა და მისთ. გამოთქმებში (ღვთის წყალობა ნუ მოგკლებია!). I შედეგობითი ძირითადად მიუთითებს წარსულში მომხდარი მოქმედების შედეგზე, თუმცა ზოგჯერ შეიძლება უნახაობის გაგებაც ჰქონდეს.

I შედეგობითში გარდამავალ და გარდაუვალ ზმნათა წარმოება განსხვავებულია: გარდამავალი ზმნები ინვერსიულებია არიან (შესაბამისად, იცვლება პირის ნიშანთა ფუნქციები), სამპირიანი ფორმა ორპირიანი ხდება (მისწერა მან მას ის – მიუწერია მას ის) და ა. შ. გარდაუვალი ზმნები იწარმოება აღწერითად:

ა) ერთპირიანი ზმნები – საუღლებელი ზმნის მიმღეობისა და **არის** მეშველი ზმნის შეერთებით: დავმალულ-ვარ, წავსულ-ვარ, გაზრდილ-ხარ, გამთბარ-ა(რს);

ბ) ორპირიანი ზმნები – საუღლებელი ზმნის მასდარისა და **არის** მეშველი ზმნით: მივსალმები-ვარ, გაზრდი-ხარ, გაზრდი-ა(რს).

II შედეგობითი (II თურმეობითი) – რა მექნა? – დამეწერ-ა, გავზრდ-ო-დ-ი, გავმთბარ-იყავი, დამება, მომეხნა, მიმეცა...

დრო – წარსული, იშვიათად მომავალსაც გამოხატავს („ნელა ითქვამდნენ ფოთლები სულსა, რომ ჩვენთან ერთად ესაიდუმლათ"), თანამდევრობა – უწინარესი, კილო – თხრობითი ან კავშირებით-პირობითი, ზოგჯერ უნებაობის სემანტიკაც აქვს.

II შედეგობითში გარდაუვალი ზმნები იწარმოება შერეულად:

ა) ერთპირიანი ზმნები მიმღეობისა და **არის** მეშველი ზმნის წყვეტილის ფორმით: დავმალულ-იყავი, გამთბარ-იყავი, გამთბარ-იყო;

ბ) ორპირიან გარდაუვალ ზმნებში აღწერითი წარმოების ნაცვლად არის **-ოდ** სავრცობი და **-ი** მწკრივის ნიშანი: მივსალმებ-ოდ-ი, გაზრდ-ოდ-ი, გაზრდ-ოდ-ა.

III კავშირებითი – რა მექნას? – დამეწერ-ო-ს, გავზრდ-ო-დ-ე, გავმთბარ-იყო, დამებ-ა-ს, მომეხნ-ა-ს, მიმეც-ე-ს... მწკრივის ნიშნებია **-ო, -ე, -ა** სუფიქსები.

დრო – წარსული ან მომავალი, კილო – კავშირებითი (თითქოს აქ არაფერი მომხდარიყოს; „შენი ნანინა ჩამწვეთებოდეს თვით სამარეში").

მართალია, დღეს III კავშირებითის მოხმარების შემთხვევები სხვა მწკრივებთან შედარებით ნაკლებია (მისი ფუნქცია ნაწილობრივ შეითავსა II შედეგობითმა), მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის აღინიშნა და ჩვენი მონოგრაფიითაც დადასტურდა, რომ III კავშირებითი არ არის გაქრობის გზაზე დამდგარი ნაკვთი, იგი დამოუკიდებელი მწკრივია – განსაკუთრებით აუცილებელი მომავალი დროის კავშირებითი კილოს გადმოსაცემად: კიდევ **მოგველოცოს** გამარჯვება!, ათი ვაჟი **გაგეზარდოს**!..

6.13.7. მწკრივის ნიშნებისა და სავრცობების ფუნქცია-გენეზისის ზოგიერთი საკითხი. ტრადიციულ გრამატიკებში დასახელებულ მწკრივის ნიშნებსა და სავრცობებს თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაშიც მეტ-ნაკლებად განსხვავებული კვალიფიკაცია ეძლევა. მაგალითად:

1. დღეს რამდენიმე მწკრივს **ი** სუფიქსი მოუდის ნიშნად. ზოგან იგი ძველ ქრთულშივე გვხვდებოდა ამ ფუნქციით, ზოგან კიდევ შემდგომ განვითარებულია და მწკრივის ნიშნის გამოხატვაც მოგვიანებით დაეკისრა. ასეთია ე. წ. ნართაული **ი**, რომელიც პირველად თავს იჩენს წყვეტილის მწკრივის მრავლობითი რიცხვის ფორმაში თანხმოვანთა რთული კომპლექსის გასათიშავად: მოვკალთ>მოვკალით. შემდეგ იგი ანალოგიურად იმავე ფუნქციით გადავიდა უწყვეტელში: ვწერდთ>ვწერდით. ეს **ი** წერილობითს ძეგლებში დასტურდება IX საუკუნიდან, ხოლო უფრო მოგვიანებით, როცა იგი მხოლობითის ფორმაშიც გაჩნდა, იქცა მწკრივის ნიშნად: ვწერდი – ვწერდით, მოვხან(ი) – მოვხანით. მიაჩნიათ, რომ ნართაულ **ი**-ს არ შეუძლია ფუძის კუმშვა, რამდენადაც იგი არ არის დამოუკიდებელი მწკრივის ნიშანი, გაჩენილია სხვა ფუნქციით (ა. შანიძე, არნ. ჩიქობავა).

სამეცნიერო ლიტერატურაში საანალიზო **ი**-ს შესახებ სხვაგვარი აზრიც არსებობს. მაგალითად, ა. ონიანის დაკვირვებით, „თქმა იმისა, რომ **ი** ნართაული ელემენტია, მისი დიაქრონიული დახასიათებაა და მას ამ ელემენტის სინქრონიული კვალიფიკაციისათვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს; არა აქვს მნიშვნელობა, რადგანაც ამჟამად იგი წყვეტილის მწკრივის მორფემის ერთ-ერთი ალომორფია იმისდა მიუხედავად, თუ რომელ ქრონოლოგიურ საფეხურზე იქცა ის ამ ფუნქციის მქონე ელემენტად“. ვფიქრობთ, **მოვკალი** ტიპის ზმნებშიც **ი** სუფიქსი თანამედროვე ეტაპზე უნდა ჩაითვალოს ვწერდი – ვწერდით, მივსალმებოდი – მივსალმებოდ-**ი**-თ ტიპის ზმნათა **ი** მწკრივის ნიშნის ტოლფასოვან ოდენობად, რაც გამართლებული იქნება არა მხოლოდ თეორიულად (აქვთ ერთნაირი წარმომავლობა და ფუნქცია), არამედ მეთოდიკური თვალსაზრისითაც.

2. წყვეტილის მწკრივის ნიშანია სუფიქსი **ე**. მასთან დაკავშირებით გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება:

ა) **ე** მომდინარეობს **ევ**-ისაგან: დავწერ-ევ>დავწერ-ე (არნ. ჩიქობავა, გ. როგავა);

ბ) „**ე** არ უნდა იყოს მიღებული ევ-ისგან. **ე**-ს ფუნქცია კარგად არ არის გამორკვეული. იგი დროს არ გამოხატავდა, რადგან დროის ჩამოყალიბებამდე არსებობდა. **ე** ოთხივე ნამყოს საერთო ნიშანია და არა ოდენ წყვეტილისა“ (ვ. თოფურია).

გ) **ე** მომენტობრივი ასპექტის ნიშანია (ფ. ერთელიშვილი).

3. II და III კავშირებითის მწკრივის ნიშნებია **ე, ო, ა** სუფიქსები. ამათგან თავდაპირველ ფორმანტად მიჩნეულია მხოლოდ **ე; ა** და **ო** (როგორც ნიშნები) მეორეულია (არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია, ნ. კოტინოვი...).

ო-ს წარმომავლობა ახსნილია სხვადასხვაგვარად:

ა) იგი ფონეტიკურ ნიადაგზე (ფუძისეული **ვ**-სა და კავშირებითის **ა**-ს შერწყმით) წარმოქმნილი აფიქსია: ვა>ო (ნ. მარი, გ. დეეტერსი...);

ბ) კავშირებითის **ო** მიღებულია ასეთი გზით: წყვეტილის ძველ ფორმას (ევ დაბოლოებიანს) დაემატა კავშირებითის თავდაპირველი ნიშანი **ე** და შემდგომ ფონეტიკური ცვლილებით წარმოიშვა **ო** (დავწერ-**ევ**>დავწერ-**ო**), რომელიც გამოვლინდება იქ, სადაც წყვეტილში **ე** არის (გ. როგავა);

გ) კავშირებითის **ო** უკვე ძველ ქართულშივე თავისთავადი, დამოუკიდებული მაწარმოებელია და არა კომპლექსის შერწყმის შედეგი (ბ. გიგინეიშვილი, ზ. სარჯველაძე).

4. გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის მწკრივის **ი** ნიშანი გენეზისურად იგივე ოდენობაა, რაც სტატიკური ვნებითის **ი** (< იე), რამდენადაც სტატიკური ვნებითი ამოსავალია გარდამავალ ზმნათა I თურმეობითისათვის: უწერია ის მას (სტატ. ვნ. აწმყო) – **დაუწერია მას ის** (I თურმ.).

5. მკვლევართა მსჯელობის საგნად იქცა **ოდ** და **დ** სავრცობების საკითხიც:

ა) ა. შანიძის აზრით, **ოდ** წარმომდგარია **ოლდ**-ისაგან (ოლ-დ): დ არის სავრცობი, ოლ კი – ვნებითის ძველისძველი სავრცობი, რომელსაც ანალოგიურად დართვია მოქმედებითი გვარის ზმნებიდან გადასული დ (ოლ+დ);

ბ) არნ. ჩიქობავა მიიჩნევს, რომ **ოდ** არ არის ერთიანი

მაწარმოებელი. **ო** და **დ** სხვადასხვა ოდენობაა. აქ სავრცობი არის **დ**. იგი თავდაპირველად ყველა ზმნასთან უნდა ყოფილიყო, მნიშვნელობა არ ჰქონდა გარდამავლობას (შდრ. იცის – იც-ოდ-ა გარდამავალია, სურს – სურ-დ-ა – გარდაუვალი). **ო** ხმოვანი გაჩენილი ჩანს ფონეტიკურ ნიადაგზე. **ოდ**-ს შლიან და უწყვეტლის მაწარმოებლად **დ** მიაჩნიათ აგრეთვე ნ. მარს, ვ. თოფურიას, გ. როგავას, რ. გაგუას ...

გ) ლ. კიკნაძე **ოდ**-ის დაშლას გაუმართლებლად თვლის, მისთვის **ოდ** ერთიანი მაწარმოებელია.

მწკრივის ნიშნებსა და სავრცობებთან დაკავშირებით საინტერესო დაკვირვებებია წარმოდგენილი ასევე ბ. ჯორბენაძის, გ. გოგოლაშვილისა და სხვათა ნაშრომებში.

6.13.8. სერიებისა და მწკრივების შესწავლის ზოგიერთი საკითხი. ქართულ ლინგვისტიკაში მწკრივების ანუ დრო-კილოთა ფორმების შესახებ მსჯელობა სათავეს იღებს ანტონ I-ის გრამატიკიდან. ავტორის აზრით, დრო (ჟამი) ზმნას აქვს სამი: აწმყო, ნამყო და მყოობადი. აქვე მოცემულია თითოეული მათგანის ვრცელი ანალიზი; ზმნის ფორმათა დაჯგუფების ამოსავალ პრინციპად მიჩნეულია მათი ფ უ ნ ქ ც ი ა. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ანტონ I-ის უდავო დამსახურებაა ისიც, რომ მას სწორად შეუმჩნევია, ერთი მხრივ, გარდამავალი და გარდაუვალი ზმნებისა და, მეორე მხრივ, გარდაუვალი ერთპირიანი და ორპირიანი ზმნების წარმოების თავისებურებანი III სერიის ფორმებში; გამოუყენებია ძველი ქართულის თითქმის ყველა მწკრივი, არ ჩანს მხოლოდ III კავშირებითი (ე. ბაბუნაშვილი, ა. ფოცხიშვილი). გარდა ამისა, ანტონმა ქართულ ლინგვისტიკაში დაამკვიდრა დრო-კილოთა ფორმებთან დაკავშირებული არაერთი ტერმინი, მაგ., „აწმყო“, „მყოობადი“, „ნამყო უსრული“, „ნამყო სრული“ და ა. შ.

დრო-კილოთა ფორმების შესახებ ანტონისეულ კვალიფიკაციას ძირითადად იმეორებენ მომდევნო ხანის გრამატიკოსები: გაიოზ რექტორი, დავით ბაგრატიონი, იოანე ბატონიშვილი, ს. დოდაშვილი..., ხოლო პ. იოსელიანის, დ. ყიფიანის, დ. ჩუბინაშვილის, მ. ჯანაშვილის, ს. ხუნდაძისა და სხვა-

თა პრაქტიკულ გრამატიკებში მეტ-ნაკლები განსხვავებითაა დახასიათებული საანალიზო ფორმები, დაზუსტებულია ზოგი ტერმინიც, თუმცა აქაც ფორმათა დაჯგუფებისთვის ამოსავალი არის ფუნქცია და არა წარმოება.

ქართული ზმნის დრო-კილოთა ფორმების უფრო მსხვილ ენობრივ ერთეულებად – **სერიებად** დაყოფა დაკავშირებულია **ნ. მარის** სახელთან. არნ. ჩიქობავას შეფასებით, ნ. მარმა ნაშრომში „ძირითადი ტაბულები ძველი ქართული ენის გრამატიკისა" (1908) პირველმა შეიტანა გარკვეულობა ქართული ზმნების უღლების სისტემაში: დააჯგუფა ერთნაირი წარმოების ფორმები და ამის მიხედვით გამოყო სამი ჯგუფი: Первая группа: главное время настоящее, производная – прошедшее несовершенное и желательное. Вторая группа: главное время аорист, производное – сослагательное. Третья группа: прошедшее совершенное, давнопрошедшее и прошедшее сослагательное (Н. Марр).

შენიშვნა: ნ. მარმა გამოყო რვა მწკრივი, დღევანდელი ტერმინოლოგიით: აწმყო, უწყვეტელი (ნამყო უსრული), I კავშირებითი, წყვეტილი (აორისტი), II კავშირებითი, I თურმეობითი, II თურმეობითი, III კავშირებითი.

ამ დაყოფიდან ჩანს, რომ I და II სერიებისათვის ამოსავალია **საწარმოებელ ფუძეთა ერთიანობა** (თემის ნიშნის ქონა ან უქონლობა). ესაა მორფოლოგიური პრინციპი. III სერია ამ პრინციპს მოკლებულია. თუ აწმყოს ჯგუფი აწმყოს ფუძეზეა დამყარებული, II სერიისა – წყვეტილზე, I თურმეობითი არ არის ამოსავალი II თურმეობითისა და III კავშირებითისათვის. მესამე სერიაში მთავარია **წარმოების ერთიანობა**, კერძოდ: გარდამავალ ზმნათა დაჯგუფების საფუძველია **ინვერსია** (წინადადების სინტაქსური კონსტრუქცია), ხოლო გარდაუვალთათვის – **მეშველზმნიანი წარმოება**. ეს უკანასკნელი პრინციპი მხოლოდ ნაწილობრივ ეხება ორპირიან გარდაუვალ ზმნებს, რომელთაც ახასიათებთ ორგანული და აღწერითი წარმოება.

მაშასადამე, მწკრივთა სერიებად დაყოფას საფუძვლად უდევს ორი სხვადასხვა პრინციპი – მორფო-სინტაქსური

კრიტერიუმი, ამდენად, კლასიფიკაცია ვერ იქნება სავსებით სრულყოფილი (მიუხედავად ამისა, ეს ტრადიციული დაყოფა ძალაშია). ამ ნაკლის გათვალისწინებით არნ. ჩიქობავა შენიშნავს, რომ უფრო თანმიმდევრული იქნებოდა, მწკრივთა დაჯგუფებისათვის წარმოების პრინციპი ბოლომდე გაგვეტარებინა: შეიძლებოდა ყველა ნაკვთი გაგვეერთიანებინა ორ სერიაში – აწმყოსა და ნამყო ძირითადის წყებაში. ტრადიციული III სერიის ფორმები ნაკვთის წარმოების პრინციპის მიხედვით გადანაწილდებოდა I და II სერიებში.

სერიები და მწკრივები ვრცლად, თანამიმდევრობითა და მეცნიერული სიზუსტით არის შესწავლილი ა. შანიძის, არნ. ჩიქობავას, ვ. თოფურიას, ი. ქავთარაძის, ლ. კვაჭაძის, ბ. ჯორბენაძისა და ბევრი სხვა თანამედროვე მკვლევრის ნაშრომებში (იხ. ლიტერატურის ჩამონათვალი). ამ პრობლემას მიეძღვნა ცალკეული მონოგრაფიები (დ. გეწაძის, ნ. ნათაძის, ჟ. ფეიქრიშვილის, გ. გოგოლაშვილის, ა. არაბულის... სადისერტაციო ნაშრომები), რომლებშიც გამოწვლილვითაა შესწავლილი მწკრივთა (სერიათა) წარმოება-ფუნქციის საკითხები ძველი, ახალი და თანამედროვე ქართულის მიხედვით.

დღეს განსხვავებული მოსაზრებები არსებობს მ წ კ რ ი ვ თ ა რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ს თ ა ნ დაკავშირებითაც. მაგალითად:

1. გ. გოგოლაშვილის დაკვირვებით, ახალ ქართულში, ფორმალური თვალსაზრისით, შეიძლება გამოიყოს მხოლოდ რვა ნაკვთი (მწკრივი): I სერიაში – სამი, II-ში – ორი, III-ში – სამი. რამდენადაც II და III სერიის თითოეულ მწკრივში გაერთიანებულია ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები, სწორედ ამ პრინციპით უნდა მოხდეს I სერიის ფორმათა დაჯგუფებაც. შესაბამისად, I სერიაში მოიშლება წრეებად დაყოფა და აქაც სამი მწკრივი იქნება: აწმყო-მყოფადი (აკეთებს – გააკეთებს), უწყვეტელ – ხოლმეობითი (აკეთებდა – გააკეთებდა), I კავშირებითი (აკეთებდეს – გააკეთებდეს).

I სერიის ტრადიციული 6 მწკრივის ნაცვლად მხოლოდ სამი მწკრივის გამოყოფას მართებულად მიიჩნევენ აგრეთვე ა. ონიანი, თ. უთურგაიძე, ქ. დათუკიშვილი, კ. გაბუნია...

2. ა. არაბულის აზრით, მწკრივის არსებობისათვის აუცილებელია, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი ფორმის (ფუძის), მეორე მხრივ, დამოუკიდებელი გრამატიკული შინაარსის (კატეგორიის ან კატეგორიათა ჯამის) ქონა. აქედან გამომდინარე, თანამედროვე ქართულში გრამატიკულ-სემანტიკური პრინციპის გათვალისწინებით უნდა გამოიყოს 16 მწკრივი და განაწილდეს სამ სერიაში. ამ დაყოფისათვის ამოსავალია ზმნისწინიან და უზმნისწინო ფორმათა დიფერენცირება. შესაბამისად, ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები უნდა ჩაითვალოს დამოუკიდებელ მწკრივებად.

3. სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს ზმნის საუღლებელ ერთეულთა სხვაგვარი კლასიფიკაციებიც.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული ზმნის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის საკითხისათვის ქართულში: ენათმეცნიერების საკითხები, I, თბ., 1999.

არაბული ა., მესამე სერიის ნაკვთეულთა წარმოება და მნიშვნელობა ძველ ქართულში, თბ., 1984.

ბაბუნაშვილი ე., ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ.,1970.

ბაბუნაშვილი ე., II თურმეობითის სემანტიკის დაზუსტებისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, IV, 1995.

ბაბუნაშვილი ე., III კავშირებითის სემანტიკის დაზუსტებისთვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, V, 1996.

გაბუნია კ., მწკრივი და ნაკვთი (ზმნის მორფოლოგიური და სემანტიკური კატეგორიების გამიჯვნისათვის ქართულში): კრებ. „ბესარიონ ჯორბენაძეს", თბ., 2003.

გეგუჩაძე ლ., მწკრივთა შესაძლო შეფარდებებისა და დროთა თანამიმდევრობის საკითხები რთულ კონსტრუქციებში, თბ., 2005.

გეწაძე დ., III სერიის მწკრივთა წარმოება ძველ ქართულში (საკანდიდატო დისერტაცია), 1952.

გიგინეიშვილი ბ., სარჯველაძე ზ., [ვა], [უა], [უე] და [ო] სეგმენტთა ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში: მრავალთავი, III, თბ., 1973.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ,. 1988.

გოგოლაშვილი გ., აწმყო, უწყვეტელი, მყოფადი, ხოლმეობითი, წყვეტილი; მყოფადის კავშირებითი, კავშირებითი II, კავშირებითი III: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები), თბ., 2010.

დათუკიშვილი ქ., უღლების პარადიგმათა ტიპები თანამედროვე ქართულში: ბ. ჯორბენაძის საზოგადოების III სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ., 1997.

დათუკიშვილი ქ., მწკრივის წევრთა რაოდენობის საკითხი ქართული ზმნის მოდელში: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XII, 2001.

ერთელიშვილი ფ., რატომ იყენებს II ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს: თსუ, შრ., 61, 1956.

ვაშაკიძე ი., მყოფადის ხოლმეობითის ფუნქციები თანამედროვე ქართულში: მაცნე, 1990, 3.

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, თბ., 2011.

თოფურია ვ., ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში: იკე, ტ. VII, 1955.

თოფურია ვ., მწკრივის ზოგიერთი საკითხისათვის ქართულში: თბილისის უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია, მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები, თბ., 1956.

კეკელია შ., დავითიანი ა., ქართული ენა, თბ., 1973.

კიკნაძე ლ., I სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები: თსუ შრ., XXXb-XXXIb, თბ., 1947.

კობაიძე მ., უღლების ტიპების შესახებ ქართულში: ქესს, XI, 2011

მაჭავარიანი გ., ზმნის ძირითადი კატეგორიები ქართველურ ენებში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1954.

მახარობლიძე თ., ისევ III სერიისა და ინვერსიის შესახებ: საენათმეცნიერო ძიებანი, 29-ე, თბ., 2009.

მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.

მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი, თბ., 2014.

ნათაძე ნ., მყოფადისათვის ქართველურ ენებში: ქესს, II, 1961.

ნათაძე ნ., III სერიის დრო-კილოთა წარმოებისათვის ქართულში: იკე, VII, 1956.

ნათაძე ნ., დრო-კილოთა წარმოება ძველ ქართულში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 1955.

ონიანი ა., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

პაპიძე ა., III კავშირებითი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში: ქსკს, II, 1979.

პაპიძე ა., II კავშირებითის ნაკვთის ფუნქციები და გამოყენება თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქსკს, IV, 1981.

პაპიძე ა., აწმყოს კავშირებითის ფუნქციებთან დაკავშირებული ზოგი საკითხი: ქსკს, VI, 1983.

პაპიძე ა., მყოფადის ხოლმეობითი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქსკს, VIII,1988.

ჟღენტი დ., წყვეტილის ზოგიერთი სემანტიკური თავისებურების შესახებ ქართულში: ქესს, XI, 2011.

როგავა გ., აორისტისა და კავშირებითი II-ის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -ევ სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში: სმამ, ტ. VI, 8, 1945.

როგავა გ., დრო-კილოთა IV ჯგუფის ნაკვთები ქართველურ ენებში: იკე, V, 1953.

როგავა გ., ნამყო უსრულის ოდ სუფიქსის შედგენილობისათვის: იკე, VI, 1954.

სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

სარჯველაძე ზ., ძველი ქართული ენა, თბ., 1997.

საღინაძე რ., ძველი ქართული ენა, თბ., 2008.

უთურგაიძე თ., გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

ფეიქრიშვილი ჟ., მესამე სერიის მწკრივები ახალ სალიტერატურო ქართულში, სადისერტაციო ნაშრომი, 1973; დაიბეჭდა წიგნად, თბ., 2007.

ფეიქრიშვილი ჟ., III კავშირებითი ახალ სალიტერატურო ქართულში: ქელს, 1972, 4.

ფეიქრიშვილი ჟ., ორპირიან გარდაუვალ ზმნათა III სერია ახალ ქართულში: მაცნე (ენისა და ლიტერატურის სერია), 1972, 3.

ფეიქრიშვილი ჟ., თურმეობითების მნიშვნელობა და გამოყენება ახალ სალიტერატურო ქართულში: ქესს, IV, 1974.

ფეიქრიშვილი ჟ., გარდამავალ ზმნათა II თურმეობითის წარმოება ახალ სალიტერატურო ქართულში: ქსკს, II, 1979.

ფოცხიშვილი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1995.

ფუტკარაძე ტ., ქართული ზმნის ლოგიკური პარადიგმის საკითხისათვის: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის შრ., ტ. VIII (1), ქუთაისი, 2006.

ფხაკაძე დ., I თურმეობითის ფუნქციები ქართულში, თბ., 1984.

ქავთარაძე ი., დრო-კილოთა III სერიის წარმოების ერთი თავისებურება ახალ ქართულში: იკე, VII, 1955.

ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ქირია ჭ., ნაკვთის (მწკრივის) გრამატიკული სტატუსისათვის: ქესს, VIII, 2003.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

შარაშენიძე ნ., ზმნათა ფორმობრივი და ფუნქციური ცვლილებები ქართულში, თბ., 2010.

ჩიქობავა არნ., ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში, I, 1948; ასევე: შრ., IX, 2014.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი ენათმეცნიერული დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; 2008 (II გამოცემა).

ჩიქობავა არნ., ქართული ზმნის ნაკვთეულთა დაჯგუფების პრინციპისათვის: იკე, XIII, 1962.

ჩიქობავა არნ., აწმყოს ფუძის წარმოქმნის ისტორიისათვის: იკე, XIV, 1964.

ჭუმბურიძე ზ., მყოფადი ქართველურ ენებში, თბ., 1986.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

ჯორბენაძე ბ., ქართული ზმნის უღვლილების პრინციპები: ქართული ზმნის უღვლილების ფორმობრივი და სემანტიკური ანალიზი: ენათმეცნიერების ინსტიტუტის XII სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 1984.

Марр Н. Я., Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, С-ПБ., 1908.

Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л., 1925.

6.14. გვარი

6.14.1. გვარის კატეგორიის ზოგადი მიმოხილვა. საზოგადოდ, ზმნის გვარის შესწავლის ისტორია იწყება დიონისე თრაკიელის გრამატიკიდან. ქართულ ლინგვისტიკაში იგი პირველად განიხილა ანტონ კათალიკოსმა. მას შემდეგ ქართული ზმნის ამ ურთულეს საკითხს მეტ-ნაკლები სისრულით ეხებოდნენ ძველ პრაქტიკულ გრამატიკებსა და მომდევნო ხანის სამეცნიერო ნაშრომებში... შესაბამისად, XX საუკუნის ქართულ ენათმეცნიერებაში ჩამოყალიბდა ამ ზმნური ფორმის ტრადიციული გაგება, რომლის თანახმად, **გვარი** არის ზმნის კატეგორია, რომელიც მიუთითებს, თუ როგორია ურთიერთობა გრამატიკულად მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის, ანუ გვიჩვენებს, სუბიექტი მოქმედებს სხვა პირზე, თუ თვითონ განიცდის მოქმედებას. ამის მიხედვით, გვარი სამი სახისაა: მოქმედებითი, ვნებითი და საშუალი.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი თ ი გვარის ზმნაში გრამატიკულად მოქმედ პირს (**S**) მოეპოვება სამოქმედო პირი – $\mathbf{O^d}$, ე. ი. სუბიექტი მოქმედებს პირდაპირ ობიექტზე: აგორებს ის მას (ბავშვი ქვას), აშენებს ის მას (კალატოზი სახლს)...

ვ ნ ე ბ ი თ ი ა გვარი, როცა სუბიექტი არ მოქმედებს ობიექტზე, პირიქით – თვითონ განიცდის მოქმედებას, ოღონდ ზმნის ფორმით არ ჩანს, თუ ვისგან ან რისგანაა გამოწვეული ეს მოქმედება: გორდება ის (ქვა), შენდება ის (სახლი)...

ს ა შ უ ა ლ ი გვარის სუბიექტი მოქმედებს, მაგრამ არა აქვს სამოქმედო ობიექტი, თუმცა არც თვითონ განიცდის ამ მოქმედებას: გორავს ის (ქვა), დუღს ის (წყალი)...

ტერმინი „გვარი" თავისი შინაარსით ტოლია ლათინური genus-ისა, ბერძნული „დიათეზისა" (diathesis). უცხოურად მოქმედებითს „აქტივს" უწოდებენ, ვნებითს – „პასივს", საშუალს – „მედიუმს".

იმის გამო, რომ ზმნურ ფორმათა დაჯგუფებისას საკლასიფიკაციო ნიშნად აღებულია მორფოლოგიური, მორფოსინტაქსური და სემანტიკური პრინციპები, ამიტომ სპეციალურ ლიტერატურაში ზმნით გამოხატული მოქმედება-

მდგომარეობის შეფასება სხვადასხვაგვარად ხდება, რაც ბუნებრივად განაპირობებს გვართან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობას. მიუხედავად ამისა, ტრადიციულად გვარს მაინც მიიჩნევენ ზმნის ერთ-ერთ კატეგორიად და ძირითადად გამოყოფენ მის სამ (მოქმედებითი, ვნებითი, საშუალი) ან ორ სახეს (მოქმედებითი, ვნებითი). ამგვარი კვალიფიკაციით ზუსტად ვერ ხერხდება ქართული ზმნის ერთიანი სისტემის ასახვა. განსაკუთრებით სადავო პრობლემად იქცა საშუალი გვარისა და აქტივ-პასივის ურთიერთმიმართების საკითხი.

თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში გვარის კატეგორიასთან დაკავშირებით გაჩნდა სრულიად განსხვავებული შეხედულებებიც. მაგალითად, დ. მელიქიშვილმა მიუთითა იმ ნაკლზე, რომელიც ახასიათებს ტრადიციული გაგებით გვარისა და მისი სახეების, აგრეთვე აქტივისა და პასივის გამოყოფას როგორც ფორმალური, ისე სემანტიკური ასპექტით. მან მორფოსინტაქსური ანალიზის საფუძველზე ქართული ზმნის სტრუქტურისა და კონსტრუქციის ერთიანობის გათვალისწინებით გამოყო დ ი ა თ ე ზ ი ს გრამატიკული კატეგორია, გვარი კი დიათეზის სახედ მიიჩნია (ვრცლად იხ. გვ. 264).

შენიშვნა: სახელმძღვანელოში ძირითადად წარმოდგენილია გვარის კატეგორიის ტრადიციული კვალიფიკაცია და ტერმინოლოგია; აქვეა ზოგი განსხვავებული შეხედულებაც, მათ შორის, დიათეზის მოკლე მიმოხილვა.

6.14.2. დინამიკურობა-სტატიკურობის საკითხი. ზმნით გამოხატული მოქმედება ზოგადად შეიძლება წარმოდგენილი იყოს პროცესის ან შედეგის სახით, ამიტომ გვარის კატეგორიას ბუნებრივად უკავშირდება დინამიკურობა-სტატიკურობის საკითხი.

დ ი ნ ა მ ი კ უ რ ი ა ზმნა, რომელიც მოქმედებას წარმოაჩენს პ რ ო ც ე ს ი ს სახით, ს ტ ა ტ ი კ უ რ ი კი მიუთითებს მოქმედების შ ე დ ე გ ზ ე – მ დ გ ო მ ა რ ე ო ბ ა ზ ე.

ა. შანიძის აზრით, დინამიკურობა-სტატიკურობა მხოლოდ ვნებითი გვარისთვის არის დამახასიათებელი, ე.ი. მხოლოდ ვნებითი გვარის ზმნა შეიძლება იყოს დინამიკური ან სტატიკური. მაგალითად, დინამიკურია: ეფინება, ეფარება,

ეწერება... სტატიკურია: აფენია, აფარია, აწერია... ამ ზმნათა შორის სხვაობა ისაა, რომ დროის ერთსა და იმავე მომენტში – ახლანდელ დროში ერთი აშკარად გვიჩვენებს მოქმედების პროცესს (ეფინება), ხოლო მეორე მიუთითებს შედეგზე (აფენია = დაფენილი არის).[1]

არნ. ჩიქობავას მიხედვით, სტატიკურობა-დინამიკურობა თავისი არსით უფრო ძველია, ვიდრე გვარის კატეგორია. სანამ ქართულ ზმნაში გვარის კატეგორია ჩამოყალიბდებოდა, მანამდე ზმნები ერთმანეთს უპირისპირდებოდა დინამიკურობა-სტატიკურობით, რასაც ადასტურებს სხვა კავკასიურ ენათა დღევანდელი ვითარებაც. მაგალითად, დღეს აფხაზურ-ადიღეურსა და სხვა კავკასიურ ენებში გარჩეულია დინამიკურობა-სტატიკურობა, თუმცა ვნებითი გვარი ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, დინამიკურობა-სტატიკურობა ვერ იქნება ოდენ ვნებითი გვარისათვის დამახასიათებელი. ქართულში ყველა ზმნა იყოფა ორ ჯგუფად: დინამიკურად და სტატიკურად. პირველს მიეკუთვნება ყველა მოქმედებითი გვარის ზმნა, აგრეთვე ე.წ. დინამიკური ვნებითები, ხოლო სტატიკურია ე.წ. „სტატიკური ვნებითები", „საშუალი გვარის" ის ზმნები, რომლებიც მოქმედების შედეგზე მიუთითებენ (დგას, წევს, ზის...) და ე.წ. „მედიოაქტივები" (ისტორიულად უგვარო სტატიკური ზმნები). ამ ზმნათა სტატიკურად მიჩნევას საფუძვლად უდევს როგორც შინაარსობრივ-სემანტიკური, ისე ფორმობრივი მსგავსება: ვერ აწარმოებენ ყველა მწკრივს საკუთარი ფუძით, არ შეუძლიათ სრული ასპექტის გამოხატვა (რადგან სტატიკური ზმნა განგრძობითი ასპექტისაა, მას არ შეიძლება ჰქონდეს სრული ასპექტი), ზმნისწინს არ დაირთავენ

[1] ქართულ ლინგვისტიკაში სტატუსის კატეგორია პირველად დაადგინა ა. შანიძემ (1930 წელს), შემოიღო ქართული ტერმინები: „მდინარებითი ვნებითი" და „მდგომარეობითი ვნებითი", რომლებიც მალევე შეცვალა საერთაშორისო ტერმინებით: „დინამიკური ვნებითი", „სტატიკური ვნებითი".

(თუკი დაერთო, მხოლოდ გეზსა და ორიენტაციაზე მიუთითებს), აწმყოს მწკრივში წარმოდგენილი არიან მეშველი ზმნით... სტატიკური ზმნა, რომელიც გამოხატავს საგნის ან მოქმედების მდგომარეობას (გდია, ხატია... კანკალებს, ყვირის, ცხოვრობს) ასახავს ენის განვითარების უძველეს საფეხურს და ძირითადი ლექსიკური ფონდის უძველეს ნაწილს, ამიტომაც ღარიბია კატეგორიებით.

არნ. ჩიქობავას ეს თვალსაზრისი მართებულად მიაჩნიათ აგრეთვე სხვა მკვლევრებს (ქ. ლომთათიძე, გ. მაჭავარიანი, გ. ნებიერიძე, ნ. ნათაძე, დ. მელიქიშვილი, ზ. ჭუმბურიძე, ბ. ჯორბენაძე, ბ. გიგინეიშვილი, მ. სუხიშვილი...).

6.14.3. მოქმედებითი გვარი. კონვერსია. მოქმედებითი გვარის ზმნა ყველა გარდამავალია, ორპირიანი ან სამპირიანი: წერს ის მას, მალავს ის მას... უმზადებს ის მას მას, უგზავნის ის მას მას... მაგრამ ყველა გარდამავალი ზმნა არ არის მოქმედებითი. ასეთია **იცის** და **უწყის** (მან ის). ეს ზმნები იმდროინდელი წარმონაქმნია, როცა ზმნას გვარის კატეგორია არ მოეპოვებოდა და, შესაბამისად, საპირისპირო ფორმა – ვნებითი ან საშუალი აღარ განუვითარებიათ (არნ. ჩიქობავა).

მოქმედებითი გვარის ზმნას გვარის ნიშანი არა აქვს. იგი გამოიცნობა გარდამავლობით, თუმცა ვარაუდობენ, რომ ისტორიულად მოქმედებითის ნიშანი უნდა ყოფილიყო **ა**-პრეფიქსი (ა-დენს ის მას, ა-ჩენს ის მას), რომელიც თავდაპირველად გარდამავლობას აღნიშნავდა.

ქართული აქტიური ბუნების ენაა – ზმნათა დიდი უმრავლესობა მოქმედებითი გვარისაა, თუმცა თანამედროვე ქართულში, განსაკუთრებით სამეცნიერო და ტექნიკურ ლიტერატურაში, გახშირდა პასიური კონსტრუქციების გამოყენება. ამ ტენდენციას აძლიერებს დიდძალი ლიტერატურის თარგმნა ევროპული ენებიდან.

ა. შანიძის აზრით, ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნა უპირისპირდება ვნებითს. მათ შორის ურთიერთობა ისეთია, რომ ადვილად შეიძლება ზმნის გადაყვანა ერთი გვარიდან მე-

ორეში. ამ მოვლენას **კონვერსია**[1] ანუ **მობრუნება** ჰქვია. სხვაგვარად: კონვერსიის დროს ხდება ერთი და იმავე შინაარსის გადმოცემა სხვადასხვა გრამატიკული ფორმით.

კონვერსიისათვის ამოსავალია მოქმედებითი გვარი, ვნებითი მისი მობრუნებული სახეა. ამ დროს ცვლილებას განიცდის **S** და პირდაპირი **O**. თუ მოქმედებითი გვარის ზმნას ვნებითში გადავიყვანთ, მაშინ პირდაპირი **O** იქცევა ვნებითის სუბიექტად, მოქმედებითის **S** დაიკარგება, ირიბი **O** კი უცვლელად გადავა. მაგალითად:

S O¹ O²
უგზავნის ის მას **მას** (დედა შვილს საჩუქარს) – მოქმ. გვ.

S O¹
ეგზავნება **ის** მას (საჩუქარი შვილს) – ვნებითი გვარი

თუ ვნებითი გვარის ზმნას გადავიყვანთ მოქმედებითში, მაშინ ვნებითის **S** იქცევა მოქმედებითის პირდაპირ ობიექტად, გაჩნდება ახალი **S**, ირიბი უცვლელად გადავა:

GS GO
ეწერება **ის** მას (წერილი შვილს) – ვნებითი გვარი

S O¹ O²
უწერს ის მას **მას** (დედა შვილს წერილს) – მოქმ. გვარი

ზოგ შემთხვევაში მოქმედებითის კონვერსიული შეიძლება იყოს საშუალი გვარიც: ადუღებს ის მას – დუღს ის.

კონვერსიის დროს იცვლება პირთა რაოდენობა: ემატება ან აკლდება სუბიექტი.

სხვა ენებში, რომლებშიც მოქმედებითი გვარის ზმნა ერთპირიანია, მორფოლოგიური განსხვავება აქტივსა და პასივს შორის დამყარებულია მხოლოდ იმაზე, რომ მოქმედებითი გვარის საპირისპირო ფორმას ვნებითის შინაარსი აქვს, ქართულში კი აქტივი ყოველთვის ერთი პირით მეტია პასივზე.

მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტი ბრუნვაცვალებადია. მისი ბრუნვებია:

სახელობითი: აქებს **ის** მას (ლექტორი სტუდენტს) – I სერია

---

[1] ტერმინი „კონვერსია“ ა. შანიძეს ეკუთვნის, თუმცა კონვერსიის მექანიზმი ჯერ კიდევ ანტონ I-ის გრამატიკაშია გარკვეული (მ. სუხიშვილი).

მოთხრობითი: აქო **მან** ის (ლექტორმა სტუდენტი) – II სერია
მიცემითი: უქია **მას** ის (ლექტორს სტუდენტი) – III სერია

მოქმედებითი გვარის ზმნა უღლებადი სიტყვაა – იცვლება პირისა და რიცხვის მიხედვით. მისი უღლების წესი სამივე სერიაში ერთნაირი არაა: I სერიის ყველა მწკრივისათვის ამოსავალია აწმყო, II სერიისათვის – წყვეტილი, III კი ამოსავლად იყენებს ხან I სერიას და ხან – II სერიას. III სერიაში მოქმედებითი გვარის ზმნები ინვერსიულია; არ გვხვდება სამპირიანი ზმნა, საპირისპირო ფორმათა უქონლობის გამო ქცევაც არ განირჩევა (ზმნის ფორმაში წარმოდგენილი **ი-** და **უ-** პრეფიქსები უფუნქციოა).

უღლების ნიმუშები

I სერია

აწმყოს წრე

აწმყ.	ვ-წერ/თ	ვ-აშენ-ებ/თ	ვ-ხატ-ავ/თ
უწყვ.	ვ-წერ-დ-ი/თ	ვ-აშენ-ებ-დ-ი/თ	ვ-ხატ-ავ-დ-ი/თ
აწმ. კავშ.	ვ-წერ-დ-ე/თ	ვ-აშენ-ებ-დ-ე/თ	ვ-ხატ-ავ-დ-ე/თ

მყოფადის წრე

მყოფ.	და-ვ-წერ/თ	ა-ვ-აშენ-ებ/თ	და-ვ-ხატ-ავ/თ
ხოლმ.	და-ვ-წერ-დ-ი/თ	ა-ვ-აშენ-ებ-დ-ი/თ	და-ვ-ხატ-ავ-დ-ი/თ
მყ. კავშ.	და-ვ-წერ-დ-ე/თ	ა-ვ-აშენ-ებ-დ-ე/თ	და-ვ-ხატ-ავ-დ-ე/თ

II სერია

წყვეტ.	და-ვ-წერ-ე/თ	ა-ვ-აშენ-ე/თ	და-ვ-ხატ-ე/თ
II კავშ.	და-ვ-წერ-ო/თ	ა-ვ-აშენ-ო/თ	და-ვ-ხატ-ო/თ

III სერია

I შედეგ.	და-მ-ი-წერ-ი-ა/გვ	ა-მ-იშენ-ებ-ი-ა/გვ	და-მ-იხატ-ავ-ს/გვ
II შედეგ.	და-მ-ე-წერ-ა/გვ	ა-მ-ეშენ-ებ-ინ-ა/გვ	და-მ-ეხატ-ა/გვ
III კავშირ.	და-მ-ე-წერ-ო-ს/გვ	ა-მ-ეშენ-ებ-ინ-ო-ს/გვ	და-მ-ეხატ-ო-ს/გვ

მაშასადამე, მოქმედებითი გვარის ზმნებს აწმყო-მყოფადში მწკრივის ნიშანი არა აქვს; უწყვეტელსა და ხოლმეობითში მწკრივის ნიშანი **ი** მოუდის I-სა და II პირს (III-ში ფონეტიკურ ნიადაგზე იკარგება), აწმყოს კავშირებითსა და მყოფადის კავშირებითში მწკრივის ნიშანი **-ე** წარმოდგენილია სამივე პირში, სავრცობი არის **-დ** სუფიქსი. წყვეტილის მწკრივის ნიშნებია **-ე, -ი** I-სა და II პირში (III-ში – იკარგება,

შდრ. და-წერ-ა, ააშენ-ა, მოხნ-ა, მისც-ა...), II კავშირებითში – -ო და -ა სუფიქსები (III სერიის ფორმათა თავისებური წარმოების გამო მწკრივის ნიშნებზე აღარ ვსაუბრობთ).

6.14.4. ვნებითი გვარი. ქართულში გარდაუვალი ზმნა შეიძლება იყოს ვნებითი ან საშუალი გვარისა. ა. შანიძის კვალიფიკაციით, ვნებითი ორგვარია: დინამიკური და სტატიკური, ერთპირიანი ან ორპირიანი.

6.14.4.1 დინამიკური ვნებითი. წარმოების მიხედვით დინამიკური ვნებითი არის ნიშნიანი და უნიშნო. ნიშნიანი ვნებითი შეიძლება იყოს პრეფიქსიანი და სუფიქსიანი.

პრეფიქსიანი ვნებითის ნიშნებია **ი-** და **ე-**. **ი-** ნიშნიანს **ინიანი** ვნებითი ჰქვია, **ე-** ნიშნიანს – **ენიანი.**

ინიანი ვნებითი ერთპირიანია. მათი უმრავლესობა პირველადი ზმნაა, იშვიათად შეიძლება იყოს ნასახელარიც: ი-წერება (ის), ი-მალება, ი-ზრდება; ი-ნომრება, ი-ბეჭდება...

ენიანი ვნებითი ორპირიანია: ე-წერება (ის მას), ე-მალება, ე-ზრდება... დღეს გამონაკლისის სახით არსებობს რამდენიმე ერთპირიანი ზმნაც: დაეცა ის (მიწაზე), დაემხო ის (მაგიდაზე), გაემართა ის (ქალაქში)... ისტორიულად ისინიც ორპირიანები იყვნენ და შემდგომ დაკარგეს ერთი პირი, რომლის აღდგენაც შესაძლებელია: დაეცა ის მას (ქორი წიწილას), დაემხო ის მას (ბავშვი მაგიდას), გაემგზავრა (ის ქალაქს)... მეორე მხრივ, ზოგიერთი ენიანი ვნებითი თანამედროვე ქართულში სამპირიანი გახდა.

სუფიქსიანი ვნებითის ნიშანია **-დ**; შესაბამისად, მას **დონიანი** ვნებითი ჰქვია. იგი ერთპირიანია ან ორპირიანი: თეთრ-დ-ება ის – უთეთრ-დ-ება ის მას.

სუფიქსიანი ვნებითის უმრავლესობა იწარმოება სახელებისაგან, ამიტომ მათ ნასახელარ ვნებითსაც უწოდებენ: ბერი > ბერ-დ-ება, დიდ-ი > დიდ-დ-ება, შავ-ი > შავ-დ-ება, სამ-ი > გასამ-დ-ა... გამონაკლისია რამდენიმე პირველადი ზმნა: შენ-დ-ება, კეთ-დ-ება, ჩნ-დ-ება, ჩერ-დ-ება...

უნიშნოა ვნებითი, რომელსაც გვარის მაწარმოებე-

ლი არა აქვს[1], თუმცა ვნებითობის ყველა სხვა ნიშანი მოეპოვება. იგი ერთპირიანია ან ორპირიანი: ა) შრება, დნება, ხმება, ჭკნება... ბ) უშრება, უდნება, უხმება, უჭკნება...

უნიშნო ვნებითი არაპროდუქტიულია. იგი უძველესი წარმოშობისაა, დღემდე შემონახულია მხოლოდ რამდენიმე ფუძე. ვარაუდობენ (ქ. ლომთათიძე, გ. მაჭავარიანი...), რომ ამ ტიპის ზმნები იმდროინდელია, როცა გვარის კატეგორია არ არსებობდა. ისინი, როგორც ისტორიულად ერთპირიანი დინამიკური უგვარო ზმნები, უპირისპირდებოდნენ უგვარო სტატიკურ ზმნებს; მათ შემდგომშიც ვერ შეძლეს გვარის ნიშნის დართვა, თუმცა იმასაც მიუთითებენ, რომ თანამედროვე ქართულში აშკარად ჩანს ტენდენცია **თბება** ტიპის ზმნათა ნამდვილ ვნებითად გადაქცევისა. მაგალითად, დიალექტებში **თვრება** წარმოდგენილია **ითვრება (||ითრობა)** ფორმით (ქ. ლომთათიძე, ა. შანიძე), ანალოგიურია აგრეთვე იჭკნობა (=ჭკნება), იცვითება (=ცვდება), ილპობა (=ლპება)... შდრ. დაითრო, დაიჭკნო...

დინამიკურ ვნებითს გვარის ნიშნები აქვს I-სა და II სერიაში, III-ში არ გადაჰყვება, რადგან აქ ამოსავალია საუღლებელი ზმნის საწყისი ან მიმღეობა, რომელთაც არ გააჩნიათ გვარის ნიშანი:

I სერია:	ვ-**ი**-მალებ-ი	ვ-**ე**-ზრდებ-ი	ვ-თეთრ-**დ**-ები
II სერია:	და-ვ-**ი**-მალ-ე	გა-ვ-**ე**-ზარდ-ე	გა-ვ-თეთრ-**დ**-ი
III სერია:	და-ვ-მალულ-ვარ	გა-ვ-ზრდი-ვარ	გა-ვ-თეთრებულ-ვარ

ყველა ტიპის დინამიკური ვნებითი ერთნაირად იუღლება I-სა და II სერიაში, მნიშვნელობა არა აქვს პირთა რაოდენობას; საერთო აქვთ სავრცობი (**-ოდ**) და მწკრივის ნიშნები (**-ი, -ე, -ო**), მაგრამ III სერიაში წარმოება განსხვავებულია პირთა მიხედვით, კერძოდ:

---

[1] ა. ონიანის მიხედვით, „უნიშნო ვნებითი" (ისევე, როგორც „უნიშნო მოქმედებითი") არ არის მართებული ტერმინი, რადგან, სადაც დღეს არ არის ვნებითის **ი, ე** ან **დ**, იქ ალომორფია **ნული (Ø)**; უფრო სწორი იქნება „უნიშნო ვნებითის" ნაცვლად იყოს „ნულოვანმორფიანი ვნებითი" (2003).

1) ერთპირიანი ზმნების წარმოება აღწერითია: საუღლებელი ზმნის მიმღეობას ემატება მეშველი ზმნა. მიმღეობა საერთოა სამივე მწკრივისათვის, განსხვავებას ქმნის მხოლოდ მეშველი ზმნა (**ვარ, ხარ, არის**), რომელიც იცვლება მწკრივების შესაბამისად;

2) ორპირიანი დინამიკური ვნებითები III სერიას შერეულად ანარმოებენ: I შედეგობითს – აღწერითად, II შედეგობითსა და III კავშირებითს – ორგანულად, მეშველი ზმნა არ ერთვის.

უღლების ნიმუშები

I სერია

აწმყოს ნრე

	ერთპირ.	ორპირ.
ანმყ.	ვ-თბებ-ი/-თ	ვ-ე-სალმ-ებ-ი/-თ
	თბებ-ი/-თ	ე-სალმ-ებ-ი/-თ
	თბებ-ა/-ი-ან	ე-სალმ-ებ-ა/-ი-ან
უნყვ.	ვ-თბებ-ოდ-ი/-თ	ვ-ე-სალმ-ებ-ოდ-ი/-თ
	თბებ-ოდ-ი/-თ	ე-სალმ-ებ- ოდ-ი/-თ
	თბებ-ოდ-ა/-ნენ	ე-სალმ-ებ-ოდ-ა/-ნენ
ანმ. კავშ.	ვ-თბებ-ოდ-ე/-თ	ვ-ე-სალმ-ებ-ოდ -ე/-თ
	თბებ-ოდ-ე/-თ	ე-სალმ-ებ-ოდ-ე/-თ
	თბებ-ოდ-ე-ს/-ნენ	ე-სალმ-ებ-ოდ-ე-ს/-ნენ

მყოფადის ნრე

მყოფ.	გა-ვ-თბებ-ი/-თ	მი-ვ-ე-სალმ-ებ-ი/-თ
	გა-თბებ-ი/-თ	მი-ე-სალმ-ებ-ი/-თ
	გა-თბებ-ა/-ი-ან	მი-ე-სალმ-ებ-ა/-ი-ან
ხოლმ.	გა-ვ-თბებ-ოდ-ი/-თ	მი-ვ-ე-სალმ-ებ-ოდ-ი/-თ
	გა-თბებ-ოდ-ი/-თ	მი-ე-სალმ-ებ-ოდ-ი/-თ
	გა-თბებ-ოდ-ა/-ნენ	მი-ე-სალმ-ებ-ოდ-ა/-ნენ
მყ. კავშ.	გა-ვ-თბებ-ოდ-ე/-თ	მი-ვ-ე-სალმ-ებ-ოდ -ე/-თ
	გა-თბებ-ოდ-ე/-თ	მი-ე-სალმ-ებ-ოდ-ე/-თ
	გა-თბებ-ოდ-ე-ს/-ნენ	მი-ე-სალმ-ებ-ოდ-ე-ს/-ნენ

II სერია

ნყვეტ.	გა-ვ-თბ-ი/-თ	მი-ვ-ე-სალმ-ე/-თ
	გა-თბ-ი/-თ	მი-ე-სალმ-ე/-თ
	გა-თბ-ა/-ნენ	მი-ე-სალმ-ა/-ნენ
II კავშ.	გა-ვ-თბ-ე/-თ	მი-ვ-ე-სალმ-ო/-თ
	გა-თბ-ე/-თ	მი-ე-სალმ-ო/-თ
	გა-თბ-ე-ს/-ნენ	მი-ე-სალმ-ო-ს/-ნ

III სერია

I შედეგ.	გა-ვ-მთბარ-ვარ/-თ	მი-ვ-სალმებ-ი-ვარ/-თ
	გა-მთბარ-ხარ/-თ	მი-სალმებ-ი-ხარ/-თ
	გა-მთბარ-ა/-ან	მი-სალმებ-ი-ა/-ან
II შედეგ.	გა-ვ-მთბარ-იყავი/-თ	მი-ვ-სალმებ-ოდ-ი/-თ
	გა-მთბარ-იყავი/-თ	მი-სალმებ-ოდ-ი/-თ
	გა-მთბარ-იყო/-ნენ	მი-სალმებ-ოდ-ა/-ნენ
III კავშ.	გა-ვ-მთბარ-იყო/-თ	მი-ვ-სალმებ-ოდ-ე/-თ
	გა-მთბარ-იყო/-თ	მი-სალმებ-ოდ-ე/-თ
	გა-მთბარ-იყო-ს/-ნენ	მი-სალმებ-ოდ-ე-ს/-ნენ

6.14.4.2. ვნებითის მაწარმოებელ აფიქსთა გენეზისისა და ფუნქციის საკითხი. სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ვნებითის მაწარმოებელი აფიქსების გენეზისი და მათი კვალიფიკაცია.

1. ვნებითის **დ** სუფიქსის ისტორია ბევრმა მკვლევარმა შეისწავლა. ა. შანიძის აზრით, სუფიქსიანი ვნებითის თავდაპირველი ნიშანი იყო **ენ/ნ**, რომლისგანაც ფონეტიკური ცვლილების გზით მივიღეთ **დ**: შევწუხ-ენ მე, შესწუხ-ენ შენ, შეწუხ-ნ-ა იგი>შეწუხ-დ-ა (ვნებითის **დ** სუფიქსი პირველად გვხვდება IX საუკუნიდან: ზ. სარჯველაძე).

ი. იმნაიშვილის დაკვირვებით, ვნებითის წარმოებაში უნდა ვივარაუდოთ სამი დიალექტური ფენა მაინც, რომელთაგან ერთს – ძირითადს – პრეფიქსიანი ვნებითი ეკუთვნის, მეორეს – **ენ/ნ** სუფიქსიანი, მესამეს – დონიანი. დონიანისა და **ენ/ნ** სუფიქსიანი ვნებითების გაერთიანება და ერთი კილოსადმი მიკუთვნება არ იქნებოდა სწორი. ისინი ძველ სალიტერატურო ქართულში სხვადასხვა კილოდან შემოვიდნენ. რადგან ორივეს ერთი ფუნქცია ჰქონდა, **დ** სუფიქსმა გააძევა **ენ/ნ** და თვით გაბატონდა.

2. ვნებითის **ი** პრეფიქსს გენეზისურად უკავშირებენ მოქმედებითი გვარის ზმნათა სათავისო ქცევის **ი**-ს. შესაბამისად, დიაქრონიულ ასპექტში მას სხვადასხვაგვარი კვალიფიკაცია ეძლევა (გვარის ნიშნების ფუნქციებისა და გენეზისის შესახებ იხ. აგრეთვე გვ. 262, 279).

3. განსხვავებულია **ე** პრეფიქსის კვალიფიკაციაც:

ა) ე პრეფიქსი, საფიქრებელია, თავდაპირველად ყოფილიყო მოქმედებითი გვარის ზმნათა მაწარმოებელი, ანუ ენიანი ვნებითი უნდა მომდინარეობდეს ენიანი მოქმედებითისაგან. ეს ჩანს მოქმედებითის ფორმებში: მივ-ე-ცი, ე-ძიებს... ენიანი ვნებითები ისტორიულად აქტიური ზმნები უნდა ყოფილიყვნენ, შემდგომში დაკარგეს მათ აქტიურობა და იქცნენ პასივებად (ა. შანიძე);

ბ) ე პრეფიქსი შეიძლებოდა ყოფილიყო როგორც ერთპირიანი, ისე ორპირიანი ზმნების ნიშანი (ლ. ნოზაძე);

გ) ე პრეფიქსი წარმოშობით არ არის გვარის ნიშანი. თავდაპირველად, ი, ა, უ ხმოვნების მსგავსად, იგიც უნდა ყოფილიყო სახელებსა და ზმნებში დეიქტიკური ელემენტი, ემფატიკური ხმოვანი (ი. ქავთარაძე), შემდგომ უნდა განვითარებოდა ქცევის ფუნქცია (ა. შანიძე, ი. ქავთარაძე, მ. მაჭავარიანი); ასევე: ე ხმოვნისათვის ამოსავალი იყო ირიბი ობიექტის პოვნიერებაზე მითითება (ბ. ჯორბენაძე), ვნებითი გვარის გამოხატვის ფუნქცია მას მოგვიანებით დაეკისრა.

4. დ. მელიქიშვილის აზრით, ვნებითის ი, ე-პრეფიქსებისა და -დ სუფიქსის გრამატიკული ფუნქციაა ზმნაში მონაწილე პირებს შორის მიმართების ჩვენება, ანუ მათ შეიძლება ეწოდოს პირთა საკორელაციო ნიშნები. შინაარსით კი ეს ხმოვნები შეიძლება გამოხატავდნენ კუთვნილება-დანიშნულებას, ასევე, ლოკალურ მიმართებას...

5. სპეციალისტთა მსჯელობის საგნად იქცა ვნებითის პრეფიქსული და სუფიქსური წარმოების ქრონოლოგიური მიმართების საკითხიც. აღნიშნულია, რომ ვნებითის სუფიქსური წარმოება გვიანდელია პრეფიქსულთან შედარებით. იგი ქართულში მიჩნეულია ქართველურ ენათა დიფერენციაციის შემდგომდროინდელ მოვლენად. ამას ის ფაქტიც ადასტურებს, რომ სვანურში საერთოდ არ ჩანს სუფიქსური წარმოება (გ. მაჭავარიანი), მეგრულშიც მხოლოდ აქა-იქ გვხვდება დონიანი ვნებითი, ისიც ქართულიდან შესულად ივარაუდება (არნ. ჩიქობავა, ი. ქავთარაძე, გ. მაჭავარიანი, ლ. ნოზაძე...).

6. მიუთითებენ, რომ ქართულ სალიტერატურო ენას

ახასიათებს ტენდენცია გააფართოოს სუფიქსური ვნებითების გავრცელების არე პრეფიქსული ვნებითების ხარჯზე. ამ ასპექტით ვნებითის წარმოებაში მომხდარი ოდინდელი ცვლილების პროცესი ასახულია დღემდე შემორჩენილ გაეხარა || გაეხარდა || გაუხარდა, შეეშინა || შეეშინდა || შეშინდა[1]; შეეეჭვა || შეეჭვდა[2]... ზმნათა პარალელურ ფორმებში: მათი ოდენ-პრეფიქსული ფორმები ჯერ კიდევაა დაცული დიალექტებში, ხოლო სალიტერატურო ენაში მართებულად არის მიჩნეული სუფიქსიანი გაუხარდება, გაუხარდა (გამიხარდა, გაგიხარდა)... თუმცა ზოგიერთ ზმნასთან დაშვებულია პარალელიზმიც: შეეშინდა || შეშინდა (ვ. თოფურია, ი. გიგინეიშვილი). ამგვარივე კანოზომიერი ფორმები ჩანს: დაესახლა || დასახლდა, დაეფუძნა || დაფუძნდა; შეეზიზღა || შეზიზღდა და ა. შ.

6.14.4.3. სტატიკური ვნებითი. სტატიკური ვნებითი შინაარსით გამოხატავს მოქმედების შედეგს ანუ საგნის მდგომარეობას. იგი ერთპირიანია ან ორპირიანი: ა) გდია, ყრია, წერია... ბ) აფენია, აწერია, აყრია... ასეთი ზმნები მნიშვნელობით უტოლდება შედგენილ შემასმენელს: ხატია = დახატული არის, თესია = დათესილი არის.

სტატიკურ ზმნათა რაოდენობა ქართულში შედარებით მცირეა. ა. შანიძის მიხედვით, მათი რიცხვი 120-მდე აღწევს. სტატიკური ზმნები აგებულებით სხვადასხვაგვარია, წარმოებაც განსხვავებული აქვთ დინამიკურთან შედარებით.

სტატიკურ ვნებითს ახასიათებს თავისებურებანი:

1) ზმნისწინს არ დაირთავს, უასპექტოა;

---

[1] ვნებითის ორმაგი ნიშნით (თავსართ-ბოლოსართით) წარმოების შემთხვევები დიალექტებში ჯერ კიდევაა შემონახული: დეეძინდა, შეენანდა, მოეწყინდა და ა.შ. (გრ. იმნაიშვილი).

[2] **შეეჭვდა, შეშინდა** ტიპის ფორმების გაჩენა-დამკვიდრება აშკარად მიუთითებს ახალ ენობრივ ტენდენციაზე – ზოგი გარდაუვალი ინვერსიული ზმნა დაუქვემდებაროს პასივის წარმოების საერთო წესს **RS**-ის სახელობით ბრუნვაში ჩასმით: შეეჭვდა **ის**, შეშინდა **ის**, შდრ. ეეჭვება **მას**, ეშინია **მას**... ანალოგიური პროცესი ჩანს უყვარს **მას** – ყვარობს **ის** შემთხვევაშიც.

2) საკუთარი ფორმით ეწარმოება მხოლოდ აწმყოს მწკრივი; მყოფადის წრეს, II და III სერიებს ივსებს შესაბამისი ფუძის დინამიკური **ენიანი** ვნებითისაგან სესხების გზით, ოღონდ უზმნისწინოდ; უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი საერთოდ არა აქვს;

3) აწმყოს მწკრივის I-სა და II პირებში დაირთავს მეშველ ზმნას (რომელიც ძველ ქართულში არ გამოიყენებოდა): ვწერივარ, წერიხარ, წერია. ამგვარი ფორმები ძველ წერილობით ძეგლებში X-XI საუკუნეებიდან დასტურდება. საერთოდ, III პირში სტატიკური ზმნა **-ია**-ზე ბოლოვდება, გამონაკლისია რამდენიმე ფორმა: **აკრავს, ახურავს, უჭირავს...** თუმცა ამ ზმნებშიც, სხვა სტატიკურთა ანალოგიით, სასაუბრო ენაში **-ავ**-ის ნაცვლად არის **-ია:** აკრია, ახურია, უჭერია...

დღეს დიალექტებში აქტიურად მოქმედი უნიფიკაციის ტენდენციით აშკარად შეიმჩნევა სტატიკურ ზმნათა გამოყენების არეალის გაფართოება ე. წ. მედიოპასივთა ხარჯზე: წევს – წვია, დგას – დგია, ზის – ზია / ჯდია, დევს – დვია, უყვარს – უყვარია, სძულს – სძულია და მისთ.

უღლების ნიმუშები

	სტატიკური		დინამიკური
	ერთპირ.	ორპირ.	ორპირ.
ანმყ.	ვ-ნერი-ვარ **მე**	ვ-უ-წერი-ვარ **მე მას**	ვეწერები **მე მას**
უნყვ.	–	–	ვეწერებოდი
ანმყ. კავშ.	–	–	ვეწერებოდე
მყოფ.	ვ-ე-ნერ-ებ-ი	ვ-ე-წერ-ებ-ი	ჩავეწერები
ხოლმ.	ვ-ე-ნერ-ებ-ოდ-ი	ვ-ე-წერ-ებ-ოდ-ი	ჩავეწერებოდი
მყ. კავშ.	ვ-ე-ნერ-ებ-ოდ-ე	ვ-ე-წერ-ებ-ოდ-ე	ჩავეწერებოდე
ნყვეტ.	ვ-ე-წერ-ე	ვ-ე-წერ-ე	ჩავეწერე
II კავშ.	ვ-ე-ნერ-ო	ვ-ე-წერ-ო	ჩავეწერო
I შედეგ.	ვ-ნერებულ-ვარ	ვ-წერები-ვარ	ჩავწერივარ
II შედეგ.	ვ-ნერებულ-იყავ	ვ-წერებ-ოდ-ი	ჩავწეროდი
III კავშ.	ვ-ნერებულ-იყო	ვ-წერებ-ოდ-ე	ჩავწეროდე

ერთპირიანი და ორპირიანი სტატიკური ზმნები მყოფადის წრესა და II სერიას ერთნაირად აწარმოებენ, III-ში კი განსხვავდებიან პირიანობის მიხედვით, დინამიკურთა მსგავსად.

მაშასადამე, სტატიკური ვნებითის წარმოებისათვის ამოსავალია შესაბამისი ფუძის **ენიანი** ვნებითი: რაც ენიანი

ვნებითის აწმყოს წრეა, ის არის სტატიკურის მყოფადი, II და III სერიებში ორივე ტიპის წარმოება მთლიანად ემთხვევა, განსხვავდება მხოლოდ ზმნისწინით.

6.14.4.4. აღწერილობითი ვნებითი. ვნებითის ნიუანსები. ზოგიერთ ზმნას არ უხერხდება ვნებითის ფორმათა წარმოება. ამიტომ მათს მაგივრობას ეწევა აღწერილობითი ანუ პერიფრასტული ვნებითი, რომელშიც საუღლებელი ზმნა წარმოდგენილია მიმღეობის სახით, მწკრივის წარმოება კი ეკისრება **იქნება/იქნა** მეშველ ზმნას.

აღწერილობითი ვნებითი გვხვდება მხოლოდ ერთპირიან სრულასპექტიან ზმნებში, ამიტომ იგი არ შეიძლება იყოს აწმყოს წრეში; არ არჩევს სულიერსა და უსულოს:

ტვირთი გატანილ იქნება – დედა წაყვანილ იქნება
თანხა გაღებულ იქნა – ძმა გაგზავნილ იქნა

მიმღეობა მეშველ ზმნას შეეწყობა ფუძის სახით.

აღწერილობითი ვნებითი მეტწილად გამოიყენება წაყვანა, გატანა, გაღება, შეძენა და მსგავს ზმნებთან, თუმცა დღეს ასეთი ფორმები თანდათან იფართოებს გამოყენების არეს. აღწერითად შეიძლება გამოვლინდეს ორგანული წარმოების ვნებითიც: დალაგებულ იქნა || დალაგდა, გაკეთებულ იქნა || გაკეთდა, გამზადებულ იქნა || გამზადდა...

ვნებითის ნიუანსები. გამომსახველობითი ნიუანსების მიხედვით გამოყოფენ ვნებითის ოთხ ჯგუფს: შესაძლებლობის, მიჩნევის, გუნების, უნებლიობის ვნებითებს (ა. შანიძე).

შესაძლებლობის ვნებითის ფორმა აღნიშნავს, რომ მოქმედება ფიზიკურად შესაძლებელია, დაშვებულია, ნებადართულია: იჭმება [იჭმევა] (ის), ისმება [ისმევა][1], გვეც-

[1] ბ. ჯორბენაძის დაკვირვებით, ვნებითი გვარის ფორმები: იჭმება || იჭმევა, ისმება || ისმევა ფაქტობრივად იდენტურია გრამატიკული სემანტიკის მიხედვით (არც იჭმება, არც ისმება. შდრ. არც იჭმევა, არც ისმევა), მაგრამ პარალელური ფორმების პოვნიერება ხელს უწყობს სემანტიკური სხვაობის დამყარებას: **იჭმება** საკუთრივ ვნებითის ფუნქციას იმკვიდრებს, **იჭმევა** პოტენციალისას; ფორმობრივ კი ეს გაირჩევა **ება, ევ** ფორმანტებით. მაგალითად: „ქორწილში ბევრი საჭმელი **იჭმება**, ბევრი ღვინო **ისმება**... მაგრამ: ყველაფერი **ხომ არ იჭმევა** (=არ შეიძლება შეიჭამოს)".

ხოვრება, დაგვედგომება... ეჭმება (ის მას), ესმება... ერთპირიანიცაა და ორპირიანიც. შესაძლებლობის ვნებითი (ანუ პოტენციალისი: არნ. ჩიქობავა) მეტწილად პრეფიქსიანი წარმოებისაა: ითქმის, ეთქმის (ვისმე რამეო).

მიჩნევის ვნებითის ფორმა მიუთითებს, თუ რად მიაჩნია გრამატიკული **S** გრამატიკულ **O**-ს. ასეთი ზმნა მხოლოდ ორპირიანი და ნასახელარია, გამოხატული ვნებითის **ე**- ნიშნით: ედიდება, ეპატარავება, ებევრება, ეცოტავება, ეუცხოება, ემწარება... „უცხოეთში პატარა ჩხირიც გემშობლიურებათ“...

გუნების ვნებითით ნაჩვენებია, რომ ადამიანის სულიერი განწყობილება მიმართულია ზმნით აღნიშნული მოქმედებისაკენ. ასეთი ვნებითი ორპირიანია, ე-თი ნაწარმოები; პირველადიცაა და ნასახელარიც: მეცინება, მეტირება, მემღერება, მეხალისება...

უნებლიობის ვნებითი ისეთ მოქმედებას აღნიშნავს, რომელიც წინასწარ არ არის განზრახული. იგი შეიძლება მოხდეს სუბიექტის უნებურად. ასეთებია: შემომეხარჯა (ფული), შემოატყდა (ჭიქა), შემოეჭამა (ხილი), შემოაკვდება, შემოგეყიდება (მაღაზიაში რაიმე ნივთი)...

უნებლიობის მაწარმოებლად მიჩნეულია **შემო** ან **წა(მო)** ზმნისწინები (შემომელანძღა, წამომცდა, ხელი წამცდა...). უნებლიობის, როგორც ენობრივი მოვლენის, კვალიფიკაციის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს განსხვავებული მოსაზრებანიც. მაგალითად, ა. ფოცხიშვილის აზრით, უნებლიობა არ არის ვნებითის ნიუანსი; იგი უნდა ჩაითვალოს ზმნის ერთ-ერთ ლექსიკურ-გრამატიკულ კატეგორიად, როგორც გვარი, ქცევა, კონტაქტი, და გამოიყოს გვარის შემდეგ... უნებლიობა საკმაოდ გავრცელებულია ენაში. იგი ვნებითის გარდა მოეპოვება მოქმედებითი გვარის ზმნებსაც. რ. ზექალაშვილის დაკვირვებით კი, უნებლიობა არის არა ცალკე გრამატიკული კატეგორია, არამედ – მოდალობის, როგორც სემანტიკური კატეგორიის, ერთ-ერთი ნიუანსი.

6.14.5. საშუალი გვარი. ქართულში საშუალი გვარი განსაკუთრებით თავისებური, რთული და მრავალფეროვანია, რაც შეპირობებულია ამ ტიპის ზმნათა ფორმობრივ-სემანტი-

კური სხვადასხვაობით. იგი ვერ ქმნის სრულყოფილ პარადიგმას (ვერ აწარმოებს მწკრივის ყველა ფორმას) და არ გააჩნია საკუთარი ადგილი ზმნის უღლების სისტემაში... სწორედ ამიტომ იქცა საშუალი გვარი ლინგვისტიკაში ერთ-ერთ ყველაზე სადავო საკითხად. მაგალითად, არნ. ჩიქობავა მას საერთოდ არ მიიჩნევს გვარის დამოუკიდებელ სახედ და ზოგადად უწოდებს უგვარო სტატიკურ ზმნას.

საშუალი გვარის გამოყოფის საფუძველი არსებითად ფუნქციურია. იგი გვიჩვენებს, რომ სუბიექტი მოქმედებს, მაგრამ არ მოეპოვება სამოქმედო ობიექტი; ამიტომაა, რომ ასეთი ზმნები ერთმანეთისაგან განსხვავდება ფორმობრივ-სემანტიკურად: ზოგი ფორმით მოქმედებითს ჰგავს, ფუნქციით – ვნებითს. ზოგიერთი მათგანი სტატიკურთა მსგავსად მიუთითებს შედეგზე (წევს = დაწოლილი არის, დგას = დამდგარია...). ამ ჯგუფის ზმნებს მაწარმოებელი ნიშანი არა აქვს.

საშუალი გვარის ზმნა გარდაუვალია, შეიძლება იყოს ერთპირიანი (დგას, წევს, დუღს, ჭიკჭიკებს...) ან ორპირიანი (უწუხს, უყვარს, მოსწონს...).

საშუალი გვარის ზმნას ახასიათებს თავისებურებანი:

1) არ დაირთავს ზმნისწინს და ასპექტსაც ვერ აწარმოებს (მცირე ნაწილს ზმნისწინი აქვს მხოლოდ მიმართულების გამოსახატავად: მიდის – მოდის, შევიდა – გავიდა...);

2) არის მწკრივნაკლი: საკუთარი აქვს მხოლოდ აწმყოს მწკრივი ან აწმყოს წრე, დანარჩენ ფორმებს ივსებს შესაბამისი ფუძის მოქმედებითი ან ვნებითი გვარის ზმნათაგან.

ნასესხებ ფორმათა მიხედვით, ა. შანიძემ საშუალი გვარის ზმნები დაყო ორ ჯგუფად: საშუალ-მოქმედებითად (მედიოაქტივი) და საშუალ-ვნებითად (მედიოპასივი).

მედიოაქტივია ზმნა, რომელიც დანაკლის მწკრივებს ივსებს მოქმედებითი გვარისაგან სასუბიექტო ქცევის ფორმით, ოღონდ პირდაპირი ობიექტის გამორიცხვით. ამის გამო მედიოაქტივები ავლენენ მოქმედებითის თვისებებს: S II სერიაში მოთხრობითშია, III-ში – მიცემითში. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ მედიოაქტივს არ შეეწყობა პირდაპი-

რი **O** და ქცევის გაგება საერთოდ არა აქვს (ზმნის ფორმაში წარმოდგენილი **ი-** პრეფიქსი უფუნქციოა).

მედიოაქტივ ზმნათა რიცხვი დიდია. ასეთებია: ძირითადად **ცხოვრობს, ჩქარობს, დუღს, წვიმს** ტიპისა, აგრეთვე: ა) **-იალ-**ზე დაბოლოებული (სრიალებს, ტრიალებს...), ბ) ხმიანობის გამომცემი (გალობს, ჭიკჭიკებს...), გ) მეორეული წარმოშობის ზმნები (თევზაობს, გორაობს)...

უღლების ნიმუშები

	მედიოაქტივი	მოქმედებითი გვარი
აწმყ.	დუღ-ს (ის)	ი-დუღ-ებ-ს (ის მას)
უწყვ.	დუღ-დ-ა	ი-დუღ-ებ-დ-ა
აწმყ. კავშ.	დუღ-დ-ეს	ი-დუღ-ებ-დ-ეს
მყოფ.	ი-დუღ-ებ-ს	ა-ი-დუღ-ებ-ს
ხოლმ.	ი-დუღ-ებ-დ-ა	ა-ი-დუღ-ებ-დ-ა
მყ. კავშ.	ი-დუღ-ებ-დ-ეს	ა-ი-დუღ-ებ-დ-ეს
წყვეტ.	ი-დუღ-ა (მან)	ა-ი-დუღ-ა (მან ის)
II კავშ.	ი-დუღ-ო-ს	ა-ი-დუღ-ო-ს
I შედეგ.	უ-დუღ-ი-ა (მას)	ა-უ-დუღ-ებ-ი-ა (მას ის)
II შედეგ.	ე-დუღ-ა	ა-ე-დუღ-ებ-ი-ნ-ა
III კავშ.	ე-დუღ-ო-ს	ა-ე-დუღ-ებ-ი-ნ-ო-ს

მაშასადამე, მედიოაქტივს საკუთარი აქვს აწმყოს წრე, დანარჩენი შევსებულია მოქმედებითისაგან. კერძოდ: რაც მოქმედებითის აწმყოა, ის მედიოაქტივის მყოფადის წრეა, II სერიას განასხვავებს მხოლოდ ზმნისწინი, III-ს კი – თემის ნიშანიც. ამ ორი გვარის ზმნებს შორის საერთოა ბრუნვაცვალებადი სუბიექტი, სავრცობი და მწკრივის ნიშნები. გარდა ამისა, მედიოაქტივის (ნასესხებ) ფორმაში თავს იჩენს **ი-** პრეფიქსი, რომელიც უფუნქციო ხდება, რადგან მას პირდ. **O** არ შეეწყობა, (მეფობს – **ი**მეფებს, **ი**მეფა); მედიოაქტივების აწმყოსა და მყოფადის წრე ზოგჯერ განსხვავებულია თემის ნიშნებითაც: ცხოვრობს – იცხოვრებს. II და III სერიებს მე-

დიოაქტივები ისევე აწარმოებენ, როგორც შესაბამისი ფუძის მოქმედებითი გვარის ზმნები (პირდ. **O**-ის გარეშე).

მ ე დ ი ო პ ა ს ი ვ ი ზმნა დანაკლის ფორმებს ივსებს ვნებითისაგან. ასეთ ზმნათა რიცხვი გაცილებით მცირეა (დგას, წევს, ზის, უყვარს, სძინავს...), თუმცა ფორმობრივ-სემანტიკურად უფრო მრავალფეროვანია.

ისინი ძირითადად გამოხატავენ:

ა) მდგომარეობას: დგას, ზის, წევს[1]...

ბ) გრძნობას: უყვარს, სძულს, მოსწონს...

გ) ყოლა-ქონას: აქვს, ჰყავს

დ) სხვადასხვა შინაარსს: ღირს, სძინავს, სწამს, სჯერა...

მედიოპასივი ზმნები ერთმანეთისაგან მწკრივთა წარმოებითაც განსხვავდება. გამოიყოფა ორი ქვეჯგუფი:

1) აკლიათ უწყვეტელი და აწმყოს კავშირებითი;

2) აკლიათ II სერიის მწკრივები.

შენიშვნა: მედიოპასივებს ძველად მარტივი უღლება ჰქონდათ (ვდგა, ჰზი...), შემდგომ მათი ფორმა გართულდა I-სა და II პირებში მეშველი ზმნის დართვით: ვდგა-ვარ, ზი-ხარ...

მედიოპასივები უღლების დროს დანაკლისი მწკრივების საწარმოებლად იყენებენ ვნებითებს: ერთპირიანი – ინიანს, ორპირიანი – ენიანს. მწკრივის ნიშნები და სავრცობი საერთოა.

უღლების ნიმუშები

	ერთპირიანი	ორპირიანი
აწმყ.	ვ-დგა-ვ-არ/-თ	ვ-უ-ყვარ-ვარ/-თ
	დგა-ხ-არ/-თ	უ-ყვარ-ხარ/-თ
	დგა-ს/-ნ-ან	უ-ყვარ-ს/-თ
უწყვეტ.	—	ვ-უ-ყვარ-დ-ი/-თ
		უ-ყვარ-დ-ი/-თ
		უ-ყვარ-დ-ა/-თ
აწმყ. კავშ.	—	ვ-უ-ყვარ-დ-ე/-თ

[1] სპეციალურ ლიტერატურაში ამ ტიპის ზმნათა აღსანიშნავად ასევე გამოყენებულია ტერმინი „მდგომარეობითი ზმნები" (ბ. ჯორბენაძე).

მყოფ.	ვ-ი-დგებ-ი/-თ	უ-ყვარ-დ-ე/-თ
	ი-დგებ-ი/-თ	უ-ყვარ-დ-ე-ს/-თ
	ი-დგ-ებ-ა/ი-ან	ვ-ე-ყვარ-ებ-ი/-თ
		ე-ყვარ-ებ-ი/-თ
ხოლმ.	ვ-ი-დგებ-ოდ-ი/-თ	ე-ყვარ-ებ-ა/-თ
	ი-დგებ-ოდ-ი/-თ	
	ი-დგ-ებ-ოდ-ა/-ნენ	ვ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ი/-თ
		ე-ყვარ-ებ-ოდ-ი/-თ
მყ. კავშ.	ვ-ი-დგებ-ოდ-ე/-თ	ე-ყვარ-ებ-ოდ-ა/-თ
	ი-დგებ-ოდ-ე/-თ	
	ი-დგ-ებ-ოდ-ე-ს/-ნენ	ვ-ე-ყვარ-ებ-ოდ-ე/-თ
ნყვეტ.	ვ-ი-დექ-ი/-თ	ე-ყვარ-ებ-ოდ-ე/-თ
	ი-დექ-ი/-თ	ე-ყვარ-ებ-ოდ-ე-ს/-თ
	ი-დგ-ა/ -ნენ	–
		–
II კავშ.	ვ-ი-დგ-ე/-თ	–
	ი-დგ-ე/-თ	
	ი-დგ-ე-ს/-ნენ	–
		–
		–
I შედეგ.	ვ-მდგარ-ვ-არ/-თ	
	მდგარ-ხარ/-თ	ვ-ყვარები-ვ-არ/-თ
	მდგარ-ა/-ან	ჰ-ყვარები-ხ-არ/-თ
		ჰ-ყვარები-ა/-თ
II შედეგ.	ვ-მ-დგარ-ი-ყავ(ი) /-თ	
	მ-დგარ-ი-ყავ(ი) /-თ	ვ-ყვარებ-ოდ-ი/-თ
	მ-დგარ-იყო/-ნენ	ჰ-ყვარებ-ოდ-ი/-თ
		ჰ-ყვარებ-ოდ-ა/-თ
III კავშ.	ვ-მ-დგარ-იყო/-თ	
	მდგარ-იყო/თ	ვ-ყვარებ-ოდ-ე/-თ
	მდგარ-იყო-ს/-ნენ	ჰ-ყვარებ-ოდ-ე/-თ
		ჰ-ყვარებ-ოდ-ე-ს/-თ

მედიოპასივ ზმნათა უღლება შესაბამისი ვნებითის მსგავსად III სერიაში განსხვავებულია პირთა რაოდენობის მიხედვით.

საშუალი გვარის ზოგიერთ ზმნას მხოლოდ აწმყოს წრის მწკრივები აქვს: ჩანს (ჩანდა, ჩანდეს), მწიფს, დუმს, ყვავის, უკვირს...

დღეს ზეპირ მეტყველებაში, განსაკუთრებით დასავლურ დიალექტებში, შეიმჩნევა ზოგიერთი მედიოპასივი

ზმნის: წევს, დგას, ზის, დევს, უყვარს... პარალელური ფორმები: წვია, დგია, ზია/ჯდია, დვია, უყვარია... ჩანს, უნიფიკაციის ტენდენციით, სტატიკურობის სემანტიკის გამოსახატავად ენა ცდილობს, ყველა ტიპის ზმნაში გამოიყენოს **-ია** დაბოლოებიანი ყალიბი (შდრ. აფენია, ხატია...).

მედიოაქტივ და მედიოპასივ ზმნათა გასარჩევად არსებობს პრაქტიკული წესი: თუ გამოსაცნობი ზმნის სუბიექტი II სერიაში მოთხრობით ბრუნვაში ჩადგება, მაშინ ზმნა მედიოაქტივია, თუკი ბრუნვა არ შეიცვალა (ისევ სახელობითში დარჩა), მედიოპასივი იქნება:

ცხოვრობს **ის** – იცხოვრა **მან** (მედიოაქტივი)
დგას **ის** – იდგა **ის** (მედიოპასივი).

6.14.5.1. მედიოაქტივ ზმნათა კვალიფიკაციის საკითხისათვის. თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში განსაკუთრებით საკამათოა მედიოაქტივ ზმნათა კვალიფიკაცია. ამასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრება:

1. ჰანს ფოგტი **ცხოვრობს** ტიპის ზმნებს უწოდებდა „ფსევდოაქტიურებს", ვ. თოფურია და ლ. ნოზაძე – დინამიკურ მედიოაქტივებს, არნ. ჩიქობავა – სტატიკურებს, ბ. ჯორბენაძე კი ამ ზმნათა სემანტიკაში ხედავდა მოქმედების პროცესის სტატიკურად წარმოსახვას.

აქტიურობის თეორიის დამცველთა აზრით, ზმნის აქტიური სემანტიკა რეალიზებულია სინტაქსის დონეზე – **S** დგას მოთხრობით ბრუნვაში. ტერმინი „აქტიური" სწორედ აქტიური ბრუნვიდან იღებს სათავეს (მ. სუხიშვილი).

2. ა. შანიძე **თამაშობს** ტიპის ერთპირიან ზმნებს გარდაუვლად მიიჩნევს, ორპირიანებს (თამაშობს ის მას) – გარდამავლად, არნ. ჩიქობავა კი ამ უკანასკნელთ აწმყოს წრეში განიხილავს გარდაუვლად, მის შემავსებელს მეორე სერიაში (ითამაშა მან ის) – გარდამავლად; თამაშობს და **ი**თამაშებს – ითამაშა ერთი და იგივე ოდენობა რომ არაა, ამას მოწმობს **ი** პრეფიქსი და თემის ნიშანთა მონაცვლეობა.

3. ო. დეისაძე **იცხოვრა** ტიპის ზმნებს განიხილავდა, როგორც დეფექტურად გარდამავალს, მოქმედები-

თის ფორმას. მისი აზრით, რადგან ზმნას პირდაპირი **O** არ შეეწყობა, ამიტომ არ არის მოქმედებითი გვარისა, მაგრამ ფორმით მოქმედებითია („მოქმედებითის ფორმა“).

4. მედიოქტივ ზმნათაგან წარმოების მიხედვით საინტერესოა აგრეთვე **დუღს, წუხს, ბიბინებს** ტიპის ზმნები. დღეს სამწერლობო ქართულსა და ზეპირ მეტყველებაში ამგვარ ზმნათათვის II და III სერიის ნაკლულ მწკრივთა შესავსებად ძველიდან მომდინარე ე. წ. მედიოაქტივ ფორმათა პარალელურად გამოიყენება შესაბამისი ფუძის დონიანი ვნებითიც: დუღს – იდუღა **მან** || ადუღდა **ის**, უდუღია **მას** || ადუღებულა **ის**; წუხს – იწუხა **მან** || შეწუხდა **ის**, უწუხია **მას** || შეწუხებულა **ის**; ბიბინებს – იბიბინა **მან** || აბიბინდა **ის**.

ჩანს, ენაში იკვეთება ახალი ტენდენცია – გარდაუვალი ზმნები მოაქციოს წარმოების ერთ ყალიბში: დუღდება, ადუღდა, ადუღებულა; წუხდება, შეწუხდა, შეწუხებულა... და მოხმარების სიხშირის გათვალისწინებით პარალელურ ფორმათაგან უპირატესობა მიანიჭოს დონიან ვნებითს, რომელიც დასაშვებ წარმოებადაა მიჩნეული სპეციალურ ლიტერატურაშიც (არნ. ჩიქობავა, ე. ბაბუნაშვილი, ა. შანიძე, ზ. ჭუმბურიძე...). სწორედ ამგვარ ფორმათა მიხედვით, ე. ბაბუნაშვილმა გამოყო საშუალი გვარის ზმნათა სამი ჯგუფი: 1) მედიოქტივი (იცხოვრა მან), 2) მედიოპასივი (იწვა ის), 3) მედიოაქტივ-მედიოპასივი (იწუხა მან || შეწუხდა ის).

5. მედიოქტივ ზმნებთან დაკავშირებით განსხვავებული, მაგრამ საინტერესო მოსაზრებებია გამოთქმული აგრეთვე ბ. ჯორბენაძის, ლ. ნოზაძის, მ. სუხიშვილის, დ. მელიქიშვილის, ი. ასათიანისა და სხვათა ნაშრომებში.

6.14.6. გვარის ფორმათა წარმოების ზოგიერთი თავისებურება მართლწერის საკითხებითურთ

1. უ გ ვ ა რ ო ზ მ ნ ე ბ ი. ტრადიციული თვალსაზრისით, ქართულში გვარის კატეგორია კარგადაა ჩამოყალიბებული. ზმნათა უმრავლესობას მოეპოვება საპირისპირო ფორმები, ზოგი მათგანი სათანადო აფიქსითაცაა გამოხატული:

ამწიფებს მოქმედებითია, **მწიფდება** – ვნებითი, **მწიფს** – საშუალი... მაგრამ ამათ გვერდით გამოიყოფა ზმნები, რომელთაც აკლიათ საპირისპირო ფორმები და არ ხერხდება გვარის რომელიმე სახედ მიჩნევა. ასეთ ზმნებს უ გ ვ ა რ ო ზმნებს უწოდებენ. ესენია: არის, იცის, უწყის, სწამს, ღირს...

შესაძლოა, გვარის ფორმამ ისე იცვალოს შინაარსი, რომ მნიშვნელობით დასცილდეს ოდესღაც საკორელაციო ფორმებს და ამით სულ გამოვიდეს გვარის კატეგორიიდან. მაგ., **გაყო** – მოქმედებითია, **გაიყო** – მისი ვნებითი (ორად გაყო, ორად გაიყო). ერთსაც და მეორესაც ზმნისწინი აქვს (ძველ ქართულში უზმნისწინო **ყო** (ჰყოფს, იყოფის...) და მისი კონვერსიული **იყო** მიუთითებდა ქმნაზე, კეთებაზე, ყოფაზე). უზმნისწინო **ყო** (შდრ. ცხადყო, ნათელყო...) დღეს ცალკე აღარ იხმარება. დარჩა მისი საპირისპირო **იყო**, მაგრამ მას დაეკარგა ვნებითის მნიშვნელობა, უგვარო გახდა (ა. შანიძე).

იყო ახალ ქართულში უგვაროა, თუმცა ზმნაში ისტორიული ნიშანი შენარჩუნებულია. **იყო** ზოგჯერ მეშველ ზმნადაც გამოიყენება, **არის** ზმნის გაგრძელებაა (აღნიშნავს არსებობას, ყოფნას) და სტატიკურთა პარადიგმაში დგას; სტატიკურობა მისთვის მეორეულია (მ. შინჯიაშვილი). **ი-ყ-ო** ფორმაში **ი**, ისტორიულად ვნებითის ნიშანი, დღეს უფუნქციოა.

2. დ ე პ ო ნ ე ნ ს ე ბ ი. სამეცნიერო ლიტერატურაში ცალკე გამოყოფენ ისეთ ზმნებს, რომლებშიც **GS** რეალურად მოქმედია: იგინება, ილანძღება, იკბინება, ისწავლება, იფიცება, იძლევა... მათ ფორმა პასივისა აქვთ და მნიშვნელობა – აქტივისა. რადგან ეს ზმნები ვერ თავსდება ზმნის გვარის ტრადიციულ ყალიბში, ამიტომ უწოდებენ მათ დ ე პ ო ნ ე ნ ს ე ბ ს (ა. შანიძე). დ. მელიქიშვილის დაკვირვებით, სწორედ დეპონენსები აჩვენებს ტრადიციულ გრამატიკებში აქტივისა და პასივის მიმართების ასპექტით არსებულ წინააღმდეგობას, რომელიც ჩანს ასევე **ე** პრეფიქსიან „მეტყველების წრისა" და აქტიური სუბიექტის მქონე ვნებითად მიჩნეულ სხვა ზმნებშიც: ეკითხება, ეტყვის, ეჩხუბება, უყვება, იტყვის...

3. გვარის კატეგორია მკაფიოდ გამოხატულია I-სა და

II სერიაში, III-ში განსხვავებული ვითარებაა, რადგან აქ გარდამავალი ზმნები ინვერსიულნი არიან, გარდაუვალები კი ამოსავალ ფუძედ იყენებენ მეშველზმნიან წარმოებას.

4. ჩვეულებრივ, მოქმედებითი გვარის ზმნა გარდამავალია, ვნებითი და საშუალი – გარდაუვალი. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ საშუალი გვარის ზმნაც, ნასესხები აქტიური ფორმების ანალოგიით, შეიძლება იყოს გარდამავალიც (ე. ბაბუნაშვილი).

გვარის ფორმათა მართლწერა

1) თუ **ინ**იანი ვნებითის ფორმას **მი-** ზმნისწინი დაერთო, თავს მოიყრის ორი **ი**: მი-იმალა, მი-იპარება, მი-იზლაზნება, მი-იწურება, მი-ილევა...

2) **ენ**იანი ვნებითის ფორმაში **შე-** ზმნისწინის დართვისას ორი **ე** უნდა: შე-ე-ჭიდა, შე-ე-პარა, შე-ე-ჩვია. თუ ასეთ შემთხვევაში ზმნის ძირი იწყება **ე** ხმოვნით, მაშინ მოსალოდნელია სამი **ე**: ეჭვი > ეეჭვება > შე-ე-ეჭვა. ორთოგრაფიული ლექსიკონის მიხედვით, მართებულია: ეეჭვება, ეეჭვა; ეეჭვოს – უზმნისწინო ენიანი ვნებითის ფორმები, მაგრამ **შე** ზმისწინის შემთხვევაში **შეეეჭვა**-ს ნაცვლად დასახელებულია შეეჭვდება, შეეჭვდა, რომელშიც ამოსავალია ამ ზმნის პარალელური ფორმა – დონიანი ვნებითი და არა: ენიანი.

3) თუ ზმნის ფუძე **დ** თანხმოვანზე ბოლოვდება, ვნებითის **დ** სუფიქსის დართვისას ორი **დ** იქნება: ბინდი > ბინდ-დ-ება, ცხადი > ცხად-დ-ება, დიდი > დიდ-დ-ება, გულადი > გულად-დ-ება...

4) აღწერილობითი ვნებითის მიმღეობა ფუძის სახით იხმარება, თუ იგი უსწრებს მეშველ ზმნას, მაგრამ, თუკი მოსდევს, მაშინ სახელობითის ფორმაა საჭირო: (თანხა) გაღებულ იქნა, წაკითხულ იქნება/იქნეს... მაგრამ: იქნა გაღებული, იქნება/იქნეს წაკითხული.

5) სუბიექტის განცდა-მდგომარეობის გამომხატველ მედიოაქტივ ზმნებთან მეშველი ზმნის გამოყენება არასწორია. უნდა იყოს: ვყვირი, ვტირი, ვტყუი, ვკრთი, ვმღერი, ვხტი... და არა: ვყვირივარ, ვტირივარ, ვტყუივარ, ვკრთივარ, ვმღერივარ, ვხტივარ...

6.14.7. გვარის კატეგორიის შესწავლის ისტორიისათვის. ქართველურ ენებში გვარი კარგად ჩამოყალიბებული გრამატიკული კატეგორიაა. მის შესწავლას საგანგებო ყუ-

რადღება ექცეოდა ქართული ენის პირველ გრამატიკებშიც. მაგალითად, ანტონ I-ის დაკვირვებით, ქართულში გვარი (მისი ტერმინოლოგიით – „ნათესავი") არის სამი სახის: შემოქმედებითი, ვნებითი და უმეშვეობითი. უმეშვეობითი (საშუალი) „ნათესავი" იყოფა ხატშემოქმედებითად და ხატვნებითად (ე. წ. საშუალ-მოქმედებითად და საშუალ-ვნებითად).

ძველი ქართველი გრამატიკოსები მეტ-ნაკლებად იმეორებდნენ ანტონის დებულებებს გვართან დაკავშირებით. ისინი მსჯელობდნენ აგრეთვე გვარის მაწარმოებელ ნიშნებზე: **ა** ხმოვანს უკავშირებდნენ მოქმედებით გვარს (**აშენებს** ტიპისას) და უპირისპირებდნენ ვნებითის **ი** და **ე** პრეფიქსებს; შემჩნეულია დეპონენსური ზმნების თავისებურებანი, დიფერენცირებულია **ინიანი**, **ენიანი** და **დონიანი** ვნებითები... „შეიძლება ითქვას, რომ პირველი პერიოდის ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში მომზადდა სათანადო ნიადაგი გრამატიკული გვარის რაოდენობისა და მაწარმოებელი აფიქსების დასაზუსტებლად ქართულ ენაში" (გრ. იმნაიშვილი).

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან იწყება ახალი ეტაპი ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში. შესაბამისად, გვარის კატეგორიის შესწავლაც წარიმართა უფრო მრავალმხრივი ასპექტით. მართალია, გვარის კატეგორიის მეცნიერული კვლევა ა. შანიძის სახელს უკავშირდება, მაგრამ ქართული გვარი იმდენად რთული და მრავალფეროვანია, რომ მის შესახებ უამრავი მსგავსი თუ განსხვავებული თვალსაზრისია გამოთქმული. მაგალითად, ერთ-ერთ სადავო პრობლემად კვლავ რჩება გვარის (როგორც კატეგორიის) არსის გარკვევა, ანუ გ ვ ა რ ი ს ს ტ ა ტ უ ს ი ს დადგენა. შესაბამისად, არსებობს საკითხის არაერთგვაროვანი კვალიფიკაციები, რომელთა მიხედვით, ქართულში გვარი არის **ლექსიკურ-გრამატიკული** (ა. შანიძე), **სინტაქსურ-მორფოლოგიური** (ფ. ერთელიშვილი), **მორფოლოგიური** (გ. ნებიერიძე, ა. ონიანი), **სინტაქსური** (რ. ასათიანი)... კატეგორია. დ. მელიქიშვილის აზრით, გვარი ვერ ჩაითვლება ქართული ზმნის გრამატიკულად მარკირებულ კატეგორიად, ზმნის უღლება-

დი ფორმების მორფოსინტაქსური პრინციპის საფუძველზე საჭიროა გამოიყოს **დიათეზის** გრამატიკული კატეგორია, რომლის სემანტიკური ნიშნით გამოყოფილი ქვესახე არის გვარი (დიათეზის მოკლე მიმოხილვა, მისი ძირითადი დებულებები, იხ. გვ. 264-269).

დღეს ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში გვარის სახეთა რაოდენობის საკითხზე გამოკვეთილია სამი ძირითადი თვალსაზრისი:

1) ქართულში გვარი სამია: მოქმედებითი, ვნებითი, საშუალი (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე...);

2) ქართულში გვარი ორია: მოქმედებითი და ვნებითი (არნ. ჩიქობავა, გ. მაჭავარიანი, გ. ნებიერიძე...);

3) საშუალი გვარი არის გვარის კატეგორიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი, მაგრამ ამავე დროს სტატიკური ზმნაა. „მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს საშუალი გვარის ზმნა უპირისპირდება, როგორც სტატიკური ფორმა – დინამიკურს“ (ბ. ჯორბენაძე).

როგორც აღინიშნა, ქართულში ფორმობრივ-სემატიკურად განსაკუთრებით რთულია საშუალი გვარი, ამიტომ მის მეცნიერულ შესწავლას აქვს ზოგადთეორიული და პრაქტიკული ღირებულება, რამდენადაც ინდოევროპულ ენებში საშუალი გვარის კატეგორიის საკითხი ჯერ კიდევ ღიად რჩება. ამის გამო იყო, რომ 1930 წელს გამოცემულ გრამატიკაში ა. შანიძე ამ ტიპის ზმნებს ცალკე არ გამოყოფდა, მათ უგვარო ფორმებად თვლიდა, მაგრამ შემდეგ მართებულად მიიჩნია საშუალი გვარის დამოუკიდებელ სახედ გამოყოფა. და მას შემდეგ ქართულ ლინგვისტიკაში ტრადიციულად დამკვიდრდა გვარის კატეგორიის სამწევრა სისტემა. ამ თვალსაზრისს იზიარებენ: ვ. თოფურია, ი. იმნაიშვილი ა. კიზირია, ი. ქავთარაძე, ფ. ერთელიშვილი, ლ. კიკნაძე, ლ. ბარამიძე, ბ. ჯორბენაძე და სხვები.

არნ. ჩიქობავა თავის ადრინდელ შრომებში არ უარყოფდა საშუალი გვარის არსებობას, მაგრამ მოგვიანებით ჩამოაყალიბა განსხვავებული შეხედულება: საშუალი ზმნები უგვარო სტატიკური ზმნებია, ისეთივე, როგორიც სტატიკური ვნებითები. ორივე მათგანი ქმნის გარდაუვალ ზმნათა ერთ-ერთ

ჯგუფს. საანალიზო ფორმები უგვარო სტატიკურ ზმნებად მიაჩნიათ გ. მაჭავარიანს, ეკ. ოსიძეს, მ. სუხიშვილსა და სხვებს.[1]

ქართული გვარის შესახებ საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული აგრეთვე ოთ. დეისაძის, გრ. იმნაიშვილის, ნ. ლოლაძის, ნ. ჯორბენაძის... მონოგრაფიებსა და სხვათა ცალკეულ გამოკვლევებში.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებულ მოსაზრებათა გათვალისწინებითა და წლების მანძილზე სტუდენტურ აუდიტორიაში სასწავლო პრაქტიკიდან გამომდინარე, ჩვენ დასაშვებად მიგვაჩნია ასეთი კვალიფიკაციაც: ქართულში ზმნა შეიძლება იყოს აქტიური ან პასიური, ე. ი. გვარის კატეგორიაში გამოიყოს ორწევრა ოპოზიცია – მოქმედებითისა და ვნებითისა. რაც შეეხება ე. წ. **საშუალი**[2] გვარის ზმნებს, ისინი შეიძლება ასე გადანაწილდეს: აწმყოს წრის მწკრივებში მდგარი ფორმები ჩაითვალოს **უგვარო** ზმნებად, ე. წ. მედიოაქტივები (მყოფადის წრის, II და III სერიის ფორმები) მიეკუთვნოს აქტივებს – მოქმედებით გვარს, ხოლო მედიოპასივები – ვნებითებს.

6.15. დიათეზა

თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში არსებობს ზმნის უღლებადი ფორმების დაჯგუფების განსხვავებული, მორფოსინტაქსური პრინციპი, რომლის საფუძველზეც დ. მელიქიშვილმა გამოყო დიათეზის გრამატიკული კატეგორია.

ავტორის განსაზღვრებით, **დიათეზა არის გრამატიკულად მარკირებული, სტრუქტურითა და კონსტრუქციის ერთიანობით განსაზღვრული კატეგორია, რომლის სემანტიკური ნიშნით გამოყოფილი ქვესახე არის გვარი.** დიათეზების ფარგლებში გვარი ვერ ჩაითვლება ქართული ზმნის გრამატიკულად მარკირებულ კატეგორიად, რადგანაც მასში შემავა-

---

[1] ა. დავითიანმა გვართან დაკავშირებით შემოიტანა ახალი ტერმინები: მოქმედებითსა და ვნებითს უწოდა „ნამდვილი გვარი“, რომელსაც დაუპირისპირა საშუალი გვარი – „არანამდვილი გვარი“.

[2] ტრადიციული ტერმინი „საშუალიც“ (მედიუმი) ხომ მიუთითებს იმაზე, რომ ამ ტიპის ზმნებს შუალედური ადგილი უჭირავთ მოქმედებითსა და ვნებითს შორის.

ლი სამი **სემანტიკურად მარკირებული** გვარის – **ავტოაქტივის** (რეფლექსივის, ე.ი. თვითმოქმედი სუბიექტის მქონე, უკუქცევითი ზმნების), **აქტივისა** და **პასივის** გრამატიკული მახასიათებლები საზიაროა: კერძოდ, ერგატიული კონსტრუქციის ავტოაქტივისა და აქტივის სტრუქტურა (R-Ø)* ერთნაირია. ნომინატიური კონსტრუქციის პასივის, ირიბობიექტიანი აქტივისა და ავტოაქტივის (R-ი) სტრუქტურაც ერთნაირია. კონვერსიით მიღებული ორგანული ფორმა ხშირად არ იძლევა პასიურ შინაარსს. ამიტომ პოლისემიის დასაძლევად საკუთრივ პასივის ფუნქციის გამოსახატავად ძველსავე ქართულში ჩამოყალიბდა ავტოაქტივისა და აქტივისაგან განსხვავებული ფორმა: აღწერითი კონსტრუქცია (ნამყო დრ. მიმღ. + „იქმნა“ მეშვ. ზმნა: განგდებულ ვიქმენი/ იქმნა), რომელიც ისტორიულად მეორეულია და ტიპოლოგიურად არ თავსდება ქართველური ზმნის ამოსავალი სისტემის – დიათეზის ფარგლებში.

დიათეზა საერთოქართველური ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციისათვის ამოსავალი სქემაა, რომელმაც მეგრულსა და ლაზურში ენების განვითარების გზაზე გარკვეული ცვლილებები განიცადა.

უღლების ტიპების კლასიფიკაცია დიათეზების მიხედვით ხდება ქართული ზმნის სტრუქტურისა და კონსტრუქციის ანალიზის საფუძველზე, რაც წარმოაჩენს დიათეზის კატეგორიის კერძო გამოვლინებების (ვერსია, რეფლექსივი, გვარი, კაუზატივი) საფეხურებრივი ჩამოყალიბების ისტორიულ პროცესს. გამოიყოფა დიათეზების სამი ჯგუფი. თითოეული დიათეზა მორფოლოგიური სტრუქტურისა და სინტაქსური კონსტრუქციის ერთიანობით ხასიათდება.

I დიათეზაში გაერთიანებულია ორი სემანტიკური ქვეჯგუფი: **ავტოაქტიური** (თვითმოქმედი) (ნაკლული კონსტრუქციისაა – არ შეიცავს პირდაპირ ობიექტს) – და **აქტიური** სუბიექტის შემცველი ზმნები, რომელთა ორივე ქვეჯგუფის **GS** ბრუნვაცვალებადია:

---

* პირობით ნიშნებში R-ით აღნიშნულია ზმნური ძირი, [th.suf.] ნიშნავს „თემის ნიშნებით“ გართულებულ ზმნურ ძირს, ხოლო Ø – ნულოვან სუფიქსს.

სახელობითი: წუხს ის; წერს ის მას – I სერია

მოთხრობითი: იწუხა მან; დაწერა მან ის – II სერია.

ლაბილური კონსტრუქციის ავტოაქტიური ზმნების შინაგანი პირდაპირი ობიექტი ხან ამოტივტივდება, ხან იკარგება. მაგალითად: თამაშობს ის – თამაშობს ის მას, ლაპარაკობს ის – ლაპარაკობს ის მას, სწავლობს ის – სწავლობს ის მას, უჩხიკინებს ის მას მას – უჩხიკინებს ის მას, უკირკიტებს ის მას...

I დიათეზის ორივე ქვეჯგუფი აქტიურსუბიექტიანია.

II დიათეზაში გაერთიანებულია სრული კონსტრუქციის მქონე აბსოლუტურგარდაუვალი და რელატიურგარდაუვალი (ირიბგარდამავალი) დინამიკური ზმნები, რომელთა **GS** და **GO** (ირიბი) ბრუნვაუცვლელია:

სახელობითი: ვთბები მე; ვი/ეზრდები მე/მე მას – I სერია

სახელობითი: გავთბი მე; გავი/ეზარდე მე/მე მას – II სერია.

II დიათეზაში გაერთიანებულ ზმნათა აწმყოს სტრუქტურაა **Ø-R-ებ-ი, Ø-R-დ-ებ-ი,** იშვიათად გვხვდება, **ევ, ემ** არქაული თემის ნიშნები. ამათგან ერთი ნაწილის სტრუქტურა ძირეულია (ე.წ. **თბება** ტიპის ზმნები), მეორე ნაწილისა კი წარმოქმნილია აქტივის ფორმათა კონვერსიის გზით (**ი/ეზრდება, ი/ემალება**), რომელიც ყოველთვის არ იძლევა პასივის შინაარსს. ამავე დიათეზას განეკუთვნება **-დ** სუფიქსიანი ნასახელარი ზმნები (თეთრი – თეთრდება, მეფდება...). -დ სუფიქსი სახელისაგან ზმნის მაწარმოებელი მაინტენსივებელი სუფიქსია.

II ქვეჯგუფს ქმნიან დინამიკურ ზმნათა შესაბამისი არასრული კონსტრუქციის სტატიკური ზმნები, რომელთა აწმყოს თემა ასევე **-ი** სუფიქსიანია, ოღონდ მარტივი, მადინამიკურებელი თემატური სუფიქსის გარეშე (**ვწერი-ვარ მე – (ს)წერია ის,** ძვ. **ვსწერიე, წერიე-ს**).

თბება ტიპისა და **-დ** სუფიქსიანი ზმნების ერთპირიანი ფორმები, ასევე ე.წ. დეპონენსები: იკბინება, ილოცება, ისუსხება... სემანტიკურად ავტოაქტივებია. საკმაოდ დიდი რაოდენობა **ე**-პრეფიქსიანი ზმნებისა აქტიური სუბიექტის შემ-

ცველია, როგორც, მაგალითად, ელაპარაკება, ეჩხუბება, ეჯაჯგურება... ასევე: ახტება, აცხრება...

ამგვარად, **R-ებ**-ი სტრუქტურა საერთოა ავტოაქტიური, აქტიური და პასიური შინაარსის (სემანტიკის) ზმნებისათვის.

საკუთრივ ვნებითისათვის (პასივისათვის) ენამ ძველსავე ქართულში გამოიყენა აღწერითი წარმოება, რადგანაც **ი**-პრეფიქსიანი კონვერსიული ფორმები ომონიმურია აქტივის სასუბიექტო ქცევის ფორმებისა: **მოიკლა** მან იგი – **მოიკლა** იგი. ენამ ომონიმია დაძლია აღწერითი წარმოების საშუალებით: მოკლულ იქნა, წამებულ იქნა, დავიწყებულ იქნა... (ნაცვლად „დავივიწყე მე, ვითარცა მკუდარი“: ფსალმ.).

III დიათეზაში გაერთიანებულია ე.წ. ინვერსიული (დატიური) კონსტრუქციის ნარევი სტრუქტურის ზმნები: **ი/უ-R-0** (**უყვარს**), **ა-R-ებ** (**აკანკალებს**), **ე-R-ებ-ი** (**ემღერება**). ამ დიათეზის II ნარევი კონსტრუქციის ქვეჯგუფი ზმნის პირთა ინვერსიის გზითაა მიღებული და ხშირად პირის დაკარგვის შედეგად ჩამოყალიბებული: მაცახცახებს ის მე > მაცახცახებს მე; მაცინებს ის მე > (რა) მაცინებს მე; გამაგებინა მან მე ის > ნეტავი გამაგებინა მე ის... ამ ზმნათა რიგშია პასივის **ე-R-ებ-ი** სტრუქტურის მქონე ინვერსიული კონსტრუქციის ზმნები: მეზარება, მეჯავრება, მეცინება, მაგვიანდება... ისინი სემანტიკურად სხვადასხვა ნიუანსს შეიცავენ.

III დიათეზის ზმნათა I ქვეჯგუფი ძირეული სტრუქტურის სტატიკური ზმნებია, გრძნობა-აღქმის სემანტიკის მქონე (მიყვარს, მძულს, მომწონს, მიჭირს, მშია, მწყურია, მეშინია...).

მეცნიერის აზრით, დიათეზების ფარგლებში გვარი სემანტიკური მახასიათებელია და არა – გრამატიკული.

I დიათეზა (პრეზენტიული)	
სტატიკური (რელატიური სტატიკა) ვალარი: აქტოაქტივი/რეფლექსივი სტრუქტურა: R - Ø; ი-/უ-R [ჯ'ი]- Ø; პრეფ-R- ა-/ი-/უ-R-ti-Ø კონსტრუქცია არასრული: [ის – მან; ის მას – მან მას]	დინამიკური გვარი: აქტივი სტრუქტურა: ა-/ი-/უ-R-Ø; ა-/ი-/უ-R [ჯ'ი]-Ø; ა-/ი-/უ-R-th სუფ-Ø კონსტრუქცია სრული: [ის მას – მან ის; ის მას მას – მან მას ის]

II დიათეზა (პრეზენტატიული)	
სტატიკურ-ადგილსამყოფელობითი სტატიკა) ვალარი სტრუქტურა: Ø-ი-/უ-R-ი კონსტრუქცია არასრული: [ის – ის]	დინამიკური ვალარი: აქტოაქტივი, აქტივი, პასივი სტრუქტურა: Ø-/უ-R-ვნ-ი; Ø-/უ-R-დ-ვნ-ი; ა-R-ვნ-ი; ვ-R-ვნ-ი; ი-/ე-R-ვნ-ი კონსტრუქცია სრული: [ის –ის: ის მას – ის მას]

III დიათეზა (დატივული)	
სტატიკური (განმცდელი სუბ) სტრუქტურა ძირეული: ი-/უ-R-Ø ი-/უ- R-ი კონსტრუქცია: [მას – მას; მას ის – მას ის]	სტატიკური, დინამიკური. (განმცდელი სუბ.) სტრუქტურა წარმოებითი: ა-R-ვნ-Ø ვ-R-ვნ-ი კონსტრუქცია: [მას – მას; მას ის – მას ის]

მაშასადამე, დ. მელიქიშვილის დაკვირვებით, რადგანაც გვარი არის არა მხოლოდ მორფოლოგიური, არამედ სინტაქსური კატეგორიაც, ქართული ზმნის პოლიპერსონალიზმის პირობებში სუბიექტური და ობიექტური პირების გამოხატვის საკითხის გადაჭრა (ინვერსიის პრობლემა), ე.წ. ვნებითი და საშუალი გვარის ფორმათა ფუნქციური გამიჯვნა (მასხრობს – ემასხრება, საუბრობს – ესაუბრება), მეორე მხრივ კი, მოქმედებითი და საშუალი გვარის ფორმალური გამიჯვნა (აკანკალებს ის მას – აკანკალებს მას) რთულდება, რაც კლასიფიკაციის არასწორ საფუძველზე მიუთითებს; ამ სირთულის დაძლევის ოპტიმალურ გზად შეიძლება ჩაითვალოს დიათეზის გრამატიკული კატეგორიის გამოყოფა. ზმნურ ფორმათა ტრადიციულისაგან განსხვავებული მორფოსინტაქსური პრინციპით დაჯგუფება კარგად ასახავს ქართული ზმნის ბუნებას, პარადიგმატულ სისტემას, ამარტივებს აქტივისა და პასივის ფორმალურ და ფუნქციურ გამიჯვნას.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

ასათიანი რ., გვარის მორფოლოგიური კატეგორია ქართულსა და ქართველურ ენებში: ტიპოლოგიური ძიებანი, თბ., 1990.

ბაბუნაშვილი ე., საშუალი გვარის ზმნებთან დაკავშირებული ზოგი საკითხისათვის ქართულში: თსუ. შრ., ენათმეცნიერება, 10, 1986.

ბარამიძე ლ., ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები, თბ., 2008.

ბერიძე მარ., სტატიკურ ზმნათა ერთი ჯგუფისა და გარდამავალ ზმნათა I თურმეობითის წარმოების საკითხისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, VII, თბ., 1998.

გეგუჩაძე ლ., ერთი ტიპის ზმნათა გარდამავლობისა და გვარის საკითხისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, VI, თბ., 1997.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988.

გოგოლაშვილი გ., სტატიკურ ზმნათა აწმყოს I-II პირის მეშველზმნიან ფორმათა შესახებ: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2009, 1.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნა (ფორმაწარმოების საკითხები), თბ., 2011.

დათუკიშვილი ქ., ვნებითის ნიუანსები ქართულში: ბ. ჯორბენაძის სა-ზოგ. II სამეცნ. კონფერენცია, 1995.

დამენია მ., ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები, თბ., 1982.

დეისაძე ო., საშუალი გვარის სწავლება სკოლაში; ქელს, 1972, 3.

დეისაძე ო., ქართული ზმნის გვარი და მისი სწავლება რვაწლიან სკოლაში, საკანდიდატო დისერტაცია, 1973.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

ერთელიშვილი ფ., დ/ნ(ენ) ვნებითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში: თსუ, შრ., ტ. 93, 1960.

ზექალაშვილი რ., ქართული დიალოგური მეტყველება, თბ., 2012.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, თბ., 1970; 1986.

თოფურია ვ., მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში: სმამ, ტ. III, 9, თბ., 1942.

თოფურია ვ., გიგინეიშვილი ი., ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი, თბ., 1968; 1998.

იმნაიშვილი გრ., ვნებითი გვარი, წარმოება და ფუნქციები თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: იკე, XXI, 1979.

იმნაიშვილი გრ., ქართული ზმნის გვარის კატეგორიის შესწავლის ისტორიიდან, I: იკე, XXIX, თბ., 1990; II: იკე, XXXI, თბ., 1992.

იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., ზმნა ძველ ქართულში, ნაწ. I, ნაწ. II, მაინის ფრანკფურტი, 1996.

კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981, 1993.

ლოლაძე ნ., სტატიკურ ზმნათა ფორმობრივი და სემანტიკური კლასიფიკაციისათვის ქართველურ ენებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1995.

ლოლაძე ნ., ზმნის გვარის სამწევრა სისტემის სტრუქტურული მოდელები ქართველურ ენებში: ქესს, VI, 1996.

ლოლაძე ნ., ე პრეფიქსიანი პასივი ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

ლომთათიძე ქ., „თბება" ტიპის ზმნების ისტორიისათვის ქართულში: იკე, IV, თბ., 1952.

მაჭავარიანი გ., „უნიშნო ვნებითი" ქართველურ ენებში: ქესს, I, თბ., 1959.

მაჭავარიანი გ., ვნებითის სუფიქსური ტიპის გენეზისის საკითხი ქართველურ ენებში: მაცნე, 1973, 1.

მაჭავარიანი გ., ნებიერიძე გ., მორფოლოგია: ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

მაჭავარიანი დ., ვნებითის **ენ** სუფიქსის გენეზისისათვის (წინასწარი ცნობა): ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 2013.

მელიქიშვილი დ., მოქმედებითი გვარის ზმნის უღლების სისტემა თანამედროვე ქართულში: მაცნე, I, 1979.

მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.
მელიქიშვილი დ., დიათეზისა და გვარის ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში: შოთა ძიძიგური – 90, თბ., 2002.
მელიქიშვილი დ., არის თუ არა გვარის კატეგორია ქართული ზმნის უღლებადი ფორმების გრამატიკული კლასიფიკაციის საფუძველი: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 1-2, 2010.
მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი, თბ., 2014.
ნებიერიძე გ., გვარისა და კაუზატივის ურთიერთმიმართება ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, კრებ. I, 1984.
ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.
ნიკოლაიშვილი მ., გვარის კატეგორიისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, XVI, 2004.
ნოზაძე ლ., ინ-ენიანი ვნებითის ურთიერთობის საკითხისათვის ქართულში: იკე, ტ. IX-X, თბ., 1958.
ნოზაძე ლ., პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის: ქესს, II, 1961.
ნოზაძე ლ., მედიაქტივ ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში: იკე, XIX, 1974.
ნოზაძე ლ., ისევ მედიოაქტიური ზმნების შესახებ ქართულში: იკე, XXXV, თბ., 2005.
ონიანი ა., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.
სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.
სუხიშვილი მ., სტატიკური ზმნები ქართულში, თბ., 1976.
სუხიშვილი მ., გვარი: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
სუხიშვილი მ., გვარი – ქართული ზმნის ძირითადი საკლასიფიკაციო ერთეული: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია – სალიტერატურო ენა, თბ., 2011.
უთურგაიძე თ., მდგომარეობის ზმნები ქართულში: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XII, 2001.
უთურგაიძე თ., გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.
ფეიქრიშვილი ჟ., სტატიკურ ზმნათა წარმოების ზოგიერთი საკითხი: ქელს, 1975, 1.
ფეიქრიშვილი ჟ., საშუალი გვარის ზმნათა ერთი ჯგუფის წარმოებისათვის: ქელს, 1977, 4.
ფოცხიშვილი ა., უნებლიობის კატეგორია ქართულ ზმნაში: კრებ. „გიორგი ახვლედიანს", თბ., 1969; ასევე: ქართული ენა, თბ., 2000.
ფოცხიშვილი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1995.

ქავთარაძე ი., ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.

ღვინაძე თ., აღწერითი ვნებითი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: ქსკს, ტ. IX, 1989.

ღვინაძე თ., ქართული ზმნის ვნებითი გვარის ფორმათა სტილისტიკა, თბ., 1989.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

შანიძე ა., უნებლიობის კატეგორია თუ უნებლიობის ვნებითი: კრებ. „ქართული ენა", თბ., 1984.

ჩიქობავა არნ., ვნებითის ჩამოყალიბების ზოგი საკითხისათვის ქართულში მასდარის ჩვენებათა მიხედვით: იკე, VIII, 1956.

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; II გამოც. 2008.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ჭუმბურიძე ზ., ნასახელარი ზმნები ქართულში: კრებ. „აკაკი შანიძეს", თბ., 1981.

ჯორბენაძე ბ., ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხი ქართულში, თბ., 1975.

ჯორბენაძე ბ., ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

ჯორბენაძე ბ., მოქმედებითის და ვნებითის ფორმათა დაპირისპირების პრინციპებისათის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.

ჯორბენაძე ბ., ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები, თბ., 1985.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

ჯორბენაძე ბ., უღვლილება: ქართული ენა-ენციკლოპედია, თბ., 2008.

ჯორბენაძე ნ., საშუალი გვარის ზმნათა უღლების სისტემა თანამედროვე ქართულ ენაში: იკე, 36-ე, 2008.

ჯორბენაძე ნ., საშუალი გვარის ზმნებისა და თემის ნიშანთა მონაცვლეობის შესახებ სალიტერატურო ქართულსა და დიალექტებში: იკე, 42-ე, 2014.

ჯორბენაძე ნ., საშუალი გვარის უთემისნიშნო ზმნების სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი და უღლების ძირითადი საკითხები: იკე, 38-ე, 2010.

ჰარისი ა., ვნებითი ქართულში: მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1981, 3.

ჰოლისკი დი ენ., ასპექტი და ქართული მედიალური ზმნა, თბ., 2000.

6.16. ქცევა

6.16.1. ქცევის რაობა. სახეები (ნეიტრალური, სასუბიექტო, საობიექტო). ქცევა არის ზმნის ფორმა, რომელიც გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებითს ურთიერთობას სუბიექტსა და ობიექტს ან ობიექტებს შორის. მაგალითად, კალატოზი უშენებს მეზობელს სახლს – ამ წინადადებაში კუთვნილებითი ურთიერთობა გამოხატულია ობიექტებს შორის: სახლი (O^d) ეკუთვნის მეზობელს (O^i), ხოლო წინადადებაში – მეზობელი იშენებს სახლს – პირდაპირი ობიექტი (სახლი) ეკუთვნის სუბიექტს (მეზობელს).

საზოგადოდ, ყველა ენას შეუძლია სემანტიკურად – ლექსიკური გზით გამოხატოს კუთვნილებითი მიმართება მოქმედსა და სამოქმედო პირებს შორის, მაგრამ ეს მიმართება ზოგან არ არის წარმოდგენილი გრამატიკული ნიშნებით. შესაბამისად, ქცევის მორფოლოგიური კატეგორია არსებობს ზოგ ენაში, ზოგში – არა: ქცევა კარგად გამოკვეთილი მორფოლოგიური კატეგორიაა საერთოქართველურ დონეზე; მრავალფეროვნად არის იგი გამოვლენილი ქართულშიც, ევროპულ ენებში კი არ არის მკაფიოდ გარჩეული.

რამდენადაც კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობა სუბიექტსა და ობიექტებს შორის არაერთგვაროვანია, ამიტომ სხვადასხვა ენაში ამ მიმართების გამომხატველი კატეგორია განსხვავებული ტერმინებით აღინიშნება. ქართულ ლინგვისტიკაში ტრადიციული ტერმინია „ქცევა“, თუმცა სამეცნიერო ლიტერატურაში მის პარალელურად არსებობს „ვერსია“ (ლათ. versio – სახეცვლილება, შებრუნება).

ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, ქართულში ქცევა სამი სახისაა: საარვისო, სათავისო, სასხვისო (ა. შანიძე). სამეცნიერო ლიტერატურაში პარალელურად დამკვიდრებულია სხვა უფრო ზუსტი ტერმინებიც: „ნეიტრალური“, „სასუბიექტო“, „საობიექტო“ (არნ. ჩიქობავა).

ქცევა ძირითადად დამახასიათებელი არის გარდამავალი ზმნებისთვის. აქ კარგად უპირისპირდება ერთმანეთს ქცევის სამწევრა ოპოზიციური ცალები.

ნეიტრალური (საარვისო) ქცევა, როცა პირდაპირი ობიექტი არავის არ ეკუთვნის და არც ვისთვისმეა განკუთვნილი (ამიტომ უწოდებენ ნეიტრალურს). მაგალითად, მხატვარი ხატავს სურათს. ამ შემთხვევაში არ არის განსაზღვრული, თუ ვის ეკუთვნის პირდაპირი ობიექტი, თუმცა რეალურად **სურათი** ვილაცისთვის იხატება.

ნეიტრალური ქცევის ნიშანია პრეფიქსი **ა-**: ა-მზადებს, ა-თეთრებს, ა-დიდებს... ზოგჯერ იგი წარმოდგენილია ნულოვანი ალომორფით (უნიშნოა): ჭრის, კერავს, წერს...

ნეიტრალური ქცევა მეტწილად აქვს ორ- და სამპირიან გარდამავალ ზმნებს: ა-თბობს ის მას, შლის ის მას... ჰკითხა მან მას ის, სთხოვა მან მას ის, მისწერა მან მას ის...

ზოგიერთი მკვლევარი ნეიტრალურ ქცევას არ მიიჩნევს დამოუკიდებელ სახედ. საცილობელ არგუმენტად, ზოგადად, იმას ასახელებენ, რომ იგი კუთვნილებით ურთიერთობას არ გამოხატავს, თუმცა ქართულ ლინგვისტიკაში უფრო გავრცელებულია შეხედულება, რომ ეს ფორმა – როგორც მორფოლოგიური ოდენობა, ქცევის სამწევრა ოპოზიციის ერთ-ერთი წევრი, გაფორმებული სათანადო აფიქსითაც – უნდა განიხილებოდეს სასუბიექტო და საობიექტო ქცევათა გვერდით.

ნეიტრალური ქცევა ფორმით ჩამოჰგავს **საზედაო სიტუაციას**, რომელიც უჩვენებს ზმნით გამოხატული მოქმედების ლოკალიზაციას – რაზედმე მოქმედებას: **ა-**წერს, **ა-**ხატავს... ქცევა კი აღნიშნავს კუთვნილებით ურთიერთობას.

სასუბიექტო (სათავისო) ქცევა მიუთითებს, რომ პირდაპირი ობიექტი ეკუთვნის სუბიექტს ან განკუთვნილია მისთვის. მაგალითად, დედა იკერავს კაბას – პირდაპირი ობიექტი (კაბა) განკუთვნილია სუბიექტისთვის (დედა).

სასუბიექტო ქცევის ნიშანია პრეფიქსი **ი-**. იგი სამივე პირში გადაჰყვება ზმნას. სასუბიექტო ქცევა აქვს მხოლოდ ორპირიან გარდამავალ ზმნებს: ვ-ი-წყებ მე მას, ი-ზრდი შენ მას, ი-თბობს ის მას... ასეთი ფორმები საკმაოდ გავრცელებულია ქართულში. მათი გამოყენების შემთხვევებიც მრავალფეროვანია. სასუბიექტო ქცევა შეიძლება შეგვხვდეს:

1) როცა S მოქმედებს თავის სხეულზე ან სხეულის ნაწილებზე (პირი და-ი-ბანა, თავი მო-ი-ფხანა...);

2) როცა ობიექტად დასახელებულია თავსაბურავი, სამკაული, ტანისამოსი ან იარაღი, თუნდაც ეს O არ ეკუთვნოდეს სუბიექტს. ამ შემთხვევაში გადამწყვეტია ის, რომ S თავისთვის მოქმედებს (ქუდი და-ი-ხურა, საყურე გა-ი-კეთა);

3) როცა მოქმედება სუბიექტისთვისაა დანიშნული ან მისკენაა მიმართული (წიგნი ი-თხოვა, ფული ი-სესხა...);

4) როცა ნეიტრალური ქცევის გარდამავალი ზმნის ირიბი ობიექტის გამორიცხვაა საჭირო (სახელი ჰკითხა > სახელი ი-კითხა...).

სასუბიექტო ქცევის ხშირი ხმარების გამო შეიძლება ზოგიერთი ზმნის ნეიტრალური ქცევის ფორმა დაიკარგოს და მისი ადგილი დაიჭიროს სასუბიექტო ქცევის ფორმამ. ა. შანიძის აზრით, „ეს მოვლენა ისტორიულად კარგად არის დადასტურებული **პოვნა** ზმნაში. ძველად იგი საარვისო ფორმით იხმარებოდა – **პოვა** მან იგი. ახლა კი გვაქვს **იპოვა**. ოღონდ ამ სათავისოს ფუნქცია საარვისოსი აქვს. ასევე შინაარსდაცლილი სათავისოა: შეინახა, დაიწყო, წაიღო, გაიგო, მოიტანა, იზამს... ისინი ფუნქციის მიხედვით საარვისოსთან არიან გათანაბრებულნი. როცა ფუნქცია და ფორმა არ შეესატყვისება, მაშინ აქაც უპირატესობა ფუნქციას უნდა მიენიჭოს და ეს ზმნები საარვისოდ ჩაითვალოს“.

სასუბიექტო ქცევაში პირდაპირ ობიექტად, ჩვეულებრივ, არის III პირი, იშვიათად I და II პირიც გვხვდება: მი-ი-ღო მან ის, მი-ი-სვა მან ის, მაგრამ: მიმისვა მან მე (ახლოს), და-ი-გდო მან ის, მაგრამ: დაგ-ი-გდო მან (ავადმყოფობამ) შენ...

საობიექტო (სასხვისო) ქცევა გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებითს ურთიერთობას ობიექტებს ან სუბიექტსა და ირიბ ობიექტს შორის. იგი მოეპოვება სამპირიან გარდამავალსა და ორპირიან გარდაუვალ ზმნებს. გარდამავალ ზმნებში პირდაპირი O ეკუთვნის ირიბს: უმზადებს დედა შვილს სადილს (ის მას მას) – პირდ. O (სადილი) განკუთვნილია ირიბისათვის (შვილს); გარდაუვალ ზმნებში

კი **GS,** რომელიც პირდაპირი **O**-ის კონვერსიული ფორმაა, ეკუთვნის ირიბს: უშენდება სახლი მეზობელს (ის მას) – შდრ. კალატოზი უშენებს მეზობელს სახლს.

საობიექტო ქცევის ნიშნებია **ი-** და **უ-** პრეფიქსები. **ი-** გამოიყენება მაშინ, როცა გრამატიკულ ირიბ ობიექტად I ან II პირია, **უ-** კი – III პირთან:

მ-**ი**-გზავნის ის მე მას	მ-**ი**-წითლდება ის მე
გ-**ი**-გზავნის ის შენ მას	გ-**ი**-წითლდება ის შენ
უ-გზავნის ის მას მას	**უ**-წითლდება ის მას

ქართულში იშვიათად, მაგრამ მაინც მოგვეპოვება გარდამავალი ზმნის საობიექტო ქცევის ისეთი ფორმები, რომელთაც შეეწყობა ორი ირიბი. ეს მაშინ ხდება, როცა სამპირიანი ნეიტრალური ქცევის ფორმას გადავაკეთებთ საობიექტოდ:

აჭამა მან მას ის	–	მ-**ი**-ჭმია მან **მე მას** ის
მიაბა მან მას ის	–	მი-მ-**ი**-ბ-ა მან მე მას ის
მისწერა მან მას ის	–	მი-მ-**ი**-წერა მან მე მას ის

სასუბიექტო და საობიექტო ქცევათა საზიარო ნიშანია **ი-** პრეფიქსი. არსებობს მათი გარჩევის პრაქტიკული წესები:

1) ზმნასთან შეწყობილი I ან II პირების III-ში გადაყვანისას, თუ **ი-** პრეფიქსი შეიცვალა **უ**-თი, მაშინ ქცევა საობიექტოა, მაგრამ, თუ არ შეიცვალა, ქცევა სასუბიექტოა:

მ-**ი**-ხატავს ის მე მას	ვ-**ი**-ხატავ მე მას
გ-**ი**-ხატავს ის შენ მას	**ი**-ხატავ შენ მას
უ-ხატავს ის მას მას (საობ.)	**ი**-ხატავს ის მას (სასუბ.)

2) თუ ზმნა ორპირიანი გარდამავალია, ქცევა სასუბიექტოა; თუ სამპირიანი გარდამავალი – საობიექტო.

6.16.2. ქცევის საკითხი გარდაუვალ ზმნებში. გარდამავალ ზმნას აქვს სათანადო მარკერებით გაფორმებული სამივე სახის ქცევა, გარდაუვალს კი ქცევა ან სრულიად არ მოეპოვება, ან ძირითადად შეიძლება ჰქონდეს საობიექტო ქცევა, ისიც მხოლოდ ორპირიანთა ნაწილს, კერძოდ: ქცევა შედარებით კარგად არის გამოხატული სუფიქსიან, უნიშნო და ე.წ. სტატიკურ ვნებითებში, ასევე საშუალი გვარის ზოგიერთ ზმნაში. რაც შეეხება პრეფიქსიან ვნებითებს, ა. შანიძის

სიტყვებით რომ ვთქვათ, საზოგადოდ, ქცევას არ ვარჩევთ, მაგრამ „აქაც შეიძლება მკრთალად მაინც გამოიხატოს ქცევებრი მიმართება": ინიანი ვნებითი საარვისოდ მიდის, ენიანი – სასხვისოდ. ბ. ჯორბენაძის თვალსაზრისით, რადგან გარდაუვალ ზმნებში კუთვნილებით-დანიშნულებითი ურთიერთობა საერთოდ არ ჩანს, ზმნაში წარმოდგენილი **ი-** და **უ-** პრეფიქსები ქცევის ნიშნებად ვერ ჩაითვლება. ამგვარ ფორმებში ისინი ირიბი **O**-ის მარკერებია.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ქცევის კვალიფიკაცია არაერთგვაროვანია ერთპირიან ზმნებშიც. მაგ., ა. შანიძის აზრით, ერთპირიანი ზმნები საარვისო ქცევისაა, სხვა მოსაზრებით კი, ერთპირიან ზმნებში ქცევა არ უნდა გაირჩეს (იხ. აგრეთვე გვ. 281-282).

6.16.3. ქცევის საკითხი მესამე სერიაში. ქცევა გამოკვეთილი გრამატიკული კატეგორიაა I-სა და II სერიებში, რადგან არსებობს სათანადო ნიშნებით გამოხატული საპირისპირო ფორმები: ა-შენებს, ი-შენებს, უ-შენებს. თუ ამ განსხვავებულ ფორმებს გადავიყვანთ III სერიაში, სამივე ერთი ფორმით იქნება წარმოდგენილი:

წერს, დაწერა
იწერს, დაიწერა → დაუწერია
უწერს,დაუწერა

აშენებს, ააშენა
იშენებს, აიშენა → აუშენებია
უშენებს, აუშენა

III სერიის **დაუწერია, აუშენებია** უცალო ფორმებია და ქცევის მიხედვით არ განირჩევა. I შედეგობითში წარმოდგენილი **ი-** და **უ-** პრეფიქსები (ა-მ-**ი**-შენებია, ა-გ-**ი**-შენებია, ა-**უ**-შენებია) უფუნქციოა. ეს ნიშნები გადმოჰყვა ნასესხებ ამოსავალ ფუძეს (სტატიკური ვნებითის საობიექტო ქცევის აწმყოს): **უწერია ის** მას (სტატ. ვნ., აწმყო, ქცევა საობიექტო) – შდრ. (და)**უწერია მას** ის (მოქმ. გვარი, I შედეგ.).

6.16.4. უქცეო ზმნები. ენაში არსებობს რამდენიმე ზმნა, რომელთაც არცერთ სერიაში არ მოეპოვება საპირისპირო ცალები. ამდენად, ისინი ჩათვლილია უ ქ ც ე ო ზმნებად, თუმცა გარეგნულად წარმოდგენილი არიან ქცევის ნიშნებით. ასეთებია: ახსოვს, აქვს (ფორმით ნეიტრალურია),

იცის (სასუბიექტო), უნდა, უჭირს, უღირს, უყვარს, უწყის (საობიექტო). **ა-, ი-, უ-** პრეფიქსები ამ შემთხვევაში უფუნქციოა, ამ ფორმაში „ქცევა" მოჩვენებითია (ა. შანიძე). სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, ამ ზმნებში არსებული პრეფიქსების ძირითადი ფუნქცია ისტორიულადაც არ უნდა ყოფილიყო ქცევის აღნიშვნა.

ამგვარად, უქცეო ზმნას არც ერთ ფორმაში არა აქვს საოპოზიციო (საპირისპირო) ცალი, ე.ი. საერთოდ არა აქვს ქცევის გაგება, ხოლო, როცა ვამბობთ: ქცევას არ ვარჩევთ III სერიაში ან პრეფიქსიან ვნებითებში, ეს ნიშნავს, რომ ასეთ ზმნას საპირისპირო ცალი არ გააჩნია მხოლოდ მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში, თორემ სხვა პოზიციაში რომელიმე ქცევის გაგების მქონეა. მაგალითად: **ა**-ნათებს, **ი**-ნათებს, **უ**-ნათებს > გაუნათებია. მაგრამ: **იცის** – ეს არის ამ ზმნის ერთადერთი ფორმა და ამიტომ უქცეოა.

6.16.5. ქცევის ფორმათა მართლწერა.

1) თუ **ა** ნიშნიან ქცევის ფორმას დაემატება **ა** ან **ა**-ზე გათავებული ზმნისწინი, ორი **ა** მოიყრის თავს: ა-ა-შენა, გა-ა-გზავნა, გა-ა-ნათა, გა-ა-თბო... მაგრამ, თუკი **ა**-ხმოვნით დაწყებულ ფუძეს დაემატება **ა** ქცევის ნიშანი და **ა** ან **ა**-ზე გათავებული ზმნისწინი, მაშინ სამი **ა** უნდა:

ანალიზი > ა-ანალიზებს – გა-ა-ანალიზა
აფთარი > ა-ა-ფთრებს – გა-ა-აფთრა
ადვილი > ა-ა-დვილებს – გა-ა-ადვილა
აქტიური > ა-აქტიურებს – გა-ა-აქტიურა
ახალი > ა-ახლებს – გა-ა-ახლა
ანონსი > ა-ანონსებს – და-ა-ანონსა

2) სასუბიექტო ქცევის ფორმაზე **მი-** ზმნისწინის დართვისას ორი **ი** უნდა: მი-ითვისა, მი-იჩვია, მი-იწვია, მი-ისვა...

3) **უ** ხმოვნით დაწყებულ ზმნაზე ქცევის **უ** ნიშნის დართვის შედეგად ორი **უ** მოიყრის თავს: უთო > უუთოებს, უუმჯობესებს, გაუუქმა, გაუუფერულა...

6.16.6. ა, ი, უ ხმოვანთა გენეზისისა და ფუნქციის საკითხისათვის. ცნობილია, რომ ქართული ზმნა თანდათან

რთულდებოდა კატეგორიებით. შესაბამისად, ზმნის ფორმაში ოდითგანვე გამოვლენილ აფიქსებს განსხვავებული ფუნქციური დატვირთვა ჰქონდა. ამ მხრივ საინტერესოა ქცევის ნიშნებად მიჩნეული ხმოვანპრეფიქსები, რომლებიც მომდინარეობენ საერთო ქართველურიდან (გ. მაჭავარიანი).

ისტორიულად ქცევის კატეგორია უსწრებდა გვარის კატეგორიას, რამაც გამოიწვია ამ ორი კატეგორიის მაწარმოებელი აფიქსების ფუნქციური სიახლოვე და იდენტურობაც კი.

სამეცნიერო ლიტერატურაში **ა-, ი-, უ-** ხმოვანპრეფიქსების წარმომავლობისა და ფუნქციების შესახებ გამოთქმულია სხვადასხვა თვალსაზრისი, რომელთა მიხედვით:

1. **ა-** პრეფიქსი ზმნებს ანიჭებს გარდამავლობას, აწარმოებს მოქმედებით გვარს, ნეიტრალურ ქცევას, გამოხატავს საზედაო სიტუაციას, მიუთითებს კაუზატივზე; გარდაუვალ ზმნათაგან აწარმოებს გარდამავლებს, წარმოქმნის პირდაპირ და ირიბ ობიექტს, მიუთითებს ირიბი ობიექტის პოვნიერებაზე. **ა** ხმოვანი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო სიტყვაწარმოების ელემენტი სახელებსა და ზმნებში; გარკვეულ შემთხვევაში უჩვენებდა სუბიექტისადმი ან ობიექტისადმი მიმართულ მოქმედებას...

2. **ი-** პრეფიქსი არის უკუქცევითობის ნიშანი, სასუბიექტო ქცევის ნიშანი გარდამავალ ზმნებში, საობიექტო ქცევის ნიშანი როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში; გარდამავალ ზმნებში აღნიშნავს მხოლოდ პირდაპირ ობიექტს. **ი** ხმოვანი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო დეიქტური ნაწილაკი, შემდეგ შეიძინა რეფლექსური უკუქცევითი შინაარსი და ბოლოს დამკვიდრდა სასუბიექტო ქცევის ფუნქციით. **ი-** პრეფიქსი გამოხატავს კუთვნილებას, მომდინარეობს კუთვნილებითი **ჩემ-ი, შენ-ი** ნაცვალსახელებისაგან.

3. **უ-** ნაცვალსახელური ნაწილაკი ჩანს, წარმოქმნის მხოლოდ III ირიბ ობიექტს, მიუთითებს ირიბი ობიექტის პოვნიერებაზე; გარდამავალ ზმნებში აღნიშნავს მხოლოდ უახლოეს (პირდაპირ) ობიექტს. **უ-** პრეფიქსი (**ა-**სა და **ი-**ს მსგავსად) თავდაპირველად უნდა ყოფილიყო დეიქტური

ელემენტი სახელსა და ზმნებში, ქცევის ნიშნად იქცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ხმოვანპრეფიქსებს საერთოდ დაუკავშირდა კუთვნილებითი ურთიერთობის გაგება.

6.16.7. ქცევის კატეგორიის შესწავლის მოკლე მიმოხილვა. ქცევა ქართული ზმნის ერთ-ერთი რთული კატეგორიაა, რომელიც გამოიხატება სათანადო მორფოლოგიური მარკერებით. მიუხედავად იმისა, რომ კუთვნილებითი მიმართება ზმნის პირთა შორის სემანტიკურად სხვა ენებშიც აღინიშნება, მაინც ქცევა არ არის ყველა ენისათვის ნიშანდობლივი გრამატიკული მოვლენა და, შესაბამისად, არც განიხილებოდა ამ ენათა გრამატიკებში. ამიტომაა, რომ ქცევის შესახებ მსჯელობა არ გვხვდება ანტონ პირველის გრამატიკაში.

ქართულ ლინგვისტიკაში ქცევა პირველად შენიშნა და დაახასიათა ნიკო ჩუბინაშვილმა, უწოდა „მიჩემებითი" ფორმა და გამოყო მისი სამი ძირითადი სახე: **საზოგადო** (ნეიტრალური), **მიჩემება მოქმედისა** (სასუბიექტო), **მიჩემება საცნაურისა პირისა** (საობიექტო); დაასახელა მაწარმოებელი აფიქსებიც (ი-, უ-). შემდგომში „მიჩემებითს" ფორმებს ეხებოდნენ აგრეთვე: პ. იოსელიანი, დ. ჩუბინაშვილი, დ. ყიფიანი, ა. ქუთათელაძე, ს. ხუნდაძე, მ. ჯანაშვილი და სხვ. ქართული ზმნის ქცევის კატეგორიაზე მსჯელობდა ნ. მარი, რომელმაც ქცევის ფორმას უწოდა არაბული სახელი **ნავყი**. მან მოქმედებითი გვარის ზმნებში გამოყო ოთხი ნავყი, ვნებითში კი – სამი.

ქცევის კატეგორიის მეცნიერული დადგენა დაკავშირებულია ა. შანიძის სახელთან. ამ საკითხს იგი პირველად შეეხო 1920 წელს, მაგრამ ქცევის რაობა და მისი სახეები უფრო დაწვრილებით გაარკვია შრომაში „ქართული ზმნის საქცევი" (1926). ავტორმა აქ გამოყო ქცევის ხუთი სახე: **საარვისო** (ვწერ), **სათავისო** (ვიწერ), **სასხვისო** (ვუწერ), **სათანაო** (ვწერ მე მას მას), **საზედაო** (ვაწერ), 1930 წელს გამოცემულ გრამატიკაში კი დააკონკრეტა ქცევის სახეები და მათი რაოდენობა დაიყვანა სამამადე (*საარვისო, სათავისო* და *სასხვისო*). მანვე შემოიღო ტერმინი „ქცევა". მას შემდეგ ქართულ ლინგვისტიკაში დამკვიდრდა ქცევის ა. შანიძისეული კვალი-

ფიკაცია და შესაბამისი ტერმინებიც. გარდა ამისა, როგორც მიუთითებენ, დიდია ა. შანიძის დამსახურება იმ მხრივაც, რომ ქცევასთან დაკავშირებით პირველად დააყენა ზოგადენათმეცნიერული საკითხი – ქცევის პრობლემა ინდოევროპულ ენებში.

ა. შანიძის მიხედვით, ქცევის ანალიზი ძირითადად ხდება გვარისა და გარდამავლობის გათვალისწინებით. ავტორი ქცევის სახეთა დადგენისას ემყარება ფორმასაც და სემანტიკასაც. ამის გამოა, რომ საარვისოს ფორმა, რომელიც არ ატარებს ქცევის შინაარსს და სათანადო აფიქსითაც არაა გამოხატული, მაინც ჩათვლილია ქცევის ცალკე სახედ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სასხვისო და სათავისო ქცევების საპირისპიროა; ანალოგიის საფუძველზეა საარვისო ქცევის ფორმად მიჩნეული ერთპირიანი ზმნებიც.

არნ. ჩიქობავამ იმთავითვე ეჭვქვეშ დააყენა საარვისო ქცევის, როგორც დამოუკიდებელი ფორმის, გამოყოფის საჭიროება: რამდენადაც, საზოგადოდ, ქცევა გამოხატავს კუთვნილებით-დანიშნულებითს ურთიერთობას, ხოლო საარვისო ქცევის ფორმებში ასეთი ურთიერთობა არ ჩანს, ამდენად, ქართულ ზმნაში საარვისო ქცევა არ უნდა გვექნეს; „სადაც ობიექტი არაა, იქ ქცევის საკითხი არ დაისმის“.

ქცევასთან დაკავშირებით თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაშიც დაზუსტებას მოითხოვს ბევრი საკითხი, მაგალითად, ქცევის მორფოლოგიური სტატუსი, ქცევის სახეთა რაოდენობა, ხმოვანპრეფიქსების ფუნქციური კვალიფიკაცია და ა. შ. დღეს სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით არსებული მოსაზრებანი მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1) ქცევა არის მორფოლოგიური კატეგორია. იგი მოეპოვება ძირითადად გარდამავალ ზმნებს და გარდაუვალთა ნაწილს; გამოხატულია სამწევრა ოპოზიციის სახით (საარვისო სათავისო, სასხვისო) და გაფორმებულია შესაბამისი (ა-, ი-, უ-) მარკერებით (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე...);

2) ქცევა არის გარდამავალი ზმნის მორფოლოგიური კატეგორია; მისი სახეებია ნეიტრალური (ანუ კუთვნილებაგანუსაზღვრელი), სასუბიექტო და საობიექტო (ანუ კუთვნილებაგანსაზღვრული). გარდაუვალ ზმნებში საპირისპირო ცალების

არარსებობის გამო ქცევის კატეგორიის დაშვება უსაფუძვლოა ლინგვისტურ-ლოგიკური თვალსაზრისით (ა. ონიანი);

3) ქცევის კატეგორიას აქვს ოპოზიციის მხოლოდ ორი წევრი – სათავისო და სასხვისო; საარვისო არ გამოხატავს კუთვნილებით ურთიერთობას და არც უნდა გამოიყოს ქცევის ცალკე სახედ (გ. როგავა, არნ. ჩიქობავა, ფ. ერთელიშვილი, ქ. ლომთათიძე, ბ. ჯორბენაძე, მ. დამენია...);

4) ერთპირიან ზმნაში ქცევის საკითხის დასმა საერთოდ არ მიაჩნიათ გამართლებულად, რადგან კუთვნილებითი ურთიერთობის გამოსახატავად ზმნის ფორმაში ორი პირი მაინც უნდა იყოს წარმოდგენილი (არნ. ჩიქობავა, ბ. ჯორბენაძე, ა. ონიანი...);

5) ქცევა არის არა მორფოლოგიური, არამედ სინტაქსურ-სემანტიკური კატეგორია (ვ. ბოედერი, გ. ნებიერიძე, ნ. მაჭავარიანი, რ. ასათიანი...).

ქცევის კატეგორია სრულიად ახლებურადაა გაანალიზებული მ. მაჭავარიანის ნაშრომებში. ავტორისათვის ამოსავალია დებულება, რომლის მიხედვით, ქართული (და ქართველური) ზმნის ძირითადი კატეგორიებია პირი და ქცევა. მათი ურთიერთმიმართების საფუძველზე მოცემულია ქცევის კატეგორიის ზოგადი დახასიათება. ქცევის მორფოსინტაქსური ფუნქციებიდან პირველ რიგში დასახელებულია ზმნის ობიექტების წარმოქმნა ან მოსპობა სათანადო სადერივაციო **ა, ე, ი, უ** პრეფიქსების საშუალებით. სწორედ ქცევის ფორმებშია დალექილი მისი მაწარმოებელი აფიქსების მრავალფუნქციანობა და, შესაბამისად, ქცევის პოლისემანტიკაც.

ქცევის კატეგორიის შესწავლას მიეძღვნა ქართველ და უცხოელ მკვლევართა არაერთი მონოგრაფია და სტატია.

ლიტერატურა

ასათიანი რ., ზმნური ხმოვანპრეფიქსების ფუნქციები ქართველურში; ვერსია და კაუზაცია: კრებ. ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის პრობლემები, თბ., 2016.

გიორგობიანი თ., ქცევის კატეგორიისათვის ქართულში: ქელს, 1971.

დამენია მ., ვერსია (ანუ ქცევა), როგორც ქართული ზმნის გრამატიკული კატეგორია: ენათმეცნიერების საკითხები, I, 2003.

დეისაძე ო., ქცევის სწავლების თანამიმდევრობისათვის VI კლასში: ქელს, 1975, 3.

ენათმეცნიერების შესავლის საკითხები (გ. ახვლედიანის რედაქციით), თბ., 1972.

ერთელიშვილი ფ., ქცევის საკითხისათვის ქართულში: თსუ შრომები, 114, ფილოლ. მეცნ. სერია, თბ., 1961.

კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნანილი I, თბ., 1981.

ლომთათიძე ქ., ქცევის კატეგორია ქართველურსა და აფხაზურ-ადიღეურ ენებში: იკე-ს ნელინდეული, III, 1976.

მაჭავარიანი მ., ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბ., 1987.

მახარობლიძე თ., ვერსიის კატეგორიის თავისებურებანი: იკე, 41-ე, 2013.

მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი, თბ., 2014.

ნებიერიძე გ., ქცევის კატეგორია ქართულში: მაცნე, 1976, 4.

ონიანი ა., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

როგავა გ., კუთვნილებითი აფიქსი ი ქართველურ ენათა ზმნისა და სახელის მორფოლოგიურ კატეგორიებში (ქცევასა და ბრუნვებში): სმამ, ტ. III, 1942, 2.

სალაძე ნ., ქცევის კატეგორიის შესწავლის ისტორიისათვის: ქელს, 1977, 4.

სალაძე ნ., უცხოელი მკვლევრები ქართული ზმნის ქცევის კატეგორიის შესახებ: „ენათმეცნიერება", თბ., 1986.

სუხიშვილი მ., ქცევის კატეგორია: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია – სალიტერატურო ენა, თბ., 2011.

ქავთარაძე ი., ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.

ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

ჩიქობავა არნ., ზოგი პრეფიქსული ნარმოების ისტორიისათვის ქართულ ზმნებში: იკე, XI, 1959.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ხომასურიძე მ., ზმნის ა პრეფიქსი და სასუბიექტო მიმღეობა ქართულში: ქესს, V, 1981.

ჯორბენაძე ბ., ზმნის ხმოვანპრეფიქსული ნარმოება ქართულში, თბ., 1983.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა – პროსპექტი, თბ., 1995.

Марр Н. Я., Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка, С-ПБ. 1908.

Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Л,1925.

Boeder Winfried, Über die Versionen des Georgischen Verbs: Fol. 2, de Gruterlan I, 1968.

6.17. კონტაქტი

6.17.1. კონტაქტის სახეები. მისი წარმოება. კონტაქტი ქართული ზმნის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა.

ტრადიციული განმარტებით, კ ო ნ ტ ა ქ ტ ი არის ზმნის ფორმა, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ მოქმედებს **S** პირდაპირ ობიექტზე – უშუალოდ თუ სხვა პირის მეშვეობით. იგი ორი სახისაა: უშუალო და შუალობითი.

უ შ უ ა ლ ო კონტაქტი მიუთითებს, რომ **S** პირდაპირ ობიექტზე მოქმედებს უშუალოდ, სხვა პირის ჩაურევლად: შლის, ხატავს, ქსოვს, აშენებს...

შ უ ა ლ ო ბ ი თ ი ა კონტაქტი, როცა **S** პირდაპირ **O** -ზე მოქმედებს სხვა პირის მეშვეობით: აშლევინებს, ახატვინებს, აქსოვინებს, აშენებინებს... შუალობით კონტაქტს უცხოურად ჰქვია **კაუზატივი** (ამოსავალია ლათინ. causa = „მიზეზი"). ეს ტერმინი ძირითადად გამოიყენება თანამედროვე ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

კაუზატიურ ფორმებში მოქმედების პროცესში მონაწილეობს სამი პირი (**S**, ირ. **O**, პირდ. **O** – სამოქმედო საგანი), მაგრამ რეალურად მოქმედებს ორი პირი: ერთი ხელმძღვანელია, მეორე – უშუალოდ შემსრულებელი. მაგ., ა წ ე რ ი ნ ე ბ ს ის მას მას (დედა შვილს დავალებას): აქ ხელმძღვანელი (ორგანიზატორი) არის დედა (**S**), ხოლო მოქმედების რეალური შემსრულებელი (ეგზეკუტორი) – შვილი (ირ. **O**).

ქართულში შუალობითი კონტაქტი ანუ კაუზატივი არის ზმნის მორფოლოგიური კატეგორია. მისი მაწარმოებლებია: **-ინ, -ევ, -ევინ** სუფიქსები. ამათგან ძირითადია **-ინ.**

-ევ უნდა იყოს კაუზატივის თავდაპირველი ნიშანი, რომელიც შედარებით ხშირად გამოიყენებოდა საშუალ ქართულშიც. დღეს იგი შემორჩენილია მხოლოდ თითო-ოროლა ზმნაში: აჭმ-ევ-ს, აცმ-ევ-ს, ასმ-ევ-ს... ზოგი მკვლევარი **-ევ**-ს თანამედროვე დონეზე მიიჩნევს არა კაუზატივის მაწარმოებლად, არამედ თემის ნიშნად, რადგან ის II სერიაში ზმნას

აღარ გადაჰყვება: აჭმ-ევ-ს – აჭამა... შდრ. აწერინ-ებ-ს – დააწერინ-ა (გ. ნებიერიძე, ა. ონიანი).

-ინ სუფიქსი შედარებით ახალია, X საუკუნემდე არ იხმარებოდა. დღეს იგი მოუდის ზმნათა უმეტესობას: აშენებს > აშენებ-ინ-ებს, აქრობ-ინ-ებს, აკეთებ-ინ-ებს...

-ევინ რთული აფიქსია – მიღებული **ევ**-ისა და **-ინ**-ის შეერთებით (**ევ+ინ**): როცა **-ევ** არ აღმოჩნდა საკმარისი კაუზატივის საწარმოებლად, დაემატა **-ინ** და წარმოიქმნა ახალი მაწარმოებელი **-ევინ:** თლის > ათლ-ევინ-ებს, დგამს > ადგმ-ევინ-ებს, ხნავს > ახვნ-ევინ-ებს... **ევინ** მოუდის **ი** თემისნიშნიანებს, ყველა **ამ**იანს და ზოგიერთ **ავ**იანს.

კაუზატივი მოეპოვება სამპირიან გარდამავალ ზმნებს (მოქმედების პროცესში მონაწილეობს სამი პირი: ხელმძღვანელი, შემსრულებელი და სამოქმედო პირი), იშვიათად – ორპირიან გარდამავალს (გაიტეხ-ინ-ა მან ის – დედამ გული) და გარდაუვალთაგან **ენიანი** ვნებითის ფორმებს (ეთრევ-ინ-ება, ელანძღვ-ინ-ება, ეკვლ-ევინ-ება...). ამგვარი გამონაკლისები ძირითადად თავს იჩენს აღმოსავლურ კილოებში. იგი შეიძლება შეგვხვდეს მხატვრულ ლიტერატურაშიც. თუ უშუალო კონტაქტის ფორმა სამპირიანია, შუალობითად გადაკეთების დროს ოთხპირიანად იქცევა: დამიწერა მან მე ის – დამიწერინა მან მე მას ის.

ძველ ქართულში კაუზატივის ფორმები შედარებით იშვიათი იყო. ამ სემანტიკისათვის მეტწილად გამოიყენებოდა აღწერითი წარმოება.

კაუზატივის ფორმათა მართლწერა

1) კაუზატივის მაწარმოებლები გამოყენებული უნდა იქნეს სრული ფორმით: აკეთებ-ინ-ებს, დააწერ-ინ-ა, წააშლ-ევინ-ა... და არა: აკეთებ-ი-ებს, დააწერ-ი-ა, წააშლ-ევი-ა...

2) **ავ** თემისნიშნიანი ზმნების შუალობითი კონტაქტის ფორმებში აუცილებლად უნდა დარჩეს სუფიქსეული **ვ** თანხმოვანი, რადგან ეს **ვ** არის საწყისში, ხოლო შუალობითი კონტაქტისათვის „ამოსავალია I სერიის თემა, რომელიც

საწყისშია წარმოდგენილი. საწყისის **ა** ამ ფორმანტთა დართვისას შეიკვეცება (ა. შანიძე). მაგ.: ლოკავ-ს (ლოკვ-ა) >ალოკვ-ინ-ებს, ხატ-ავ-ს (ხატვ-ა) > ახატვ-ინ-ებს... და არა: ალოკ-ინ-ებს || ალოკ-ი-ებს, ახატ-ინ-ებს || ახატ-ი-ებს...

6.17.2. კონტაქტის კატეგორიის შესწავლის საკითხისათვის. კონტაქტი ქართულში არის მკაფიოდ გამოხატული ერთ-ერთი უძველესი კატეგორია. მას იცნობდნენ ძველი ქართველი გრამატიკოსებიც. მაგალითად, ანტონ კათალიკოსმა თავის გრამატიკაში საგანგებო ყურადღება მიაქცია **აწერინებს** ტიპის ზმნებს, რომელთაც უწოდა „სხმითგარდასლვითი" (ნიშნავდა „ნაწარმოებს"). მაგრამ მაშინ უშუალო კონტაქტის ფორმასა და შუალობითს შორის მიმართება არ იყო გარკვეული და, შესაბამისად, კონტაქტის კატეგორიის ცნებაც არ არსებობდა. ამის გამო ძველ ქართველ გრამატიკოსებს შუალობითი კონტაქტის ფორმები განსაკუთრებული გვარის სახედ მიაჩნდათ.

ქართულ ლინგვისტიკაში კონტაქტის კატეგორია პირველად დაადგინა და შეისწავლა ა. შანიძემ (1930 წ.). ამ კატეგორიისათვის მან შემოიღო ტერმინი „გზა", რომელსაც შემდგომ უწოდა „შეხება" ანუ „კონტაქტი". მეცნიერის აზრით, ტერმინი „კონტაქტი" „უკეთ გადმოსცემს აღნიშნული კატეგორიის ბუნებას და მეტი შანსი აქვს საერთაშორისო ლინგვისტურ მეცნიერებაში შევიდეს".

შუალობითკონტაქტიანი ფორმები აქვს ზოგ სხვა ენასაც, მაგრამ იგი გამოხატულია სხვადასხვაგვარად. მაგალითად, ევროპულ ენებში კაუზატივი („ფაქტიტივი") არ არის გრამატიკული კატეგორია, რადგან მას ზმნაში სპეციალური მარკერი არ გააჩნია, ხოლო თურქულში, არაბულში, სპარსულში ეს სემანტიკა, იბერიულ-კავკასიური ენების მსგავსად, მორფოლოგიური ნიშნით არის გადმოცემული.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, კაუზატივი ქართულში გვარის კატეგორიაზე ადრინდელია, მოქმედებითი გვარის ჩამოყალიბების გზა კაუზატივი უნდა ყოფილიყო (არნ. ჩიქობავა). ეს ორი კატეგორია ფორმობრივ-სემანტიკურად იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რომ ზოგჯერ ძნე-

ლდება მათი ზუსტი დიფერენცირება და შესაბამისი მაწარმოებელი აფიქსების კვალიფიკაცია. დღეს მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობას იწვევს აგრეთვე კაუზატივის, როგორც ენობრივი ერთეულის, სტატუსის დადგენა, კაუზატივისა და კონტაქტის ცნებათა განსაზღვრა და ა. შ. ამჯერად წარმოვადგენთ რამდენიმე მოსაზრებას:

1) საერთოქართველური და კავკასიური ენების მონაცემთა გათვალისწინებით ვარაუდობენ, რომ ქართულში კაუზატივის თავდაპირველი მაწარმოებელი შეიძლებოდა ყოფილიყო **ა-** პრეფიქსი, რომელიც შემდგომ გართულდა **ევ, ინ, ევინ** სუფიქსებით (ა-ევ, ა-ინ, ა-ევინ). აქედან გამომდინარე, კაუზატივის პრეფიქსული წარმოება შეიძლება ჩაითვალოს ქართული ენის არქაული ფენის კუთვნილებად. ამ ვარაუდს მხარს უჭერს ის ფაქტიც, რომ სხვა ქართველურ და აფხაზურ-ადიღეურ ენებშიც კაუზატივის მაწარმოებელი არის პრეფიქსი (არნ. ჩიქობავა, ბ. გიგინეიშვილი, ი. ქავთარაძე, ე. გეურქოვა, ა. თაყაიშვილი, რ. ასათიანი...). ამჟამად შეიმჩნევა **ა – ინ** ტიპის წარმოების განზოგადება.

სხვა თვალსაზრისით, საერთო ქართველურისათვის კაუზატივის მაწარმოებელი უნდა ყოფილიყო **-ენ, -ინ** სუფიქსები (დის – ად-ენ-ს, მო-ა-კვდ-ინ-ებ-ს...) (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი). **-ენ, -ინ** სუფიქსების ამგვარ კვალიფიკაციას მართებულად მიიჩნევს ნ. მაჭავარიანიც. იგი ამ სუფიქსებს გენეტურად უკავშირებს მრავლობითი რიცხვის **ნ** თანხმოვანს (როგორც ნ. მარი და ქ. ლომთათიძე ვარაუდობდნენ).

2) სამეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ კაუზატივი უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე კონტაქტი. კაუზატივი აერთიანებს ყოველგვარ ფორმას, სადაც ადგილი აქვს ერთი პირის მიერ მეორის იძულებას (ა. თაყაიშვილი, გ. ნებიერიძე, ნ. მაჭავარიანი).

3) სარწმუნოდ არ მიაჩნიათ აშენებს – **აშენებინებს** და წუხს – **აწუხებს** ტიპის ფორმათა გაერთიანება ერთ კატეგორიაში (კაუზატივის კატეგორიაში). გ. მაჭავარიანმა **აწუხებს, აწვენს** ტიპის ფორმებს „ერთმაგი" – „პირველადი კაუზატივი" უწოდა, ხოლო **ა-წუხებ-ინ-ებს** ტიპისას – „ორმაგი",

„მეორეული კაუზატივი“. ამის გათვალისწინებით გამოითქვა ახალი – განსხვავებული მოსაზრებაც, რომლის მიხედვით, ერთი კატეგორიის (კაუზატივის) ნაცვლად შეიძლება გამოიყოს ორი განსხვავებული გრამატიკული კატეგორია, რომელთაგან დაპირისპირებას: წუხს – აწუხებს, დუღს – ადუღებს... შეიძლება კაუზატივი ეწოდოს, ხოლო აწუხებს – ა-წუხებ-ინებს ტიპის ფორმებს – კონტაქტი (რ. ასათიანი).

4) ა. ონიანი უფრო მართებულად მიიჩნევს საანალიზო ფორმათა ამგვარ კვალიფიკაციას: ა) **აწუხებს, ამუშავებს** ტიპის ზმნები (ა-პრეფიქსიანები) არის მოქმედებითის ფორმა და არა კაუზატივისა; ბ) კაუზატივის გამომხატველია მხოლოდ **-ინ, -ევინ** სუფიქსები; გ) დღეს მნიშვნელობა არა აქვს, **-ინ, -ევინ** სუფიქსებით გამოხატულ კატეგორიას კონტაქტს ვუწოდებთ, კაუზატივს თუ ორივე მათგანს მივანიჭებთ სინონიმურ ტერმინთა სტატუსს.

5) ბ. ჯორბენაძის აზრით, კაუზატივი გვარის ქვესისტემად განიხილება: „უნდა განირჩეს კაუზატივის მნიშვნელობა და კაუზატივის ფორმა: ა-კეთ-ებ-ინ-ებ-ს კაუზატივის ფუნქციის გამომხატველი ფორმაა – კაუზატივი შესაბამისი ფორმანტით გამოიხატება. ა-მღერებ-ს – მნიშვნელობა კაუზატივისაა, მაგრამ ფორმა ჩვეულებრივი (არაკაუზალური) მოქმედებითისაა... ა-თრევ-ინ-ებ-ს, ე-თრევ-ინ-ებ-ა ტიპის ზმნებში კაუზატივის მაწარმოებელია **-ინ, ა-** და **ე-** დეიქტური პრეფიქსებია“.

6) კაუზატივის კატეგორიასთან დაკავშირებით საგულისხმო მოსაზრებებია გამოთქმული აგრეთვე მ. მაჭავარიანის, დ. მელიქიშვილის, მ. სუხიშვილის, ჭ. ქირიას, ლ. ციხელაშვილისა და სხვათა გამოკვლევებში.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

ასათიანი რ., კაუზაცია და კონტაქტი ქართველურ ენებში: მაცნე, I, თბ., 1989.

ასათიანი რ., ზმნური ხმოვანპრეფიქსების ფუნქციები ქართველურში; ვერსია და კაუზაცია: კრებ. ენათა ისტორიულ-შედარებითი კვლევის პრობლემები, თბ., 2016.

გამყრელიძე თ., მაჭავარიანი გ., სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965.

გეურქოვა ე., კაუზატივის წარმოება ქართულსა და ზოგ მთის კავკასიურ ენაში: მაცნე, 1971, 2.

თაყაიშვილი ა., კაუზატივის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში: ქესს, IV, თბ., 1974.

მაჭავარიანი გ., კაუზატივის კატეგორია: იკე, XXVII, 1988.

მაჭავარიანი მ., ქცევის გრამატიკული კატეგორიის სემანტიკა, თბ., 1987.

მაჭავარიანი ნ., კაუზატივის კატეგორიის აფიქსები ქართულსა და აფხაზურში: მაცნე, 1987, 1.

მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.

მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი, თბ., 2014.

ნებიერიძე გ., გვარისა და კაუზატივის ურთიერთმიმართება ქართულში: კრებ. საენათმეცნიერო ძიებანი, 1984, I.

ონიანი ა., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

სუხიშვილი მ., კაუზატივის კატეგორია: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, თბ., 2011.

უთურგაიძე თ., კაუზაციის კატეგორია ქართულ ენაში, იკე, 33-ე, 1995.

უთურგაიძე თ., გრამატიკული კატეგორიებისა და მათი ურთიერთმიმართებისათვის ქართულ ზმნაში, თბ., 2002.

ფეიქრიშვილი ჟ., კაუზატიურ ზმნათა მესამე სერიის ფორმები ახალ ქართულში: მაცნე, 1973, 1.

ქირია ჭ., კაუზატივის კატეგორია ქართველურ ენებში, საკანდიდატო დისერტაცია, თბ., 1989.

შალამბერიძე გ., შუალობითკონტაქტიან ფორმათა წარმოების საკითხები: ქართული სწორმეტყველების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; II გამოც. 2008.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ჯორბენაძე ბ., ზმნის ხმოვანპრეფიქსული წარმოება ქართულში, თბ., 1983.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

6.18. ზმნის ძირი, ფუძე, თემა

6.18.1. ძირი და ფუძე. ქართული ზმნა მდიდარია კატეგორიებით, შესაბამისად, იგი სტრუქტურულადაც მრავალფეროვანია. ზმნის ძირითადი შემადგენელი ნაწილებია: ძირი, ფუძე, თემა, აფიქსები.

ძირი არის ზმნის დაუშლელი (უაფიქსო) ნაწილი. იგი საერთოა მისგან ნაწარმოები ყველა ფორმისათვის: ა-თეთრ-ებს, გა-ა-თეთრ-ებს, გა-ა-თეთრ-ა, გა-უ-თეთრ-ებია ფორმათა ძირია **თეთრ**; ა-ქ-ებს, შე-ა-ქ-ებ-ს, შე-ა-ქ-ო, შე-უ-ქ-ი-ა ფორმების ძირია **ქ**. ძირში არც ერთი მოქმედი მაწარმოებელი არ შედის.

ფუძე ჰქვია ზმნის იმ ნაწილს, რომელსაც უკავშირდება სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობა. იგი მიიღება პირისა და რიცხვის ნიშნების ჩამოშორებით (სხვა დანარჩენი აფიქსი შენარჩუნებულია). მაგ.: ვ-ესალმებოდი-თ ზმნის ფუძეა **ესალმებოდი**, გადა-იღებ-ენ – ფუძეა **გადაიღებ** (თუმცა დღეს ზოგი მკვლევარი ფუძის შემადგენელ ნაწილად არ მიიჩნევს ზმნისწინს). საზოგადოდ, როცა საუბარია ზმნის ფუძეზე, იგულისხმება ცალკეული მწკრივის ფუძე: ვ-ზრდი-თ ზმნის აწმყოს მწკრივის ფუძეა **ზრდი**, უწყვეტლისა – **ზრდიდი** (შდრ. ვ-ზრდიდი-თ), წყვეტილისა – **გაზარდე** (შდრ. გა-ვ-ზარდე-თ) და ა. შ. ფუძე შეიძლება იყოს სრული ან უსრული. უსრულ ფუძეში დაკარგულია **ა, ე** ხმოვნები ან **ვ** თანხმოვანი: ვ-**თალ**-ე – ვ-თლ-ი, გავ-**ჭერ**-ი – ვ-ჭრ-ი, **ძვრ**-ებ-ა – ა-**ძრ**-ობს...

ზოგჯერ ძირი და ფუძე ემთხვევა ერთმანეთს: წერ-ს, ჭამ-ს, ტეხ-ს ზმნებში **წერ, ჭამ, ტეხ** ძირიცაა და ფუძეც; მაგრამ ქართულში ძირი და ფუძე მეტწილად განსხვავებულია, რაც გამოწვეულია აფიქსების სიუხვითა და მრავალფეროვნებით. შესაბამისად, კატეგორიებით მდიდარი ზმნის ერთ ფორმაში შეიძლება ერთდროულად წარმოდგენილი იყოს რამდენიმე აფიქსი. მაგ., **ვ-ა-წერ-ინ-ებ-დ-ი-თ** ზმნაში გამოიყოფა შემდეგი აფიქსები: **ვ-** (S_1-ის ნიშანი), **ა-** (ქცევის ნიშანი), **წერ** (ძირეული მორფემა), **-ინ** (კაუზატივის ნიშანი), **-ებ** (თემის ნიშანი), **-დ** (სავრცობი), **-ი** (მწკრივის ნიშანი), **-თ** (რიცხვის ნიშანი).

6.18.2. თემა. თემის ნიშნები. ტრადიციული გრამატიკების მიხედვით, თემა არის საერთო (დასაყრდენი, ამოსავალი) ნაწილი I ან II სერიის ფორმებისათვის. სხვაგვარად: „თემა არის ჩონჩხი, რომელზეც ასხმულია ზმნის ფორმები ერთ-ერთ სერიაში (I ან II-ში)“ (ა. შანიძე). სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს თემის ასეთი განმარტებაც: თემა არის ის ნაწილი ზმნური ფორმისა, რომელიც საერთოა ერთი სერიის მწკრივთა ფორმებისათვის (გ. გოგოლაშვილი). შესაბამისად, I და II სერიებს თავიანთი თემები აქვს:

I სერია

ვ-ხატავ	და-ვ-ხატავ
ვ-ხატავ-დ-ი	და-ვ-ხატავ-დ-ი
ვ-ხატავ-დ-ე	და-ვ-ხატავ-დ-ე

ყველა მწკრივის საყრდენი **ხატავ** არის I სერიის თემა.

II სერია

ვ-ხატ-ე || და-ვ-ხატ-ე

ვ-ხატ-ო || და-ვ-ხატ-ო II სერიის თემაა **ხატ.**

იმ სუფიქსს, რომელიც I სერიის თემას განასხვავებს მეორისაგან, **თემის ნიშანი** ჰქვია. თემის ნიშნებია:

-ი: შლ-ი-ს, ღვრ-ი-ს, თლ-ი-ს...

-ავ: ხატ-ავ-ს, მალ-ავ-ს, ბარ-ავ-ს...

-ამ: აბ-ამ-ს, დგ-ამ-ს, ურტყ-ამ-ს...

-ებ: აშენ-ებ-ს, ამზად-ებ-ს, იმალ-ებ-ა...

-ობ: ათბ-ობ-ს, გმ-ობ-ს, მეფ-ობ-ს, ცხოვრ-ობ-ს...

-ოფ: ყ-ოფ-ს

-ემ: მისც-ემ-ს

-ევ: ინგრ-ევ-ა, იქც-ევ-ა, იმსხვრ-ევ-ა...

-ან: დგ-ან-ან, წვ-ან-ან, ჰყვ-ან-ან, ჰგვ-ან-ან.

ახალ ქართულში ყველა თემის ნიშანი ერთნაირი სიხშირით არ გამოიყენება: ყველაზე პროდუქტიული სუფიქსებია **ებ, ავ, ობ**; ზოგი კი მხოლოდ ერთეული შემთხვევებით დასტურდება. მაგალითად: **ოფ** და **ემ** დღეს გვხვდება თითო ფუ-

ძესთან (რომელიც დაირთავს სხვადასხვა ზმნისწინს): ჩაყოფს, გადაყოფს, შეყოფს, ამოყოფს... მისცემს, გასცემს, დასცემს... **ამ** მოუდის თხუთმეტიოდე ზმნას; **ევ, ან** სუფიქსებიც ძალზე იშვიათია (სპეციალურ ლიტერატურაში მათი კვალიფიკაციაც არაერთგვაროვანია. იხ. გვ. 297).

ზმნა შეიძლება იყოს ერთთემიანი ან ორთემიანი.

ე რ თ თ ე მ ი ა ნ ზმნას თემის ნიშანი არ დაერთვის. ასეთებია: წერს, ჭამს, ტეხს, ბანს, მოიტანს, მიიყვანს, ძოვს, ქსოვს... ამ ტიპის ზმნათა რიცხვი დღეს ქართულში მცირეა, ძველში კი გაცილებით მეტი იყო, მაგრამ დროთა ვითარებაში ზოგმა დაირთო **-ავ** და ორთემიანი გახდა: თესავს (< თეს+ავ), ხოცავს, ჩეჩავს, ბერტყავს, რეცხავს... შესაძლებელია პირიქითაც მოხდეს: თემის ნიშანი შეეზარდოს ზმნის ძირს და ორთემიანი ზმნა ერთთემიანად იქცეს. მაგალითად, ძველ ქართულში **სცემს** (ურტყამს) ორთემიანი იყო: სცემს იგი მას მას – შდრ. სცა მან მას იგი. შემდეგ **ემ** ძირის კუთვნილება გახდა (სცემ-ს – სცემ-ა). იგი აღარაა თემის ნიშანი.

ანალოგიური ცვლილება მოხდა **შობს** ზმნაშიც: ამოსავალი უძველესი **შევ** (შვა) ფუძისა და **ებ** თემატური სუფიქსისაგან ფონეტიკური ცვლილებით (შევ+ებ>შვებ>შობ) მიღებული **ობ** თემის ნიშანი (შობ-ს – შვა, იშვა...) მოგვიანებით თანდათან შეეზარდა ძირს და განსხვავებული თემის წარმოების ფუნქციაც დაკარგა: შობს – შობ-ა, იშობ-ა... ამავე ფუძისგანაა ნაწარმოები ზმნა მ შ ო ბ ი ა რ ო ბ ს .

ო რ თ ე მ ი ა ნ ი ა ზმნა, რომელსაც თემის ნიშანი დაერთვის. I სერიაში ზმნა არის თემისნიშნიანი (ეს პირველი თემაა), მეორეში თემის ნიშანი ზმნას არ გადაჰყვება (მეორე – განსხვავებული, უთემისნიშნო თემაა): შდრ. ამზად-ებ-ს – მოამზად-ა.

ქართულში ორთემიან ზმნათა რიცხვი საკმაოდ დიდია, რადგან თემის ნიშნები დაერთვის ზმნათა უმრავლესობას. გარდა ამისა, ორთემიანად ითვლება შუალობითი კონტაქტის ფორმები და ე. წ. ფუძედრეკადი ზმნები.

ფ უ ძ ე დ რ ე კ ა დ ი ა ისეთი ზმნა, რომლის I სერიის თემისეული **ე** ხმოვანი II სერიაში იცვლება **ი** ხმოვნით. ასე-

თებია: დრეკს – დრიკა, გრეხს – გრიხა, გლეჯს – გლიჯა; აჩენს – გამოაჩინა, ადგენს – დაადგინა; ამჩნევს – შეამჩნია, აქცევს – წააქცია... ამ ტიპის ზმნებს მეორენაირად ხ მ ო ვ ა ნ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ს უწოდებენ.

ორთემიან ზმნას, როგორც წესი, I სერიაში აქვს თემისნიშნიანი თემა, მეორეში – უთემისნიშნო. ტრადიციული შეხედულებით, III სერიას საკუთარი თემა არა აქვს. იგი იყენებს პირველი ან მეორე სერიის თემას: თუ III სერიაში თემის ნიშანი წარმოდგენილია, ამოსავალი ყოფილა I სერიის თემა; თუკი თემის ნიშანი არაა, გამოყენებულია II სერიის თემა:

აკეთ-**ებ**-ს – გააკეთა – გაუკეთ-**ებ**-ია (I სერიის თემა)

აქ-**ებ**-ს – აქო – უქია (II სერიის თემა)

6.18.3. თემა შედგენილობის მიხედვით შეიძლება იყოს მარტივი, რთული ან გავრცობილი.

მ ა რ ტ ი ვ ი ა თემა, თუ მას არ დაერთვის თემის ნიშანი. ასეთი თემა აქვს ყველა ერთთემიან ზმნას სამივე სერიაში, ორთემიანს – II სერიაში, ზოგჯერ – III-შიც.

რ თ უ ლ ი თემა მიიღება მარტივზე თემის ნიშნის დართვით. რთული თემაა I-სა და III სერიაში: ათბ-ობ-ს; აუშენ-ებ-ია.

გ ა ვ რ ც ო ბ ი ლ ი ა თემა, თუ ზმნის ფორმაში თემის ნიშანთან ერთად არის მწკრივის სავრცობები **-დ** ან **-ოდ**: ამზად-ებ-**დ**-ა, ეხმარ-ებ-**ოდ**-ა...

სამეცნიერო ლიტერატურაში სტრუქტურის მიხედვით განასხვავებენ აგრეთვე მარტივსა და რთულ თემის ნიშნებს. მ ა რ ტ ი ვ ი ა: **-ავ, -ამ, -ებ, -ობ, -ოფ, -ევ, -ემ.** რ თ უ ლ ი თემის ნიშანი მიიღება ორი თემის ნიშნის შეერთებით. გ. გოგოლაშვილმა რთულ თემის ნიშნებად გამოყო **-ვებ** (< -ავ+-ებ: რგავს – ირგ-ვებ-ა) და **-მებ** (< -ამ+-ებ: დგამს – იდგ-მებ-ა), რომლებიც უმარცვლო ძირის მქონე მოქმედებითი გვარის ზმნათა შესაბამის ვნებითებთან გამოიყენება. გარდა ამისა, თემის წარმოების მხრივ საინტერესოა **გორაობს** ტიპის ზმნებიც. ისტორიულად აქ ორი თემის ნიშანია: ძველი **ავ** (რომელიც შემდგომ არ აღმოჩნდა საკმარისი) და ახალი **ობ** (გორ-

ავ-ობ-ს). დღეს პირველი (ავ) გაიაზრება ფუძისეულ ელემენტად, ამიტომაც იგი გადაჰყვება II სერიაში – იგორავა.

ევ, ენ დაბოლოებიანი ზმნები, **დრეკს – დრიკა** ტიპის ზმნათა მსგავსად, ორთემიანია. **ევ** სუფიქსიანი ფორმა **ენ**-იანთან შედარებით თავისებურებას ამჟღავნებს იმ მხრივ, რომ გარკვეული ფონეტიკური ფაქტორის გამო **ვ** თანხმოვანი უჩინარდება. კერძოდ, **ევ** II სერიაში **ივ**-ად იქცევა (როგორც **ენ ინ**-ად), მაგრამ, როცა ფუძისეული **ვ** აღმოჩნდება ბაგისმიერი ბგერების გვერდით, იგი იკარგება: წააქც-ევ-ს – წააქც-ივ-ა, წააქც-ივ-ო-ს > წააქც-ი-ო-ს. **ვ**-ს დაკარგვა **ო**-ს გამო ხდება ჯერ II კავშირებითში, შემდეგ კი – სხვაგანაც: წააქც-ივ-ა > წააქც-ი-ა. **წააქცივა** ტიპის ფორმები დღესაც შეიძლება გამოვლინდეს აღმოსავლურ კილოებში და მათი გავლენით ამ კუთხის მწერალთა ნაწერებშიც.

ქართულში ყველა გვარის ზმნას ერთნაირი თემის ნიშანი არ მოუდის. მათი განაწილება განსხვავებულია:

1) მოქმედებითი გვარის თემის ნიშნებია: **ი, ავ, ამ, ებ, ობ, ოფ, ემ**;

2) ვნებითი გვარისაა: **ებ, ობ** (ერთვის ზმნათა მცირე ჯგუფს: ისპ-ობ-ა, იხრჩ-ობ-ა, იწრთ-ობ-ა), **ევ** (მხოლოდ რამდენიმე ზმნას მოუდის: ინგრ-ევ-ა (დაინგრ-ა), ირღვ-ევ-ა, იქცევა, იმტვრევა, იმსხვრევა);

3) საშუალი გვარის ზმნებში შეიძლება შეგვხვდეს **ავ, ებ, ობ, ი, ან** (თემის საკითხი აქ უფრო თავისებურია).

6.18.4. თემის ნიშანთა მართლწერა.

1) **-ავ, -ამ** თემის ნიშნები ზმნას გადაჰყვება III სერიის I შედეგობითშიც: ხატავს ის მას, აბამს ის მას – დაუხატავს მას ის, დაუბამს მას ის... და არა: დაუხატია, დაუბია.

შენიშვნა: თანამედროვე ქართულში საკმაოდ გავრცელებულია უთემისნიშნო ფორმებიც: უთქვია, უნახია, დაუდგია (მას ის), რომლებიც გამართლებულია ფორმათა სემანტიკური დიფერენციაციის პრინციპით და პერსპექტიულია ნორმირების ასპექტით. გარდა ამისა, **უთქვია** ტიპის წარმოების გაჩენა-გავრცელების საფუძველია ენაში აქტიურად მოქმედი უნიფიკაციის ტენდენ-

ცია, **-ია** დაბოლოებიანი (**შეუქცია** ტიპის) ზმნების ანალოგია და პარადიგმის შევსება-გასწორების პრინციპი (შდრ. დავუხატივარ, დაუხატიხარ, დაუხატია) (ზ. ჭუმბურიძე, დ. მელიქიშვილი, გ. გოგოლაშვილი, რ. საღინაძე, რ. ზექალაშვილი...).

2) ერთთემიან ზმნებს თემის ნიშანი არ უნდა: წერს, ტეხს... და არა: წერავს || წერამს, ტეხავს || ტეხამს...

3) უთემისნიშნო ზმნების I-სა და II შედეგობითში ფუძის შემდეგ **ნ** არ არის საჭირო. უნდა იყოს: დამიწერია, დამეწერა, უჭამია, ეჭამა და არა: დამიწერ-ნ-ია, დამეწერ-ნ-ა, უჭამ-ნ-ია, ეჭამ-ნ-ა.

4) **-ებ** სუფიქსიან ზმნებს II შედეგობითსა და III კავშირებითში თემის ნიშნის შემდეგ **-ინ** მოუდის: გამეკეთ-ებ-ინ-ა, გამეკეთ-ებ-ინ-ოს... და არა: გამეკეთებია, გამეკეთებიოს.

5) თემის ნიშანი არ დაერთვის ხმოვანმონაცვლე ზმნებს. სწორია: ვგრეხ, ვგლეჯ, ვზელ... და არა: ვგრეხავ || ვგრიხავ, ვგლეჯავ || ვგლიჯავ, ვზელავ || ვზილავ...

6) **ებ**-ის ნაცვლად ზოგჯერ სხვა თემის ნიშანიც გვხვდება. მართებულია: აპირ-ებ-ს, აძღ-ებ-ს, ჭიკჭიკ-ებ-ს... და არა: აპირობს, აძღობს, ჭიკჭიკობს.

6.18.5. ზმნის ძირის, ფუძის, თემისა და თემის ნიშანთა კვალიფიკაციისათვის. სამეცნიერო ლიტერატურაში ზმნის შემადგენელ ძირითად ნაწილთა ზოგადი საკითხები საკმაო სისრულითაა შესწავლილი. ძირი და ფუძე, როგორც ენობრივი ერთეულები (მორფოლოგიური ცნებები), გვხვდება ჯერ კიდევ ანტონ I-ის გრამატიკაში, რომელშიც ფუძე მიჩნეულია ზმნის ერთ-ერთ კატეგორიად (სახელწოდებით „ნაკუწთი“): იგი შეიძლება იყოს მარტივი, რთული და ზედდადებული (ზედშესრული). აქვე ავტორი (სხვა საკითხებზე მსჯელობისას) გამოყოფს **-ებ**, **-ავ**, **-ამ** სუფიქსებს. ა. ფოცხიშვილის შეფასებით, ანტონის უდავო დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მის გრამატიკაში სიტყვის საგნობრივი მნიშვნელობა დაკავშირებულია ფუძესთან, ანუ სხვაგვარად: ზმნის ფუძე რომ სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელია, ეს ანტონ I-ს შეუმჩნეველი არ დარჩენია.

ზმნის ფუძის, ძირის, თემისა და თემის ნიშნების შესახებ მსჯელობდნენ მომდევნო ხანის პრაქტიკულ გრამატიკებშიც. და მაინც ამ პრობლემის ვრცელი მეცნიერული კვლევა დაკავშირებულია ა. შანიძის სახელთან. მან მთლიანობაში განიხილა ზმნის ფორმობრივი სტრუქტურა – მისი ცალკეული ნაწილების ურთიერთმიმართება, შეისწავლა თემატურ სუფიქსთა გამოყენება გვარების მიხედვით, მიუთითა თემის ნიშანთა მიერ სიტყვაში გამოწვეულ ფონეტიკურ ცვლილებებზე, განსაზღვრა თითოეული აფიქსის მოხმარების სიხშირე და ა. შ. ამ საკითხებთან დაკავშირებით ა. შანიძისეული კვალიფიკაცია ქართულ ლინგვისტიკაში ჩამოყალიბდა ტრადიციულ (ძირითად) შეხედულებად, თუმცა სპეციალურ ლიტერატურაში იმთავითვე გამოითქვა მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოსაზრებებიც. ამჯერად მოკლედ შევჩერდებით რამდენიმეზე:

1. რა არის მწკრივის ფუძე?

ა) ტრადიციული შეხედულებით, მწკრივის ფუძე არის ზმნის ის ნაწილი, რომელსაც უკავშირდება ზმნის ლექსიკური მნიშვნელობა და საერთოა ერთი მწკრივის ფარგლებში; იგი მიიღება პირისა და რიცხვის ნიშნების ჩამოშორებით (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, მ. თალაკვაძე, ე. სახვაძე, ა. კიზირია, ი. იმნაიშვილი, რ. შამელაშვილი, ო. მიქიაშვილი, ნ. მაღლაკელიძე, ა. არაბული, ჟ. ფეიქრიშვილი[1]...).

ბ) გ. გოგოლაშვილის განმარტებით, ნაკვთის (მწკრივის) ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები.

ორივე ამ თვალსაზრისს აქვს შესაბამისი არგუმენტები. ფუძის შემადგენლობაში ზმნისწინის დატოვება თუ მისი ჩამოშორება პირველ რიგში განსაზღვრავს მწკრივთა რაოდენობის საკითხს ქართულში, ამდენად, მას პრინციპული მნიშვნელობა ენიჭება.

---

[1] მართალია, ჩამოთვლილ მკვლევართა ნაშრომებში თანდათან ზუსტდებოდა ძირსა და ფუძესთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, მაგრამ ზმნის ფუძის კვალიფიკაცია და გამოყოფის პრინციპი ყველგან ერთნაირი იყო (იხ. ლიტერატურის ჩამონათვალი).

2. ძირის საკითხი **აშენებინებს** ტიპის კაუზატიურ ზმნებში.

ტრადიციული განმარტებით, ძირი არის ზმნის დაუშლელი (უაფიქსო) ნაწილი, რომელიც საერთოა მისგან ნაწარმოები ყველა ფორმისათვის. ამ წესიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, დაზუსტებას მოითხოვს ძირის ზოგადი დეფინიცია **აშენებინებს** ტიპის ზმნებში. მათში დღეს მოქმედი გრამატიკული სუფიქსებია კაუზატივის **ინ** (ევინ) მაწარმოებელი და მისი მომდევნო **ებ** თემის ნიშანი: აშენებ-ს>აშენებ-**ინ**-**ებ**-ს, ააშენებ-**ინ**-ა, აუშენებ-**ინ**-**ებ**-ია (შდრ. წერს>აწერ-**ინ**-**ებ**-ს, დააწერ-**ინ**-ა, დაუწერ-**ინ**-**ებ**-ია...).

კაუზატივის მარკერის წინ მდგომი აფიქსი არის უშუალო კონტაქტიდან გადმოყოლილი თემის ნიშანი, რომელსაც კაუზატიურ ფორმაში გრამატიკული ფუნქცია აღარ აქვს შენარჩუნებული – იგი აქ მხოლოდ ახალი სიტყვის წარმოსაქმნელი ელემენტია და ძირის კუთვნილებადაა ქცეული. სხვაგვარად: თავდაპირველი თემის ნიშანი ახალ კონტექსტში (ფორმაში) ძირისაგან გამოუნაწევრებელი (უფუნქციო) ელემენტი გახდა.

სხვადასხვა საცილობელი არგუმენტის გათვალისწინებით, დასაშვებად მიგვაჩნია, **შენებ** სეგმენტი, რომელიც უცვლელად მეორდება სამივე სერიაში, ენის სინქრონიულ დონეზე ჩაითვალოს **ძირად**. შესაბამისად, ალბათ, ძირის ზოგადი დეფინიციაც უფრო ზუსტი იქნება ამ სახით: „ძირი არის ზმნის ის ნაწილი, რომელიც საერთოა სამივე სერიისათვის და რომელშიც აღარ გამოიყოფა მოქმედი გრამატიკული აფიქსები“ (ვრცლად იხ. ჩვენი „ზმნის ძირისა და ფუძის კვალიფიკაციისათვის ქართულში“).

3. განსხვავებულია თემატურ აფიქსთა წარმომავლობის ისტორიაც. მაგალითად, **-ან** სუფიქსთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა მოსაზრება. მაგალითად:

ა) ა. შანიძის აზრით, **ან** თემის ნიშანი თითო-ოროლა სახითაა შემონახული; დღეისათვის ის უფრო გადმონაშთია: დგას – დგ-**ან**-ან (დგას მიღებული ჩანს დგ-ან-ს ფორმისაგან), წევს – წვ-**ან**-ან. ანალოგიურად უნდა იყოს განვითარებული:

ჰყავს – ჰყვ-**ან**-ან, ჰგავს – ჰგვ-**ან**-ან; მხოლობითის ფორმაში **ან** არ იხმარება (თუმცა დიალექტებში იგი თავს იჩენს მხოლობითშიც: დგანა, ჩანა, წენა...). **ან** სუფიქსი თემის ნიშნად უფრო ადრე დაასახელა ლ. კიკნაძემ.

ბ) **ან** არ მიაჩნდა თემის ნიშნად არნ. ჩიქობავას. მისი დაკვირვებით, დგა-**ნ**-**ან** ფორმაში ბოლო **ან** რიცხვის აღმნიშვნელია, წინა **ნ** – პირის ნიშანი.

გარდა ამისა, სამეცნიერო ლიტერატურაში მსჯელობენ ე. წ. მ კ ვ დ ა რ ი თ ე მ ი ს ნ ი შ ნ ე ბ ი ს შესახებაც. ვ. თოფურიას დაკვირვებით, **ოვ** (**ქსოვს** ტიპის ზმნებში) უძველეს ქართულში შეიძლებოდა ყოფილიყო თემის ნიშანი. მანვე წარმოადგინა თავდაპირველ სავარაუდო თემატურ სუფიქსთა ასეთი სქემა: ავ, ევ, ოვ, ამ, ემ, ომ, აბ, ებ, ობ, აფ, ეფ, ოფ; თანვე მიუთითა, რომ ყველა ეს სუფიქსი მეტ-ნაკლებად ახლაც ცოცხალია.

4. ტრადიციული შეხედულებისაგან განსხვავებით, სპეციალურ ლიტერატურაში საეჭვოდაა ჩათვლილი ე. წ. ფ უ ძ ე დ რ ე კ ა დ ი ზმნების ორთემიანობა. არნ. ჩიქობავას მიხედვით, **დრეკს-დრიკა** ტიპის ზმნათა დაბოლოებები (ეკ, ენ, ეთ, ეტ...) მხოლოდ სახელისაგან ზმნის მაწარმოებელი ელემენტებია (ე. ი. წარმოქმნის საშუალებაა და არა თემის ნიშანი), რომლებიც დროთა ვითარებაში ფუძისეულად იქცნენ; ამიტომ ასეთ ზმნათა ორთემიანობა დღეს საკამათოა.

ვფიქრობთ, საანალიზო ტიპის ზმნები ფორმობრივ-ფუნქციურად რომ არ არის ძირითადი ორთემიანების (ანუ სპეციალური თემის ნიშნის მქონეთა) ტოლფასი, ამაზე აშკარად მეტყველებს დიალექტებში საკმაოდ შესამჩნევი ერთი ენობრივი ტენდენციაც: ცოცხალი მეტყველება **დრეკს – დრიკა** ტიპის ზმნებს აღიქვამს ერთთემიანად და, რომ აქციოს ორთემიანად, აფორმებს კიდეც **-ავ** თემის ნიშნით: დრეკავს||დრიკავს, ზელავს||ზილავს, წყვეტავს||წყვიტავს... (შდრ. დრეკს, ზელს, წყვეტს...).

თანამედროვე ქართულის რეალური ვითარების გათვალისწინებით, ჩანს, იმდენად საგრძნობია ამ ტიპის ზმნათა თემისნიშნიანი ფორმების გაბატონების ტენდენცია, რომ გა-

მოყენების სიხშირით დიალექტებში თემისნიშნიანები თითქმის გაუთანაბრდა უთემისნიშნოებს, როგორც ამის შესახებ სამართლიანად მიუთითებენ სამეცნიერო ლიტერატურაშიც (ე. ბაბუნაშვილი, ლ. ნოზაძე...) აქვე შევნიშნავთ: დღეს ზეპირი მეტყველების გავლენით საანალიზო უმართებულო ფორმები თავს იჩენს სამწერლობო ენაშიც, განსაკუთრებით, პრესაში. სწორედ ეს ფაქტიც თავისთავად მიანიშნებს იმაზე, რომ ზმნის ფუძე-ძირში ოდენ ხმოვანმონაცვლეობა საკმარისი არ ჩანს ორთემიანობისათვის.

5. თემის საკითხი III სერიის ფორმებში. როგორც წესი, ზმნის თემის რაოდენობის განსაზღვრა ტრადიციულად ემყარება I და II სერიის ჩვენებას. შესაბამისად, ორთემიან ზმნას I სერიაში აქვს თემისნიშნიანი თემა, მეორეში – უთემისნიშნო; III სერიას კი საკუთარი თემა არ გააჩნია. ამგვარი კვალიფიკაცია ჩამოაყალიბა ა. შანიძემ თავის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში (1953, 1973), თუმცა იგი 1930 წელს გამოცემულ „ქართული ენის გრამატიკაში“ თემას ცოტა სხვაგვარად განმარტავდა: „თემა ჰქვია უცვალებელ ნაწილს ზმნისას, რომელიც გასდევს ხოლმე ერთ-ერთი სერიის ყველა ფორმაში, ე. ი. რომლის დაპირისპირებითაც ცვალებადია პირისა, რიცხვისა, ქცევისა, დროისა და კილოს ნიშნები“, ანუ პირიან ზმნის ჩონჩხს წარმოადგენს თემა, რომელზედაც ასხმულია ფორმა. ა. შანიძის ამ თავდაპირველი კვალიფიკაციის გათვალისწინებით, გ. გოგოლაშვილი მიუთითებს, რომ I და II სერიის მსგავსად შეიძლება თემის საკითხი დაისვას და განხილულ იქნეს III სერიაშიც, სადაც, თავის მხრივ, შეიძლება გამოიყოს სამი ჯგუფი:

I. ერთთემიანი ზმნები (რომელთაც სამივე სერიაში ერთი და იგივე თემა აქვს: წერ-ს, ჭამ-ს...);

II. ორთემიანი ზმნები (რომელთაც I და II სერიის თემა განსხვავებული აქვთ; III სერიის თემა საზიაროა ან I სერიასთან, ანდა II სერიასთან: ა-კეთ-ებ-ს/ა-კეთ-ა/უ-კეთ-ებ-ია; ა-ქ-ებ-ს/ა-ქ-ო/უ-ქ-ია...);

III. სამთემიანი ზმნები – რომელთაც III სერიაში I-II სერიისაგან განსხვავებული თემა აქვთ: ვიმალ-ები (I სერია), დავიმალე (II სერია), დავმალულ-ვარ (III სერია) (დაწვრ. იხ. გ. გოგოლაშვილი, 2011).

6. თემის ნიშნების თავდაპირველი ფუნქციისათვის. დღეს თემის ნიშანი, ძველ ქართულთან შედარებით, ფორმობრივ-ფუნქციურად მრავალფეროვანია. იგი კიდევ უფრო ნაირგვარობით ვლინდება დიალექტებში, სასაუბრო ენაში. ქართულ ლინგვისტიკაში არაერთი საყურადღებო, მეცნიერულად ფასეული თვალსაზრისია გამოთქმული ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, თემის ნიშნების თავდაპირველ ფუნქციად მიჩნეულია:

ა) ნეიტრალური ფუძის გააქტიურება (ანუ თემის ნიშანი აწმყოს ფუძის მაწარმოებელი სუფიქსია: არნ. ჩიქობავა);

ბ) განგრძობითი მოქმედების აღნიშვნა (ანუ თემის ნიშანი გრძლიობის გრამატიკული კატეგორიის ნიშანია: გ. მაჭავარიანი);

გ) ხოლმეობითობის გამოხატვა (ანუ ქართველურ ენებში თემის ნიშანთა ძირითადი მორფოლოგიური ფუნქციაა ხოლმეობითობა: მ. ივანიშვილი).

ზმნურ ფორმათა წარმოება-ფუნქციების, განსაკუთრებით, ძირის, ფუძისა და თემის გამოყოფის ასპექტით ასევე საინტერესოა თანამედროვე მკვლევართა ნაშრომები, რომლებშიც წარმოდგენილია საკითხის ახლებური – ტრადიციულისაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული კვალიფიკაცია.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის: მაცნე, 1992, №4.

არაბული ა., ზმნის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის საკითხისათვის ქართულში: „ენათმეცნიერების საკითხები", 1999, 1.

აფრიდონიძე შ., უ- ხმოვნიანი ფუძის **ობ** თემისნიშნიანი ზმნები ახალ ქართულში: ქესს, IX, 2005.

ბაბუნაშვილი ე., ფუძედრეკადი ზმნების ერთი თავისებურება ქართულში: თსუ, შრ. ტ. 174, 1977.

გიგაშვილი ქ., თემის ნიშანთა და ზმნისწინთა ისტორიული ურთიერთმიმართებისათვის ქართულში: საენათმეცნიერო ძიებანი, XVII, 2004.

გოგოლაშვილი გ., ავ, ამ თემისნიშნიან ზმნათა ვნებითი გვარის ფორმათა შესახებ ახალ ქართულში: მაცნე, 1987, №2.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბ., 1988.

გოგოლაშვილი გ., ერთი ტენდენციისათვის თემის ნიშანთა განაწილებაში: ბ. ჯორბენაძის საზოგ. II სამეცნ. კონფერენცია, 1995.

გოგოლაშვილი გ., თემის ნიშანთან დაკავშირებული ზოგი საკითხი საშუალი გვარის ზმნებში: საენათმეცნიერო ძიებანი, XX, 2005.

გოგოლაშვილი გ., თემის საკითხისათვის III სერიის ფორმებში: იკე, 39-ე, 2011.

გოგოლაშვილი გ., ე ხმოვნიანი ზმნური ფუძეები ქართულში: იკე, 42-ე, 2014.

დათუკიშვილი ქ., ძირი, თემა და ფუძე ქართული ზმნის ფორმალიზებულ სისტემაში: ქესს, VII, 1998.

დამენია მ., ქართული ზმნური მორფემების სტრუქტურული მოდელები, თბ., 1982.

ზექალაშვილი რ., სალიტერატურო ენის ცვლილებები და ნორმირება. ნერილი მესამე: ზმნის მართლწერასთან დაკავშირებული საკითხები: გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, 2008, №1.

თალაკვაძე მ., ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, თბ., 1959.

თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, თბ., 2011.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

თოფურია ვ., ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში: სმამ, ტ. III, 1942, 5.

თოფურია ვ., ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1965; 1988.

ივანიშვილი მ., თემის ნიშანთა ფუქციისათვის ქართველურ ენებში: მაცნე, 1986, №1.

იმნაიშვილი ი., ზმნის ფუძე: ქელს, 1974, №3.

კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნანილი I, თბ., 1981.

კიზირია ა., ქართული ენა (ფონეტიკისა და მორფოლოგიის პრაქტიკუმი), თბ., 1969.

ლიპარტელიანი რ., ზმნის ძირის, ფუძისა და თემის სწავლებისათვის: გაზ. „სახალხო განათლება", 1974, 16/XII.

მაღლაკელიძე ნ., ზმნის სნავლების მეთოდიკა, თბ., 1997.

მაჭავარიანი გ., გრძლიობის, ასპექტისა და დროის მიმართება თანამედროვე ქართულში: „მიმომხილველი", 6-9, 1972.

მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის უღლების სისტემა, თბ., 2001.

მელიქიშვილი დ., ქართული ზმნის სისტემური მორფო-სინტაქსური ანალიზი, თბ., 2014.

მიქიაშვილი ო., ქართული ენა, თბ., 1996.

ნათაძე ნ., თემის ნიშნები ქართველურ ენებში : იკე, XI, 1959.

ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.

ნოზაძე ლ., ხმოვანმონაცვლე ზმნათა წარმოების ზოგი საკითხი ქართულში: ქესს, VII, 1998.

ონიანი ა., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.

საღინაძე რ., სალიტერატურო ენის ნორმირების საკითხები, თბ., 2013.

სახვაძე ე., ზმნის ფუძის, თემისა და ძირის სწავლებისათვის VI კლასში: კრებ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", თბ., 1954.

ფეიქრიშვილი უ., საშუალი გვარის **ობ** სუფიქსიან ნასახელარ ზმნათა ფუნქციისათვის თანამედროვე ქართულში: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრ., ტ. III (37), 2003.

ფეიქრიშვილი უ., ძირის საკითხი **აშენებინებს** ტიპის კაუზატიურ ზმნებში: ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულტეტის შრ., ტ. VIII (1), 2006.

ფეიქრიშვილი უ., ზმნის ძირისა და ფუძის კვალიფიკაციისათვის ქართულში: ენათმეცნიერული ძიებანი, თბ., 2009.

ფოცხიშვილი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1995.

ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ქურდაძე რ., ხმოვანმონაცვალე ზმნები თანამედროვე ქართულში, თბ., 2005.

შამელაშვილი რ., ენათმეცნიერულ ტერმინთა მოკლე ლექსიკონი, თბ., 1976.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942; ასევე: შრ., VII, თბ., 2013.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ჭუმბურიძე ზ., ავ, ამ თემისნიშნიან ზმნათა ცვლილებისათვის I თურმეობითში: თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრ., ტ. 19, 1976.

ჯორბენაძე ბ., თემის ნიშანთა განაწილებისათვის ქართულში: იკე, XXVII, 1988.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

ჯორბენაძე ნ., **ობ** თემისნიშნიანი საშუალი გვარის ზმნათა სტრუქტურულ-სემანტიკური ანალიზი: ქესს, X, თბ., 2009.

ჯორბენაძე ნ., **ავ** თემისნიშნიანი საშუალი გვარის ზმნათა სემანტიკისა და ნორმატიულობის საკითხისათვის: იკე, 41-ე, 2013.

6.19. თავისებური ზმნები

6.19.1. თავისებურ ზმნათა ზოგადი დახასიათება. ქართულში ზოგიერთი ზმნა არ ექვემდებარება ენაში შემუშავებულ ზოგად წესებს და ავლენს თავისებურებას. ასეთ ზმნებს თ ა ვ ი ს ე ბ უ რ ი ზმნები ჰქვია. სხვაგვარად (ფართო გაგებით) მათ დ ე ფ ე ქ ტ უ რ ს ა ც [1] უწოდებენ (რადგან აკლიათ რომელიმე ერთი ფორმა ან ნიშანი).

წარმოების საერთო წესიდან გადახრის მიზეზებია:

1) არქაული ფორმის (ხარ, მოხვედი...) შემორჩენა;
2) ზმნის ცვლილება ფონეტიკური ფაქტორის გამო (ტეხს – ტეხდ-ება – ტხდება – ტყდება);
3) ბუნების მოვლენების აღმნიშვნელ ზმნებთან (წვიმს, თოვს...) I და II პირების კლება;
4) ანალოგიური და დიალექტური წარმოება.

რამდენადაც თავისებურების საფუძველი მრავალნაირია, შესაბამისად, თავისებური ზმნაც მრავალგვარია. ტრადიციულად, ამ ჯგუფში გაერთიანებულია რთული, მიმღეობითი, ფუძემონაცვლე, პირნაკლი, ქცევანაკლი და მწკრივგამოცვლილი ზმნები.

6.19.2. რთული და მიმღეობითი ზმნები. რ თ უ ლ ი ეწოდება ისეთ ზმნას, რომელიც ერთზე მეტი ფუძისაგან შედგება. იგი იწარმოება სახელისა და მეშველი ზმნის საშუალებით. ესენია: შეურაცხყოფს, სრულყოფს, ცხადყოფს, ხელყოფს, უგულებელყოფს, უზრუნველყოფს; პატივს სცემს (პატივისცემა), ყურად იღებს (ყურადღება)...

რთულ ზმნაში სახელადი ნაწილი პირველ ადგილზეა. იგი ფორმას არ იცვლის, წარმოდგენილია ფუძის სახით. რთული ზმნის საუღლებელ ფუძედ გამოყენებულია **ყოფა,**

---

[1] სამეცნიერო ლიტურატურაში ამ ტიპის ზმნებთან დაკავშირებით შემოთავაზებულია სხვა ტერმინოლოგიაც: ზმნას, რომელიც გრამატიკული კატეგორიის საპირისპირო ფორმებს ვერ აწარმოებს, **ნაკლული** ჰქვია. ნაკლულ ზმნებს, რომლებიც დანაკლის ფორმებს სხვა ფუძის ზმნებით ივსებენ, **ფუძემონაცვლე** ზმნები ეწოდებათ; ხოლო იმ ზმნებს, რომლებიც საერთოდ ვერ ივსებენ დანაკლის ფორმებს, დეფექტური ანუ **საკუთრივ ნაკლული** ზმნები ჰქვია (შ. კეკელია, ა. დავითიანი).

ცემა, ღება... ზმნები, რომლებიც იცვლება შესაბამისი კატეგორიების მიხედვით: სრულვყოფ, სრულყოფ, სრულყოფს...

რთული ზმნის ნაწილები, ჩვეულებრივ, ერთადაა (უკვდავყოფს), მაგრამ ზოგჯერ გვხვდება მათი გათიშვის შემთხვევებიც: „ავტორებს **ყურად** უნდა **ეღოთ** ეს კრიტიკა". რთული ზმნის ნაწილებს საკუთარი მნიშვნელობა დაკარგული აქვს, ორივე ერთ ცნებას გამოხატავს.

ძველ ქართულში რთული ზმნები ფართოდ იყო გავრცელებული, დღეს მათგან მხოლოდ რამდენიმე შემოგვრჩა. ამ ტიპის ზმნათა გამოყენებას უკავშირდება I სუბიექტური პირის **ვ-** პრეფიქსის მართლწერის საკითხი. ენაში გვხვდება ასეთი პარალელური ფორმები: **ვ**-უარ-ყოფ || უარ-**ვ**-ყოფ || **ვ**-უარ-**ვ**-ყოფ. ამათგან მართებულია უარ-**ვ-ყოფ.** პირის ნიშანი უნდა ერთვოდეს მხოლოდ მეშველ ზმნას (გ. შალამბერიძე), როგორც ნორმა იყო ძველი ქართულისათვის.

მიმღეობითი ზმნები ენაში ახლად განვითარებული ფორმებია. ასპექტის სისტემის შეცვლის მიუხედავად, ზოგმა უზმნისწინო ზმნამ II სერიაში შეინარჩუნა ძველი ვითარება – სრულასპექტიანობა. ამის გამო მათი აწმყოს წრის მწკრივები მყოფადის წრეში გადავიდა და იქაც სრულასპექტიანია. ასეთებია: ვნახავ, ვიყიდი, ვიპოვი, ვიშოვი, ვილოცავ... მათი აწმყოს ადგილი დაცარიელდა, ამიტომ ენამ ცარიელი ადგილის შესავსებად ხელახლა აწარმოვა ამ ზმნათა აწმყოს წრის მწკრივები, რისთვისაც გამოიყენა შესაბამისი **–ილ/-ულ** სუფიქსებიანი საობიექტო მიმღეობა: ვნახულობ, ვყიდულობ, ვპოულობ, ვშოულობ, ვლოცულობ, ვცლილობ, ვხდილობ... ამის გამო აწმყოში გაჩნდა ამ ტიპის ზმნათა პარალელური ფორმები: ვიღებ – ვღებულობ, ვიგებ – ვგებულობ, ვიტყობ – ვტყობილობ... ვ. კალანდაძის დაკვირვებით, **ნახულობს** ტიპის ზმნები (კითხულობს, ყიდულობს, პოულობს, შოულობს, ლოცულობს, კადრულობს, კისრულობს) ენაში მყარად დამკვიდრდა (მისი კუთვნილება გახდა), როგორც მართებული ფორმა, მაგრამ თხოულობს, კლებულობს, მატულობს, ღებულობს, გებულობს, ტყობილობს, ცლილობს, ხდილობს... ზმნე-

ბი მართებულად ვერ ჩაითვლება. პარალელურ ფორმათაგან არჩევანის დროს უპირატესობა უნდა მიენიჭოს ითხოვს, იკლებს, იმატებს, იღებს, იგებს... ფორმებს, როგორც წარმოების თვალსაზრისით მართებულსა და სალიტერატურო ენის განვითარების მთელ მანძილზე გაბატონებულს.

6.19.3. ფუძემონაცვლე ზმნები. ქართულში დეფექტურ ზმნათა დიდი უმრავლესობა მიღებულია შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ი ს შედეგად. ზმნები, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლება, ერთიმეორის მიმართ მ ო ნ ა ც ვ ლ ე ე ბ ი ა.

ფუძემონაცვლე ზმნები დანაკლის ფორმებს ივსებენ სხვა ფუძის შენაცვლებით. ენაში მათი რიცხვი სხვა ტიპის თავისებურ ზმნებთან შედარებით გაცილებით მეტია. შენაცვლება ხდება რიცხვში, მწკრივში, პირში, ასპექტში, გვარში...

1. **რ ი ც ხ ვ ში შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა** ხდება მაშინ, როცა ზმნა მრავლობითის ფორმას ვერ აწარმოებს თავისივე მხოლობითის ფუძისგან. ასეთ შემთხვევაში იგი მრავლობითისათვის სხვა ფუძეს ინაცვლებს. რიცხვში მონაცვლეობა ეხება სუბიექტსა (გარდაუვალ ზმნებში) და პირდაპირ ობიექტს (გარდამავალ ზმნებში).

ა) შენაცვლება სუბიექტური პირის მიხედვით:

ზის **ის** – სხედან **ისინი**
იჯდა – ისხდნენ
ვარდება – ცვივდება (‖ ცვივა)
აბია – ასხია
გდია – ყრია...

ბ) შენაცვლება ობიექტური პირის მიხედვით:

ჩააგდო მან **ის** – ჩაყარა მან **ისინი**
დასვა – დასხა
მოიბა – მოისხა
მოკლა – დახოცა
გააგდო – გარეკა
წაიყვანა – წაასხა...

2. **მ წ კ რ ი ვ ში შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა** უფრო გავრცელებულია. აქ ერთმანეთს ენაცვლება ორი ან სამ-სამი ფუძე:

ვარ – ვიქნები – ვიყავ
მივდივარ – მივალ – მივედი
მაქვს – მექნება
ვხედავ – დავინახავ
დავდივარ – ვივლი – ვიარე
ვამბობ – ვიტყვი – ვთქვი
ვშვრები – ვიზამ – ვქენი
ვეუბნები – ვეტყვი – ვუთხარი
ძევს – იდვა
მიმაქვს – მივიტან...

მორფოლოგიური თვალსაზრისით საინტერესოა **დი-ვალ-ვედ (ვიდ)** მონაცვლე ძირისაგან მიღებული ზმნები: მივდივარ – მივალ – მივედი (მივიდა). **ვალ** ფუძე ძველ ქართულში უზმნისწინოდაც იხმარებოდა (დღეს მას მხოლოდ ზმნისწინიანი ფორმები გააჩნია), უსრული ასპექტისა იყო (დრო – ახლანდელი), შემდგომ კი ზმნისწინი დაირთო და მომავალი დროის გაგება შეიძინა. ამით მან გაწყვიტა კავშირი აწმყოსთან და მყოფადში გადავიდა, აწმყოს ადგილი დაიკავა **დი** ფუძემ. წყვეტილის I-სა და II პირში გამოყენებულია **ვედ**, ხოლო მესამეში – **ვიდ**.

3. ზმნის **პ ი რ შ ი შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა**. პირის მიხედვით მონაცვლე ზმნათაგან ერთი გვხვდება ჩვეულებრივ საუბარში, მეორე – თავაზიანი მიმართვის დროს:

არის – გახლავს, ბრძანდება	მოვედი – გეახელი
ხარ – ბრძანდები	ვჭამე – გეახელი [|| გიახელი]
მოდი – მობრძანდი	ჭამე – მიირთვი
დაჯექი – დაბრძანდი	აიღე – ინებე...

თავაზიანი საუბრისას ერთი პირისადმი გამოყენებულ ზმნებში გრამატიკულად მრავლობითის აღმნიშვნელი **-თ** სუფიქსი საჭირო არ უნდა იყოს, რადგან თვით ზმნის ფუძე გამოხატავს თავაზიანობას, მაგრამ თანამედროვე მეტყველებაში ხშირად გვხვდება სუფიქსიანი ფორმებიც: „დაბრძანდი**თ**, ბატონო აკაკი!" ინებე**თ**, მიირთვი**თ**... ეს **-თ** აძლიერებს თავაზიანობას, მას არ აკისრია გრამატიკული (მრ. რიცხვის გამოხატვის) ფუნქცია. **მობრძანდი** ტიპის ფორმები ძველი ქართულისათვის არ იყო დამახასიათებელი, დღეს კი ფართოდ არის გავრცელებული. ამგვარი თავაზიანი ფორმების გაჩენისა და დამკვიდრების საფუძველია ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობა, სოციალურ ფენათა მიმართება. ამ ზმნათა მხოლობითის ფორმებთან **-თ** სუფიქსის დამატება გამოწვეული უნდა იყოს თავაზიანობის **თქვენ** (ერთი პირისადმი) ფორმის ანალოგიით (თქვენ კითხულობთ = შენ კითხულობ) და აგრეთვე ენის ტენდენციით – მოახდინოს განსხვავებული სემანტიკური ერთეულის გრამატიზაციაც (გააფორმოს სათანადო აფიქსით).

4. **ა ს პ ე ქ ტ ში შ ე ნ ა ც ვ ლ ე ბ ა** მაშინ ხდება, როცა უსრული ასპექტის ზმნის ფუძისაგან არ ხერხდება სრული ასპექტის წარმოება და საჭიროა სხვა ზმნის გამოყენება:

ვსვამ – დავლიე ვუმზერ, ვუცქერ – შევხედე...
ვაძლევ – მივეცი

თანამედროვე ქართულში გამოიკვეთა ერთი ტენდენციაც: **სვამს** ზმნა თავისივე ფუძით აწარმოებს სრულ ასპექტს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასთან ობიექტურ პირად იგულისხმება სიტყვა „სადღეგრძელო“: ს ვ ა მ ს სადღეგრძელოს (უსრ. ასპექტი) – შ ე ს ვ ა სადღეგრძელო (სრ. ასპექტი). მაგრამ: ს ვ ა მ ს წყალს (წამალს) – დ ა ლ ი ა წყალი (წამალი), ე.ი. მოხდა სემანტიკური დიფერენციაცია.

5. **გ ვ ა რ ში შენაცვლება.** ზოგჯერ მოქმედებითი გვარის ზმნა კონვერსიულ ვნებითს აწარმოებს სხვა ფუძით:

მ ო ქ მ. გ ვ ა რ ი	ვ ნ ე ბ. გ ვ ა რ ი
გააგდო **მან ის**	გავარდა **ის**
მოკლა	მოკვდა
დასვა	დაჯდა
გაწყვიტა	გაწყდა
დააყენა	დადგა
გახეთქა	გასკდა
გატეხა	გატყდა
გაიყვანა	გავიდა

6.19.4. სხვადასხვა სახის თავისებური ზმნები

1. **პ ი რ ნ ა კ ლ ი ზმნები: თოვს, წვიმს, ელავს, ქუხს...** გამოიყენება მხოლოდ III პირის ფორმით. მათ აკლიათ I და II პირები, რადგან I და II პირი გულისხმობს ადამიანს, რომელსაც არ შეიძლება მიეწერებოდეს ბუნების მოვლენების აღმნიშვნელი ზმნების სემანტიკა. **წვიმს** ტიპის ზმნები **რ ი ც ხ ვ ნ ა კ ლ ი ც ა ა.** საპირისპირო მრავლობითის ფორმა მათ არ გააჩნიათ. იშვიათად, მეტწილად პოეზიაში, პირნაკლი ზმნა შეიძლება შეგვხვდეს I და II პირის ფორმითაც: „ვითა დავღამდი, ისე გავთენდი“.

2. ქ ც ე ვ ა ნ ა კ ლ ზმნებად მიჩნეულია უქცეო ზმნები: აქვს, იცის, ახსოვს, უყვარს...

3. მ წ კ რ ი ვ გ ა მ ო ც ვ ლ ი ლ ი ზ მ ნ ე ბ ი ა: იცის, უწყის, უნდა.

იცის, უწყის – წარმოშობით II სერიის II ხოლმეობითის მწკრივის ფორმები – გამოხატავდნენ განგრძობითს ასპექტს, მაგრამ დროთა ვითარებაში, როცა II ხოლმეობითის მწკრივი გამოვიდა ხმარებიდან, ი ც ი ს (უწყის) მან იგი კონსტრუქცია თავისი მრავალგზისობის შინაარსის გამო გამოყენებულ იქნა I სერიის აწმყოსათვის ზოგადი აწმყოს გადმოსაცემად. თანამედროვე ქართულში ი ც ი ს (უწყის) მან ის აწმყოა, თუმცა S მოთხრობითშია, პირდაპირი O – სახელობითში, ე. ი. შენარჩუნებულია II სერიის კონსტრუქცია.

ი ც ი ს და უ წ ყ ი ს უძველესი წარმოშობის ერთეულებია. არნ. ჩიქობავას სიტყვებით რომ ვთქვათ: „**იცის** ზმნა უღვლილების სისტემისათვის ძვირფასია, მისი ბიოგრაფია ცალკე უნდა დაიწეროს. ქართული ენის ისტორიაში ეს სიტყვები სხვადასხვა ლიტერატურული წრის შემონატანი უნდა იყოს, მასთან – სხვადასხვა დროისა. **უწყის** უფრო ძველია, **იცის** – შედარებით ახალი". დ. მაჭავარიანის აზრით, **უწყის** ზმნის პირვანდელი მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო **უყურებს, ხედავს,** რაც დასტურდება მეგრულ-ჭანურისა და სვანურის ჩვენებითაც. ჩანს, ამ ზმნას ქართულში განუცდია სემანტიკური ცვლილება.

მწკრივგამოცვლილ ზმნათაგან დღეს საინტერესოა **მინდა, გინდა, უნდა**. მათი ფორმობრივ-სემანტიკური ცვლილება კარგად არის დადასტურებული წერილობითი ძეგლებით: „ძველად, V-X საუკუნეებში „მინდა" უწყვეტლის ფორმა იყო და ნიშნავდა „მსურდა". იგი ასე დაიშლებოდა: მ-ი-ნ-დ-ა, სადაც ფუძე (ამავე დროს ძირიც) **ნ** იყო, სხვები კი – ფორმანტები: **მ** – 1-ლი ობ. პირის ნიშანი, **ი** – სასხვისო ქცევის ნიშანი... **დ** – სავრცობი, **ა** – მე-3 სუბ. პირის ნიშანი. მსგავსი წარმოება ჰქონდა ამ ზმნას I კავშირებითშიც: მ ი ნ დ ე ს, აწმყოში მოსალოდნელი იყო: მინა, გინა, უნა, მაგრამ მათ ნაცვლად იხმარებოდა „მნებავს" ან „მინებს" (ა. შანიძე).

X-XI საუკუნეებიდან უ ნ დ ა ზმნამ თანდათან შეიცვალა მნიშვნელობა: დაკარგა წარსული დროის გაგება და ახლანდელისა შეიძინა, ამიტომ იგი უწყვეტლიდან აწმყოში გადავიდა, რასაც მოჰყვა ფორმობრივი ცვლილებაც: ძველი ქართულის უწყვეტლის **დ** სავრცობი ფუძეს შეეზარდა (უნდ-ა), ხოლო დაცარიელებული უწყვეტლისათვის ენამ ხელახლა აწარმოვა ფორმები: მინდ-ოდ-ა, გინდ-ოდ-ა, უნდ-ოდ-ა. ნ. შარაშენიძის დაკვირვებით, **უნდა** ფორმამ, რომელიც მომდინარეობს უ-ნ-ებ-ს ზმნისგან, ძირითადად ორი მნიშვნელობა განივითარა: 1) „სურს, სწადია", 2) „სჭირდება, ესაჭიროება".

უნდა ზმნა სალიტერატურო ენის ისტორიისათვის ფასეულია იმ მხრივაც, რომ მასში დღემდე დაცულია მწკრივის **დ** და **ოდ** სავრცობების განაწილების ის წესები, რომლებიც მოქმედებდა ძველსა და ახალ ქართულში: თავდაპირველად ყველა ზმნასთან მწკრივის სავრცობი უნდა ყოფილიყო **დ**, მნიშვნელობა არ ჰქონდა ზმნის გარდამავლობას; **ო** ხმოვანი შემდეგ გაჩენილი ჩანს ფონეტიკურ ნიადაგზე (არნ. ჩიქობავა): მაგ., გარდმ. იცის – იც-**ოდ**-ა, შდრ. გარდაუვ. სურს – სურ-**დ**-ა. შესაბამისად, ძველად იყო უნ-**დ**-ა (უწყვ.), ახალ ქართულში კი, როცა დ/ოდ სავრცობთა განაწილება განისაზღვრა გარდამავლობით, ამ წესის თანახმად, გარდაუვალი უ ნ დ ა ზმნის სავრცობი გახდა **ოდ**: უნდ-**ოდ**-ა (უწყვ.), უნდ-**ოდ**-ე-ს (აწმ. კავშ.), ჩამოყალიბდა ძველისაგან განსხვავებული უღლების ახალი პარადიგმა.

4. თავისებურ ზმნებად მიჩნეულია ხანმეტობის ნაშთები: **ხარ, მოხვალ, მოხვედი.** მხოლოდ ამ ზმნებს აქვს შენარჩუნებული S_2 პირის ნიშნად **ხ-** პრეფიქსი, რომელიც ერთადერთი მარკერი იყო ქართული ენის ხანმეტობის პერიოდში.

6.19.5. თავისებურ ზმნათა შესწავლის ისტორიისათვის. თავისებურ ზმნათა სპეციფიკურობა შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ჯერ კიდევ ძველ ქართველ გრამატიკოსებს. მაგ., ანტონ I-ის გრამატიკაში არის ცდა „კანონიერი" და „უკანონო" ზმნების დაყოფისა. ავტორი ცალკე გამოყოფს ოდენ ობიექტური წყობის ზმნებს (**მსურს** ტიპისას) და ყველას

აკუთვნებს „უკანონოებს"; პირნაკლი ზმნებიდან ახასიათებს **თენდების** ფორმას; არაკანონიერ ზმნათა რიცხვში ასახელებს (და განიხილავს) **ვარ, ხვალ, მოვედ** და მისთ., მაგრამ ანტონისათვის ძირითადად უცნობი დარჩა რიცხვნაკლი ზმნები (ი. ქავთარაძე, ე. ბაბუნაშვილი, ა. ფოცხიშვილი...).

მომდევნო ხანის გრამატიკოსები მეტ-ნაკლებად იმეორებენ წინამორბედთა მოსაზრებებს დეფექტურ ზმნებთან დაკავშირებით, თუმცა ზოგიერთი თავისებური ფორმა მათ უფრო დააზუსტ-დააკონკრეტეს. მაგ.: **თოვს, წვიმს** ტიპის უპირო ზმნათა სწორ გაგებას პირველად იძლევა დ. ჩუბინაშვილი, ასევე არაერთი ცალკეული საყურადღებო დაკვირვებაა წარმოდგენილი დ. ყიფიანის, პ. კვიცარიძის, ს. ხუნდაძის, ნ. მარისა და სხვათა ნაშრომებში. ძველი გრამატიკოსები თავისებურ ზმნებს განსაკუთრებულ ყურადღებას რომ უთმობდნენ, ამაზე კარგად მეტყველებს პ. იოსელიანის შენიშვნაც: „ქართულისა ენისა ზმნანი ყოველივე არიან უკანონონი".

ზოგადად თავისებურ ზმნათა პირველი მეცნიერული შესწავლა, ფორმათა სისტემური განხილვა ა. შანიძის დამსახურებაა. ასევე გამოწვლილვითაა გაანალიზებული დრონაკლი, პირნაკლი, ქცევანაკლი, გვარნაკლი ზმნები ი. ქავთარაძის მონოგრაფიაში „ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში".

ბევრი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული თავისებურ ზმნებთან დაკავშირებით თანამედროვე მკვლევართა ნაშრომებშიც.

ლიტერატურა

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (II რედაქცია, 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ., 2004.

აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.

ბაბუნაშვილი ე., ანტონ პირველი და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

გოგოლაშვილი გ., ქართული ზმნა, თბ., 2010.

გოგოლაშვილი გ., საერთო კანონზომიერების გარეშე მდგარი ზმნები: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია... თბ., 2011.

ზექალაშვილი რ., ახლავს ზმნის გამოყენების ისტორიისა და მართლწერისათვის ქართულში: ჰუმანიტარული კვლევები, წელიწდეული, 2012, III, თბ. (დაიბეჭდა 2014 წელს).

თევზაძე ჭ., რთული ზმნები ძველ ქართულში: პუშკინის სახ. პედინსტიტ. შრ., ტ. 13, 1959.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

კალანდაძე ვ., გებულობს, ღებულობს ტიპის ზმნები თანამედროვე ქართულში: ქსკს, I, 1972.

კეკელია შ., დავითიანი ა., ქართული ენა, თბ., 1973.

მაჭავარიანი დ., უწყის ზმნის ეტიმოლოგიისათვის: ქუთაისის პედინსტიტუტის შრ., XI, 1952-1953; ასევე: ენათმეცნიერული ნარკვევები, თბ., 2013.

სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბ., 1984.

ფოცხიშვილი ა., ქართული ენათმეცნიერების ისტორია, თბ., 1995.

ქავთარაძე ი., ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბ., 1954.

შავთვალაძე ნ., თავისებურ ზმნათა დახასიათებისათვის: ბ. ჯორბენაძის საზოგადოების II სამეცნ. კონფერენცია, 1995.

შალამბერიძე გ., რთულფუძიანი ზმნების მართლწერის ზოგი საკითხი: ქართული სწორმეტყველების სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1980.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

შარაშენიძე ნ., ზმნათა ფორმობრივი და ფუნქციური ცვლილებები ქართულში, თბ., 2010.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

თავი VII. სახელზმნა

7.1. სახელზმნის ზოგადი დახასიათება

7.1.1. სახელზმნის სახეები. სახელზმნა არის ისეთი სიტყვა, რომელსაც აქვს სახელისა და ზმნის გრამატიკული ნიშნები. იგი იბრუნება და წინადადებაში სახელის ფუნქციას ასრულებს. მისი კითხვებია: **რა? რომელი? როგორი?** მაგალითად: დავამთავრე **წერა** (რა?), მოვიდა **მშენებელი** კაცი (რომელი?), **დანგრეული** სახლი აშენდა (როგორი?).

სახელზმნას აქვს სახელისა და ზმნის კატეგორიები. სახელის კატეგორიებიდან მოეპოვება ბრუნვა (წერა, წერა-მ, წერა-ს...) და რიცხვი (მშენებელი – მშენებლები). იგი უფრო მდიდარია ზმნური კატეგორიებით, შეუძლია გამოხატოს გეზი, ორიენტაცია, გვარი, კონტაქტი, დრო. ამიტომ, ა. შანიძის აზრით, „მისი ადგილი უფრო ზმნათა სისტემაშია, ვიდრე სახელისაში. გარდა ამისა, ზმნასთან მას აერთიანებს ლექსიკური შინაარსი, წარმოება და გამოყენება III სერიის ფორმათათვის“.

ქართულში სახელზმნა, როგორც მეტყველების ნაწილი, არსებითი ან ზედსართავი სახელია, თუმცა გარკვეულ შემთხვევაში ზმნის მსგავსად სახელს მართავს ამა თუ იმ ბრუნვის ფორმით: ფანქრ**ით ხატავს** სურათს – შდრ. ფანქრ**ით დახატული** სურათი....

სახელზმნა ორგვარია: ს ა წ ყ ი ს ი და მ ი მ ღ ე ო ბ ა.

ტერმინი „სახელზმნა“ ქართულ გრამატიკაში დაამკვიდრა ანტონ I-მა იმ ფორმის აღსანიშნავად, რომელსაც დღეს ეწოდება საწყისი (მასდარი). ა. შანიძემ გააფართოვა ანტონისეული ტერმინის მნიშვნელობა: იგი გულისხმობს საწყისსაც და მიმღეობასაც. სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ ტერმინი „სახელზმნა“ კარგად ასახავს მის მიერ აღსანიშნი ცნების როგორც სემანტიკურ, ისე მორფოლოგიურ სპეციფიკას: სახელზმნა, მართალია, სახელია (ბრუნებადი სიტყვაა და არა უღლებადი), მაგრამ ის გამოხატავს არა სახელურ, არამედ ზმნურ სემანტიკას (ა. ონიანი).

7.1.2. სახელზმნის ადგილისათვის მეტყველების ნაწილთა სისტემაში. სახელზმნა, თავისი სპეციფიკური ბუნებიდან გამომდინარე, რთული ენობრივი ერთეულია. მასთან დაკავშირებით ქართულ ლინგვისტიკაში არსებობს არაერთი განსხვავებული მოსაზრება; განსაკუთრებით სადავოა სახელზმნათა ადგილი მეტყველების ნაწილთა სისტემაში, მათი მორფოლოგიური კვალიფიკაცია. მაგალითად:

1) ა. შანიძის აზრით, სახელზმნა ზმნის უპირო, უუღლებელი ფორმაა და უპირისპირდება ზმნის უღლებად ფორმებს. ორივე (საწყისი და მიმღეობა) არის ზმნა ფართო გაგებით... მეცნიერი სახელზმნას მიიჩნევს შუალედურ, გარდამავალ საფეხურად სახელსა და ზმნას შორის, მაგრამ, როგორც მეტყველების ნაწილს, სახელებში აერთიანებს.

2) არნ. ჩიქობავას დაკვირვებით, ზმნისაგან იწარმოება ორგვარი სახელი: ნაზმნარი **არსებითი** სახელი (მასდარი) და ნაზმნარი **ზედსართავი** სახელი (მიმღეობა). მასდარი არსებითი სახელია, ფორმაცვალება და სინტაქსური ფუნქციები სახელისა აქვს, თუმცა სხვა სახელებისაგან განსხვავდება როგორც წარმოებით (მეტწილად ზმნისგანაა ნაწარმოები), ისე შინაარსით (ზმნაში აღნიშნული მოქმედების ან ვითარება -მდგომარეობის სახელია).

3) ა. დავითიანი მიიჩნევს, რომ სახელზმნა ისეთივე დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილია, როგორიც სახელი და ზმნა. ამიტომ სახელზმნა უნდა გამოიყოს ცალკე მეტყველების ნაწილად და მისი ანალიზის დროს აღინიშნოს როგორც ზმნური, ისე სახელური კატეგორიები.

4) ბ. ჯორბენაძის კლასიფიკაციით, სახელზმნა მხოლოდ ნაზმნარი სახელია.

5) უ. ყორღანაშვილის მიხედვით, სასურველია საწყისისა და მიმღეობის სწავლებისას მოხდეს მათი დიფერენცირება, კერძოდ: არსებითი სახელის შინაარსით დაჯგუფებისას მოქმედების სახელებში დავტოვოთ მხოლოდ სახელურნიშნებიანი მოქმედების სახელები: ჭრიალი, რაკრაკი, ტირილი, კივილი.... (ამგვარ სიტყვათათვის ტერმინი „მოქმედების სახელები" გამართლებულია). მეორე მხრივ, სახელზმნური

საწყისები (კეთება, ხატვა...) ამოვიღოთ არსებითი სახელის შინაარსეული ჯგუფიდან და განვიხილოთ თემა „საწყისში“, ხოლო სი-ილ, სი-ულ აფიქსებიანები (სი-ყვარ-ულ-ი...) – აბსტრაქტულ სახელებში.

6) შ. კეკელია სკოლებში სახელზმნის სწავლებასთან დაკავშირებული სირთულის გამო უფრო გამართლებულად თვლის საწყისი განხილულ იქნეს არსებით სახელებში, მიმღეობა კი – ზედსართავებში.

7) „მასდარი და მიმღეობა გარკვეული სპეციფიკური თავისებურებების გამო ქართული ენის მორფოლოგიურ სისტემაში ქმნიან ცალკე კლასს, რომელიც განსხვავდება ფორმაცვალებადი სიტყვების ორი ძირითადი ტიპისაგან – სახელისა და ზმნისაგან“ (დ. ჩხუბიანიშვილი...).

7.2. საწყისი

7.2.1. საწყისის რაობა. მისი კატეგორიები. საწყისი არის ზმნისაგან ნაწარმოები სიტყვა, რომელიც ატარებს ზმნის ლექსიკურ მნიშვნელობას, მაგრამ არა აქვს უღლების კატეგორიები. მეორე მხრივ, საწყისი ფუნქციურად ეტოლება არსებით სახელს, ანუ მორფოლოგიურად იგი განიხილება როგორც არსებითი (მოქმედების) სახელი, ამიტომ მას უწოდებენ ნაზმნარ არსებით სახელსაც, რომელთა აღსანიშნავად სპეციალურ ლიტერატურაში ტერმინი „საწყისის“ პარალელურად გამოიყენება არაბული სიტყვა „მასდარიც“ (= გამოსავალი, საიდანაც გამოდიან); ზოგი მკვლევარი უპირატესობას ამ ტერმინს ანიჭებს.

სინტაქსურად საწყისი შეიძლება იყოს ქვემდებარე (**თესვა** გაზაფხულზე იწყება), დამატება („გულმა **ძგერა** დამიწყო“), გარემოება (**მუშაობის** შემდეგ დავისვენებ)...

საწყისი მოქმედება-მდგომარეობის აღმნიშვნელი ბრუნებადი სიტყვაა. იგი ფორმას იცვლის ბრუნვათა მიხედვით: ხატვა, ხატვა-მ, ხატვა-ს, ხატვ-ის, ხატვ-ით, ხატვა-დ; მაგრამ მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოება, თუმცა სტილისტური საჭიროებისა და კონკრეტული სემანტიკის შემთხვევაში იშვია-

თად შეიძლება ჰქონდეს **ნ**არიანი მრავლობითი (ისიც მეტწილად მხატვრულ ლიტერატურაში): მღერანი, ჩქერანი, ძგერანი, მზერანი... როცა ზოგიერთ საწყისს მთლიანად დაკარგული აქვს ზმნური შინაარსი და გადასულია არსებით სახელთა რიგში, მაშინ იგი **ებ**იან მრავლობითსაც აწარმოებს: სხდომა – სხდომები, განცხადება – განცხადებები, კითხვა – კითხვები...

საწყისს შეუძლია გამოხატოს ზმნური კატეგორიები: გეზი, ორიენტაცია, ასპექტი, კონტაქტი, იშვიათად – გვარიც:

ფრენა – გაფრენა (გეზი)

წასვლა – წამოსვლა (ორიენტაცია)

კეთება – გაკეთება (ასპექტი)

გამზადება – გამზადებინება (კონტაქტი)

როგორც წესი, საწყისი არის საზიარო ფორმა მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნათათვის. მაგალითად, **შენება** არის **აშენებს** და **შენდება** ზმნების საწყისი, მაგრამ რამდენიმე ზმნასთან საწყისი განსხვავებულია გვარის მიხედვით: მოქმედებითისაა ტეხა, წყვეტა, ხეთქა, დუღება... ვნებითისა – ტყდომა, წყდომა, სკდომა, დუღილი...

7.2.2 საწყისის წარმოება. ახალ ქართულში საწყისი იწარმოება ზმნის აწმყო-მყოფადის გაუვრცობელი ფუძისაგან **-ა** სუფიქსის დართვით, კერძოდ: ზმნის ფორმას უნდა ჩამოშორდეს პირის, რიცხვის, მწკრივის ნიშნები, სავრცობი, ქცევის, გვარის მაწარმოებელი აფიქსები და შემდეგ დაემატოს **ა** სუფიქსი: ა-კეთებდე-ს >კეთებ-ა... საწყისის **ა** მაწარმოებლის დართვა ფუძეში ზოგჯერ ფონეტიკურ ცვლილებას იწვევს: მოიკვეცება **ი** თემის ნიშანი, აგრეთვე იკარგება **-ავ, -ამ** თემატური სუფიქსების **ა** ხმოვანი: შლ-ი-ს>შლ-ა, მალ-ავ-ს>მალვ-ა, დგ-ამ-ს>დადგმ-ა...ამ წესით იწარმოება საწყისთა დიდი უმრავლესობა.

შესაძლებელია, საწყისის მარტივი **-ა** მაწარმოებელი გართულებული იყოს -ომ, -ოლ, -ნ ფორმანტებით. ამგვარ ფორმებს უწოდებენ ომიან, ოლიან და ნარიან საწყისებს:

-ომ: კრთ-ომ-ა, ჯდ-ომ-ა, დგ-ომ-ა, სხდ-ომ-ა, ტყდ-ომ-ა...

-ოლ: ქრ-ოლ-ა, წ-ოლ-ა, ყ-ოლ-ა, ბრძ-ოლ-ა, თრთ-ოლ-ა...

-ნ: პოვ-ნ-ა, შოვ-ნ-ა, თხოვ-ნ-ა...

ძველ ქართულში საწყისი განსხვავებულად იწარმოებოდა. დღესაცაა შემორჩენილი ძველი წარმოების ფორმები:

-ილ: ყვირ-ილ-ი, ტირ-ილ-ი, ჩივ-ილ-ი, დუღ-ილ-ი...

სი–ილ: სი-ც-ილ-ი, სი-რბ-ილ-ი, სი-რცხვ-ილ-ი...

სი–ულ: სი-არ-ულ-ი, სი-ყვარ-ულ-ი, სი-ხარ-ულ-ი...

ს–ა: ს-ვლ-ა (< ს-ლვ-ა), ს-რბ-ა...

სი–ა: სი-მღერ-ა...

-ილ, სი-ილ, სი-ულ აფიქსებით წარმოქმნილი სახელები დღეს უკვე არსებით სახელთა რიგებში დგანან, მიუხედავად იმისა, რომ მრავლობითი რიცხვი არ ეწარმოებათ (ა. შანიძე).

ქართულში ზოგჯერ საწყისის მაგივრობას ეწევა ის სახელი, რომლისგანაც ნაწარმოებია ზმნის პირიანი ფორმა. ასეთებია: ტრიალი, ლაპარაკი, ბაასი, კაშკაში, კისკისი, ჩუხჩუხი, ღიღინი, ჭიკჭიკი, ბრაგუნი, ხარხარი და ა. შ. ამ ტიპის სახელებს უწოდებენ პ ი რ ვ ე ლ ა დ ს მასდარებს.

შენიშვნა: სამეცნიერო ლიტერატურაში ზოგჯერ გარკვეული ნიშნით ერთმანეთს ამსგავსებენ ანუ ერთნაირ ოდენობად განიხილავენ ქართულ საწყისსა და ევროპული ენების ინფინიტივს, მაგრამ მათ შორის განსხვავება დიდია: ინფინიტივი არის ამოსავალი ზმნისათვის, საწყისი კი – პირიქით: მეტწილად თვითონ იწარმოება ზმნისაგან. ამდენად, დღეს საწყისის არსის გასარკვევად ძირითადი ტიპის წარმოება უნდა იყოს განმსაზღვრელი.

7.3. მიმღეობა

7.3.1. მიმღეობის კატეგორიები. მიმღეობა ზმნისაგან ნაწარმოები უუღლებელი სიტყვაა, რომელიც იცვლება ბრუნვისა და რიცხვის კატეგორიების მიხედვით. მორფოლოგიურად იგი ნაზმნარი ზედსართავი სახელია. მისი კითხვებია: **როგორი? რომელი?**

სინტაქსურად მიმღეობა შეიძლება იყოს გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ ე ბ ა (**მოწმენდილი** ცა...) ან შ ე დ გ ე ნ ი ლ ი შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ი ს ს ა ხ ე ლ ა დ ი ნ ა წ ი ლ ი (ბავშვი **გახარებული** არის).

ტერმინი „მიმღეობა“ ანტონ I-ის გრამატიკიდან მომდინარეობს: ამ ფორმას მიმღეობა იმიტომ ჰქვია, რომ ზმნისა

და სახელისაგან იღებს კატეგორიებსა და თვისებებს. მკვლევართა აზრით, ტერმინი „მიმღეობა“ არ არის ზუსტი. აჯობებდა უფრო შესატყვისი გამონახულიყო (მაგალითად, „მონაწილე“, „მოზიარე“ ან სხვა რამ), მაგრამ იგი ტრადიციულია და ამიტომ ჯერ კიდევ ძალაშია (ა. შანიძე, ე. ოსიძე...).

მიმღეობა ბრუნებადი სიტყვაა: გახარებულ-ი, გახარებულ-მა, გახარებულ-ს... დაჭრილი – დაჭრილ-ებ-ი... თუმცა მას ძირეული სემანტიკით ზმნური კატეგორიებიდან შერჩენილი აქვს დრო, ასპექტი, გეზი, ორიენტაცია, გვარი, კონტაქტი:

გაგზავნილი – გასაგზავნი (დრო)

გზავნილი – გაგზავნილი (ასპექტი, გეზი)

გაგზავნილი – გამოგზავნილი (ორიენტაცია)

გამგზავნი – გაგზავნილი (გვარი)

გამკეთებელი – გამკეთებინებელი (კონტაქტი)

მართალია, მიმღეობას მოეპოვება რამდენიმე ზმნური კატეგორია, მაგრამ ახალ ქართულში იგი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ (აღნიშნავს ნიშან-თვისებას), ფ ო რ მ ა ც ვ ა ლ ე ბ ი თ ა (იბრუნვის) და ს ი ნ ტ ა ქ ს უ რ ი ფ უ ნ ქ ც ი ი თ (განსაზღვრებაა) მაინც სახელია.

ტრადიციულ ქართულ გრამატიკებში მიმღეობას ახასიათებენ გვარების მიხედვით. გამოყენებულია ტერმინები: „მოქმედებითი გვარის მიმღეობა“, „ვნებითი გვარის მიმღეობა“, „საშუალი გვარის მიმღეობა“, მაგრამ, რამდენადაც მათში სუბიექტ-ობიექტის მიმართება ზმნით გამოხატულ შინაარსთან ნათლად არ არის გამოკვეთილი და თანაც ყველა ტიპის მიმღეობა არ იწარმოება შესაბამისი გვარის ზმნისაგან, ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, სამეცნიერო ლიტერატურაში იყენებენ განსხვავებულ, ჩვენი აზრითაც, უფრო მართებულ ტერმინებს: „სასუბიექტო მიმღეობა“, „საობიექტო მიმღეობა“ (ქ. ლომთათიძე, ე. ოსიძე, ბ. ჯორბენაძე, ა. არაბული, ნ. ჯორბენაძე...).

7.3.2. მიმღეობის წარმოება. მიმღეობის საწარმოებლად გამოყენებულია პრეფიქსი, სუფიქსი ან კონფიქსი.

სასუბიექტო მიმღეობა თავისი სემანტიკით გულისხმობს მოქმედ პირს, სუბიექტს: მშენებელი (ვინც აშენებს), მხატვარი (ვინც ხატავს), მცურავი (ვინც ცურავს)...

სასუბიექტო მიმღეობის ძირითადი მაწარმოებელია **მ** პრეფიქსი, რომელსაც შეიძლება ახლდეს ხმოვანი ან კიდევ გართულებული იყოს სხვა სუფიქსებითაც:

მ-: მ-კერავი, გა-მ-ტეხი, და-მ-წერ-ი, მ-ცოცავ-ი...

მ–ელ: მ-გალობ-ელ-ი, მ-კეთებ-ელ-ი, მ-ჭრ-ელ-ი...

მა–ელ: და-მა-არსებ-ელ-ი, გა-მა-მხნევებ-ელ-ი, წა-მა-ხალისებ-ელ-ი, შე-მა-წუხებ-ელ-ი...

მ–არ (-ალ): მ-ხატვ-არ-ი, მ-წერ-ალ-ი, მ-კურნ-ალ-ი (დღეს ეს სიტყვები გაარსებითებულია), მ-ძინ-არ-ი, მ-ღვიძ-არ-ი, მ-ტირ-ალ-ი, მ-ყვირ-ალ-ი...

მ–არე (-ალე): მ-დგომ-არე, მ-ჯდომ-არე, მ-სხდომ-არე (ამ ტიპის მიმღეობის ამოსავალი ფორმაა საწყისი: დგას > დგომა > მ-დგომ-არე...), (მ)ბრწყინვ-ალე, მ-წოლ-არე...

მ–არ-ი/ე: მ-ქუხ-არ-ი/ე, მ-დუმ-არ-ი/ე, მ-დუღ-არ-ი/ე...

სასუბიექტო მიმღეობა იწარმოება აგრეთვე სხვა აფიქსების დართვითაც. ესენია **მ–ე:** მ-ქონ-ე (< აქვს)... **მო–ე:** მო-რაკრაკ-ე, მო-ჭიკჭიკ-ე, მო-ჭიდავ-ე, მო-ციმციმ-ე, მო-ყვარე... **მო–ულ:** მო-ხარ-ულ-ი (< ხარობს), მო-ყვარ-ულ-ი (< უყვარს), მო-ს-ულ-ი[1]...

თავისებურად იწარმოება სასუბიექტო მიმღეობის ზოგიერთი ფორმა: მ-საჯ-ულ-ი, მე-ტყვ-ელ-ი, მო-ქმ-ედ-ი, მო-ძრავ-ი...

---

[1] **ვალ** ფუძისაგან მომდინარე მიმღეობა გვიჩვენებს სამივე დროის გაგებას: **მომავალი** (ვინც მოდის – ახლ.), **მოსული** (ვინც მოვიდა – წარს.), **მოსასვლელი || მომსვლელი** (=ვინც უნდა მოვიდეს – მომ. დრ.). აქ მიმღეობისათვის ამოსავალია საწყისი ს-ვლ-ა, რომლის ძირისეული ელემენტი –ვლ (< ვალ) ფონეტიკური ფაქტორით ზოგან მთლიანად იკარგება. მაგ., მიმღეობაში – მო-ს-ულ-ი (< მო-ს-ვლ-ულ-ი) დღეს დარჩენილია მხოლოდ ფ ო რ მ ა ნ ტ ე ბ ი: **მო** – ზმნისწინი, **ს** – საწყისის უძველესი ნიშანი, **ულ** – მიმღეობის მაწარმოებელი, **ი** – სახელობითი ბრუნვის მარკერი.

„საობიექტოა მიმღეობა, რომელიც აღნიშნავს სამოქმედო საგანს ანუ იმ პირს, რომელიც სათანადო ზმნურ ფორმაში ობიექტის ნიშნებითაა გადმოცემული" (ნ. ჯორბენაძე). საობიექტო მიმღეობას, სასუბიექტოსაგან განსხვავებით, აქვს წარსული და მომავალი დროის ფორმები. ასევე იგი შეიძლება იყოს წართქმითი ან უკუთქმითი.

წ ა რ ს უ ლ ი დ რ ო ი ს საობიექტო მიმღეობა წარმოების მიხედვით სამგვარია: პრეფიქსიანი, სუფიქსიანი და პრეფიქს-სუფიქსიანი (კონფიქსიანი). მისი მაწარმოებლებია:

ა) **ნა-:** ნა-კეთები, ნა-პარავ-ი, ნა-ტეხ-ი... ზოგჯერ **ნა-**ს ერთვის **არ/ელ** სუფიქსი: ნა-ჩუქ-არ-ი, (მო)ნა-ცვლ-ელ-ი...

ბ) **-ილ:** გაშლ-ილ-ი, დაწერ-ილ-ი, დაბეჭდ-ილ-ი...
-ულ: დამალ-ულ-ი, ჩა-ცმ-ულ-ი, და-ხატ-ულ-ი...

გ) **მ–არ (-ალ):** გა-მ-თბ-არ-ი, და-მ-ჭკნ-არ-ი, გა-მ-შრ-ალ-ი, გა-მ-ქრ-ალ-ი... (ამგვარი წარმოება არაპროდუქტიულია).

შესაძლებელია შეგვხვდეს ერთი და იმავე მიმღეობის პარალელური (პრეფიქსიანი და სუფიქსიანი) ფორმები: ნანახი || ნახ-ული, ნათქვამი || თქმ-ული, მო-ნა-გები || მოგებ-ულ-ი... დღეს უფრო უპირატესია პრეფიქსიანი წარმოება, ძველ ქართულში კი პირიქით იყო.

მ ო მ ა ვ ა ლ ი დ რ ო ი ს საობიექტო მიმღეობის მაწარმოებლებია:

სა-: სა-წერი || და-სა-წერი, გა-სა-ტეხი, გა-სა-ყიდი...

სა–ელ: გა-სა-თლ-ელ-ი, და-სა-ღვრ-ელ-ი, და-სა-შლ-ელ-ი...

უ კ უ თ ქ მ ი თ ი (უარყოფითი) მიმღეობა იწარმოება **უ-** პრეფიქსითა და **უ–ელ** კონფიქსით: და-უ-ხატავ-ი; ა-უ-შენებ-ელ-ი, გა-უ-გზავნ-ელ-ი, და-უ-მზადებ-ელ-ი...

ზოგიერთი მიმღეობა დღეს სახელადაა ქცეული. ასეთებია: მასწავლებელი, მცველი, მატარებელი, მშობელი, დამრიგებელი, შვილი, მოსწავლე, მოახლე, კრებული, თხრილი, წერილი... თუმცა ამათგან მცირე ნაწილს ზოგჯერ შეიძლება შენარჩუნებული ჰქონდეს მიმღეობის სემანტიკაც: ვირუსის მატარებელი, საჩუქრის დამრიგებელი...

შენიშვნა: 1. შვილი მიღებულია ძველი ქართულის **შევ**-ს ზმნისაგან -ილ სუფიქსის დართვით (შევ(ს)+ილ > შევ-ილ-ი > შვ-ილ-ი), ხოლო უფრო გვიანდელი წარმოების **შობ**-ს ზმნისაგან მომდინარეობს მ-შობ-ელ-ი (> სა-მშობლ-ო).

2. მიუთითებენ, რომ მიმღეობური შინაარსის ფორმები: დრეკ-ად-ი, კუმშვ-ად-ი, მართვ-ად-ი... დღეს ინტენსიურად გამოიყენება ტერმინოლოგიაში (ნ. ჯორბენაძე).

7.3.3. ნ ა ც ა რ ქ ე ქ ი ა ტიპის სახელთა წარმოება-კვალიფიკაციის საკითხისათვის. ქართულში არის ჯგუფი სახელებისა, რომლებიც შინაარსით უახლოვდებიან სასუბიექტო მიმღეობას, თუმცა ფორმით მკვეთრად განსხვავდებიან მათგან. ასეთებია **ია**-თი ნაწარმოები ფორმები: ნაცარქექია, ჩიტირეკია, დოყლაპია, კაციჭამია, კევიღეჭია, კურდღლიჭერია...

ნაცარქექია ტიპის სახელები სამეცნიერო ლიტერატურაში ბევრჯერ იქცა მსჯელობის საგნად.

ა. შანიძის აზრით, ჭამია, ყლაპია, ქექია და მისთ. გვხვდება ნათესაობითში დასმულ სახელთან, რომელსაც ნათესაობითი ბრუნვის ნიშნის **ს** თანხმოვანი მოკვეცილი აქვს: ბელტისყლაპია > ბელტიყლაპია.

ე. ოსიძის დაკვირვებით, ნაცარქექია ტიპის წარმოებაში სახელადი ნაწილი წარმოადგენს შესაბამისი ზმნის პირდაპირ ობიექტს, ზმნური ნაწილი ბრძანებითის ფორმით არის წარმოდგენილი. თავდაპირველი ფორმა იქნებოდა ნ ა ც ა რ ი ქ ე ქ ე, ე. ი. ქექე ზმნა შეიწყობდა პირდაპირ ობიექტს. მოგვიანებით ზმნას გამოეცალა თავისთავადობა, ეს ორი სიტყვა შეერთდა და სახელად იქცა **ა** სუფიქსის დახმარებით.

ფ. ერთელიშვილის თვალსაზრისით, „ნაცარქექია ტიპის ფორმებს პირობითად ეწოდება მიმღეობა. იგი შედგება სახელისა და ზმნისაგან. ზმნა ხოლმეობითის მწკრივშია, რომლის მაწარმოებელი არის **ი** სუფიქსი: **ქექის, ჭამის, ყლაპის** (შდრ. წერის, დაწერის...), **ა** არის მიმღეობის მაწარმოებელი ელემენტი. იგი ისეთივეა, როგორც საწყისის **ა**. სახელადი ნაწილი – პირდაპირი დამატება II სერიაში სახელობითშია: **ჭამის ყველი – ყველიჭამია**".

მზ. მრევლიშვილის ვარაუდით, **ქექია** არის მიმღეობის ფორმა (რომელსაც დაკარგული აქვს მაწარმოებელი **მ**: მქექი>ქექი), ბოლოკიდური **ა** კი – კნინობითობის აღმნიშვნელი. ნაცარქექია ტიპის კომპოზიტების პირველი წევრი არის ფუძის სახით წარმოდგენილი პირდაპირი ობიექტი, მეორე წევრი (მიმღეობა) ამოსავლად იყენებს II სერიას. ეს კომპოზიტი მთლიანად სუბიექტს გამოხატავს.

საანალიზო ტიპის სახელთა წარმომავლობა განსხვავებულადაა ახსნილი აგრეთვე ა. არაბულის, ნ. მაჭავარიანისა და სხვათა ნაშრომებში.

7.4. სახელზმნის შესწავლის მოკლე მიმოხილვა. ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში სახელზმნის შესახებ მსჯელობა პირველად გვხვდება ანტონ კათალიკოსის გრამატიკაში, რომელშიც ტერმინი „სახელზმნა“ შემოღებულია „ქმნისა და ვნების“ გამომხატველ სიტყვათა (კერვაჲ, კეთებაჲ...) აღსანიშნავად, ანუ აღნიშნავდა იმას, რასაც დღეს **საწყისს** ან **მასდარს** უწოდებენ. ანტონს ნაზმნარი არსებითი სახელისათვის თავდაპირველად გამოუყენებია ტერმინი „ნაკლ-ზმნა“, შემდეგ კი გადაუკეთებია „სახელზმნად“, რამდენადაც იგი უფრო შეესატყვისება ფორმათა არსს. ანტონის აზრით, სახელზმნა ძირია ზმნისა, მისგან იწარმოება ზმნა.

„ქართული ღრამმატიკის“ მიხედვით, მიმღეობა (მისი ტერმინოლოგიით: „მიმღებელობა“) **არის მეტყველების ნაწილი**, რომელიც საგნის რაობასა და აგრეთვე მოქმედებასა და ვნებას აღნიშნავს დროის მიხედვით; იგი ზმნისა და სახელისაგან იღებს კატეგორიებსა და თვისებებს. ავტორი საკმაოდ ვრცლად მსჯელობს მიმღეობის სახელურ და ზმნურ ნიშნებზე, სპეციალურ მაწარმოებელ აფიქსებზე და ა. შ.

შემდგომი ხანის გრამატიკოსები ძირითადად იმეორებენ ანტონ I-ის დებულებებს, თუმცა ზოგ მათგანს აზუსტებენ ან ავსებენ კიდეც ახალი დაკვირვებებით.

სახელზმნა მეცნიერულად შესწავლილია ა. შანიძის მიერ ჯერ კიდევ 1930 წლის „ქართულ გრამატიკაში“, შემდეგ – „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“; გამოკვეთილია

საწყისისა და მიმღეობის თავისებურებანი, მიმღეობის წარმოება განხილულია გვარების მიხედვით. სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა შესაბამისი ტერმინებიც და ა. შ.

არნ. ჩიქობავა სხვადასხვა დროს ეხებოდა მასდარისა და მიმღეობის ფორმობრივ-ფუნქციურ საკითხებს, მაწარმოებელ აფიქსთა გენეზისს... მისი აზრით, ქართულში მასდარი ორი სახისაა: პირველადი და მეორეული. პ ი რ ვ ე ლ ა დ ი ა მოქმედების აღმნიშვნელი ის სახელები, რომლებიც თვითონაა ამოსავალი ზმნის წარმოებისთვის. ასეთებია: **შრიალი** – შრიალებს, **ბიბინი** – ბიბინებს, **გუგუნი** – გუგუნებს, **კაკანი** – კაკანებს... (წარმოშობით ესაა ფუძეგაორკეცებული ან მარტივი ხმაბაძვითი სიტყვები, მათი რიცხვი ქართულში შედარებით ნაკლებია). მ ე ო რ ე უ ლ ი მასდარი იწარმოება ზმნისაგან (აწმყო-მყოფადის ფორმისაგან): აკეთებს > კეთებ-ა, აშენებს > შენებ-ა, ჭრის > ჭრ-ა... ამგვარი წარმოება ქართულისათვის ძირითადია.

არნ. ჩიქობავა ზანურისა და ქართულის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ ისტორიულად მასდარი და მიმღეობა ერთი ოდენობა იყო, იწარმოებოდა ერთნაირი პრეფიქს-სუფიქსით. მაწარმოებელი პრეფიქსები (ს-, მ-) თავდაპირველად გრამატიკულ კლასებზე მიუთითებდა.

თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში არაერთი საყურადღებო ცალკეული გამოკვლევა, მონოგრაფია მიეძღვნა სახელზმნის ანალიზს, დაზუსტდა ზოგი ტრადიციული ტერმინი, ახლებური კვალიფიკაცია მიეცა ბევრ თეორიულ საკითხსაც (იხ. ლიტერატურა).

ლიტერატურა

ანტონ პირველი, „ქართული ღრამმატიკა" (II რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., კ ე კ ი ა ტიპის ფორმათა თავისებურებებისათვის: ზმნური და სახელური ფუძეთქმნადობის პრობლემა ქართველურ ენებში, თბ., 2001.

არაბული ა., ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის წარმოების ისტორიისათვის: იკე-ს წელიწდეული, XIV, თბ., 1987.

ბარამიძე ლ., ქართული ენის ისტორიული გრამატიკის საკითხები, თბ., 2008.

დავითიანი ა., სახელზმნათა ადგილისათვის მეტყველების ნაწილთა სისტემაში: ქელს, 1975, №2.

ერთელიშვილი ფ., მიმღეობის ერთი ტიპი ქართულში: თსუ შრ., 117, 1985.

ზექალაშვილი რ., ინფინიტივის გადმოცემის საშუალებები ქართულში: აკად. სერგი ჯიქიას დაბადების 110-ე წლისთავისადმი მიძღვნილ რესპ. სამეცნ. კონფ. წაკითხული მოხსენებები, თბ., 2009.

თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, I, თბ., 1970; 1986.

მარტიროსოვი არ., მასდარული კონსტრუქციის გენეზისისათვის: იკე, VII, თბ., 1955.

მაჭავარიანი ნ., **ჩიტირეკია** ტიპის სახელთა წარმომავლობისათვის ქართულში: არნ. ჩიქობავას საკითხავები, XI, 2000.

მრევლიშვილი მზ., კომპოზიტები ქართულ ენაში: თსუ შრ., 67, 1957.

ნათაძე ნ., შესაძლებლობის მიმღეობათა წარმოებისათვის თანამედროვე ქართულში: იკე, XIII, 1962.

ნოზაძე ლ., მასდარის წარმოების ზოგი საკითხი ქართულში და ქეგლი: საენათმეცნიერო ძიებანი, XIII, თბ., 2002.

ონიანი ა., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ.,2003.

ოსიძე ე., მიმღეობის წარმოება ქართულში: თსუ შრ., 67, 1957.

სანიკიძე თ., მიმღეობათა პარალელური ფორმების წარმოების ზოგი საკითხისათვის: თსუ შრ., ენათმეცნიერება, ტ. 164, 1975.

საღინაძე რ., მიმღეობურ ფორმათა სემანტიკური დიფერენციაცია ქართულში ნორმირების ასპექტით: ქსკს, XIII, თბ., 2013.

ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ქურდაძე რ., ხმოვანმონაცვლე ზმნათა I სერიისა და სახელზმნის წარმოების შესახებ: იკე, 33-ე, 1995.

ღუტიძე ი., ავ და ამ თემისნიშნიან ზმნათა მიმღეობის შესახებ: საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

ღუტიძე ი., მიმღეობა: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ყორლანაშვილი უ., სახელზმნის სწავლების ზოგიერთი საკითხი, თბ., 1973.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

ჩიქობავა არნ., სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბ., 1942; ასევე: შრ., VII, თბ., 2013.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ჩიქობავა არნ., მასდარისა და მიმღეობის ისტორიული ურთიერთობისათვის: იკე, IV, 1953.

ჩიქობავა არნ., უპრეფიქსო მიმღეობათა წარმოებისა და ისტორიის ზოგი საკითხი ქართულში: იკე-ს წელიწადეული, XIII, 1986.

ჩხუბიანიშვილი დ., მასდარი, სახელზმნა: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

ჯორბენაძე ბ., ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თბ., 1980.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

ჯორბენაძე ნ., ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში: ქსკს, 10, 1993.

ჯორბენაძე ნ., სახელზმნა: თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, თბ., 2011.

თავი VIII. ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები (უდეტრები)

ფორმის ცვალებადობისა და ფუნქცია-მნიშვნელობის მიხედვით ტრადიციულ ქართულ გრამატიკებში მეტყველების ნაწილები დაყოფილია ორ დიდ ჯგუფად: პირველში შედის სახელები და ზმნა (ფორმაცვალებადი სიტყვები), მეორეში კი – ზმნიზედა, თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული (ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები). ამ ჯგუფში შემავალი სიტყვებიც განსხვავდება ერთმანეთისაგან როგორც მორფოლოგიურად, ისე სინტაქსური თვისებებით. ამიტომაც ა. შანიძემ მართებულად მიიჩნია, მათთვის საერთო სახელად ეწოდებინა **უდეტრები** („უდეტერი“ ბერძნულია, ნიშნავს არც ერთს ორიდან, ანუ უდეტერია ის, რაც არც სახელია და არც ზმნა). მათში გამოიყოფა ერთგვარი ნიშნების მქონე ქვეჯგუფები: ზმნიზედა, მხლებელი (თანდებული, კავშირი, ნაწილაკი) და შორისდებული.

ფორმაუცვლელი სიტყვები მართლაც განსაკუთრებული ენობრივი ერთეულებია. თეორიული თვალსაზრისით, მათი დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილებად გამოყოფასთან დაკავშირებით, ჩვენ უფრო მართებულად მიგვაჩნია ბ. ჯორბენაძის კლასიფიკაცია, თუმცა, წიგნის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, ამჯერად ტრადიციული მიდგომით შემოვიფარგლეთ და ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები ცალ-ცალკე განვიხილეთ.

8.1. ზმნიზედა

8.1.1. ზმნიზედის მნიშვნელობა და ფუნქცია. ზმნიზედა (ზ მ ნ ი ს ა რ თ ი) არის ფორმაუცვლელი სიტყვა, რომელიც განსაზღვრავს ზმნით გამოხატული მოქმედების ადგილს, დროს, ვითარებას, მიზეზს, მიზანს, ანუ აღნიშნავს, თუ სად, როდის, როგორ, რა ზომით, რამდენჯერ, რატომ ან რისთვის ხდება ზმნით გამოხატული მოქმდება. მაგალითად: **აქ** სიცოცხლეა (სად?), **დღეს** მერცხალი შემოფრინდა (როდის?), **ნელა** ეფინება ბინდი გარემოს (როგორ?) და ა. შ. იგი, ჩვეულებრივ,

ახლავს ზმნას და ნაზმნარ სახელსაც: **გუშინ** წ ა ვ ი დ ა ; **გუშინ** წ ა ს უ ლ ი კაცი დაბრუნდა; **გუშინ** წ ა ს ვ ლ ა გადაიფიქრა... ზმნიზედა ზოგჯერ განსაზღვრავს თვით ზმნიზედას ან ზედსართავ სახელს: **ძალიან** ა დ რ ე , **ძალიან** კ ა რ გ ი ...

სინტაქსურად ზმნიზედა გ ა რ ე მ ო ე ბ ა ა (**ფეხდაფეხ** უნდა მიჰყვე ცხოვრებას); შეიძლება იყოს შ ე დ გ ე ნ ი ლ ი შ ე მ ა ს მ ე ნ ლ ი ს ს ა ხ ე ლ ა დ ი ნ ა წ ი ლ ი ც (ბავშვი **ავად** არის).

ზმნიზედა თანდებულის ფუნქციასაც ასრულებს, თუ ის დაერთვის სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას: **სახლის წინ** ჭადარი დგას (შდრ. **წინ** მიდის); ოთხი წლის შემდეგ; მდინარის გაღმა, სახლის ირგვლივ, სკოლის გარშემო, მარნის ქვეშ...

ზოგიერთი ზმნიზედა ორმაგი ფუნქციის მქონეა: წინადადების წევრია და კავშირის როლშიც გამოდის (სინტაქსურად წევრ-კავშირია): **სადაც** ვარდი ამოდის, იქ ეკალიც თესია.

ზმნიზედისაგან შეიძლება წარმოიქმნას სხვა მეტყველების ნაწილები: არსებითი (**აქაურობა** < აქ), ზედსართავი (**იქაური** < იქ, **გარეული** < გარეთ, **შინაური** < შინ..).

მაშასადამე, რაც ზედსართავია არსებითი სახელისათვის, ისაა ზმნიზედა ზმნისათვის; იგი ზმნასთან გამოსაყენებელი სიტყვაა (სწორედ ამის მიხედვით არის შექმნილი ამ მეტყველების ნაწილის ბერძნულ-ლათინური სახელწოდება adverbium = „ზმნის თანა"). თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში დამკვიდრებულია ტერმინები „ზმნიზედა" და „ზმნისართი". ა. შანიძის აზრით, „ზმნიზედა" (ზმნის ზედა) მომდინარეობს სლავურ-რუსულიდან (იგი **наречие**-ს თარგმანია). „ზმნის-ზედა" პირველად გვხვდება ანტონის გრამატიკაში, „ზმნისართი" კი პირველად გამოიყენა ს. ხუნდაძემ. დღეს სამეცნიერო ლიტერატურაში უფრო გავრცელებულია **ზმნისართი**, თუმცა ა. შანიძემ უპირატესობა **ზმნიზედას** მიანიჭა. ორივე ტერმინი მაინც პირობითია, რეალურ ვითარებას ზუსტად ვერ ასახავს, რადგან ამ ჯგუფში შემავალი სიტყვა იხმარება არა მხოლოდ ზმნასთან, არამედ ზედსართავ სახელთან, ზმნიზედასთან.

8.1.2. ზმნიზედა ფორმის თვალსაზრისით. ფორმის მიხედვით ზმნიზედა ორგვარია: ძირეული და ნაწარმოები.

ძ ი რ ე უ ლ ი (პირველადი) ზმნიზედა ცოტაა: **აქ, იქ, წინ, შინ, ხვალ, აწ, სად...** ზოგიერთი მათგანის ანალიზით გამოვლენილია ზმნიზედის კავშირი ნაცვალსახელურ ძირებთან (ქ. ლომთათიძე, ბ. ფოჩხუა...). „ძირეული ზმნისართები შედგენილობით ეტოლებიან **ეგ, ეს, იგი** ჩვენებით ნაცვალსახელებს. თავდაპირველად ეს ნაცვალსახელები ადგილს, დროს უჩვენებდნენ, უფრო გვიან – განვითარების შემდგომ საფეხურზე მომხდარა მათი დიფერენციაცია“ (გ. შალამბერიძე).

ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ზმნიზედა მიღებულია სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან ძირითადად ორი გზით:

1. სახელის რომელიმე გაქვავებული ბრუნვის (მიცემითი, ნათესაობითი, მოქმედებითი, ვითარებითი) ფორმით (ძირი > ძირს, ღამე > ღამით, გეზი > გეზად; ახლოს, დილას, დღეს...)[1] ან კიდევ ზმნიზედად შეიძლება იქცეს ზედსართავი სახელი ბრუნვის ნიშნის ნაწილობრივი მოკვეცით (ჩქარი – ჩქარად > ჩქარა, ნელა, მაღლა, დაბლა და ა. შ.) და აგრეთვე თვით ზმნიზედა თანდებულის დართვით (აქამდე, სადამდე...);

2. სპეციალური მაწარმოებლებით: **-გან, -ივ, -რე, -ხელ, -ჯერ, -გზის, -მო, -შე, -ღამ, -ხან:** ერთგან, ყველგან, ირგვლივ, მარჯვნივ, ეგრე, ერთხელ, სამჯერ, ორგზის, ზემოთ, ქვემოთ, წინაშე, გარეშე, ამაღამ, ერთხან(ს), დიდხანს...

ზმნიზედად შეიძლება გამოყენებული იყოს სახელის ფუძეც: **ღამე || ღამით:** ავადმყოფს მთელი ღ ა მ ე არ ეძინა; ხელოსანი მთელი დ ღ ე მუშაობდა...

8.1.3. ზმნიზედის შინაარსობრივი ჯგუფები. ქართულში გამოიყოფა ზმნიზედის რამდენიმე სემანტიკური ჯგუფი. ესენია:

ა დ გ ი ლ ი ს ზ მ ნ ი ზ ე დ ა გამოხატავს მოქმედების ადგილს ან მიმართულებას. მისი კითხვებია: სად? საიდან? სადამდე? საითკენ?

---

[1] ზოგჯერ შეიძლება მიცემითში, ნათესაობითში, მოქმედებითსა და ვითარებით ბრუნვებში მდგომმა სახელმა დაკარგოს ბრუნვის ფუნქცია და ზმნიზედად იქცეს (ამ პროცესს უცხოურად **ადვერბიალიზაცია** ეწოდება). მაგ., წყალი ხეს **ძირს** უთხრის (არს. სახ.), შდრ. ვაშლი **ძირს** ჩამოვარდა (ზმნიზ.).

წარმოების მიხედვით ადგილის ზმნიზედა შეიძლება იყოს პირველადი და ნაწარმოები. პირველადი ზმნიზედებია: აქ, იქ, წინ, უკან, შინ (მათი რიცხვი მცირეა)... ნაწარმოები ზმნიზედებია: ძირს, ახლოს, შუაში, შინისკენ, გვერდით, შორით, ქვემოთ, გარეთ, საიდან, მაღლა, დაბლა, იქამდე, სადამდე... ამ ჯგუფის ზმნიზედათა უმეტესობა არის სახელის გაქვავებული ბრუნვის ფორმა.

დროის ზმნიზედა აღნიშნავს მოქმედების დროს, ანუ დროის კონკრეტულ მონაკვეთს, რომელშიც სრულდება მოქმედება. მისი კითხვებია: როდის? რა დროიდან? რა დრომდე? რამდენ ხანს? დროის ზმნიზედათა მცირე ნაწილი პირველადია, უმეტესობა – ნაწარმოები:

ა) ახლა, აწ, წელან, წუხელ, გუშინ, შარშან, უწინ, ხვალ, ზეგ, ჯერ, მერმე, გვიან, მალე...

ბ) წელს, დღეს, საღამოს, საღამოზე, ბოლოს, დაწყებისას, დამთავრებისას, ერთხელ, მარადის, ღამით, დილით, ხვალიდან, წლობით, ძველად, ამჟამად, პირველად, აქამდე, მანამდე...

დროის ზმნიზედა მიიღება აგრეთვე ფუძის გაორკეცებით ან სხვადასხვა ფუძის შეერთებით: ხანდახან, წინდაწინ, დღედაღამ, ზამთარ-ზაფხულ, დილა-საღამოს...

ვითარების ზმნიზედა მიუთითებს, თუ როგორ, რა ვითარებაში ხდება ზმნით აღნიშნული მოქმედება. მისი კითხვებია: როგორ? რანაირად?

ვითარების ზმნიზედა ძალზე იშვიათად გადმოიცემა მარტივი ფუძით, მეტწილად იგი იწარმოება თანდებულიანი თუ უთანდებულო სახელის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმისაგან, ასევე ფუძის გაორკეცებითა და სხვადასხვა ფუძის შეერთებით. ასეთებია: ასე, ისე, ძალიან, ძლიერ, ზეზე, ძალზე, წყენით, მშვიდად, ამნაირად, გეზად... ლუკმა-ლუკმა, ფეხდაფეხ, განუწყვეტლივ, ეგრე, თავქვე, პირაღმა, გარდიგარდმო...

ზომა-ოდენობის ზმნიზედა აღნიშნავს, თუ რა ზომით, რა ოდენობით ხდება მოქმედება. მისი კითხვებია: რა ზომით? რა ოდენობით? რამდენად?

ზომა-ოდენობის ზმნიზედა წარმოდგენილია ფუძის სა-

ხით ან მოქმედებითი და ვითარებითი ბრუნვის ფორმით: სულ, ნაკლებ, სრულებით, სავსებით, მეტრობით, ფუთობით, მთლად, მეტად, ცოტად, ათად, ამდენად.

რიგობით-ჯერობის ზმნიზედა უჩვენებს ზმნით გამოხატული მოქმედების ჩადენის რიგს ან რაოდენობას. მისი კითხვებია: რამდენჯერ? მერამდენედ? მერამდენეჯერ?

რიგობით-ჯერობის ზმნიზედა მიიღება რიცხვითი სახელისა და ნაცვალსახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმისაგან ან ფუძეზე ზმნიზედის მაწარმოებლის დართვით: მეორედ, მეათედ, ერთჯერ (ერთხელ), იმდენჯერ, ერთგზის...

მიზეზის ზმნიზედა გამოხატავს მოქმედების გამომწვევ მიზეზს. მისი კითხვაა რატომ? ასეთი ზმნიზედებია: ამიტომ, მაგიტომ, მიტომ, რატომღაც...

მიზნის ზმნიზედა მიუთითებს მოქმედების მიზანს. მისი კითხვებია: რად? რისთვის? რა მიზნით? მიზნის ზმნიზედებია: ამისთვის, მაგისთვის, იმისთვის, მისთვის, იმად, ამად. ისინი მიიღებიან ჩვენებითი (ეს, ეგ, ის) და კითხვითი (რა) ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვისაგან **თვის** თანდებულის დართვით ან უთანდებულო ვითარებითისაგან. ამათ გარდა, მიზნის ზმნიზედად გამოიყენება მომავალი დროის მიმღეობისა და **სა-ო** აფიქსებით ნაწარმოები ზოგიერთი სახელის ვითარებითი ბრუნვის ფორმა: მისატანად, სასწავლებლად, სანადიროდ, სათამაშოდ... მიზეზისა და მიზნის ზმნიზედები ნაცვალსახელური წარმოშობისაა.

კითხვითი ზმნიზედებია: სად, საიდან, საითკენ, სადამდე, როდის, რა დროიდან, რამდენ ხანს, როდემდე, როგორ, რამდენჯერ, რატომ, რად, რისთვის.

მიმართებითი ზმნიზედა მიიღება კითხვით ზმნიზედაზე **ც** ნაწილაკის დართვით: სადაც (< სად+ც), საიდანაც, საითკენაც, როდესაც, როგორც... ეს ზმნიზედები დამოკიდებულ წინადადებას აერთებენ მთავართან და ასრულებენ მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციას.

ზმნიზედის ამ ძირითადი ჯგუფების გარდა შეიძლება გამოიყოს აგრეთვე **უარყოფითი ზმნიზედები**: არ-

სად, ვერსად, ნურსად, არასდროს/არასოდეს, აღარსად, ვეღარსად... აღარასოდეს, ნურასოდეს, არსაიდან, ვერსაიდან... **დაგანუსაზღვრელობითი ზმნიზედები**: სადღაც, ოდესღაც...

შენიშვნა: 1. ისტორიულად შეიძლება ზმნიზედამ შეიცვალოს ფორმაც და ფუნქციაც (მთლიანად ან ნაწილობრივ). მაგ.: **მუნ** ძველად ადგილის ზმნიზედა იყო. მისგან მიღებული მუნამდე იქცა **მანამდე** დროის ზმნიზედად; **სად** ადგილის ზმნიზედისაგან მომდინარე **სადამდე** დღეს სანამდე/სანამ დროის ზმნიზედის ფუნქციით გამოიყენება; **წინ, იქით** ადგილის ზმნიზედებია, მაგრამ: ამას იქით, წინდაწინ | წინ-წინ – დროისაა.

2. ერთი და იგივე ზმნიზედა შეიძლება განეკუთვნებოდეს სხვადასხვა შინაარსობრივ ჯგუფს. მაგ., **აქამდის** (იქამდის)||**აქამდე** ადგილის ან დროის ზმნიზედაა: აქამდის მოდიოდა საზღვარი (ადგილის), „აქამდის ამბად ნათქვამი"... (დროის). ასეთ შემთხვევებში ფუნქციის დადგენის საშუალებაა კონტექსტი და კითხვის დასმა.

3. ქართულში მრავალფეროვნებითაა წარმოდგენილი სინონიმური და ანტონიმური ზმნიზედები: ა) ანაზდად, უცბად, მყის, წამსვე... ბ) წინ – უკან, მარცხნივ – მარჯვნივ, მაღლა-დაბლა, წაღმა – უკუღმა...

8.1.4. ზმნიზედათა მართლწერა

1) მოქმედებითი ბრუნვის ფორმისაგან წარმომდგარი ზმნიზედების ბოლოს უნდა იყოს **თ** და არა **დ**: ზემოთ, ქვემოთ, გარეთ, წინათ, უნებლიეთ, აქეთ, იქით...

2) ვითარებითი ბრუნვისაგან ნაწარმოები ზმნიზედების ბოლოს აუცილებელია **დ** და არა **თ**: უცბად, ამჟამად, ცუდად, მეტად, კარგად, ლამაზად[1]...

3) დეფისით იწერება ფუძეგაორკეცებული ზმნიზედები: ჩქარ-ჩქარა, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მთა-მთა, ტყე-ტყე...

4) დეფისით იწერება ანტონიმური ზმნიზედებიც: დილა-საღამოს, აქა-იქ, გაღმა-გამოღმა, ზევით-ქვევით...

---

[1] **ლამაზად** ტიპის ფორმები მორფოლოგიურად ვითარებით ბრუნვაში დასმული ზედსართავებია (შდრ. ლამაზ-ი, ლამაზ-მა, ლამაზ-ს... ლამაზ-ად). ისინი მხოლოდ ზოგჯერ ასრულებენ ზმნიზედის ფუნქციას.

5) უდეფისოდ (ერთად) იწერება **და** კავშირიანი ზმნიზედები: ხანდახან, თანდათან, დროდადრო, გზადაგზა...

6) ერთად იწერება შერწყმული ზმნიზედები: ცალმხრივ, ყოველმხრივ, ყოველნაირად, დიდხანს, დროგამოშვებით...

7) **წინ** და **უკან** ანტონიმური ზმნიზედების შემთხვევაში, თუ საუბარია წარსულში მომხდარ ამბავზე, უნდა გამოვიყენოთ **წინ** და არა **უკან**: ორი საათის წ ი ნ დამთავრდა სხდომა (შდრ. გუშინწინ). შეცდომაა: ორი საათის უკან დამთავრდა სხდომა...

8) უნდა ითქვას და დაიწეროს **ალბათ** და არა ალბად.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაბულიდან შემოსული **ალბათ** (ამოსავალია **ჰელბეთ** = „რასაკვირველია", „უსათუოდ") მიჩნეული არის სხვადასხვა ოდენობად: ზოგი მკვლევრისთვის ის ზმნიზედაა, ზოგი მას საერთოდ არ ასახელებს მორფოლოგიაში და ჩართულად (განკერძოებულ სიტყვად) განიხილავს. გარდა ამისა, არ არის ერთგვაროვნება მასთან დაკავშირებით სასვენი ნიშნების გამოყენებაშიც: ხან მძიმეებით გამოიყოფა, ხანაც მის გარეშეა. **ალბათ** სიტყვის კვალიფიკაციისათვის გადამწყვეტი უნდა იყოს კონტექსტი, ე.ი. წინადადების სემანტიკით განისაზღვროს მისი ფუნქცია და, შესაბამისად, სასვენი ნიშნის საკითხიც.

8.1.5. ზმნიზედის შესწავლისა და ზოგიერთი ფორმის კვალიფიკაციის საკითხისათვის. ლინგვისტიკაში ზმნიზედა უძველესი მეტყველების ნაწილია. მასზე მსჯელობდნენ ჯერ კიდევ ძველი ბერძნები. ანტონ I-ის გრამატიკაში განხილულია ზმნიზედის 22 ჯგუფი. მას შემდეგ ზმნიზედის წარმოება-ფუნქციის ანალიზს მიეძღვნა არაერთი ნაშრომი, გამოითქვა საყურადღებო მოსაზრებანი.

ზმნიზედა ფორმაუცვლელ მეტყველების ნაწილთა შორის ყველაზე მრავალფეროვანი და თავისებურია როგორც წარმოებით, ისე სემანტიკურად. იგი მორფოლოგიური აღნაგობითა და ფუნქციით ახლოს დგას სივრცის გაგების მქონე თანდებულებსა და ზმნისწინებთან (შდრ. **შინ**, სახლსა **შინა** (>სახლში), **შევიდა**). ამ მსგავსება-სიახლოვის საფუძვლად მიაჩნიათ მათი გენეზისური ერთიანობა. კერძოდ: სამივესათვის

ამოსავალი უნდა იყოს დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა – ზმნიზედა, რომელიც შემდგომში, თანდებულად ან ზმნისწინად ჩამოყალიბების პროცესში, მაწარმოებელი ელემენტების თანდათანობითი ჩამოცილების გზით კარგავს დამოუკიდებლობას და გვევლინება ზმნისწინისა და თანდებულის სახით (პ. ჯავჯანიძე, არ. მარტიროსოვი, ი. ვეშაპიძე).

სპეციფიკური ფორმობრივ-სემანტიკური ბუნების გამო ზმნიზედას განიხილავენ ფორმაცვალებად სიტყვათა რიგში.

მართლაც, ზმნიზედათა დიდ ნაწილში გამჭვირვალედ ჩანს მათი ფორმაცვალებადობის თვისება, აგრეთვე, სახელების მსგავსად გარკვეული სინტაქსური მიმართების დამყარების უნარი წინადადების სხვა წევრებთან და ა. შ., რაც კიდევ უფრო სარწმუნოს ხდის ზმნიზედის გაერთიანებას სახელებში. ამ მიმართებით თეორიულად საინტერესო და პრაქტიკულადაც მნიშვნელოვანია სხვადასხვა ბრუნვისაგან მიღებული სიტყვაფორმების „მორფოლოგიური სტატუსის“ საკითხი. მაგალითად, სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით, სიტყვები: დღეს, საღამოს, ძირს... დილით, ღამით... კარგად, თეთრად, ლამაზად, მშვიდად, გეზად, ცერად და მისთ... სინტაქსურ-სემანტიკური ფუნქციიდან ამოსვლით მეტწილად ზმნიზედებად არის ჩათვლილი, თუმცა, როგორც მართებულად მიუთითებენ, ამა თუ იმ ფორმის სინტაქსურ-სემანტიკური ფუნქცია არ უნდა განსაზღვრავდეს მის მორფოლოგიურ სტატუსს (თ. ვაშაკიძე). აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, ზმნასთან დაკავშირებული ბრუნვისფორმიანი სიტყვა მორფოლოგიურად არ უნდა ჩაითვალოს ზმნისართად. ასეთი სიტყვაფორმები სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ: **დღეს** ვზეიმობთ გამარჯვებას (დრ. გარემ.); **დილით** მზემ ამოანათა (დრ. გარემ.); ბავშვი **კარგად** წერს (ვით. გარემ.). მიუხედავად ამისა, წარმომავლობით ეს სიტყვები (დღეს, დილით, კარგად) სახელებია. შდრ.: **დღეს** ღამე მოსდევს (არს. სახ.); დღევანდელი **დილით** კმაყოფილი ვარ (არს. სახ.); „ავსა **კარგად** ვერვინ შეცვლის“ (ზედ. სახ.).

თანამედროვე ქართულში ზმნიზედათა უმრავლესობა ნაწარმოებია სახელის ამა თუ იმ ბრუნვისაგან. ფორმობრივად

(ისტორიული ვითარების გათვალისწინების გარეშეც) ეს იმდენად გამოკვეთილია, რომ ზმნიზედა სრულიად მართებულად არის მიჩნეული **ნაკლული პარადიგმის მქონე სახელად**: „ზმნიზედა ზმნის მსაზღვრელია, ზმნას კი იგი ბრუნვაში ვერ შეუთანხმდება. ამიტომაც ტოვებს ფორმაუცვლელი სიტყვის შთაბეჭდილებას. სინამდვილეში ზმნიზედა ფორმაცვალებადი სიტყვაა: ა) მისგან იწარმოება სახელის მსაზღვრელი (ზედსართავი): დღეს > დღევანდელი, წეღან-წეღანდელი... ბ) ზმნიზედას ბრუნვის ფორმებიც მოეპოვება: დღე-ს, დღე-ის (შემდეგ), დღე-იდ-ან, დღე-მდე... **ზმნიზედის ბრუნება შეზღუდულია, მაგრამ იგი უცვლელი მაინც არ არის**"... (ბ. ჯორბენაძე).

ამ და სხვა არგუმენტებიდან გამომდინარე, ბ. ჯორბენაძის ეს თვალსაზრისი (რომლისთვისაც ამოსავალია მორფოლოგიური საფუძველი) უნდა იყოს ზემოთ განხილული **ლამაზად** (წერს) ტიპის სახელთა „მორფოლოგიური სტატუსის" განმსაზღვრელი და არა მათი სინტაქსური ფუნქცია. თუ ვითარებითბრუნვიანი ზედსართავი სახელი ზმნისართად ჩაითვლება (თ. უთურგაიძე), გამოდის, რომ ზედსართავ სახელს, როგორც მეტყველების ნაწილს, ვითარებითი ბრუნვა აღარ ექნება; მაშინ იგი არ უნდა შევიდეს ბრუნების პარადიგმაში.

სასწავლო პრაქტიკაშიც წინადადების მორფოლოგიური ანალიზის დროს უფრო მართებული იქნება, თუ ამა თუ იმ ბრუნვისაგან მომდინარე სახელის გაქვავებულ ფორმებს (როგორც მეტყველების ნაწილს) კვალიფიკაციას მივცემთ ამოსავალი ძირის გათვალისწინებით. მაგ.: **ღამით** ძალიან ცივა – არს. სახელი, ზმნიზედის ფუნქციით; ბავშვს **მშვიდად** სძინავს – ზედ. სახ., ზმნიზედის ფუნქციით... და ა. შ. აქვე დავიმოწმებთ ა. შანიძის ასეთ კვალიფიკაციასაც: ვითარებით ბრუნვაში დაყენებული ზედსართავი (ან მიმღეობა), როგორც ამას ძველი გრამატიკოსებიც აღნიშნავდნენ (მაგ., დ. ჩუბინაშვილი), ზმნიზედის ფუნქციითაა აღჭურვილი, რადგანაც ამ შემთხვევაში ზედსართავი (ან მიმღეობა) ზმნას განსაზღვრავს და არა სახელს, როგორც სხვა შემთხვევებში: წითლად, შავად, მძიმედ, გრილად, აშკარად, დინჯად, ძვირად, ვაუკაცურად, კოხტად, მრისხანედ, გაბედულად და

მისთ. ზმნიზედას უახლოვდება ასეთი ფორმები: სოფლად, ქალაქად, მინდვრად, ველად, როცა ესენი ადგილის გარემოებას აღნიშნავენ (ა. შანიძე, 1973, გვ. 592).

ჩანს, მეცნიერი საანალიზო ფორმებს, როგორც მეტყველების ნაწილებს, ზმნიზედად არ მიიჩნევს. სინტაქსური გარემოება მორფოლოგიურ ზმნიზედად ყოველთვის არ განიხილება.

8.2. თანდებული

8.2.1. თანდებულის ფუნქცია და შედგენილობა. თანდებული არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი ფორმაუცვლელი სიტყვა ან ბგერათა კომპლექსი, რომელიც დაერთვის ამა თუ იმ ბრუნვის ფორმას და ამყარებს მიმართებას სახელსა და სახელს შორის ან სახელსა და ზმნას შორის. თანდებული მიეკუთვნება ფუნქციურ ლექსიკას. იგი ახლავს სხვა სიტყვას და ასრულებს გარკვეულ ფუნქციას. სხვაგვარად: თანდებულები, სრულმნიშვნელოვან სიტყვათაგან განსხვავებით, მოკლებული არიან ლექსიკურ თავისთავადობას, რის გამოც არა აქვთ უნარი, შეასრულონ წინადადების წევრის ფუნქცია; მათი დანიშნულებაა „მოემსახურონ" სრულმნიშვნელოვან სიტყვებს, დააკმაყოფილონ მათი გრამატიკული მოთხოვნები.

ფ უ ნ ქ ც ი ი ს მიხედვით თანდებული მრავალფეროვანია: აღნიშნავს საგნის მდებარეობას, მიმართულებას, დანიშნულებას, მსგავსებასა და ა. შ. ზოგი თანდებული ერთი ფუნქციის მქონეა, ზოგს კი ერთდროულად რადენიმე ფუნქცია აქვს (თანდებულთა ფუნქციები, გამოყენების შემთხვევები მართლწერის საკითხებითურთ და ზოგი მათგანის გენეზისი უფრო ვრცლად იხ. გვ. 78-82).

თანდებული მიიღება სრულმნიშვნელოვანი სიტყვებისაგან, ანუ თანდებულები წარმოადგენს ფუნქციური ლექსიკის ნიშნით გაერთიანებულ სხვადასხვა მეტყველების ნაწილთა ნაკრებს. მაგ.: **-თვის** < თავ-ი, **-მდე** < მიდღედ, **-მდის** < მიდღის (ა. შანიძე) (არს. სახ.); **მიხედვით** < მიხედვა (ხედავს ზმნის საწყისის მოქმ. ბრ. ფორმა), **მიუხედავად** < მი-უ-

ხედავ-ად (უკუთქმითი მიმღეობის ვით. ბრ. ფორმა), **შესახებ** < შესახები (ეხება ზმნის მომავალი დროის მიმღეობა); **-ზე** < ზედა, **-ში** < შინა, **-თან** < თანა, **-კენ** < კერ < კერძ < კერძო... (ზმნისართი) და ა. შ.

შ ე დ გ ე ნ ი ლ ო ბ ი ს (ფორმის) მიხედვით თანდებული ორგვარია: მარტივი და რთული. მ ა რ ტ ი ვ ი ა ერთმარცვლიანი თანდებულები: **-გან, -კენ, -ებრ, -თვის, -ზე, -ში, -თან,** რ თ უ ლ ი ა ორ- და მეტმარცვლიანები: **მიერ, გამო, მიმართ, შესახებ, გარდა, -თანავე.** მარტივი თანდებულები **-ზე, -ში, -თან...** წარმოშობით რთულია.

თანდებული შეიძლება უშუალოდ ერთვოდეს ბრუნვის ფორმას (იშვიათად ფუძესაც) ან ცალკე იდგეს. ამის მიხედვით გამოიყოფა შ ე რ წ ყ მ უ ლ ი და ც ა ლ კ ე მ დ გ ო მ ი თანდებულები. ერთმარცვლიანი (მარტივი) თანდებული შერწყმულია ბრუნვის ფორმასთან, რთული კი ცალკე მდგომია (გამონაკლისია მხოლოდ **-თანავე**).

გენეზისურად თანდებული შეიძლება იყოს პ ი რ ვ ე ლ ა დ ი და მ ე ო რ ე უ ლ ი. პირველადია: **-ზე, -ში, -თან, -ვით, -გან, -კენ, -ებრ || -მებრ, -მდე/-მდის, გამო, გარდა, მიერ, მიმართ, შორის, შუა...** მეორეულ თანდებულებად ითვლება თანდებულის ფუნქციით გამოყენებული სახელები და ზმნიზედები. ს ა ხ ე ლ უ რ ი თანდებულებია: შესახებ, თაობაზე, საშუალებით, მიზნით, წყალობით, მიხედვით, მიუხედავად, შედეგად, მსგავსად, ნაცვლად... ზ მ ნ ი ს ა რ თ უ ლ ი თანდებულებია: წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ, ქვეშ, ზევით, ქვევით, ირგვლივ, გარშემო, გასწვრივ, გაღმა, შემდეგ, წინათ...

8.2.2. თანდებულის გამოყენება ბრუნვის ფორმებთან. ქართულში თანდებული დაერთვის ხუთ ბრუნვას:

ს ა ხ ე ლ ო ბ ი თ ი – **-ვით** (დევივით, ბავშვივით).

მ ი ც ე მ ი თ ი – **-ვით** (დედასავით), **-თან** (ხესთან), **-ზე** (მთაზე), **-ში** (სახლში), **შუა/შორის** (მთებს შუა/შორის).

ნ ა თ ე ს ა ო ბ ი თ ი – **-გან** (დედისგან), **-თვის** (შვილისთვის), **-კენ** (სახლისკენ), **-ებრ** (ლომებრ), **-თანავე** (წასვლისთანავე), **-დამი, და** (მისდამი, ჩემდა თავად),

გამო (ავადმყოფობის გამო), **მიერ** (შვილის მიერ), **გარდა** (მეგობრის გარდა), **გულისთვის** (ძმის გულისთვის), **შესახებ** (წიგნის შესახებ), **ნაცვლად** (სიმღერის ნაცვლად), **მაგიერ** (სწავლის მაგიერ), **მიმართ** (მეზობლის მიმართ), **მიხედვით** (ნაშრომის მიხედვით), **მიუხედავად** (სიცხის მიუხედავად).

მოქმედებითი – **-გან||-დან** (ქალაქიდან < ქალაქითგან), **-ურთ** (შვილითურთ). XVII-XIX საუკუნეთა სამწერლობო ენაში გამოიყენებოდა **-დამ** თანდებულიც.

ვითარებითი – **-მდე** (სახლამდე), **-მდის** (სახლამდის).

8.2.3. თანდებულის შესწავლის საკითხისათვის. ძველ ბერძნულ გრამატიკაში ერთ-ერთ მეტყველების ნაწილად დასახელებულია წინდებული, რომელიც სიტყვას თავში ერთვის. ბუნებრივია, ქართულის თანდებული ვერ მოხვდებოდა მეტყველების ნაწილთა თავდაპირველ სქემაში. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ თანდებული ქართულში შედარებით ცოტაა (სვანურში ქართულის მსგავსი ვითარებაა, ზანური კი ამ მხრივ უფრო ღარიბია). ეს ფაქტი ახსნილია იმით, რომ ზმნისა და სახელის მიმართებითი ფორმებით (ბრუნვათა სიმრავლით, ქცევის ფორმებით) უთანდებულოდაც ზუსტად გამოიხატება აზრი.

თანდებული დამახასიათებელია კავკასიური ენებისთვისაც. ევროპულ ენებში მისი შესატყვისია ნინდებული.

თანდებული, როგორც მეტყველების ნაწილი, შეტანილია ანტონ I-ის გრამატიკაში, რომლის მიხედვით, თანდებული არსების (ე. ი. არსებითი სახელის) გარემოების გამომხატველია და აქვს ბრუნვებში სახელის მართვის უნარი. ტერმინი „თანდებულიც“ მანვე დაამკვიდრა, მაგრამ (ჩანს, ევროპული ენების გავლენით, წინდებულის მსგავსად) ყველა თანდებული მის მიერ დამოწმებულ მაგალითებში სახელის წინ არის მოთავსებული: „თჳს კავშირთა“, „თჳს თანდებულთა“... ავტორის ეს ცდა ამაო იყო. წინდებულის სისტემა ქართული ენის ბუნებიდან არ გამომდინარეობდა და სალიტერატურო ენამ არ მიიღო (ე. ბაბუნაშვილი).

ახალ ქართულში თანდებულის ადგილი მყარია, სიტყვას ერთვის ბოლოში (ძირითადად ასეთი პოზიცია ჰქონდა მას ძველ ქართულშიც), თუმცა დღესაცაა შემორჩენილი თითო-ოროლა შემთხვევა წინდებულის ხმარებისა: **გარდა** ამისა, **ნაცვლად** ამისა, **მიუხედავად** ამისა (შდრ. ამის გარდა, ამის ნაცვლად, ამის მიუხედავად).

თანდებული მიჩნეულია დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვებისაგან მომდინარედ. დროთა ვითარებაში ისინი ნაწილაკებად იქცნენ და სახელს მიეკედლნენ, რითაც გავლენა მოახდინეს ბრუნვათა სისტემაზე: ზოგმა დაკარგა ბრუნვის ნიშანი, ზოგმა კი ფონეტიკურად იცვალა სახე. ქართულში ბევრი თანდებული, ზმნისწინი და ზმნიზედა გარეგნულად და სემანტიკურად ემთხვევა ერთმანეთს. მათთვის დამახასიათებელი ძირითადი ფუნქცია დაკავშირებულია სივრცის გაგებასთან. მიუთითებენ, რომ დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე მეტყველების ნაწილთა დამხმარე სიტყვებად გამოყენება-გადაქცევის პროცესი მხოლოდ ისტორიული ფაქტი არ არის, იგი დღესაც აქტუალურია. თანამედროვე სალიტერატურო ენაში თანდებულთა რიცხვი თანდათან იზრდება ძირითადად იმ ზმნისართებისა და სახელების ხარჯზე, რომლებიც სემანტიკურად გამოხატავენ მიმართება-დამოკიდებულებას.

თანდებულებს სიტყვაში (შესაბამისად, წინადადებაში) შეაქვს სხვადასხვა სემანტიკური ელფერი. მაგ., თანდებულთა უდიდესი ნაწილი (პირველადი და ზმნისართული წარმოშობისა) განეკუთვნება სტილისტურად ნ ე ი ტ რ ა ლ უ რ ლექსიკას; ე მ ო ც ი უ რ ა დ შეფერილი თანდებულებია: წყალობით, მეოხებით, შემწეობით; წ ი გ ნ უ რ ი შ ე ფ ე რ ი ლ ო ბ ი ს ა ა ა: შესახებ, თაობაზე, დაკავშირებით, მიმართებით, შესაბამისად... ს ა ს ა უ ბ რ ო ელფერი აქვს **-ზე** თანდებულს მიზნის სემანტიკის გადმოსაცემად **პურზე მიდის** ტიპის შესიტყვებებში და ა. შ. (ვ. კალანდაძე).

მიაჩნიათ, რომ თანდებულები ფაქტობრივად მორფემებია და არა სიტყვები (ბ. ფოჩხუა), თუმცა კვლავ განიხილებიან მეტყველების ნაწილად. ამ ფაქტს, ტრადიციისა და ინერციის გარდა, ხსნიან პრაქტიკული საჭიროებითაც – გა-

ადვილდეს თანდებულის შესწავლა გრამატიკულ კლასებთან (მეტყველების ნაწილებთან) მიმართებით.

შენიშვნა: სამეცნიერო ლიტერატურაში თანდებული კარგადაა შესწავლილი. ძველი და ახალი ქართულის მიხედვით გაანალიზებულია მისი გრამატიკული და სტილისტური ფუნქციები, გამოყენების თავისებურებანი და ზოგიერთი მათგანის გენეზისიც. თვალსაჩინოებისათვის ამჯერად მოკლედ ვისაუბრებთ ორიოდე საკითხზე.

1. **ვით** თანდებული პირველად დადასტურებულია მე-11 საუკუნის ერთ-ერთ ხელნაწერში. იგი ერთვის ნათესაობით ბრუნვაში მდგარ სულიერი საგნის აღმნიშვნელ სიტყვას. ვარაუდობენ, რომ საშუალ ქართულში **ვით** მიცემით ბრუნვას ალბათ მაშინ დაერთოდა, როცა სახელი უსულო საგნის აღმნიშვნელი იყო (ზ. სარჯველაძე).

თ. შარაძენიძის გამოკვლევით, **ვით** მხოლოდ მიცემითის თანდებულია, მიუხედავად იმისა, რომ იგი შეიძლება შეგვხვდეს სახელობითსა და ნათესაობითთან; **ვით**-ის გამოყენება სახელობითთან გვიანდელი მოვლენა უნდა იყოს, ამიტომაცაა, რომ გვაქვს **იმ კაცივით**, სადაც მსაზღვრელი **იმ** მიღებული უნდა იყოს **იმ კაცსავით** წარმოების ანალოგიით.

ქართულ ლინგვისტიკაში **ვით** თანდებულის გენეზისი ძირითადად ახსნილია ორგვარად: 1) **ვით** მიღებულია **ვითარ** სიტყვისაგან (ა. შანიძე, ლ. კვაჭაძე, ზ. სარჯველაძე, გ. ბურჭულაძე...), 2) **ვით** არის **ვინ** ნაცვალსახელის მოქმედებითი ბრუნვის ფორმა, რომელსაც შემდეგ დაერთო **არ**: ვით + არ > ვითარ. აქედან ც-ს დართვით მიღებულია **ვითარცა**. ძველ ქართულში **ვით** დამოუკიდებელი მნიშვნელობის სიტყვა იყო, წარმოადგენდა კავშირს, ზმნისართს, ახლა იგი შეუერთდა ბრუნვას და თანდებულად იქცა (თ. შარაძენიძე, ჰ. ფოგტი...).

ვით თანდებული თანამედროვე ქართულში საინტერესოა აგრეთვე მრავალფეროვანი ფუნქციითა და გამოყენების სიხშირითაც.

2. თანდებულთა სტილისტიკური ფუნქციები, უხვ საილუსტრაციო მასალაზე დაყრდნობით, შესწავლილია ვ. კალანდაძის მონოგრაფიაში, გამოკვეთილია ამ ასპექტით თანამედროვე სალიტერატურო ქართულის ძირითადი ტენდენციები, გამოტანილია ნორმირების თვალსაზრისით ანგარიშგასაწევი დასკვნები. მაგალითად, ავტორის დაკვირვებით, თანამედროვე სამწერლობო ენაში „სინონიმური თანდებულიანი და უთანდებულო კონ-

სტრუქციები სტილისტური დატვირთულობით განირჩევიან. თანდებულიან კონსტრუქციათა მოხმარება ნეიტრალური მეტყველებისათვის არის დამახასიათებელი, უთანდებულო კონსტრუქციებისა კი – ემოციურად შეფერილი მეტყველებისათვის... შდრ. **ეგრისში გაემგზავრა** და **ეგრისს გაემგზავრა, ცაში აფრენა** და **ცად ამაღლება**"... თანდებულიანი და უთანდებულო სინონიმური კონსტრუქციები ზოგჯერ ერთმანეთს უპირისპირდება კონკრეტულობა-ზოგადობის სტილისტიკური ნიუანსებითაც.

8.3. კავშირი

8.3.1. კავშირის რაობა და შედგენილობა. კავშირი დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილია. იგი აერთებს ორ სიტყვას ან ორ წინადადებას: მთა **და** ბარი ამწვანდა; გათენდა **და** მზეც ამოვიდა...

შედგენილობის მიხედვით კავშირი ორგვარია: მარტივი და რთული. მ ა რ ტ ი ვ ი ა: და, რომ, თუ, მაგრამ, ხოლო, კი, რათა, რადგან... რ თ უ ლ ი ა: იმიტომ რომ, ასე რომ, მაშინ როდესაც, რის გამოც, თუნდაც (< თუ უნდა)... რთული კავშირი მიიღება ორი ან მეტი სიტყვის შეერთებით.

მარტივი კავშირი შეიძლება იყოს პ ი რ ვ ე ლ ა დ ი და ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი. პირველადი კავშირები ძველისძველი წარმოშობისაა, მათი რიცხვი ენაში ცოტაა (**და, თუ, ხოლო...**). ნაწარმოები კავშირები გვიანდელია, მიღებულია სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან:

რათა < რაჲთა (ნაცვალსახელის მოქმ. ბრ.)

გინდ < გინდა (ზმნა)

ვიდრე < ვი+დ+რე (ვინ ნაცვალსახელის ვით. ბრ. ფორმა+ ნაწილაკი)

თუნდაც < თუ + უნდა + ც (კავშირი + ზმნა + ნაწილაკი)

თუმცა < თუ + მცა (კავშირი + ნაწილაკი) და ა. შ.

ზოგი კავშირი (და, თუ, კი...) ც ა ლ ე უ ლ ი ა, ზოგიც – წ ყ ვ ი ლ ე უ ლ ი. წყვილეულ კავშირს აქვს ორი დამოუკიდებელი ნაწილი, რომლებიც ცალ-ცალკე გამოიყენება წინადადების სხვადასხვა ნაწილში. ასეთებია: არა მარტო – არამედ, არამცთუ – არამედ, კი არა – არამედ, თუმცა – მაგრამ...

8.3.2. კავშირის ფუნქცია, სახეები. ფუნქციის მიხედვით კავშირი ორგვარია: მაერთებელი და მაქვემდებარებელი.

მაერთებელი კავშირი აერთებს ორ სიტყვას ან ორ თანასწორ წინადადებას; გამოიყენება შერწყმულსა და რთულ თანწყობილ წინადადებებში. მისი ქვეჯგუფებია:

მ ა ჯ გ უ ფ ე ბ ე ლ ი: და, თუ.

მ ა ც ა ლ კ ე ვ ე ბ ე ლ ი: ან, ან – ან, ან – ან არადა, ხან, ხან – ხან, ხან – ხან კი, გინდ, გინდ – გინდ, თუნდ, თუნდ – თუნდაც, თუ.

მ ა პ ი რ ი ს პ ი რ ე ბ ე ლ ი: მაგრამ, ხოლო, კი, თორემ, არამედ, კი არა – არამედ, არა მარტო – არამედ, ოღონდ, თუმცა.

მ ა ი გ ი ვ ე ბ ე ლ ი: ანუ, ესე იგი (ე.ი.).

მაქვემდებარებელი კავშირი გამოიყენება რთულ ქვეწყობილ წინადადებაში; აერთებს ერთმანეთის მიმართ გრამატიკულად არათანასწორ წინადადებებს – მთავარსა და დამოკიდებულს. მაქვემდებარებელი კავშირის ჯგუფებია:

დ რ ო ი ს: რა, თუ არა, სანამ, ოდეს, რაწამს, რაკი, როს, ვიდრე, რომ[1]...

მ ი ზ ე ზ ი ს: რადგანაც, იმიტომ რომ, ვინაიდან, რაკი, რახან, რამეთუ...

მ ი ზ ნ ი ს: რათა, იმისთვის რომ...

პ ი რ ო ბ ი ს: თუ, თუკი, უკეთუ, თორემ, ოღონდ...

დ ა თ მ ო ბ ი ს: თუმცა, გინდ, თუნდ, გინდაც, თუნდაც, მიუხედავად იმისა, რომ...

მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციას რთულ ქვეწყობილ წინადადებაში ასრულებენ აგრეთვე მიმართებითი ნაცვალსახელები და მიმართებითი ზმნისართები.

8.3.3. კავშირის შესწავლის საკითხები. კავშირი, როგორც მეტყველების ნაწილი, განხილულია ანტონ I-ის გრამა-

---

[1] რამდენადაც ქართულში **რომ** კავშირი ფუნქციურად მრავალფეროვანია (მაგ., შ. ძიძიგური ასახელებს მის ცხრა ფუნქციას) და, შესაბამისად, გამოიყენება სხვადასხვა სემანტიკის წინადადებაში, ამდენად, ძნელია მისი მიკუთვნება ამა თუ იმ კონკრეტული ჯგუფისათვის; იგი შეიძლება შეგვხვდეს ყველა სახის დამოკიდებულ წინადადებაში.

ტიკაში. ავტორი კავშირის 12 ჯგუფს გამოყოფს და მიუთითებს, რომ ერთი და იგივე კავშირი ზოგჯერ შეიძლება სხვადასხვა ფუნქციის მქონეც იყოს. ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში ტერმინი „კავშირი“ მანვე დაამკვიდრა.

კავშირთა ჯგუფების რაოდენობისა და კვალიფიკაციის საკითხში მომდევნო ხანის გრამატიკოსთა მოსაზრებანი მეტნაკლებად არაერთგვაროვანია. ზოგიერთი კავშირის ეტიმოლოგია მოცემულია ნ. მარის „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“, თუმცა კავშირების პირველი მეცნიერული კლასიფიკაცია ახალი ქართულის მიხედვით ა. შანიძის დამსახურებაა.

თანამედროვე ქართულ ლინგვისტიკაში საფუძვლიანადაა შესწავლილი კავშირთა წარმოება და ფუნქციები ძველი და ახალი ქართულის დონეზე, გამოკვეთილია მათი ფორმობრივ-სემანტიკური ცვლილების გზა, დადგენილია ცალკეული კავშირის მოხმარების სიხშირე და ა. შ.

ქართულში კავშირთა უმრავლესობა ერთი ფუნქციის მქონეა, მაგ.: **და** (მაჯგ.), **ხან** (მაცალკ.), **მაგრამ** (მაპირ.), **რადგან** (მიზეზის), **რათა** (მიზნის) და ა. შ., ზოგიერთი კავშირი ორი ან მეტი ფუნქციითაც გამოიყენება. ასეთებია: **თუ, თუმცა, ოღონდ...**

აქ ყველგან ხარობს ნაძვი **თუ** ფიჭვი (მაჯგ.),
შდრ. **თუ** სიბნელე არ გინახავს, ფასს ვერ დასდებ სინათლესა (მაქვ.).

ბიჭი მაღალია, **თუმცა** გამხდარი (მაპირ.),
შდრ. **თუმცა** აპრილი იდგა, მაინც ციოდა (მაქვ.).

ვარდი ლამაზი ყვავილია, **ოღონდ** ეკლიანი (მაპირ.),
შდრ. **ოღონდ** მემღერებოდეს, არ მინდა დიბა-ატლასი (მაქვ.).

სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსის გამო ზოგჯერ ძნელდება **ოღონდ** კავშირის ფუნქციის დადგენა. მიუთითებენ, რომ ეს კავშირი პირველად თავს იჩენს საშუალი ქართულის გვიანდელ ძეგლებში მხოლოდ დადასტურებითი შინაარსით, შემდეგ შეითავსა გამორჩევითი ფუნქცია და დაუახლოვდა მაპირისპირებელ კავშირებს; უფრო მოგვიანებით აღიჭურვა მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციითაც. საცილობელ ფორმათა სემანტიკის დასადგენად ერთ-ერთ პრაქტიკულ

წესად შეიძლება გამოვიყენოთ „მაგრამ“: თუ **ოღონდ** კავშირს თავისუფლად ენაცვლება **მაგრამ**, მაშინ იგი მაპირისპირებელია (ლ. კვანტალიანი).

რამდენადაც კავშირები სხვადასხვა დროისა და ფორმის (ძირეული თუ წარმოქმნილი) ლექსიკური ერთეულებია, მათი თავდაპირველი სახის აღდგენა ყოველთვის არ ხერხდება, თუმცა ზოგიერთის წარმომავლობის დადგენა ჯერჯერობით მაინცაა შესაძლებელი. მაგალითად:

თორემ < თუარე-მ < თუ არა-მ, ან < ანუ, რადგან < რა-ჲთ-გან, ვინაიდან < ვინაიდგან < ვინა-ჲთ-გან, რაკი < რა კი, რათა < რა-ჲთა, რომ (‖რომე) < რომელ-რა, ესე იგი < ესე იგი არს...

თანამედროვე ქართულში **რადგან** კავშირის ფუნქციით – კვლავ გააქტიურდა **რამეთუ**, თუმცა იგი ყოველთვის როდი იხმარება თავისი ფუნქციით. ზეპირ მეტყველებაში ზოგჯერ უმართებულოდ გვხვდება მიზნის ან სხვა სემანტიკის კავშირადაც. მაგ., წინადადებაში – მე დამსაჯოს ღმერთმა, რამეთუ ცოდვილი ვარ, **რამეთუ** კავშირით გამოხატულია მიზეზი, ხოლო წინადადებაში – ექიმებმა ურჩიეს დასვენება, რამეთუ აღედგინა შერყეული ჯანმრთელობა, იგი არასწორადაა გამოყენებული მიზნის კავშირის ფუნქციით.

8.4. ნაწილაკი

8.4.1. ნაწილაკის რაობა. ნაწილაკი არის დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი ბგერა, ბგერათა კომპლექსი თუ სიტყვა, ერთვის წინადადების წევრს ან მთელ წინადადებას და მასში შეაქვს სხვადასხვა ელფერი. მაგ., ბავშვი მოვიდა, შდრ. ბავშვიც მოვიდა. ნაწილაკს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გამონათქვამების შინაარსობრივ გამთლიანებაში.

ნაწილაკის ადგილი სიტყვასთან მყარია ან თავისუფალი. პირველ შემთხვევაში მისი პოზიცია მუდამ ერთნაირია: ან მხოლოდ წინ უძღვის, ან მხოლოდ მოსდევს. პრეპოზიციური ნაწილაკებია: **ნუ, არ, ვერ...** პოსტპოზიციურია: **-მე, -ვე, -ღა, -ცა, -ოდე...** ზოგი ნაწილაკის ადგილი თავისუფალია: ყიდის თ უ რ მ ე ‖ თ უ რ მ ე ყიდის...

ნაწილაკი შეიძლება ახლდეს სახელს (ერთვის ყველა ბრუნვის ფორმას, გარდა წოდებითისა), ზმნას, ზმნიზედას და თვით ნაწილაკსაც (ბავშვსაც, ხუთიოდე, არ წერს, გუშინაც, არ+ც...). იგი იწერება ცალკე (ხოლმე, არ, ვერ, ნუ...) ან დეფისით გამოეყოფა სიტყვას (მივდივარ-მეთქი), ანდა უშუალოდ ერთვის სიტყვას (ვინმე, ორიოდე...). გარდა ამისა, რამდენიმე ნაწილაკი განკერძოებით დგას და მეტყველებაში მთელი წინადადების ტოლია. ესენია: **ჰო, კი, დიახ, არა.**

ზოგჯერ ერთი და იგივე სიტყვა ერთ შემთხვევაში ნაწილაკია, მეორე შემთხვევაში – სხვა მეტყველების ნაწილი: წავიდა **თუ**? (ნაწილაკი), შდრ. **თუ** კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი (კავშირი); ახლავე **უნდა** გააკეთოს (ნაწილაკი), შდრ. მოხუცს დასვენება **უნდა** (ზმნა) და ა. შ.

ნაწილაკი საინტერესო ენობრივი ერთეულია არა მხოლოდ ფორმობრივ-ფუნქციურად, არამედ იმ მხრივაც, რომ ბევრმა მათგანმა საუკუნეთა განმავლობაში განიცადა მნიშვნელოვანი სემანტიკური ევოლუცია – ზოგში მთლიანად (ან ნაწილობრივ) დაიჩრდილა ოდინდელი მნიშვნელობა და ახალ ქართულში აღიჭურვა დამატებითი სემანტიკური ნიუანსებით.

8.4.2. ნაწილაკის ჯგუფები ფუნქციის მიხედვით. ნაწილაკი ფუნქციურად მრავალფეროვანია: ზოგ მათგანს ერთი ფუნქცია აქვს, ზოგს კი – ერთდროულად ორი ან მეტი. მაგ., **ნუ** მხოლოდ უარყოფითი ნაწილაკია, **ც** კი მიმართებითობას ანიჭებს კითხვით ნაცვალსახელს (ვინც) და გვხვდება გაძლიერებითი ნაწილაკის ფუნქციითაც.

ნაწილაკის **შინაარსობრივი** ჯგუფებია:

ჩ ვ ე ნ ე ბ ი თ ი: ა, აი, აჰა, ჰა.

კ ი თ ხ ვ ი თ ი: ა, თუ, ნუთუ, განა[1], ხომ, აკი (<არ-კი).

უ კ უ თ ქ მ ი თ ი (უ ა რ ყ ო ფ ი თ ი): არ, ვერ, ნუ, როდი, აღარ, ველარ, ნულარ, არც(ა), ვერც(ა), ნურც.

არ გამოხატავს მოქმედების კატეგორიულ უარყოფას, რაც დამოკიდებულია სუბიექტის ნება-სურვილზე

[1] **ნუთუ** და **განა** გამოხატავს კითხვასაც და გაკვირვებასაც: ნუთუ აღარ დაბრუნდება?! განა ყველაფერი დამთავრდა?!

(არ გავაკეთებ!)[1]; **ვერ** აღნიშნავს რისამე შეუძლებლობას – არაკატეგორიულ უარყოფას. ეს შეუძლებლობა სუბიექტის ნება-სურვილზე არაა დამოკიდებული (ვერ გავაკეთებ); **ნუ** აწარმოებს უკუთქმით ბრძანებითს (ნუ გააკეთებ!); **როდი** გამოხატავს ისეთ უარყოფას, რომელსაც ახლავს განცვიფრების ელფერიც: როდი წამოვიდა ჩვენთან ერთად (=არ წამოვიდა).

მიგებითი < დადასტურებითი: ჰო, კი, დიახ (< დიაღ).
მიგებითი < უარყოფითი: არა, ვერა, ნურა.

სიტყვასიტყვითი: -მეთქი, -თქო, -ო.

-მეთქი გამოიყენება მაშინ, როცა მოუბარი პირი (I პირი) იმეორებს წინათ ნათქვამს ან განაზრახს: ვიფიქრე, წავალ-მეთქი; **-თქო** (<თქვა) იხმარება მაშინ, როცა I პირის ნათქვამი II პირმა უნდა გადასცეს III პირს: გადაეცი, მოდი-თქო; **-ო** (სხვათა სიტყვის ნაწილაკი) მიუთითებს, რომ ნათქვამი ეკუთვნის III პირს, უმეტესად გვხვდება ანდაზებში. მაგალითად: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო!" **-მეთქი** და **-თქო** დეფისით გამოეყოფა სიტყვას, **ო** კი სიტყვასთან ერთად იწერება.

გაძლიერებითი: -ც, -ც კი, კიდეც, უკვე, მაინც.

გამორჩევითი: -ღა, მხოლოდ, მარტო.

განუსაზღვრელობითი: -მე, -ღა, -ღაცა.

ნება-სურვილის გამომხატველი: ნეტავი, ნეტა, -მცა, -მც, ნეტამც, უნდა, ბარემ, დაე, ვინძლო, აბა, მოდი.

შესაძლებლობა-ვარაუდისა და განცვიფრების: იქნებ (იქნება), ეგებ (ეგების), შეიძლება, რა, არა, აკი, აკი არ.

---

[1] საგულისხმოა, რომ, ჩვენი დაკვირვებითაც, **არ** ნაწილაკი თანამედროვე ქართულში ხშირად გამოიყენება დადებითი სემანტიკითაც, აქვს მრავალფეროვანი სტილური ნიუანსები: დადასტურებითი ფუნქცია (ახლა **არ** წავიდა?), აღნიშნავს განცვიფრებას, გაოცებას (ძლივს შუბლგახსნილი **არ** ენახე?), აძლიერებს – ინტენსიურს ხდის წინადადების აზრობრივ მხარეს (რაც **არ** უნდა მოხდეს, ამ საქმეს მაინც გავაკეთებ) და ა. შ.

მ ი ა ხ ლ ო ე ბ ი თ ი: კინაღამ, ლამის, თითქოს, -ოდე.
მ ი მ ა რ თ ე ბ ი თ ი: **ც** (< **ცა**).

ძველ ქართულში მიმართებითი ნაწილაკის ფუნქციით გამოიყენებოდა აგრეთვე **ესე, ეგე, იგი.** მიმართებითი ნაწილაკი დაერთვის სრულმნიშვნელოვან სიტყვებს და აქცევს მათ მიმართებითად.

გარდა ამ ჯგუფებისა, ნაწილაკები გამოხატავენ სხვა სემანტიკასაც: **ხოლმე** – მრავალგზისობას, **თურმე** – უნახაობას, **ვითომ, თითქოს** – მსგავსებას, **ვაითუ** – შიშს და ა. შ.

ნაწილაკთა ჯგუფში განიხილავენ ე. წ. პ რ ო ს ო დ ი უ ლ **ო** და **ა** ხმოვნებს („გავიხედე სერზედაო, ბატონი ზის ცხენზედაო“) (ვრცლად იხ. გვ. 81-82).

8.4.3. ნაწილაკის გენეზისის საკითხისათვის. ნაწილაკები მიღებულია სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან. მათთვის ამოსავალი შეიძლება იყოს სახელი, ზმნა, ზმნიზედა, ნაწილაკი ან სიტყვათა შეკავშირება: რა (ნაცვალსახ.), უნდა, იქნებ, შეიძლება, მოდი, დაე (ზმნა), ოდე, როდი... (ზმნიზედა), ვაითუ < ვაი+თუ (შორისდებულისა და **თუ** ნაწილაკის შეერთებით), მეთქი < მე ვთქვი (სიტყვათა შეკავშირება) და ა.შ.

ისტორიულად ნაწილაკთა უმეტესობა მომდინარეობს სრულმნიშვნელოვანი სიტყვებისაგან. ამათგან ზოგმა დროთა ვითარებაში დაკარგა დამოუკიდებელი მნიშვნელობა და გარეგნულადაც ისე იცვალა სახე, რომ დღეს ძნელია თავდაპირველი ფორმის აღდგენა, თუმცა ჯერ კიდევაა შემორჩენილი ისეთი ნაწილაკებიც, რომელთა წარმომავლობა გამჭვირვალეა. ასეთებია: დაე < დაეხსენ, ეგებ < ეგების, ოდე < ოდენ, თითქოს < თუ ითქვას, ნეტავი < ნეტარვინ, დიახ < დიაღ < დია ღმერთო, ხოლმე < ხუალმე, ვითომ < ვითარმცა...

სპეციალურ ლიტერატურაში არაერთი ნაშრომი მიეძღვნა **მცა** ნაწილაკის გენეზისსა და ფუნქციას. მაგალითად, ა. შანიძის აზრით, **მცა** რთულია: **მ-ცა**. პირველი **მ** ნაშთი უნდა იყოს რაღაც სიტყვისა, **ცა** კი არის ცნობილი ნაწილაკი, მნიშვნელობით უახლოვდება **და** კავშირს. ძველად **მცა** ახლდა თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს, დაერთოდა მხო-

ლოდ თხრობითი კილოს ფორმებს, მაგრამ მნიშვნელობა მაინც კავშირებითისა ჰქონდა. მაგ., მთვარესა მცხრალმან ვარსკვლავმან **ვითარ** ჰკადროს ფერობა. შდრ. „მთვარესა მცხრალმან ვარსკვლავმან **ვითარცა** ჰკადრა ფერობა“. ძველ ქართულში ნაწილაკი ფორმითა და ფუნქციით უფრო ნაკლებ მრავალფეროვანი იყო.

როცა ასპექტის სისტემის შეცვლის შედეგად წარმოიშვა მყოფადის წრის მწკრივები, **მცა** ნაწილაკიანი თხრობითის ფორმა აღარ იყო საჭირო კავშირებითი კილოს გამოსახატავად, ამიტომ მან თანდათან დაკარგა ძირითადი ფუნქცია. სამაგიეროდ, საშუალ ქართულში დამატებით შეიძინა სხვა მოდალური ნიუანსებიც (დალოცვის, ნატვრის, წყევლის...). თანამედროვე ქართულში **მცა** შემორჩა მხოლოდ ცალკეულ ფრაზეოლოგიზმებში, მეტწილად, დალოცვისა და წყევლის გამომხატველ ფორმულებში.

8.4.4. ნაწილაკის შესწავლის მოკლე მიმოხილვა. ნაწილაკი არ არის შეტანილი ძველ ბერძნულ გრამატიკაში; არც ანტონ I გამოყოფდა მას ცალკე მეტყველების ნაწილად, თუმცა ენაში მათი არსებობა შეუმჩნეველი არ დარჩენია – მიუთითებდა, რომ **მე, ძი, მცა, რე, და** მარცვლები ზმნას, სახელს ან სხვა მეტყველების ნაწილს სამკაულად და „განსავითარებლად“ დაერთვისო. ანტონი ასეთ სიტყვებს ან ბგერათკომპლექსებს კავშირებთან ერთად განიხილავდა.

ნაწილაკი ცალკე არაა გაანალიზებული სხვა ძველ პრაქტიკულ გრამატიკებშიც. ა. ფოცხიშვილის დაკვირვებით, იგი დ. ჩუბინაშვილის გრამატიკაში გამოჩნდა კავშირის ჯგუფში, ხოლო ნაწილაკი დამოუკიდებელ მეტყველების ნაწილად თავის გრამატიკაში პირველმა შეიტანა დ. კარიჭაშვილმა, შემდეგ იგი უფრო ვრცლად შეისწავლა ა. შანიძემ და მიაკუთვნა დამოუკიდებელი ადგილი მტყველების ნაწილთა სისტემაში.

ძველი და ახალი ქართულის დონეზე ნაწილაკის კვლევას მიეძღვნა არაერთი ნაშრომი, თუმცა ქართულ ლინგვისტიკაში, სპეციფიკური ფორმისა და ფუნქციის გამო, ნაწილაკის დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილად მიჩნევის თაობაზე განსხვავებული მოსაზრებებიც არსებობს (იხ. გვ. 23-24).

8.5. შორისდებული

8.5.1. შორისდებულის რაობა. ჯგუფები წარმოების მიხედვით. შორისდებული ჰქვია ბგერას, ბგერათა კომპლექსს ან სიტყვას, რომელიც ადამიანის გრძნობებსა და ნება-სურვილს გამოხატავს, მაგრამ ისე, რომ არ ასახელებს მას. სხვაგვარად: „შორისდებული ჰქვია ბგერას, ბგერათა კომპლექსს ან სიტყვას, რომელიც ადამიანს აღმოხდება პირიდან ბუნების ამა თუ იმ მოვლენის თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელიმე კონკრეტული ვითარების განცდის გამო, როგორც მოკლე, სწრაფი და უშუალო გამოძახილი ამ განცდისა“ (ა. შანიძე). შორისდებული რაიმე მოვლენას კი არ აღნიშნავს, რაიმე საგანს (ან მოვლენას) კი არ „მიემართება“, არამედ წარმოადგენს „მეტყველის განცდათა ობიექტივაციის, გამოვლენის კონვენციალურ (=პირობით) საშუალებას“ (ბ. ფოჩხუა).

შორისდებული წინადადებაში განკერძოებით დგას, სხვა წევრებისაგან გამოიყოფა სასვენი ნიშნებით (მძიმით, მძიმეებით, ძახილის ნიშნით), მაგრამ ზოგჯერ იგი წინადადებაში იხმარება სახელის მნიშვნელობითაც. ასეთ შემთხვევაში იგი სინტაქსურად შეიძლება იყოს *ქვემდებარე, დამატება, განსაზღვრება*. სახელად გამოყენებული შორისდებული იბრუნვის, მაგ.: ბევრმა ვაიმ მოხუცის სიცოცხლე შეიწირა; ვაის გავეყარე და უის შევეყარეო. პირველ წინადადებაში **ვაიმ** ქვემდებარეა, მეორეში კი **ვაის** და **უის** – დამატებები.

შორისდებული ინტონაციურად მდიდარი და მრავალფეროვანია, რაც განპირობებულია თვით ბუნების მოვლენებისა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა გამოვლენის მრავალფეროვნებით. იგი დამახასიათებელია სასაუბრო ენისათვის.

წარმოების მიხედვით, ქართულში შორისდებული ორგვარია: პირველადი და წარმოქმნილი.

პირველადი შორისდებული სხვა სიტყვისაგან არაა ნაწარმოები. იგი შედგება ერთი ბგერისაგან ან ბგერათა დაუშლელი ჯგუფისაგან. ასეთებია: ო, ა, ჰმ, ტს, უჰ, სს, ერიჰა...

წარმოქმნილ ანუ *მეორეულ* შორისდებულთა სფერო უფრო ფართოა. აქ ერთიანდება:

ა) დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე სიტყვები, რომლებიც ქცეულან შორისდებულად; იწარმოებიან სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან: ბიჭოს! დედა! ქა! (არსებითი სახელი), ჩუ, ჩუთ (ჩუმად: ზედსართავი სახელი), დახე, დახეთ, მო (ზმნა), უიმე, ვაიმე (უი+მე, ვაი+მე: შორისდებული და ნაცვალსახელი), ბეჩა (< ბეჩავ < ბეჩაო < ბეთშაო < ბედშაო < ბედშავო: მსაზღვრელ-საზღვრული);

ბ) შორისდებულის მნიშვნელობის მატარებელი სიტყვები და სიტყვათა მყარი შეხამებანი, რომლებიც გამოყენებულია საფიცრად, მისალმება-გამოთხოვების დროს, საალერსოდ, სამადლობელად (ჩემმა მზემ, დედაშვილობას, გმადლობთ, ნახვამდის...), ასევე ფრაზეოლოგიური ერთეულები (ო. გაჩეჩილაძე);

გ) შორისდებულის სემანტიკით გამოყენებული ზოგიერთი ნაწილაკიც: **აი, აი**, როგორ არ გრცხვენია? **აბა, აბა**, რა დიდებული სანახავია?!

შენიშვნა: ფუნქციურად შორისდებულებს უახლოვდება ხმაბაძვითი სიტყვები, რომლებითაც გამოხატულია ფრინველების, მწერების, ცხოველებისა და მისთანათა მიერ გამოცემული ხმა: ჭივ-ჭივ, ყვა-ყვა, კრუხ-კრუხ, ყიყლიყო...

შორისდებულთა უმრავლესობა წარმოქმნილია სხვადასხვა მეტყველების ნაწილისაგან, ამდენად, ზოგი მათგანის წარმომავლობა ნათელია და გენეზისური გზის აღდგენაც ადვილად ხერხდება. მაგალითად: ქა < ქალო, ვა < ვაჟო, ვაგლახ, ვაგლახმე < ვა+გლახ < გლახ < გლახა < გლახაკი, ვაჰმე < ვაიმე, ღმერთმანი < ღმერთმან იცის...

8.5.2. შორისდებულის შინაარსობრივი ჯგუფები. ქართულში გამოიყოფა შორისდებულის სამი ძირითადი სემანტიკური ჯგუფი:

1. შორისდებულები, რომლებიც გადმოსცემენ ამა თუ იმ გრძნობას, ემოციას;

2. შორისდებულები, რომლებიც მოუბრის ნება-სურვილს ასახავენ;

3. შორისდებულები, რომლებიც გამოხატავენ ფიცილს, ალერსს, მისალმებას და ა. შ.

სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს სხვაგვარი დაჯგუფებაც: ყველა შორისდებული გაერთიანებულია ორ ძირითად ჯგუფში. პირველს მიეკუთვნება შორისდებულები, რომლებიც ადამიანის შინაგანი განცდებისა და გრძნობების გამოძახილია (ანუ „ემოციური შორისდებულები“), მეორეს კი – მთქმელის ნება-სურვილის გამომხატველი შორისდებულები (ანუ „იმპერატიული შორისდებულები“: ლ. კვაჭაძე).

1. **გრძნობა-ემოციების** გამომხატველი შორისდებულები იყოფა ცალკეულ ჯგუფებად, რომელთა მიერ შეიძლება გადმოიცეს:

ნ ა ტ ვ რ ა: ეჰ, ოჰ, აჰ, ახ...

მ ო წ ო ნ ე ბ ა, ს ი ხ ა რ უ ლ ი, ა ღ ტ ა ც ე ბ ა: ოჰ, უჰ, ყოჩაღ, ო, იჰ, ვიშ, ახ, ბარაქალა, იფ-იფ...

მ წ უ ხ ა რ ე ბ ა: ჰოი, ოჰ, უჰ, ვაჰმე, ვაი, ვაიმე, უი, უიმე, ჰმ, ოხ, ახ, უუ...

გ ა კ ვ ი რ ვ ე ბ ა - გ ა ო ც ე ბ ა: ეჰ, ოჰ, აბა-აბა, ვა, ქა, ერიჰა, ბიჭოს, დახე, უჰ...

დ ა ნ ა ნ ე ბ ა - ს ი ბ რ ა ლ უ ლ ი: ეჰ, აჰ, აფსუს, ვიშ, ოო, ახ, ვაგლახ...

დ ა ც ი ნ ვ ა: ხა! ხა! ხა! იფ-იფ, ოლოლო...

ზ ი ზ ღ ი: ფუჰ, ფუ, ფუი...

დ ა ს ტ უ რ ი: ო, ჰაი, ჰაი–ჰაი...

წ ა ქ ე ზ ე ბ ა - გ ა მ ხ ნ ე ვ ე ბ ა: ჰა.

ზოგჯერ ერთი და იგივე შორისდებული სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება. ასეთებია: **ოჰ** (ნატვრა, მწუხარება, გაკვირვება, გაოცება), **უჰ** (გაკვირვება, გაოცება, მოწონება, სიხარული, აღტაცება) და ა. შ.

ხდება პირიქითაც: ნათქვამის განსაკუთრებული ემოციური დატვირთვისათვის შესაძლებელია ერთდროულად გამოვიყენოთ სხვადასხვა ბგერითი შედგენილობის, მაგრამ ერთნაირი სემანტიკის შორისდებულები: „ოჰ, ოჰ, ვაი, ვაი! სულ დაღუპულა მთელი ოჯახი!“

გრძნობა-ემოციების გამომხატველი შორისდებულების რიცხვი ქართულში დიდია.

2. **ნება-სურვილის** გამომხატველი შორისდებულები გამოიყენება ადამიანის, ცხოველის, ფრინველის, გაპიროვნებული უსულო საგნების მიმართ, რომ მათ შეასრულონ მთქმელის ნება-სურვილი. ესენია: ჰაუ! ჰაუ-ჰაუ! არიქა, ეი, ჰეი, სუ, ჩუ, ციც... ჯი-ჯი, წიპ-წიპ! აქშა-აქშა, ქუცი-ქუცი... მათი რიცხვი შედარებით მცირეა. ამ ჯგუფის შორისდებულები მნიშვნელობითა და გამოყენების თვალსაზრისით უახლოვდება ბრძანებითი კილოს ფორმებს. გარდა ამისა, როცა ისინი მიმართული არიან მრავლისადმი, გრამატიკულადაც ფორმდებიან **თ** სუფიქსით: არიქა**თ**, სუ**თ**, ჩუ**თ**... (ანალოგიურია: გამარჯობა**თ**, გეთაყვა**თ**, ძილი ნებისა**თ**...). ასეთი ფორმები უმართებულოა.

3. **ფიცილის, ალერსის, მისალმება-გამოთხოვების, მადლობის** გამომხატველი შორისდებულებია: გამარჯობა, გაგიმარჯოს, ღმერთმანი, მამაშვილობამ, ძმობამ, ჩემმა მზემ, ხელი მოგიმართოს, მშვიდობით, გენაცვალე, შენი ჭირიმე, შენი კვნესამე, გეთაყვა... ამგვარი საალერსო ხასიათის შორისდებულები ფორმულებადაა გაქვავებული.

შორისდებულის წერილობით ზუსტი გადმოცემა შეუძლებელია, ხერხდება მხოლოდ მისი მიახლოებითი გამოხატვა; მაგალითად, იმე, ჰმ, მ, ნწ, აჰ... მიახლოებით გადმოსცემენ სავარაუდო წარმოთქმას.

მიუთითებენ, რომ სემანტიკისა და ბგერითი შედგენილობის მიხედვით, ქართული შორისდებულები ემსგავსება ევროპული ენების შორისდებულებს, მაგრამ აქ სესხებასთან როდი გვაქვს საქმე. სხვადასხვა სისტემის ენებში ისინი დამოუკიდებლად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ. ჩანს, განსხვავებულ ენებს რთულ ემოციურ გრძნობათა გამოსახატავად ერთნაირი ენობრივი მასალა გამოუყენებია (თუმცა იშვიათად შორისდებულის სესხებაც შესაძლებელია: ურა! ბრავო! აფსუს!).

ძველ ქართულში შორისდებული მეტად იშვიათია.

8.5.3. შორისდებულის შესწავლის მოკლე მიმოხილვა. შორისდებული ფორმობრივ-სემანტიკურად მკვეთრად განსხვავდება სხვა მეტყველების ნაწილებისაგან. იგი არაა სრულმნიშვნელოვანი სიტყვა, თუმცა, მეორე მხრივ, ძნელდება მისი აღიარება დამხმარე მეტყველების ნაწილადაც. შორისდებული დიონისე თრაკიელის გრამატიკაში არ იყო დასახელებული. იგი პირველად რომაელებმა მიიჩნიეს მეტყველების ნაწილად და შემდგომ ლათინურის გზით სხვა ენის გრამატიკებშიც დამკვიდრდა მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ სქემაში.

ქართული გრამატიკული აზროვნების ისტორიაში შორისდებული, როგორც დამოუკიდებელი მეტყველების ნაწილი, ანტონ I-ის გრამატიკიდან იღებს სათავეს. აქ განხილულია შორისდებულის 12 ჯგუფი. ავტორის განმარტებით, შორისდებული არის მეტყველების ნაწილი, რომელიც სულის სხვადასხვა ვითარებას აღნიშნავს. ტერმინი „შორისდებულიც" მან შემოიღო ლათინური ტერმინოლოგიის შესაბამისად.

ანტონის გრამატიკის გავლენით შორისდებული თავისი სპეციფიკური ბუნების გამო მყარად იკავებს ადგილს ქართულ ლინგვისტიკაში და კვლევის ერთ-ერთი საინტერესო ობიექტი ხდება.

შორისდებულები ქმნიან თავისებურ სისტემას. ამის შესახებ არაეთგზის აღინიშნა სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგალითად, ა. შანიძის აზრით, შორისდებული, როგორც ფორმაუცვლელი სიტყვა, მორფოლოგიური თვალსაზრისით ზმნიზედის, თანდებულის, კავშირისა და ნაწილაკის გვერდით დგას, მაგრამ სინტაქსური ფუნქციით მკვეთრად განსხვავდება სხვა დანარჩენი მეტყველების ნაწილებისაგან. იგი სხვა სიტყვასთან ვერ ამყარებს კავშირს, და, ამდენად, სინტაქსური კლასიფიკაციის გარეშე რჩება, თუმცა სხვა სიტყვებს უპირისპირდება, როგორც წინადადების ეკვივალენტი. არნ. ჩიქობავას მიხედვით, „შორისდებული სემანტიკური ოდენობაა". იგი შეიძლება ჩაითვალოს დამხმარე მეტყველების ნაწილად მხოლოდ მაშინ, თუ საერთოდ იქნებოდა მიჩნეული მეტყველების ნაწილად.

შორისდებულს გამომეტყველებითი ფუნქცია აქვს. იგი სინტაქსურად განკერძოებულია და ქმნის წინადადების განსა-

კუთრებულ ტიპს. სწორედ ამ სპეციფიკურობის გამო დღეს ზოგიერთი მეცნიერი საცილობლად თვლის შორისდებულის მეტყველების ნაწილად მიჩნევას (იხ. გვ. 23-24).

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში შორისდებულის ახალი (ტრადიციულისაგან განსხვავებული) კვალიფიკაცია მეტ-ნაკლებად გაზიარებულია.

ლიტერატურა

აბესაძე ნ., რომ კავშირი ქართველურ ენებში: თსუ შრ., 96, 1963.

აბესაძე ნ., ზმნისწინებისა და თანდებულების ურთიერთობის საკითხი ქართველურ ენებში: თსუ შრ., 143, № 4, 1972.

აბულაძე ლ., წინ|უკან თანდებულების დეიქტური ხმარება: იკე, 35-ე, 2005.

ანტონ I, ქართული ღრამმატიკა (მეორე რედაქცია – 1767), თბ., 1997.

არაბული ა., ზოგი წარმოქმნილი (მეორეული) ზმნისართის შეხამებისათვის ნაცვალსახელებთან: ქსკს, XIV, 2014.

აფრიდონიძე შ., ზმნისა და ზმნიზედის ურთიერთობისთვის ქართულში: ქელს, № 1, 1974.

აფრიდონიძე შ., ჩვენი ენა ქართული, თბ., 2002.

ბაბუნაშვილი ე., ანტონ I და ქართული გრამატიკის საკითხები, თბ., 1970.

ბათიაშვილი ბ., ზმნიზედის რაობის სწავლებისათვის: ქელს, 1978, 3.

გაბუნია კ., ზმნისართის წარმოება და ფუნქციები ქართველურ ენებში, თბ., 1993.

გაბუნია კ., ნაწილაკი: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.

გაჩეჩილაძე ო., შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში, თბ., 1979.

გაჩეჩილაძე პ., კვლავ მცა ნაწილაკისათვის: იკე, XII, 1960.

გერსამია რ., კიკვიძე ზ., ლომია მ., მამისეიშვილი ნ., საღლიანი მ., ფონოსემანტიკური ლექსიკა ქართველურ ენებში, თბ., 2016.

გიგინეიშვილი ივ., თანდებულთა და თანდებულიან სახელთა მართლწერა: თქსენ, I, 1970.

დარასელია ნ., შორისდებული როგორც სამეტყველო აქტი: საენათმეცნიერო ძიებანი, XXVI, 2007.

დარასელია ნ., შორისდებული საკომუნიკაციო კომპეტენციის თვალსაზრისით, თბ., 2013.

ვაშაკიძე თ., ვითარებით ბრუნვისფორმიან სახელთა მორფოლოგიური და სინტაქსურ-სემანტიკური სტატუსისათვის: იკე, 38-ე, 2010.

თოფურია ვ., ძი ნაწილაკი ქართულში: შრ., II, თბ., 2002.

თოფურია ვ., მე, ვე, ღაცა ნაწილაკიან სახელთა ბრუნება: თქსენ, I, 1970; 1986.
კალანდაძე ვ., თანდებული: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
კალანდაძე ვ., თანდებულთა სტილისტიკური ფუნქციები თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში, თბ., 2016.
კალაძე ც., ზმნიზედა: ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
კეკელია შ., დავითიანი ა., ქართული ენა, თბ., 1973.
კეკელიძე მ., „რამეთუ" კავშირი ქართულში: ქელს, № 3, 1977.
კვანტალიანი ლ., „ოღონდ" კავშირი ქართულში: ქელს, 1975, № 4.
კვანტალიანი ლ., ქართული ზეპირი მეტყველების სინტაქსი, თბ., 1990.
კვაჭაძე ლ., ქართული ენა, ნაწილი I, თბ., 1981.
კიზირია ნ., ემოციის გამოხატვის შესახებ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში: იკე, 33-ე, 1995.
კოტინოვი ნ., მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციებისათვის ქართულში: მაცნე, № 2, 1971.
ლეჟავა ლ., ზმნისართ-კავშირთა გამოყენებისათვის: ქელს, № 3, 1983.
მარტიროსოვი არ., თანდებული ქართულში, იკე, I, თბ.,1946.
მარტიროსოვი არ., ზმნისართისა და თანდებულის სინტაქსური ურთიერთობისათვის; იკე, XII, თბ., 1960.
მაღრაძე ვ., არ|არა და ვერ ნაწილაკებით უმართებულოდ ნაწარმოები ახალი სიტყვები: კრებ. „ქართველოლოგია", 2013, № 3.
მახარობლიძე თ., თანდებულები ერგატივის სემანტიკით: „საენათმეცნიერო ძიებანი", 29, 2009.
ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1991.
ნინუა გ., მცა ნაწილაკის ერთი ფუნქციისათვის ძველ ქართულში: მაცნე, 1971, 2.
ნოზაძე ლ., რე ნაწილაკი ქართულში: იკე, XXVII, 1988.
ონიანი ა., თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენა, თბ., 2003.
ჟღენტი ს., შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში: ქართველურ ენათა ფონეტიკის საკითხები, თბ., 1965.
უთურგაიძე თ., ზმნისართები ით სუფიქსით: ქესს, IX, 2005.
ფეიქრიშვილი ჟ., არ ნაწილაკის ერთი ფუნქციისათვის თანამედროვე ქართულში: კრებ. „საენათმეცნიერო ძიებანი", VIII, თბ., 1999.
ფოჩხუა ბ., ხმოვანსართული ზმნისართები ქართულში: ქესს, I, 1959.
ფოჩხუა ბ., ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974.
ქართული ენა – ენციკლოპედია, თბ., 2008.
ღვინაძე თ., ზმნიზედის სწავლების ზოგიერთი საკითხი: ქელს, №1-4, 1987.
ღლონტი ალ., ისევ „რამეთუს" გამო: ჟურნალი „დროშა", № 4,1984.

შამელაშვილი რ., განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები ქართულში და მათი სწავლების მეთოდიკა, თბ., 1958.

შანიძე ა., ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, I, თბ., 1973.

შანიძე ა., ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976.

შარაშენიძე ნ., ხოლმე ნაწილაკის ისტორიისათვის: საენათმეცნიერო ძიებანი, V, თბ., 1996.

შარაშენიძე ნ., მოდალურ ფორმათა (ეგებ, იქნებ, ლამის, უნდა) ისტორიისათვის: ზმნათა ფორმობრივი და ფუნქციური ცვლილებები ქართულში, თბ., 2010.

შენგელაია ნ., არასრული სიტყვები და ტექსტის სემანტიკური მთლიანობა, თბ., 2000.

შერაზადაშვილი მ., ნაწილაკი – წინადადების ინფორმაციული სტრუქტურის კომპონენტი: საენათმეცნიერო ძიებანი, IX, თბ., 1999.

ჩინჩალაძე მ., ქართული ზმნიზედის სწავლება სკოლაში, თბ., 1955.

ჩინჩალაძე მ., შორისდებულის სწავლება VI კლასში: „სკოლა და ცხოვრება", 1962, № 2.

ჩინჩალაძე მ., კავშირის სწავლებისათვის VI კლასში: კრებ. „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში", XII, 1962.

ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 1952; II გამოც., 2008.

ჩიქობავა არნ., ქართული ენის ზოგადი დახასიათება, თბ., 1998; ასევე: ქეგლ, ტ. I, 1950, ახალი რედაქცია, ტ. I, 2008.

ძიძიგური შ., კავშირები ქართულში, თბ., 1969.

ჭუმბურიძე ზ., უარყოფითი ნაწილაკები ქართულში და მათი ხმარების თავისებურებანი: ქელს, № 2, 1970.

ჯაჯანიძე პ., ზოგი ზმნისწინისა და თანდებულის ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში: ქუთაისის პედინსტიტუტის შრ., ტ. XI, 1952-1953.

ჯორბენაძე ბ., ქართული ენის მორფოლოგია, პროგრამა-პროსპექტი, თბ., 1995.

ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ., ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, თბ., 1988.

სარჩევი

ავტორის წინათქმა 3
პირველი გამოცემის წინასიტყვა 4
რედაქტორისაგან 5
შემოკლებანი 6

თავი I. მორფოლოგიის საგანი. მეტყველების ნაწილები (ზოგადი მიმოხილვა) 7

1.1. მორფოლოგია, როგორც გრამატიკის დარგი 7
1.2. სიტყვა. ფორმაცვალებადი და ფორმაუცვლელი სიტყვები 8
1.2.1. სიტყვის მორფოლოგიური შედგენილობა 9
1.3. აფიქსთა კლასიფიკაცია 10
1.4. ქართული ენის აგლუტინაციური ბუნება 15
1.5. გრამატიკული კატეგორია და მისი გამოხატვის საშუალებანი 16
1.6. მეტყველების ნაწილები 17
1.6.1. მეტყველების ნაწილთა ზოგადი დახასიათება 17
1.6.2. მეტყველების ნაწილთა შესწავლის ისტორიისათვის 20
1.6.2.1. მეტყველების ნაწილთა პირველი კლასიფიკაცია, მისი საფუძველი და ნაკლი 20
1.6.2.2. მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაციის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში 23
ლიტერატურა 25

თავი II. არსებითი სახელი 27
2.1. არსებითი სახელის რაობა (ზოგადი მიმოხილვა) 27
2.2. არსებით სახელთა შინაარსობრივი ჯგუფები 28
2.2.1. არსებით სახელთა შინაარსობრივი დაჯგუფების ზოგიერთი საკითხი თანამედროვე ლინგვისტიკაში 31
2.3. არსებით სახელთა ბრუნება 34
2.3.1. ბრუნვათა მორფოლოგიური ასპექტი. ბრუნვები და მათი ნიშნები 34
2.3.2. ბრუნვის ნიშანთა გავრცობა (ემფატიკური ხმოვანი) 37

2.3.3. ემფატიკური ა-ს შესწავლის ზოგიერთი საკითხი..... 39
2.4. ბრუნვათა სინტაქსური და სემანტიკური ასპექტები 40
2.5. ბრუნვებისა და მათი ნიშნების გენეზისი..... 43
2.6. ბრუნვათა რიგის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში..... 49
2.7. არსებითი სახელის რიცხვი..... 51
2. 7. 1. რიცხვის რაობა. მისი სახეები 51
2.7.2. მრავლობითი რიცხვის წარმოება..... 52
2.7.3. რიცხვის კატეგორიის შესწავლის ზოგიერთი საკითხი..... 55
2.8. სახელის ფუძე..... 57
2.8.1. ფუძე დაბოლოების, ცვლილებისა და შედგენილობის მიხედვით..... 57
2.8.2. ფუძის გამოყოფის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში..... 58
2.9. თანხმოვანფუძიანი არსებითი სახელის ბრუნება 61
2.9.1. ფუძეუკუმშველი სახელები 61
2.9.2. ფუძეკუმშვადი სახელები..... 62
2.10. ხმოვანფუძიანი არსებითი სახელის ბრუნება..... 65
2.10.1. ფუძეუკვეცელი სახელები..... 66
2.10.2. ფეძეკვეცადი სახელები..... 68
2.10.3. კუმშვად-კვეცადი სახელები..... 70
2.11. ადამიანის სახელისა და გვარის ერთად ბრუნება 72
2.12. სახელთა ბრუნების თავისებურებანი. მართლწერის საკითხები 73
2.13. არსებით სახელთა ბრუნების ტიპები. მათი კლასიფიკაციის საკითხი ქართულ ლინგვისტიკაში..... 75
2.14. თანდებულიანი და ნაწილაკიანი ბრუნვები 78
2.14.1. თანდებულიან ბრუნვათა ფუნქციური დახასიათება..... 78
2.14.2. ნაწილაკიანი ბრუნვები 81
2.14.3. თანდებულიან სახელთა მართლწერა..... 82
ლიტერატურა 83

თავი III. ზედსართავი სახელი..... 87
3.1. ზედსართავი სახელის ფუნქცია. მისი სახეები 87
3.2. ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები..... 89
3.2.1. უფროობითი ხარისხის წარმოება..... 90
3.2.2. ოდნაობითი ხარისხის წარმოება..... 92

3.2.3. ხარისხის ფორმათა წარმოების თავისებურებანი..... 93
3.2.4. უფროობითი და აღმატებითი ხარისხის მიმართების საკითხი ქართულ ლიგნვისტიკაში..... 95
3.3. მსაზღვრელ-საზღვრული 100
3.3.1. მსაზღვრელის ტიპები. მსაზღვრელ-საზღვრულის წყობა..... 100
3.3.2. მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების ზოგადი სახეები..... 102
3.4. ზედსართავი სახელის ბრუნება 104
3.4.1. დამოუკიდებელი ზედსართავი სახელის ბრუნება 104
3.4.2. მსაზღვრელი ზედსართავის (და მასთან გათანაბრებული სხვა სიტყვის) ბრუნება არსებითთან ერთად . 105
3.4.3. წყობის როლი მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნების დროს 110
3.4.4. ზედსართავი სახელის შესნავლის მოკლე მიმოხილვა..... 111
ლიტერატურა 113

თავი IV. რიცხვითი სახელი 115
4.1. რიცხვითი სახელის მნიშვნელობა. ჯგუფები..... 115
4.1.1. რიცხვითი სახელის რაობა..... 115
4.1.2. რაოდენობითი რიცხვითი სახელები..... 115
4.1.3. ქართული თვლის სისტემა 117
4.1.4. ასობით რიცხვების გამოხატვის წესი ქართულში..... 118
4.1.5. რიგობითი და წილობითი რიცხვითი სახელები 120
4.2. რიცხვითი სახელის ბრუნება..... 121
4.2.1. დამოუკიდებელი რიცხვითი სახელის ბრუნება 122
4.2.2. რიცხვითი სახელის ბრუნება არსებითთან ერთად 123
4.3. რიცხვით სახელთა მართლწერა..... 125
4.4. რიცხვითი სახელის შესნავლის ისტორიისათვის..... 127
ლიტერატურა 128

თავი V. ნაცვალსახელი..... 130
5.1. ნაცვალსახელის მნიშვნელობა და ფუნქცია 130
5.2. ნაცვალსახელის შინაარსობრივი ჯგუფები (ზოგადი მიმოხილვა) 132
5.3. ნაცვალსახელთა წარმოება და ბრუნება 133
5.3.1. პირის ნაცვალსახელები..... 133

5.3.2. ჩვენებითი ნაცვალსახელები ... 136
5.3.3. კითხვითი ნაცვალსახელები ... 139
5.3.4. კუთვნილებითი ნაცვალსახელები ... 142
5.3.5. კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელები ... 143
5.3.6. მიმართებითი ნაცვალსახელები ... 144
5.3.7. ურთიერთობითი ნაცვალსახელები ... 144
5.3.8. განსაზღვრებითი ნაცვალსახელები ... 145
5.3.9. განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები ... 146
5.3.10. უარყოფითი ნაცვალსახელები ... 148
5.4. ნაცვალსახელთა მართლწერა ... 148
5.5. ნაცვალსახელის შესწავლის მოკლე მიმოხილვა ... 150
ლიტერატურა ... 151

თავი VI. ზმნა ... 153
6.1. ზმნის ზოგადი დახასიათება ... 153
6.2. ზმნის პირი და რიცხვი ... 155
6.2.1. პირი რომელობის, რაოდენობისა და როგორობის მიხედვით ... 156
6.2.2. ზმნის აგებულება ... 159
6.2.3. სუბიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები ... 161
6.2.4. ობიექტური პირისა და რიცხვის ნიშნები ... 164
6.2.5. პირის ნიშანთა მართლწერა ... 168
6.2.6. სუბიექტური და ობიექტური წყობა ... 170
6.2.7. პირის ნიშანთა გენეზისისა და მესამე პირდაპირ-ობიექტური პირის ნიშნით გამოხატვის საკითხი ... 171
6.3. ზმნის გარდამავლობა ... 174
6.3.1. გარდამავალი და გარდაუვალი ზმნები ... 174
6.3.2. გარდამავლობის შესწავლის ისტორიისათვის ... 176
6.4. პირის ნიშანთა ინვერსია ... 178
6.4.1. ინვერსია და მისი საფუძველი ... 178
6.4.2. ინვერსიის საკითხი გარდაუვალ ზმნებში ... 179
ლიტერატურა ... 183
6.5. დრო ... 187
6.5.1. დროის სახეები. დროის ფორმათა სემანტიკური თავისებურებანი ... 187
6.5.2. დრო, როგორც ზმნის კატეგორია ... 188
6.6. კილო ... 189
6.6.1. კილოს სახეები ... 189

6.6.2. კილოს ფორმათა ფუნქციურ-სემანტიკური ნიუანსები ... 193
6.6.3. კილოს კატეგორიის შესწავლის საკითხები ... 194
6.7. ზმნისწინი ... 196
6.7.1. ზმნისწინის რაობა. ზმნისწინთა შედგენილობა ... 196
6.7.2. ზმნისწინთა ფუნქციები ... 197
6.7.3. ზმნისწინთა მართლწერა ... 199
6.7.4. ზოგიერთი ზმნისწინის წარმომავლობა – ფუნქციის თავისებურებანი ... 199
6.7.5. ზმნისწინთა შესწავლის ისტორიისათვის ... 201
6.7.6. ტმესი ... 202
6.8. გეზი და ორიენტაცია ... 203
6.9. ასპექტი ... 205
6.9.1. ასპექტის სახეები. სრული ასპექტის გამოხატვა ... 205
6.9.2. უასპექტო ზმნები ... 207
6.9.3. ასპექტის სისტემის შეცვლა ... 207
6.9.4. ასპექტის კატეგორიის შესწავლის საკითხები ... 208
6.10. გზისობა ... 211
6.11. აქტი ... 213
6.12. თანამდევრობა ... 215
ლიტერატურა ... 216

6.13. სერიები და მწკრივები ... 220
6.13.1. მწკრივის რაობა. მწკრივი, როგორც გრამატიკული კატეგორია ... 220
6.13.2. მწკრივთა სახელდების პრინციპისათვის ... 221
6.13.3. სერიები ... 222
6.13.4. პირველი სერიის მწკრივები ... 223
6.13.5. მეორე სერიის მწკრივები ... 226
6.13.6. მესამე სერიის მწკრივები ... 227
6.13.7. მწკრივის ნიშნებისა და სავრცობების ფუნქცია-გენეზისის ზოგიერთი საკითხი ... 230
6.13.8. სერიებისა და მწკრივების შესწავლის ზოგიერთი საკითხი ... 232
ლიტერატურა ... 235

6.14. გვარი ... 239
6.14.1. გვარის კატეგორიის ზოგადი მიმოხილვა ... 239

6.14.2. დინამიკურობა-სტატიკურობის საკითხი ... 240
6.14.3. მოქმედებითი გვარი. კონვერსია ... 242
6.14.4. ვნებითი გვარი ... 245
6.14.4.1. დინამიკური ვნებითი ... 245
6.14.4.2. ვნებითის მაწარმოებელ აფიქსთა გენეზისისა და ფუნქციის საკითხი ... 248
6.14.4.3. სტატიკური ვნებითი ... 250
6.14.4.4. აღწერილობითი ვნებითი. ვნებითის ნიუანსები ... 252
6.14.5. საშუალი გვარი ... 253
6.14.5.1. მედიოაქტივ ზმნათა კვალიფიკაციის საკითხისათვის ... 258
6.14.6. გვარის ფორმათა წარმოების ზოგიერთი თავისებურება მართლწერის საკითხებითურთ ... 259
6.14.7. გვარის კატეგორიის შესწავლის ისტორიისათვის ... 261
6.15. დიათეზა ... 264
ლიტერატურა ... 269

6.16. ქცევა ... 273
6.16.1. ქცევის რაობა. სახეები ... 273
6.16.2. ქცევის საკითხი გარდაუვალ ზმნებში ... 276
6.16.3. ქცევის საკითხი მესამე სერიაში ... 277
6.16.4. უქცეო ზმნები ... 277
6.16.5. ქცევის ფორმათა მართლწერა ... 278
6.16.6. ა, ი, უ ხმოვანთა გენეზისისა და ფუნქციის საკითხისათვის ... 278
6.16.7. ქცევის კატეგორიის შესწავლის მოკლე მიმოხილვა . 280
ლიტერატურა ... 282

6.17. კონტაქტი ... 284
6.17.1. კონტაქტის სახეები. მისი წარმოება ... 284
6.17.2. კონტაქტის კატეგორიის შესწავლის საკითხისათვის ... 286
ლიტერატურა ... 288
6.18. ზმნის ძირი, ფუძე, თემა ... 290
6.18.1. ძირი და ფუძე ... 290
6.18.2. თემა. თემის ნიშნები ... 291
6.18.3. თემა შედგენილობის მიხედვით ... 293

6.18.4. თემის ნიშანთა მართლწერა 294
6.18.5. ზმნის ძირის, ფუძის, თემისა და თემის ნიშანთა კვალიფიკაციისათვის 295
ლიტერატურა 300

6.19. თავისებური ზმნები 303
6.19.1. თავისებურ ზმნათა ზოგადი დახასიათება 303
6.19.2. რთული და მიმღეობითი ზმნები 303
6.19.3. ფუძემონაცვლე ზმნები 305
6.19.4. სხვადასხვა სახის თავისებური ზმნები 307
6.19.5. თავისებურ ზმნათა შესწავლის ისტორიისათვის 309
ლიტერატურა 310

თავი VII. სახელზმნა 312
7.1. სახელზმნის ზოგადი დახასიათება 312
7.1.1. სახელზმნის სახეები 312
7.1.2. სახელზმნის ადგილისათვის მეტყველების ნაწილთა სისტემაში 313
7.2. საწყისი 314
7.2.1. საწყისის რაობა. მისი კატეგორიები 314
7.2.2 საწყისის წარმოება 315
7.3. მიმღეობა 316
7.3.1. მიმღეობის კატეგორიები 316
7.3.2. მიმღეობის წარმოება 317
7.3.3. ნაცარქექია ტიპის სახელთა წარმოება-კვალიფიკაციის საკითხისათვის 320
7.3.4. სახელზმნის შესწავლის მოკლე მიმოხილვა 321
ლიტერატურა 323

თავი VIII. ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილები (უდეტრები) 325
8.1. ზმნიზედა 325
8.1.1. ზმნიზედის მნიშვნელობა და ფუნქცია 325
8.1.2. ზმნიზედა ფორმის თვალსაზრისით 326
8.1.3. ზმნიზედის შინაარსობრივი ჯგუფები 327
8.1.4. ზმნიზედათა მართლწერა 330
8.1.5. ზმნიზედის შესწავლისა და ზოგიერთი ფორმის კვალიფიკაციის საკითხისათვის 331

8.2. თანდებული 334
8.2.1. თანდებულის ფუნქცია და შედგენილობა 334
8.2.2. თანდებულის გამოყენება ბრუნვის ფორმებთან.... 335
8.2.3. თანდებულის შესწავლის საკითხისათვის 336
8.3. კავშირი 339
8.3.1. კავშირის რაობა და შედგენილობა 339
8.3.2. კავშირის ფუნქცია, სახეები 340
8.3.3. კავშირის შესწავლის საკითხები 340
8.4. ნაწილაკი 342
8.4.1. ნაწილაკის რაობა 342
8.4.2. ნაწილაკის ჯგუფები ფუნქციის მიხედვით 343
8.4.3. ნაწილაკის გენეზისის საკითხისათვის 345
8.4.4. ნაწილაკის შესწავლის მოკლე მიმოხილვა..... 346
8.5. შორისდებული 347
8.5.1. შორისდებულის რაობა. ჯგუფები წარმოების მიხედვით 347
8.5.2. შორისდებულის შინაარსობრივი ჯგუფები..... 348
8.5.3. შორისდებულის შესწავლის მოკლე მიმოხილვა 351
ლიტერატურა 352